

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

ლამის

* * *

ნებისმიერი დამთხვევა, სახელებში, დასახელებებსა თუ მოქმედებებში შემთხვევითია და ანალოგი არ გააჩნია ადამიანურ რეალობასთან.

მოცემული ტექსტის გავრცელება აკრძალულია, როგორც ნათელი ძალების საქმის შემლახველი.

ღამის საგუშაგო

მოცემული ტექსტის გავრცელება აკრძალულია, როგორც ბნელი ძალების საქმის შემლახველი.

დღის საგუშაგო

ისტორია პირველი. განგება

პროლოგი

ესკალატორი ნელი, დაჭიმული სვლით მიემართებოდა. ძველი სადგური... რა გაეწყობა. სამაგიეროდ ქარი დათარეშობდა თავისუფლად ბეტონის გვირაბში, ყველა კუნჭულს ედებოდა – თმებს უჩეჩავდა, კაპუშონს ქაჩავდა, შარფის ქვეშ მიძვრებოდა, ქვემოთ ეწეოდა.

ქარს არ უნდოდა, რომ ეგორი ზევით ასულიყო.

ქარი დაბრუნებას ეხვეწებოდა.

საოცარია, მაგრამ ქარს თითქოს ირგვლივ ვერავინ ამჩნევდა. ხალხი ცოტა იყო – შუაღამისთვის სადგური უკაცრიელი ხდებოდა. საპირისპირო მიმართულებით რამდენიმე ადამიანი მოძრაობდა. ეგორის შორიახლოს, ესკალატორის კიბეზე, თითქმის არავინ იდგა: ერთი ადამიანი – წინ, ორი-სამი – უკან. სხვა სულიერი არ ჭაჭანებდა.

თუ ქარს არ ჩავთვლით.

ეგორმა ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და მოტრიალდა. ორიოდე წუთის განმავლობაში, მას შემდეგ რაც მატარებლის ვაგონი დატოვა, განუწყვეტლივ გრძნობდა უცხო მზერას. რატომღაც ეს ფარული, ნემსივით გამჭოლი მზერა სულაც არ აშინებდა, უფრო აჯადოებდა.

fb.com/groups/ellib

ესკალატორის დასაწყისში მაღალი, ფორმიანი მამაკაცი იდგა, - მილიციელი არა, სამხედრო პირი. უფრო ქვემოთ – ბავშვიანი ქალი, რომლისთვისაც ნახევრად მძინარე ბავშვს ხელი ჩაევლო, და კიდევ ერთი კაშკაშა ნარინჯისფერ ქურთუკში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი პლეერით. მასაც, როგორც ჩანდა, ზეზეულად ეძინა.

ბიჭიც კი, რომელიც მეტისმეტად გვიან ბრუნდებოდა სახლში, საეჭვოდ ვერაფერს მიიჩნევდა. ეგორმა კიდევ ერთხელ აიხედა ზევით, სადაც მოელვარე სახელურს ზანტად მიყუდებული მილიციელი მდორედ ათვალიერებდა მეჩხერ მგზავრებს იოლი ნადავლის ხელში ჩაგდების იმედით.

საშიში არაფერია.

ქარი უკანასკნელად მიაწვა ეგორს და ჩაწყნარდა, თითქოს ფარ-ხმალი დაყარა, მიხვდა, რომ ჭიდილს აზრი არ ჰქონდა. ბიჭმა კიდევ ერთხელ მოიხედა – ესკალატორის კიბეზე ავარდა, რომელიც მის ფეხქვეშ გამალებით იკეცებოდა. უნდა იჩქაროს. გაუგებარია, რატომ, მაგრამ ფაქტია, უნდა იჩქაროს. ისევ იგრძნო უეცარი ჩხვლეტა – ზურგზე ყოვლად უსაფუძვლო, მაგრამ შიშის მომგვრელმა ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

ყველაფერი ქარს უკავშირდებოდა.

ეგორი ნახევრად ღია კარში გავარდა, და გამჭოლმა სიცივემ განახლებული ძალით დაუარა მთელ ტანში. სველი თმა – ბასეინიდან ბრუნდებოდა, სადაც საშრობი ისევ არ მუშაობდა – წამში შეეყინა თავზე. ეგორმა კაპიუშონი ბოლომდე გადმოიხურა, შეუჩერებლად გაძვრა ფარდულებს შორის და გადასასვლელში მიიმალა. გარეთ გაცილებით მეტი ხალხი ირეოდა, მაგრამ განგაშის შეგრძნება მაინც არ ტოვებდა. ერთი ორჯერ შემობრუნდა კიდევაც, – ისე, რომ სვლა არ შეუნელებია - მაგრამ არავინ მისდევდა. ბავშვიანი ქალი ტრამვაის გაჩერებისკენ მიემართებოდა, კაცი პლეერით ფარდულთან გაჩერდა და ბოთლებს დაუწყო თვალიერება, სამხედრო კი მეტროდან ჯერ არ გამოსულიყო.

ბიჭი გადასასვლელში მიაბიჯებდა და სულ უფრო უჩქარებდა ნაბიჯს. საიდანღაც მუსიკის ჰანგები იღვრებოდა – ჩუმი, ოდნავ გასაგონი, მაგრამ საოცრად სასიამოვნო. ფლეიტის ტკბილი სტვენა, გიტარის სიმების ჟღარუნი, ქსილოფონის წკრიალი. მუსიკა უხმობდა, მუსიკა მოუწოდებდა, აჩქარებულიყო. ეგორმა მისკენ ჯგუფად მომავალ ხალხს მხარი აუქცია და ბორძიკით მოჩანჩალე, მთვრალ კაცს გაუსწრო, რომელიც ბახუსს მეტად მხიარულ ხასიათზე მოეყვანა. ქარს თითქოს აზრები გაეფანტა მისთვის, უკვე თითქმის მირბოდა.

მუსიკა ისევ ეძახდა.

ახლა სიტყვებიც დაერთო... ჯერჯერობით ჩუმი და გაუგებარი, მაგრამ მეტისმეტად მომაჯადოვებელი. ეგორი გადასასვლელიდან ღია ცისქვეშ გამოვარდა, წამით

შეჩერდა და ცივი ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა. ზუსტად ამ დროს გაჩერებასთან ტროლეიბუსი მიგორდა. ერთი გაჩერების გავლა შეეძლო, ტროლეიბუსი თითქმის სახლამდე მიიყვანდა...

ნელ-ნელა, თითქოს ფეხები გაუქვავდაო, ბიჭი ტროლეიბუსისკენ გაემართა. რამდენიმე წუთის განმავლობაში მანქანა იდგა და მგზავრებს ელოდა, შემდეგ საგდულებიანი კარი შიშინით დაიხურა და ტროლეიბუსი ადგილიდან დაიძრა. ეგორმა უხალისოდ გააყოლა თვალი – მუსიკის ხმები მატულობდა და მთელ სამყაროს ავსებდა გარშემო, მრავალსართულიანი სასტუმროს ნახევარწრიდან „ფეხებიან ყუთამდე“ – მის სახლამდე, რომელიც შორიახლოს მოჩანდა. მუსიკა თითქოს იზიდავდა და მოუწოდებდა, ფეხით გაევლო განათებული პროსპექტი, სადაც ჯერ კიდევ ირეოდა ხალხი. სადარბაზომდე ხუთიოდე წუთიღა დარჩენილიყო.

მუსიკამდე კი კიდევ ნაკლები...

ეგორმა ასიოდე მეტრი გაიარა. სასტუმროს შენობა ქარისგან იცავდა, და როგორც კი გასცდა მას, ცივი ქარის გამალებული ნაკადი სახეში ეცა და თითქმის მთლიანად დაახშო მომაჯადოვებელი მუსიკის ხმები. ბიჭი წაბორძიკდა და წამით შეჩერდა. მოჯადოება გაიფანტა, სამაგიეროდ უცხო მზერის შეგრძნება დაბრუნდა – ახლა უფრო ძლიერ შიშთან შერეული. შემობრუნდა – გაჩერებასთან კიდევ ერთი ტროლეიბუსი მიგორავდა. და კიდევ, ლამპიონების შუქზე ისევ იელვა კაშკაშა ნარინჯისფერმა ქურთუკმა. კაცი, რომელიც მასთან ერთად ამოდიოდა ესკალატორზე, ფეხდაფეხ მიყვებოდა. თვალები ისევ ნახევრად დაეფარა და ამჯერად უფრო სწრაფად და მიზანმიმართულად მოდიოდა, თითქოს ეგორს ხედავდა.

ბიჭი გაიქცა.

მუსიკამ ახალი ძალით იფეთქა და ქარის ფარდა გაარღვია. ახლა შეეძლო, სიტყვებიც გაერჩია... შეეძლო, მაგრამ თავი არ შეუწუხებია.

ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება ახლა პროსპექტზე სიარული იქნებოდა, დახურული, მაგრამ განათებული მაღაზიების გასწვრივ, გვიანობამდე შემორჩენილი ფეხით მოსიარულეებისა და მქროლავი მანქანების თვალწინ.

მაგრამ ეგორმა ქუჩაბანდში შეუხვია. მუსიკა იქიდან მოდიოდა.

აქ სრული სიბნელე იყო, მხოლოდ კედელთან მოძრაობდა ორი გაწელილი ჩრდილი. ეგორი მათ ბუნდოვნად ხედავდა, თითქოს ბურუსში გახვეულიყვნენ, მკრთალი მოცისფრო შუქით განათებულნი. გოგო და ბიჭი, ძალიან ხალასად ჩაცმულნი, გეგონება გარეთ ოცი გრადუსი ყინვა სულ არ ყოფილიყო.

მუსიკამ უკანასკნელად დაიჭექა – საზეიმო, დამაგვირგვინებელი ზარი შემოკრა და ჩაცხრა. ბიჭმა მოულოდნელი სისუსტე იგრძნო, ოფლმა დაასხა, ფეხები ეკვეთებოდა, უნდოდა, მოლიპულ, გაყინული ტალახით დაფარულ ტროტუარზე ჩამომჯდარიყო.

- რა საყვარელია... – ჩუმად წარმოთქვა გოგომ. თხელი სახე, ჩაცვენილი ლოყები და ფერმკრთალი სახის კანი ჰქონდა. მხოლოდ უშველებელ შავ, მომხიბლავ თვალებში კრთოდა ნაპერწკალი.

- დამიტოვე რა... ცოტა მაინც... – სთხოვა ბიჭმა. გაიღიმა. და-ძმასავით ჰგავდნენ ერთმანეთს – მაგრამ სახის ნაკვთებით კი არა, არამედ რაღაც ამოუცნობი, უხილავი თვისება აკავშირებდათ, რომელიც თითქოს რაღაც ამოუცნობ ძალას შემოეხვია მათთვის, ნახევრად გამჭვირვალე, მტვრიან მანტიად.

- შენ? – გოგომ წამით მოაშორა ეგორს მზერა. პირველადი გაოგნებული რეაქცია ოდნავ შესუსტდა, სამაგიეროდ შიშმა იფეთქა. ეგორმა პირი დააღო, უნდოდა, დაეყვირა, მაგრამ ბიჭის მზერა დაიჭირა და ხმა ვეღარ ამოიღო. თითქოს ყინულივით ცივი რეზინის ფირი გადაეკრა მთელს სხეულზე.

- ჰო. დაიჭირე!

გოგომ დამცინავად ჩაიცინა და მზერა ეგორზე გადაიტანა. ტუჩები წინ გამოსწია, თითქოს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და ჩუმად წარმოთქვა უკვე ნაცნობი სიტყვები – ზუსტად ის სიტყვები, რომლებიც მომაჯადოებელ მუსიკას ახლავდა.

- მოდი აქ, ჩემთან...

ეგორი გაუნძრევლად იდგა. გაქცევის ძალაც აღარ ჰქონდა, შიშისა და განგაშის, ყელში გახევებული კივილის მიუხედავად, რომელიც გარეთ გამორღვევას ლამობდა. ყოველ შემთხვევაში, ერთ ადგილას გაჩერება მაინც შეეძლო.

ქუჩაბანდის გასწვრივ ქალმა ჩაიარა, რომელსაც ორი ვეებერთელა, საბელზე გამობმული ნაგაზი მიყავდა. ქალი ნელი სვლით მოძრაობდა, თითქოს წყალქვეშ გადაადგილდებოდა, თითქოს კოშმარულ სიზმარში ესიზმრებოდა. ეგორმა დაინახა, როგორ აფორიაქდნენ ძაღლები და ქუჩაბანდისკენ გამოიწიეს და გულის სიღრმეში იმედის ნაპერწკალმა იფეთქა. ძაღლებმა ღრენა ატეხეს, მაგრამ თითქოს გაუბედავად, შიშნარევი სიძულვილით. ქალი წამით შეჩერდა და ეჭვით სავსე თვალებით მიაჩერდა ქუჩაბანდს. ეგორმა მისი მზერა დაიჭირა – არაფრის მთქმელი, ცარიელი.

- წავედით! – საბელები მოქაჩა და ძაღლებმაც მორჩილად დაიხიეს უკან.

ბიჭმა ჩუმად ჩაიცინა.

ქალმა ნაბიჯს აუჩქარა და მალე თვალს მიეფარა.

- არ მოდის! – ჭირვეული ხმით შეყვირა გოგომ. – ერთი შეხედე ამას, ადგილიდან არ იძვრის!

- უფრო მაგრად, - მოკლედ მოუჭრა ბიჭმა. დაუბღვირა. – ისწავლე.

- მოდი! მოდი ჩემთან! – გამალებით წარმოთქვა გოგომ. ეგორი ორიოდე მეტრში იდგა, მაგრამ გოგოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მსხვერპლს თავად გაევლო ეს მანძილი.

და ეგორი მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო. გოგოს მზერა აჯადოებდა, უხილავი რეზინის საბელით იჭერდა, ეძახდა და მასაც ძალა აღარ ჰქონდა, რომ ბრძოლა გაეგრძელებინა. იცოდა, ფეხი არ უნდა მოეცვალა – მაგრამ მაინც გადადგა ნაბიჯი. გოგომ გაუღიმა – სიბნელეში თეთრი სწორი კბილების რიგმა გაიელვა. უბრძანა:

- შარფი მოიხსენი.

ბრძოლა აღარ შეეძლო. მთრთოლვარე ხელებით მოიხადა კაპიუშონი, მოიძრო, ისე რომ არც შემოიხსნა და შავი თვალების ძახილს დაემორჩილა.

გოგოს სახე აერია. უცნაური რაღაც ემართებოდა. ქვედა ყბა ჩამოეკიდა, მოეღრიცა და სწორი კბილების ნაცვლად გრძელმა, არაადამიანურმა ეშვებმა გაიელვა.

ეგორმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

თავი 1

ღამე წარუმატებლად დაიწყო.

ღამდებოდა, რომ გამეღვიძა. ვიწექი და ვაკვირდებოდი, როგორ იღვენთებოდა ჟალუზების ნაპრალებში სინათლის უკანასკნელი სხივები, თან ვფიქრობდი. მეხუთე ღამეა სანადიროდ გავდივარ, მაგრამ უშედეგოდ. ალბათ დღესაც არ გამიმართლებს.

ოთახში ციოდა, გამათბობელი თითქმის არ ათბობდა. ერთადერთი რამ, რისთვისაც ზამთარი მიყვარს, ისაა, რომ მალე ღამდება და ქუჩაში ცოტა ხალხი დაიარება. ისე კი... დიდი ხნის ხნის წინ მივყრიდი ყველაფერს და მოსკოვიდან გავიქცეოდე, სადმე იალტაში ან სოჩაში, შავიზღვისპირეთში და არა თბილი ოკეანეების რომელიმე შორეულ უცხო კუნძულზე. მიყვარს, როცა გარშემო ნაცნობი ენა მესმის...

სულელური ოცნებებია, რა თქმა უნდა.

ჯერ ადრეა თბილ ქვეყნებში დასვენებაზე ფიქრი.

არ დამიმსახურებია.

ტელეფონი თითქოს ჩემს გამოღვიძებას ელოდა – ისე გამალებით აწკრიალდა, გეგონებოდა, დაჟინებით ითხოვდა, მეპასუხა. ხელის ფათურით ყურმილს მივწვდი, ყურთან მივიდე და გარინდებული ველოდი, როდის ამოიღებდნენ ხმას.

- ანტონ, მიპასუხე.

არ ვპასუხობდი. ლარისას საქმიანი, მწყობრი, მაგრამ დაღლილი ხმა ჰქონდა. ეტყობა, მთელი დღე არ უძინია.

- ანტონ, შეფს დაელაპარაკები?

- არა, - ჩავიბუტბუტე.

- გაიღვიძე?

- კი.

- დღესაც ჩვეულ ხასიათზე ხარ.

- მოხდა რამე ახალი?

- არა, არაფერი.

- ისაუზმე? რა უნდა ჭამო?

- მოვნახავ რამეს?

- კარგი, აბა შენ იცი.

ლარისა მოწყენილი, უღიმღამო ხმით დამემშვიდობა. არ ჰქონდა ჩემი იმედი, პრინციპში, ალბათ, არც შეფს.

- მადლობ, - ვუპასუხე, როცა გაბმული ზუმერი გაისმა. ავდექი და აბაზანა-ტუალეტი მოვიარე. კბილის ჯაგრისს პასტა რომ მოვაცხე, მაშინ გამახსენდა, რომ მეჩქარებოდა, და ჯაგრისი ხელსაბანის კიდეზე ჩამოვდე.

სამზარეულოში ბნელოდა, მაგრამ შუქი, რა თქმა უნდა, არ ამინთია. მაცივრის კარი გამოვაღე - პროდუქტებთან ერთად გადმობრუნებული ნათურაც იყინებოდა. ქვაბს შევხედე, რომელსაც საწური ეფარა. საწურზე ნახევრად გამღვალი ხორცის ნაჭერი იწრიტებოდა. საწური მოვაცილე, ქვაბი ტუჩებთან მივიტანე და მოვსვი.

თუ ვინმეს გონია, რომ ღორის სისხლი გემრიელია, ძალიან ცდება. ქვაბი, ჩამოწურული სისხლის ნარჩენებით, თავის ადგილას დავაბრუნე და აბაზანაში გავედი.

მბჟუტავი ლურჯი ნათურა ძლივს არღვევდა სიბნელეს. დიდი ხანი თავგამოდებით ვიხეხავდი კბილებს, მერე ვეღარ გავუძელი, კიდევ ერთხელ დავლაშქრე სამზარეულო, მაცივრიდან გაყინული არაყი გამოვიღე და ერთი ყლუპი მოვსვი. ახლა მუცელში მარტო სითბომ კი არ დამიარა, მხურვალებამაც. შესანიშნავი შეგრძნებაა – სუსხი კბილებში და ალბური მუცლის არეში.

- შენი... – დავიწყე შეფის მისამართით, მაგრამ დროზე მოვეგე გონს. კარგად ვიცოდი, რაც მოყვებოდა ამ უწყინარ გინებასაც. ოთახში შევბრუნდი და მიმობნეული ტანსაცმლის შეგროვებას შევუდექი. შარვალი ლოგინის ქვეშ შევარდნილიყო, წინდები ფანჯრის რაფაზე ეყარა, პერანგი კი, რატომღაც, ჩხოენის ნიღაბზე ეკიდა.

უძველესი კორეელი მეფე გამკიცხავად შემომყურებდა.

- მაგას გირჩევნია, დამიცვა, - ჩავიბურტყუნე და ისევ გაისმა ტელეფონის ხმა. ოთახი შემოვიარე და, როგორც იქნა, ტელეფონი ვიპოვნე.

- ანტონ, რამის თქმას აპირებდი? – იკითხა უხილავმა თანამოსაუბრემ.

- სულაც არა, - პირქუში ხმით ვუპასუხე.

- კარგი, ჰო. ის მაინც დაამატე, „ვცდილობ, თქვენო კეთილშობილებავ“.

- ვცდილობ, სხვა რა გზა მაქვს... თქვენო კეთილშობილებავ.

შეფი დუმდა.

- ანტონ, მაინც გთხოვ, უფრო სერიოზულად მოეკიდო შექმნილ ვითარებას. კარგი? ყოველ შემთხვევაში, დილით ანგარიშს ველოდები. და კიდევ... წარმატებას გისურვებ.

მისმა სიტყვებმა გული მომილბო და გაღიზანებამ, ასე თუ ისე, გამიარა. მობილური ქურთუკის ჯიბეში ჩავიდე და შემოსასვლელში კარადა გამოვაღე. ერთხანს ვფიქრობდი, რითი დამესრულებინა აღჭურვა. რამდენიმე ახალი ნივთი მეგულებოდა, რომელიც მეგობრებმა მაჩუქეს წინა კვირას. თუმცა, არჩევანი მაინც ჩვეულებრივ, საკმაოდ უნივერსალურ და კომპაქტურ აღჭურვილობაზე შევაჩერე.

და კიდევ – მინი დისკის პლეერი. სმენა სულ არ მჭირდებოდა, აი, მოწყენილობა კი ულმობელ მტრად მექცა.

გამოსვლის წინ დიდი ხანი ვათვალიერებდი კიბეს საჭვრეტში. არავინ ჩანდა.

ასე დაიწყო მორიგი ღამე.

ექვსი საათი დავბორიალობდი მეტროში, ყოველგვარი მიზნის გარეშე ერთი სახელურიდან მეორეს ვეკონწიალებოდი, დროდადრო ჩავთვლემდი, ცნობიერებას განტვირთვის საშუალებას ვაძლევდი, გრძნობას კი გონების ტყვეობისგან ვათავისუფლებდი. არაფერი ხდებოდა. თუმცა, არა, ერთი ორი საინტერესო რამ მაინც ვნახე, მაგრამ ეს ორდინალური შემთხვევები იყო, ახალბედებს თუ დააინტერესებდა. მდგომარეობა მხოლოდ თერთმეტი საათისთვის შეიცვალა, როდესაც მეტრო თითქმის დაცარიელდა.

დახუჭული თვალებით ვიჯექი და უკვე მესამედ ვუსმენდი ამ ღამეს მანფრედინის მეხუთე სიმფონიას. მინი დისკი მე თვითონ შევადგინე, ლისტიც უჩვეულო და არათანმიმდევრული ავირჩიე. დისკზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ შუა საუკუნეების იტალიელები, ბახის ნაწარმოებები, „ალისას“, რიჩი ბლექმორის და „პიკნიკის“ სიმღერები. ყოველთვის დიდი ინტერესით ვაკვირდები მელოდიისა და მოვლენის თანხვედრას. დღეს მანფრედინის გაუღიმა ბედმა.

უცბად კრუნჩხვამ დამიარა და მთელი სხეული კეფიდან ტერფამდე გამიკავა. რაღაცა წავილუღლუღე კიდევაც, თვალები გავახილე და ვაგონს მოვავლე თვალი.

გოგო მაშინვე შევნიშნე.

სასიამოვნო, ძალიან ახალგაზრდა, ლამაზ ქურქში გამოწყობილი, ჩანთითა და წიგნით ხელში.

თავზე ისეთი ქარბორბალა დასტრიალებდა, კარგა ხანია ასეთი არ მინახავს!

ალბათ, ისეთი შეშლილი სახე მქონდა, გოგომ იგრძნო, შემომხედა და მაშინვე გვერდზე გაიხედა.

გირჩევნია ზემოთ აიხედო!

არა, რა თქმა უნდა, ქარბორბალას ვერ შენიშნავდა. დიდი დიდი ოდნავი მოუსვენრობა ეგრძნო და ბუნდოვნად, გაკვრით მოეკრა თვალი ერთგვარი მოძრაობისთვის მის თავზე, თითქოს თვალწინ ქინქლების გუნდი ტრიალებდა, ან გავარვარებულ ასფალტზე აჭრილი ჰაერის ნაკადი თრთოდა...

ვერაფერსაც ვერ დაინახავს. ერთი ორი დღე იცოცხლებს, სანამ მოლიპულ გზაზე ფეხი არ დაუცდება და სასიკვდილოდ არ დაარტყამს თავს, ან მანქანა არ გაიტანს, ან სულაც რომელიმე სადარბაზოში ბანდიტის დანას არ წამოეგება, რომელიც, პრინციპში, ალბათ ვერც გააცნობიერებს საერთოდ, რატომ კლავს ამ გოგოს. და ყველას ერთი ფრაზა ეკერება პირზე – „რა ახალგაზრდა, მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა, როგორ უყვარდა ყველას...“

ჰო, რა თქმა უნდა, მჯერა, ისეთი კეთილი და სანდომიანი სახე აქვს, დაღლილობა კი ემჩნევა, მაგრამ გაბოროტების კვალიც კი არსად ჩანს. ასეთი გოგოს გვერდით ისეთ ადამიანად არ გრძნობ თავს, როგორიც სინამდვილეში ხარ. ცდილობ, უკეთესი იყო, ეს კი ძალას გაცლის. მასთან მეგობრობა, გულის გადაშლა უფრო ადვილია, მსუბუქი ფლირტიც ალბათ. ასეთი გოგოები იშვიათად თუ შეუყვარდება ვინმეს, სამაგიეროდ ყველას უყვარს.

გარდა ერთისა, რომელმაც ბოროტი ძალა მოისყიდა.

შავი ქარბორბალა, სინამდვილეში, ჩვეულებრივი მოვლენაა. რომ დავაკვირდი, მგზავრების თავს ზემოთ მოტრიალე ხუთი თუ ექვსი ასეთი ქარბორბალა შევნიშნე,

მაგრამ ბუნდოვანი, მქრალი, ძლივძლივობით რომ ბრუნავდა. ყველაზე გავრცელებული, არაპროფესიონალური წყევლის შედეგი. ალბათ ვიღაცამ მიაძახა: „შენ კი ჩაძაღლდი, დამპალო“. ვიღაცამ კი უფრო მარტივად და შერბილებულად გამოთქვა ბრაზი: „შენ არ გაიხარე“. და შავბნელი სამყაროდან სმერჩი წამოიშალა, რომელიც ხალხს იღბალს ართმევდა, ძალებს აცლიდა.

უბრალო, დილეტანტური და არაფორმირებული წყევლა ერთი ორ საათს თუ ძლებს, მაქსიმუმ დღე-ღამეს. მისი შედეგებიც, შესაბამისად, არასასიამოვნოა, მაგრამ სიკვდილს არ იწვევს. ამ შავი ქარბორბალას კი, გოგოს რომ დატრიალებდა, სრულფასოვანი, სტაბილიზირებული იყო და გამოცდილი მაგის ხელი ეტყობოდა. გოგო ცოცხლებში აღარ ეწერა, თან ისე, რომ თვითონაც აზრზე ვერ მოდიოდა, რა ელოდა.

მექანიკურად გავიწვდინე ხელი ჯიბისკენ, გამახსენდა, სადაც ვიყავი და გაღიზიანებულმა შევკარი შუბლი. რატომ არ იჭერს მობილური მეტროში? ვინც მობილურს იყენებს, მიწისქვეშ არ უნდა იმოძრაოს?

ახლა ორ ცეცხლ შუა ვიწვოდი. არ ვიცოდი, რომელი საქმისთვის მიმეხედა, დავალებისთვის, რომელიც აუცილებლად უნდა შემესრულებინა, ისე, რომ წარმატების იმედიც არ მქონოდა, თუ განწირული გოგო გადამერჩინა. არ ვიცი, შეიძლება დაგვიანებულიცაა და ვეღარაფერს ვუშველი, მაგრამ ქარბორბალას დამტრიალებლისთვის კი უსიკვდილოდ უნდა მიმეკვლია...

და ამ წუთას მეორედ დამიარა რაღაცამ სხეულში. ამჯერად, სხვანაირად, კრუნჩხვისა და ტკივილის გარეშე, მხოლოდ პირი გამომიშრა, ღრძილები გამეყინა, საფეთქლებში სისხლმა იწყო ფეთქვა, და თითის წვერები ამექავა.

არის!

მაგრამ რატომ ასე უდროოდ?

ავდექი – მატარებელი უკვე გაჩერებდა სადგურში. გოგოს გავუარე და მისი მზერა ვიგრძენი. მითვალთვალებდა. ეშინოდა. ალბათ უხილავი შავი ქარბორბალა აფორიაქებდა და აიძულებდა, მგზავრებისთვის ედევნებინა თვალი.

შეიძლება ამიტომაც რჩება ცოცხალი.

ხელი ჯიბეში ჩავუშვი, ვცდილობდი, გვერდზე არ გამეხედა. ამულეტი მოვსინჯე – ონიქსისგან გამოთლილი ღერო. ერთი ორი წამი ვყოყმანობდი, სხვა გზებს ვეძებდი.

მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

ღეროს ხელისგული მოვუჭირე. თითებში ეკლებმა დამიარა, შემდეგ ქვამ შეთბობა და დაგროვილი ენერგიის გამოსხივება დაიწყო. შეგრძნება მცდარი არ ყოფილა, სითბურ ენერგიას, ქვისგან მოდიოდა, თერმომეტრით ვერ გაზომავდი. ასე მეგონა,

გავარვარებული ნაკვერჩხალი მეჭირა ხელისგულით... ყინულივით ცივი ფერფლით დაფარული ნაკვერჩხალი ცეცხლმოდებული გულით.

ამულეტი საბოლოოდ ავირჩიე და გოგოს შევავლე თვალი. ქარბორბალა თრთოდა და ოდნავ ჩემსკენ იხრებოდა. შავი მორევი იმდენად ძლიერი იყო, რომ ინტელექტის ჩანასახიც ჰქონდა.

დავარტყი.

ვაგონში და, საერთოდ, მთელს მატარებელში ჩემს გარდა კიდევ რომ ყოფილიყო სხვანაირი, თვალისმომჭრელ აფეთქებას შეამჩნევდა, რომელიც ერთნაირი ძალით ჭრიდა მეტალსაც და ბეტონსაც...

ჯერ არასდროს დამირტყამს ასეთი რთული სტრუქტურის შავი მორევისთვის. და არასდროს გამომიყენებია ასეთი მძლავრი მუხტის მქონე ამულეტი.

ეფექტი სრულიად მოულოდნელი იყო. პატარ-პატარა წყევლა, ზოგიერთებს რომ უტრიალებდა, მომენტალურად გააცამტვერა. ხანშიშესულმა ქალმა, დაქანცული ხელებით რომ ისრესდა შუბლს, გაოცებულმა შეხედა ხელისგულებს – საშინელი თავის ტკივილი უცბად გამქრალიყო. ბიჭი, უაზროდ რომ მისჩერებოდა შუშას, შეკრთა, დაჭიმული სახე მოეშვა – თვალებიდან ყრუ სევდა იხევდა უკან.

ქარბორბალამ გოგოს თავზე ხუთიოდე მეტრში გადაინაცვლა, ნახევრად ვაგონიდაც კი გავარდა. მაგრამ ერთიანი სტრუქტურა არ დაუკარგავს, და ზიგზაგებით ისევ მსხვერპლისკენ მიცურდა.

აი, მესმის ძალა!

რა სასწაული მიზანია!

ამბობენ, მართალია, მე პირადად არ მინახავს, რომ მსხვერპლს ერთი ორი მეტრით ჩამოშორებული ქარბორბალა ორიენტაციას კარგავს და მასთან ახლოს მდგარ ადამიანს ეკვრის. ესეც საშინელებაა, მაგრამ სხვისი წყევლა გაცილებით უფრო სუსტია და ახალ მსხვერპლს გადარჩენის დიდი შანსი აქვს.

ეს ქარბორბალა კი არ შორდებოდა მსხვერპლს, როგორც ერთგული ძაღლი, გასაჭირში ჩავარდნილ პატრონს რომ არ ტოვებს. მატარებელი ჩერდებოდა. უკანასკნელი მზერა ვესროლე ქარბორბალას, რომელიც თავის ძველ ადგილს დაუბრუნდა, გოგოს თავზე ჩამოწვა და უფრო სწრაფადაც დაიწყო ტრიალი... მე კიდევ, უძლური ვიყავი, ვერაფრით დავეხმარებოდი. იქვე, სადგურში მთელი მოსკოვის გარშემო ჩემი ერთკვირიანი ხეტიალის სამიზნე იმყოფებოდა. არ შემეძლო, მისთვის გვერდი ამევლო და გოგოსთვის მიმეხედა. შეფი ტყავს გამაძრობდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით...

როდესაც ვაგონის კარი სისინით გაიღო, გოგოს უკანასკნელად შევავლე თვალი და სწრაფად დავიმახსოვრე აურა. უზარმაზარ ქალაქში მისი პოვნის შანსი თითქმის არ მქონდა. და მაინც, უნდა მეცადა.

მაგრამ ახლა არა.

ვაგონიდან გამოვარდი და მიმოვიხედე. გაშლილ სივრცეში მუშაობის გამოცდილება მართლა არ მყოფნიდა, ამაში შეფს ვერ შევედავებოდი. მაგრამ მეთოდი, რომელიც საწვრთნელად გამოიყენა, სულაც არ მომწონდა.

ჯანდაბა, როგორ მოვძებნო სამიზნე?

ჩვეულებრივი მხედველობით მხოლოდ ადამიანებს ვხედავდი და არც ერთი მათგანი ეჭვს არ იწვევდა. სადგურში ბევრი ხალხი ირეოდა, „კურსკის წრიულია“ მაინც, აქ ვაგზლიდან გადმოსულებიც იყრიდნენ თავს, და მოვაჭრეებიც, რომლებიც სხვა ხაზზე გადასაჯდომად მიიჩქაროდნენ. თვალებს თუ მივიჩრდილავდი, უფრო თავშესაქცევ სანახაობას დავაკვირდებოდი – გახუნებული აურები, რომლებიც საღამო ხანს განსაკუთრებით კარგავდნენ ფერს. მათ შორის კაშკაშა ალისფერი ლაქასავით ენთო ვიღაცის ღვარძლი, თვალისმომჭრელი ნარინჯისფერი შუქით ელვარებდა წყვილი, რომელსაც, უეჭველად, საწოლისკენ მიეჩქარებოდა და ბუნდოვან, მონაცრისფრო-მოყავისფრო ზოლებად იშლებოდა მთვრალი ხალხის დანაწევრებული აურები.

და არავითარი კვალი. მხოლოდ სიმშრალე ყელში, ღრძილების ქავილი, გამეტებით მფეთქავი გული. სისხლის გემო ტუჩებზე. მზარდი მღელვარება.

ყველა ნიშანი ირიბია, და მაინც იმდენად აშკარა, რომ მათი უგულებელყოფა არ გამოვიდოდა.

რომელია? რომელი?

ზურგსუკან მატარებელი დაიძრა. სამიზნეს სიახლოვის შეგრძნება არ მტოვებდა, ანუ ისევ ახლოსაა. შემხვედრი მატარებელი გამოჩნდა. და ვიგრძენი, რომ სამიზნე შეკრთა და მისკენ გაემართა,

წინ!

პერონი გადავკვეთე, გზა გავიკვლიე მგზავრებს შორის, რომლებიც მაჩვენებლებს მისჩერებოდნენ და ბოლო ვაგონებისკენ გავემართე. სამიზნის შეგრძნება შესუსტდა, მაშინვე წინა ვაგონისკენ გავიქეცი... არის... ახლოსაა...

როგორც საბავშვო თამაში – „ცივა-ცხელა“.

ხალხმა ვაგონებში შესვლა დაიწყო. მატარებლის გასწვრივ დავქროდი და ვგრძნობდი, როგორ მევსებოდა პირი ნერწყვით, როგორ მეწვოდა ტკივილისგან ღრძილები და მეკრუნჩხებოდა თითები... ყურსასმენებში მუსიკა ქუხდა.

In the shadow of the moon,

She danced in the starlight

Whispering a haubtung tune

To the night…

ოჰ, რა სასწაულად დაემთხვა სიმღერა ამ შემთხვევას...

ცუდად მენიშნა.

კარი იხურებოდა, როცა ვაგონში შევვარდი, გავიტრუნე და გარინდებული ვადევნებდი გულისყურს საკუთარ გრძნობებს. გამოვიცანი თუ ვერა? ვიზუალურად სამიზნეს ჯერ კიდევ ვერ ვაფიქსირებდი...

გამოვიცანი.

მატარებელი წრიულად მოძრაობდა, ჩემი ბობოქარი ინსტინქტები კი გაიძახოდნენ: „აქვე! ახლოს!“

შეიძლება, ვაგონი შემეშალა.

კარგი, დაველოდოთ...

„Feel no sorrow, feel no pain,

Feel no hurt, there's nothing gaine…

Only love will remain,“

She would say.

„მშვიდობის პროსპექტზე“ ვიგრძენი, რომ სამიზნე მცილდებოდა. ვაგონიდან გამოვვარდი და მეორე ხაზზე გადასასვლელისკენ გავეშურე. სადღაც ახლოსაა, ძალიან ახლოს...

რადიუსულ სადგურზე სამიზნის სიახლოვის შეგრძნება უფრო მწველი მეტისმეტად გახდა. რამდენიმე კანდიდატურა შევათვალიერე – ორი გოგო, ერთი ახალგაზრდა და ერთიც პატარა ბიჭი. ყველა მათგანი პოტენციური კანდიდატებისთვის გამოდგებოდა, მაგრამ რომელი იყო მათგან ჩემი სამიზნე?

ოთხეული ერთ-ერთ ვაგონში დაჯდა. ეს უკვე იღბალი იყო. ვაგონში შევყევი მათ და მოვლენების განვითარებას დაველოდე.

ერთ-ერთი გოგო „რიჟსკაიაზე“ ჩავიდა.

სამიზნის შეგრძება არ შესუსტებულა.

ახალგაზრდა „ალექსეევსკაზე“ ჩავიდა.

მშვენიერია. გოგო თუ ბიჭი? რომელი?

ორივეს ფარული მზერა შევავლე. გოგო პუტკუნა იყო, მოვარდისფრო ფერი დაკრავდა სახეზე, ყურადღებით კითხულობდა „მოსკოვსკი კომსომოლეცს“. არავითარი მღელვარება არ ეტყობოდა. ბიჭი კი, პირიქით, გამხდარი და სუსტი იყო, კართან იდგა და შუშაზე თითით ხაზავდა რაღაცას.

ჩემი აზრით, გოგო გაცილებით უფრო... მადის აღმძვრელია. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ის იყო.

თუმცა, აქ ყველაფერს სქესის საკითხი წყვეტს.

უკვე ძახილი მესმოდა. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, უბრალოდ ნაზი, მიმზიდველი მელოდია. ყურსასმენებში აღარაფერი მესმოდა, ძახილმა მთლიანად გადაფარა მუსიკის ხმები.

არც გოგო და არც ბიჭი მღელვარების არავითარ ნიშნებს არ ავლენდნენ. ან ტრანსპორტაბელურობის ძალიან მაღალი ხარისხი ახასიათებდათ ან, პირიქით, მაშინვე მოექცნენ გავლენის ქვეშ.

მატარებელი სადგურ „სმმგ“ -ს (სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სადგური) მიუახლოვდა. ბიჭმა შუშას ხელი მოაშორა, პერონზე გავიდა და სწრაფად გაეშურა ძველი გასასვლელისკენ. გოგო ვაგონში დარჩა.

ჯანდაბა!

რა ახლოს იყვნენ, და ვერ გავარკვიე, რომელ მათგანს ვგრძნობდი!

სწორედ ამ წუთას ძახილის მელოდია საზეიმო ტონალობაზე გადავიდა და მუსიკას სიტყვები შეერია.

ქალის ხმა ისმოდა!

კარი იხურებოდა, როცა ვაგონიდან გამოვვარდი და ბიჭს დავედევნე.

ძალიან კარგი. ნადირობა დასასრულს უახლოვდება.

მაგრამ დაცლილ ამულეტს რა ვუყო, წარმოდგენა არა მაქვს...

ხალხი ძალიან ცოტა შემორჩენილიყო, ესკალატორზე ოთხნი ავდიოდით. ბიჭი წინ იდგა, მის მერე ბავშვიანი ქალი, შემდეგ მე, და ჩემს მერე ხანშიშესული პოლკოვნიკი

იდგა. სამხედროს იმდენად ლამაზი აურა ჰქონდა, რომ სულ მოცისფრო-მონაცრისფრო ტონებში ელვარებდა. ერთი პირობა დამცინავმა აზრმაც გამიელვა დაღლილ გონებაში, დახმარებისთვის ხომ არ მიმემართა. ასეთ ხალხს დღემდე სწამს ცნების „სამხედრო წესით მისალმების“.

მოხუცი პოლკოვნიკისგან კი ისეთივე ხეირი იქნებოდა, როგორიც ბუზის საკლავისგან სპილოზე ნადირობისას.

სისულელეებზე ფიქრს მოვეშვი და ისევ ბიჭს შევხედე თვალდახუჭულმა. აურას ვაკვირდებოდი.

შედეგმა თავგზა ამიბნია.

გარდამავალი ფერებით მოლივლივე ნათება ერტყა გარს. ზოგჯერ წითელი გადაეკვრებოდა, ზოგჯერ ხასხასა მწვანე, ხანდახან კი მუქ ლურჯად იფეთქებდა.

იშვიათი შემთხვევაა. არაფორმირებული მომავალი. გაურკვეველი პოტენციალი. ბიჭი შეიძლება მოთავებული არამზადა გაიზარდოს, ან კეთილი და სამართლიანი ადამიანი დადგეს, ან შეიძლება არარაობად იქცეს, ისეთად, როგორიც უმრავლესობაა ადამიანებში. თუმცა, ყველაფერი წინაა, როგორც ამბობენ. მსგავსი აურა სამ-ოთხ წლამდე ბავშვებში შეინიშნება, მოზრდილებში კი ძალიან იშვიათად.

ახლა მესმის, რატომაა ზუსტად მისკენ მიმართული ძახილი. დელიკატესი, ვერაფერს იტყვი.

ვიგრძენი, როგორ დამიგროვდა პირში ნერწყვი.

ძალიან დიდხანს გაგრძელდა ეს ყველაფერი... ბიჭს ვუყურებდი, მის თხელ კისერს ვაკვირდებოდი შარფის ქვეშ და ვაგინებდი შეფს, ტრადიციებს, რიტუალებს, ყველაფერს, რისგანაც ჩემი სამუშაო შედგებოდა. ღრძილები მექავებოდა, ყელი მიშრებოდა.

სისხლს მომწარო მარილიანი გემო აქვს, მაგრამ ამ წყურვილს მარტო ის თუ მოკლავს.

ჯანდაბა!

ბიჭი ესკალატორიდან გადახტა, ვესტიბიულში გაირბინა და შუშის კარს მიღმა გაუჩინარდა. წამით თითქოს მომეშვა. ნაბიჯი შევანელე და ბიჭს გავყევი, ცალი თვალით მოძრაობა დავაფიქსირე – ბიჭი მიწისქვეშა გადასასვლელში ჩაეშვა. ახლა უკვე მირბოდა, იმდენად იზიდავდა, ექაჩებოდა უხილავი ძალა.

ჩქარა!

ფარდულთან მივირბინე და გამყიდველს მონეტა გადავუგდე, ვცდილობდი, კბილები არ დაენახა:

- არაყი მომეცი.

მუწუკებიანმა ბიჭმა შენელებული მოძრაობით მომაწოდა არაყი პატარა ბოთლით – ეტყობოდა, თვითონაც თბებოდა ხოლმე სამუშაოზე – და გულწრფელად გამაფრთხილა:

- არაყი დიდი არაფერია. საწამლავი არაა, რა თქმა უნდა, „დოროხოვისაა“, მაგრამ, მაინც...

- ჯანმრთელობას არაფერი შეედრება, - მოვუჭერი. არაყი ნამდვილი სუროგატი გამოდგა, მაგრამ ახლა ესეც მაკმაყოფილებდა. ერთი ხელით თავსახური მოვხსენი მასზე მოჭერილი მავთულის რგოლით, მეორეთი მობილური ამოვიღე და ზარი გავუშვი. გამყიდველს თვალები დაუმრგვალდა. გზადაგზა ერთი ყლუპი მოვსვი – არაყი ნავთის სუნად ყარდა, გემო კიდევ უფრო საძაგელი ჰქონდა, აშკარა ნაყალბევი იყო, ალბათ იქვე კუთხეში ასხამდნენ, - და გასასვლელისკენ გავიქეცი.

- გისმენთ.

ლარისა არ იყო. ღამე, როგორც წესი, პაველი მორიგეობს.

- ანტონი ვარ. სასტუმრო „კოსმოსი“, სადღაც ახლომახლო, ქუჩაბანდებში. მე ამას გავყვები.

- ბრიგადა? - პაველის ხმას დაინტერესება დაეტყო.

- ჰო. ამულეტი გავიხმარე უკვე.

- რა მოხდა?

ბომჟმა, რომელიც გადასასვლელის შუაგულში მოყუჩებულიყო, ხელი გამომიწოდა, ალბათ, იმედი ჰქონდა, გახსნილ ბოთლს ვარგუნებდი. ბომჟს ჩავურბინე.

- იქ სხვა... პაველ, ჩქარა, პაველ.

- ბიჭები გამოვიდნენ უკვე.

უცბად ვიგრძენი, როგორ გამიარა ყბებში გავარვარებულმა ნემსმა. შე, არამზადა...

- პაშა, ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ, - სწრაფად ვუთხარი და გავთიშე. და მოულოდნელად მილიციელებს შევეჩეხე.

სულ ასე ხდება ხოლმე!

რატომ ჩნდებიან ხოლმე ადამიანთა ყარაულები ყოველთვის ასე უდროოდ?

- სერჟანტი კამინსკი, - სწრაფად წარმოთქვა ახალგაზრდა მილიციონერმა. – თქვენი საბუთები...

საინტერესოა, რას შემტენიან? ალბათ, ლოთობას საზოგადოების თავშეყრის ადგილას.

ხელი ჯიბეში ჩავიყავი და ამულეტი მოვსინჯე. თითქმის გაციებულიყო. მაგრამ ახლა ესეც საკმარისია.

- მე აქ არა ვარ, - განვუმარტე.

ორი წყვილი თვალი, რომელიც მტაცებლური სიხარბით მათვალიერებდა, ჩაქრა, თითქოს გონების უკანასკნელმა ნაპერწკალმა დატოვა.

- თქვენ აქ არ ხართ, - ერთდროულად მიპასუხეს.

მათი დაპროგრამებისთვის დრო აღარ მრჩებოდა. და რაც პირველად მომივიდა თავში, ის მივახალე:

- არაყი იყიდეთ და დაისვენეთ. ახლავე. მოუსვით!

როგორც ჩანს, ჩემი წინადადება მოეწონათ. ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს პატარა ბავშვებივით და კიოსკებისკენ გაემართნენ გადასასვლელით. თავი უხერხულად ვიგრძენი, როცა ბრძანების შედეგები წარმოვიდგინე, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო ნამდვილად არ მქონდა.

გადასასვლელიდან გამოვარდი სრულიად დარწმუნებული, რომ დავაგვიანე. არა, უცნაურია, მაგრამ ბიჭი შორს არ წასულიყო. ას მეტრში იდგა გაშტერებული, ოდნავ ირხეოდა. აი, მესმის წინააღმდეგობა! ძახილი იმდენად ძლიერი იყო, რომ გაგიკვირდებოდათ, რატომ არ იწყებდნენ ცეკვას კანტიკუნტად მოძრავი გამვლელები, რატომ არ უხვევდნენ ტროლეიბუსები პროსპექტიდან და ქუჩაბანდებს არ აწყდებოდნენ ტკბილხმოვანი ბედის შესახვედრად...

ბიჭმა მოიხედა. თითქოს შემომხედა და სწრაფად გადაადგა ნაბიჯი წინ.

მორჩა, დანებდა.

ბიჭს დავედევნე, თან აფორიაქებული ვფიქრობდი, რა უნდა გამეკეთებინა. ბრიგადისთვის უნდა დამეცადა ალბათ – მაქსიმუმ ათ წუთში აქ იქნებოდნენ.

მაგრამ ბიჭთან მიმართებაში არ ვიქნებოდი მართალი.

სიბრალული მურტალი რამაა. დღეს ორჯერ ავყევი ამ გრძნობას. პირველად მეტროში, როცა ქარბორბალას გაფანტვის უნაყოფო მცდელობაში ამულეტი გავხარჯე და მეორედ ახლა, როცა ბიჭს გავეკიდე.

დიდი ხნის წინ ერთი ფრაზა მითხრეს, რომელსაც ვერაფრის დავეთანხმე. დღემდე არ მინდა, რომ ვაღიარო, თუმცა მერამდენეჯერ დავრწმუნდი მის სიმართლეში.

„საყოველთაო სიკეთე და კონკრეტული სიკეთე ერთად იშვიათად გვხვდება...“

მესმის, სრული სიმართლეა.

მაგრამ, ალბათ, არსებობს სიმართლე, რომელიც სიცრუეზე უარესია.

ძახილს გავყევი. მისი, რა თქმა უნდა, განსხვავებულად მესმოდა, ვიდრე ბიჭს. ბიჭისთვის ძახილს მიმზიდველი, მომაჯადოვებელი ძალა ქონდა, რომლის წინაშეც უძლური იყო. მე კი, პირიქით, სისხლს მიფორიაქებდა.

სისხლს მიწრიალებდა...

სხეული, რომელსაც ერთი კვირის განმავლობაში ვიგდებდი მასხარად, მოულოდნელად ამიბუნტდა. მწყუროდა - მაგრამ წყალი არ მინდოდა – თავისუფლად შემეძლო, წყურვილი ქალაქის ჭუჭყიანი თოვლით მომეკლა, არც სპირტიანი მინდოდა რამე – სამაგელი, მწკლარტე არყით სავსე ბოთლი ისევ თან მქონდა, და ისივ ვერაფერს დამაკლებდა.

სისხლი მწყუროდა.

და არც ღორის, არც ძროხის, არამედ ადამიანის სისხლი მწყუროდა.

წყეული ნადირობა...

„ეს ეტაპიც უნდა გაიარო, - მითხრა შეფმა. – ხუთი წელი ანალიტიკურ განყოფილებაში მეტისმეტი ხომ არაა?“

არ ვიცი, შეიძლება არის კიდევაც, მაგრამ მე მომწონს.

ბოლოსდაბოლოს თვითონ შეფიც უკვე ას წელზე მეტია ოპერატიული საქმიანობით აღარაა დაკავებული.

განათებულ ვიტრინებს ჩავურბინე, რომელიც ყალბი კერამიკული ნაწარმით გაეწყოთ და ბუტაფორიული საკვებით გამოევსოთ. პროსპექტზე მანქანები მიქროდნენ და იშვიათი გამვლელები კანტიკუნტად მოძრაობდნენ. ესეც ყალბი ილუზია იყო, სამყაროს ერთ-ერთი საზღვარი, ერთადერთი ხელმისაწვდომი საზღვარი ადამიანებისთვის.

კარგია, რომ ადამიანი არ ვარ.

ისე, რომ სირბილი არ შემინელებია, ბინდი გამოვიხმე.

სამყარომ სუნთქვა ამოუშვა და გაიშალა. ზურგიდან თითქოს აეროდრომის თვალისმომჭრელი პროჟექტორები აენთო და სიბნელეში გრძელი თხელი ჩრდილი გამოჭრა. ჩრდილი რკალად იხრებოდა, სხეულს იძენდა, თავისკენ მიზიდავდა – სივრცეში, სადაც საერთოდ არ არსებობს ჩრდილები. ჩრდილი ჭუჭყიან ასფალტს

სწყდებოდა, ზედაპირიდან იშლებოდა, კვამლის კორიანტელის მსგავსად, ზამბარასავით ბრუნავდა. ჩემს პირდაპირ მიქროდა...

სირბილს მოვუმატე, ნაცრისფერი სილუეტი გავარღვიე და ბინდს შევერიე. სამყაროს ფერები გაიცრიცა, მანქანებმა პროსპექტზე სვლა შეანელეს, თითქოს ბორბლები ჩაეფლოთ.

დანიშნულების ადგილს მივუახლოვდი.

ქუჩაბანდში ჩავეშვი, და დანაშაულის ადგილის ხილვისთვის მოვემზადე – ბიჭის გამოფიტული, სისხლისგან დაცლილი სხეული და გაქცეული ვამპირები.

მაგრამ დროზე მოვუსწარი.

ვამპირი მეგობარი გოგოს პირდაპირ იდგა, გოგოს უკვე ეშვებიც ჩამოეშვა, და ნელ-ნელა იხსნიდა შარფს. შიშს ახლა ნაკლებად გრძნობდა, ძახილი მთლიანად უხშობდა ცნობიერებას. ალბათ მოუთმენლად ელოდა ბასრი ელვარე კბილების შეხებას.

გვერდზე ვამპირი იდგა. მაშინვე მივხვდი, რომ ორიდან უფროსი ის იყო, სწორედ ვამპირმა მოუწოდა გოგოს მოქმედებისკენ, და მანვე დააყენა სისხლის კვალზე. და რაც ყველაზე ამაზრზენია, ბიჭს მოსკოვის სარეგისტრაციო ნიშანი ჰქონდა. საქონელი!

სამაგიეროდ, გამარჯვების შანსები მემატებოდა...

ვამპირები ჩემსკენ შემობრუნდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ დაბნეული ჩანდნენ, ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა. ბიჭი იმათ ბინდში იმყოფებოდა, მე არ შემეძლო მისი დანახვა, არც უნდა დამენახა... ისევე, როგორც ისინი არ უნდა დამენახა.

შემდეგ ვამპირს სახე დაუწყნარდა, გამიღიმა კიდეც – მეგობრულად, მშვიდად:

- გაუმარჯოს...

თავისიანში შევეშალე. ამაში ვერ გაამტყუნებდი – ამ წუთას მართლა იმისიანი ვიყავი. თითქმის. ერთკვირიანმა მომზადებამ ფუჭად არ ჩაიარა – უკვე ვგრძნობდი მათ და მეც თვითონაც კინაღამ შავ მხარეს გადავედი.

- ღამის გუშაგი ვარ, - მოვახსენე. და ამულეტიანი ხელი გავუწოდე – ამულეტი განმუხტულია, მაგრამ ამის შორი მანძილიდან მიხვედრა არც თუ ისე ადვილია. – გამოდი ბინდიდან!

ვამპირი ალბათ დამემორჩილებოდა კიდეც, იმ იმედით, რომ არაფერი მეცოდინებოდა სისხლიანი კვალის შესახებ, მან რომ ჩამოიტოვა და რომ საქმეს „ადამიანთან აკრძალული ურთიერთობის მცდელობის“ კლასიფიკაციას მიანიჭებდნენ. მაგრამ გოგოს, მისგან განსხვავებით, თავდაჭერილობა აკლდა და გონება ჰქონდა დაბინდული.

- ა-ა-ა-ა!!! – გაბმული ყმუილით გამოექანა ჩემსკენ. კიდევ კარგი, ბიჭს არ ჩაასო კბილები, - ახლა შეურაცხად მდგომარეობაში იყო, - როგორც ნარკომანი „ლომკაში“, რომელსაც ვენიდან ახლად გარჭობილი შპრიცი გამოაძრეს, როგორც ნიმფომანი, რომელსაც ორგაზმი არ აცალეს.

ნახტომი ადამიანისთვის მეტისმეტად ძლიერი გამოდგა, მის მოგერიებას ვერავინ შეძლებდა.

მაგრამ გოგოსთან რეალობის ერთი და იგივე შრეში ვიმყოფებოდი. ხელი ავიქნიე და გახსნილი ბოთლიდან პირდაპირ ტრანსფორმაციისგან დამახინჯებულ სახეში შევასხი არაყი.

რატომ ვერ იტანენ ვამპირები ასე ძალიან ალკოჰოლს?

მუქარით სავსე ყმუილი ყურისწამღებ კივილად იქცა. გოგო ადგილზე დატრიალდა და ხელებს თავში იცემდა, საიდანაც ფენა-ფენა სძვრებოდა კანი და მონაცისფრო ხორცი. ბიჭი კი მობრუნდა და გაქცევა დააპირა.

ყველაფერი ძალიან მარტივად აეწყო. რეგისტრირებული ვამპირი არ არის მოულოდნელად გამოჩენილი ბოროტი სტუმარი, ერთი ერთზე რომ უნდა შეებრძოლო. ბოთლი გოგოს მივახალე, ხელი გავიწვდინე და სარეგისტრაციო ნიშნის დაცარულ ძაფს ჩავავლე. ვამპირმა ხროტინი ატეხა და ყელზე წაივლო ხელი.

- გამოდი ბინდიდან! – დავუყვირე.

როგორც ჩანს, მიხვდა, რომ საქმე ცუდადაა. გამეტებით მეცა და ეცადა, მოჭერილი ძაფი მოეშვა. მოძრაობისას ეშვები ამოსდიოდა და სახე წარამარა ეცვლებოდა.

ამულეტი დატენილი რომ მქონოდა, უბრალოდ გავთიშავდი.

ახლა კი იძულებული გავხდი, მომეკლა.

ნიშანმა – ვამპირის გულზე ცისფრად მოელვარე ჭდე, - გაიტკაცუნა, როცა უსიტყვო ბრძანება გავეცი. ენერგიამ, რომელიც ჩემზე გაცილებით უფრო უნარიან არსებას ჩაექსოვა, თქრიალით გადმოხეთქა და მკვდარ სხეულში გადავიდა. ვამპირი ისევ მირბოდა – მის მაძღარ, ძლიერ სხეულს ჯერ კიდევ ასაზრდოებდა სხვისი სისხლი. მაგრამ ასეთი ძლიერი დარტყმისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო – კანი გამოშრა და პერგამენტივით გაფითრებულ ძვლებს გადაეკრა, თვალის უპეებიდან ლორწოვანმა სითხემ გამოჟონა. შემდეგ ხერხემალი გადატყდა და მოფართხალე ნარჩენები ჩემს ფეხებთან ჩამოიშალა.

მოვტრიალდი – გოგოს საკმარისი დრო ჰქონდა, გონს რომ მოგებოდა. მაგრამ საფრთხეს აღარ მიქმნიდა. დამფრთხალი უზარმაზარი ნახტომებით გადაეშვა ეზოს. ბინდიდან არც გამოვიდა – და ამ საოცარი სანახაობის მომსწრე მხოლოდ მე გავხდი. და კიდევ ძაღლები, რა თქმა უნდა. სადღაც კუთხეში ისტერიული ყეფა აეტეხა ქუჩის

ძაღლს, რომელიც ერთბაშად მიეჯაჭვა ზიზღითა და შიშით ყველა იმ გრძნობას, რომელსაც ძაღლები დასაბამიდან განიცდიან ცოცხალი ცხედრის მიმართ.

ვამპირის დევნის თავი ნამდვილად აღარ მქონდა. თავი წამოვწიე და და აურა დავიმახსოვრე – გამოფიტული, ნაცრისფერი, შმორიანი. ვიპოვით. ვერსად გაიქცევა.

ბიჭი სადღაა?

ვამპირების მიერ შექმნილი ბინდიდან გამოსვლის შემდეგ, ბიჭი ან გონებას დაკარგავდა, ან სტუპორის მგომარეობაში იქნებოდა. მაგრამ ქუჩაბანდში აღარ ჩანდა. გვერდით ვერაფრით ვერ ჩამირბენდა... ქუჩაბანდიდან ეზოში გავარდი და ბიჭს მოვკარი თვალი, რომელსაც ლამის გოგოსთვის გაესწრო, ისე სწრაფად მიქროდა. ყოჩაღ, ბიჭი! დახმარება ნამდვილად არ ჭირდება. ცუდია, რომ მომხდარი დაიმახსოვრა, მაგრამ პატარა ბიჭს ვინ დაუჯერებს? დილით კი გონებაში მომხდარის სურათი ფერებს დაკარგავს, წაიშლება და არარეალურ კოშმარად იქცევა.

თუ დავეწიო?

- ანტონ!

პროსპექტიდან იგორი და გარიკა მორბოდნენ, ჩვენი განუყრელი ოპერატიული დუეტი.

- ერთი გაიქცა! – დავუყვირე.

გარიკმა შეუჩერებლად კრა ფეხი ვამპირის გამხმარ ცხედარს და გაყინულ ჰაერში ბდღვირი აადინა. დაიძახა:

- ასლი!

გაქცეული გოგოს გამოსახულება გავუგზავნე, გარიკს სახე შეეჭმუხნა. სირბილს უმატა. ოპერატიულები სამიზნეს გაეკიდნენ, იგორმა მომაძახა:

- ნაგავს მიხედე!

თავი დავუკარი – თითქოს რამეში ჭირდებოდათ ჩემი პასუხი, და ბინდი დავტოვე. სამყარო ისევ გაცოცხლდა. ოპერატიულების სილუეტები წამში გაქრა, მათი უხილავი ფეხები რეალურ ადამიანურ სამყაროში არსებულ თოვლის ზედაპირს აღარ ეხებოდა.

ამოვიოხრე და გზისპირას გაჩერებული ნაცრისფერი „ვოლვოსკენ“ გავეშურე. უკანა დასაჯდომზე ინსტრუმენტების მარტივი ნაკრები მეგულებოდა – გამძლე ცელოფნის ტომარა, ნიჩაბი და ცოცხი. ხუთ წუთში ვამპირის თითქმის უწონო ნაწილები მოვხვეტე, ტომარაში ჩავყარე და საბარგულში მოვათავსე. დაუდევარი მეეზოვის მიერ დატოვებული თოვლყრილიდან ჭუჭყიანი თოვლი მოვაგროვე, ქუჩაბანდში მოვყარე, გავთელე და გახრწნილი ნაწილები თოვლ-ჭღაპს შევაზილე. არ გეღირსება ადამიანური დაკრძალვა, შენ ხომ ადამიანი არ ხარ...

მორჩა.

მანქანაში დავბრუნდი, საჭესთან დავჯექი და ქურთუკი გავიხსენი. ყველაფერი კარგად დამთავრდა, ძალიან კარგადაც. უფროსი ვამპირი მკვდარი იყო, მის მეგობარს გოგოს მალე დაიჭერენ, ბიჭი ცოცხალია.

წარმომიდგენია, შეფს როგორ გაუხარდება!

თავი 2

- ხალტურა!

რაღაცის თქმას ვაპირებდი, მაგრამ შემდეგმა გესლიანმა რეპლიკამ ხმა ჩამაწყვეტინა, თითქოს სილა გამაწნესო.

- მაიმუნობა!

- კი, მაგრამ...

- შენ თვითონ თუ ხვდები საკუთარ შეცდომებს?

შეფის შეტევა ოდნავ შესუსტდა, და დრო ვიხელთე და გავრისკე, თვალები გამესწორებინა. ფრთხილად მოვახსენე:

- კი, მემგონი...

როგორ მიყვარს ეს კაბინეტი. იმ საინტერესო ნივთებს რომ ვუყურებ, შეფს ბრონირებული შუშის სტელაჟებზე რომ შემოეწყო, კედლებზე დაეკიდა, ან მაგიდაზე მიმოეყარა დისკეტებთან და დოკუმენტებთან ერთად, გონებაში რაღაც ბავშვური გრძნობა იღვიძებს. თითოეული ნივთის მიღმა – უძველესი იაპონური მარაოთი დაწყებული და მეტალის ნაგლეჯით დამთავრებული, რომელზეც ირემი მიემაგრებინათ – ავტოქარხნის ემბლემა – რაღაცა ისტორია იმალებოდა. როცა შეფი კარგ გუნებაზე იყო, მისგან ბევრ საინტერესოს მოისმენდი.

მაგრამ საქმე ისაა, კარგ ხასიათზე იშვიათად შეასწრებდი.

- კარგი, - შეფმა ოთახში ბოლთის ცემა შეწყვიტა, ტყავის სავარძელში ჩაესვენა და სიგარეტს მოუკიდა. – მაშინ ჩამოყარე.

შეფმა საქმიანი ხმა მიიღო, რაც მის გარეგნობას ასე შეეფერებოდა. ერთი შეხედვით ორმოც წელს მისცემდით. საშუალო ბიზნესმენთა ვიწროს წრეს ეკუთვნოდა, რომელზედაც მთავრობას უყვარს ხოლმე იმედების დამყარება.

- რა ჩამოვყარო? – შევეპასუხე, და ამით მორიგი არასასიამოვნო შეფასებისთვის გავწირე თავი.

- შეცდომები. შენი შეცდომები.

მაშ შეცდომები... კარგი.

- ჩემი პირველი შეცდომა, ბატონო ბორის, - უმანკო სახით შევუდექი მათ ჩამოთვლას, - დავალების არასწორი გაგება იყო.

- მართლა? – დაინტერესდა შეფი.

- ჰო, მე ვიფიქრე, ჩემი მიზანი აქტიურ შეტევაზე გადასული ვამპირის კვალის მიგნება და ... მმ... მისი გაუვნებლება იყო.

- მერე... მერე? – შემაგულიანა შეფმა.

- სინამდვილეში კი დავალების ძირითად მიზანს ჩემი ოპერატიული სამუშაოსთვის, საველე მოქმედებისთვის მზადყოფნის შემოწმება წარმოადგენდა. დავალების არასწორი შეფასებიდან გამომდინარე, კერძოდ – „გაზიარებისა და დაცვის“ პრინციპიდან გამომდინარე ...

შეფმა ამოიოხრა და თავი დამიკრა. კარგად რომ არ მცნობოდა, ვიფიქრებდი, თავისი სიტყვების შერცხვა.

- რამენაირად დაარღვიე ეს პრინციპი?

- არა. და ამიტომ ჩავაგდე დავალება.

- როგორ ჩააგდე?

- თავიდან... – შუშის ქვეშ სტელაჟზე მოთავსებული თეთრი ბუს ფიტულს შევავლე თვალი. თავი გააქნია, თუ რა? – თავიდან შავი ქარბორბალას ნეიტრალიზაციის ფუჭი მცდელობის გამო ამულეტი გავხარჯე...

ბატონი ბორისი შეიჭმუხნა. თმაზე გადაისვა ხელი.

- კარგი, მაქედან დავიწყოთ. გამოსახულება შევისწავლე – თუ არ შეალამაზე.

აღშფოთებულმა გადავიქნიე თავი.

- მჯერა. ახლა მისმინე, ასეთი ქარბორბალას ამულეტით მოხსნა შეუძლებელია. კლასიფიკაცია თუ გახსოვს?

ჯანდაბა! გადამეხედა ძველი კონსპექტებისთვის ნეტა!

- დარწმუნებული ვარ, აღარ გახსოვს. მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა. ეს ქარბორბალა არც ერთ კლასიფიკაიას არ მიესადაგება. ვერაფრით მოერეოდი... – შეფი მაგიდას დაეყრდნო, ჩემსკენ გადმოიხარა და იდუმალი ხმით მიჩურჩულა: - და იცი, რა...

ყურადღებით ვუსმენდი.

- ვერც მე ვერ მოვახერხებდი, ანტონ.

აღიარება იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ვერაფერი ვუპასუხე. დაწესებულების ყველა თანამშრომელი დარწმუნებული იყო, რომ შეფს ყველაფერი ხელეწიფებოდა, თუმცა ხმამაღლა ამას არავინ ამბობდა.

- ანტონ, ასეთი სიძლიერის ქარბორბალას მოხსნა მხოლოდ მის ავტორს შეუძლია.

- უნდა ვიპოვოთ... – გაუბედავად წარმოვთქვი. – ცოდოა გოგო...

- მარტო მაგაში არაა საქმე, რომ გოგო გეცოდება.

- რატომ? – წამოვაყრანტალე და სასწრაფოდ გამოვასწორე: - შავი მაგი უნდა შევაჩეროთ?

შეფმა ამიოხრა.

- ალბათ ლიცენზია აქვს. შეიძლება აქვს კიდევაც წყევლის დადების უფლება... მაგრამ მარტო წყევლის ავტორშიც არაა საქმე. ასეთი ძალის ქარბორბალა... გახსოვს, ზამთარში თვითმფრინავი რომ ჩამოვარდა?

გამაჟრიალა. ჩვენი ბრალი არ ყოფილა, და მეტწილად, კანონში არსებულმა ხარვეზებმა გამოიწვია – პილოტმა, რომელსაც წყევლა დაადეს, თვითმფრინავის მართვა ვეღარ შეძლო, ლაინერი ქალაქის შუაგულში ჩამოვარდა დასახლებულ ადგილას და ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

- ასეთი ქარბორბალები ამორჩევით არ მოქმედებენ. გოგო განწირულია, მაგრამ მისი განწირულობა იმით კი არ დამთავრდება, რომ აგური დაეცემა, უფრო შენობა აფეთქდება, ეპიდემია დაიწყება, მოსკოვის თავზე შემთხვევით ჩამოაგდებენ ატომურ ბომბს. აი, ყველაზე დიდი პრობლემა რა არის, ანტონ.

შეფი შემობრუნდა და ბუს მწველი მზერა შეავლო. ბუმ სწრაფად შეკეცა ფრთები, უსიცოცხლო თვალებში ელვარება ჩაქრა.

- ბატონო ბორის... – განგაშით სავსე ხმით მოვახსენე. – ჩემი ბრალია...

- გასაგებია, რომ შენი ბრალია. ერთი რამ გამართლებს მხოლოდ, ანტონ, - შეფმა ჩაახველა. – სიბრალულს რომ მიენდე, სწორადაც მოიქეცი. ამულეტი ქარბორბალას მთლიანად ვერ უკუაგდებდა, მაგრამ დროებით კი შეაჩერებდა ჯოჯოხეთის შემოტევას. ოცდაოთხი საათია ჩვენს განკარგულებაში... – შეიძლება ცოტა მეტიც.

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ უნებლიეთ, დაუფიქრებლად ჩადენილ, თუმცა კეთილ საქმეს უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე შეგნებულ სისასტიკეს. ამულეტი რომ არ გამოგეყენებინა, ნახევარი მოსკოვი ნანგრევებში იქნებოდა ამ დროისთვის.

- რა ვქნათ?

- გოგო უნდა ვიპოვნოთ. დავიცვათ... შეძლებისდაგვარად. ერთიორჯერ კიდევ რომ შეგვეკავებინა გრიგალის შემოტევა, ამასობაში წყევლის დამდებსაც ვიპოვნიდით და ვაიძულებდით, ქარორბალა მოეხსნა.

თავი დავუქნიე.

- ძებნაში ყველა ჩაერთვება, - თქვა შეფმა. – ბიჭები შვებულებიდან გამოვიძახე, დილისთვის ცეილონიდან ილია და სიმონი დაბრუნდებიან, შუადღისთვის – დანარჩენები. ევროპაში ცუდი ამინდია, კოლეგებს მივმართე ევროპულ ბიუროში დახმარებისთვის, ჯერჯერობით ღრუბლებს გაფანტავენ...

- დილისთვის? – საათს დავხედე. – ოცდაოთხი საათი დარჩა.

- არა, ამ დილას ვგულისხმობ, - მიპასუხა შეფმა, ისე რომ შუადღის მზისთვის ყურადღება არ მიუქცევია. – შენც მოძებნი. შეიძლება ისევ გაგიმართლოს... გავაგრძელოთ შენი შეცდომების განხილვა?

- ღირს კი დროის კარგვა? – მორიდებულად ვიკითხე.

- ნუ გეშინია, არ დავკარგავთ, - შეფი წამოდგა, სტელაჟთან მივიდა, ბუს ფიტული გადმოიღო და მაგიდაზე დასვა. ახლოდან რომ შევხედე, დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ფიტული იყო, სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა... – გადავედით თავად ვამპირებზე და მათ მსხვერპლზე.

- გოგო დამისხლტდა. და ბიჭებიც ვერ დაეწივნენ, - სინანულით დავეთანხმე.

- აქ არანაირი პრეტენზიები არ მაქვს. ისედაც ღირსეულად იბრძოდი. საქმე მსხვერპლს ეხება...

- ჰო, ბიჭი საღ გონებაზე იყო და ისე მოკურცხლა...

- ანტონ! გამოფხიზლდი! ბიჭი ძახილით გამოიჭირეს რამდენიმე კილომეტრის მანძილიდან! ქუჩაბანდში ალბათ უსუსური მარიონეტივით შელასლასდა! და როცა ბინდი გაქრა, გონება უნდა დაეკარგა! ანტონ, და თუ მომხდარის შემდეგ საღი აზრი შეინარჩუნა, ესე იგი, გასაოცარი მაგიური შესაძლებლობებითაა დაჯილდოებული!

შეფი გაჩუმდა.

- იდიოტი ვარ...

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

- არა. მაგრამ ლაბორატორიაში ცოტა ზედმეტი მოგივიდა ყურყუტი. ანტონ, ეს ბიჭი, პოტენციურად, ჩემზე ძლიერია!

- არ მჯერა...

- მოდი, პირფერობის გარეშე.

მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. ეტყობა, სასწრაფო საქმეა. შეფის პირდაპირი ნომერი ბევრმა არც იცის. მე, მაგალითად, არ ვიცი.

- ჩუმად! – უბრძანა შეფმა უდანაშაულო აპარატს, და ისიც ჩაცხრა. – ანტონ, ბიჭი უნდა ვიპოვნოთ. გაქცეული გოგო, თავისთავად, საფრთხეს არ წარმოადგენს, ან ბიჭები დაიჭერენ, ან ჩვეულებრივი პატრული დააკავებს. მაგრამ თუ სისხლს გამოსწოვს, ან, უარეს შემთხვევაში, ბნელ სამყაროს აზიარებს... შენ არ შეხვედრიხარ სრულფასოვან ვამპირებს. თანამედროვე ვამპირები ვერც შეედრებიან ნოსფერატისნაირ ვამპირს, მისი ფრჩხილის ფასადაც არა ღირან. ის კი მართლა საუკეთესო იყო, ჰქონდა კიდევაც მიზეზი ქედმაღლობისთვის... ასე რომ, ბიჭი უნდა ვიპოვნოთ, გამოვიკვლიოთ და გუშაგად მივიღოთ. შავ მხარეს არ უნდა გავუშვათ, თორემ ბალანსი საბოლოოდ დაირღვევა მოსკოვში.

- ეს, რა, ბრძანებაა?

- ლიცენზია, - პირქუშად მიპასუხა შეფმა. – უფლება მაქვს, მსგავსი ბრძანებები გავცე, როგორც მოგეხსენება.

- ვიცი, - ჩუმად მივუგე. – საიდან დავიწყოთ? ვისგან, უფრო სწორედ...

- ვისგანაც გინდა. ალბათ, უფრო დაწყევლილი გოგოსგან, მაგრამ ბიჭიც რომ ეძებო, ცუდი არ იქნება.

- წავედი...

- წადი, წაუძინე ცოტა.

- მშვენივრად გამოვიძინე, ბატონო ბორის...

- რაღაც ეჭვი მეპარება. ჩემი რჩევაა, ერთი ორი საათი დაუმატო.

ვერაფერი გავიგე. დღეს თერთმეტზე ავდექი თუ არა, ეგრევე ოფისში გავეშურე, გამოძინებულმა და ენერგიით სავსემ.

- ეს შენი დამხმარე იქნება, - შეფმა ბუს ფიტულს თითები დაუკაკუნა. ფრინველმა ფრთები გაშალა და გულისწყრომით სავსე ხმით დაიწივლა.

ნერწყვი გადავყლაპე და დიდი სიფრთხილით დავსვი კითხვა:

- ვინ არის ეს? უფრო სწორედ, რა არის?

- რად გინდა, რომ, იცოდე? – მიპასუხა შეფმა, თან ბუს თვალებს აკვირდებოდა.

- რომ გადავწყვიტო, მიღირს თუ არა მასთან მუშაობა!

ბუმ შემომხედა და გაავებული კატასავით შემომხავლა.

- არასწორი კითხვა დასვი, - შეფმა თავი გადაიქნია. – საქმე ისაა, უღირს თუ არა ამას შენთან მუშაობა.

ბუმ ისევ დაიწივლა.

- დიახ, - ახლა მე კი არა, უკვე ფრინველს მიმართავდა. – შენ თითქმის ყველაფერში მართალი ხარ. მაგრამ ვიღაცა ახალ აპელაციას ითხოვდა?

ფრინველი გაირინდა.

- პირობას ვიძლევი, გიშუამდგომლებ. ამჯერად შანსი არის.

- ბატონო ბორის, ჩემი აზრი... – დავიწყე.

- მაპატიე, მაგრამ არ მაღელვებს... – შეფმა ხელი გაიწვდინა, ბუმ თავისი ფუმფულა ტლანქი ფეხები გადაადგა და შეფის ხელზე გადაინაცვლა. – ვერ ხვდები, როგორ გაგიმართლა.

გავჩუმდე. შეფი ფანჯარასთან მივიდა, გახსნა და ხელი გაიწვდინა. ბუმ ფრთები შემოკრა და ადგილს მოსწყდა. ფიტული, ვერაფერს იტყვი!

- სად გაფრინდა?

- შენთან. ერთად უნდა იმუშაოთ... – შეფმა ცხვირი მოიქავა. ჰო, მართლა, ოლგა ქვია, დაიმახსოვრე.

- ბუს?

- დიახ, ბუს. თუ აჭმევ, მოუვლი, ყველაფერი კარგად იქნება. ახლა კი, წადი, წაუძინე ცოტა, დაისვენე. შეგიძლია, ოფისში არ შემოიარო, ოლგას დაელოდე და საქმეს შეუდექი. წრიული ხაზი შეამოწმო, მაგალითად...

- როგორ, კიდევ დავიძინო... – დავიწყე. მაგრამ იქაურობა უკვე ფერებს კარგავდა, იცრიცებოდა, დნებოდა. ბალიშის კუთხეს ხარბად ჩაფრენოდა ლოყა.

საკუთარ ლოგინში ვიწექი.

თავი მასკდებოდა, თვალებში ქვიშა მედგა, ყელი მიშრებოდა და მეწვოდა.

- ა...- ამოვიკვნესე და გვერდზე გადავბრუნდი. მუქი ფარდების გამო, ვერ გამეგო, ბნელოდა, თუ ნათელი იყო. საათს შევხედე – განათებული ციფრები რვას აჩვენებდა.

პირველად მხვდა წილად, შეფი სიზმრად მომვლინებოდა.

არასასიამოვნო განცდაა, პირველ რიგში შეფისთვის, რომელსაც ჩემს ცნობიერებაში შეღწევა მოუხდა.

როგორც ჩანს, დროში იწვება, რადგან სიზმრის სამყაროში ჩათვალა საჭირო ჩემთვის ინსტრუქტაჟი ჩაეტარებინა. ვა, რა რეალობაა! არ მოველოდი. დავალების გარჩევა, სულელური ბუ...

შევკრთი – ფანჯარაზე გარედან რაღაცამ დააბრახუნა. ხშირი ხმა იყო, თითქოს ვიღაცამ კლანჭები ჩამოუსვაო შუშას. და გარედან დახშული კივილის ხმა შემომესმა.

საინტერესოა, სხვას რას მოველოდი?

წამოვვარდი, დაბნეულმა საცვალი გავისწორე და ფანჯარასთან მივირბინე. საზიზღრობა, სანადიროდ გასვლამდე რომ ვყლაპავდი, ჯერ კიდევ მოქმედებდა და საგნების კონტურებს საკმაოდ მკაფიოდ ვხედავდი.

ფარდები გავწიე და ჟალუზები გავხსენი.

ბუ რაფაზე იჯდა. თვალებს ჭუტავდა – უკვე ირიჟრაჟა, და ბუსთვის ხომ დიდი ხანია გათენებულიყო. ქუჩიდან ძნელად თუ გაარჩევდი, რა ჩიტი შემოსკუპულიყო მეათე სართულის ფანჯრის რაფაზე. აი, მეზობლებს რომ გამოხედათ, ფრიად გაკვირვებულები დარჩებოდნენ. თეთრი ბუ შუაგულ მოსკოვში!

- ეს რა... – ჩუმად ვთქვი.

მინდოდა, უფრო ხატოვნად გამომეთქვა აზრი, მაგრამ ამ ჩვევისგან გუშაგად დაწყების დასაწყისშივე გადამაჩვიეს. უფრო სწორედ, მე თვითონ გადავეჩვიე. როცა შენი თვალით ნახავ შენს მიერვე დაწყევლილი ადამიანი თავზე მოფარფატე სმერჩს, ძალაუნებურად, ენას კბილს დააჭერ.

ბუ მიყურებდა. ელოდა.

გარშემო ჩიტები ირეოდნენ. ბეღურების გუნდი შორიახლოს ხეზე შემომსხდარიყო და გამალებული ჭიკჭიკი აეტეხა. ყვავები უფრო თამამად იქცეოდნენ, მეზობელ აივანზე დაყურსულიყვნენ და გაუჩერებლად ყრანტალებდნენ, დროდადრო ტოტებიდან ჩამოფრინდებოდნენ და ფანჯარას წრეს დაარტყამდნენ. ინსტინქტურად გრძნობდნენ, რომ მოულოდნელი მეზობლის გამოჩენა კარგს არაფერს უქადდათ.

მაგრამ ბუ საერთოდ არ რეაგირებდა. როგორ არ ადარდებდა არც ბეღურები და არც ყვავები.

- ვინ ხარ? – ჩავიბურტყუნე და გამეტებით გამოგლიჯე რაფის მიწებებული მხარეები ერთმანეთს. მაინც დამაახლოვა შეფმა მეწყვილეს...

ფრთების ერთი მოსმით ბუ სახლში შემოფრინდა, შიფონერზე შემოჯდა და თვალები მოჭუტა. თითქოს საკუთარ სახლში მოხვდა. გზაში ხომ არ გაიყინა? არა, რა გაყინავდა პოლარულ ბუს?

ფანჯარა დავხურე, თან ჩემს შემდეგ ნაბიჯზე ვფიქრობდი. როგორ უნდა მომევლო მისთვის, რა მეჭმია. ერთი ეს გამაგებინა, როგორ დამეხმარება, რამე რომ იყოს, ეს ბუმბულიანი არსება?

- ოლგა გქვია, არა? – ვკითხე, ფანჯარა რომ დავხურე. ჭუჭრუტანებიდან მაინც უბერავდა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. – ეი, ჩიტო!

ბუმ ცალი თვალი ნახევრად გაახილა. მე იმდენივე ყურადღებას მაქცევდა, რამდენსაც ბეღურებსა და ყვავებს.

სულ უფრო მემატებოდა უხერხულობის შეგრძნება. ჯერ ერთი, მეწყვილე, რომელთანაც ურთიერთობა ვერ ავაწყვე, და მეორეც, ჩემი მეწყვილე ხომ ქალია!

მერე რა, რომ ბუა.

შარვალი ხომ არ ჩავიცვა? ვდგავარ დაჭმუჭნულ საცვალში, გაუპარსავი, ნახევრად მძინარე... თავი მაგარი იდიოტი მგონია. ტანსაცმელს წამოვავლე ხელი და ოთახიდან გავვარდი. ფრაზა, რომელიც გასვლამდე ვესროლე ბუს: „უკაცრავად, ერთი წუთით“, ზუსტად შეესაბამებოდა ჩემს იდიოტურ მდგომარეობას.

თუ ეს ის ფრინველია, მე რომ მგონია, მაშინ წარმომიდგენია, რა შთაბეჭდილება დარჩება.

ყველაზე მეტად შხაპის მიღება მინდოდა, მაგრამ ამდენ დროს ვერ დავხარჯავდი. მხოლოდ წვერი გავიპარსე და თავი ცივი წყლის ონკანს მივუშვირე. თაროზე, შამპუნებისა და დეზადორების გვერდზე, ოდეკოლონიც აღმოჩნდა, რომელსაც არ ვხმარობ ხოლმე.

- ოლგა? - კორიდორში გავიხედე და ბუს დავუძახე.

ბუ სამზარეულოში იჯდა, მაცივრის თავზე. გარინდებულიყო, და ისევ იმ ფიტულს დაემსგავსა, შეფს სტელაჟში რომ მიეჩინა ადგილი.

- ცოცხალი ხარ? – ვკითხე.

პირქუშად შემომანათა ქარვისფერი თვალები.

- კარგი, - ხელები გავიქნიე. – მოდი, თავიდან დავიწყოთ. მესმის, რომ გადასარევი შთაბეჭდილება არ მოვახდინე. ვაღიარებ, სულ ასე მემართება.

ბუ ყურადღებით მისმენდა.

- არ ვიცი, ვინ ხარ, - ტაბურეტი გადმოვიღე და მაცივრის გვერდით მოვკალათდი. – ამას ვერც მეტყვი. მე ანტონი მქვია. ხუთი წლის წინ აღმოჩნდა, რომ სხვანაირი ვიყავი.

ბუმ შეკავებული სიცილის მსგავსი ხმა გამოსცა.

- ჰო, - დავეთანხმე. სულ რაღაც ხუთი წლის წინ. ძალიან დიდი ბარიერი მყოფდა ბინდის სამყაროსგან, არ მინდოდა მისი დანახვა. და ვერც ვხედავდი, სანამ თავად შეფი არ გადამეყარა.

ბუს დაინტერესება შევატყვე.

- პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებდა. ოპერატიულებს ინსტრუქციას უტარებდა ფარული სხვანაირების გამოვლენაში. და მე გადამაწყდა... – ჩამეცინა გახსენებაზე. ჩემი ბარიერი გაარღვია, რა თქმა უნდა. შემდეგ ყველაფერი მარტივად მოხდა... საადაპტაციო კურსი გავიარე და ანალიტიკურ განყოფილებაში დავიწყე მუშაობა. გავხდი სხვა, მაგრამ თითქოს ვერც ვამჩნევდი ცვლილებას. შეფს არ მოსწონდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. რაც მთავარია, კარგად ვმუშაობდი... სხვა საქმეებში ჩარევის უფლება კი არ ჰქონდა. ერთი კვირის წინ მოსკოვში მანიაკი ვამპირი გამოჩნდა და მისი გაუვნებლება მე დამავალეს. თითქოს იმ მიზეზით, რომ ყველა ოპერატიული გუშაგი დაკავებული იყო, სინამდვილეში კი ჩემი გამოცდა უნდოდათ. შეიძლება სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში კიდევ სამი ადამიანი დაიღუპა. პროფესიონალი ამ წყვილს ერთ დღე-ღამეში აიყვანდა.

ძალიან მაინტერესებდა, ოლგა რას ფიქრობდა. მაგრამ ბუ ხმას არ იღებდა.

- მაგრამ რა არის უფრო მნიშვნელოვანი ბალანსის შესანარჩუნებლად? ჩემი ოპერატიული კვალიფიკაციის ამაღლება, თუ სამი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე?

ბუ დუმდა.

- ჩვეულებრივი ხერხებით ვამპირებს ვერ ვგრძნობდი, - გავაგრძელე. – და რეზონანსის დამყარება გახდა საჭირო. ადამიანის სისხლი არ დავლიე და ღორის სისხლზე შევჩერდით. და ეს პრეპარატები კიდევ... შენც კარგად იცი, რაზეც ვამბობ...

რადგან პრეპარატებზე ჩამოვაგდე ლაპარაკი, ავდექი, პატარა კარადა გამოვაღე ქურის თავზე და შუშის ქილა გადმოვიღე, რომელსაც მჭიდროდ ჰქონდა საცობი დაცობილი. ძირზე სულ ცოტა დაკორკოშებული მოყავისფრო ფხვნილი შემორჩენილიყო, სამეურნეო ნაწილში მის ჩაბარებას აზრი არ ჰქონდა. ფხვნილი ხელსაბანში ჩავყარე და ჩავრეცხე – სამზარეულოში საამური, მათრობელა არომატი დადგა. ქილას წყალი გამოვავლე და სანაგვეში გადავუძახე.

- კინაღამ ავიწყვიტე, - ვაღიარე. – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გუშინ ნადირობიდან რომ ვბრუნდებოდი, სადარბაზოში მეზობელი გოგო შემხვდა.

მისალმებაც ვერ გავბედე – მაშინვე ეშვებმა გამოაჭრა. ამ ღამესაც, როცა ბიჭზე მიმართული ძახილი ვიგრძენი... ცოტა დამაკლდა, ვამპირების ნადიმი რომ არ გამეზიარებინა.

ბუ თვალს არ მაშორებდა.

- როგორ ფიქრობ, შეფმა მაგიტომ ხომ არ დამნიშნა?

ფიტული. ბამბით გამოტენილი ბუმბულის გორგალი.

- მათი თვალებით რომ შემეხედა?

შემოსასვლელში ზარი გაისმა. ამოიოხრე და ხელები გადავიქნიე – რა გაეწყობა, თავისი ბრალია, ასეთ მოსაწყენ ფრინველს ნებისმიერი თანამოსაუბრე ჯობია. გზად შუქი ავანთე, კართან მივედი და გავაღე.

კართან ვამპირი იდგა.

- შემოდი, - მივმართე. – შემოდი, კოსტია.

ბიჭი ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს მაინც შემოვიდა. თავზე გადაისვა ხელი. შევნიშნე, რომ ხელები ოფლიანი ჰქონდა და თვალებს აცეცებდა.

კოსტია მხოლოდ ჩვიდმეტი წლისაა. დაბადებიდან ვამპირია, ჩვეულებრივი, ნორმალური ქალაქელი ვამპირი. ძალიან არასასიამოვნო სიტუაციაა – მშობლები ვამპირები ჰყავს, შვილს ამ შემთხვევაში თითქმის არანაირი შანსი არა აქვს, ადამიანად გაიზარდოს.

- დისკები მოვიტანე, - ჩაიბურტყუნა კოსტიამ. – აი, გამომართვი.

დისკები გამოვართვი, არც გამკვირვებია, რომ ამდენი დაეგროვებინა. როგორც წესი, რამდენიმე კვირა ვეხვეწები ხოლმე, დისკები დამიბრუნოს – ძალიან დაბნეულია.

- ყველაფერს მოუსმინე? – ვკითხე. – გადაწერე?

- აჰა... წავედი...

- მოიცა, - მხარზე მოვკიდე ხელი და ოთახში შემოვათრიე. – რა მოხდა?

ბიჭი ხმას არ იღებდა.

- ყველაფერი იცი? – ვკითხე.

- ძალიან ცოტანი დავრჩით, ანტონ, - კოსტიამ თვალებში შემომხედა. – როცა ჩვენგან ვიღაც მიდის, მაშინვე ვგრძნობთ.

- კარგი, დამშვიდდი, წავედით სამზარეულოში. დავილაპარაკოთ.

კოსტია მორჩილად გამომყვა. მე კიდევ თავს ვიმტვრევდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ხუთი წლის წინ, როცა სხვანაირი გავხდი, სამყარომ თავისი ბინდისფერი მხარე გამიხსნა. უამრავი გასაოცარი აღმოჩენა მელოდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩემს პირდაპირ ვამპირების ოჯახი ცხოვრობდა, ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი აღმოჩნდა.

გუშინდელი დღესავით მახსოვს. მეცადინეობიდან ვბრუნდებოდი. სწავლება თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ცოტა ხნის წინ დამთავრებულ ინსტიტუტისგან. სამი წყვილი, ლექტორი, ხვითქი, ისეთი, რომ თეთრი ხალათები ტანზე გვეკრობოდა – სამედიცინო ინსტიტუტისგან იჯარით გვქონდა აღებული აუდიტორია. სახლში მივდიოდი და გზაზე ჩემთვის ვერთობოდი, ხან ბინდში გადავდიოდი – მცირე ხნით, ჯერ უნარ-ჩვევები არ მყოფნიდა, ხან გამვლელების ზონდირებას ვიწყებდი. და უცბად სადარბაზოსთან მეზობლებს შევეჩეხე.

ძალიან სასიამოვნო ხალხია. ერთხელ ბურღი ვთხოვე და კოსტიას მამა, გენადი, სპეციალობით მშენებელი, შემომყვა სახლში და ხუმრობა-ხუმრობაში დამეხმარა, თორემ ბეტონის კედლებს მარტო ვერაფერს მოვუხერხებდი, რითაც აშკარად დამანახა, რომ ინტელიგენტი პროლეტარიატის გარეშე შორს ვერ წავა...

და მოულოდნელად დავინახე, რომ ადამიანები სულაც არ იყვნენ.

საშინლად შემეშინდა. მონაცრისფრო-მოყავისფრო, მძიმე აურა დასტრიალებდათ... გავშეშდი მოულოდნელობისგან და დამფრთხალი თვალებით მივშტერებოდი. პოლინას, კოლიას დედას, სახე ოდნავ შეეშალა, ბიჭი გაირინდა და გვერდზე მიბრუნდა. ხოლო ოჯახის უფროსი მომიახლოვდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ბინდში გადადიოდა – იმ გრაციოზული სვლით, რომელიც მხოლოდ ვამპირებს, ერთდროულად ცოცხლებსა და მკვდრებს, ახასიათებთ. მათთვის ბინდი – არსებობის ჩვეულებრივი გარემოა.

- გამარჯობა, ანტონ, - მომმართა.

სამყარომ ნათელი ფერები დაკარგა და უსიცოცხლო ნაცრისფერ სივრცედ იქცა. თვითონაც ვერ გავაცნობიერე, ისე აღმოვჩნდი მასთან ერთად ბინდში.

- ასეც ვიცოდი, რომ ბარიერის გადალახვას შეძლებდი, - მითხრა. ყველაფერი რიგზეა.

ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე - და გენადის სახის ნაკვთები შეუკრთა.

- ნუ გეშინია, - დამამშვიდა. პერანგი გაიხსნა და სარეგისტრაციო ნიშანი დამანახა – მოცისფრო ტვიფრი ნაცრისფერ კანზე. – ჩვენ დარეგისტრირებული ვართ. პოლინა! კოსტია!

ცოლიც გადმოვიდა ბინდში და ბლუზი შეიხსნა. ბიჭი ადგილიდან არ იძვროდა და სანამ მამამისმა მრისხანე სახით არ შეხედა, ბეჭედის გამოჩენაზე უარს ამბობდა.

- უნდა შევამოწმო, - წავიჩურჩულე. ჩემი ხელის მოძრაობა მოუქნელი და დაუხელოვნებელი იყო, ერთი-ოჯერ შემეშალა და ყველაფერი თავიდან დავიწყე. გენადი მოთმინებით მელოდებოდა. როგორც იქნა, ნიშანი გამომეხმაურა. მუდმივი რეგისტრაცია, რეჟიმის დარღვევები არ აღინიშნება...

- ყველაფერი წესრიგშია? – მკითხა გენადიმ. შეგვიძლია, წავიდეთ?

- მე...

- არაფერია. ვიცოდით, რომ ერთ დღეს სხვა გახდებოდი.

- წადით, - მივუგე. წესდების თანახმად, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ ახლა წესებისთვის არ მცხელოდა.

- ჰო... - ბინდიდან გამოსვლამდე, გენადი წუთით შეყოვნდა. – შენს სახლში ვიყავი... ანტონ, შეგიძლია შენც შემოიარო...

ყველაფერი რიგზე იყო.

წავიდნენ, მე კიდევ სკამზე ჩამოვჯექი ღუმელს მიფიცხებული ბებოს გვერდით. სიგარეტს მოვუკიდე, ვცდილობდი, ფიქრებში გავრკვეულიყავი. ბებომ შემომხედა და წარმოთქვა:

- კარგი ხალხია, არა, არკაშა?

ჩემი სახელი სულ ერეოდა. ორიოდე თვის სიცოცხლე დარჩენოდა, ახლა უკვე ეჭვი არ მეპარებოდა.

- რა უჭირთ, - ვუპასუხე. სამი ღერი მოვწიე და სახლში გავლასლასდი. შესასვლელთან შევჩერდი და დავაკვირდი, როგორ ქრებოდა „ვამპირს ბილიკის“ ნაცრისფერი ნაკვალევი შემოსასვლელთან. ზუსტად დღეს მასწავლეს მისი გარჩევა...

საღამომდე ვიტანჯებოდი. კონსპექტებს ვფურცლავდი, რისთვისაც ბინდში გადასვლა მიხდებოდა. ჩვეულებრივი სამყაროსთვის ეს საერთო რვეულები არაფერს ამბობდა. მინდოდა, ჯგუფის კურატორისთვის ან თავად შეფისთვის დამერეკა – მის პირად პასუხისმგებლობაში ვიყავი. მაგრამ ვგრძნობდი, რომ გადაწყვეტილება თვითონ უნდა მიმეღო.

როცა კარგად დაბნელდა, ვეღარ მოვითმინე. ერთი სართულით ზევით ავედი და ზარი დავრეკე. კარი კოსტიამ გააღო და შეკრთა ჩემს დანახვაზე. რეალობაში კოსტია სავსებით ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ისევე, როგორც მთელი მისი ოჯახი.

- უფროსებს დაუძახე, - ვთხოვე.

- რატომ? – ჩაიბურტყუნა.

- ჩაიზე მინდა, დაგპატიჟოთ.

გენადი შვილის ზურგს უკან გაჩნდა, არსაიდან. ვამპირი ჩემზე, სინათლის ახალ გამომცხვარ აგენტზე, გაცილებით უფრო მოხერხებული იყო.

- დარწმუნებული ხარ, ანტონ? – ეჭვის ტონით იკითხა. – საჭირო ნამდვილად არა რის. ყველაფერი რიგზეა.

- დარწმუნებული ვარ.

გენადი გაჩუმდა და მხრები აიჩეჩა:

- ხვალ შემოვივლით. თუ დაგვპატიჟებ. ნუ ბრაზობ.

შუაღამისთვის საშინლად მიხაროდა, რომ უარი მითხრეს. სამი საათისთვის ვეცადე, დამეძინა. დავმშვიდდი, როცა დავრწმუნდი, რომ ჩემს სახლში ვერ შემოვიდოდნენ.

დილისთვის, თვალიც არ მომეხუჭა ღამე, ფანჯარასთან ვიდექი და ქალაქს ვაკვირდებოდი. ვამპირები ცოტანი იყვნენ, ძალიან ცოტანი. ორი საი კილომეტრის რადიუსში მეტი არც ერთი არ ჩანდა.

როგორია – უარყოფილი იყო? როგორია, გსჯიდნენ არა დანაშაულისთვის, არამედ მისი ჩადენის პოტენციური შესაძლებლობისთვის? როგორ უნდა იცხოვრონ... ნუ, ცხოვრება ცოტა სხვა სიტყვაა... – მათი ზედამხედველის მეზობლად?

მეცადინეობიდან რომ ვბრუნდებოდი, ნამცხვარი ვიყიდე ჩაიზე.

და ახლა კოსტია, ჭკვიანი ბიჭი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზ-ფაკულტეტის სტუდენტი, რომელსაც წილად ხვდა უბედურება ცოცხალ მიცვალებულად დაბადებულიყო, ჩემს გვერდით იჯდა და კოვზით შაქარს ჩიჩქნიდა საშაქრეში, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ჩაეყარა, თუ არა. რატოა ასეთი მორიდებული?

თავიდან თითქმის ყოველ დღე შემოირბენდა ხოლმე. მე მისი საწინააღმდეგო მხარე ვიყავი, თეთრ მხარეს ვიჭერდი. მაგრამ ეს ხელს არ მიშლიდა, სახლში შემომეშვა. ჩემთან ნებისმიერ რამეზე შეეძლო ელაპარაკა, შეეძლო ბინდში ჩაძირულიყო და ახალი შესაძლებლობებით მოეწონებინა თავი. „ანტონ, მე ტრანსფორმირება შემიძლია!“ „ეშვები მეზრდება, რ-რ-რ-!“

და რაც ყველაზე უცნაურია, ეს ურთიერთობა ნორმალურად მეჩვენებოდა. ვხარხარებდი პატარა ვამპირის შემხედვარე, რომელიც ღამურად ცდილობდა გადაქცევას – ეს უმაღლესი ვამპირის საქმეა, კოსტია კი არ არის უფროსი და სინათლემ ქნას, ვერასოდეს გახდეს. მხოლოდ ხანდახან შევუსწორებდი: „კოსტია... ეს არასოდეს არ უნდა გააკეთო. გაიგე?“ და ესეც ნორმალურად მეჩვენებოდა.

- კოსტია, ჩემს საქმეს ვაკეთებდი.

- ტყუილად.

- კანონი დაარღვიეს. გესმის? ჩვენი კანონი არა, გაითვალისწინე. ეს კანონები მარტო სინათლემ კი არ მიიღო, არამედ ყველა სხვანაირმა. ეს ბიჭი...

- ვიცნობდი, - მოულოდნელად მომიჭრა კოსტიამ სიტყვა. - კარგი ბიჭი იყო.

ჯანდაბა...

- ბევრი იწვალა?

- არა, - გავაქნიე თავი. – ტვიფრი მომენტალურად კლავს.

კოსტია შეკრთა და გულზე დაიხედა. თუ ბინდში გადახვალ, ბეჭდის დანახვას ტანსაცმელშიც შეძლებ, თუ არ გადახვალ – საერთოდ ვერ შეამჩნევ. მემგონი, კოსტია არ გადასულა, მაგრამ საიდან უნდა ვიცოდე, როგორ გრძნობენ ვამპირები ბეჭედს?

- რა უნდა მექნა? – ვკითხე. – უდანაშაულო ადამიანებს კლავდა, აბსოლუტურად დაუცველ ადამიანებს. ვიღაც გოგო აქცია ვამპირად, უხეშად და ძალდატანებით. გოგო ვამპირად არ უნდა ქცეულიყო. გუშინ ერთი ბიჭი კინაღამ გამოასალმეს სიცოცხლეს. ყოველგვარი მიზეზის გარეშე. შიმშილიც კი არ აწუხებდათ.

- იცი, რა არის ჩვენი შიმშილი? – მკითხა კოსტიამ და გაჩუმდა.

ბიჭი დღითიდღე იზრდება, ჩემს თვალწინ...

- კი, გუშინ გავიგე, როცა კინაღამ მე თვითონაც ვამპირი არ გავხდი.

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა.

- ვიცი. ვგრძნობდი... იმედი მქონდა.

რა ეშმაკებია! მე მეგონა, მე ვნადირობდი, თურმე ჩემზე კიდევ სხვები ნადირობდნენ. უფრო სწორედ, ჩასაფრებული მდარაჯობდნენ, იმედი ჰქონდათ, რომ მონადირე მხეცად იქცეოდა.

- არა, - ვთქვი. – მაპატიე, მაგრამ...

- მართალია, დამნაშავე იყო, - ჯიუტად აგრძელებდა კოსტია. – მაგრამ რატომ მოკალი? უნდა გაგესამართლებინათ. რისთვის არსებობს ტრიბუნალი, ადვოკატი, ბრალდება, ყველაფერი წესის მიხედვით უნდა მომხდარიყო...

- წესის მიხედვით, ადამიანები არ უნდა ჩავრიოთ ჩვენს საქმეში! – შევუტიე. და კოსტიას პირველად არ ჰქონია რეაქცია ასეთ ტონზე.

- ძალიან დიდი ხანი იყავი ადამიანი!

- სულაც არ ვნანობ!

- რატომ მოკალი?

- მე რომ არ მომეკლა, ის მომკლავდა!

- ვამპირად გაქცევდა!

- მით უარესი!

კოსტია გაჩუმდა. ჩაი დატოვა და ადგა. ჩვეულებრივი თავნება, მაგრამ ამავე დროს ზნეობრივი პრინციპების საოცარი დამცველი.

მაგრამ ვამპირი.

- წავედი...

- მოიცა, - მაცივრისკენ წავიწიე. – წაიღე ეს, მე მომცეს, მაგრამ არ დამჭირდა.

„ბორჯომის“ ბოთლებიდან დონორის სისხლით სავსე პარკები გამოვიღე.

- არ მინდა.

- კოსტია, მე ხომ ვიცი, რომ თქვენი გაუთავებელი პრობლემაა. არ მინდა, გამომართვი.

- გინდა, მომისყიდო?

გავბრაზდი.

- რაში მჭირდება შენი მოსყიდვა? გადასაგდებად მენანება და მორჩა! სისხლია, ადამიანებმა ჩააბარეს სხვების დასახმარებლად!

კოსტიას ჩაეცინა, ხელი გამომიშვირა, ერთ-ერთი პარკი აიღო, გახსნა – მოხერხებულად და ოსტატურად მოაგლიჯა რკინის თავსახური, ტუჩებთან მიიტანა, ისევ ჩაიცინა და ერთი ყლუპი მოსვა.

არასდროს მენახა, ვამპირები როგორ იკვებებიან და არც არასდროს მდომებია, მენახა.

- გეყოფა, - ვუთხარი. – ნუ მეტიჩრობ.

კოსტიას ტუჩები სისხლით მოეთხვარა, ლოყაზე სისხლის წვრილი ნაკადი ჩამოეწვეთა, უბრალოდ კი არ ჩამოეღვენთა, კანმა შეიწოვა.

- არ გსიამოვნებს ჩვენი ჭამის პროცესის ყურება?

- არა.

- გამოდის, რომ არც ჩემი და, საერთოდ, ჩვენი ყურება გსიამოვნებს?

თავი გავაქნიე. ამ საკითხს არასდროს შევხებივართ. ასე უფრო გვიადვილდებოდა ურთიერთობა. – კოსტია, ცოცხალი რომ დარჩე, სისხლი გჭირდება, დროდადრო – ადამიანის.

- ჩვენ საერთოდ არ ვცოცხლობთ.

- ზოგადად ვამბობ, რომ იმოძრაოთ, იფიქროთ, ილაპარაკოთ, იოცნებოთ...

- რა იცი ვამპირების ოცნებების შესახებ?

- მომისმინე, ბიჭო, მსოფლიოში უამრავ ადამიანს სჭირდება სისხლის გადასხმა. რაოდენობით თქვენ სულაც არ ჩამოგივარდებიან. არსებობს კიდევ ექსტრემალური შემთხვევები. სწორედ ამიტომ მოიფიქრეს დონორობა, სწორედ ამიტომ უწყობენ მის განვითარებას ხელს და ამიტომ მიიჩნევა საპატიო საქმედ... ნუ გეღიმება. ვიცი, რომ დიდი წვლილი გაქვთ მედიცინასა და დონორობის პროპაგანდაში შეტანილი. კოსტია, თუ ვინმეს სიცოცხლისთვის, არსებობისთვის სისხლი სჭირდება, ამაში კატასტროფას ვერ ვხედავ. სად წავა ეს სისხლი, ვენაში, თუ მუცელში – ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, როგორ მოიპოვებ ამ სისხლს.

- სიტყვები, - ჩაიბურტყუნა კოსტიამ. წამით მომეჩვენა, რომ ბინდში გადავიდა, მაგრამ მაშინვე დაბრუნდა. იზრდება ბიჭი, იზრდება. და ძალა, რომელსაც იკრეფს, სულ უფრო იმატებს. – გუშინ დაგვანახე შენი ჭეშმარიტი სახე, ვიცი, რასაც გრძნობ ჩვენს მიმართ.

- არა ხარ მართალი...

- კარგი ერთი... – ბოთლი განზე გასწია, შემდეგ გადაიფიქრა, და ხელსაბანისკენ დახარა. – არ გვჭირდება შენი...

ზურგს უკან რაღაცამ შეიფრთხიალა. მივიხედე – ბუმ, რომელიც სულ მთლად გადამავიწყდა, თავი მოაბრუნა კოსტიასკენ და ფრთები გაშალა.

ჯერ არ მენახა ბიჭი ასეთი დამფრთხალი.

- ა... – დაიყვირა. – ა...

ბუმ ფრთები შეკეცა და თვალები მიხუჭა.

- ოლგა, ვლაპარაკობთ! – შევუბღვირე. გვაცადე ცოტა ხანი...

ფრინველს არანაირი რეაქცია არ ჰქონია. კოსტია ხან მე შემომხედავდა დაბნეული, ხან ისევ ბუს. შემდეგ ჩამოჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო.

- რა მოგივიდა? – ვკითხე.

- შეიძლება, წავიდე?

უბრალოდ შეშინებული ან გაოცებული კი არ იყო, ნამდვილი შოკი მიეღო.

- წადი. მაგრამ ეს გაიყოლე მაინც...

კოსტია სწრაფად შეუდგა ბოთლების მოგროვებას და ჯიბეებში ჩაწყობას.

- პაკეტით წაიღე, სულელო! სადარბაზოში ვინმე რომ შეგეფეთოს?

ვამპირმა მორჩილად ჩაალაგა ბოთლები პაკეტში წარწერით „ავაღორძინოთ რუსული კულტურა!“ გასასვლელისკენ გაემართა, თან ბუს თვალს არ აშორებდა, და ჩაცმას შეუდგა.

- შემოიარე ხოლმე, - შევთავაზე. მტერი კი არ ვარ. სანამ ზღვარს არ გადასულხარ, მოყვარე ვარ.

ბიჭმა თავი დამიქნია და ტყვიასავით გავარდა ბინიდან. მხრები ავიჩეჩე და კარი დავხურე. სამზარეულოში დავბრუნდი და ბუს შევხედე:

- მაშ, რა მოხდა?

ქარვასავით ყვითელ თვალებში ვერავითარ აზრს ვერ ამოიკითხავდი. ხელი გავიქნიე:

- როგორ ვიმუშაოთ? ჰა? როგორ უნდა ვითანამშრომლოთ? რას შემომთავაზებ? მზად ვარ, გულახდილად და პირდაპირ ვილაპარაკოთ!

ბინდში ბოლომდე არ გადავსულვარ, მხოლოდ ფიქრით გადავინაცვლე. არ ღირს უცხოების ნდობა, მაგრამ შეფი არასაიმედო მეწყვილეს არ გამომიყოფდა.

პასუხი აგვიანებდა. არ ვიცი, შეეძლო თუ არა ოლგას ტელეპათიური ურთიერთობა, მაგრამ ამის გაკეთებას ნამდვილად არ აპირებდა.

- რა ვქნათ? გოგო უნდა მოვძებნოთ. მიიღებ გამოსახულებას?

პასუხს ისევ არ მცემდა. ამოვიოხრე და ბუს მეხსიერების ნაწილი გავუზიარე.

ბუმ ფრთები გაშალა და მხარზე გადმომაჯდა.

- ხედავ შენ, ანუ გვესმის, მაგრამ პასუხის ღირსად არ ვთვლით. კარგი, როგორც გინდა. რა გაეწყობა.

და ისევ სრული სიჩუმე.

თუმცა, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, რამდენად გამიმართლებს, სხვა საკითხია.

- და როგორ უნდა ვიხეტიალოთ ასე მე და შენ ქუჩაში?

ბუმ დამცინავი, სწორედ რომ დამცინავი, მზერა შემავლო. და ჩემს მხარზე ბინდში გადავიდა.

გასაგებია. უხილავი ზედამხედველი. არა მხოლოდ ზედამხედველი – ახლა მენიშნა კოსტიას რეაქცია ფრინველზე. როგორც ჩანს, მეწყვილე ქალი მომიჩინეს, რომელსაც ბნელეთის ძალები გაცილებით უკეთ იცნობენ, ვიდრე სინათლის რიგითი მსახურები.

- შევთანხმდით, - მხიარულად ვუპასუხე. – მაგრამ უნდა ვჭამო რამე.

იოგურტი ამოვიღე და ფორთოხლის წვენი დავისხი. უკვე გულს მირევდა ის საჭმელი – ნახევრად უმი ბიფშტექსი და ხორცის წვენი, სისხლისგან ოდნავ განსხვავებული, - ბოლო ერთი კვირის განმავლობაში რომ ვიკვებებოდი.

- ხორცს, ალბათ, შეჭამ.

ბუ მიბრუნდა.

- კარგი, როგორც გინდა, - ვუპასუხე. – დარწმუნებული ვარ, მოგშივდება თუ არა, მაშინვე გამონახავ საერთო ენას.

თავი 3

მიყვარს ქალაქში ბინდში სიარული. ამასთან უჩინმაჩინიც არ ხდები, თორემ ყოველ წუთას იქნებოდა თავდასხმის საშიშროება. უბრალოდ გიყურებენ და ვერ გამჩნევენ. მაგრამ დღეს ღიად უნდა მემოქმედა.

დღე ჩვენი დრო არაა. სასაცილოა, მაგრამ სინათლის გუშაგები ღამე მუშაობენ, როცა ბნელები აქტიურდებიან. ახლა კი ბნელები თითქმის უძლურები არიან. ვამპირები, მაქციები, შავი მაგები იძულებული არიან დღე ჩვეულებრივი ადამიანებივით იცხოვრონ.

უმეტეს შემთხვევაში, რა თქმა უნდა.

ახლა სადგურ „ტულსკაიაზე“ ვარ, როგორც შეფმა მირჩია, წრეზე ყველა სადგური დავათვალიერე, სადაც შეიძლებოდა, ის გოგო ჩასულიყო, ჯოჯოხეთური ქარბორბალა რომ დასტრიალებდა თავს. რაღაც კვალი აუცილებლად უნდა დაეტოვებინა, სუსტი, მაგრამ ჯერ კიდევ საგრძნობი. წრიულის შემდეგ წრფივ ხაზებზე გადავედი.

იდიოტური სადგური, იდიოტური რაიონი. ორი გასასვლელი, ერთმანეთისგან საკმაოდ შორი მანძილით დაშორებული. ბაზარი, საგადასახადო პოლიციის პომპეზური ცათამბჯენი, უზარმაზარი საცხოვრებელი სახლი. იმდენი ბნელი აურა შევიგრძენი, რომ შავი მორევის აღმოჩენა ძალიან გამიჭირდებოდა.

განსაკუთრებით მაშინ, თუ აქ საერთოდ არ გამოჩენილა.

ყველა კუთხე შემოვიარე გოგოს აურის კვალის ძებნაში. დროდადრო ბინდში გადავიდოდი და მხარზე მოკალათებულ ბუს გადავხედავდი. ფრინველი თვლემდა, ისიც ვერაფერს გრძნობდა, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ მას ჩემზე გაცილებით მეტი შესაძლებლობები ჰქონდა.

ერთხელ მილიციელებმა გამაჩერეს, საბუთები მომთხოვეს. ორჯერ ახალგაზრდების ჯგუფი გადამეკიდა, თითქმის უფასოდ მჩუქნიდნენ ჩინურ ფენს, სათამაშოსა და იაფფასიან კორეულ ტელეფონს სულ რაღაც ორმოცდაათ დოლარად.

აქ კი ვეღარ მოვითმინე. მორიგი აბეზარი კომივოიაჟერი უხეშად მოვიცილე თავიდან და რემორალიზაცია ჩავატარე, ძალიან მსუბუქი, რამდენადაც დასაშვებია. შეიძლება ბიჭმა სხვა სამუშაოს ძებნა დაიწყოს. შეიძლება არც დაიწყოს...

და სწორედ ამ წუთას ვიღაცამ მკლავებში ჩამკიდა ხელები. ორიოდე წამის წინ ირგვლივ არავინ ჩანდა, ახლა კი ზურგს უკან ვიღაც წყვილი მედგა. ლამაზი წითური გოგო და ჩასხმული ბიჭი პირქუში შესახედაობით.

- ჩუმად, - თქვა გოგომ. მაშინვე შევატყვე, რომ წყვილიდან უფროსი ის იყო. – დღის საგუშაგო.

ჯანდაბა!

მხრები ავიჩეჩე და წყვილს შევხედე.

- ვინ ხარ? –გოგომ ვინაობის დასახელება მოითხოვა.

ტყუილის თქმას აზრი არ ჰქონდა, ჩემს აურას დიდი ხნის წინ აღმოაჩენდნენ და ვინაობის დადგენა დროის საკითხი იყო.

- ანტონ გოროდეცკი.

დამატებით ინფორმაციას ელოდნენ.

- სხვანაირი ვარ, - ვაღიარე. – ღამის საგუშაგოს თანამშრომელი.

ხელები მომაშორეს და ერთი ორი ნაბიჯით უკან დაიხიეს. თუმცა გულისწყრომა ვერ შევატყვე.

- გავედით ბინდში, - მიბრძანა ბიჭმა.

როგორც ჩანს, ვამპირები არ იყვნენ. ესეც კარგია. ანუ შემიძლია გარკვეული ობიექტურობის იმედი მქონდეს. ამოვიოხრე და ერთი რეალობიდან მეორეში გადავინაცლე.

პირველი მოულოდნელობა ის იყო, რომ წყვილი მართლა ახალგაზრდა აღმოჩნდა. გოგო დაახლოებით ოცდახუთი წლის ჯადოსანი, ხოლო ბიჭი ჩემი ტოლი, ოცდაათი

წლის. მათი სახელების გახსენებაც შემეძლო, სამოცდაათიანი წლების ბოლოსთვის ბევრი ჯადოსანი არ დაბადებულა.

მეორე მოულოდნელობა ბუს არყოფნა იყო. უფრო სწორედ, ჩემს მხარზე რჩებოდა, მის კლანჭებს ვგრძნობდი, მაგრამ მისი დანახვა მხოლოდ გარკვეული ძალების დაძაბვის შედეგად შემეძლო. როგორც ჩანს, ფრინველმა ჩემთან ერთად შეიცვალა რეალობა და ბინდის უფრო ღრმა საფეხურზე აღმოჩნდა.

სულ უფრო სახალისო ხდება ეს ყველაფერი!

- დღის საგუშაგო, - გაიმეორა გოგომ. - ალისა დონიკოვა. სხვანაირი.

- პეტერ ნესტეროვი, სხვანაირი, - ჩაიბურტყუნა ბიჭმა.

- პრობლემები გაქვთ?

გოგომ ჯადოსანისთვის დამახასითებელი საფირმო მბურღავი მზერა შემომანათა. ყოველ წამს უფრო ლამაზი და მომხიბლავი ხდებოდა. რა თქმა უნდა, პირდაპირი ზემოქმედებისგან დაცული ვარ, ჩემი მოჯადოება შეუძლებელია, მაგრამ საკმაოდ ეფექტური სანახაობა გამოვიდა.

- ჩვენ არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ანტონ გოროდეცკი, თქვენ არასანქცირებული კონტაქტი გქონდათ ადამიანთან.

- ჰო? და როგორი?

- მეშვიდე დონის ჩარევა, - უხალისოდ მიპასუხა გოგომ. - მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ამასთან ერთად, სინათლისკენ უბიძგეთ.

- პროტოკოლი ხომ არ შეგვევსო? – სიტუაციამ უცბად გამახალისა. მეშვიდე დონე. ეს უკიდურესად სუსტი და მისაღები ჩარევა იყო.

- შევავსებთ.

- და რა უნდა ჩავწეროთ? ღამის საგუშაგოს თანამშრომელმა ოდნავ შეასუსტა კონკრეტული ადამიანის სიყვარული სიცრუის მიმართ?

- და ამით დადგენილი ბალანსი დაარღვია, - დააკონკრეტა ბიჭმა.

- მართლა? და სიბნელისთვის რა პრობლემაა, ვერ ვხედავ? თუ ბიჭი წვრილმან თაღლითობას შეეშვა, მაშინ მისი ცხოვრება აუცილებლად გაუარესდება. შედარებით ზნეობრივი გახდება, მაგრამ უკმაყოფილების შეგრძნება აშკარად მოიმატებს. თანახმად ძალათა ბალანსის შესახებ კომენტარებისა, ეს არ ითვლება ბალანსის დარღვევად.

- სოფისტიკა, - მომაძახა გოგომ. – თქვენ საგუშაგოს თანამშრომელი ხართ და რაც ჩვეულებრივი სხვანაირისთვის მისაღებია, თქვენთვის დაუშვებელია.

მართალი იყო. წვრილმანი დარღვევა, მაგრამ მაინც დარღვევა...

- ხელს მიშლიდა. გამოძიების წარმოებისას მაგიური ჩარევის უფლება მაქვს.

- სამსახურში ხართ, ანტონ?

- დიახ.

- რატომ დღისით?

- განსაკუთრებული დავალება მაქვს. შეგიძლიათ ხელმძღვანელობას მიმართოთ, დაგიდასტურებთ.

ერთმანეთს გადახედეს. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები გვამოძრავებს, ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა გვიწევს.

სიმართლე თუ გინდათ, ხელმძღვანელობის ჩარევას ყველა ერიდება.

- დავუშვათ, - უხალისოდ დამეთანხმა გოგო. – შეგვიძლია ზეპირ შენიშვნაზე შევთანხმდეთ, ანტონ.

მიმოვიხედე. ხალხი ირგვლივ, ნაცრისფერ ბურუსში ნელა გადაადგილდებოდა. ჩვეულებრივი ხალხი, რომელსაც არ შეეძლო საკუთარი პაწაწინა უსუსური სამყაროს გარღვევა. ჩვენ სხვანაირები ვართ, თუმცა მე სინათლის მხარეს ვდგავარ, ჩემი თანამოსაუბრეები კი სიბნელის მხარეზე, მათთან გაცილებით მეტი საერთო მაქვს, ვიდრე ნებისმიერ ჩვეულებრივ ადამიანებთან.

- პირობები?

არ შეიძლება სიბნელესთან აღებ-მიცემობანას თამაში, არ შეიძლება დათმობებზე წასვლა, კიდევ უფრო სახიფათოა მათგან საჩუქრების მიღება. მაგრამ წესები იმისთვის შეუქმნიათ, რომ დავარღვიოთ.

- არავითარი.

ხედავ შენ!

ალისას ვაკვირდებოდი და ვცდილობდი, ამომეცნო მისი ჩანაფიქრი. მეწყვილის საქციელმა ბიჭი აშკარად აღაშფოთა, ბრაზობდა, უნდოდა, სინათლის დამცველი დანაშაულში ემხილებინა. ასე რომ ბიჭი გამოვრიცხე და მთელი ყურადღება გოგოზე გადავიტანე.

ნეტა რა ოინს მიწყობს?

- ჩემთვის ეს მიუღებელია, - შვებით ამოვისუნთქე, როცა მივუხვდი ჩანაფიქრს. – ალისა, გმადლობ პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების წინადადებისთვის. შემიძლია, მივიღო ეს წინადადება და დაგპირდეთ, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში გაპატიებთ მაგიურ ზემოქმედებას, მეშვიდე დონის ჩათვლით.

- კარგი, სხვანაირო, - ადვილად დამთანხმდა ალისა. ხელი გამომიშვირა, მეც უნებლიედ ჩამოვართვი. – პირადი შეთანხმება მიღწეულია.

ბუმ ჩემს მხარზე ფრთები გადაიქნია და შიგ ყურებში ჩამჩხავლა. ორიოდე წამის შემდეგ ფრინველი ბინდის სამყაროში მატერიალიზდა.

ალისამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, თვალის გუგები ვერტიკალურად გაუფართოვდა. ბიჭმა თავდაცვითი პოზიცია დაიჭირა.

- შეთანხმება მიღწეულია! – პირქუშად გაიმეორა გოგომ.

რა ხდება?

გვიან მივხვდი, რომ ოლგას თანდასწრებით არ უნდა შევთანხმებულიყავი. თუმცა... რა მოხდა მერე? ჩემთანაც არაერთხელ მისულან საგუშაგოს თანამშრომლები, მათ შორის შეფიც, მსგავს შეთანხმებამდე, დათმობებზეც წასულან და ბნელებთან თანამშრომლობაზეც კი მორიგებულან. მართალია, არ არის სასურველი, მაგრამ ხდება ხოლმე!

ბნელების განადგურება არ არის ჩვენი მიზანი. ჩვენ ბალანსის შესანარჩუნებლად ვიბრძვით. ბნელები მხოლოდ მაშინ გაქრებიან, როცა ადამიანები საკუთარ თავში ბოროტების აღმოფხვრას შეძლებენ. ან ჩვენ გავქრებით, თუ ადამიანებს სიბნელე სინათლეზე მეტად მოეწონებათ.

- უკვე შევთანხმდით, - გესლიანად მივუგე ბუს. – დაწყნარდი, არ ღირს, ჩვეულებრივი თანამშრომლობაა.

ალისამ გამიღიმა, ხელი დამიქნია, შემდეგ ბიჭს გაუყარა ხელი და წყვილმა უკან დახევა დაიწყო. ერთ-ორ წუთში ბინდიდან გავიდნენ, რეალურ სამყაროში გადაინაცვლეს და ტროტუარს გაუყვნენ. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი წყვილი.

- კარგი, რა გჭირს? – ვკითხე. რას იზამ, ასეთია ოპერატიული სამუშაო, ყოველთვის კომპრომისებს ეყრდნობოდა!

- შეცდომა დაუშვი.

ოლგას უცნაური ხმა ჰქონდა, რომელიც მის გარეგნობას არ შეესაბამებოდა. რბილი, ხავერდოვანი, მელოდიური. ასე კატა-მაქციები ლაპარაკობენ, ფრინველები ნაკლებად.

- აჰა, ესე იგი, ლაპარაკი შეგიძლია.

- დიახ.

- აქამდე რატომ დუმდი?

- აქამდე ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა.

ერთი ძველი ანეგდოტი გამახსენდა და ჩამეცინა.

- ბინდიდან გამოვალ, კარგი? შენ კიდევ მანამდე ამიხსენი, რა შემეშალა. ბნელებთან მცირედ კომპრომისზე წასვლა სამუშაოს განუყოფელი ნაწილია.

- შენი კვალიფიკაცია არ გაძლევს კომპრომისებზე წასვლის უფლებას.

სამყარომ ფერები შეიძინა. ბინდიდან გამოსვლა ვიდეოკამერაში რეჟიმების შეცვლას ჰგავდა, როცა „სეპიიდან“ ან „ძველი კინოდან“ ჩვეულებრივ გადაღებაზე გადადიხარ. საკმაოდ ზუსტი ანალოგია იყო, ბინდის სამყარო სწორედ რომ „ძველ კინოს“ ჰგავდა. უძველეს, კაცობრიობის მიერ სამუდამოდ მივიწყებულ კინოს. ასეთ რეალობას უკეთ შეგუებოდა ეს სამყარო.

მეტროს ჩასასვლელისკენ წავედი, გზად უხილავ თანამოსაუბრეს ვუპასუხე უკმეხად:

- რა შუაშია კვალიფიკაცია?

- მაღალი რანგის გუშაგს შეუძლია კომპრომისის შედეგები წინასწარ განსაზღვროს - პატარა ორმხრივი შეთანხმება იქნება ეს, რომელიც ორივე მხრიდან ნეიტრალიზდება, თუ მახე, სადაც უფრო მეტს წააგებ, ვიდრე ისარგებლებ.

- არა მგონია, რომ მეშვიდე დონის ჩარევამ უბედურება გამოიწვიოს!

გვერდით ვიღაც კაცმა ჩამიარა და გაშტერებული მომაჩერდა. მინდოდა, მეთქვა „უბრალო, უწყინარი გიჟი ვარ“, ასეთი ფრაზა ძალიან ეფექტურად კურნავს ზედმეტ ცნობისმოყვარეობას. მაგრამ კაცმა უამისოდაც საგრძნობად აუჩქარა ნაბიჯს, ეტყობა დამოუკიდებლად მივიდა იგივე აზრამდე.

- ანტონ, შენ არ შეგიძლია შედეგების წინასწარ განსაზღვრა. არაადეკვატური რეაქცია გქონდა უმნიშვნელო, მაგრამ არასასიამოვნო სიტუაციაზე. შენმა პატარა მაგიამ ბნელების ჩარევა გამოიწვია და შენც მათთან კომპრომისზე წახვედი. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ საერთოდ არ იყო საჭირო მაგიური ჩარევა.

- მართალი ხარ, ვაღიარებ. მერე რა?

ფრინველის ხმა ცოცხლდებოდა, ინტონაციებს იძენდა. ალბათ, დიდი ხანია არავისთან არ ულაპარაკია.

- მერე – არაფერი. უკეთესის იმედი უნდა ვიქონიოთ.

- შეფს ეტყვი, რაც მოხდა?

- არა. ჯერ არა. ჩვენ ხომ მეწყვილეები ვართ.

გული მომილბა. შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, პარტნიორთან ურთიერთობის მოულოდნელი გაუმჯობესება ღირს ამად.

- მადლობ. რას მირჩევ?

- ყველაფერს სწორად აკეთებ. კვალი ეძებე,

უფრო არაორდინალური რჩევის იმედი მქონდა...

- წავედით.

ორი საათისთვის წრიული ხაზის გარდა, მთელი ნაცრისფერი ხაზიც გადავამოწმე. შეიძლება წყალწაღებულ ოპერატიული ვარ, მაგრამ არ შეიძლებოდა, გუშინდელი კვალი არ შემემჩნია, რომელსაც მე თვითონვე მივაგენი. აქ არ გამოსულა გოგო, რომლის თავზე ერთგულად ტრიალებდა განუყრელი ჯოჯოხეთური ქარბორბალა. ალბათ, იმ ადგილიდან უნდა დამეწყო, სადაც ერთმანეთს შევხვდით.

„კურსკაიაზე“ მეტროდან გამოვედი, ქუჩაში, ავტომატიდან შევიძინე ერთი პორცია სალათი და ჭიქა ყავა. ჰამბურგერებისა და სოსისის დანახვაზე გული მერეოდა, ხორცის მეტად სიმბოლური შემადგენლობის მიუხედავად.

- შეჭამ რამეს? – ვკითხე უხილავ თანამგზავრს.

- არა, მადლობ.

ქუჩაში თოვლის თხელ ფენა იდო. ვიდექი და პაწაწინა ჩანგლით ოლივიეს ვქექავდი, თან ცხელ ყავას ვაყოლებდი. ბომჟმა, აშკარად იმედი ჰქონდა, რომ ლუდს ვიყიდიდი და ცარიელ ბოთლს ვარგუნებდი, იწრიალა გვერდით ცოტახანი და შემდეგ მეტროში ჩავიდა გასათბობად. ჩემი არსებობით მეტი არავინ დაინტერესებულა. გამყიდველი ქალი მოშიებულ გამვლელებს ემსახურებოდა, სადგურიდან და სადგურამდე ფეხით მოსიარულეების უსახური ნაკადი მიედინებოდა. წიგნის დახლთან გამყიდველი უხალისოდ, ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე სთავაზობდა მყიდველს რაღაც წიგნს. მყიდველს აშკარად შეეცოდა.

- ალბათ, ცუდ განწყობაზე ვარ... – ჩავიბურტყუნე.

- რატომ?

- ყველაფერი მუქ ფერებში მეჩვენება. ხალხი მაღიზიანებს, სალათი გაიყინა, ფეხები გამეთოშა.

ბუმ დამცინავად დაიკივლა.

- არა, ანტონ. საქმე განწყობაში არაა. ინფერნოს მოახლოებას გრძნობ.

- მგრძნობიარობით არასოდეს გამოვირჩეოდი.

- სწორედ მაგაშია საქმე.

სადგურს შევხედე. ხალხს დავაკვირდი.

ინფერნოს მოახლოებას სხვებიც გრძნობდნენ. ადამიანსა და სხვანაირს შორის გავლებულ ზღვარზე მდგომი ხალხი დაძაბული და დათრგუნული იდგა. მიზეზები ვერ გაერკვიათ, ამიტომ სხვების დასანახად მხნედ ეჭირათ თავი.

- ჯანდაბა, რა შეიძლება, რომ მოხდეს, ოლგა?

- ნებისმიერი რამ. აფეთქება შეაკავე, მაგრამ როცა ქარბორბალა დაარტყამს, უბრალოდ კატასტროფულ შედეგებს მოიტანს. შეკავების ეფექტი.

- შეფს არ უთქვამს.

- რატომ უნდა ეთქვა? სწორად მოიქეცი. ახლა შანსი მაინც არის.

- ოლგა, რამდენი წლის ხარ? – ვკითხე. ადამიანებში ასეთი კითხვის დასმა შეურაცხმყოფელია. ჩვენთვის ასაკში განსაკუთრებული ზღვარი არ არსებობს.

- დიდი ვარ, ანტონ. მაგალითად, აჯანყება მახსოვს.

- რევოლუცია?

- აჯანყება სენატის მოედანზე, - ბუს ჩაეცინა.

გავჩუმდი. შეიძლება ოლგა შეფზე უფროსიცაა.

- რა რანგი გაქვს, მეგობარო?

- არავითარი. ყველანაირი უფლება ჩამომართვეს.

- უკაცრავად.

- არა უშავს, დიდი ხანია შევეგუე.

ოლგას ხმა ისევ ომახიანად და ოდნავ დამცინავად ჟღერდა. რაღაცა მკარნახობდა, რომ ოლგა სულაც არ შერიგებია თავის ბედს.

- თუ ძალიან არ მოგაბეზრე თავი... რატომ გამოგკეტეს ამ სხეულში?

- სხვა არჩევანი არ იყო. მგლის ტყავში არსებობა გაცილებით უფრო რთულია.

- მოიცა... დაუმთავრებელი სალათი სანაგვე ყუთში ჩავაგდე და მხარზე დავიხედე, ბუ, რა თქმა უნდა, იქ არ ჩანდა, ამისთვის ბინდში უნდა გადავსულიყავი. – ვინ ხარ? თუ მაქცია ხარ, ჩვენი მხარე რატომ გიჭირავს? თუ ჯადოსანი ხარ კიდევ, რატომ გერგო წილად ასეთი უცნაური სასჯელი?

fb.com/groups/elib

- ეს უკვე საქმესთან არავითარ კავშირში არაა, ანტონ, - წამიერად ხმაში რკინასავით უტეხმა ხასიათმა გაიელვა. – ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ბნელებთან კომპრომისზე წავედი. პატარა კომპრომისზე. მეგონა, რომ შედეგები წინასწარ განვსაზღვრე, მაგრამ ვცდებოდი.

აი, რაში ყოფილა საქმე...

- ამიტომ ალაპარაკდი? გინდოდა, გაგეფრთხილებინე, მაგრამ დაიგვიანე?

ბუ დუმდა.

თითქოს ოლგა ნანობდა, რომ გული გადამიშალა.

- კარგი, გავაგრძელოთ მუშაობა... – ვთქვი მე და ამ დროს ჯიბეში ტელეფონი აწკრიალდა.

ლარისა რეკავდა. რატომ მუშაობს ზედიზედ მეორე მორიგეობაზე?

- ანტონ, მომისმინე... იმ გოგოს კვალს მიაგნეს. სადგური „პეროვო“.

- აუ, ეგღა მაკლდა, - წამოვიძახე. გარეუბნებში მუშაობა მაგარი წვალებაა.

- მართალია, დამეთანხმა ლარისა. ოპერატიული ნიჭი საერთოდ არ ჰქონდა... ამიტომაც შემორჩა ტელეფონებს. მაგრამ ჭკვიანი გოგო იყო. – ანტონ, პეროვოზე გავარდი. ჩვენები იქ შეიკრიბებიან ყველანი, კვალს მისდევენ. და კიდევ... დღის საგუშაგოც შენიშნეს.

- გასაგებია, - გავთიშე ტელეფონი.

ვერაფერიც ვერ გავიგე. ნუთუ ბნელებმა ყველაფერი იცოდნენ და ერთი სული ჰქონდათ, ინფერნო როდის გაარღვევდა ბარიერს? და შემთხვევით არ გავუჩერებივარ...

სისულელეა. კატასტროფა მოსკოვში ბნელეთის ინტერესებში არ შედის. თუმცა არც ქარბორბალას შეჩერებით შეიწუხებდნენ თავს, მათთვის ეს არაბუნებრივი საქციელი იქნებოდა.

მეტროში აღარ ჩავსულვარ. მანქანა დავიჭირე, ასე ცოტათი მაინც მოვიგებდი დროში. მძღოლის – შავგვრემანი, ინტელიგენტი კეხიანი ცხვირით - გვერდით დავჯექი. მანქანა ახალი იყო, და თვითონ მძღოლიც წარმატებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. უცნაურადაც მეჩვენა, რომ ხალხის გადაყვანით შოულობს ფულს.

... პეროვო. დიდი რაიონი. უამრავი ხალხი. სინათლე და სიბნელე – ყველაფერი ერთმანეთშია არეული. და კიდევ რამდენიმე დაწესებულება, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე ჩადიან ბნელსა და ნათელ საქმეებს. გინდ იქ გიმუშავია და გინდ

გადაჭედილ სტრობოსკოპებით განათებული დისკოთეკის იატაკზე მიკარგული ქვიშის ნამცეცი გიძებნია...

ჩემგან დიდი ხეირი არ იქნება, უფრო სწორედ, არანაირი ხეირი არ იქნება. მაგრამ რადგან წასვლა მიბრძანეს, ესე იგი, ასეა საჭირო. ალბათ, ამოცნობას დამავალებენ.

- მე კიდევ, რატომღაც მეგონა, რომ გაგვიმართლებდა, - წავიჩურჩულე და გაფენილ გზას გავხედე. ლოსის კუნძული გავიარეთ, ესეც არასასიამოვნო ადგილია, აქ ბნელები იკრიბებიან ხოლმე შაბაშისთვის. და ყოველთვის არ იცავენ ჩვეულებრივი ადამიანების უფლებებს. წელიწადში ხუთი დღე იძულებული ვართ, ყველაფერი მოვითმინოთ. ნუ, თითქმის ყველაფერი.

- მეც მასე მეგონა... – მიპასუხა ოლგამ ჩურჩულით.

- სად შევედრები ოპერატიულებს, - თავი გავაქნიე.

მძღოლმა თვალი შემაპარა. ფასზე არ მივაჭრია, მარშრუტიც, როგორც შევატყვე, აწყობდა. მაგრამ საკუთარ თავთან მოსაუბრე ადამიანი არაჯანსაღ ასოციაციებს იწვევს,

- ერთი საქმე ჩავაგდე... – შევატყობინე სინანულით მძღოლს. – უფრო სწორედ, ცუდად შევასრულე. მეგონა, დღეს გამოვასწორებდი მდგომარეობას, მაგრამ საქმე უჩემოდ მოაგვარეს.

- იმიტომ გეჩქარება? – დაინტერესდა მძღოლი, მიუხედავად იმისა, რომ დიდად მოლაპარაკე არ ჩანდა.

- გამოცხადდიო, მიბრძანეს, - თავი დავუქნიე.

საინტერესოა, ვინ ვგონივარ?

- რას საქმიანობ?

- პროგრამისტი ვარ, - ვუპასუხე, სხვათა შორის გულახდილად.

- მშვენიერია, - აღნიშნა მძღოლმა. რა ნახა აქ მშვენიერი? – კარგ ფულს შოულობ?

ზედმეტი კითხვა დასვა, თუნდაც იმიტომ, მეტროთი არ ვმგზავრობდი. მაგრამ მაინც ვუპასუხე:

- საკმაოდ.

- ტყუილად კი არ ვკითხულობ, - მოულოდნელად მაცნობა მძღოლმა. – სამსახურიდან სისტემური ადმინისტრატორი მიდის...

„სამსახურიდან...“ ვერაფერს იტყვი.

- მე პირადად ბედი მგონია. ადამიანი ჩავისვი მანქანაში, რომელიც პროგრამისტი აღმოჩნდა. მე მგონი განწირული ხართ.

ჩაიცინა, თითქოს ცდილობდა, ზედმეტად თავდაჯერებული სიტყვები გამოესწორებინა.

- ლოკალურ ქსელებთან გიმუშავიათ?

- კი.

- ქსელში ორმოცდაათიოდე აპარატია ჩართული. მათი გამართულობა უნდა უზრუნველყოთ. კარგად გადაგიხდით.

მისმა შემოთავაზებამ ძალაუნებურად ღიმილი მომგვარა. რა კარგია, ლოკალური ქსელი, კარგი ანაზღაურება, და არავინ არ მოითხოვოს ღამით ვამპირებზე ნადირობას, სისხლის სმას და გაყინულ ქუჩებში კვალის მიგნებას...

- მოგცეთ სავიზიტო? – ცალი ხელით პიჯაკის ჯიბეს გადაწვდა. – იფიქრეთ...

- არა, გმადლობ. სამწუხაროდ, ჩემი სამსახურიდან საკუთარი ნებით არავინ მიდის.

- უშიშროება, თუ რა? – მძღოლმა წარბი შეჭმუხნა.

- გაცილებით უფრო სერიოზული, - მივუგე. – მაგრამ მსგავსი.

- ჰო... – მძღოლი გაჩუმდა. მე კიდევ იღბალი მეგონა. ბედისწერის გჯერა?

„შენზე“ ძალიან ადვილად და ძალაუნებურად გადავიდა. მომეწონა.

- არა.

- რატომ? – გულწრფელად გაიკვირვა, თითქოს მხოლოდ ფატალისტებთან აქვს საქმე.

- დამტკიცებულია, რომ ბედისწერა არ არსებობს.

- ვინ დაამტკიცა?

- ჩემთან სამსახურში.

გადაიხარხარა.

- რა მაგარია. მაშ გამოდის, რომ ბედი არ ყოფილა! სად გაგიჩერო?

უკვე მწვანე პროსპექტზე მივდიოდით.

რეალობიდან ბინდში გადავედი და დავაკვირდი. გარკვევით ვერაფერი გავარჩიე, შესაძლებლობები არ მყოფნიდა, სამაგიეროდ, ვიგრძენი. ნაცრისფერ ბინდში მქრალი შუქები პარპალებდა. თითქმის მთლიანი ოფისი შეკრებილიყო...

- აი, იქ.

ახლა, როცა ჩვეულებრივ რეალობაში ვიმყოფებოდი, არ შემეძლო კოლეგების დანახვა. მივაბიჯებდი ქალაქის ჭუჭყიან თოვლში, პროსპექტსა და საცხოვრებელ სახლებს შორის გაშენებულ თოვლყრილებით სავსე სკვერისკენ. მეჩხერი მოყინული ხეები, კვალის რამდენიმე ხაზი – აქ ან ბავშვები თამაშობდნენ, ან სკვერი მთვრალმა გადაჭრა.

- ხელი დაუქნიე, შეგნიშნეს, - მირჩია ოლგამ.

დავფიქრდი და რჩევა გავითვალისწინე. იფიქრონ, რომ ერთი რეალობიდან მეორეში დაუბრკოლებლად ვიხედები.

- ხუთწუთიანი თათბირი აქვთ, - დამცინავი ხმით წარმოთქვა ოლგამ.

მიმოვიხედე, უფრო ჩვევის გამო, ბინდი გამოვიხმე და შევაბიჯე.

მართლაც მთელი დაწესებულება შეკრებილიყო.

ცენტრში ბატონი ბორისი იდგა. თხელი პიჯაკი ეცვა, თხელი ბეწვის კეპი ეხურა, და რატომღაც შარფი შემოეხვია. წარმომიდგენია, როგორ გადმოვიდა თავისი „BMW“ - დან დაცვით გარშემორტყმული.

გვერდით ოპერატიული მუშაკები ედგნენ. იგორი და გარიკა – აი ვისზეა ზედგამოჭრილი მებრძოლის როლი. ქვის პროფილი, ოთხკუთხედი მხრები, ემოცია გაუმტარი აზრს მოკლებული სახეები. მაშინვე შეატყობთ, რომ რვა კლასის განათლების, სასწავლებლისა და სპეცნაზის გარდა, ვერაფრით დაიკვეხნიდნენ. იგორის შემთხვევაში, სრული სიმართლე იყო. გარიკას რაც შეეხება, ორი უმაღლესი განათლება ჰქონდა. გარეგნული მსგავსებისა და თითქმის იდენტული ქცევის მიუხედავად, მათი გონებრივი შესაძლებლობები მკვეთრად განსხვავდებოდა. მათთან შედარებით, ილია რაფინირებულ ინტელიგენტს ჰგავდა, მაგრამ თხელჩარჩოიანი სათვალით, მაღალი შუბლითა და მიამიტი გამოხედვით თავის მოტყუება ნამდვილად არ ღირდა. სიმონი კიდევ ერთი უტრირებული ტიპი იყო – საშუალო სიმაღლის, ჩასხმული, ეშმაკური გამოხედვითა და გაცვეთილ ნეილონის ქურთუკში გამოწყობილი. დედაქალაქში სამოციან წლებში მოწინავე კოლმეურნეობიდან „ილიჩის გზა“ ჩამოსული პროვინციელი. აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები. თუმცა ილიასა და სიმონს გარუჯული კანი და სახის უხალისო გამომეტყველება აკავშირებდათ. შრი-ლანკიდან გამოიხმეს, სადაც შვებულებას ატარებდნენ და სიამოვნების შუაგულიდან გაყინულ მოსკოვში უკრეს თავი, რაც, შესაბამისად, მათზე გარეგნულად აისახებოდა. იგნატი, დანილა და ფარიდი არ ჩანდნენ, მაგრამ მათ ახალ კვალს ვგრძნობდი. სამაგიეროდ, შეფის ზურგს უკან დათვი და ბოკვერი იდგნენ, თითქოს შენიღბულები არ იყვნენ, მაგრამ ერთი

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

შეხედვით მაინც არ ჩანდნენ. არ მესიამოვნა, ამ წყვილს რომ მოვკარი თვალი. საკმაოდ კარგი მებრძოლები არიან და წვრილმანებისთვის არავინ უხმობს ხოლმე.

ოფისის შიგნით მომუშავე თანამშრომლებიც ბევრნი იყვნენ.

ანალიტიკური განყოფილება, სულ ხუთნი, სამეცნიერო ჯგუფი – ყველა, იულიას გარდა, ეს გასაკვირი არაა, ჯერ მხოლოდ ცამეტი წლისაა. არქივი რაღაც არ ჩანდა.

- გამარჯობათ! – მივესალმე.

ზოგიერთმა თავი დამიკრა, ზოგიერთმა გამიღიმა. მაგრამ მივხვდი, რომ ხალხს ჩემთვის არ სცხელოდათ. ბატონმა ბორისმა გვანიშნა, ახლოს მივსულიყავით, შემდეგ აშკარად ჩემი გამოჩენის გამო შეწყვეტილი სიტყვა განაგრძო:

- მათ ინტერესებში არ შედის. და ეს კარგი ამბავია. დახმარებას არ აღმოგვიჩენენ. კეთილი და პატიოსანი...

გასაგებია. შეფი დღის საგუშაგოზე ლაპარაკობდა.

- გოგოს ძებნაში არაფერი არ გვიშლის ხელს, დანილა და ფარიდი უკვე ახლოს არიან მიზანთან. ალბათ ხუთი-ექვსი წუთი დაგვრჩა... მაგრამ ულტიმატუმი მაინც წამოგვიყენეს.

ბოკვერის მზერა დავიჭირე. რაღაც ცუდად იღიმება... დიახ, ბოკვერია, გოგო, მაგრამ სახელი ვეფხვი რატომღაც კატეგორიულად არ შერჩა.

არ უყვართ ჩვენს ოპერატიულებს სიტყვა „ულტიმატუმი“!

- შავი ჯადოსანი ჩვენიანი არაა, - შეფმა მოწყენილი მზერა მოავლო იქ შეკრებილებს. – გასაგებია? უნდა ვიპოვნოთ და ქარბორბალა გავაუვნებლოთ. მაგრამ ამის შემდეგ, ჯადოსანს ბნელებს გადავცემთ.

- გადავცემთ? – ცნობისმოყვარეობით იკითხა ილიამ.

შეფი წამით დაფიქრდა.

- სწორი შეკითხვაა. არ გავანადგურებთ და არც ბნელებთან მის ურთიერთობას შევუშლით ხელს. რამდენადაც მივხვდი, ისინიც არ იცნობენ.

ოპერატიულებს სახე შეეშალათ. ნებისმერი ახალი მაგი კონტროლირებად ტერიტორიაზე ნამდვილი თავის ტკივილია. დარეგისტრირებულიც რომ იყოს და შეთანხმების პირობებსაც რომ ასრულებდეს. ასეთი შესაძლებლობების მაგი კი...

- მერჩივნა, მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო, - რბილად აღნიშნა ბოკვერმა. – ბატონო ბორის, სამუშაოს შესრულებისას შეიძლება სიტუაციამ სხვა, ჩვენგან დამოუკიდებელი, მიმართულება მიიღოს...

- ვშიშობ, ასეთი შემობრუნება არ უნდა დავუშვათ, - მოკლედ მოუჭრა შეფმა, მომენტალურად და ყოველგვარი წნეხის გარეშე. ბოკვერმა უკან დაიხია.

მეც მასე მოვიქცეოდი.

- აი, ამის თქმას ვაპირებდი... შეფმა შემომხედა. – კარგია, რომ მოხვედი, ანტონ. შენი თანდასწრებით მინდოდა ამის თქმა...

ძალაუნებურად დავიძაბე.

- გუშინ საკმაოდ მოხერხებულად მოიქეცი. მართლა, ვამპირების მოძებნა დაგავალე გამოცდის მიზნით. და არა მარტო ოპერატიული შესაძლებლობების გამოცდის მიზნით... დიდი ხანია რთულ მდგომარეობაში ხარ, ანტონ. ვამპირის მოკვლა შენთვის გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანისთვის.

- არც მასეა საქმე, შეფ, - მივუგე.

- მიხარია, რომ ვცდებოდი. მიიღე მთელი ღამის საგუშაგოს მადლობა. შენ ერთი ვამპირი გაანადგურე, ვამპირის მეგობარი გოგოს კვალი აიღე, და საკმაოდ მკაფიო კვალიც. საგამომძიებლო საქმიანობისთვის გამოცდილება გაკლია, მაგრამ ინფორმაციის დაფიქსირება ნამდვილად შეგიძლია. ზუსტად იგივე სიტუაციაა ამ გოგოს შემთხვევაშიც. საკმაოდ არასტანდარტულ მდგომარეობაში მეტად ჰუმანური გადაწყვეტილება მიიღე და ამით დრო მოიგე. აურის ნაკვალევი შესანიშნავი იყო, მაშინვე მივხვდი, სად უნდა მეძებნა.

უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა. არავინ არ იღიმებოდა, დამცინავად არ იცინოდა, არც ქილიკით სავსე მზერით იყურებოდა. მაგრამ მაინც შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. თეთრმა ბუმ, რომელსაც ვერავინ ვერ ხედავდა, ჩემს მხარზე შეიფრთხიალა. ბინდის ჰაერი შევისუნთქე – გრილი, უგემური. ვკითხე:

- ბატონო ბორის, რატომ გამგზავნეთ წრიულ ხაზზე, თუ ზუსტი რაიონი იცოდით?

- ხომ შეიძლებოდა, შემშლოდა, - მიპასუხა ოდნავ გაკვირვებულმა შეფმა. გაიგე, რომ საგამომძიებლო საქმეში არ უნდა ენდო ყველაზე ავტორიტეტულ აზრს. ერთი მეომარი ბრძოლის ველზე მაშინ იბრძოლებს მამაცურად, თუ ეცოდინება, რომ მარტოა.

- მე რომ არ ვყოფილვარ მარტო, - ჩუმად მოვახსენე. – ეს დავალება ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი პარტნიორისთვის, თქვენ ჩემზე უკეთესად იცით. თქვენ მას რეაბილიტაციის შანსი წაართვით, როცა განგებ გაგზავნეთ არასწორ რაიონში.

შეფს სახე გაუქვავდა. ვერაფერს ამოიკითხავ, სანამ თვითონ არ მოინდომებს.

და მაინც, მომეჩვენა, რომ მიზანში გავარტყი.

- თქვენი დავალება ჯერ არ დამთავრებულა, - მიპასუხა. – ანტონ, ოლგა... ისევ ვამპირად რჩება, რომელიც უნდა გავაუვნებლოთ. აქ ვერავინ შეგვიშლის ხელს. ოლგამ შეთანხმება დაარღვია. რჩება ზებუნებრივი მაგიური ძალებით დაჯილდოებული ბიჭი, რომელიც უნდა ვიპოვნოთ და სინათლის გზაზე დავაყენოთ. საქმეს მიხედეთ.

- ეს გოგო?

- უკვე ლოკალიზებულია. ახლა სპეციალისტები შეეცდებიან ქარბორბალას განეიტრალებას. თუ არაფერი გამოგვივა, და ეჭვი მაქვს, რომ ასეც მოხდება, გავარკვევთ, ვინ დაადო წყევლა. იგნატ, ეს შენ გევალება!

მოვიხედე და, მართლაც, იგნატი უკვე გვერდით მედგა. მაღალი, მოხდენილი ყმაწვილი აპოლონის ტანითა და კინოვარსკვლავის გარეგნობით. უხმაუროდ გადაადგილდებოდა, თუმცა ჩვეულებრივ რეალობაში ეს ქალების ზედმეტი ყურადღებისგან ვერ იცავდა.

აბსოლუტურად ზედმეტი ყურადღებისგან.

- ეს ჩემი პროფილი არ არის, - პირქუშად განაცხადა იგნატმა. – ჩემთვის მაინცდამაინც სახარბიელო ორიენტაცია არაა!

- სასურველ პარტნიორს არასამუშაო საათებში აირჩევ, - მოუჭრა შეფმა. – სამსახურში კი ვწყვეტ ყველაფერს. ჩემს გარეშე ტუალეტშიც ვერ გახვალთ.

იგნატმა მხრები აიჩეჩა, შემომხედა, თითქოს თანაგრძნობას ელოდებოდა და ჩაიბურტყუნა:

- დისკრიმინაციაა...

- შენ შტატში არა ხარ, - გაუმეორა შეფმა და მისი ხმა საეჭვოდ თავაზიანი გახდა. – ასე რომ, დიახ, დისკრიმინაციაა. ყველაზე შესაფერისი თანამშრომლის არჩევა, მისი პირადი მიდრეკილებების გათვალისწინების გარეშე.

- ეს დავალება მე მომანდეთ რა, - ჩუმად წარმოთქვა გარიკამ.

დაძაბულობა მაშინვე განიმუხტა. ის რომ გარიკას სასიყვარულო საქმეში არ უმართლებდა, ყველას მოეხსენებოდა. ვიღაცას გაეცინა კიდევაც.

- იგორ, გარიკ, თქვენ გაქცეული გოგოს ძებნა განაგრძეთ, - შეფმა თითქოს სერიოზულად მიიღო წინადადება. – ვამპირს სისხლი სჭირდება. ბოლო მომენტში შეაჩერეს, ახლა ჭკუას კარგავს შიმშილისა და აღელვებისგან. ნებისმიერ დროს უნდა ველოდოთ ახალ მსხვერპლს! ანტონ, შენ და ოლგამ ბიჭი მოძებნეთ.

გასაგებია.

ისევ უაზრო და უმნიშვნელო დავალება.

ქალაქში ინფერნოს ამოხეთქვაა მოსალოდნელი, მშიერი ვამპირი დაძრწის და მე კიდევ ვიღაც ბიჭი უნდა ვეძებო, რომელიც სავარაუდოდ ძლიერი პოტენციური მაგიური ძალებითაა დაჯილდოებული...

- შეიძლება დავალების შესრულებას შევუდგეთ? – ვკითხე.

- დიახ, რა თქმა უნდა, - შეფმა ყურადღება არ მიაქცია ჩემს ჩუმ დემარშს. – შეუდექით მუშაობას.

შევბრუნდი და პროტესტის გამოხატვის მიზნით, ბინდიდან გავედი. სამყარო შეკრთა და ფერებითა და ბგერებით აივსო. და ახლა იდიოტივით ვიდექი შუაგულ სკვერში. ჩვეულებრივი მაყურებლისთვის უცნაური სანახაობა იქნებოდა, ნაკვალევის არარსებობაზე რომ არაფერი ვთქვათ... შუა თოვლყრილში ვიდექი, ირგვლივ კი ხელუხლებელი თოვლი.

ასე იბადება მითები. ჩვენი დაუდევრობის, შერყეული ნერვების, უხეირო ხუმრობისა და მეტიჩრული ჟესტების გამო.

- არაფერია, - ვთქვი და პირდაპირ პროსპექტისკენ გავემართე.

- მადლობ... – ყურში ჩუმად და ნაზად ჩამჩურჩულეს.

- რისთვის, ოლია?

- რომ გაგახსენდი.

- შენთვის მართლა ძალიან მნიშვნელოვანია ამ დავალების შესრულება?

- ძალიან, - პაუზის შემდეგ მიპასუხა ბუმ.

- მაშინ ყველანაირად ვეცდებით, რომ შევასრულოთ.

თოვლყრილებსა და რაღაც ქვებს გადავახტი – რა არის, მყინვარმა გაიარა, თუ ვიღაცა ქვის სახლს აშენებდა – და პროსპექტზე გავედი.

- კონიაკი გაქვს? – მკითხა ოლგამ.

- კონიაკი... რა? კი მაქვს.

- კარგია?

- ცუდი კონიაკი არ არსებობს, თუ კონიაკია.

ბუს ჩაეცინა.

- გთხოვთ, ქალბატონი ყავასა და კონიაკზე დაპატიჟოთ.

უცბად წარმოვიდგინე, როგორ სვამს ბუ კონიაკს და გადავიხარხარე.

- სიამოვნებით. ტაქსითი წავიდეთ?

- ხუმრობთ, ყმაწვილო! – მაშინვე მიპასუხა ოლგამ.

საინტერესოა, როდისღა გამოკეტეს ჩიტის სხეულში? თუ ეს წიგნების კითხვაში ხელს არ უშლიდა?

- არ დაგავიწყდეს, რომ ტელევიზორიც არსებობს, - ჩამჩურჩულა ოლგამ.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ფიქრები საიმედოდაა ჩაკეტილი!

- ვულგარულ ტელეპათიას თავისუფლად ცვლის ცხოვრებისეული გამოცდილება... დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, - ცბიერად განაგრძო ოლგამ. – ანტონ, შენი ფიქრები ჩემთვის დახურულია, თან ჩემი პარტნიორი ხარ.

- მე... – ხელი ჩავიქნიე. რა აზრი აქვს იმის უარყოფას, რაც აშკარაა. – ბიჭს რა ვუყოთ? თუ მოვეშვათ? არასერიოზულია...

- ძალიანაც სერიოზულია! – მიპასუხა აღშფთებულმა ოლგამ. – ანტონ... შეფმა აღიარა, რომ არაკორექტულად მოიქცა და შეღავათი გაგვიწია, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. ვამპირი გოგო ბიჭის კვალს მისდევს, გაიგე? ბიჭი მისთვის დაუმთავრებელი ბუტერბროტია, რომელიც პირიდან გამოგლიჯეს. გოგო საბელზეა გამობმული. ახლა შეუძლია ქალაქის ნებისმიერი კუთხიდან მიიზიდოს. მაგრამ ეს ჩვენც გვაწყობს. არ არის საჭირო ვეფხვის ჯუნგლებში ძებნა, შეგვიძლია ციკანი მავაბათ ველზე.

- მოსკოვში ასეთი ციკნები...

- ეს ბიჭი საბელით ყავს გამობმული. ვამპირი გამოუცდელია და ახალ მსხვერპლთან კონტაქტის დამყარება უფრო რთულია, ვიდრე ძველის მოზიდვა. დამიჯერე.

თავი გადავიქნიე, იდიოტური ეჭვები რომ მომეშორებინა. მანქანა შევაჩერე, ხელი ავწიე და პირქუშად წარმოვთქვი:

- მჯერა. აწ და მარადის.

თავი 4

შევადგი თუ არა სახლში ფეხი, ბუ ბინდიდან გამოვიდა, ფრთები გაშალა – მისი კლანჭების წამიერი, სუსტი ჩხვლეტა ვიგრძენი მხარზე - და მაცივრისკენ გაფრინდა.

- საბუდარი ხომ არ მომეწყო შენთვის? – ვკითხე, კარს სანამ ვხურავდი.

პირველად დავინახე მოლაპარაკე ოლგა. ნისკარტი უმოძრავებდა, სიტყვებს დიდი ძალისხმევის შედეგად წარმოთქვამდა. სიმართლე გითხრათ, მაინც არ მესმის, როგორ უნდა მეტყველებდეს ჩიტი და თან ასეთი ადამიანური ხმით.

- არ მინდა, თორემ მალე კვერცხების დებას დავიწყებ.

ეს, ალბათ, ხუმრობის მცდელობა იყო.

- მაპატიე, თუ გაწყენინე, - დავი დავიზღვიე, ყოველი შემთხვევისთვის. – ვცდილობ, უხერხული სიტუაცია განვმუხტო.

- მესმის. დაივიწყე.

მაცივარი გადავქექე რამე საკბილოს იმედით, ვიპოვნე კიდევაც – ყველი, ძეხვი, მწნილი... საინტერესოა, როგორ წავა ორმოცწლიანი კონიაკი დაუმწნილებელ კიტრთან. ალბათ ისევე არ მოუხდებიან ერთმანეთს, როგორც მე და ოლგა.

ყველი და ძეხვი გადმოვიღე.

- ლიმონი არ მაქვს, - ვგრძნობდი ამ მოსამზადებელი პროცესის აბსურდულობას, მაგრამ მაინც... – სამაგიეროდ, კონიაკი კარგია.

ბუ ხმას არ იღებდა.

მაგიდის უჯრიდან, რომელიც ბარის ფუნქციას ასრულებდა, ერთი ბოთლი „კუტუზოვი“ ამოვიღე.

- გაგისინჯავს?

- ჩვენი პასუხი „ნაპოლეონს“? – ბუმ ჩაიცინა. – არა, არ გამისინჯავს.

სიტუაცია სულ უფრო აბსურდული ხდებოდა. კონიაკის ორ ბოკალს წყალი გამოვავლე და მაგიდაზე დავდგი. ეჭვის თვალით გადავხედე თეთრი ბუმბულის გორგალს და მოკლე, დაგრეხილ ნისკარტს.

- ბოკალიდან ვერ დალევ. ლამბაქი ხომ არ მოგიტანო?

- მიტრიალდი.

დავემორჩილე. ზურგს უკან ფრთების შრიალი გაისმა, შემდეგ – სუსტი, არასასიამოვნო ხმა, რომელიც ახლად გაღვიძებული გველის ან ბალონიდან გამოჟონილი გაზის სისინს მოგაგონებდათ.

- ოლგა, მაპატიე, მაგრამ... – მოვტრიალდი.

ბუ აღარსად ჩანდა.

ჰო, რაღაც ამის მაგვარ კი მოველოდი. იმედი მქონდა, რომ ხანდახან მაინც ექნებოდა ადამიანის იერის მიღების უფლება და გონებაში ოლგას, ჩიტის სხეულში ჩარაზული ქალის, პორტრეტს ვხატავდი, რომელსაც დეკაბრისტების აჯანყება ახსოვდა. რატომღაც ბალიდან გაქცეული მთავრის ასული წარმომედგინა, უბრალოდ, ოდნავ უფროსი მასზე, უფრო სერიოზული, გამხდარი, ჭკვიანი თვალებით...

ტაბურეტზე კი გარეგნულად საკმაოდ ახალგაზრდა ქალი იჯდა, ასე ოცდახუთი წლის, მოკლე, ბიჭური ვარცხნილობით, ჭუჭყიანი ლოყებით, თითქოს ცეცხლმოდებული შენობიდან ახლახანს გამოაღწია. ლამაზი და არისტოკრატული სახის თხელი ნაკვთები ჰქონდა. მაგრამ ეს გამურული კანი... უხეში, მახინჯი ვარცხნილობა...

ტანსაცმელმა საბოლოოდ გამთიშა.

ჭუჭყიანი სამხედრო შარვალი ეცვა, ასე ორმოციანი წლების ნიმუში, გახსნილი ბამბის ქურთუკი, რომლის ქვეშაც ჭუჭყისგან ფერგადასული მაისური მოუჩანდა. ფეხშიშველი იყო.

- აბა, ლამაზი ვარ? – მკითხა ქალმა.

- ყველაფრის მიუხედავად, კი, - ვუპასუხე. – ასეთ ფორმაში რატომ ხარ?

- ბოლოს ადამიანის იერი ორმოცდაათი წლის წინათ მივიღე.

თავი დავუქნიე:

- გასაგებია. ომის დროს გამოგიყენეს?

- მე ყველა ომის დროს მიყენებენ, - ოლგამ ნაზად გამიღიმა. – მნიშვნელოვანი ომების დროს. სხვა დროს ადამიანად გადაქცევა აკრძალული მაქვს.

- ახლა ხომ ომი არაა.

- იქნება.

ამჯერად არ გაუღიმია. კრულვისგან თავი შევიკავე, მხოლოდ უბედურების უარყოფის ნიშანი გამოვსახე.

- არ გინდა, შხაპი მიიღო?

- სიამოვნებით.

- ქალის ტანსაცმელი არ მაქვს... ჯინსი და პერანგი გაწყობს?

თავი დამიკრა. ადგა – უხერხულად, სასაცილოდ გაიწვდინა ხელები, - გაკვირვებულმა შეხედა საკუთარ შიშველ ფეხებს და აბაზანისკენ გაემართა, თითქოს პირველად არ იღებდეს ჩემთან შხაპს.

საძინებელში გავვარდი. ალბათ ცოტა დრო მაქვს.

ჯინსი ძველია, სამაგიეროდ ერთი ზომით იმაზე პატარა, რასაც ვიცვამ. თუმცა მაინც დიდი ექნება... პერანგი? არა, თხელი სვიტრი ჯობია... ჰოო...

- ანტონ!

ტანსაცმელი მოვაგროვე, სუფთა პირსახოცს წავავლე ხელი და უკან გავვარდი. აბაზანის კარი ღია დამხვდა.

- რა არის, რა ონკანი გაქვს, ვერაფერი გავუგე.

- იმპორტული, ბურთულიანი... ახლა ასეთებს აყენებენ.

შევედი. ოლგა აბაზანაში იდგა, ზურგით ჩემსკენ და ჩაფიქრებული ატრიალებდა ონკანს მარჯვნივ და მარცხნივ.

- ზემოთ ასწიე, - ვასწავლე. – ასე ონკანი იხსნება, მარცხნივ გასწევ, ცივი წყალი წამოვა, მარჯვნივ – ცხელი.

- გასაგებია. მადლობ.

ჩემი საერთოდ არ რცხვენოდა. გასაკვირი სულაც არაა, მის ასაკსა და რანგს თუ გავითვალისწინებთ, თუნდაც ყოფილ რანგს.

მე კიდევ უხერხულად ვიგრძენი თავი, ამან ცინიკურობა შემმატა.

- რაღაც ჭინჭები ვიპოვნე. აარჩიო იქნებ რამე, თუ გჭირდება, რა თქმა უნდა.

- გმადლობ, ანტონ... – ოლგამ შემომხედა. ნუ მომაქცევ ყურადღებას. ოთხმოცი წელი ჩიტის სხეულში გავატარე, უმეტესი ნაწილი ძილში. მაგრამ მაინც, ჩემთვის საკმარისი აღმოჩნდა.

თვალები ჩაუღრმავდა, დაუწვრილდა. საშიში თვალები.

- თავს არც ადამიანად ვგრძნობ, არც სხვანაირად, არც ქალად. სიმართლე რომ გითხრა, არც – ბუდ. ალბათ უფრო ბებერი, ავი, უსქესო სულელი ვარ, რომელსაც ხანდახან ლაპარაკი შეუძლია.

საშხაპედან წყალი წამოვიდა წნევით. ოლგამ ნელა ასწია ხელები და სიამოვნებით მიუშვირა სახე წყლის ნაკადს.

- ჭუჭყის მოცილება ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიმპათიური ბიჭის აღელვება.

სიტყვა ბიჭი კამათის გარეშე გავუშვი, აბაზანიდან გავედი. თავი გავაქნიე, კონიაკის ბოთლი ავიღე და გავხსენი.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნათელია – მაქცია არ არის. რომ ყოფილიყო, ტანსაცმელი არ შერჩებოდა ტანზე. ოლგა – ჯადოსანია. ჯადოსანი ქალი, რომელიც დაახლოებით ორასი წლისაა, ოთხმოცი წლის წინ დასაჯეს და სხეული ჩამოართვეს დასჯის მიზნით, რეაბილიტაციის იმედი რჩება, ძალისმიერი ურთიერთქმედების სპეციალისტი, ბოლოს სამსახურში ორმოცდაათი წლის წინ მიუხმეს...

საკმარისი მონაცემებია კომპიუტერულ ბაზაში საძიებლად. სრულ ფაილებთან წვდომა არ მაქვს, სხვა საფეხურზე ვარ. მაგრამ, საბედნიეროდ, უმაღლესი ხელმძღვანელობას წარმოდგენაც არა აქვს, რამხელა ინფორმაციის მოძიება შეიძლება ირიბი ძებნის საშუალებით.

რა თქმა უნდა, თუ მოვინდომებ ოლგას პიროვნების დადგენას.

კონიაკი ჩამოვასხი და ოლგას დავუწყე ლოდინი. ხუთი წუთის შემდეგ ქალი სააბაზანოდან გამოვიდა, გზაში თმას იშრობდა პირსახოცით. ჩემი ჯინსი და სვიტრი ჩაეცვა. მთლიანად ვერ გარდაიქმნა, მაგრამ უფრო მიმზიდველი კი გახდა.

- გმადლობ, ანტონ. ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნებაა...

- ვხვდები.

- მიხვედრა არ კმარა. სუნი, ანტონ... დამწვრის სუნი. ნახევარი საუკუნის განმავლობაში თითქმის შევეგუე. – ოლგა მოუხერხებლად ჩამოჯდა ტაბურეტზე, ამოიოხრა: - ცუდია, მაგრამ მიხარია კიდეც, ეს ამბავი რომ დატრიალდა. რომც არ შემიწყალონ, შხაპის მიღების საშუალება მაინც მომეცემა...

- შეგიძლია ეს სახე შეინარჩუნო, ოლგა. წავალ და ნორმალურ ტანსაცმელს ვიყიდი.

- არ ღირს. ნახევარი საათი მაქვს მხოლოდ.

პირსახოცი დაგრაგნა და რაფაზე შემოაგდო. ამოიოხრა:

- ვინ იცის, როდის მეღირსება ისევ დაბანა, ან კონიაკის დალევა... გაგიმარჯოს, ანტონ.

- გაგიმარჯოს.

კონიაკს კარგი გამოდგა. სიამოვნებით მოვსვი, მიუხედავად არეული გონებისა. ოლგამ კი ერთიანად გადაკრა, შუბლი შეჭმუხნა, მაგრამ ზრდილობიანად აღნიშნა:

- არა უშავს.

- რატომ არ გრთავს შეფი ნებას, ნორმალური იერი მიიღო? დღეში ნახევარი საათი მაინც?

- მის კომპეტენციაში არ შედის.

გასაგებია. ანუ რეგიონალურ ბიუროს კი არ დაუსჯია, არამედ უმაღლეს ორგანოებს.

- წარმატებას გისურვებ, ოლგა. რაც არ უნდა დაგეშავებინა, დარწმუნებული ვარ, გამოისყიდდი დიდი ხანია.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

- მეც მაგის იმედი მაქვს. ვიცი, რომ თანაგრძნობას ვიწვევ, მაგრამ ბრალი ნამდვილად მიმიძღვის. თუმცა... მოდი, გულწრფელად გეტყვი.

- მიდი.

ოლგა მაგიდას დაეყრდნო, ჩემსკენ გადმოიწია და იდუმალი ხმით ჩამჩურჩულა:

- მომბეზრდა. მართალია, ძლიერი ნებისყოფა მაქვს, მაგრამ ასე ვეღარ ვიცხოვრებ. ჩემი ერთადერთი შანსია ისეთი მნიშვნელოვანი მისიის შესრულება, რომ ხელმძღვანელობა იძულებული გახდეს, შემიწყალოს.

- სად ვიშოვოთ ასეთი მისია?

- უკვე არსებობს და სამი ეტაპისგან შედგება. ბიჭი, რომელსაც ჩვენ დავიცავთ და სინათლის მხარეს გადმოვიბირებთ, ვამპირი გოგო, რომელსაც გავანადგურებთ.

თავდაჯერებული ტონი ჰქონდა და, მოულოდნელად, დავუჯერე. დავიცავთ და გავანადგურებთ. რა პრობლემაა.

- მაგრამ ეს წვრილმანია, ანტონ. შენ ასეთი აქცია ერთი საფეხურით წინ წაწევაში დაგეხმარება, მე კიდევ, ვერ მიშველის. მთავარი ეტაპი დაწყევლილი გოგოს პოვნაა.

- მაგაზე უკვე მუშაობენ, ოლგა. მე... ჩვენ დავალებას ჩამოგვაშორეს.

- არაფერია. ისინი ვერ გაართმევენ თავს.

- მართლა? – ირონიულად ვკითხე.

- ვერა. ბატონი ბორისი ძლიერი მაგია, მაგრამ სხვა სფეროებში, - ოლგამ დამცინავად მოჭუტა თვალები. – მე კიდევ ინფერნოს გარღვევით მთელი ცხოვრება ვარ დაკავებული.

- აი, თურმე ომი რა შუაშია! – მივხვდი.

- რა თქმა უნდა. სიძულვილის ასეთი ამოხეთქვა მშვიდობიანი პერიოდისთვის არ არის დამახასიათებელი. ნაძირალა ადოლფი... ბევრი მიმდევარი ჰყავდა, მაგრამ ომის პირველივე წელს მოაშთობდნენ, მთელს გერმანიასთან ერთად. სტალინთან სულ სხვა სიტუაცია იყო, სასწაულად ბევრი ფანატი ეტრფოდა... მძლავრი ფარი. ანტონ, ერთი უბრალო რუსის ქალი ვარ... – წამიერმა ღიმილმა მშვენივრად გამოხატა ოლგას დამოკიდებულება სიტყვა „უბრალოსადმი“, - ბოლო ომის დროს საკუთარი ქვეყნის

მტრების წყევლისგან დაცვის გარდა, არაფერს არ ვაკეთებდი. მარტო ამისთვის მაინც მეკუთვნის შეწყალება. გჯერა?

- მჯერა, - მომეჩვენა, თითქოს სასმელი მოეკიდა.

- საძაგელი სამუშაოა... ადამიანური ბუნების წინააღმდეგ წასვლა გიწევს, მაგრამ ასე შორს შეტოპვა... აი, ასე, ანტონ. ვერ გაართმევენ თავს. შემიძლია მე ვცადო, თუმცა აბსოლუტურად დარწმუნებული არც მე ვარ.

- ოლგა, თუ ასე სერიოზულადაა საქმე, რაპორტი უნდა მიაწოდო...

ქალმა თავი გააქნია და სველი თმა შეისწორა:

- არ შემიძლია. აკრძალული მაქვს ვინმესთან ურთიერთობა, ბატონი ბორისისა და ჩემი უშუალო პარტნიორის გარდა. ამ უკანასკნელს უკვე ყველაფერი მოვუყევი. ახლა ლოდინის გარდა, არაფერი დამრჩენია და იმედისა, რომ ამ მისიის შესრულებას შევძლებ – თუნდაც უკანასკნელ მომენტში.

- შეფს ეს არ ესმის?

- პირიქით, მგონია, რომ მშვენივრად ესმის.

- გასაგებია... – დავიჩურჩულე.

- საყვარლები ვიყავით. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, თან მეგობრებიც, რაც იშვიათად ხდება ხოლმე... ასე რომ, ანტონ. დღეს ბიჭისა და შიზოიდი ვამპირის საკითხი უნდა გადავწყვიტოთ. ხვალ ვნახავთ, რა მოხდება, დავიცდით, სანამ ინფერნო არ გაირღვევა. თანახმა ხარ?

- უნდა მოვიფიქრო, ოლგა.

- მშვენიერია. იფიქრე. ჩემი წასვლის დროა. იქით მიიხედე...

ვერ მოვასწარი. ალბათ, ოლგა თვითონაა დამნაშავე, ვერ გათვალა რამდენი ხანი ჰქონდა გამოყოფილი..

მართლა საშინელი სანახაობა იყო. ოლგას კანკალი აუვარდა და რკალად მოიღუნა. მთელს ტანზე ტალღამ გადაურა, ძვლებმა მოკეცვა დაიწყეს, თითქოს რეზინისგან შედგებოდნენ. კანი სკდებოდა და დასისხლიანებულ სისხლძარღვებს აშიშვლებდა. რამდენიმე წამის შემდეგ ქალი ხორცის დაჭმუჭნულ გორგლად, უფორმო ბურთად გადაიქცა. ბურთი თანდათან პატარავდებოდა, ითელებოდა და ფუმფულა, თეთრი ბუმბულით იმოსებოდა.

თეთრი ბუ ტაბურეტიდან აფრინდა, ნახევრად ფრინველის, ნახევრად ადამიანის ხმით შეჰკივლა და მაცივარზე, თავის საყვარელ ადგილას, გადაინაცვლა.

- ეს რა ეშმაკებია! – წამოვიყვირე, დამავიწყდა ყველა წესი და მითითება. – ოლგა!

- მოგწონს? – მკითხა ქალმა გაგუდული, ტკივილისგან დაღრეჯილი ხმით.

- რატომ? რატომ ასე საშინლად?

- სასჯელის ნაწილია, ანტონ.

ხელი გავიწვდინე და გაშლილ, მთრთოლვარე ფრთას შევახე.

- ოლგა, თანახმა ვარ.

- მაშინ საქმეს შევუდგეთ, ანტონ.

თავი დავუქნიე, შემოსასვლელში გავედი, კარადა გამოვაღე, სადაც აღჭურვილობას ვინახავდი და ბინდში გადავედი – სხვანაირად ტანსაცმელსა და სხვა ძველ ხლამში უბრალოდ ვერაფერს დაინახავდი.

პაწაწინა სხეული ჩემს მხარზე დაეშვა:

- რა გაქვს?

- ანიქსის ამულეტი გავიხმარე. შეგიძლია მისი შევსება?

- არა. თითქმის ყველანაირი ძალა დავკარგე. მხოლოდ იმდენი ძალა შემინარჩუნეს, რაც ინფერნოს ნეიტრალიზაციისთვის იქნებოდა საკმარისი. და მეხსიერება, ანტონ... კიდევ მეხსიერება შემრჩა. როგორ აპირებ ვამპირის მოკვლას?

- რეგისტრაცია არ გაუვლია, - ვუპასუხე. მხოლოდ ხალხური მეთოდებით.

ბუმ დაიკივლა, თითქოს გადაიხარხარაო.

- ვერხვი აღარ გამოიყენება?

- მე არ მაქვს.

- გასაგებია. შენი მეგობრების გამო?

- კი. არ მინდა, შეკრთნენ, ზღურბლს როგორც კი გადმოაბიჯებენ.

- მაშინ რა?

აგურში გამოთხრილი პატარა ნიშიდან პისტოლეტი გადმოვიღე და ბუს ცერად შევხედე.

ოლგა ყურადღებით სწავლობდა იარაღს.

- ვერცხლია? ვამპირისთვის ძალიან მტკივნეულია, მაგრამ არ კლავს.

- შიგ სასკდომი ტყვიებია, - „Desert Eagle“-დან მჭიდე გამოვიღე. ვერცხლის სასკდომი ტყვიები. კალიბრი – ნული ორმოცდაოთხი. სამი მოხვედრა ისე გაფლითავს ვამპირს, არაფრის ძალა აღარ შერჩება.

- შემდეგ?

- ხალხური საშუალებები.

- არ მჯერა ტექნიკის, - ეჭვით გამომძახა ოლგამ. – მინახავს, როგორ იკრებს ძალებს ჭურვისგან ნაწილებად გაგლეჯილი მაქცია.

- და რამდენი ხანი სჭირდება ხოლმე ძალების მოსაკრებად?

- რამდენიმე დღე.

- მეც მაგას ვამბობ.

- კარგი, ანტონ. თუ არ გჯერა საკუთარი ძალების...

უკმაყოფილო დარჩა, აშკარად ეტყობოდა. მე ოპერატიული არ ვარ. შტაბის თანამშრომელი ვარ, რომელიც საველე სამუშაოზე გაგზავნეს.

- ყველაფერი კარგად იქნება, - დავამშვიდე. – დამიჯერე. მოდი, სატყუარას ძებნაზე გადავიტანოთ ყურადღება.

- წავედით.

- აი, აქ მოხდა ყველაფერი, - ვამცნე ოლგას.

ქუჩაბანდში ვიდექით. რა თქმა უნდა, ბინდში. ირგვლივ ხალხი დადიოდა, სასაცილოდ მივლიდა გვერდს, მიუხედავად იმისა, რომ არ ვჩანდი.

- აქ მოკალი ვამპირი, - ოლგამ საშინლად საქმიანი ტონი მიიღო. – ჰო... გასაგებია, მეგობარო. ძალიან ბევრი ნაგავი დაგიტოვებია... თუმცა, არა აქვს მნიშვნელობა...

ჩემი აზრით, განსვენებული ვამპირისგან არავითარი კვალი არ დარჩენილა. მაგრამ კამათი აღარ დამიწყია.

- გოგო აქ იდგა... აქ კი რაღაცა დაარტყი... არა, არაყი შეასხი. – ოლგამ ჩუმად ჩაიცინა. – წავიდა... ჩვენმა ოპერატიულებმა სულ დაკარგეს ყნოსვა. კვალი ისევ მკაფიოა!

- გარდაიქმნა, - პირქუშად ვუპასუხე.

- ღამურად?

- ჰო. გარიკმა თქვა, ბოლო მომენტში მოასწროო.

- ცუდია. ვამპირი იმაზე ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი.

- ველურია. ცოცხალ სისხლს სვამდა და ადამიანებს ხოცავდა. გამოუცდელია, სამაგიეროდ ძალა, იცოცხლე, აქვს.

- გავანადგურებთ, - თქვა ოლგამ მკაცრი ხმით.

გავჩუმდი.

- აი, ბიჭის კვალიც, - აღნიშნა კმაყოფილმა. – მართლაც ძლიერი პოტენციალი ჰქონია. წავიდეთ, ვნახოთ, სად ცხოვრობს.

ქუჩაბანდიდან გამოვედით და ტროტუარს გავუყევით. ეზო უშველებელი იყო და ყველა მხრიდან სახლები ერტყა გარს. ბიჭის აურას მეც ვგრძნობდი, ოღონდ სუსტად და ბუნდოვნად – ამ მარშრუტით ხშირად დადიოდა.

- წავედით, - ოლგა განკარგულებებს იძლეოდა. - მარცხნივ გაუხვიე, წინ წადი, მარჯვნივ. მოიცადე...

რომელიღაცა ქუჩასთან გავჩერდი, რომელზეც ტრამვაი დაღოღიალობდა. ბინდიდან არც გამოვსულვარ.

- ამ სახლშია, - მაცნობა ოლგამ. – წავედით. აქ არის.

მახინჯი მაღალსართულიანი შენობა, რომელსაც ბრტყელი ფორმა ჰქონდა, სვეტებს ეყრდნობოდა. ერთი შეხედვით ასანთის კოლოფის უზარმაზარ ძეგლს მოგაგონებდათ, მეორე შეხედვით თვალწინ გიგანტომანიის ყველაზე ავადმყოფური განსახიერება წარმოგიდგებოდათ.

- ასეთ სახლში ცხოვრება პირდაპირ მკვლელობაზე გიბიძგებს, - აღვნიშნე. – ან გაგიჟებაზე.

- ერთსაც ვიზამთ და მეორესაც, - დამეთანხმა ოლგა. – ამაში დიდი გამოცდილება მაქვს.

ეგორს არ უნდოდა სახლიდან გამოსვლა. როცა მშობლები სამსახურში წავიდნენ და კარი მიიჯახუნეს, მოულოდნელი შიში იგრძნო. და ამავე დროს იცოდა, რომ სახლის მიღმა ეს შიში ათჯერ უფრო თავზარდამცემი გახდებოდა.

საშველი არსაიდან არ ჩანდა. მაგრამ სახლი უსაფრთხოების ერთგვარ ილუზიას ქმნიდა.

გუშინ ღამე მთელი სამყარო შეირყა და თავზე ჩამოენგრა. ეგორი ყოველთვის აღიარებდა, ნუ, თუ ხმამაღლა არ ამბობდა, გულში ყოველთვის იცოდა, რომ დიდი სიმამაცით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მშიშარასაც ვერ დაარქმევდით. არსებობს ისეთი რაღაცეები, რომლისაც უნდა გეშინოდეს და ამაში ვერავინ დაგძრახავს, მაგალითად, ნაძირალები, მანიაკები, კატასტროფები, ხანძრები, ომები, სასიკვდილო დაავადებები. საბოლოო ჯამში, ყველა ერთ მთლიან მოვლენად ერთიანდებოდა და ყველა

ერთნაირად შორს იყო მისგან. ეს ყველაფერი რეალურად კი არსებობდა, მაგრამ, ამავე დროს, ყოველდღიურობის საზღვარს მიღმა რჩებოდა. საჭიროა მხოლოდ მარტივი წესების დაცვა, არ უნდა იხეტიალო ქუჩებში გვიან ღამით, არ უნდა დაძვრებოდე სხვის უბნებში, ჭამის წინ ხელები უნდა დაიბანო, ლიანდაგებზე არ უნდა იხტუნაო. უსიამოვნებების უნდა გეშინოდეს, მაგრამ აცნობიერებდე, რომ იქ ჩავარდნის შანსი ძალიან ცოტაა.

ახლა ყველაფერი შეიცვალა.

არსებობს ისეთი მოვლენები, რომლისგანაც ვერ დაიმალები, მოვლენები, რომელთა არსებობაც რეალურ სამყაროში გამორიცხულია.

ვამპირები არსებობენ.

ყველაფერი ნათლად ახსოვდა, ძლიერმა შიშმა მეხსიერება სულაც არ დაუხშო, რისი მცირედი იმედი მაინც ჰქონდა გუშინ, როცა სახლისკენ გაქცეულმა, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, უკანმოუხედავად გადაირბინა ქუჩა. სასოებით ელოდებოდა დილას, ეგონა, მომხდარის შესახებ დაავიწყდებოდა, თუმცა არც ეს იმედი გამართლდა.

ყველაფერი, რაც მოხდა სიმართლე იყო, დაუჯერებელი სიმართლე. მაგრამ...

ეს გუშინ მოხდა. მას გადახდა თავს.

სახლში გვიან ბრუნდებოდა, ჰო, ხანდახან ამაზე გვიანაც მისულა. მშობლებიც კი, რომლებიც, ეგორის ღრმა რწმენით, დღემდე ვერ აცნობიერებდნენ, რომ ბიჭი მხოლოდ ცამეტი წლის იყო, ამას აუღელვებლად უყურებდნენ.

როცა ბავშვებთან ერთად ბასეინი დატოვა... უკვე ათი საათი იყო. ერთად შეიარეს „მაკდონალდსში“, სადაც ოცი წუთი გაჩერდნენ. ჩვეულებრივი ამბავი იყო, ვისაც ფული ქონდა, ვარჯიშის შემდეგ, „მაკში“ მიდიოდა. შემდეგ... შემდეგ რვანივე ერთად მეტროსკენ წავიდნენ. მეტრო იქვეა, ქუჩები განათებული იყო.

მაშინ ჯერ კიდევ ნორმალურად გრძნობდა თავს.

მეტროში რატომღაც ნერვიულობა დაიწყო. საათს შეხედავდა, შემდეგ მგზავრებს. მაგრამ საეჭვოს ვერაფერს ხედავდა.

მუსიკის გარდა.

და უცბად წარმოუდგენელი რამ მოხდა.

რატომღაც ბნელ, ჩაბინძურებულ ქუჩაბანდში შეუხვია და წყვილს მიუახლოვდა, რომელიც მას ელოდა... რომელმაც მიიტყუა. და თვითონვე შეუშვირა გოგოს წვრილ, არაადამიანურ კბილებს კისერი.

ახლაც კი, როცა სრულიად მარტო იყო სახლში, გრძნობდა სიცივეს – ტკბილ, მიმზიდველ სიცივეს, რომელიც ჟრუანტელივით უვლიდა მთელს ტანში. ეშინოდა, მაგრამ უნდოდა, რომ მოელვარე ეშვები შეხებოდა და გაკვრითი ტკივილი ეგრძნო, რომლის მიღმაც... რომლის მიღმაც რაღაც იქნება... ალბათ...

და კაციშვილი არ იყო ქვეყანაზე მისი დამხმარე. ეგორს იმ ქალის მზერაც ახსოვდა, ძაღლებს რომ ასეირნებდა. გამჭოლი მზერა, ფრთხილი, მაგრამ არა გულგრილი. ქალს არ შეშინებია, უბრალოდ ვერ ხედავდა, გარშემო რაც ხდებოდა... ეგორი მხოლოდ მესამე ვამპირის გამოჩენამ იხსნა, ფერმკრთალი ბიჭის პლეერით, რომელიც მეტროდან აეკიდა. ვამპირები ერთმანეთს დაერივნენ, როგორც შიმშილისგან გაავებული მგლები, რომლებიც კუთხეში მიმწყვდეული, ჯერ კიდევ ცოცხალი ირემისთვის ბრდღვნიან ერთმანეთს.

აქ კი ყველაფერი აირია – მეტისმეტად ბევრი რამ მოხდა. ვიღაცა რაღაც საგუშაგოზე და ბინდზე ყვიროდა. შემდეგ ლურჯმა ფერმა გაიელვა და ერთ-ერთი ვამპირი იქვე, მის თვალწინ დაიფშვნა, კინოში რომ ხდება ხოლმე. მისი მეგობარი გოგოს კივილის ხმაც გაისმა, რომელსაც რაღაც მიანათეს სახეში.

და თავქუდმოგლეჯილი გაქცევა...

და იმის გათვითცნობიერება, რომ მოხდა ძალიან საზარელი რამ, რაზეც ვერავისთან სიტყვასაც ვერ დაძრავდა. არ დაუჯერებენ. ვერ გაუგებენ.

ვამპირები არ არსებობენ!

არ შეიძლება ადამიანებს უყურებდე და ვერ ამჩნევდე!

არავინ იწვის ცისფერი ცეცხლის ალში და მუმიად, ჩონჩხად, ერთ პეშვ ფერფლად არ გადაიქცევა!

- ტყუილია, - არწმუნებდა საკუთარ თავს ეგორი. – არსებობს. შესაძლებელია!

საკუთარ თავსაც ძლივს უჯერებდა...

სკოლაში არ წასულა, სამაგიეროდ სახლი მიალაგა. რაღაცა აუცილებლად უნდა გაეკეთებინა. რამდენჯერმე ფანჯარასთან მივიდა და დაკვირვებული ათვალიერებდა ეზოს.

საეჭვო ვერაფერი შენიშნა.

შეძლებს კი მათ დანახვას?

კიდევ მოვლენ. ეგორს წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი. იციან, რომ ყველაფერი ახსოვს. ახლა თავიდან მოიშორებენ, როგორც მოწმეს.

უბრალოდ კი არ მოკლავენ! სისხლს დალევენ და ვამპირად აქცევენ.

ბიჭი წიგნების კარადას მიუახლოვდა, სადაც თაროების ნახევარი ვიდეოკასეტებით იყო სავსე. ალბათ, რჩევა სჭირდებოდა. „დრაკულა, მკვდარი, უკმაყოფილო“... არა, ეს კომედიაა. „ერთხელ ნაკბენი“. სისულელეა... „შიშის ღამე“... ეგორი შეკრთა. ერთხელ უკვე უყურა, მეორედ ველარ გარისკავს. ამ ფილმში ამბობდნენ: „ჯვარი შველის, თუ გჯერა მისი.“

როგორ შველის ჯვარი? მონათლულიც არაა. და ღმერთისაც არ სწამს. ადრე არ სწამდა.

ახლა, ალბათ, უნდა იწამოს.

თუ ვამპირები არსებობს, მაშინ, გამოდის, რომ ეშმაკიც არსებობს, გამოდის, რომ ღმერთიც არსებობს?

თუ ვამპირები არსებობს, გამოდის, რომ ღმერთიც არსებობს?

თუ ბოროტება არსებობს, არსებობს სიკეთეც?

- არაფერიც არ არსებობს, - თქვა ეგორმა. ხელები ჯინსის შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო, შემოსასვლელში გავიდა და სარკეში ჩაიხედა. შეიძლება ცოტა მოღუშული, მაგრამ სავსებით ჩვეულებრივი ბიჭი. ესე იგი, ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზეა. ვერ მოასწრეს კბენა.

ყოველი შემთხვევისთვის დატრიალდა და კეფის დათვალიერება სცადა. არავითარი ნაკვალევი არ ეტყობოდა. წვრილი, მაგრამ არც თუ ისე სუფთა კისერი...

უცბად ერთი აზრი მოუვიდა თავში. სამზარეულოში გავარდა, სარეცხ მანქანაზე მოკალათებული კატა დააფრთხო, და კარტოფილის, ხახვისა და სტაფილოს პაკეტებში დაიწყო ქექვა.

აი, ნიორიც.

სწრაფად გაასუფთავა ერთი კბილი და ღეჭვას შეუდგა. ნიორი მწარე აღმოჩნდა და პირი დაწვა. ეგორმა ჩაი დაისხა და ნიორს მიაყოლა, სათითაო კბილების ღეჭვა განაგრძო. ჩაიმ ცოტათი უშველა, ენა ეწვოდა, ღრძილები ექავებოდა. ამან ხომ უნდა უშველოს?

კატამ სამზარეულოში შემოიხედა, გაოცებულმა შეხედა ბიჭს და სევდიანად დაიკნავლა. ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლება ასეთი საზიზღრობის ჭამა.

ეგორმა ბოლო ორი კბილი ჩაღეჭა, ხელის გულზე გადმოაფურთხა და კისრის შეზელა დაიწყო. თვითონაც ეცინებოდა საკუთარ საქციელზე, მაგრამ ველარ ჩერდებოდა.

კისერი დაეწვა. კარგი ნიორია. ნებისმიერი ვამპირი განუტევებს სულს ასეთ სუნზე.

კატამ აღშფოთებულმა დაიჩხავლა მისაღებში. ეგორი გაირინდა და სამზარეულოდან მისაღებში გაიხედა. არაფერია. კარი სამი ურდულით და ჯაჭვითაა ჩარაზული.

- ნუ ჩხავი, გრეისიკ! – მკაცრად უბრძანა. – თორემ შენც გაჭმევ ნიორს.

კატა, ეტყობა, მუქარას მიუხვდა და მშობლების ოთახისკენ გავარდა.

კიდევ რა გააკეთოს? ვერცხლი, მე მგონი, შველის...

ეგორი საძინებელში გავიდა, სადაც კიდევ ერთხელ დააფეთა კატა, შიფონიერი გახსნა, ზეწრებიდან და პირსახოცებიდან ზარდახშა ამოიღო, სადაც დედა სამკაულებს ინახავდა. ვერცხლის ჯაჭვი გადმოიღო და გაიკეთა. ნივრის სუნით აყროლდება, საღამოს ისე მაინც მოუწევს მოხსნა. ყულაბა ხომ არ გაეტეხა და ვერცხლის ჯაჭვი ეყიდა? ჯვარით. და მოუხსნელად ეტარებინა. იტყოდა, რომ ღმერთოს იწამა. ხომ ხდება ხოლმე ასეთი რაღაცები, თავიდან არ სწამდა და მოულოდნელად იწამა!

მისაღები გაიარა, დივანზე წამოგორდა და ჩაფიქრებული მზერა მოავლო ოთახს. ვერხვი თუ აქვთ სახლში? მე მგონი, არა. და საერთოდ, როგორია ვერხვი? ბოტანიკურ ბაღში უნდა წავიდეს და ვერხვის ტოტისგან დანა გამოთალოს?

ყველა საშუალება კარგია, მაგრამ ექნება კი შედეგი? მუსიკას თუ ისევ გაიგებს... ჩუმ, მიმზიდველ მუსიკას... ვაი თუ თავად მოიხსნას ჯაჭვი, ვერხვის დანა გატეხოს და ნიორწასმული კისერი ჩამოიბანოს?

ჩუმი, წყნარი მუსიკა... უხილავი მტრები. შეიძლება აქვე არიან სადმე. უბრალოდ ვერ ხედავს. არ იცის, როგორ დაინახოს. ვამპირი კი, შეიძლება, გვერდითაც ეჯდეს და დასცინოდეს მიამიტი, მაქციასთან საბრძოლველად მზადყოფნაში ბიჭის შემხედვარე. და სულაც არ ეშინიათ ვერხვის, არც ნიორი აფრთხობთ. როგორ უნდა ებრძოლო უჩინმაჩინს?

- გრეისიკ! – დაუძახა კატას. – „კის-კისზე“ არ გამოეხმაურებოდა, რთული ხასიათი ჰქონდა. – მოდი აქ, გრეისიკ!

კატა საძინებლის ზღურბლზე იდგა, ბეწვი ყალყზე ედგა, თვალები უელავდა. ეგორის გვერდით იყურებოდა, კუთხეში, ჟურნალების მაგიდასთან მოთავსებული სავარძლისკენ, სადაც არავინ იჯდა...

ბიჭმა იგრძნო, როგორ დაუარა მთელს სხეულზე უკვე ნაცნობმა სიცივის ჟრუანტელმა. ისე გამალებით მოსწყდა ადგილს, რომ დივნიდან ჩამოვარდა და იატაკზე დაენარცხა. ბინა ისევ ცარიელი და ჩარაზული იყო. ირგვლივ ბნელოდა, თითქოს ფანჯრებს მიღმა მზის შუქი ჩაქრა...

ახლომახლო ვიღაცა იმყოფებოდა.

- არა! – დაიყვირა ეგორმა და გვერდზე გადახტა. – ვიცი! ვიცი! აქ ხართ!

კატამ ხრინწიანი ხმა გამოსცა და საწოლის ქვეშ შევარდა.

- ვხედავ! – იყვირა ეგორმა. – ხელი არ მახლო!

სადარბაზო ისედაც ჩაბნელებული და ჩაბინძურებული იყო, ბინდში კი საერთოდ კატაკომბასავით გამოიყურებოდა. ბეტონის კედლები, ჩვეულებრივ რეალობაში უბრალოდ ჭუჭყიანი, ბინდში მუქი ლურჯი ხავსით მოდებული აღმოჩნდა. რა საზიზღრობაა. აქ არც ერთი სხვანაირი არ ცხოვრობდა, სახლი რომ გაესუფთავებინა... ხელი ყველაზე ხავსიან ადგილს გავუსვი, ხავსი შეირხა, თითქოს სითბოსგან თავის დაღწევა სცადაო.

- აენთე, - ვუბრძანე.

არ მიყვარს პარაზიტები. თუნდაც განსაკუთრებული ზიანი არ მოჰქონდეთ – მხოლოდ სხვის ემოციებს სწოვდნენ. აქამდე ვერავის დაემტკიცებინა, რომ ლურჯი ხავსის დიდრონ კოლონებს ადამიანის ფსიქიკის შერყევა შეუძლიათ, რაც ზოგჯერ მწვავე დეპრესიას იწვევს, ზოგჯერ მოუთოკავ მხიარულებას. მაგრამ ყოველთვის მერჩივნა ორმაგად დაზღვეული ვყოფილიყავი.

- აენთე, - გავიმეორე და ხელის გულებში მცირედი ძალა გავუშვი.

გამჭვირვალე და მწველმა ალმა ჩახლართული ლურჯი ქეჩა მოიცვა. ორიოდე წამის შემდეგ მთელი სადარბაზო გიზგიზებდა. ლიფტისკენ დავიხიე და კაბინაში შევედი. კაბინა შედარებით სუფთა აღმოჩნდა.

- მეცხრე სართული, - მომახსენა ოლგამ. – რატომ ხარჯავ ტყუილად ძალებს?

- ხურდა...

- რა იცი, რაში დაგჭირდეს. რას ერჩოდი იმ ხავსს?

პასუხი არ გამიცია. ლიფტი ნელა მიღოღავდა ზევით – ბინდისეული ლიფტი, ჩვეულებრივის ორეული, რომელიც პირველ სართულზე იდგა.

- როგორც გინდა, - გადაწყვიტა ოლგა. – ახალგაზრდობა... სიჯიუტე...

კარი გაიღო. მეცხრე სართულზე ცეცხლი უკვე ჩამქრალა, ლურჯი ხავსი აბედივით იწვის. ირგვლივ ბინდისთვის უჩვეულო სითბო იდგა და იქაურობას ოდნავი დამწვრის სუნი ასდიოდა.

- აი, ეს კარია... – მითხრა ოლგამ.

- ვხედავ.

ბიჭის აურა მართლა ვიგრძენი კართან. დღეს სახლიდან გამოსვლაც ვერ გაებედა. მშვენიერია. ციკანი სქელი თოკითაა მიბმული და თვინიერად ელოდება ვეფხვის გამოჩენას.

- მე შევალ, - გადავწყვიტე და კარს მივაწექი.

კარი არ გაიღო.

წარმოუდგენელია!

რეალობაში შეიძლება კარი ყველა საკეტით გადაკეტო. ბინდს კი თავისი წესები აქვს. მხოლოდ ვამპირებს სჭირდებათ მიპატიჟება სხვის სახლში, ეს მათი საზღაურია მოჭარბებული ძალისა და ადამიანებისადმი გასტრონომიული მიდრეკილებებისთვის.

ბინდში რომ კარი ჩაკეტო, სულ მცირე, იქ შესვლა უნდა იცოდე.

- შიში, - განმარტა ოლგამ. – გუშინ ბიჭმა ელდანარევი შიში განიცადა. და ახლახანს იყო ბინდის სამყაროში. კარი მიიხურა და ვერც შენიშნა, რომ ერთდროულად ორ სამყაროში შეასრულა ეს მოქმედება.

- რა ვქნათ?

- შიგნით შედი. მომყევი.

მხარზე დავიხედე, არავინ იყო.

ბინდში ბინდის გამოძახება ადვილი საქმე აქ არის. რამდენჯერმე წამოვაყენე იატაკიდან საკუთარი ჩრდილი – სანამ ჩრდილმა ფორმა მიიღო და შეირხა.

- მიდი, მიდი, გამოგდის, - ჩამჩურჩულა ოლგამ.

ჩრდილში შევედი და ბინდი დამძიმდა. სივრცე სქელი ნისლით გაივსო, ფერები სრულად გაქრა. ბგერებიდან მხოლოდ საკუთარი გულის ცემა მესმოდა – ნელი და მძიმე, თითქოს ხევის ძირში ვიღაცა დოლს ურახუნებდა. და კიდევ ქარი წუოდა – ჰაერი ფილტვებში აღწევდა და ნელა ადნობდა ბრონქებს. მხარზე თეთრი ბუ წამოსკუპდა.

- აქ დიდხანს ვერ გავჩერდები, - დავიჩურჩულე და კარი გავაღე. ამ დონეზე კარი, რა თქმა უნდა, დაკეტილი არ იყო.

ფეხებში მუქ ნაცრისფერმა კატამ გამიელვა. კატებისთვის ჩვეულებრივი სამყარო და ბინდი არ არსებობს, ერთდროულად ყველა სამყაროში ცხოვრობენ. რა კარგია, რომ ნამდვილი ცნობიერება არ აქვთ.

- კის-კის-კის, - ჩავჩურჩულე. – ნუ გეშინია, ფისო...

შიგნით შევედი და კარი ჩავკეტე, უფრო საკუთარი ძალების გამოცდის მიზნით. აი, ასე, ახლა ბიჭი უფრო დაცულია. მაგრამ უშველის კი ეს, ძახილს რომ გაიგებს?

- გამოდი, - მითხრა ოლგამ. – ძალიან მალე კარგავ ძალებს. ბინდის ამ ფაზაზე გამოცდილ მაგასაც უჭირს. მე ცოტა ზემოთა ფენაში გამოვალ.

შვებით ამოვისუნთქე და გამოვედი. ჰო, ოპერატიულის სახელით ნამდვილად ვერ დავიკვეხნი, ბინდის სამივე ფენაში რომ დაუბრკოლებლად გადაადგილდება. პრინციპში, არც მჭირდებოდა.

სამყარო უფრო განათდა. მიმოვიხედე – საკმაოდ მყუდრო ბინა ბინდის სამყაროს ელემენტებით მაინცდამაინც წაბილწული არ იყო. კართან ლურჯი ხავსის რამდენიმე ზოლი შევნიშნე... არა უშავს, თვითონ ჩაკვდებიან, რადგან ძირითადი კოლონია განადგურებულია. რაღაც ხმებიც შემომესმა, მგონი სამზარეულოდან. შევიხედე.

ბიჭი მაგიდასთან იდგა და ნიორს ჭამდა, თან ჩაის აყოლებდა.

- ეს რა ჯანდაბაა... – დავიჩურჩულე.

ბიჭი ახლა უფრო პატარა და დაუცველი მომეჩვენა, ვიდრე გუშინ. გამხდარი, ოდნავ ტლანქი, თუმცა სუსტსაც ვერ დაარქმევდით, ალბათ, სპორტს მისდევს. ცისფერი ჯინსი და ლურჯი მაისური ეცვა.

- საწყალი ბიჭი, - ვთქვი.

- ძალიან ამაღელვებელი სანახაობაა, - დამეთანხმა ოლგა. – ვის მოუვიდა აზრად ნივრის მაგიურ შესაძლებლობებზე ხმის დარხევა – საკმაოდ წარმატებული ნაბიჯია ვამპირების მხრიდან. ამბობენ, თავად ბრემ სტოკერმა მოიგონაო...

ბიჭმა დაღეჭილი ნიორი გადმოაფურთხა ხელის გულზე და კისრის შეზელას შეუდგა.

- ნიორი სასარგებლოა, - ვთქვი მე.

- კი. გრიპის ვირუსისგან იცავს, - დაამატა ოლგამ. – რა ადვილად იღუპება სიმართლე, როცა სიცრუე მძვინვარებს... მაგრამ ბიჭი მართლა ძლიერია. ღამის საგუშაგოს კიდევ ერთი ოპერატიული არ აწყენს.

- ჩვენიანია?

- ჯერჯერობით არავისიანი. არაფორმირებული მომავალი, როგორც ხედავ.

- და საითკენ იხრება?

- ჯერ ვერ გაიგებ. ძალიან შეშინებულია. ახლა ყველაფერზე წავა, ოღონდ ვამპირებისგან იხნას თავი. ბნელიც გახდება და ნათელიც.

- ვერ განსჯი.

- რა თქმა უნდა. წავედით.

ბუმ ფრთები გაშალა და კორიდორში გაფრინდა. მე უკან გავყევი. ახლა ადამიანებზე ორჯერ სწრაფად ვმოძრაობდით, ბინდის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი – დროის მსვლელობის ცვლილება.

- აქ დაველოდოთ, - მიბრძანა ოლგამ, მისაღებში რომ აღმოჩნდა. – თბილა, ნათელია და მყუდრო.

რბილ სავარძელში ჩავჯექი პატარა მაგიდის გვერდზე და მაგიდაზე დაგდებულ გაზეთს დავხედე.

ბინდში გაზეთის კითხვაზე სასაცილო არაფერია.

„მოგება კრედიტებიდან იკლებს“, - ამბობდა სათაური.

სინამდვილეში ფრაზა სხვანაირად გამოიყურებოდა. „კავკასიაში დაძაბულობა მატულობს“. ახლა შეიძლება გაზეთი აიღო და სიმართლე წაიკითხო. შეულამაზებელი. ყველაფერი, რაზეც ჟურნალისტი ფიქრობდა, როცა მოცემულ თემაზე სტატიას თითხნიდა. ინფორმაციის ნაგლეჯები, რომლებიც არაოფიციალური წყაროებიდან მიიღო. სიმართლე სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ.

და რატომ?

ადამიანების სამყაროს დიდი ხნის წინ შევაქციე ზურგი. ის ჩვენი საფუძველია, ჩვენი აკვანი. ჩვენ კი სხვანაირები ვართ. დახურულ კარში ვაღწევთ და კეთილსა და ბოროტს შორის ბალანსს ვიცავთ. ჩვენ ძალიან ცოტანი ვართ, და გამრავლება არ შეგვიძლია... ჯადოსნის გოგო აუცილებლად ვერ გახდება ჯადოქარი, ხოლო მაქციის ბიჭი აუცილებლად ვერ ისწავლის მთვარიან ღამეში გადანაცვლებას.

ჩვენ არ ვართ ვალდებული, ჩვეულებრივი სამყარო გვიყვარდეს.

ვიცავთ მას მხოლოდ იმიტომ, რომ პარაზიტებივით მოვერგეთ.

ვერ ვიტან პარაზიტებს!

- რაზე ჩაფიქრდი? – მკითხა ოლგამ.

ბიჭი მისაღებში გამოჩნდა და გამალებული გავარდა საძინებლისკენ, ჩვეულებრივი სამყაროს ბარობაზე საკმაოდ სწრაფად მოძრაობდა. კარადა გადმოქექა.

- არაფერზე, ისე. მოვიწყინე.

- ხდება ხოლმე. პირველ წლებში ყველას ემართება, - ოლგას ხმა საერთოდ არ ჟღერდა ადამიანურად. – მიეჩვევი.

- მაგიტომაც მოვიწყინე.

- უნდა გიხაროდეს, რომ ცოცხლები ვართ. საუკუნის დასაწყისში სხვანაირების რიცხვი საგრძნობლად დაეცა. თითქმის გადავშენდით. ალბათ მოგეხსენება, ერთ დროს ბნელის და ნათელის გაერთიანებაზეც ლაპარაკობდნენ? ევგენიკურ პროგრამებზეც ხომ მუშაობდნენ?

- ვიცი, კი.

- მეცნიერებამ კინაღამ დაგვღუპა. ჩვენი არ სჯეროდათ, არ უნდოდათ ეწამათ. სანამ ფიქრობდნენ, რომ მეცნიერებას შეუძლია სამყარო უკეთესობისკენ შეცვალოს.

ბიჭი მისაღებში დაბრუნდა, სავარძელში ჩაესვენა და ყელზე ვერცხლის ჯაჭვის გასწორება დაიწყო.

- რას მივაღწიეთ? – ვკითხე. – ადამიანებს გამოვეყავით, ბინდში გადაადგილება ვისწავლეთ, საგნებისა და ადამიანების ბუნების შეცვლა შევძელით. და რა შეიცვალა, ოლგა?

- თუნდაც ის, რომ ვამპირები ლიცენზიის გარეშე აღარ ნადირობენ.

- აბა ერთი ადამიანს უთხარი ეგ, ვის სისხლსაც სწოვენ...

ზღურბლზე კატა გამოჩნდა, მოგვაშტერდა და გაკაპასებულმა დაიჩხავლა, თან გაავებულ მზერას არ აცილებდა ბუს.

- შენზე აქვს რეაქცია, - ოლგას მოვახსენე. – ოლგა უფრო ღრმად შედი ბინდში.

- გვიანია, - მიპასუხა. – მაპატიე... სიფხიზლე დავკარგე...

ბიჭი დივანიდან ჩამოხტა, გაცილებით სწრაფად, ვიდრე ადამიანურ სამყაროშია შესაძლებელი მოძრაობა. ჯერ თვითონაც ვერ გაერკვია, რა ემართებოდა, საკუთარ ჩრდილში შევიდა, მაგრამ ვერ მიხვდა, და ახლა ძირს ეცემოდა, თან მე მიყურებდა. უკვე ბინდიდან.

- მივდივარ... – მიჩურჩულა ბუმ და გაუჩინარდა.

კლანჭები მთელი ძალით ჩამესო მხარში.

- არა! – იყვირა ბიჭმა. – ვიცი! ვიცი! აქ ხართ!

ადგომა დავაპირე, თან ხელებს ვამოძრავებდი.

- ვხედავ! ხელი არ მახლო!

ბინდში იმყოფებოდა. მორჩა. მოხდა. გარეშე ძალის დახმარების გარეშე ყოველგვარი მიმართულების, სტიმულატორებისა და კურატორი მაგის ხელმძღვანელობის გარეშე, ბიჭმა ჩვეულებრივი და ბინდის სამყაროს შორის არსებული ზღვარი გაარღვია.

იმაზე, რასაც ბინდში პირველად დაინახავ და იგრძნობ, მეტწილადაა დამოკიდებული, ვინ გახდები.

„ბნელ მხარეზე არ უნდა გავუშვათ, მოსკოვში საბოლოოდ დაირღვევა ბალანსი“.

ბიჭი წედ გზაგასაყარზე იდგა.

და ეს გამოუცდელ ვამპირ გოგოზე სახიფათოა.

ბატონ ბორისს ტყუილად არ მიეღო გადაწყვეტილება ლიკვიდაციაზე.

- ნუ გეშინია, - მივმართე, ისე რომ ადგილიდან არ დავძრულვარ. – ნუ გეშინია. მეგობარი ვარ. არაფერს დაგიშავებ.

ბიჭი კუთხემდე მიხოხდა და გაიტრუნა. თვალს არ მაშორებდა, და აშკარად ვერ აცნობიერებდა, რომ ბინდში გადააბიჯა. მოეჩვენა, თითქოს ოთახში მოულოდნელად ჩამობნელდა, სიჩუმემ დაისადგურა და უცბად მე გამოვჩნდი...

- ნუ გეშინია, - გავუმეორე. - ანტონი მქვია. შენ რა გქვია?

ბიჭი ხმას არ იღებდა, შეშინებული წარამარა ნერწყვს ყლაპავდა. შემდეგ კისერი მოისინჯა, და რომ დარწმუნდა, რომ ჯაჭვი ისევ ადგილზე იყო, ცოტათი დაწყნარდა.

- ვამპირი არა ვარ, - დავამშვიდე.

- ვინ ხართ? – დაიყვირა ბიჭმა. კარგია, რომ ჩვეულებრივ სამყაროში ამ გამაყრუებელ ყვირილს ვერავინ გაიგებდა.

- ანტონ. ღამის საგუშაგოს თანამშრომელი.

თვალები მკვეთრად გაუფართოვდა, თითქოს ტკივილისგან დაეძაბაო.

- ჩემი საქმე ადამიანების ვამპირებისგან და სხვა ავი ძალებისგან დაცვაა.

- რატომ?

მხრები აიჩეჩა. კარგი. ცდილობს საკუთარი საქციელი შეაფასოს, მოსაზრება დაასაბუთოს. ეს ნიშნავს, რომ შიშისგან გონება მთლიანად არ დაუკარგავს.

- რა გქვია? – გავუმეორე. შემეძლო ბიჭზე ზემოქმედება მომეხდინა და შიში მომეხსნა, მაგრამ ამას ჩარევად ჩამითვლიდნენ, რაც აკრძალული იყო.

- ეგორი...

- კარგი სახელია. მე კიდევ ანტონი მქვია. გესმის? ანტონ გოროდეცკი. ღამის საგუშაგოს თანამშრომელი. გუშინ ვამპირი მოვკალი, რომელიც შენზე თავდასხმას ცდილობდა.

- ერთი?

მშვენიერია. საუბარი შედგა.

- ჰო, ვამპირი გოგო გაიქცა, ახლა ეძებენ. ნუ გეშინია, მე აქ ვარ და დაგიცავ... და ვამპირსაც ბოლოს მოვუღებთ.

- რატომაა ირგვლივ ყველაფერი ასეთი ნაცრისფერი? – მოულოდნელად იკითხა ბიჭმა.

ყოჩაღ. არა, მართლა ყოჩაღი ბიჭია.

- აგიხსნი, ოღონდ იმ პირობით, რომ მეგობრად მიმიღებ. კარგი?

- ვნახოთ.

თავის უაზრო ჯაჭვს ებღაუჭებოდა, თითქოს მისი დახმარება შეეძლო. ეჰ, ეგორ, ნეტა მართლა ასე მარტივად იყოს საქმე ამ ქვეყანაზე. არც ვერცხლი შველის, არც ვერხვი და არც ნაკურთხი ჯვარი. სიცოცხლე სიკვდილის წინააღმდეგ, სიყვარული სიძულვილის წინააღმდეგ... და ძალა ძალის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ძალას არა აქვს მორალური კატეგორიები. ყველაფერი მარტივადაა. ამას სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში მივხვდი.

- ეგორ, - ნელა გავიწიე მისკენ. – მომისმინე, რას გეტყვი...

- გაჩერდით!

მოკლე მკვეთრი ბრძანება გასცა, თითქოს ხელში სერიოზული იარაღი ეჭირა. ამოვიოხრე და გავჩერდი.

- კარგი. მაშინ მომისმინე. ჩვეულებრივი, ადამიანური სამყაროს გარდა, არსებობს ჩრდილისებრი, ბინდის სამყარო, რომ შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნეველია.

ბიჭ ფიქრობდა. შიშის მიუხედავად, შიშით კი ნამდვილად ეშინოდა, თანაც მაგრად – ვგრძნობდი, რა საშინელ ქარ-ცეცხლში ტრიალებდა. ბიჭი ცდილობდა, გაეგო. ზოგიერთ ადამიანს შიში ადუნებს, ზოგიერთებს კი, პირიქით, ძალას მატებს.

ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მეორე კატეგორიას ვეკუთვნი.

- პარალელური სამყარო?

აჰა, დაიწყო ზღაპრების მოყოლა. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, რას დაარქმევ.

- კი. და ამ სამყაროში მოხვედრა მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვისაც ზებუნებრივი შესაძლებლობები აქვთ.

- ვამპირებს?

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

- არა მარტო. კიდევ მაქციებს, თეთრ მაგებს... შავ მაგებს, მკურნალებს, წინასწარმეტყველებს.

- ესენი ყველანი არსებობენ?

ბიჭს ოფლმა დაასხა, თმა გაელუმპა, სველი მაისური ტანზე ეწებებოდა, ლოყებზე ოფლის წვეტები ჩამოეღვარა. გაწუწულ წიწილას დაემსგავსა. და მაინც, თვალს არ მაშორებდა და კონტრშეტევისთვის ემზადებოდა. თითქოს მეტის ატანა აღარ შეეძლოს.

- ჰო, ეგორ. ზოგჯერ ადამიანებს შორისაც ჩნდება ისეთი ვინმე, ვისაც ბინდის სამყაროს გარღვევა შეუძლია. თავის დროზე ან სიკეთის მხარეს იჭერენ, ან სიბოროტის, ან სინათლის, ან სიბნელის. სხვანაირები არიან. ასე ვეძახით ერთმანეთს – სხვანაირები.

- თქვენ სხვანაირი ხართ?

- დიახ. და შენც.

- რატომ?

- ჩვენ ახლა ბინდის სამყაროში ვართ, პატარა. გაიხედ-გამოიხედე, ხმებს მიაყურადე. ფერები გახუნდა. ბგერები ჩაკვდა. პატარა ისარი საათზე ძლივს დაბობღავს. ბინდის სამყაროში შეაბიჯე და იმიტომ... საფრთხისთვის თვალის გასწორება მოინდომე და სამყაროებს შორის გავლებული ზღვარი გადალახე. აქ დრო უფრო ნელა გადის, აქ ყველაფერი სხვაგვარადაა. ეს სხვანაირების სამყაროა.

- არ მჯერა, - ეგორი სწრაფად მიტრიალდა, და ისევ შემომხედა. – და გრეისიკი რატომაა აქ?

- კატა? – გამეღიმა. – ცხოველებს თავისი კანონები აქვთ, ეგორ. კატები ერთდროულად ყველა სამყაროში ბინადრობენ, მათთვის არავითარი განსხვავება არ არსებობს.

- არ მჯერა, - ბიჭს ხმა უკანკალებდა. – სიზმარს ვხედავ, ვიცი! როცა შუქი გაიელვებს... მძინავს. ასეთი რამ ადრეც დამმართნია.

- გესიზმრებოდა, რომ შუქს ანთებ, ნათურა კი არ ინთება? – პასუხი უკვე ვიცოდი, თანაც ბიჭს თვალებში ეწერა ყველაფერი. – ნელ-ნელა ინთება, ბჟუტავს სანთელივით? შენ კი მიდიხარ, ირგვლივ ისეთი სიბნელეა, რომ თითს ვერ მიიტან თვალთან?

ბიჭი დუმდა.

- ეს ყველამ გამოვიარეთ, ეგორ. ყველა სხვანაირს ესიზმრება ასეთი სიზმრები. ეს ბინდის სამყარო აღწევს ცნობიერებაში, თავს გვახსენებს. სხვანაირი ხარ. ჯერ პატარა, მართალია, მაგრამ მაინც სხვანაირი. და მხოლოდ შენზეა დამოკიდებული...

მაშინვე ვერ მივხვდი, რომ თვალები დაეხუჭა და თავს გვერდზე ხრიდა.

- იდიოტო, - ჩამჩურჩულა მხარზე შემოსკუპებულმა ოლგამ. – პირველად შევიდა ბინდში დამოუკიდებლად! ჯერ საკმარისი ძალა არ აქვს! გამოათრიე დროზე, თორემ შეიძლება სამუდამოდ დარჩეს აქ!

ბინდისეული კომა ახალბედების დაავადებაა. სულ აღარ მახსოვდა, ახალგაზრდა სხავნაირებთან არ მიმუშავია.

- ეგორ! – მივირბინე ბიჭთან, შევანჯღრიე, იღლიებში მოვჭიდე ხელი და ავიყვანე. ბუმბულივით მსუბუქი მეჩვენა, ბინდის სამყაროში მარტო დროის სვლის ტემპი არ იცვლება. – გონს მოდი!

რეაქცია არ ჰქონდა. ბიჭმა ისედაც ისეთი რამ გააკეთა, რაზეც სხვებს რამდენიმე თვის ვარჯიში სჭირდებათ ხოლმე – ბინდის სამყაროში თვითონ გადავიდა. ბინდის სამყარო კი ძალების გამოფიტვაზე გიჟდება.

- გამოათრიე! – ოლგამ საკუთარ თავზე აიღო განკარგულებების გაცემა. – გამოიყვანე ბინდიდან, ჩქარა! თვითონ ვერ მოვა გონზე!

ეს კი ყველაზე რთული იყო. პირველადი დახმარების კურსები კი მქონდა გავლილი, მაგრამ პრაქტიკულად ბინდიდან ჯერ არავინ გამომიყვანია.

- ეგორ, გამოფხიზლდი! – ლოყებზე გავულაწუნე. თავიდან სუსტად, მერე კი უფრო ძლიერად გავარტყი. – გონს მოდი! ბინდის სამყაროში მიდიხარ!

ეგორი თანდათან კარგავდა წონას და ხელებში მადნებოდა. ბინდი ბიჭის სიცოცხლეს სწოვდა, უკანასკნელს ძალებს აცლიდა, მის სხეულს ცვლიდა, თავის ბინადრად აქცევდა. ეს რა გავაკეთე!

- დახურე! – ოლგას ცივმა ხმამ გამომაფხიზლა. – დახურე ბინდი ბიჭთან ერთად... გუშაგო!

ჩვეულებრივ, სფეროს შესაქმნელად ერთ წუთზე მეტი მჭირდებოდა. ახლა ხუთი წამიც მეყო. ტკივილმა ჭურვივით იფეთქა. თავი გადავწიე, როცა უარყოფის სფერო ჩემი სხეულიდან გამოვიდა და ფერადი საპნის ბუშტი შემომავლო გარს. ბუშტი იზრდებოდა, იბერებოდა და უხალისოდ გვფარავდა მე და ეგორს.

- მორჩა, ახლა დაიჭირე. მე ვერ დაგეხმარები, ანტონ. დაიჭირე სფერო!

ოლგა ცდებოდა. უკვე დამეხმარა რჩევებით. ალბათ, მე თვითონაც მოვისაზრებდი სფეროს შექმნას, მაგრამ შეიძლება ძვირფასი წამები დამეკარგა.

ირგვლივ ინათა. ბინდი ჯერ კიდევ გვწოვდა ენერგიას, მე – დიდი გაჭირვებით, ბიჭს კი – ყოველგვარი სირთულის გარეშე, მაგრამ ეგორის განკარგულებაში სივრცის რამდენიმე კუბური მეტრი რჩებოდა. აქ ჩვეულებრივი ფიზიკური კანონები არ

მოქმედებს, მაგრამ არსებობს მათი ანალოგები. ახლა სფეროში იქმნებოდა ბალანსი ცოცხალ სხეულებსა და ბინდს შორის.

ან ბინდი გაქრება და მსხვერპლს ხელიდან გაუშვებს, ან ბიჭი ბინდის სამყაროს ბინადრად იქცევა. სამუდამოდ. ასეთი რამ ხშირად ემართებათ ხოლმე ჯადოსნებს, რომლებიც გაუფრთხილებლობის ან აუცილებლობის გამო ბოლომდე დაიხარჯნენ, და ახალბედებსაც, რომლებმაც არ იციან ბინდისგან როგორ დაიცვან თავი და საჭირო უფრო მეტს გასცემენ.

ეგორს შევხედე – სახე თვალსა და ხელს შუა უმუქდებოდა, ნაცრისფერს იღებდა. ჩრდილთა სამყაროს უსასრულო სავანეებში მიექანებოდა.

ბიჭი მარჯვენა მხარზე გადავისვი, ხოლო მარცხენათი ჯიბის დანა ამოვიღე და კბილებით გავხსენი.

- სახიფათოა, - გამაფრთხილა ოგლამ.

მე ხმა არ გამიცია. უბრალოდ მტევანზე გადავისვი.

ბინდმა გავარვარებული ტაფასავით დაიშიშინა, როცა სისხლმა გაასხა. თვალებში დამიბნელდა. საქმე სისხლის დაკარგვაში არ იყო, სისხლთან ერთად სიცოცხლესაც ვკარგავდი. ბინდისგან თავდაცვის საკუთარი სისტემა დავარღვიე.

სამაგიეროდ ენერგიის ახალი მუხტი მიიღო, რომელიც ვეღარ მოერია.

სამყარომ ნათელი ფერები დაიბრუნა. ჩემმა ჩრდილმა იატაკზე ისკუპა. ჩრდილს გადავაბიჯე. უარყოფის ფერადი სფერო გასკდა და ჩვეულებრივ სამყაროში გადმოგვისროლა.

თავი 5

სისხლმა წვრილი ნაკადით გამოასხა ფარდაგზე. ბიჭი ხელებზე მეკიდა, ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყო, მაგრამ ლოყები უკვე შევარდისფრებოდა. კატა მეზობელ ოთახში განწირული ხმით ხაოდა, თითქოს ვიღაცა ყელს სჭრიდაო.

ეგორი დივანზე დავაწვინე და გვერდზე მივუჯექი. ოლგას ვთხოვე, ბინტი მოეტანა.

ბუ მხარს მოსწყდა და თეთრი ფრთების ერთი მოსმით სამზარეულოსკენ გაიქროლა. ალბათ, გზაში ბინდში გადავიდა, რადგან ორ წამში ნისკარტით ბინტი მოჰქონდა.

ეგორმა იმ დროს გაახილა თვალები, როცა ბუს ბინტი გამოვართვი და ხელის გადახვევას შევუდექი. იკითხა:

- ვინ არის?

- ბუ. ვერ ხედავ?

- რა დამემართა? – მკითხა ეგორმა. ხმა თითქმის არ უკანკალებდა.

- გონება დაკარგე.

- რატომ? – შეშინებულმა გადაავლო მზერა სისხლის კვალს იატაკზე და ჩემს ტანსაცმელზე. ეგორი არ დამისვრია.

- ჩემი სისხლია, - ავუხსენი. – შემთხვევით გავიჭერი. ეგორ, ბინდში დიდი სიფრთხილით უნდა გადახვიდე. ბინდი უცხო გარემოა, ჩვენთვისაც კი – სხვანაირებისთის. ბინდში ყოფნისას მუდმივად უნდა ხარჯო ძალები, ახალი ენერგიით შეავსო. ნელ-ნელა. და თუ პროცესს ვერ გააკონტროლებ, ბინდი სასიცოცხლო ძალებს გამოგაცლის. ვერაფერს გააწყობ, ასეთია საზღაური.

- უფრო მეტი გადავიხადე, ვიდრე მერგებოდა?

- უფრო მეტი, ვიდრე გაგაჩნდა. და კინაღამ სამუდამოდ დარჩი ბინდის სამყაროში. ეს სიკვდილი არაა, მაგრამ, შეიძლება სიკვდილზე უარესიც იყოს.

- მოდით, მოგეხმარებით... – ბიჭი წამოჯდა, წამით სახე მოეჭმუხნა – ეტყობა თავბრუ დაეხვა. ხელი გავუწოდე და ეგორი მაჯის გადახვევას შეუდგა. მოუხერხებლად, მაგრამ მონდომებული მიხვევდა ხელს. ბიჭის აურა არ შეცვლილა, ძველებურად გარდამავალი, ნეიტრალური რჩებოდა. მართალია, ბინდში უკვე ნამყოფი იყო, მაგრამ მას ჯერ თავისი დაღის დასმა ვერ მოესწრო.

- გჯერა, რომ მეგობარი ვარ? – ვკითხე.

- არ ვიცი. ალბათ, მტერიც არ ხართ. ან, უბრალოდ, არ შეგიძლიათ, რამე დამიშავოთ!

ხელი გავიწვდინე და ბიჭის კისერს შევეხე – ბიჭი მაშინვე დაიძაბა. ჯაჭვი მოვხსენი.

- გაიგე?

- გამოდის, რომ ვამპირი არ ხართ, - ხმა თითქოს დაუწყნარდა.

- კი. მაგრამ ნუ გგონია, რომ რადგან ნიორი წაისვი და ვერცხლი ჩამოიკიდე, დაცული იქნებოდი. ვამპირისთვის ეს არავითარ წინაღობას არ ქმნის.

- ყველა ფილმში...

- ჰო, ყველა ფილმში კარგი ბიჭები ცუდ ბიჭებს ამარცხებენ. მისმინე, ეგორ, ცრუმორწმუნეობა სახიფათო რამ არის, ხშირად ცრუ იმედებს სახავს.

- სარწმუნო იმედები თუ არსებობს?

- არა. იმედი, თავისი არსით, ცრუა, - ავდექი, სახვევი მოვსინჯე. არაუშავს, საკმაოდ მჭიდროდ შემოეჭირა და ცოტა ხანი გაძლებდა. ნახევარ საათში ჭრილობის მორჩენაზე ვიზრუნებ, ჯერ ძალა არ მყოფნის.

ბიჭი დივნიდან მათვალიერებდა. ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მენდობოდა. საინტერესოა, რომ ტელევიზორის თავზე უწყინარი სახით მთვლემარე თეთრ ბუს ყურადღებას არ აქცევდა. როგორც ჩანს, ოლგამ მაინც შეაღწია მის ცნობიერებაში. მით უკეთესი – იმის ახსნა-განმარტებას მაინც გადავრჩი, საიდან გაჩნდა იქ მოლაპარაკე ბუ.

- საჭმელი გაქვს რამე? – ვკითხე.

- რა საჭმელი?

- ნებისმიერი წავა. შაქრიანი ჩაი, პურის ნაჭერი. მეც ბევრი ენერგია დავხარჯე.

- მოვძებნი რამეს. როგორ დაიჭერით?

არ დამიკონკრეტებია, მაგრამ ტყუილის თქმასაც არ ვაპირებდი.

- ძალით. ასე იყო საჭირო, ბინდიდან უნდა გამომეყვანე.

- გმადლობ. თუ მართალს ამბობ.

სითავხედის ნაკლებობას არ უჩიოდა, მაგრამ მე საწინააღმდეგო არაფერი მქონდა.

- ბინდში რომ დარჩენილიყავი, ხელმძღვანელობა თავს წამაცლიდა.

- ჰმ, - ჩაიცინა ბიჭმა და წამოდგა. ცდილობდა, მაინც შორს დაეჭირა ჩემგან თავი.

- რომელი ხელმძღვანელობა?

- მკაცრი. დამისხამ თუ არა ჩაის?

- კარგი ადამიანისთვის არაფერი მენანება, - ჰო, ისევ ეშინოდა და შიშს მომეტებული სითავხედის მიღმა ფარავდა.

- ახლავე დავაკონკრეტებ, რომ ადამიანი არ ვარ. სხვანაირი ვარ, ისევე როგორც შენ.

- და რა განსხვავებაა? – ეგორმა დემონსტრაციულად შემომხედა. – ერთი შეხედვით ვერაფერს შეგატყობს კაცი!

- სანამ ჩაის არ დამალევინებ, არაფერს გეტყვი. სტუმრების გამასპინძლება არ გასწავლეს?

- დაუპატიჟებელი სტუმრების? ჰო, მართლა, როგორ შემოხვედით?

- კარიდან. გაჩვენებ მოგვიანებით.

- წავიდეთ, - როგორც ჩანს, ვეღირსე ჩაის. ბიჭს გავყევი, თან უნებურად ვიჭყანებოდი. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ვთხოვე:

- იცი, რა, ეგორ... მოდი რა, კისერი ჩამოიბანე.

ბიჭმა თავი გადააქნია, ისე რომ არც მობრუნებულა.

- ყოველ შემთხვევაში, მარტო კისრის დაცვა არ არის საკმარისი. ადამიანის ტანზე სულ მცირე ხუთი ადგილია, სადაც ვამპირს შეუძლია კბენა.

- მართლა?

- ჰო. რა თქმა უნდა, კაცის სხეული მაქვს მხედველობაში.

ეგორს კეფაც კი გაუწითლდა.

ხუთი სავსე კოვზი შაქარი ჩავყარე ჭიქაში. ეგორს თვალი ჩავუკარი:

- დამისხით ერთი ჭიქა ჩაი ორი კოვზი შაქრით... მინდა, სიკვდილის წინ გავსინჯო.

როგორც ჩანს, ანეკდოტი არ გაეგო.

- მე რამდენი ჩავყარო?

- რამდენს იწონი?

- არ მახსოვს.

თვალის ზომით განვსაზღვრე.

- ოთხი ჩაყარე. დაწყებით ჰიპოგლიკემიას მოხსნი.

კისერი როგორც იქნა ჩამოიბანა, მაგრამ ნივრის სუნი მაინც არ მოსცილდა. ბიჭი ხარბად ხვრეპდა ჩაის:

- აბა, ამიხსენით! – მომთხოვა ეგორმა.

ნამდვილად არ მოველოდი, ასე თუ მოხდებოდა ეს ყველაფერი. მე ვიფიქრე, ბიჭს კვალდაკვალ გავყვებოდი, როცა ვამპირის ძახილს გამოყვებოდა, მერე ვამპირსაც მოვკლავდი ან შევიპყრობდი და მადლიერ ბიჭს შეფს მივგვრიდი – აი, ის კი ყველაფერს კარგად აუხსნიდა.

- დიდი ხნის წინათ, - ჩაი გადავყლურწე. – ზღაპრის დასაწყისს არა ჰგავს? მაგრამ ზღაპარი არაა.

- გისმენთ.

- კარგი. სხვანაირად დავიწყებ. არსებობს ადამიანების სამყარო, - და თავით ფანჯრის მიღმა პაწაწინა ეზოზე ვანიშნე, გზაზე ღოღიალით მიმავალ მანქანებზე. – აი, ისიც,

ჩვენს გარშემო. უმრავლესობას მისი საზღვრების გარღვევა არ შეუძლია. ყოველთვის ასე იყო, მაგრამ ხანდახან ჩვენ გამოვჩნდებით ხოლმე – სხვანაირები.

- ვამპირებიც?

- ვამპირებიც სხვანაირები არიან, მართალია განსხვავებული სხვანაირები, მათი შესაძლებლობების წინასწარაა განსაზღვრული.

- ვერ გავიგე, - ეგორმა თავი გაიქნია.

რა ვქნა, კურატორი არ ვარ. არ შემიძლია და არც მიყვარს საყოველთაო ჭეშმარიტებების ახსნა...

- ორი შამანი გემრიელად შეექცა შხამიან სოკოს და დაფდაფების ცემას შეუდგა, - დავიწყე. – დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ პირველყოფილ ხანაში. ერთი შამანი გულწრფელად ასულელებს მონადირეებსა და ბელადს, მეორე კი ხედავს, როგორ იძენს სხეულს მისი ჩრდილი გამოქვაბულის იატაკზე კოცონის შუქზე და ადამიანის სიმაღლის ხდება. შამანი ნაბიჯს დგამს წინ და ჩრდილში შედის. ბინდში გადადის და შემდეგ ყველაზე საინტერესო იწყება. გესმის?

ეგორი დუმდა.

- ბინდი იქ შესულს ცვლის. ეს სხვანაირი სამყაროა და იქ მოხვედრილ ადამიანებსაც სხვანაირებად აქცევს. ვინ გახდები, მხოლოდ შენზეა დამოკიდებული. ბინდი მშფოთვარე მდინარეს ჰგავს, რომელიც ერთდროულად ყველა მიმართულებით მიედინება. იფიქრე, ვინ იქნები ბინდის სამყაროში, ოღონდ სწრაფად გადაწყვიტე, დიდი დრო აღარ დაგრჩენია.

ახლა კი მიხვდა. ბიჭს გუგები დაუწვრილდა და სახის ფერი გაუფერმკრთალდა. შესანიშნავი სტრესგამძლე რეაქციია, ოპერატიულში გამოდგებოდა...

- ვინ შემიძლია, რომ გავხდე?

- ვინც შენ გინდა. ჯერ არ ჩამოყალიბებულხარ. და იცი, რა არჩევანი დევს საფუძველში? სიკეთესა და ბოროტებას შორის. სინათლესა და სიბნელეს შორის.

- და შენ კეთილი ხარ?

- უპირველეს ყოვლისა, სხვანაირი ვარ. განსხვავება კეთილსა და ბოროტს შორის ჩვეულებრივი ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაშია. თუ სინათლეს ირჩევ, შენს შესაძლებლობებს პირადი მიზნებისთვის არ გამოიყენებ. თუ სიბნელეს ირჩევ – ეს შენთვის ნორმალურ მოვლენად იქცევა. თუმცა შავ მაგსაც შეუძლია ავადმყოფების განკურნება და დაკარგულების პოვნა, და თეთრ მაგსაც შეუძლია, უარი უთხრას ადამიანებს დახმარებაზე.

- მაშინ არ მესმის, რა განსხვავებაა?!

- გაიგებ, როცა რომელიმეს მხარეზე დადგები.

- არსადაც არ ვდგები!

- გვიანია, ეგორ. ბინდში ხან ნამყოფი და უკვე იცვლები. ერთ ორ დღეში არჩევანი უნდა გააკეთო.

- თუ სინათლე აირჩიე... – ეგორი ადგა, ჩაი დაისხა. შევამჩნიე, რომ პირველად შემობრუნდა ჩემსკენ ზურგით, ისე, რომ არაფრის შეშინებია. – ვინ ხარ, ჯადოსანი?

- ჯადოსანის შეგირდი. ღამის საგუშაგოს ოფისში ვმუშაობ. ესეც საჭირო საქმეა.

- რა შეგიძლია? მაჩვენე, ძალიან მიანტერესებს!

ესეც ასე, ყველაფერი თითქოს სახელმძღვანელოს მიყვებოდა. ბიჭმა ბინდის სამყარო იხილა, მაგრამ მაინც არ სჯეროდა. წვრილმანი ბალაგანური ფოკუსები გაცილებით უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

- უყურე.

ხელი გავიწვდინე მისკენ. ეგორი გაჩერდა, უნდოდა, გაეგო, რა ხდებოდა, შემდეგ ჭიქას შეხედა.

ჩაის ორთქლი აღარ ასდიოდა. სითხემ ხრაშუნი დაიწყო და მალე მღვრიე ყავისფერ ყინულის ცილინდრად იქცა, რომელშიც ჩაის რამდენიმე ფოთოლი მიყინულიყო.

- უი, - შეიცხადა ბიჭმა.

თერმოდინამიკა – მატერიის მართვის ყველაზე მარტივი ნაწილია. ბროუნის მოძრაობას აღდგენის საშუალება მივეცი და ყინულმა დუღილი დაიწყო. ეგორმა შეჰყვირა და ჭიქა ხელიდან გაუვარდა.

- უკაცრავად, - წამოვხტი და ხელსაბანიდან ტილო ავიღე. ჩავიცუცქე და ლინოლეუმიდან დაღვრილი ჩაის აწმენდას შევუდექი.

- მაგიისგან მარტო უსიამოვნებებია მოსალოდნელი, - თქვა ბიჭმა. – ჭიქაზე მწყდება გული.

- ახლავე.

ჩრდილი ჩემსკენ გადმოხტა, ბინდში გადავედი და ნამსხვრევები შევათვალიერე. ნამტვრევებს ჯერ კიდევ შერჩენოდათ მთლიანი ჭიქის ხატი, ჭიქას არ ეწერა ასე მალე გატეხვა.

ბინდიდან არ გამოვსულვარ, ისე მოვხიკე ერთი მუჭა ნამსხვრევები. რამდენიმე ყველაზე წვრილი ნატეხი კი, რომელიც ქურის ქვეშ შევარდნილიყო, თვითონვე მოგორდა.

ბინდიდან გამოვედი და მთლიანი ჭიქა მაგიდაზე დავდე.

- მხოლოდ ჩაის თავიდან დასხმა მოგიწევს.

- რა მაგარია, - მე მგონი, ამ პატარა ფოკუსმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ბიჭზე. – ასე ნებისმიერ ნივთს გაამრთელებ?

- თითქმის.

- ანტონ... ერთი კვირის წინ გატეხილი ნივთის გამრთელება შეიძლება?

ძალაუნებურად გამეცინა.

- არა, ძალიან დაგვიანებულია. ბინდი შანსს იძლევა, მაგრამ ეს შესაძლებლობა ძალიან სწრაფად უნდა გამოიყენო.

ეგორი მოიღუშა. საინტერესოა, რა გატეხა ერთი კვირის წინ?

- ახლა გჯერა?

- მაგიაა?

- კი. ყველაზე პრიმიტიული. მისი შესწავლაც არაა საჭირო.

არ უნდა მეთქვა. ბიჭის თვალებში ნაპერწკალი აციმციმდა. უკვე წონიდა საკუთარ პერსპექტივებს. სარგებელს.

ჯანდაბა...

- გამოცდილ ჯადოსანს სხვა რაღაცების გაკეთებაც შეუძლია?

- კი, მეც კი შემიძლია.

- ადამიანების მართვა?

ჯანდაბა...

- კი, - ვუპასუხე. – ეგეც შეგვიძლია.

- თქვენ აკეთებთ ამას? რატომ აყავთ ტერორისტებს მძევლები? ხომ შეუძლიათ, ბინდში გადავიდნენ უჩუმრად და დაცხრილონ? ან აიძულონ, თავი მოიკლან! რატომ იხოცება ხალხი ავადმყოფობისგან? ჯადოქრებს ხომ შეუძლიათ მათი განკურნება?

- ეს უკვე კეთილი საქმე იქნებოდა, - განვუმარტე.

- რა თქმა უნდა! თქვენ ხომ თეთრი მაგი ხართ?

- თუ ნებისმიერ კეთილს საქმეს გავაკეთებთ უპირობოდ, შავი მაგები ბოროტი საქმეების ჩადენის უფლებას მიიღებენ.

fb.com/groups/elib

ეგორი გაკვირვებული სახით მაკვირდებოდა. ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მოხდა. კიდევ კარგად ეჭირა თავი.

- სამწუხაროდ, ეგორ, ბოროტი თავისი ბუნებით კეთილზე უფრო ძლიერია. სიბოროტე დესტრუქციულია. გაცილებით უფრო სწრაფად ანადგურებს, ვიდრე სიკეთე ქმნის.

- თქვენ რას აკეთებთ? ეს თქვენი ღამის საგუშაგო... შავ ჯადოქრებს ებრძვით?

პასუხის გაცემა არ შემეძლო. მთელი სიცხადით ვაცნობიერებდი, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამეწყო ბიჭთან გულახდილი საუბარი. უნდა დამეძინებინა, ბინდში უფრო ღრმად შევსულიყავი, მაგრამ მისთვის არავითარი ახსნა-განმარტებები არ უნდა მიმეცა!

ვერაფრის დამტკიცება ვერ შევძლებ!

- ებრძვით მათ?

- მთლად მასე არ არის, - მივუგე. სიმართლე სიცრუეზე უარესი იყო, მაგრამ ტყუილის თქმის უფლება არ მქონდა. – ერთმანეთს ვაკონტროლებთ.

- საბრძოლველად ემზადებით?

ეგორს ვაკვირდებოდი და ვხვდებოდი, რომ უჭკუობას ნამდვილად არ უჩიოდა. და თუ ახლა სრულ სიმართლეს ვეტყოდი, რომ ახლოვდება უდიდესი შერკინება ბოროტსა და კეთილს შორის, რომ შეიძლება ბინდის სამყაროს ჯედი გახდეს, ჩვენ მხარეს დაიჭერს.

თუმცა, მცირე ხნით.

- არა, ეგორ. ჩვენ ცოტანი ვართ.

- თეთრები? ბნელებზე ნაკლებნი?

აი, ახლა კი მზად იყო, დაეტოვებინა სახლი, მშობლები, მოელვარე აბჯარი ჩაეცვა და ნათელი საქმისთვის გაეწირა თავი...

- საერთოდ – სხვანაირები. ეგორ... ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის საუკუნეებია მიმდინარეობს, და გამარჯვება ხან ერთ მხარეს ხვდება ხოლმე წილად, ხანაც – მეორეს. ზოგჯერ სინათლე იმარჯვებდა, მაგრამ იცი, რამდენი უდანაშაულო ადამიანი, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა ბინდის სამყაროზე ეწირებოდა ამ ბრძოლას. სხვანაირები ცოტანი არიან, მაგრამ ნებისმიერ სხვანაირს შეუძლია ათასობით ჩვეულებრივი ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. ეგორ... ახლა რომ სიკეთესა და ბოროტებას შორის ომი დაიწყოს, კაცობრიობის ნახევარი გაწყდება. ნახევარი საუკუნის წინ ხელი მოეწერა შეთანხმებას. უდიდესი შეთანხმება სიკეთესა და ბოროტებას შორის, სინათლესა და წყვდიადს შორის.

ეგორს თვალები გაუფართოვდა.

ამოვისუნთქე და განვაგრძე:

- მოკლე შეთანხმებაა. მის ოფიციალურ თარგმანს წაგიკითხავ რუსულ ენაზე. უკვე უფლება გაქვს, იცოდე.

თვალები მოვიჩრდილე და სიბნელეს დავაკვირდი. ბინდი გაცოცხლდა, საუკუნეების ზღუდე გაარღვია და ალისფერი ასოებით აჭრელებულ ნაცრისფერ ტილოდ გადაიშალა. შეთანხმების ზეპირად წარმოთქმა არ შეიძლებოდა, აუცილებლად უნდა წაკითხულიყო:

ჩვენ სხვანაირები ვართ

სხვადასხვა ძალებს ვემსახურებით

მაგრამ ბინდში არავითარი განსხვავება არ არის ბნელის არყოფნასა და სინათლის არყოფნას შორის

ჩვენ ბრძოლას შეუძლია სამყარო გაანადგუროს

ჩვენ ვდებთ დიდ შეთანხმებას დაზავების შესახებ

თითოეული მხარე საკუთარი წესებით იცხოვრებს

თითოეულ მხარეს საკუთარი უფლებები ექნება

ჩვენ ვზღუდავთ საკუთარ უფლებებს

ჩვენ სხვანაირები ვართ

ჩვენ ღამის საგუშაგოს ვაყალიბებთ

რათა ნათელმა ძალებმა ბნელი ძალები აკონტროლონ

ჩვენ სხვანაირები ვართ

ჩვენ დღის საგუშაგოს ვაყალიბებთ

რათა ბნელმა ძალებმა ნათელი ძალები აკონტროლონ

დრო ყველაფერს გადაწყვეტს

ეგორს თვალები გაუფართოვდა.

- ბნელი და ნათელი ძალები თანაცხოვრობენ?

- კი.

- მაგალითად, ვამპირები... – ბიჭს არ ბეზრდებოდა ამ თემაზე ლაპარაკი. – ბნელები არიან?

- კი. ეს ბინდის სამყაროს მიერ სრულად გარდაქმნილი ადამიანები არიან. უდიდეს შესაძლებლობებს იძენენ, მაგრამ, სამაგიეროდ, თავად სიცოცხლეს კარგავენ. არსებობის შენარჩუნება მხოლოდ სხვისი ენერგიის ხარჯზე შეუძლიათ. სისხლი ამ ენერგიის გადმოქაჩვის ყველაზე მოსახერხებელი ფორმაა.

- და ადამიანებს ხოცავენ?

- შეუძლიათ დონორების სისხლითაც იარსებონ. სუბლიმირებულ პროდუქტებს ჰგავს. უგემურია, მაგრამ მსუყეა. ვამპირებს ნადირობის შესაძლებლობა რომ მიეცეთ...

- მე რომ თავს დამეცნენ!

ახლა მარტო საკუთარ თავზე ფიქრობს... ცუდია.

- ზოგიერთი ვამპირი შეთანხმებას არღვევს. სწორედ ამისთვის არსებობს ღამის საგუშაგო, რომ თვალი ადევნოს შეთანხმების შესრულებას.

- საერთოდ, ვამპირები ადამიანებზე არ ნადირობენ?

ლოყებზე უხილავი ფრთების ფარფატი შევიგრძენი. მხარზე კლანჭები ჩამესო.

- რას უპასუხებ, გუშაგო? – ჩამჩურჩულა ოლგამ ბინდის სიღრმეებიდან. – სიმართლის თქმას გაბედავ?

- ნადირობენ, - მოვახსენე. და დავამატე ის, რაც ხუთი წლის წინ ყველაზე მეტად შემზარა. – ლიცენზიით. ზოგჯერ... ზოგჯერ ცოცხალი სისხლი სჭირდებათ ხოლმე.

ბიჭს მაშინვე არ ამოუღია ხმა. მის თვალებში ვკითხულობდი, რასაც ფიქრობდა, რის კითხვასაც აპირებდა. და ვიცოდი, რომ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა მომიხდებოდა.

- თქვენ?

- ჩვენ ბრაკონიერებას ვეწინააღმდეგებით.

- გამოდის, რომ შეეძლოთ, თავს დამსხმოდნენ... მაგ თქვენი შეთანხმებით? ლიცენზიით?

- კი, - ვაღიარე.

- და სისხლს გამომწოვდნენ? და თქვენ ჩაივლიდით და გვერდზე გაიხედავდით?

თვალები დავხუჭე. შეთანხმება ნაცრისფერ ნისლში გახვეულიყო. ნათალი სტროფები, რომელთა მიღმაც საუკუნოვანი ომებისა და მილიონობით სიცოცხლის კვალი იმალებოდა.

- კი.

- წადით...

ბიჭი ისტერიკის პირამდე, სიგიჟის ზღვარამდე მისულიყო. დაქოქილ მექანიკურ სათამაშოს ჰგავდა.

- შენს დასაცავად ვარ მოსული.

- არ მინდა!

- ვამპირი თავისუფალია. თავდასხმას ეცდება..

- წადით!

ოლგამ ამოიოხრა:

- კმაყოფილი ხარ, გუშაგო?

ავდექი – ეგორი შეკრთა და ტაბურეტთან ერთად უკან დაჩოჩდა.

- გამიგებ, - ვუთხარი. – სხვა გზა არ გვაქვს...

მე თვითონაც არ მჯეროდა საკუთარი სიტყვების. კამათს ახლა აზრი არ ჰქონდა. ფანჯრებს მიღმა ბნელი უტევდა, საცაა ნადირობის დრო დადგება...

ბიჭი გამომყვა, თითქოს უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ მართლა წავიდოდი და სადმე კარადაში არ დავიმალებოდი. მეტი არაფერი მითქვამს, კარი გავაღე და კიბის უჯრედში გავედი. კარი ზურგს უკან მიჯახუნდა.

ერთი სართულით ზემოთ ავედი და კიბის ზემოთ დატანებულ ფანჯარასთან ჩავიცუცქე. ოლგა დუმდა, ხმას არც მე ვიღებდი.

არ შეიძლება სიმართლის ასე მკვახედ მიხლა. თვით ჩვენი არსებობის ფაქტის აღიარებაც კი ძნელია ადამიანისთვის. შეთანხმების გათვითცნობიერება კი მეტისმეტია...

- ვერაფერი მოვუხერხეთ, - თქვა ოლგამ. – ბიჭი სათანადოდ ვერ შევაფასეთ, ვერ გავთვალეთ მისი შესაძლებლობები და შიში. როცა აღმოგვაჩინეს, იძულებული გავხდით, კითხვებზე პასუხი გაგვეცა, თანაც სიმართლე გვეთქვა.

- რაპორტს ადგენ? – ვკითხე.

- შენ რომ იცოდე, რამდენი ასეთი რაპორტი მიწერია...

ნაგავსატარიდან მყრალი სუნი მოდიოდა. ფანჯრის მიღმა პროსპექტი ხმაურობდა, ნელ-ნელა იძირებოდა ბინდში. ქუჩაში ლამპიონებმა დაიწყეს ციმციმი. ვიჯექი, ხელში მობილურ ტელეფონს ვატრიალებდი და ვფიქრობდი, დამერეკა თუ არა შეფისთვის, თუ მის ზარს დავლოდებოდი. ბატონი ბორისი, უეჭველია, მითვალთვალებს.

უეჭველია.

- ზედმეტად ნუ აფასებ ხელმძღვანელობის შესაძლებლობებს, - მომახსენა ოლგამ. – ბორისი ახლა ყელამდეა პრობლემებში შავი ქარბორბალას წყალობით.

ხელებში ტელეფონი აწკრიალდა.

- გამოიცანი, აბა, ვინაა? – ვკითხე ოლგას და ტელეფონს ვუპასუხე.

- ვუდი ვუდპეკერი. ან ვუპი გოლდბერგი.

ახლა ხუმრობისთვის არ მცხელოდა.

- დიახ?

- სად ხარ, ანტონ?

შეფს დაღლილი, ნატანჯი ხმა ჰქონდა. ასეთი ხმა არასდროს ჰქონია.

- ერთი მახინჯი მრავალსართულიანი შენობის კიბის უჯრედში, ნაგავსატარის გვერდით. საკმაოდ თბილა, ცოტაც, და მყუდროდ ვიგრძნობდი თავს.

- იპოვნე ბიჭი? – ყოველგვარი ინტერესის გარეშე იკითხა შეფმა.

- ვიპოვნე...

- კარგია. ბოკვერს და დათვს გამოვაგზავნი. აქ მაინც არ არის მაგათი საქმე. შენ კიდევ პეროვოში გამოდი. სასწრაფოდ.

ჯიბეები მინდოდა, მომესინჯა, მაგრამ შეფმა მაშინვე გამაჩერა:

- ფული თუ არ გაქვს თან... პრინციპში, რომც გქონდეს. მილიციის მანქანა გააჩერე და უბრძანე, ქარის სისწრაფით გაგაქროლონ.

- ასე ცუდადაა საქმე? – ვკითხე.

- ძალიან. შეგიძლია ახლავე გამოხვიდე.

ფანჯარას გავხედე. გარეთ სიბნელეს დაესადგურა.

- ბატონო ბორის, არ ღირს ბიჭის მარტო დატოვება. მართლაც დიდი პოტენციური ძალა აქვს...

- ჰო, ვიცი... კარგი, ოპერატიულები გამოვიდნენ უკვე. მათ გვერდით ბიჭს საფრთხე არ ემუქრება. დაელოდე და მაშინვე გამოდი.

გაბმული ზუმერი გაისმა. ტელეფონი გავთიშე და მხარზე ჩამომჯდარ ოლგას გავხედე ცერად:

- აბა რას იტყვი, ოლგა?

- უცნაურია.

- რა? შენ თვითონ არ თქვი, რომ მარტო ვერ გაართმევდნენ თავს?

- უცნაურია, რომ შენ დაგიძახა და არა მე... – ოლგა ჩაფიქრდა. – შეიძლება... არა. არ ვიცი.

ბინდში გავიხედე და ზედ ჰორიზონტზე ორ წერტილს მოვკარი თვალის. ოპერატიულები ისეთი სიჩქარით მოქროდნენ, რომ თხუთმეტიოდე წუთში ადგილზე იქნებოდნენ.

- მისამართიც არ მკითხა, - მოღუშულმა აღვნიშნე.

- დროის დაკარგვა არ უნდოდა. ვერ იგრძენი, კოორდინატები როგორ აიღო?

- ვერა.

- მეტი უნდა ივარჯიშო, ანტონ.

- საველე სამუშაოზე არ გავდივარ ხოლმე!

- ამიერიდან გადიხარ. ჩავიდეთ დაბლა. ძახილს ჩვენც გავიგებთ.

წამოვდექი – კიბის ამ მონაკვეთს ცოტათი მივეჩვიე კიდეც, უკვე მყუდრო ადგილადაც მეჩვენებოდა, და კიბეს ქვემოთ დავუყევი. გული უცნაური სევდით დამმძიმებოდა.

ზურგს უკან კარი გაჯახუნდა. მივიხედე.

- მეშინია, - განაცხადა ეგორმა ყოველგვარი ცერემონიების გარეშე.

- ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზეა, - ისევ ავბრუნდი ზევით. – ჩვენ დაგიცავთ.

ეგორი ტუჩებს იკვნეტდა, ხან მე შემომხედავდა, ხან ნახევრად ჩაბნელებულ კიბეს გახედავდა. ჩემი სახლში შეშვება არ უნდოდა, თუმცა მარტო დარჩენის თავიც აღარ ჰქონდა.

- ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიღაცა მიყურებს, - თქვა ბოლოსდაბოლოს. – თქვენ აკეთებს ამას?

- არა. ამას, სავარაუდოდ, ვამპირი აკეთებს.

ბიჭი არც შემკრთალა. მისთვის ახალი არაფერი მითქვამს.

- როდის გადმოვა შეტევაზე?

- სახლში მოპატიჟების გარეშე შემოსვლას ვერ შეძლებს. ვამპირებისთვის დამახასიათებელი თვისებაა, აქ კი ზღაპრები ნამდვილად არ ტყუიან. შენ თვითონ მოგინდება გასვლა. თუმცა, უკვე გინდა გასვლა.

- არ გავალ!

- როცა დაგიძახებს, გახვალ. რეალობის შეგრძნებას არ დაკარგავ და გეცოდინება, რომ შეცდომას უშვებ, მაგრამ მაინც გახვალ.

- თქვენ... შეგიძლიათ, მირჩიოთ რამე? ნებისმიერი რამ?

ეგორმა ფარ-ხმალი დაყარა. დახმარებას ითხოვდა, ნებისმიერ შესაძლო დახმარებას.

- შემიძლია. მოგვენდე.

ეგორი ორიოდე წამით შეყოვნდა.

- შემოდით, - განზე გადგა. – მაგრამ... მალე დედა მოვა სამსახურიდან.

- მერე რა?

- დაიმალებით? თუ რა ვუთხრა?

- რა პრობლემაა, - დავამშვიდე. – მაგრამ...

ამ დროს მეზობლის კარი დიდი სიფრთხილით გაიღო ჯაჭვზე და კარის ჭუჭრუტანიდან მოხუცის დანაოჭებულმა სახემ გამოიჭვრიტა.

მოხუცის ცნობიერებას შევეხე – ძალიან მსუბუქად, ფრთხილად, მისი ისედაც შერყეული გონება უფრო რომ არ დამეზიანებინა.

- ა, შენ ხარ.. – მოხუცის სახე ღიმილად დაიღვარა. – შენ, შენ...

- ანტონი, - თავაზიანად ვუკარნახე.

- მეც არ ვიფიქრე, ვინ დადის აქ უცხო, - მომახსენა ბებომ, ჯაჭვი მოხსნა და სადარბაზოში გამოვიდა. – ხომ იცი, რა დროა, უკუღმართი ხალხი მომრავლდა, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ...

- არა უშავს, - დავამშვიდე. – ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ, ჯობია, ოთახში შეხვიდეთ, ტელევიზორს უყუროთ. ახალი სერია გადის ახლა.

ბებომ თავი დამიქნია, კიდევ ერთი თბილი მზერა შემავლო და ოთახს შეაფარა თავი.

- რომელი სერია? – მკითხა ეგორმა.

მხრები ავიჩეჩე:

- რა ვიცი. რომელიმე. ცოტა გადის საპნის ოპერები?

- საიდან იცნობთ ჩვენს მეზობელს?

- მე? ბებოს? არსაიდან.

ბიჭი დუმდა.

- აი, ასე, - განვუმარტე. – ჩვენ სხვანაირები ვართ. შემოსვლით კი ვერ შემოვალ, მეჩქარება, უნდა წავიდე.

- როგორ?

- შენ სხვები გიყარაულებენ, ეგორ. და არ ინერვიულო – ნამდვილი პროფესიონალები არიან, მე ვერც შევედრები.

ბინდს გავხედე, ორი კაშკაშა ნარინჯისფერი ალი უკვე სადარბაზოს უახლოვდებოდა.

- არ მინდა, - ბიჭი მაშინვე აფორიაქდა. – თქვენ მირჩევნიხართ!

- არ შემიძლია. სხვა დავალება მაქვს შესასრულებელი.

ქვემოთ სადარბაზოში კარი გაჯახუნდა და ფეხის ხმები გაისმა. მებრძოლებმა ლიფტი არ გამოიყენეს.

- არ მინდა! – ეგორი კარს ჩაებღაუჭა, თითქოს ჩარაზვა გადაეწყვიტა. – არ მჯერა მაგათი!

- ან მთლიან ღამის საგუშაგოს ენდობი, ან არავის არ ენდობი, - მკაცრად მოვუჭერი. – ჩვენ მარტოხელა სუპერმენები კი არა ვართ წითელი და ლურჯი პლაშებით. დაქირავებული თანამშრომლები ვართ. ბინდისეული სამყაროს პოლიცია. მთელი ღამის საგუშაგოს სახელით ვლაპარაკობ.

- ვინ არიან ისინი? – ბიჭი უკვე ნებდებოდა. – ჯადოქრები?

- კი. მაგრამ ვიწრო სპეციალიზაციით.

ქვემოთ ხვეულებზე ბოკვერი გამოჩნდა.

- გამარჯობა, ბავშვებო! – მხიარულად შესძახა გოგომ და ერთი ნახტომით დასძლია ბოლო საფეხურები.

ნახტომი არაადამიანური იყო, ეგორი მოიკუნტა, უკან დაიხია და დაძაბული ადევნებდა თვალს ბოკვერს. თავი გადავაქნიე – გოგონა აშკარად ტრანსფორმაციის

ზღვარზე ბალანსირებდა. მოსწონდა კიდეც ასეთი ილეთების ჩატარება, მით უმეტეს ახლა ცელქობის საფუძველიც ჰქონდა.

- რა ხდება იქ? - ვკითხე.

გოგომ ხმაურიანად ამოიოხრა და გამიღიმა:

- ოჰ... ვართ მხიარულად. ყველა პანიკაშია. წადი დროზე, შენ გელოდებიან, ანტოშა... შენ ჩემი ანაბარი ხარ, არა?

ბიჭი ხმას არ იღებდა, ჩუმად ათვალიერებდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ შეფი სწორად მოიქცა, ბიჭის დასაცავად ბოკვერი რომ გამოუშვა. ყველას ნდობას და სიმპათიას იმსახურებდა, ბავშვებიდან დაწყებული მოხუცებით დამთავრებული. ამბობენ, თავისი საქციელით ბნელებსაც თაფლავდაო. თუმცა, ისინი კი ნამდვილად ცდებოდნენ...

- მე ანაბარი არა ვარ, - როგორც იქნა ხმა ამოიღო ბიჭმა. – ეგორი მქვია.

- მე კიდევ ბოკვერი ვარ, - გაეცნო გოგო. უკვე სახლში შესულიყო, მეგობრულად მოხვია ბიჭს მხარზე ხელი. – მოდი, პლაცდარმი მაჩვენე! თავდაცვაზე გადავდივართ!

ქვემოთ ჩავედი თავის ქნევით. ხუთი წუთის შემდეგ ბოკვერი იმაზე დაუწყებს ბიჭის ლაპარაკს, თუ როგორ მიიღო სახელი ბოკვერი.

- გამარჯობა, - ჩაიბურტყუნა ზევით მიმავალმა დათვმა.

- გამარჯობა, - ხანმოკლე ხელის ჩამორთმევით მივესალმეთ ერთმანეთს. ღამის საგუშაგოს ყველა თანამშრომლისგან დათვი ყველაზე უცნაურ და შერეულ ემოციებს იწვევდა ჩემში.

საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, ჩასხმული და აბსოლუტურად ემოციაგაუმტარი სახით. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, როგორ ატარებდა თავისუფალ დროს, სად ცხოვრობდა, არავინ იცოდა, ალბათ ბოკვერის გარდა. ხმები დადიოდა, რომ ჯადოქარი კი არა, მაქცია იყო. იმასაც ამბობდნენ, თავიდან დღის საგუშაგოში მუშაობდა, შემდეგ კი, რომელიღაცა მისიის შესრულებისას, მოულოდნელად გადმოვიდა ჩვენს მხარეს. ეს სრული სისულელეა, რა თქმა უნდა, თეთრები შავებად არ იქცევიან, და არც შავები გადმოდიან თეთრების მხარეზე. მაგრამ დათვს მაინც ჰქონდა ისეთი ფარული თვისება, რომელიც ძალაუნებურად დადებითად განგაწყობდათ მის მიმართ.

- მანქანა გელოდება, - მომაძახა ოპერატიულმა, ისე რომ არ გაჩერებულა. – მძღოლი ნამდვილი მფრინავია. ქარის სისწრაფით გაგაქროლებს.

დათვი ცოტათი ენას უკიდებდა, ამიტომ მოკლე ფრაზებით ლაპარაკობდა. არ ჩქარობდა, ბოკვერი უკვე შეუდგა მორიგეობას. აი, მე კი უნდა მეჩქარა.

- იქ რა ხდება, დაძაბულები არიან? – ვკითხე, თან ნაბიჯს ავუჩქარე. ზემოდან ჩამომესმა:

- არც არაფერი.

რამდენიმე კიბეს გადავახტი და სადარბაზოდან გამოვარდი. მანქანა მართლა მელოდებოდა. ცოტა ხნით შევჩერდი და დავტკბი მდიდრული, მუქი მეწამული ბოლო მოდელის „BMW“ -თი, რომლის სახურავზე ვიღაცას დაუდევრად მიემაგრებინა ციმციმა. ორივე კარი სადარბაზოს მხარეს ღია იყო. მანქანიდან მძღოლს გამოეყო თავი, რომელსაც პიჯაკის უბიდან რევოლვერის უბე მოუჩანდა, და ნაჩქარევად ექაჩებოდა სიგარეტს. უკანა კართან მონუმენტური სახის ხნიერი მამაკაცი იდგა, რომელსაც ძვირფასი კოსტუმი ეცვა, რომლის ლაცკანზეც დეპუტატის ნიშანი უბზინავდა, და პალტო გაეხსნა. კაცი მობილურზე ლაპარაკობდა:

- კი მაგრამ ვინ არის ამისათანა? როცა მოვახერხებ, მაშინ მოვალ! რა? რა გოგოები, შე ჩემისა? შეიშალე? ერთი ნაბიჯიც ვერ უნდა გადადგათ ჩემს გარეშე?

დეპუტატმა ცერად გამომხედა, საუბარი გაწყვიტა, ისე რომ არც დამშვიდობებია, და მანქანაში ჩაჯდა. მძღოლმა ხარბად დაარტყა ნაფაზი, სიგარეტი გადააგდო და საჭეს ჩასჭიდა ხელი. ძრავამ ოდნავ დაიღმუვლა, ძლივს მოვასწარი წინა სავარძელში ჩაჯდომა, რომ მანქანა დაიძრა. კარს ჭრიალით გადაევლო მოყინული ტოტები.

- თვალებში ვერ იხედები? – შეუღრინა მძღოლს დეპუტატმა, თუმცა მომხდარი ჩემი ბრალი იყო. მაგრამ მობრუნდა თუ არა მანქანის პატრონი ჩემსკენ, მაშინვე შეეცვალა ხმა: - პეროვოზე, არა?

პირველად მივყავდი ხელისუფლების წარმომადგენლებს. და თანაც, ან მილიციის მოხელეებს, ან ბანდიტურ ავტორიტეტებს. თეორიულად კი ვიცოდი, რომ გუშაგის შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს, რომ ყველა მათ სამსახურშია, მაგრამ პრაქტიკულად არასოდეს გამომიცდია ეს თეორია.

- ჰო, საიდანაც ოპერატიულები მოვიდნენ. და ცოტას თუ აუჩქარებთ, კარგი იქნებოდა.

- გესმის, ვალოდკა? – მიუბრუნდა დეპუტატი მძღოლს. – მიაჭირე გაზს!

ვალოდკა გაზს მიაწვა და მანქანა ისე სწრაფად გაექანა, რომ გული შემიღონდა, და ბინდში გადავიხედე - მივაღწევთ კი საერთოდ?

მივაღწევთ. მაგრამ არა მარტო მძღოლის მოხერხების და წარმატების კოეფიციენტის წყალობით, რომელიც მე, როგორც ნებისმიერ სხვა გუშაგს, ხელოვნურად მქონდა მომატებული. როგორც ჩანს, ვიღაცას სავარაუდო ველი გაევლო და გზად საგულდაგულოდ გაეწმინდა იქაურობა მოსალოდნელი ავარიებისგან, საცობებისგან და მომეტებულად ბრაზმორეული საგზაო ინსპექციის თანამშრომლებისგან.

ჩვენს განყოფილებაში ასეთი რამ მხოლოდ შეფს ხელეწიფებოდა. მაგრამ რისთვის შეწუხდა ასე?

- მეც საშინლად ვგრძნობ თავს... – ჩამჩურჩულა ჩემს მხარზე მოკალათებულმა უხილავმა ბუმ. – როცა გრაფთან ერთად...

ოლგამ სიტყვა გაწყვიტა, თითქოს ზედმეტ გულწრფელობაში დაიჭირა საკუთარი თავი.

მანქანამ გზაჯვარედინი გაიარა წითელ შუქზე, წარმოუდგენელი სიჩქარით შემოუხვია და მოხერხებულად აუქცია გვერდი მსუბუქ მანქანებსა და რამდენიმე ფურგონს. გაჩერებიდან ვიღაცამ ხელიც გამოიშვირა.

- გადაკრავ? – მეგობრულად შემომთავაზა დეპუტატმა და „რემი მარტენის“ პატარა ბოთლი და ერთჯერადი ჭიქა მომაწოდა. იმდენად სასაცილო მდგომარეობა შეიქმნა, რომ ყოყმანის გარეშე დავისხი ოცდაათი გრამი. ასეთი სიჩქარისა და დაჩეხილი გზების მიუხედავად, კონიაკი ისე დავისხი, ერთი წვეთიც არ დაღვრილა.

ბოთლი დავუბრუნე, თავი დავუქნიე, შემდეგ ჯიბიდან პლეერის ყურსასმენები ამოვიღე, გავიკეთე და დისკი ჩავრთე. დისკი ჩემი საყვარელი, ჯგუფ „Воскресение“-ს უძველესი სიმღერით დაიწყო.

ერთი ბეწო ქალაქმა, ვით თოჯინამ პატარამ,

გადამთიელთ შემოსევა წარსულს მიაბარა.

აშოლტილი ციხის კოშკზე ჟანგი ჭამდა ზარბაზნებს

მოგზაურთა მარშრუტებმა ქალაქს გზა აუქციეს.

და დასვენების გარეშე წელი მისდევდა წელს

ეძინა ქალაქს მთელს.

სიზმრად ხედავდა მიწებს უკაცრიელს

და ჩამკვდარ კლდეებს...

ტრასაზე გავედით. მანქანა ისევ კრეფდა სიჩქარეს, ასე სწრაფად მოსკოვში არასდროს მივლია. და არა მარტო მოსკოვში... ალბათობის გასუფთავებული ველი რომ არა, ვაიძულებდი, სიჩქარე დაეგდოთ, თორემ ცოტა არ იყოს, შემეშინდა.

ცივ კლდეებს შორის მუსიკა ჟღერდა

ქალაქს ეძინა...

საით უხმობდა?

ან ვის ეძებდა?

არვინ იცოდა...

ჩემდაუნებურად გამახსენდა, რომ რომანოვიც სხვანაირია. უბრალოდ არაინიცირებული. ძალიან გვიან შეამჩნიეს... წინადადება წამოუყენეს, მაგრამ უარი განაცხადა.

ესეც არჩევანია.

საინტერესოა, რამდენად ხშირად ესმოდა ღამე ეს სიმღერა?

ვინც დახუთულ ღამეს არ ხურავდა სახლში ფანჯარას -

ის აღარ არის.

წავიდა ძებნად ქვეყნისა, სადაც ცხოვრებით სავსეა ცხოვრება

სიმღერის კვალდაკვალ...

- კიდევ გინდა? – დეპუტატი კეთილმოსურნეობის განსახიერებად იქცა. ნეტავ, რა ჩააწვეთეს დათვმა და ბოკვერმა? რომ მე იმის საუკეთესო მეგობარი ვარ? რომ ბევრი რამ მართებს ჩემი? რომ მე პრეზიდენტის უკანონო, მაგრამ ყველაზე საყვარელი შვილი ვარ?

რა სისულელეა ეს ყველაფერი. უამრავი საშუალება არსებობს ადამიანებში ნდობის, სიმპათიისა და დახმარების სურვილის აღძვრისთვის. სინათლეს თავისი მეთოდები აქვს, სამწუხაროა, რომ წყვდიადსაც უამრავი ასეთი საშუალება მოეპოვება. სისულელეა.

საქმე სხვა რამეშია – რაში დავჭირდი შეფს?

თავი 6

გზის პირას ილია მელოდებოდა. იდგა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, და ზიზღით შეჰყურებდა ცას, საიდანაც წვრილი ნაკადით ცვიოდა თოვლი.

– სად ხარ ამდენი ხანი? – მომაძახა, როცა დეპუტატს ხელი ჩამოვართვი და მანქანიდან გადმოვედი. – შეფი გელოდება.

– რა ხდება აქ?

ილიას ჩაეცინა. მაგრამ ღიმილს ჩვეული ხალისი აკლდა.

- ნახავ, რაც ხდება... წავედით.

გათელილ ტროტუარს ავუყევით, გზად სუპერმარკეტებიდან მომავალ ჩანთიან ქალებს ვუსწრებდით. უცნაურია, ბოლო დროს ჩვენთან სუპერმარკეტებიც გამოჩნდა, რომლებს ნამდვილისგან თითქმის ვერ გამოარჩევდით, აი, ხალხის სიარული კი იგივე რჩებოდა, გეგონებოდა, მთელი საათი მდგარიყვნენ გაყინული ქათმების რიგში...

- შორსაა? – ვკითხე.

- შორს რომ ყოფილიყო, მანქანით წავიდოდით.

- ჩვენი სექსუალური გოლითი რას შვრება? ვერ გაართვა თავი?

- ყველანაირად ეცადა, - მიპასუხა ილიამ.

რატომღაც ამის გაგონებაზე ხანმოკლე სიამოვნება ვიგრძენი, თითქოს იგნატის წარუმატებლობამ გული მომფხანაო. ჩვეულებრივ, თუ დავალება ამას მოითხოვდა, მისი მიღებიდან ერთ-ორ საათში უცხო ლოგინში აღმოჩნდებოდა ხოლმე.

- შეფმა სრული მობილიზაცია გამოაცხადა ევაკუაციისთვის, - გამომიცხადა მოულოდნელად ილიამ.

- რა?

- სრული მზადყოფნა მეთქი. თუ ქარბორბალა არ დასტაბილურდა, სხვანაირები მოსკოვს ტოვებენ.

ილია წინ მიდიოდა, ამიტომ მის თვალებს ვერ ვხედავდი. მაგრამ ტყუილის თქმა რაში დასჭირდებოდა... – ქარბორბალა ისევ... – დავიწყე, მაგრამ გავჩუმდი, რადგან საკუთარი თვალით ვნახე.

წინ, უღიმღამო ცხრასართულიანი შენობის თავზე, თოვლის ფანტელით გაჯერებული მუქი ცის ფონზე, აუჩქარებლად ბრუნავდა შავი სმერჩი.

მას უკვე ვერც ქარბორბალას დაარქმევდით და ვერც მორევს. ნამდვილი სმერჩი იყო. ამ შენობიდან კი არ ამოზიდულიყო, არამედ შემდეგი, ჯერჯერობით დამალული შენობიდან. და თუ შავბნელი კონუსის კუთხეს გავითვალისწინებდით, პირდაპირ დედამიწის გულიდან მომდინარეობდა.

- რა ეშმაკებია... – ჩავიჩურჩულე.

- ნუ ითარსები! – სიტყვა გამაწყვეტინა ილიამ. – უმაგისოდაც ცუდ დღეში ვართ.

- ოცდაათი მეტრისაა...

- ოცდათორმეტი. და ზრდას აგრძელებს.

გამალებით შევხედე მხარს და ოლგა დამინახე. ბინდიდან გამოსულიყო.

ოდესმე გინახავთ დამფრთხალი ჩიტი? ადამიანივით შეშინებული?

ბუ აფხორილიყო. არ მეგონა, ფრთებიც თუ დგებოდა ყალყზე. თვალები მოყვითალო-მონარინჯისფრო, ქარვისფერი ცეცხლით უელავდა. ჩემი საცოდავი ქურთუკი მხარზე სულ მთლად გამოეძენძა. კლანჭებს ისევ მასობდა მხარში და მფხაჭნიდა, თითქოს ზედ ხორცამდე აპირებდა დასვლას.

- ოლგა!

ილია მობრუნდა და თავი დამიქნია:

- აი, შეხედე... შეფი ამბობს, რომ ხიროსიმას ქარბორბალაც კი არ ყოფილა ამ სიმაღლის.

ბუმ ფრთები გაშალა და უხმაუროდ, მდორედ აფრინდა. ზურგს უკან ვიღაც ქალმა შეჰკივლა, მოვიხედე და დაბნეული სახე და გაოცებული თვალები შემრჩა, რომლებიც აფრენილ ფრინველს გააყოლა.

- ყორანი მიფრინავს, - ჩუმად წარმოთქვა ილიამ, თან ცალი თვალით ქალს შეხედა. ჩემზე სწრაფი რეაქცია ჰქონდა. ორიოდე წამის შემდეგ შემთხვევითმა თვითმხილველმა ბუზღუნით გაგვისწრო, ვიწრო ტროტუარებზე და, საერთოდ, იმ ხალხზე ბუზღუნით, შუა გზაში დგომა რომ უყვართ.

- სწრაფად იზრდება? – ვკითხე ქარბორბალაზე.

- ძალიან სწრაფად და არათანაბრად. ახლა სტაბილიზაციაზე მუშაობენ. შეფმა დროზე გამოიწვია იგნატი. წავედით...

ბუმ სმერჩს ფართო წრე დაარტყა, დაბლა დაეშვა და ჩვენს თავზე გადაიფრინა. მართალია თავდაჭერილობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ისე ნაჩქარევად დატოვა ბინდი, რომ დაბნეულობა ვერ დაემალა.

- რა დააშავა?

- არაფერი ისეთი... ხომ იცი მაგის ზედმეტი თავდაჯერებულობა. ნაცნობობა გააბა, მაგრამ ძალიან იჩქარა და ამით მხოლოდ ქარბორბალას ზრდა გამოიწვია... თანაც როგორი.

- არ მესმის, - გაოგნებულმა წარმოვთქვი. – ასეთი ზრდა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ინფერნოს გამომხმობი ჯადოქრის ენერგია ასაზრდოებს...

- სწორედ მაგაზეა ლაპარაკი. ვიღაცა იგნატის კვალს მიჰყვა, და ცეცხლს ნავთი მოასხა. აქეთ...

შენობის სადარბაზოში შევედით, რომელიც ქარბორბალას ეფარებოდა. ბუ ბოლო მომენტში შემოფრინდა ჩვენს კვალდაკვალ. გაოცებულმა შევხედე ილიას, მაგრამ არაფერი მიკითხავს. თუმცა, ნათელი გახდა, რატომაც გვიხმეს.

ერთ-ერთ ბინაში, პირველ სართულზე, ოპერატიული შტაბი განეთავსებინათ. მასიური რკინის კარი, რომელიც ადამიანურ სამყაროში საგულდაგულოდ იყო ჩარაზული, ბინდის სამყაროში ფართოდ გაეღოთ. ილია ბინდში გადავიდა შეუჩერებლად და ოთახში შეაღწია. მე რამდენიმე წუთი შევყოვნდი, საკუთარი ჩრდილს ვეწვალებოდი და მალევე შევყევი.

ბინა დიდი იყო, ოთხ ოთახიანი და მყუდროდ მოწყობილი, მაგრამ ოთახებში ხმაურობდნენ, ცხელოდა და სიგარეტის კვამლით გაჟღენთილიყო.

ბინაში ოცზე მეტი სხვანაირი შეკრებილიყო. ოპერატიულებიც და ჩვენც, ოფისის ვირთხები. ჩემთვის არავის მოუქცევია ყურადღება, ოლგას კი ყველა ათვალიერებდა. მივხვდი, რომ საგუშაგოს ძველი თანამშრომლები იცნობდნენ, მაგრამ არავის უცდია გაეღიმა მისთვის ან მისალმებოდა.

რა ჩაიდინე ამისთანა?

- საძინებელში გადი, შეფი იქაა, - მომაძახა ილიამ, თვითონ კი სამზარეულოსკენ გაემართა. სამზარეულოში ჭიქების წკარაწკური ისმოდა. ან ჩაის სვამდნენ, ან რამე სპირტიან სასმელს. ოთახებს თვალი გადავავლე და მივხვდი, რომ სპირტიანს სვამდნენ. იგრატს კონიაკს ასმევდნენ. ჩვენი სექსუალური ტერორისტი წარუმატებლობას დაეთრგუნა და გაენადგურებინა, კარგა ხანია ასეთი კრახი არ განუცდია.

გზა განვაგრძე, პირვლივე კარი შევაღე და შევიხედე.

საბავშვო ოთახი აღმოჩნდა. პატარა საწოლზე ბავშვს ეძინა, გვერდით, ნოხზე კი მშობლები და უფროსი და თვლემდნენ. გასაგებია, ბინის პატრონებს ტკბილი და ღრმა ძილი მიჰგვარეს, ფეხ ქვეშ რომ არ მოსდებოდნენ. შეიძლება მთელი შტაბის ბინდის სამყაროში მოწყობა, მაგრამ ზედმეტი თავის შეწუხება იქნებოდა.

ვიღაცამ მხარზე დამკრა ხელი. მივიხედე – სემიონი აღმოჩნდა.

- შეფი იქითაა, - მოკლედ მომახსენა. – მიდი...

როგორც ჩანს, ყველამ იცის, რომ მელოდებოდნენ.

მეორე ოთახში შევედი და გავშტერდი.

საცხოვრებელ სახლში მოწყობილი ღამის საგუშაგოს შტაბზე უაზრო არ მინახავს არაფერი.

კოსმეტიკის საშუალებებითა და ბიჟუტერიით გადაჭედილი ტუალეტის მაგიდის თავზე საშუალო ზომის მაგიური სფერო ეკიდა. სფერო ქარბორბალას ზედხედს აჩვენებდა. გვერდით პუფზე ლენა იჯდა, ჩვენი საუკეთესო ოპერატორი, სიტყვაძუნწი და მობილიზებული. თვალები დაეხუჭა, მაგრამ ჩემს შემოსვლაზე ხელი ოდნავ ასწია და მომესალმა.

კარგი, ჩვეულებრივი ამბავია. სფერო სივრცის კომპლექსური ტრანსლაციის საშუალებას იძლევა, ვერსად გაექცევი.

საწოლზე ბალიშებზე დაყრდნობილი შეფი წამოწოლილიყო. ჭრელი ხალათი, რბილი აღმოსავლური ფეხსაცმელი ეცვა და არახჩინი ეხურა. ოთახს გადასატანი ნარგილეს მოტკბო კვამლი ავსებდა. თეთრი ბუ მის გვერდით მოკალათებულიყო, როგორც ჩანს უსიტყვოდ საუბრობდნენ.

ესეც ჩვეულებრივი ამბავია. განსაკუთრებით დაძაბულ მდგომარეობაში შეფი ხშირად მიმართავს შუა აზიაში შეძენილ ჩვევებს. შეფი იქ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში მუშაობდა. თავდაპირველად მუფტის ჩინს ამოფარებული, შემდეგ ბასმაჩების წინამძღოლად შენიღბული, შემდეგ - წითელი კომისრის მუნდირით, დაბოლოს ათი წელი რაიკომის მდივნად იმუშავა.

ფანჯარასთან დანილა და ფარიდი იდგნენ. ჩემი შესაძლებლობებიც კი საკმარისი იყო, სახელოებში ჩამალული მაგიური კვერთხის ალისფერი ელვარება რომ შემემჩნია.

მიღებული განაწესის მიხედვით, შტაბს ასეთ დროს დაცვის გარეშე არ ტოვებდნენ. დანილა და ფარიდი, მართალია, ყველაზე ძლიერი მებრძოლების რიცხვს არ ეკუთვნოდნენ, სამაგიეროდ დიდი გამოცდილება ჰქონდათ, რაც, ხშირ შემთხვევაში, ცარიელ ძალაზე მეტად ფასობს.

მაგრამ როგორი დამოკიდებულება უნდა მქონოდა ჯადოსანთან, რომელიც ოთახში იმყოფებოდა?

კუთხეში ჩაცუცქულიყო თავისთვის, მორიდებული და ყველასგან შეუმჩნეველი, ჩხირივით გამხდარი, ჩაცვენილი ლოყებით, სამხედრო ყაიდაზე შეკრეჭილი მოკლე თმით. დიდი და სევდიანი თვალები ჰქონდა. ასაკის დადგენა თითქმის შეუძლებელი იყო, შეიძლებოდა ოცდაათი წლისაც ყოფილიყო და შეიძლებოდა – სამასისაც. მუქი ფერის ტანისამოსი ეცვა: თავისუფალი პიჯაკი და ნაცრისფერი პერანგი მის გარეგნობას კარგად ეხამებოდა. ადამიანს რომ შეეხედა, რომელიმე სექტის წევრად მიიჩნევდა. და ერთის მხრივ, მართალიც იქნებოდა.

შავი მაგი გახლდათ, თანაც უმაღლესი რანგის. როცა შეპარვით შემომხედა, ვიგრძენი, რომ დამცავი გარსი, - რომელიც, სხვათა შორის მე არ შემომივლია! – გასკდა და გაღუნვა დაიწყო.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

ერთი ნაბიჯი უკან გადავდგი. მაგრამ ჯადოქარს უკვე თვალები დაეხარა, რითაც მანიშნა, რომ ზონდირება შემთხვევითი, წამიერი ხასიათი ჰქონდა...

- ბატონო ბორის, - ვიგრძენი, რომ ხმას ხრინწი შეპარვოდა.

შეფმა თავი დამიკრა და შავ მაგს მიუბრუნდა. ჯადოქარი მაშინვე შეფს მიაჩერდა.

- ამულეტი მიეცი, - მოკლედ უბრძანა შეფმა.

შავ მაგს დაბალი და სევდიანი ხმა ჰქონდა, როგორც მთელი ქვეყნიერების ტვირთით წელგაწყვეტილ ადამიანს.

- შეთანხმების საწინააღმდეგოს არაფერს ვაკეთებ...

- არც მე. ჩემს თანამშრომლებს იმუნიტეტი უნდა ჰქონდეთ დამკვირვებლების მიმართ.

ხედავ შენ! ჩვენს შტაბში შავი მხარის დამკვირვებელი იმყოფებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გვერდით დღის საგუშაგოს საველე შტაბია გაშლილი და იქ ჩვენიანი ზის რომელიმე.

შავმა ჯადოქარმა ხელით პიჯაკის ჯიბე მოსინჯა, მოჩუქურთმებული ძვლის პატარა მედალიონი ამოიღო სპილენძის ჯაჭვზე და მომაწოდა.

- სახელი? – ვკითხე.

- ზავულონი.

არ გამიგია ეს სახელი. ან ნაკლებად ცნობილია, ან დღის საგუშაგოს ყველაზე მაღალი ეშელონები უკავია,

- ზავულონ... – ამულეტს შევხედე და გავიმეორე. – ჩემზე ძალაუფლება აღარ გაქვს.

მედალიონი ხელში გათბა. პერანგის ზემოთ დავიკიდე, მაგს თავი დავუკარი და შეფს მივუახლოვდი.

- აი, ასეთი ამბებია, ანტონ, - მითხრა შეფმა ოდნავ გაურკვევლად, ისე რომ ნარგილეს მუნდშტუკი პირიდან არ მოუცილებია. - ასეთი ამბებია. ხედავ?

ფანჯარას გავხედე და თავი დავუქნიე.

შავი ქარბორბალა იმის მსგავსი ცხრასართულიანი შენობიდან იზრდებოდა, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით. მორევის წვრილი, მოქნილი წვერი სადღაც პირველი სართულის დონეზე მთავრდებოდა. ბინდში გადავიხედე და ზუსტად დავადგინე ბინის მდებარეობა.

- ეს როგორ მოხდა? – ვიკითხე. ბატონო ბორის, ეს ხომ ჩამოვარდნილი აგური არაა... არც გაზის მილის აფეთქება სადარბაზოში...

- ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, - შეფმა რატომღაც საჭიროდ ჩათვალა, ჩემთვის ანგარიში ჩაებარებინა. – ყველა სარაკეტო შახტას ვაკონტროლებთ, იგივე ითქმის ამერიკასა და საფრანგეთზე. ჩინეთში სამუშაოები სრულდება. გაცილებით უფრო რთულია ტაქტიკური ბირთვული იარაღის საკითხი. ვერაფრით ვახერხებთ, ყველა მოქმედი ლაზერული თანამგზავრის ამუშავებას. ქალაქი სავსეა ბაქტეოროლოგიური ნაგვით... ერთი საათის წინ ვირუსოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კინაღამ გაჟონვა მოხდა.

- განგებას ვერ გააცურებ, - სიფრთხილით მოვახსენე.

- სწორედ მაგას ვაპირებთ. ხომალდის ფსკერზე გაჩენილ ნაპრალებს ვქოლავთ. ხომალდი კი ლამისაა შუაზე გადატყდეს.

მოულოდნელად შევნიშნე, რომ ყველა – შავი მაგიც, ოლგაც, ლენაც და მებრძოლებიც, - მე მიყურებდნენ და უხერხულად ვიგრძენი თავი.

- ბატონო ბორის?

- ეგ გოგო გულში ჩაგივარდა.

- რა?

შეფმა ამოიოხრა და კვამლი გამოუშვა, ოპიუმის ცივი ბოლი იატაკს პარვით მოედო. – შენ, ანტონ გოროდეცკის, პროგრამისტს, უცოლოს, საშუალო შესაძლებლობების – ის გოგო აგეკვიატა, შავი სისაძაგლე რომ დასტრიალებს თავზე.

კუთხეში მიყუჩებულმა შავმა მაგმა ოდნავ გასაგონად ამოიოხრა.

- რატომ? – ამაზე უკეთესი კითხვა ვერაფერი მოვიფიქრე.

- არ ვიცი. იგნატი მივუგზავნეთ. მართალია სუფთად იმუშავა. ხომ იცი, იგნატი ვის არ აცდუნებს.

- გოგოსთან არ გამოუვიდა არაფერი?

- გამოუვიდა. მაგრამ ქარბორბალას ზრდა მაინც ვერ შევაჩერეთ. ნახევარი საათი იყვნენ ერთად და ამ ხნის განმავლობაში ქარბორბალა მეტრანახევრიდან ოცდახუთ მეტრამდე გაიზარდა. იძულებული გავხდით, მაშინვე გამოგვეხმო...

შავ ჯადოქარს შევაპარე მზერა. ზავულონი თითქოს იატაკს დაჰყურებდა, მაგრამ მაშინვე ასწია თავი. მაგრამ ამჯერად ამულეტმა იმოქმედა – როგორც ჩანდა, საიმედოდ მიცავდა.

- ჩვენ ეს არ გვჭირდება, - ჩუმად წარმოთქვა. – სპილოებს მარტო ველურები თუ ხოცავენ, ხორცის ერთი პატარა ნაჭრით რომ ჩაიტკბარუნონ პირი.

შედარებამ გამაოგნა. მაგრამ, როგორც შევატყვე, სიმართლეს ამბობდა.

- მსგავსი გაქანების გამანადგურებელი ძალა იშვიათად გვჭირდება ხოლმე, - დაუმატა ზავულონმა. – ამჟამად არაფერი ისეთი პროექტი არ გვაქვს, ასეთი მასშტაბის ენერგიის ამოხეთქვას რომ საჭიროებდეს.

- ძალიან დიდი იმედი მაქვს... – უცნაური, დაწვრილებული ხმით დასძინა შეფმა. – ზავულონ, უნდა იცოდე, რომ თუ კატასტროფა გარდაუვალია... ჩვენც მაქსიმალურად გამოვიყენებთ მდგომარეობას.

ზავულონის სახეზე ღიმილის ჩრდილმა გადაირბინა:

- ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც მომხდარი შეაშფოთებს, რომლებიც ცრემლებს დაღვრიან და დაშავებულებს თანაუგრძნობენ, უსაზღვროდ დიდი იქნება. მაგრამ ამაზე მეტი, გაცილებით უფრო მეტი ადამიანი ტელევიზორის ეკრანს მიუჯდება და ხარბად მიადევნებს თვალს დატრიალებულ უბედურებას, სხვისი ჭირ-ვარამით დატკბება და გაიხარებს, რომ განსაცდელი მის ქალაქს ასცდა, მახვილ კომენტარებს არ დაიშურებს მესამე რომის შესახებ, რომელსაც უზენაესი სასჯელი ხვდა წილად. შენც იცი ეს, მომხდურო.

ზავულონი ღვარძლიანი ნიშნის მოგებით არ ლაპარაკობდა, უმაღლესი რანგის ბნელებს ასეთი პრიმიტიული რეაქცია არ ახასიათებდათ. უბრალოდ ინფორმაციას გვაწვდიდა.

- იცი, რომ ჩვენ მაინც მზად ვართ, - მიუგო ბატონმა ბორისმა.

- ვიცი. მაგრამ ჩვენ უფრო ხელსაყრელი პოზიცია გვაქვს. თუ, რა თქმა უნდა, სადმე წყვილი ტუზი არა გაქვს გადამალული, ბორის.

- ხომ იცი, კარე ყოველთვის მაქვს.

შეფი მომიბრუნდა, თითქოს შავი ჯადოქრისადმი მოულოდნელად დაკარგა ინტერესი:

- ანტონ, ქარბორბალას დღის საგუშაგო არ ასაზრდოებს. ვიღაც მარტოხელა შავი მაგი ამუშავებს, წარმოუდგენელი ძალის პატრონი. იგნატის მოახლოება იგრძნო და მოვლენების დაჩქარება დაიწყო. ახლა ერთადერთ იმედს შენზე ვამყარებთ.

- რატომ?

- ხომ გეუბნებით, რაღაც გაკავშირებთ ერთმანეთთან. ანტონ, ალბათობის ველში სამი სავარაუდო მიმართულება არსებობს.

შეფმა ხელი მოატარა და ჰაერში ეკრანის თეთრი სიბრტყე გამოჩნდა. ზავულონი შეიშმუშნა – ალბათ ამოხეთქილმა ენერგიამ გაკენწლა ოდნავ.

- პირველი ხაზი მოვლენების განვითარებას ეხება, - მომახსენა შეფმა.

შუა ოთახში ყოველგვარი საყრდენის გარეშე ჩამოფარებულ ტილოზე შავი ზოლი ჩამოწვა და უგვანო ლაქად გაიშალა, ეკრანის საზღვრებს გადასცდა.

- ყველაზე შესაძლებელი განვითარება ასეთია. ქარბორბალა პიკს აღწევს და ინფერნო საზღვრებს არღვევს, რასაც მილიონობით მსხვერპლი, გლობალური კატაკლიზმები – ბირთვული, ბიოლოგიური, ასტეროიდის ვარდნა, თორმეტბალიანი მიწისძვრა – მოყვება. ნებისმიერი რამ.

- ინფერნოს პირდაპირი გარღვევა შესაძლებელია? – სიფრთხილით დავსვი კითხვა და ზავულონს გავხედე ცალი თვალით – სახეზე ემოციის ნატამალი არ ეტყობოდა.

- არა, არა მგონია. ზღვარი ჯერ კიდევ შორსაა, - შეფმა თავი გადააქნია. – წინააღმდეგ შემთხვევაში, დღისა და ღამის საგუშაგოები ერთმანეთს ამოწყვეტდნენ. მეორე მიმართულება...

წვრილი ხაზი, რომელიც შავი ზოლიდან გამოდის. გაწყვეტილია...

- სამიზნეს განადგურება. ქარბორბალა გაიწოვება, თუ სამიზნე დაიღუპება... დამოუკიდებლად.

ზავულონი შეიშმუშნა და თავაზიანად შესთავაზა:

- ამ პატარა აქციის ჩატარებაში მზად ვარ, დაგეხმარო. ღამის საგუშაგო მარტო ვერ განახორციელებს, ხომ ასეა? თქვენს სამსახურში გვიგულეთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. შეფმა მოულოდნელად გადაიხარხარა.

- როგორც გენებოთ, - ზავულონმა მხრები აიჩეჩა. – ვიმეორებ – ჯერჯერობით ჩვენს სამსახურს გთავაზობთ. ჩვენ არ გვჭირდება გლობალური კატასტროფები, რომელიც წამიერად შეიწირავს მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს. ჯერ არ გვჭირდება.

- მესამე გზა, - განაგრძო შეფმა, თან თვალს არ მაშორებდა. – ყურადღებით უყურე.

კიდევ ერთი ხაზი, რომელიც საერთო ფესვიდან გამომდინარეობდა, თანდათან წვრილდებოდა და ბოლოს საერთოდ ქრებოდა.

- ეს მაშინ მოხდება, თუ საქმეში შენ ჩაერთვები, ანტონ.

- რა უნდა გავაკეთო? – ვკითხე.

- არ ვიცი. ალბათობის პროგნოზი ზუსტ მითითებებს არასოდეს იძლეოდა. მხოლოდ ერთი რამ არის ცნობილი – ქარბორბალას მოხსნა შეგიძლია.

უცბად თავში სულელურმა აზრმა გამიელვა, რომ ჩემი გამოცდა გრძელდება. საველე შემოწმება... ვამპირი მოვკალი, ახლა კი... არა, ასეთი ფსონებით წარმოუდგენელია!

- შავი ქარბორბალა არასოდეს მომიხსნია, - საკუთარი ხმა მეუცხოვა, შეშინებული კი არა, უფრო გაოცებული მეჩვენა. ზავულონმა საზიზღარი, ქალური ხმით ჩაიხითხითა.

შეფმა თავი დამიქნია:

- ვიცი, ანტონ.

წამოდგა, ხალათი შემოიხვია და მომიახლოვდა. სასაცილოდ გამოიყურებოდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივი მოსკოვის ბინის ფონზე მისი აღმოსავლური სამოსელი უხეირო კარიკატურას წააგავდა.

- ასეთი მასშტაბის ქარბორბალა ჯერ არავის მოუხსნია. შენ პირველი ეცდები სმერჩის განეიტრალებას.

ხმას არ ვიღებდი.

- და კიდევ, გაითვალისწინე, ანტონ, რომ რამე თუ არ გამოგივიდა, სულ მცირედი შეცდომაც რომ დაუშვა... პირველი შენ დაიხრუკები. ბინდში გადასვლასაც ვერ მოასწრებ. იცი, რა ბედი ეწევათ ხოლმე თეთრებს, როცა ინფერნოს ამოხეთქვაში მოყვებიან.

ყელი გამიშრა. თავი დავუქნიე.

- მაპატიე, ჩემო გულითადო მტარვალო, - დამცინავად წარმოთქვა ზავულონმა. – თქვენ რა, თქვენს თანამშრომლებს არჩევანის უფლებას არ აძლევთ? საომარ მდგომარეობაშიც კი მსგავს შემთხვევებში მოხალისეებს იძახებდნენ.

- მოხალისეებს იძახებდნენ, - მიახალა შეფმა, ისე რომ არ მობრუნებულა. – ჩვენ ყველანი დიდი ხანია უკვე მოხალისეები ვართ და სხვა არავითარი არჩევანი არ გვაქვს.

- ჩვენ კიდევ – გვაქვს. ყოველთვის, - შავმა ჯადოქარმა ისევ გადაიკისკისა.

- როდესაც ადამიანებს არჩევანის უფლებას ვანიჭებთ, ამით საკუთარ თავს ვართმევთ ამ უფლებას. ზავულონ, - ბატონმა ბორისმა ცალი თვალით შეხედა შავ მაგს, - სხვისი აუდიტორიის წინაშე იღწვი. ხელს ნუ გვიშლი.

- მაპატიეთ, ხმას აღარ ამოვიღებ, - ზავულონმა თავი დაუშვა, მოიკაკვა.

- ეცადე, - მომმართა შეფმა. – ანტონ, ვერავითარ რჩევას ვერ მოგცემ. სცადე, ძალიან გთხოვ, სცადე. და... დაივიწყე, რასაც გასწავლიდნენ. არ დაიჯერო, რასაც გეუბნებოდი, არ დაიჯერო, რასაც კონსპექტებში წერდი, არ დაუჯერო საკუთარ თვალებს, არც სხვის სიტყვებს.

- აბა რას დავუჯერო, ბატონო ბორის?

- ეგ რომ ვიცოდე, ანტონ, შტაბს დავტოვებდი... და მე თვითონ შევიდოდი იმ ავადსახსენებელ სადარბაზოში.

ერთდროულად გავხედეთ ფანჯარას. შავი სმერჩი ტრიალებდა, ერთი მხრიდან მეორე მხარეს ინაცვლებდა. ვიღაც კაცმა, რომელიც ტროტუარზე მიდიოდა, მოულოდნელად გადაუხვია თოვლზე, და ქარბორბალას მბრუნავი ტანი ფართო რკალად მოხარა. შევნიშნე, რომ ტროტუარის ნაპირი უკვე გათელილი იყო – ხალხი ვერ ხედავდა მოახლოებულ უბედურებას, რომელიც დედამიწისკენ მოისწრაფოდა, მაგრამ მის სიახლოვეს გრძნობდა.

- ანტონს ზურგს მე გავუმაგრებ, - მოულოდნელი წინადადება წამოაყენა ბუმ. – ზურგს გავუმაგრებ და კავშირს უზრუნველვყოფ.

- გარედან, - დათანხმდა შეფი. – მხოლოდ გარედან... ანტონ... მიდი. ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, ნებისმიერი სახის მეთვალყურეობისგან დაგიცვათ.

ოლგა საწოლიდან წამოფრინდა და ჩემს მხარზე შემოჯდა.

მეგობრებს და შავ ჯადოქარს, რომელიც თითქოს ძილს მიეცაო, თვალი შევავლე და ოთახიდან გავედი. და მაშინვე ვიგრძენი, როგორ ჩაწყნარდა მთელი სახლი.

სრული სიჩუმით მაცილებდნენ, ზედმეტი სიტყვების, მხარზე ხელის დაკვრისა და რჩევების გარეშე. სინამდვილეში ხომ არაფერს განსაკუთრებითს არ ვაკეთებდი, უბრალოდ სასაკლაოზე მივდიოდი ჩემი ფეხით.

ირგვლივ სიწყნარე იყო.

რაღაც უჩვეულო სიწყნარე, რომელიც მოსკოვის გარეუბანსაც ნაკლებად ახასიათებდა, თუნდაც ასე გვიან. თითქოს ყველანი სახლებში შეყუჟულიყვნენ, შუქი ჩაექროთ, თავიდან ფეხებამდე საბნებში გახვეულიყვნენ და სიჩუმეს იცავდნენ. კი არ ეძინათ, არამედ გაყურსულიყვნენ. ფანჯრებში მხოლოდ მოცისფრო-მოწითალო სინათლეები კრთოდა – ყველგან ტელევიზორები ჰქონდათ ჩართული. ტელევიზორის ყურება ხალხს უკვე ჩვევად ექცა, როცა ეშინიათ, როცა გული აქვთ დამძიმებული, ჩართავენ ტელევიზორს და რაც მოხვდებათ, ყველაფერს უყურებენ, ტელეშოპიდან დაწყებული ახალი ამბებით დამთავრებული. ხალხი ბინდის სამყაროს ვერ ხედავს, მაგრამ მის მოახლოებას გრძნობს.

- ოლგა, რას იტყვი ქარბორბალაზე? – ვკითხე.

- დაუძლეველია.

მოკლედ მომიჭრა.

სადარბაზოსთან ვიდექი და ქარბორბალას უშველებელ, ხორთუმივით მოქნილ ტანს ვაკვირდებოდი. შესვლა ჯერ არ მინდოდა.

- როდის... რა ზომის უნდა იყოს ქარბორბალა, მოხსნა რომ შეძლო?

ოლგა დაფიქრდა:

- ხუთი მეტრი სიმაღლეში. ამ შემთხვევაში კიდევ არის შანსი. სამი მეტრის ქარბორბალას ჩაქრობას უეჭველად შევძლებ.

- გოგო გადარჩება?

- შეიძლება.

რაღაცა არ მასვენებდა. ასეთ სამარისებულ სიჩუმეში, როდესაც მანქანებიც კი ცდილობდნენ, განწირული რაიონისთვის გვერდი აექციათ, რაღაც ხმები რჩებოდა...

მალე მივხვდი, რა ხმებიც მესმოდა. ძაღლების ყმუილი. მთელს უბანში ძაღლები ჩუმი, საწყალობელი, უთავბოლო ყმუილით ცდილობდნენ, პატრონები მოახლოებული ინფერნოს შესახებ გაეფრთხილებინათ.

- ოლგა, გოგოზე ინფორმაცია მომაწოდე. ყველაფერი, რაც კი იცი.

- სვეტლანა ნაზაროვა. ოცდახუთი წლის, ექიმი თერაპევტი, მეჩვიდმეტე პოლიკლინიკაში მუშაობს. ღამის საგუშაგოს მეთვალყურეობის არეში არ მოხვედრილა, მაგიური შესაძლებლობები არ არის შემჩნეული, მშობლები და უმცროსი ძმა ბრატეევოში ცხოვრობენ, მათთან იშვიათი კონტაქტი აქვს, ძირითადად სატელეფონო. ოთხი მეგობარი ჰყავს, ამოწმებენ, ჯერჯერობით საეჭვო არაფერია. გარშემომყოფებთან ნელთბილი ურთიერთობა აქვს, მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოვლენილა.

- ექიმი, - გავიმეორე ჩაფიქრებულმა. – ოლგა, ეს ხომ მინიშნებაა. ვიღაც მოხუცი... მკურნალობით უკმაყოფილო. ცხოვრების უკანასკნელ წლებში ხშირად შეინიშნება ხოლმე ლატენტური მაგიური შესაძლებლობების მოულოდნელი ამოხეთქვა.

- ამოწმებენ, - დამიზუსტა ოლგამ. – ჯერჯერობით ასეთი მონაცემები არ გვაქვს.

ჰო... სისულელეა უსაფუძვლო ვარაუდების გამოთქმა – მთელი დღეა, გოგოზე მონაცემებს ჩემზე გაცილებით უფრო ჭკვიანი ხალხი აგროვებდა.

- კიდევ რას მეტყვი?

- სისხლის ჯგუფი – პირველი. სერიოზულ დაავადებებს არ შეუწუხებია, დროდადრო მსუბუქი კარდიოლოგიური პრობლემები. პირველი სქესობრივი კავშირი ჩვიდმეტი წლისას ჰქონდა, თავის ტოლ ბიჭთან, უფრო ცნობისმოყვარეობის გამო. ოთხი თვე

გათხოვილი იყო, ორი წელია, რაც ქმარს გაშორდა, ყოფილ ქმართან ნორმალური ურთიერთობა შეინარჩუნა. ბავშვები არ ჰყოლიათ.

- ქმარს რა შესაძლებლობები აქვს?

- არანაირი. არც მას და არც მის მეორე ცოლს. ეგ პირველ რიგში შევამოწმეთ.

- მტრები?

- ორი არაკეთილმოსურნე თანამშრომელი. ორი უარყოფილი თაყვანისმცემელი სამუშაო ადგილიდან. სკოლის მეგობარი, ნახევარი წლის წინ ყალბი სამედიცინო ცნობის მიღებას ცდილობდა.

- მერე?

- უარი უთხრა.

- ხედავ შენ. მაგიასთან როგორ აქვთ საქმე?

- პრაქტიკულად არანაირი კავშირი არა აქვთ. არაკეთილმოსურნეობის დონე – საყოფაცხოვრებო. მაგიური შესაძლებლობები ყველა მათგანს სუსტი აქვს. ასეთ ქარბორბალას ვერაფრით ვერ შექმნიდნენ.

- პაციენტების სიკვდილიანობა? ბოლო დროს?

- არ ყოფილა.

- მაშ საიდან მოდის ეს წყევლა? – რიტორიკული კითხვა დავსვი. ჰო, ახლა გასაგებია, რატომაც აღმოჩნდა საგუშაგო ჩიხში. სვეტლანა სამაგალითო ადამიანი გამოდგა. ხუთი მტერი ოცდახუთი წლის განმავლობაში – საამაყოა.

ოლგას ხმა არ ამოუღია.

- უნდა წავიდეთ, - ვუთხარი ოლგას. როცა მივტრიალდი, ფანჯარაში ბიჭების სილუეტებს მოვკარი თვალი. დაცვის რომელიღაცა წევრი ხელს მიქნევდა. – ოლია, იგნატი როგორ მუშაობდა?

- სტანდარტულად. შემთხვევითი ნაცნობობა, ისეთ ვარიანტში – „გაუბედავი ინტელექტუალი“. ყავა ბარში. საუბარი. ობიექტის სიმპათია სწრაფად იზრდება, და იგნატიც შემდეგ ეტაპზე გადავიდა. იყიდა შამპანური და ლიქიორი, აქ მოვიდნენ.

- შემდეგ?

- ქარბორბალამ ზრდა დაიწყო.

- საბაბი?

- არავითარი. იგნატი მოეწონა, უფრო მეტიც ძლიერი ვნებაც იგრძნო, მაგრამ ზუსტად ამ მომენტში ქარბორბალამ კატასტროფული სიჩქარით დაიწყო ზრდა. იგნატმა მოქმედების სამი ტაქტიკა მოსინჯა, ღამე დარჩენის შემოთავაზება მიიღო, რის შემდეგაც ქარბორბალამ ახალი ძალით იფეთქა. როცა გაიხმეს, დასტაბილურდა.

- როგორ გაიწვიეს?

ყინვამ ამიტანა, ჩექმებში აუტანელმა სისველემ შეაღწია. მოქმედებისთვის ჯერ არ ვიყავი მზად.

- „ავადმყოფი დედა.“ მობილურზე დაურეკეს, ლაპარაკი, მობოდიშება, დაპირება, რომ მეორე დღეს დაურეკავდა. ყველაფერმა სუფთად ჩაიარა, ობიექტს ეჭვიც არ გასჩენია.

- და ქარბორბალა დასტაბილურდა?

ოლგა ხმას არ იღებდა, როგორც ჩანდა, ანალიტიკოსებთან ამყარებდა კავშირს.

- ცოტათი ჩაცხრა კიდეც. სამი სანტიმეტრით. მაგრამ ეს შეიძლება კვების მოულოდნელი შეწყვეტით გამოწვეული ჩვეულებრივი უკუსვლა იყოს.

რაღაცა კავშირი აშკარად არსებობდა, ოღონდ გაუგებარი ეჭვები ერთმანეთთან ვერაფრით დამეკავშირებინა.

- რომელია მისი უბანი, ოლგა?

- ეს ადგილი, მათ შორის ეს შენობაც. პაციენტები ხშირად სახლშიც აკითხავენ,

- მშვენიერია. მაშინ მე, როგორც პაციენტი, ისე მივაკითხავ.

- ცრუ მეხსიერების შესაქმნელად დახმარება დაგჭირდება?

- რამეს მოვუხერხებ.

- შეფი თანახმაა, - პაუზის შემდეგ მომახსენა ოლგამ. – შეუდექი მუშაობას. შენი ნიღაბია – ანტონ გოროდეცკი, პროგრამისტი, უცოლო, სამი წელია მეთვალყურეობის ქვეშ, დიაგნოზი – კუჭის წყლული, ცხოვრობს ამავე სახლში, სამოცდამეოთხე ბინაში. ახლა ცარიელია, თუ საჭირო გახდა, ზურგს გაგიმაგრებთ.

- სამ წელს ვერ გავქაჩავ, - ვაღიარე. – ერთი წელი, მაქსიმუმ.

- კარგი.

ოლგას შევხედე, ბუმ კი თავისი ფრინველისებრი მზერა შემომანათა. რაღაცით მაგონებდა ჭუჭყიან არისტოკრატ ქალს, რომელიც ჩემთან სამზარეულოში მიირთმევდა კონიაკს.

- წარმატებას გისურვებ, - მითხრა ოლგამ. – ეცადე, ქარბორბალა შეამცირო, ერთი ათი მერით მაინც, მერე გავრისკავდი.

ბუ აფრინდა, და მომენტალურად გადავიდა ბინდში, სადღაც მეტისმეტად ღრმა საფეხურებზე.

ამოვიოხრე და სადარბაზოსკენ გავეშურე. ქარბორბალას ხორთუმი შეკრთა, ჩემს შეხებას ეცადა. ხელები გავიწვდინე და კსამადი, უარყოფის ნიშანი გამოვსახე.

ქარბორბალა შეირხა და უკან გადაგორდა. ყოველგვარი შიშის გარეშე, ალბათ თამაშის წესები მიიღო. ასეთი მასშტაბის ინფერნო უკვე გონების ელემენტებსაც შეიძენდა და უბრალო, ჩლუნგი, ავტომატური სამიზნე რაკეტა კი აღარ იქნებოდა, არამედ გამძვინვარებულ და გამოცდილ კამიკაძედ იქცეოდა. სასაცილოდ კი ჟღერს - გამოცდილი კამიკაძე, მაგრამ სიბნელესთან მიმართებაში ეს ტერმინი გამართლებულია. ადამიანური სამყაროს გამრღვევი ინფერნოს ქარბორბალა განწირულია, მაგრამ ეს დაღუპვა არაფერია, როგორც ერთი ფუტკრის სიკვდილი მთელს სკაში.

- შენი დრო ჯერ არ დამდგარა, - ვთქვი. ინფერნო მაინც ვერ მიპასუხებდა, მაგრამ რატომღაც სურვილი გამიჩნდა, მეთქვა.

ქარბორბალას ტანს ახლოს ჩავუარე. მორევი მოლურჯო-მოშავო შუშისგან ჩამოესხათ, რომელსაც რეზინის მოქნილობა შეეძინა. მისი ზედაპირი თითქმის უმოძრაო იყო, შიგნით კი, ღრმად, სადაც მუქი სილურჯე კუპრივით შავ ფერში გადადიოდა, გამალებული ბრუნვა შეინიშნებოდა.

შეიძლება ვცდებოდი. შეიძლება დროც მოვიდა...

სადარბაზოს კოდური საკეტიც არ ჰქონდა, უფრო სწორედ, საკეტი ჰქონდა, მაგრამ დამსხვრეული და გამოშიგნული. ნორმალური მოვლენაა. პატარა სალამი ბნელეთიდან. ასეთ წვრილმანებს ყურადღებას აღარ ვაქცევდი, პატარ-პატარა ლაქებს, წარწერებსა და ჭუჭყიანი ფეხსაცმლის ძირების კვალს კედელზე, ჩამსხვრეულ ნათურებსა და ჩაბინძურებულ ლიფტებს. მაგრამ ახლა ყველაფერი მაღიზიანებდა.

მისამართის გაგება არ იყო საჭირო. ვგრძნობდი გოგოს, - ალბათ გათხოვილის სტატუსი ხელს არ უშლიდა, რომ გოგო მეწოდებინა, ეს ასაკის კატეგორია უფროა, - ვიცოდი, სადაც უნდა წავსულიყავი, უკვე ვხედავდი მის ბინას, უფრო სწორედ, კი ვერ ვხედავდი, არამედ აღვიქვამდი, როგორც ერთ მთლიანს.

ერთადერთი რამ არ მესმოდა – როგორ გავანადგურო ეს წყეული ქარბორბალა?

ჩვეულებრივ, ხის კართან შევჩერდი, - რაც საკმაოდ უცნაურად მომეჩვენა პირველ სართულსა და ჩამსხვრეულ საკეტებს თუ მივიღებთ მხედველობაში. ღრმად

ჩავისუნთქე და დავრეკე. თერთმეტი საათი იყო. ცოტა არ იყოს, გვიანია, რა თქმა უნდა.

ფეხის ხმა გაისმა. არავითარი ბგერითი იზოლაცია...

თავი 7

კარი მაშინვე გააღო.

კითხვები არ დაუსვამს, არც საჭვრეტში გაუხედავს, არც ჯაჭვი გაუბია. და ეს მოსკოვში ხდებოდა! შუაღამეს! თან მარტო იყო სახლში! ქარბორბალამ სიფრთხილის უკანასკნელი შეგრძნებაც გამოაცალა, სიფრთხილის, რომელმაც გოგოს ბოლო რამდენიმე დღე გააძლებინა. აი, როგორ იღუპება ხოლმე დაწყევლილი ხალხი...

გარეგნულად სვეტლანა ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. თვალები ოდნავ ჩაცვივნოდა, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა, იმას თუ გავითვალისწინებთ, ღამე როგორც გაატარა. ბოლო კაბა ეცვა, მოხდენილი კოფთა, ფეხსაცმელი, თითქოს ვინმეს ელოდებოდა, ან სადმე გასვლას აპირებდა.

- საღამო მშვიდობისა, სვეტლანა, - მივესალმე, და თვალებში მინიშნება ამოვიკითხე ნაცნობობაზე. რა თქმა უნდა, გუშინდელი დღიდან ბუნდოვნად დავამახსოვრდი. და ის მომენტი უნდა გამომეყენებინა, როცა მიხვდა, რომ მიცნობდა, მაგრამ საიდან – ჯერ ვერ გაერკვია.

ბინდში გადავინაცვლე. ფრთხილად, რადგან ქარბორბალა მიწებებულივით ეკიდა გოგოს თავზე, და ნებისმიერ მომენტში მოველოდი მძაფრ რეაქციას. ფრთხილად, რადგან მისი მოტყუება არ მინდოდა.

თუნდაც საუკეთესო მიზნებისთვის.

ეს მხოლოდ პირველ ჯერზეა საინტერესო და სასაცილო. მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა, ღამის საგუშაგოში აღარ დაგედგომება. ერთი საქმეა მორალური იმპერატივების შეცვლა, თუნდაც ყოველთვის სასიკეთო მხარეს და მეორე – მეხსიერებაში შეღწევა. თუმცა ეს გარდაუვალია და ამის გაკეთება ხშირად გვიწევს ხოლმე, შეთანხმების ნაწილია და თავად ბინდში შესვლა-გამოსვლის პროცესი გარშემომყოფთა შორის წამიერ ამნეზიას იწვევს.

მაგრამ სხვის მეხსიერებასთან თამაში თუ ერთ დღეს სიამოვნებას მოგანიჭებს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი წასვლის დროა.

- საღამო მშვიდობისა, ანტონ, - ხმა ოდნავ შეუკრთა, როცა იმის გახსენება ვაიძულე, რაც არასოდეს მომხდარა. – რა მოგივიდა?

უგერგილოდ გავუღიმე და ხელი მუცელზე გავიკარი.

სვეტლანას გონებაში ახლა ნამდვილი ქარიშხალი ტრიალებდა. ისეთი ძლიერი სპეციალისტიც არ ვარ, რომ ჩამოყალიბებული ყალბი მეხსიერება ჩამეყენებინა მისთვის. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში, ერთი ორი მინიშნებაც კმაროდა და შემდეგ თვითონ იტყუებდა თავს. ჩემს სახეს ქმნიდა უამრავი გარეგნული და შინაგანი თვისებებით, რომლებიც მის სხვადასხვა ნაცნობებს ახასიათებდა, ძველ მეგობარს, რომელსაც იერით ვგავდი, კიდევ ერთ ნაცნობს, რომელსაც ძალიან დიდი ხნის წინ იცნობდა და მოსწონდა და რომელთანაც ხანმოკლე ნაცნობობა აკავშირებდა, რამდენიმე ათეულ ჩემი ასაკის პაციენტს, ზოგიერთ მეზობლებს. მე მხოლოდ პროცესის სვლას ვეხმარებოდი და სვეტლანას ერთიანი ხატების ჩამოყალიბებისკენ ვუბიძგებდი. კარგი ადამიანი... ნევრასთენიკი... და მართლა ხშირად ავადმყოფობს... მცირედი ფლირტი უყვარს, მხოლოდ მცირედი – გაუბედავია... მეზობელ სადარბაზოში ცხოვრობს.

- ტკივილები გაქვს? – ცოტათი ჩამოყალიბდა. მართლაც კარგი ექიმია, მოწოდებით ექიმი.

- სუსტი ტკივილები. გუშინ დავლიე, - ყველა ნაკვთით ვცდილობდი, სინანული გამომეხატა.

- ანტონ, ხომ გაგაფრთხილეთ... შემოდით...

შევედი და კარი მოვიხურე - გოგოს არც მოსვლია თავში. სანამ ვიხდიდი, ოთახს მოვავლე თვალი – ჩვეულებრივ და ბინდის სამყაროში.

იაფფასიანი შპალერი, ფეხქვეშ გაქექილი ნოხი, ძველი ჩექმები, ჭერთან ახლოს მიმაგრებული სანათი - უბრალო შუშის აბაჟურით, კედელზე რადიოტელეფონი – უშნო ჩინური ყურმილი. ღარიბულად, სუფთად და ჩვეულებრივად მოწყობილი ბინა. საქმე მარტო უბნის ექიმის მწირ ხელფასშიც არ იყო, უფრო იმაში, რომ თავად სვეტლანას არ ჰქონია მყუდროების მოთხოვნილება. ცუდია... ძალიან ცუდი.

ბინდისეულ სამყაროში ბინა ოდნავ უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა. არავითარი საძაგელი ფლორა, არც წყვდიადის რაიმე ნიშნები, შავი ქარბორბალას გარდა, რა თქმა უნდა... სმერჩი მეფობდა... ყველგან მოდებულიყო... მთლიან ქარბორბალას ვხედავდი, გოგოს თავზე მობზრიალე ძირიდან ოცდაათ მეტრზე ავარდნილ მწვერვალამდე.

სვეტლანას ერთადერთ ოთახში გავყევი. აქ ცოტა მეტი სიმყუდროვე ვიგრძენი. დივანი რბილი ნარინჯისფერი შუქით განათებულიყო, თან მთლიანი დივანი კი არა, არამედ მისი ნაწილი ძველმოდური ტორშერის მხარეს. ორი კედელი თავიდან ბოლომდე წიგნების შვიდი თაროთი დაფარულიყო, რომლებიც ერთი მეორის თავზე შემოელაგათ... გასაგებია.

უკვე მესმოდა ამ გოგოსი. და როგორც სამუშაო ობიექტის, არა როგორც უხილავი და ამოუცნობი მაგის სავარაუდო მსხვერპლის, არა როგორც კატასტროფის უნებური მიზეზის, არამედ როგორც ადამიანის. წიგნის ჭია, თავის თავში ჩაკეტილი და დაკომპლექსებული, უამრავი იდიოტური იდეალითა და ზღაპრული პრინცის ბავშვური რწმენით, რომელიც ეძებს მას და აუცილებლად იპოვნის. ექიმის ადგილი, რამდენიმე მეგობარი გოგო, რამდენიმე მეგობარი ბიჭი და უსასრულო მარტოობა. კეთილსინდისიერი შრომა, რომელიც კომუნიზმის მშენებლის კოდექს მოგაგონებდათ, იშვიათი გასვლები კაფეში და იშვიათი ფლირტები. და კიდევ საღამოები, ერთი მეორისგან რომ ვერ გაარჩევდი, სახლში, დივანზე გატარებული, წიგნით ხელში, ტელეფონის გვერდით, ტელევიზორის ჩუმი, წყნარი ხმების ფონზე.

რატომ ხართ ასე ბევრნი, სამოციანი წლების მშობლების მიერ აღზრდილო გოგოებო და ბიჭებო. რა ბევრნი ხართ, უბედურები და ბედნიერების ვერ შემძლენი. როგორ მინდა, შეგიცოდოთ, როგორ მინდა, დაგეხმაროთ, ბინდიდან ხელი გამოგიწოდოთ, ოდნავ, სულ ოდნავ შეგეხოთ, თვითრწმენა გაგიძლიეროთ, ერთი წვეთი ოპტიმიზმი დაგიმატოთ, ნება გაგიმტკიცოთ, ირონიის მარცვალი შეგმატოთ. დაგეხმაროთ, რომ მერე თქვენ სხვებს დაეხმაროთ.

არ შეიძლება.

თითოეული კეთილი საქმე წყვდიადს ბოროტის გაკეთების უფლებას აძლევს. შეთანხმება! საგუშაგოები! მსოფლიო ბალანსი!

მოითმინე – ან ჭკუიდან გადადი, კანონს არ დაემორჩილო, ხალხის რიგები გაარღვიე, დაუკითხავად არიგე საჩუქრები, ბედისწერის კანონზომიერებები დაარღვიე და დაელოდე, სადამ რომელიმე მოსახვევში ყოფილი მეგობრები ან მუდმივი მტრები არ ჩაგისაფრდებიან და სამუდამოდ გაგისტუმრებენ ბინდში.

- ანტონ, დედა როგორ არის?

ა, ჰო, მე, პაციენტ ანტონ გოროდეცკის, მყავს მოხუცებული დედა. დედა ოსტეოქონდროზით და კიდევ უამრავი ხანდაზმული ასაკისთვის დამახასიათებელი დაავადებით იტანჯება. ისიც სვეტლანას პაციენტია.

- არაუშავს. ცოტა მე...

- დაწექით.

სვიტრი გავიხადე, პერანგი შევიხსენი და დივანზე წამოვწექი. სვეტლანა გვერდით მომიჯდა და თბილი თითები მომატარე მუცელზე. რატომღაც ღვიძლი მომისინჯა.

- გტკივათ?

- არა, ახლა არა.

- ბევრი დალიეთ?

სვეტლანას კითხვებს ვპასუხობდი. პასუხებს გოგოს მეხსიერებაში ვეძებდი. სულაც არ იყო საჭირო, თავი მომემკვდარუნებინა. კი... ყრუ ტკივილები... ჭამის შემდეგ... აი, ახლაც გამიელვა...

- ჯერჯერობით გასტრიტია, ანტონ... – სვეტლანამ ხელი აიღო. – მაგრამ სასიხარულო არაფერია. რეცეპტს გამოგიწერთ...

ადგა, კართან მივიდა და საკიდიდან ჩანთა ჩამოხსნა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ქარბორბალას ვაკვირდებოდი. არაფერი არ ხდებოდა, ჩემმა გამოჩენამ ინფერნოს გაძლიერება არ გამოიწვია, მაგრამ ვერც შეამცირა...

- ანტონ... – ბინდში ოლგას ხმა ჩამესმა. – ანტონ, ქარბორბალა სამი სანტიმეტრით შემცირდა. სადღაც სწორი სვლა გააკეთე. იფიქრე, ანტონ.

სწორი სვლა? როდის? მე ხომ არაფერი არ გამიკეთებია, უბრალოდ მიზეზი მოვნახე ვიზიტისთვის!

- ანტონ, ომეზი დაგრჩათ? – მკითხა სვეტლანამ, მაგიდას მიუჯდა და შემომხედა.

- კი. რამდენიმე კაფსულა.

- სახლში რომ მიხვალთ, დალიეთ. ხვალ კი იყიდეთ და ორი კვირის განმავლობაში სვით, ძილის წინ.

სვეტლანა უდავოდ იმ ექიმების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებსაც წამლების სჯეროდათ. მე ეს არ მიკვირდა – მეც მჯეროდა ტაბლეტების. ჩვენ, სხვანაირები მეცნიერების წინაშე ირაციონალურ შიშს განვიცდით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ელემენტარული მაგიური ზემოქმედებაც საკმარისია, მაინც ანალგინისკენ და ანტიბიოტიკებისკენ გვიწევს გული.

- სვეტლანა... მაპატიეთ, რომ გეკითხებით, - შერცხვენილმა ავარიდე თვალი. – რამე პრობლემა გაწუხებთ?

- საიდან მოიტანეთ, ანტონ? – წერა არ შეუჩერებია, არც შემომხედა, მაგრამ აშკარად დაიძაბა.

- ასე მგონია, რომ ვიღაცამ გაწყენინათ.

გოგომ კალამი გადადო გვერდზე და შემომხედა – ცნობისმოყვარეობით და მცირედი სიმპათიით.

- არა, ანტონ. რას ამბობთ. ზამთრის ბრალია, ალბათ. ძალიან გაიწელა.

დაძაბულად გაიღიმა – ქარბორბალა ჩამოიზნიქა და შეეხო, ხარბად მოატარა ტორი.

- ნაცრისფერი ცა, ნაცრისფერი სამყარო. არაფრის ხალისი არ მაქვს... ყველაფერმა აზრი დაკარგა. დავიღალე, ანტონ. დადგება გაზაფხული და ყველაფერი გამივლის.

- დეპრესია გაქვთ, სვეტლანა, - წამოვაყრანტალე, სანამ დავუფიქრდებოდი, რომ მისივე მეხსიერებიდან ამოვქაჩე. მაგრამ გოგოს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია:

- ალბათ. არაფერია, მზე გამოვა და გადამივლის. გმადლობთ, რომ ინტერეს იჩენთ, ანტონ.

ამჯერად ღიმილი უფრო გულწრფელი გამოუვიდა, თუმცა მაინც ნატანჯი.

ბინდიდან ოლგას ჩურჩული შემომესმა:

- ანტონ, ათი სანტიმეტრით შემცირდა! ქარბორბალა დგება! ანტონ, ანალიტიკოსები მუშაობენ, განაგრძე ურთიერთობა!

რა ვაკეთებ უშეცდომოდ?

ამ კითხვამ უფრო დამაფრთხო, ვიდრე „რას ვაკეთებ შეცდომით“ რომ დამესვა. თუ შეცდომას უშვებ, საკმარისია მკვეთრად შეცვალო მოქმედების ტაქტიკა. მაგრამ თუ მიზანს უნებურად მოარტყი, ისე რომ თავადაც ვერ მოხვედი აზრზე – მაშინაა ცუდად საქმე. ძნელია უხეირო მსროლელის ადგილას აღმოჩნდე, რომელმაც შემთხვევით გაარტყა სამიზნეს და ცდილობდე ხელების მოძრაობა აღიდგინო, გაიხსენო, როგორ მოჭუტე თვალი და რა ძალით აჭერდი თითს სასხლეტს... და არ აღიარებდე, რომ უეცარი წარმატება მხოლოდ ქარის დაუდევრობის ბრალი იყო.

საკუთარი თავი დავიჭირე, სვეტლანას რომ ვუყურებდი, ისიც იჯდა და მე მიყურებდა – უხმოდ და სერიოზული სახით.

- მაპატიეთ, - მოვუბოდიშე. – ძალიან გთხოვთ, სვეტლანა, მაპატიეთ. შემოგეჭერით ამ შუა ღამეს და ვეჩრები თქვენს საქმეებში...

- არა უშავს, ანტონ. მსიამოვნებს კიდეც თქვენი ყურადღება. ჩაის ხომ არ დალევთ?

- ოცი სანტიმეტრით კიდევ დაიკლო, ანტონ! დათანხმდი!

ეს რამდენიმე სანტიმეტრიც კი, რომლითაც გამძვინვარებული ინფერნოს ქარბორბალა შემცირდა, ბედისწერის საჩუქარი იყო. გარდაუვალი კატასტროფის კლანჭებს გამოგლეჯილ ათასობით ადამიანის სიცოცხლეს უდრიდა. არ ვიცი, ეს როგორ ხდება, მაგრამ ინფერნოს მიმართ სვეტლანას წინააღმდეგობის უნარი გავზარდე და ქარბორბალამაც შემცირება დაიწყო.

- გმადლობ, სვეტლანა. დიდი სიამოვნებით.

გოგო ადგა და სამზარეულოში გავიდა. მეც გავყევი. რა ხდება?

- ანტონ, წინასწარი ანალიზი მზადაა...

მომეჩვენა, თითქოს ჩამოფარებული შტორების უკან ფანჯარაში თეთრი ბუს სილუეტმა გაიელვა – კედლის გასწვრივ ჩაიქროლა სვეტლანას კვალდაკვალ.

- იგნატი საერთო სქემის მიხედვით მოქმედებდა. კომპლიმენტები, დაინტერესება, თაყვანისცემა, სიყვარული. მართალია, მოსწონდა, მაგრამ ქარბორბალას ზრდა გამოიწვია. ანტონ, შენ სულ სხვა გზით მიდიხარ – თანაგრძნობა. ამასთან სრულიად უმოქმედო თანაგრძნობა.

რეკომენდაციები არ მოუყოლებია, გამოდის, რომ ანალიტიკოსებმა ვერავითარი დასკვნები ვერ გააკეთეს. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ვიცოდი, შემდგომ როგორ მოვქცეულიყავი. სევდიანი მზერა, თანაგრძნობით აღსავსე ღიმილი, ჩაის დალევა და ისეთი ფრაზების წარმოთქმა, როგორიცაა „დაღლილი თვალები გაქვს, სვეტა...“

ჩვენ ხომ შენობით შენობით მიმართვაზე გადავალთ? აუცილებლად გადავალთ. ეჭვი არ მეპარება.

- ანტონ?

ძალიან დიდხანს დაჟინებით ვუმზერდი. სვეტლანა ქურასთან გაშეშდა, ხელში მძიმე, წყლის ნალექისგან ფერგადასული ჩაიდანი დაეჭირა. შეშინებულს ნამდვილად ვერ დაარქმევდით, შიშის გრძნობას დიდი ხანია დაეტოვებინა, ქარბორბალას ბოლომდე ამოეხაპა. შეცბუნებულს უფრო ჰგავდა.

- მოხდა რამე?

- კი. უხერხულად ვგრძნობ თავს. გამოგეცხადეთ შუა ღამეს ჩემი ჩივილებით, და კიდევ ჩაის დასალევად დავრჩი.

- ანტონ, ძალიან გთხოვთ, დარჩით. იცით, რა უცნაური დღე მქონდა, რომ მარტო დარჩენა... მოდით, შევთანხმდეთ, რომ ეს ჩემი ჰონორარი იქნება მიღებისთვის, ის რომ დარჩებით და ცოტა ხნით დამელაპაკებით, - სწრაფად დააზუსტა სვეტლანამ.

თავი დავუქნიე. ნებისმიერ სიტყვას შეიძლებოდა სავალალო შედეგი მოეტანა.

- ქარბორბალამ კიდევ თხუთმეტი სანტიმეტრით იკლო. ანტონ, სწორი ტაქტიკა აგირჩევია!

არაფერიც არ ამირჩევია, როგორ ვერ ხვდებიან, უვარგისი ანალიტიკოსები! სხვანაირის გონება გამოვიყენე, რომ უცხო სახლში შევსულიყავი, უცხო გონებაში შემეღწია, ჩემი იქ ყოფნა რომ გამეხანგრძლივებინა... ახლა უბრალოდ დინებას მივყვები.

და იმედი მაქვს, მდინარე სადაც საჭიროა, იქ გამომრიყავს.

- მურაბას მიირთმევთ?

- კი...

შეშლილი ჩაის სმა. სად მოვიდოდა კეროლი! გადარეული ჩაის სმა არა მარტო კურდღლის სოროშია გაჩაღებული, შეშლილ მექუდეს, ძილგუდასა და მარტის კურდღელს შორის. პატარა ბინის პატარა სამზარეულო, დილის ჩაი, ჩამატებული ადუღებული წყალი, მალინის მურაბა სამლიტრიანი ქილიდან – აი ის სცენა, სადაც უღიარებელი მსახიობები ნამდვილ შეშლილ ჩაის სმას განასახიერებენ. მხოლოდ აქ ამბობენ ისეთ სიტყვებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ იტყოდნენ. ილუზიონუსტის ერთი ხელის მოსმით სიბნელიდან პატარა-პატარა ოჯახურ საიდუმლოებებს ეხდება ფარდა, საშაქრეში ერთი პეშვ კალიუმციანიდს პოულობდნენ. და ვერაფერს ვერ მოიმიზეზებ, რომ ადგე და წახვიდე – რადგან მაშინვე დაგიმატებენ ჩაის, მურაბას შემოგთავაზებენ, და ღია საშაქრეს უფრო ახლოს მოგიდგმენ...

- ანტონ, უკვე ერთი წელია გიცნობთ...

გოგოს თვალებში დაბნეულობის ჩრდილმა გაიელვა. მეხსიერება დაუზარელად ავსებდა ცარიელ მონაკვეთებს, დაჟინებით სთავაზობდა ახსნა-განმარტებებს, რატომ რჩება ასეთი სიმპათიური და კარგი ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ პაციენტად.

- არა აქვს მნიშვნელობა, რომ ჩემი პაციენტი ხართ... რატომღაც მინდა, გელაპარაკოთ. როგორც მეგობარს. ხომ შეიძლება?

- რა თქმა უნდა, სვეტა.

მადლიერი ღიმილი. ჩემი სახელის კნინობითამდე შემცირება ძნელია, ანტოშკას ვერ დამიძახებდა, მეტისმეტად დიდი ნახტომი იქნებოდა.

- გმადლობ, ანტონ. იცი, ეს სამი დღეა უცნაურად ვიქცევი.

რა თქმა უნდა. როცა შენს თავზე ნემესიდას მახვილია აღმართულია, ძნელია ჩვეულებრივად მოიქცე. ბრაზისგან დაბრმავებული, გამძვინვარებული ნემესიდას მახვილი, რომელმაც გარდაცვლილთა ღმერთების ძალაუფლებას დააღწია თავი...

- აი, დღეს... კარგი, დაივიწყე...

უნდოდა, იგნატზე მოეყოლა. ვერ გაერკვია, რა დაემართა, როცა შემთხვევითი ნაცნობობა კინაღამ ლოგინით დამთავრდა. ჰგონია, რომ ჭკუიდან გადადის. ასეთი აზრი ყველას მოსდის, ვინც კი სხვანაირების მოქმედების ველში ხვდება.

- სვეტლანა, ვინმესთან ჩხუბი ხომ არ მოგსვლია?

უხეში სვლა მომივიდა, მაგრამ მეჩქარებოდა, და მე თვითონაც ვერ გამეგო, რატომ. ქარბორბალა ჯერჯერობით სტაბილურობას ინარჩუნებდა და შემცირების ტენდენციაც კი ახასიათებდა. მაგრამ მაინც მეჩქარებოდა.

- რატომ ფიქრობ მასე?

სვეტლანას არ გაკვირვებია ჩემი შეკითხვა და არც ზედმეტად პირადულად მიუღია. მხრები ავიჩეჩე და ვეცადე, ამეხსნა:

- მე ხშირად მემართება ხოლმე.

- არა, ანტონ. არავისთან არ მიჩხუბია. არავისთან, ან რატომ უნდა მეჩხუბა? თვითონ ჩემში შეიცვალა რაღაც...

ცდები, ჩემო კარგო. ვერც კი წარმოიდგენ, რა მწარედ ცდები. თავზე იმხელა ქარბორბალა გიტრიალებს, ას წელიწადში ერთხელ რომ ჩნდება ხოლმე. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას ძალიან ეზიზღები. ასეთი ძლიერი სიძულვილი იშვითად მიეტევებათ ადმიანებს, ან თუნდაც სხვანაირებს.

- ალბათ დაიღალე, უნდა დაისვენო, - შევთავაზე. – წადი სადმე წყნარ, მიყრუებულ ადგილას...

ვთქვი და უცბად ვიფიქრე, რომ გამოსავალი არსებობს. თუნდაც უნებლიე და სვეტლანასთვის სასიკვდილო. მიყრუებულ ადგილას, ტაიგაში, ჩრდილოეთ პოლუსზე. და იქ ვულკანის ამოხეთქვა მოხდება, ასტეროიდი ან რაკეტა ჩამოვარდება ბირთვული ჭურვებით. ინფერნო დედამიწას დაატყდება თავს, მაგრამ ამით მხოლოდ სვეტლანა დაზარალდება.

რა კარგია, რომ მსგავსი გადაწყვეტილება ჩვენთვის ისევე შეუძლებელია, როგორც შავი მაგიის მიერ შემოთავაზებული მკვლელობა.

- რაზე ფიქრობ, ანტონ?

- სვეტა, რა მოხდა?

- ანტონ, ძალიან მკვეთრი გადასვლაა! შეცვალე საუბარი, ანტონ!

- ნუთუ ასე მეტყობა?

- კი.

სვეტლანამ თვალები დახარა. ოლგას კივილს ველოდებოდი, რომ ქარბორბალამ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და კატასტროფული ზრდა დაიწყო, რომ ყველაფერი გავაფუჭე, ჩავაფლავე და ამიერიდან ჩემს სინდისზე ათასობით ადამიანის სიცოცხლე იყო... ოლგა დუმდა.

- ვუღალატე...

- ვის?

- დედაჩემს ვუღალატე.

სერიოზული სახით მიყურებდა, სულაც არ ჰგავდა იმ ადამიანს, რომელიც ჩადენილი საძაგელი საქციელით იწონებს თავს.

- ვერ ვხვდები, სვეტა...

- დედაჩემი ავადაა, ანტონ. თირკმელები. რეგულარულ გემოდიალიზს საჭიროებს... მაგრამ გარანტიას არ იძლევიან. მოკლედ... გადანერგვა შემომთავაზეს.

- შენ რატომ შემოგთავაზეს? – ისევ ვერ ვხვდებოდი.

- დედისთვის ერთი თირკმელის გადანერგვა შემომთავაზეს. ეჭვი თითქმის არ არსებობდა, რომ ორგანიზმს შეეთვისებოდა, ანალიზებიც ჩავიტარე... მერე კი უარი ვთქვი. მე... მეშინია.

ხმას არ ვიღებდი. ყველაფერი ნათელი გახდა. რაღაცამ მართლა იმოქმედა, ეტყობა ისეთი თვისება აღმომაჩნდა, რომელმაც სვეტლანა ასეთი გულახდილობისკენ განაწყო. დედა.

დედა!

- ყოჩაღ, ანტონ. ბიჭები უკვე გამოვიდნენ. – ოლგას ხმა სიხარულით უთრთოდა. როგორც იქნა, ვიპოვნეთ შავი ჯადოსანი! წარმოიდგენ, პირველადი კონტაქტისას ვერავინ იგრძნო, ვერავინ წარმოიდგინა, ამ გოგოს მიღმა ასეთი რამ თუ იმალებოდა... ყოჩაღ. დაამშვიდე, ანტონ, ელაპარაკე, ანუგეშე...

ბინდში ყურებს ვერ დაიცობ, უნდა ისმინო, რასაც გეუბნებიან.

- სვეტლანა, არავის აქვს უფლება, ასეთი რამ მოგთხოვოს...

- ჰო, რა თქმა უნდა. დედას მოვუყევი... და მითხრა, რომ ამაზე ლაპარაკიც არ უნდოდა. მითხრა, რომ თავს მოიკლავდა, ასეთ რამეს თუ გავაკეთებდი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არ დარჩენოდა, მე კიდევ სამუდამოდ უნდა დამესახიჩრებინა თავი. არ უნდა მეთქვა. უნდა მიმეცა თირკმელი. ოპერაციის მერე გაეგო. ერთი თირკმელით მშობიარობაცაა შესაძლებელი... ყოფილა პრეცედენტები.

თირკმელები. რა სისულელეა. რა წვრილმანია. ნამდვილი თეთრი ჯადოქრისთვის მხოლოდ ერთი საათის საქმეა. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს მკურნალობის უფლება, თითოეული სრული განკურნება შავი ჯადოქრისთვის ინდულგენციაა წყევლისთვის, გასათვალად. და აი, მშობლიურმა დედამ, ისე რომ თვითონაც არ იცოდა, რას

სჩადიოდა, ემოციის წამიერი მოზღვავებისას, როცა შვილს ერთს ეუბნებოდა, როცა ოპერაციაზე ფიქრიც აუკრძალა, და თავისთვის სულ სხვას ამბობდა – დაწყევლა.

და შავი ქარბორბალაც წამოიშალა.

- ახლა არ ვიცი, რა ვქნა, ანტონ. სისულელეებს ვაკეთებ. დღეს კინაღამ უცხო ადამიანთან აღმოვჩნდი საწოლში, - სვეტლანამ მაინც გაბედა, ეთქვა, ალბათ არანაკლები ძალისხმევა დასჭირდა, ვიდრე დედის ამბის მოსაყოლად.

- სვეტა, რაღაცას მოვიფიქრებთ, - დავამშვიდე. გესმის, მთავარია, ფარ-ხმალი არ დაყარო. ტყუილუბრალოდ ნუ იტანჯავ თავს...

- მე ხომ განგებ ვუთხარი, ანტონ! ვიცოდი, რომ უარს იტყოდა! მინდოდა, აეკრძალათ ოპერაცია! უნდა დავეწყევლე, ჩემნაირი იდიოტი ღირსი იქნებოდა!

სვეტლანა, შენ ვერც კი წარმოიდგენ, რამდენად მართალი ხარ... არავინ იცის, რა მექანიზმები მოქმედებენ ამ შემთხვევაში, რა ხდება ამ დროს ბინდის სამყაროში და რა განსხვავებაა უცხო ადამიანის წყევლასა და საყვარელი ადამიანის წყევლას, შვილის წყევლას, დედის წყევლას შორის. მაგრამ დედის წყევლა ყველაზე საშინელია.

- ანტონ, დამშვიდდი.

ოლგას ხმამ მაშინვე გამომაფხიზლა.

- ძალიან მარტივია, ანტონ. დედის წყევლასთან გქონია საქმე?

- არა, - ვუთხარი ხმამაღლა და ამის ერთდროულად ვუპასუხე სვეტლანასაც და ოლგასაც.

- დამნაშავე ვარ, - სვეტლანამ თავი გააქნია. – გმადლობ, ანტონ, მაგრამ მართლა დამნაშავე ვარ.

- მე კიდევ მიმუშავია, - მომესმა ოლგას ხმა ბინდიდან. – ანტონ, ჩემო კარგო, დედის წყევლა ასეთი არაა! ასეთი შეჩვენება კაშკაშა აფეთქებით იწყება და უშველებელი ქარბორბალა მოყვება, მაგრამ სმერჩი მალევე იფანტება. თითქმის ყოველთვის ასე ხდება.

შეიძლება. აღარ შევედავე. ოლგა სპეციალისტი იყო წყევლის დარგში და ბევრნაირ შეჩვენებას შესწრებია. მართალია, რა თქმა უნდა, შვილს ცუდს არც ერთი მშობელი არ უსურვებს... ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით. თუმცა, გამონაკლისებიც არსებობს.

- გამონაკლისები არსებობს, - დამეთანხმა ოლგა. – დედამისს ახლა ძირფესვიანად შეამოწმებენ. მაგრამ... მომენტალური წარმატების იმედი მაინცდამაინც არ მექნებოდა.

- სვეტლანა, - ვკითხე გოგოს. – სხვა გამოსავალი არაა? სხვაგვარად ვერ დაეხმარები დედას? ტრანსპლანტაციის გარდა?

- არა. ექიმი ვარ და ვიცი. მედიცინა ყოვლისშემძლე არ არის.

- მედიცინის გარდა, სხვა წყაროებისთვის რომ მიგემართა?

სვეტლანამ წამით შეაყოვნა პასუხი:

- რაზე ამბობთ, ანტონ?

- არაოფიციალურ მედიცინაზე, - განვუმარტე. – ხალხურ მედიცინაზე.

- ანტონ...

- მესმის, სვეტლანა, რთულია ამის დაჯერება, - სწრაფად დავუწყე დარწმუნება. – უამრავი შარლატანი, აფერისტი, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი არსებობს. მაგრამ ნუთუ ყველაფერი სიცრუეა?

- ანტონ, ერთი ადამიანი მაინც მაჩვენეთ, რომელმაც მართლა მძიმე ავადმყოფობა განკურნა, - სვეტლანამ ირონიული მზერა შემავლო. – ოღონდ კი არ მომიყვეთ, მაჩვენეთ! თავად ადამიანი და, სასურველია, მისი პაციენტებიც – მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ. მაშინ დავიჯერებ, რომ ყველაფერი სიმართლეა, რასაც ამბობენ. დავიჯერებ ექსტრასენსების, ჰილერების, თეთრი და შავი მაგიის მაგისტრების არსებობას...

უნებლიედ შევიშმუშნე. გოგოს თავზე გრანდიოზული ქარბორბალა ტრიალებდა, რაც „შავი“ მაგიის ცოცხალი დასტური იყო, ისეთი, სახელმძღვანელოში ჩასაწერად რომ გამოდგებოდა.

- შემიძლია გაჩვენო, - ვარწმუნებდი. გამახსენდა, ერთხელ შეფთან დანილა როგორ შემოათრიეს. ჩვეულებრივი შეტაკება მოხდა... არც მთლად რიგითი, მაგრამ ძალიან მძიმესაც ვერ დაარქმევდით. უბრალოდ არ გაუმართლა. შვიდი მაქციის აყვანას ეპირებოდნენ, შეთანხმების რაღაც წვრილმანი დარღვევის გამო. მაქციები წესით უნდა დანებებოდნენ და ყველაფერი საგუშაგოებს შორის მცირე მოლაპარაკებით დასრულდებოდა.

მაგრამ მაქციებმა შეურიგებლობა არჩიეს. ალბათ კვალი მიჰყვებოდა... სისხლიანი კვალი, რომლის შესახებაც ღამის საგუშაგომ არაფერი იცოდა, და ახლა უკვე ვეღარასოდეს გაიგებს. დანილა პირველი მიდიოდა, და სერიოზულად დაშავდა. მარცხენა ფილტვი, გული, ღვიძლის ღრმა ჭრილობა, ერთი თირკმელი საერთოდ გაეთიშა.

დანილას შეფმა უმკურნალა, საგუშაგოს თითქმის მთელი პერსონალი ეხმარებოდა, ყველა, ვისაც იმ მომენტში რაღაც ძალა მაინც შერჩენოდა. მე მესამე წრეზე ვიდექი,

ჩვენს ვალდებულებას შეფისთვის ენერგიის მიწოდება კი არა, უფრო გარე ზემოქმედების ასახვა წარმოადგენდა. და მაინც დროდადრო დანილას გადავხედავდი. დანილა ბინდში იძირებოდა ხოლმე, ხან მარტო, ხან შეფთან ერთად. რეალობაში თითოეული გამოჩენისას ჭრილობები თანდათან იკლებდა. განკურნების რთული პროცესი არ ყოფილა, მაგრამ სანახაობა მეტად ეფექტური გამოდგა, რადგან ჭრილობები ჯერ კიდევ ახალი იყო და ბედისწერას არ განესაზღვრა წინასწარ. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ შეფი შეძლებდა სვეტლანას დედის გამოჯანმრთელებას, თუნდაც გოგოს ბედისწერის ძაფი უახლოეს მომავალში გაწყვეტილიყო, შუბლზე გარდაუვალი დაღუპვაც რომ სწერებოდა. განკურნება შესაძლებელია, უბრალოდ სხვა მიზეზის გამო დაიღუპება...

- ანტონ, არ გეშინია ასეთ რაღაცას რომ ამბობ?

მხრები ავიჩეჩე. სვეტლანამ ამოიოხრა:

- ვიღაცის დაიმედება, ეს ხომ გარკვეული პასუხისმგებლობაა. ანტონ, საერთოდ არ მჯერა სასწაულის, მაგრამ ახლა მზად ვარ, დავიჯერო. შენ არ გეშინია ამისი?

თვალებში ჩავხედე.

- არა, სვეტლანა. ბევრი რამის მეშინია, მაგრამ ამის არა.

- ანტონ, ქარბორბალა კიდევ ოცი სანტიმეტრი შემცირდა. ანტონ, შეფმა დიდი მადლობა გადმოგცა.

რაღაც არ მომეწონა ოლგას ტონში. ბინდისეული საუბარი ჩვეულებრივს არ ჰგავდა, და მაინც გარკვეული ემოციურობა მაინც ახასიათებდა.

- რა მოხდა? – ვკითხე ბინდის ნაცრისფერი ბურუსის მიღმა მიმალულ ოლგას.

- იმუშავე, ანტონ.

- რა მოხდა?

- ნეტავ მე მომცა ასეთი თავდაჯერებულობა, - თქვა სვეტლანამ. ფანჯარაში გაიხედა: - არ გესმის? რაღაც შრიალის ხმაა...

- ქარი ამოვარდა ალბათ, - ვუპასუხე. – ან ვიღაცამ გაიარა.

- ოლგა, მითხარი!

- ანტონ, ქარბორბალასთან დაკავშირებით ყველაფერი კარგადაა. ნელ-ნელა მცირდება. როგორღაც სვეტლანას შინაგანი წინააღმდეგობის უნარს აძლიერებ. ჩვენი გამოთვლებით, ქარბორბალა დილისთვის მისაღებ, უსაფრთხო საფეხურამდე შემცირდება და მეც საქმეს შევუდგები.

- მაშ რა პრობლემაა? ოლგა, პრობლემა რომ არის, ამას ვგრძნობ!

ოლგა დუმდა.

- ოლგა, ჩვენ ხომ პარტნიორები ვართ?

ამ სიტყვებმა იმოქმედეს. თეთრ ბუს ვერ ვხედავდი, მაგრამ ვიცოდი, რომ თვალები გაუბრწყინდა, და წამიერი მზერა მოავლო საველე შტაბის ფანჯარას. შეფსა და ბნელეთის მხარის დამკვირვებელს ჩახედა თვალებში.

- ანტონ, პრობლემები ბიჭთან გვაქვს.

- ეგორთან?

- ანტონ, რაზე ფიქრობ? – მკითხა სვეტლანამ. ძნელია ერთდროულად რეალურ და ბინდისეულ სამყაროში ურთიერთობა...

- იმაზე, რომ კარგი იქნებოდა, გაორება რომ შეგვძლებოდეს.

- ანტონ, ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანი მისია გაკისრია.

- ოლგა, მითხარი.

- არ მესმის, ანტონ, - ისევ სვეტლანას ხმა გაისმა.

- იცი, ვიგრძენი, რომ ერთ-ერთ ჩემს ნაცნობს უსიამოვნება შეემთხვა. სერიოზული უსიამოვნება – თვალებში ჩავხედე.

- ვამპირი. ბიჭი აიყვანა.

არაფერი არ მიგრძვნია. არანაირი ემოცია, არც სიბრალული, არც მრისხანება, არც სევდა, შინაგანი სიცივისა და სიცარიელის გარდა.

ალბათ მოველოდი კიდეც, გაუგებარია, რატომ, მაგრამ ფაქტია.

- იქ ხომ დათვი და ბოკვერი არიან!

- მოხდა ასე.

- რა მოუვიდა?

ოღონდ ინიციაცია არა! მარადიულ სიკვდილს უბრალო სიკვდილი ჯობია.

- ცოცხალია. მძევლად აიყვანა.

- რა?

ასეთი რაღაც სხვანაირებში არ ხდებოდა. მძევლების აყვანა ადამიანური ხრიკებია.

- ვამპირს მოლაპარაკება სურს. აქეთ უნდა... იმედი აქვს, რომ გამოძვრება.

გონებაში ვამპირს ხუთი პლუსით დავუსვი მოხერხებულობისთვის. თავის დაღწევის შანსი არ აქვს და არც ჰქონია. მაგრამ მთელი დანაშაულის აწ უკვე განადგურებულ მეგობარზე გადაბრალება, რომელმაც მისი ინიცირება მოახდინა... არაფერი ვიცი, არაფერი გამიგია. მიკბინეს და გავხდი ისეთი, როგორიც ვარ. წესები არ ვიცოდე. შეთანხმება არ წამიკითხავს. ნორმალური, კანონმორჩილი ვამპირი ვიქნები...

ხომ შეიძლება, რომ გამოუვიდეს! განსაკუთრებით, თუ ღამის საგუშაგო ასეთ დათმობებზე წავა. წავალთ კიდეც... სხვა გზა არა გვაქვს, ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე დაცული უნდა იყოს.

გულზე მომეშვა. წესით, ამ ბიჭის ბედი არ უნდა მანაღვლებდეს. თუ უწერია, ვამპირებისა და მაქციების კანონიერ მსხვერპლად იქცევა. ასეთია ცხოვრება. მე გვერდით ჩავუვლი. რომც არ ეწეროს ასე – რამდენჯერ ყოფილა, ღამის საგუშაგოს ვერ მიუსწრია, რამდენი ადამიანი დაღუპულა ბნელების ხელით... თუმცა უცნაურია – მისთვის ბრძოლაში ჩავები, ბინდში შევაბიჯე და სისხლი დავღვარე. და ახლა სულ ერთი არ არის. სულაც არ არის...

ბინდში ურთიერთობა გაცილებით უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე საუბარი ადამიანების სამყაროში. და მაინც სვეტლანასა და ოლგას შორის ვიხლიჩებოდი.

- ანტონ, ტვინი გამოგიჭედე ჩემი პრობლემებით.

ყველაფრის მიუხედავად, დიდი სურვილი გამიჩნდა, გადამეხარხარა. ამ გოგოს პრობლემებით ახლა ასამდე ადამიანს ჰქონდა ტვინი გამოჭედილი, სვეტლანა კი ვერც ხვდებოდა, რა ხდებოდა. მაგრამ როგორც კი სხვის პრობლემებზე ავლაპარაკდი – ისეთ უსუსურზე, შავი ინფერნოს ფონზე, გოგომ მომენტალურად გადაიტანა ისინი თავის თავზე.

- იცი, არსებობს ასეთი კანონი, - დავიწყე. – წყვილი შემთხვევების კანონი. შენ პრობლემები გაქვს, მაგრამ მაგაზე არ გეუბნებოდი. ერთ ჩემ ნაცნობსაც დიდი უსიამოვნება შეემთხვა, მართალია მისი პრობლემა პირადულია, მაგრამ ეს შეღავათს არ იძლევა.

მიხვდა. მომეწონა, რომ არ შეცბუნებულა. უბრალოდ დააზუსტა:

- ჩემი პრობლემებიც პირადულია.

- მე მასე არ ვიტყოდი, - ვუპასუხე.

- იმ ადამიანს – შეგიძლია, რომ დაეხმარო?

- უჩემოდ დაეხმარებიან.

- დარწმუნებული ხარ? გმადლობ, რომ მომისმინე, მაგრამ მე მართლა ვერ დამეხმარები. ასეთი ბედი მაქვს იდიოტური.

- მაგდებს? – ვიკითხე ბინდში. არ მინდოდა ახლა მის ცნობერებას შევხებოდი.

- არა, - გამომეხმაურა ოლგა. – არა... ანტონ, გრძნობს.

ნუთუ სხვანაირის შესაძლებლობები აქვს? თუ ეს მხოლოდ უეცარი მოზღვავება იყო, მოახლოებული ინფერნოთი გამოწვეული.

- რას გრძნობს?

- რომ საჭირო ხარ იქ.

- რატომ მე?

- გადარეული სისხლისმსმელი ვამპირი... დაჟინებით მოითხოვს შენთან ლაპარაკს. იმასთან, ვინც პარტნიორი მოუკლა.

სწორედ ამ მომენტში ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. ფაკულტატიური კურსი კი გავიარეთ ანტიტერორისტულ ზომებზე, მაგრამ უფრო იმისთვის, რომ განსხვავებული შესაძლებლობებისთვის არ მიგვემართა ადამიანური საქმეების გარჩევისას, ვიდრე ყოველდღიურ საქმიანობაში გამოსაყენებლად. ტერორისტების ფსიქოლოგიაც გავიარეთ, და მის ფარგლებში ვამპირი სავსებით ლოგიკურად მოქმედებდა. საგუშაგოს პირველი თანამშრომელი ვიყავი, რომელიც გზაზე გადავეღობე. მეგობარი მოვუკალი, თვითონ კი დავჭერი. გოგოს თვალში ჭეშმარიტ მოწინააღმდეგედ ვიქეცი.

- დიდი ხანია, ჩემს თავს ითხოვს?

- დაახლოებით ათი წუთია.

სვეტლანას თვალებში შევხედე. მის თვალებს ცრემლი არ გაჰკარებია, მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა. მშვიდ სახეს ამოფარებული ტკივილი კი ყველაზე რთული გადასატანია.

- სვეტა, ახლა რომ წავიდე?

სვეტლანამ მხრები აიჩეჩა.

- რა ცუდად გამოვიდა... – სინანულით აღვნიშნე. – მე მგონი, ახლა გჭირდება დახმარება. ვიღაც მაინც იყოს ისეთი, ვინც მოგისმენდა, ან უბრალოდ გვერდით დაგიჯდებოდა და გაგრილებულ ჩაის დალევდა.

სვეტლანამ გამიღიმა და ოდნავ შესამჩნევად დამიკრა თავი.

- მაგრამ მართალი ხარ... დახმარება კიდევ ერთ ადამიანს სჭიდება.

- ანტონ, რა უცნაური ხარ.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

თავი გადავაქნიე.

- უცნაური არა. ძალიან უცნაური.

- ასე მგონია... ხომ დიდი ხანია, გიცნობ, მაგრამ, თითქოს პირველად გხედავ. და მეჩვენება, თითქოს ერთდროულად ლაპარაკობ ჩემთან და კიდევ ვიღაც სხვასთან.

- მართალია, - დავეთანხმე.

- ან იქნებ ჭკუიდან გადავდივარ?

- არა.

- ანტონ... შენ ხომ შემთხვევით არ მოსულხარ ჩემთან?

პასუხი არ გამიცია. ოლგამ რაღაცა მიჩურჩულა და გაჩუმდა. ზემოთ ნელი ბრუნვით მოძრაობდა უზარმაზარი ქარბორბალა.

- არა, - დავეთანხმე. – აქ შენს დასახმარებლად მოვედი.

თუ წყევლის დამდები შავი ჯადოსანი გვითვალთვალებს... თუ ეს შემთხვევითი, „დედის წყევლა“ კი არ არის, არამედ პროფესიონალის მიზანმიმართული დარტყმა...

საკმარისი იყო წყვდიადის ღრუბელს სიძულვილის ერთი წვეთი შემატებოდა და სვეტლანას სიცოცხლის სიყვარული თუნდაც მცირედით შემცირებულიყო, რომ ინფერნო დაუყოვნებლივ იფეთქებდა. მოსკოვის ცენტრში ვულკანი ამოხეთქავდა, სამხედრო თანამგზავრი მწყობრიდან გამოვიდოდა, გრიპის ვირუსის ახალი სახეობა მუტაციას დაასრულებდა...

უხმოდ ვუყურებდით ერთმანეთს.

მომეჩვენა, თითქოს მივხვდი, რაც ხდებოდა სინამდვილეში. ამოხსნა აქვე იმალებოდა, და ყველა ჩვენი ვერსია მხოლოდ და მხოლოდ სისულელე აღმოჩნდა, ძველი წესებისა და სქემების უაზრო დაცვა, რომელთა უგულებელყოფაც გვიბრძანა შეფმა ბოლო მომენტში. მაგრამ პასუხის მისაგნებად უბრალოდ უნდა ჩაფიქრებულიყავი, თუნდაც წამიერად მოწყვეტილიყავი ყველაფერს, რაც კი შენს გარშემო ხდებოდა და ცარიელი კედელისთვის ან ჩამქრალი ტელეეკრანისთვის გაგესწორებინა თვალი, და არ უნდა გახლეჩილიყავი კონკრეტული ადამიანის ხსნისა და ასობით, ათასობით ადამიანის გადარჩენის სურვილს შორის. არ უნდა დატანჯულიყავი მურტალი არჩევანის ჯოჯოხეთურ ჭაობში, რომელიც ნებისმიერ შემთხევევაში სავალალო შედეგს მოიტანდა და ერთადერთი განსხვავება ჩემთვის იქნებოდა - სწრაფი დაღუპვა, როცა ინფერნოს დარტყმის შედეგად მომენტალურად გადავეშვებოდი ბინდისეული სამყაროს ნაცრისფერ სივრცეებში, ან ნელი და ტანჯვით სავსე სიკვდილი, გულში საკუთარი თავისადმი სიძულვილის ნაკვერჩხალის გაღვივებით...

- სვეტა, უნდა წავიდე, - ავუხსენი.

- ანტონ! – ამჯერად შეფის ხმა მომესმა. – ანტონ...

შეფს ენა დაება – ვერაფერს მიბრძანებდა, სიტუაცია ეთიკურ ჩიხში შევიდა. როგორც ჩანს, ვამპირი ისევ თავის აზრზე იდგა და სხვა არავისთან არ სურდა მოლაპარაკება. დარჩენა რომ ებრძანა, ამით მძევალი ბიჭის სიკვდილს გამოიწვევდა... და ამიტომ ვერაფერს მეუბნებოდა. თხოვნის უფლებაც არ ჰქონდა.

- შენს უკანსვლას მოვაწყობთ...

- ჯობია, შეატყობინოთ მაგ შიზოიდს, რომ მოვდივარ.

სვეტლანამ ხელი გამომიწოდა, და მსუბუქად შეეხო ჩემს ხელისგულს:

- სამუდამოდ მიდიხარ?

- დილამდე, - ვუპასუხე.

- არ მინდა, - უბრალოდ წარმოთქვა გოგომ.

- ვიცი.

- ვინ ხარ?

სამყაროს საიდუმლოებების ექსპრეს გაზიარება? დუბლი ორი?

- დილით მოგიყვები. კარგი?

- გადაირიე? – ჩამესმა შეფის ხმა.

- მართლა უნდა წახვიდე?

- ოღონდ ეგ არ უთხრა! – დამიყვირა ოლგამ. მიმიხვდა ფიქრებს.

ამის ნაცვლად სვეტას მივმართე:

- სვეტა, როცა საკუთარი თავის დასახიჩრება შემოგთავაზეს, დედაშენის ცხოვრების გახანგრძლივების მიზნით, და როცა შენ უარი უთხარი... საკმაოდ სწორად და გონივრულად მოიქეცი, არა? მაგრამ ახლა ცუდად გრძნობ თავს, ისე ცუდად, რომ გერჩივნა, სხვაგვარად მოქცეულიყავი.

- ახლა რომ არ წახვიდე, ცუდად შენ იგრძნობ თავს?

- კი.

- მაშინ წადი. მაგრამ დაბრუნდი, ანტონ.

მაგიდიდან წამოვდექი, გაციებული ჩაი მაგიდაზე დავტოვე. ჩვენს თავზე ინფერნოს მორევი ტრიალებდა.

- აუცილებლად მოვალ, - დავარწმუნე. – და... დამიჯერე, ჯერ კიდევ რჩება იმედი.

მეტი არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის. სადარბაზოში გავედი და კიბეებს ჩავუყევი. სვეტლანამ კარი დახურა. რა სიჩუმეა... სამარისებული სიჩუმე, ძაღლებსაც მობეზრდათ ამ ღამეს ყმუილი.

უგუნურად. უგუნურად ვიქცევი. თუ არ არსებობს ეთიკურად სწორი გამოსავალი – არაგონივრულად მოიქეცი. ვინმემ მითხრა? თუ რომელიმე ძველი კონსპექტში ჩაწერილი ლექციიდან გამახსენდა სტროფი ან ფრაზა? ან იქნებ საკუთარი გამართლების საშუალებას ვეძებ?

- ქარბორბალა... – მიჩურჩულა ოლგამ. ხმა ისე შეცვლოდა, ძლივს ვიცანი. მინდოდა, თავი მხრებში ჩამერგო.

სადარბაზოს კარს ვკარი ხელი და გაყინულ ტროტუარზე გამოვარდი. ბუ, ბუმბულის თეთრი გორგალი, თავზე დამტრიალებდა.

იფერნოს ქარბორბალა ერთი ორი მეტრით შემცირდა, დაჯდა, მართალია მცირედით, საერთო სიმაღლესთან შედარებით, მაგრამ თვალისთვის უკვე შესამჩნევი გახდა შემცირება.

- იცოდი, რომ ასე მოხდებოდა? – იკითხა შეფმა.

თავი გადავაქნიე და ქარბორბალას შევხედე. და საერთოდ, რა ხდება? რატომ ჰქონდა ქარბორბალას საწინააღმდეგო რეაქცია იგნატის, ადამიანებთან ურთიერთობის სპეციალისტისა და მათი გულთამპყრობელის, გამოჩენაზე, ხოლო ჩემმა არეულ-დარეულმა, დაულაგებელმა საუბარმა რატომ გამოიწვია მისი უეცარი შემცირება?

- დროა, ანალიტიკოსების ჯგუფი დავითხოვოთ, - თქვა შეფმა. მივხვდი, რომ მარტო მე კი არა, ყველას მიმართავდა. – როდის გვექნება მომხდარის სამუშაო ვერსია?

მანქანამ მოულოდნელად ამოყვინთა მწვანე პროსპექტიდან, ფარების შუქი შემომანათა, საბურავებს ჭრიალი აატეხინა, ტლანქად მოიქნია გვერდი დამსხვრეული ასფალტის გროვასთან და სადარბაზოსთან გაჩერდა. დაბალი ღია ნარინჯისფერი სპორტული კაბრიოლეტი სასაცილოდ გამოიყურებოდა უღიმღამო მრავალსართულიანი შენობების ფონზე, ქალაქში, სადაც საუკეთესო სატრანსპორტო საშუალებად ისევ ჯიპი რჩებოდა.

სემიონმა მძღოლის ადგილიდან გამოიხედა და თავი დამიქნია:

- დაჯექი. ნაბრძანები მაქვს, ქარის სიჩქარით მიგიყვანო.

ოლგას შევხედე, მანაც იგრძნო შემოხედვა.

- მე აქ მაქვს სამუშაო. გაყევი.

მანქანას შემოვურბინე და წინა სავარძელზე დავჯექი. უკან ილია გაშხლართულიყო, ალბათ შეფმა საჭიროდ ჩათვალა დათვისა და ბოკვერის წყვილის გამაგრება.

- ანტონ, - ბინდიდან ოლგას ხმა დამეწია. – არ დაგავიწყდეს... ვალი გაქვს. კარგად დაიმახსოვრე – გონებიდან არ გადაგცილდეს.

თავიდან ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. ჯადოქარს დღის საგუშაგოდან? მაგრამ ჯადოქარი რა შუაშია?

მანქანა ადგილს მოწყდა და გავარდა, ძირით ყინულის ლოდებს მოედო. სემიონმა შეიკურთხა და საჭე მოატრიალა. ძრავამ რისხვით დაიბღუვლა და მანქანა პროსპექტისკენ გაღოღდა.

- რომელ იდიოტს გამოართვით მანქანა? – ვიკითხე. – ასეთ ამინდში ამ...

ილიამ გადაიხითხითა:

- ჩუ... ბატონმა ბორისმა დაგითმო თავისი მანქანა.

- მართლა? – ესღა ვიკითხე და მივიხედ-მოვიხედე. შეფი სამსახურის „BMW“-ით დადიოდა. არც კი შემინიშნავს მასში არაპრაქტიკული ფუფუნებისკენ მიდრეკილება...

- მართლა. ანტოშკა, როგორ მოახერხე? – ილიამ ქარბორბალასკენ მანიშნა, რომელიც შენობებს დასტრიალებდა. – არ შემინიშნავს, რომ ასეთი შესაძლებლობები გქონია!

- ხელი არ მიხლია. უბრალოდ გოგოს ველაპარაკებოდი.

- ლაპარაკებოდი? არ გაჟიმე?

ეს ილიასთვის ურთიერთობის ჩვეულებრივი მანერა გახლდათ, როცა დაძაბულობას გრძნობდა. ნერვიულობისა და დაძაბულობისთვის კი ახლა მიზეზები ოხრად ჰქონდა. და მაინც შევიჭმუხნე წარბი. განზრახ მომახალა ეს სიტყვები?... თუ, უბრალოდ, წამოსცდა.

- არა. ილია, მასე ნუ ლაპარაკობ.

- მაპატიე, - დამეთანხმა. – აბა, რა გააკეთ?

- უბრალოდ ველაპარაკებოდი.

მანქანა, როგორც იქნა, პროსპექტზე გავიდა.

- მოეჭიდეთ, - მოკლე მითითება მოგვცა სემიონმა. საზურგეს მივეკარი. ილია ჩემს უკან ახმაურდა, სიგარეტი ამოიღო და მოკიდებას ცდილობდა.

ოციოდე წამის შემდეგ მივხვდი, რომ აქამდე მხოლოდ ნელი, აუღელვებელი სვლით მივსეირნობდით.

- სემიონ, ავარიის ალბათობა მოგვაშორეს? – დავიყვირე. მანქანა ისე გამალებით მიქროდა ღამის ქალაქში, თითქოს საკუთარი ფარებისთვის უნდოდა გადაესწრო.

- სამოცდაათი წელია საჭესთან ვზივარ, - აგდებულად მიპასუხა სემიონმა. – ლენინგრადში სატვირთო მანქანები მიტარებია ცხოვრების გზაზე!

მის სიტყვებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, მაგრამ მაინც გავიფიქრე, რომ წინამორბედი მგზავრობები ასეთი სახიფათო არ ყოფილა. არც ასეთი სიჩქარით უვლია, ბომბის ჩამოვარდნის წინასწარ განსაზღვრა სხვანაირისთვის სირთულეს არ წარმოადგენს. გზებზე მანქანები იშვითად გვხვდებოდა, მაგრამ თავად გზა, რბილად რომ ვთქვათ, დანგრეული იყო, ჩვენი სპორტული მანქანა კი ასეთი დაჩეხილი გზებისთვის არ გამოდგებოდა...

- ილია, რა მოხდა იქ? – ვიკითხე, თან ვცდილობდი, მზერა მომეწყვიტა სატვირთო მანქანისთვის, რომელიც ჩვენთვის გვერდის აქცევას აპირებდა. – თუ იცი.

- ვამპირზე და ბიჭზე ამბობ?

- კი.

- ჩვენი სისულელით დაგვემართა, - ილიამ გადაიკურთხა. – თუმცა სისულელეც ფარდობითია... ყველაფერი კარგად მიდიოდა. დათვი და ბოკვერი ბიჭის მშობლებს შორეულ, მაგრამ საყვარელ ნათესავებად წარმოუდგნენ.

- „ჩვენ ურალიდან ვართ“? – ვიკითხე და გამახსენდა კურსი ადამიანებთან ურთიერთობისა და გაცნობის ვარიანტების შესახებ.

- ჰო. საქმე მშვენივრად მიდიოდა. ისხდნენ, სვამდნენ, თან ურალის დელიკატესებს აყოლებდნენ... უახლოესი სუპერმარკეტიდან...

დათვის დამძიმებული ჩანთა გამახსენდა.

- მოკლედ, კარგ დროს ატარებდნენ, - ილიას შური კი არ ალაპარაკებდა, უფრო მეტად მეგობრების მიმართ სრული თანაგრძნობა. – სითბო, სინათლე, იდილია... საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ ბიჭს უკვე ბინდში გადასვლის შესაძლებლობა ჰქონდა?

ცივმა ოფლმა დამასხა.

და მართლაც, საიდან?

მე ხომ არ მითქვამს, არც მათთვის, არც შეფისთვის. არავისთვის. მხოლოდ იმით შემოვიფარგლე, რომ ბიჭი ბინდიდან გამოვათრიე და მის გადასარჩენად მცირეოდენი სისხლი გავიღე. გმირი. მარტოხელა მეომარი.

ილია ლაპარაკს განაგრძობდა, ისე რომ ვერაფერს ხვდებოდა:

- ვამპირმა ძახილით გამოიტყუა. იმდენად ზუსტად ამოიღო მიზანში, რომ ოპერატიულებს ეჭვიც არ აუღიათ. და ისეთი ძალით, რომ ბიჭს არც ამოუკვნესია. გადავიდა ბინდში და სახურავზე გადაძვრა.

- როგორ?

- აივნებით, სახურავამდე სამი სართული აშორებდა. ვამპირი უკვე ადგილზე ელოდებოდა. თანაც იცოდა, რომ ბიჭს ყარაულობდნენ, დაიჭირა თუ არა, მაშინვე გამოტყდა. ახლა მშობლებს ღრმა ძილით სძინავთ, ვამპირს ბიჭი ყავს შეპყრობილი, ბოკვერი და დათვი იქვე არიან და ლამის ჭკუიდან გადავიდნენ.

ხმა არ ამომიღია. ან რა უნდა მეთქვა.

- ჩვენი სიშტერით მოგვივიდა, - დაასკვნა ილიამ. – მოვლენათა საბედისწერო თანხვედრამ კი თავისი წვლილი შეიტანა. ბიჭის ინიცირებაც არ მოუხდენია არავის... ვინ წარმოიდგენდა, რომ ბინდში გადასვლა შეეძლო?

- მე ვიცოდი.

შეიძლება უბრალო მოგონებები იყო, ან შიში, ტრასაზე მანქანის გადარეული სრბოლით გამოწვეული. მაგრამ ბინდში გადავიხედე.

როგორ გაუმართლათ ადამიანებს, ამას რომ ვერ ხედავენ! და როგორ არ გაუმართლათ, ამის დანახვა რომ არ უწერიათ!

უკიდეგანო ნაცრისფერი უვარსკვლავებო ზეცა, რომელსაც ვარსკვლავები არც სცოდნია, კისელივით ბლანტი ცა, გაცრეცილი, მკრთალი შუქით განათებული. შერბილებული და გამღვალი სილუეტები – სახლები ლურჯი ხავსით მოფარდაგებული კედლებით, და ხეები, რომლის ტოტები ქარის დაბერვაზე რომ არ ირხევიან, და ქუჩის ლამპიონები, რომლის თავზეც პატარა ფრთების ნაზი მოძრაობით ბინდისეული ფრინველები არტყამენ წრეს. მანქანები ნელა, ზანტად გადაადგილდებიან, ხალხიც თითქოს ნაბიჯებს არ ადგამს, ისე აუჩქარებლად მოძრაობს. თითქოს ყველაფერს ნაცრისფერი შუქფილტრის მიღმა ათვალიერებ, თითქოს ყველაფერი ყურებში გარჭობილი ბამბების მიღმა გესმის. მუნჯი შავ-თეთრი კინო, ნოვატორობით დაღლილი რეჟისორის დახვეწილი ნამუშევარი. სამყარო, სადაც ძალებს ვიკრებთ, სამყარო, რომელიც ჩვენი ძალებით საზრდოობს. ბინდი. როგორიც შეხვალ ბინდში, ისეთივე გამოხვალ. ნაცრისფერი ბურუსი ჩაკირულ გარსს მოგაცლის, რომელიც მთელი ცხოვრება გეზრდებოდა, გამოგაცლის შუაგულს, რომელსაც ადამიანები სულს ეძახიან და კბილს გაუსინჯავს. და მაშინ იგრძნობ, როგორ ახრაშუნებს ბინდი შენს სხეულს თავისი მძლავრი ყბებით, ცივი გამჭოლი ქარი დაგივლის, მწვავე, როგორც გველის შხამი... სწორედ მაშინ გახდები სხვანაირი.

და აირჩევ, რომელ მხარეს დადგები.

- ბიჭი ისევ ბინდშია? – ვიკითხე.

- ყველანი ბინდში არიან... – ილია ბინდში გამომყვა. – ანტონ, რატომ არ თქვი?

- ვერ ვიფიქრე მაგდენი. არ მიმინიჭებია მნიშვნელობა. მე ხომ ოპერატიული მუშაკი არა ვარ, ილია.

თავი გადააქნია.

ჩვენ არ შეგვიძლია, თითქმის არ შეგვიძლია, ერთმანეთის დაძრახვა. მაშინაც კი, როცა ვინმე მართლა დამნაშავეა. არ არის ამის საჭიროება, სასჯელი მუდამ თან გვდევს. ადამიანებისთვის მიუწვდომელი ბინდი ძალებს გვმატებს, სიცოცხლეს გვანიჭებს, ადამიანური თვალსაზრისით – თითქმის მარადიულს. მაგრამ სამაგიეროდ ყველაფერს გვართმევს, როცა დრო დადგება.

გარკვეულ წილად, ნისიად ვცხოვრობთ. არა მარტო ვამპირები და მაქციები, რომლებიც იძულებული არიან მოკლან, თავისი უცნაური არსებობა რომ გაიხანგრძლივონ. ბნელებს არ შეუძლიათ საკუთარ თავს კეთილი საქმის უფლება მისცენ. ჩვენ – პირიქით.

- ვერ შევძლებ... ფრაზა არ დამიმთავრებია. ისედაც ყველაფერი ნათელი იყო.

თავი 8

ბინდში აქაურობა უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა. „ფეხებიანი სახლის“ ბრტყელ სახურავზე ფერად-ფერადი ათინათები ციმციმებდნენ. აქ მხოლოდ ჩვენი ემოციებია შეფერილი. ემოციები ამ წუთსაც მართლაც რომ უხვად გვაწვებოდა.

ყველაზე მკვეთრად კი ცას ვამპირის მეწამულ ალად მოკაშკაშე მრისხანება და შიში აპობდა.

- ძლიერია, - მოკლედ აღნიშნა სენიონმა, სახურავზე აიხედა და მანქანის კარი ფეხით მიხურა. ამოიოხრა და გახდას შეუდგა.

- რას აკეთებ? – ვკითხე.

- მოდი, მე კედელს ავუყვები... აივნებს, შენც მაგას გირჩევ, ილია. ოღონდ შენ ბინდში გადადი, უფრო გაგიადვილდება.

- შენ როგორ ახვალ?

- ჩვეულებრივად. ასე ნაკლები შანსია შემჩნევის. ნუ ღელავთ... სამოცი წელია ალპინიზმით ვარ დაკავებული. იალბუზიდან ფაშისტების დროშა მისროლია.

სემიონი ტანსაცმელს იხდიდა და კაპოტზე ისროდა, სანამ პერანგისამარა არ დარჩა. დამცავმა შელოცვამ წამიერად იმოქმედა და კაპოტზე მიმობნეული ტანსაცმელი და თავად მდიდრული მანქანაც დაფარა.

- დარწმუნებული ხარ? – დავინტერესდი.

სემიონს ჩაეცინა, გაიჭიმა, რამდენჯერმე ჩაიკუზა, ხელები განზე გაწია, და გაავარჯიშა, თითქოს სპორტსმენი ყოფილიყოს და მოთელვებს აკეთებდეს. შემდეგ ძუნძულით გაემართა შენობისკენ. მხრებზე ნაზად ეცემოდა თოვლის ფანტელები.

- ავა კი? – დავეჭვდი. ბინდში შენობის კედელზე ცოცვა თეორიულად ვიცოდი, მაგრამ ჩვეულებრივ სამყაროში ასვლა, თანაც ყოველგვარი აღჭურვილობის გარეშე...

- უნდა ავიდეს, - განსაკუთრებული სიმტკიცის გარეშე დამიდასტურა ილიამ. – როცა მდინარე იაუზას მიწისქვეშა კალაპოტს მიყვებოდა... მეც მეგონა, რომ ვერ ამოყვინთავდა.

- ყვინთვის ოცდაათწლიანი გამოცდილება, - აღვნიშნე პირქუში სახით.

- ორმოცი... წავედი მე, ანტონ. შენ ლიფტით ამოხვალ?

- კი.

- კარგი მაშინ... ნუღარ აყოვნებ.

ბინდში გადავიდა და სემიონს გაყვა. ალბათ სხვადასხვა კედლებზე ავლენ, თუმცა არ დამიწყია იმის გარკვევა, რომელზე.

მე ჩემი გზა მელოდა, რომელიც სირთულეში არ ჩამოუვარდებოდა.

- ნეტავ საერთოდ არ გადამყროდი, შეფ... – ჩავიჩურჩულე, როცა სადარბაზოს ვუახლოვდებოდი. ფეხებში თოვლი ხრაშუნობდა, საფეთქლებში კი სისხლი მაწვებოდა. სირბილისას პისტოლეტი ამოვიღე ბუდიდან და მცველი მოვხსენი. პისტოლეტში შვიდი ვერცხლის სასკდომი ტყვია მედო. უნდა მყოფნოდა. ერთი მიზანში მომახვედრა. ნეტა ის მომენტი დამეჭირა, როცა შანსი მომეცემოდა და მომახვედრა, დამესწრო ვამპირისთვის და ბიჭისთვის არ მომეხვედრებინა.

- ადრე თუ გვიან, მაინც გიპოვნიდნენ, ანტონ. ჩვენ თუ არა, დღის საგუშაგო მაინც. შენს ხელში ჩასაგდებად მათაც უამრავი შანსი ჰქონდათ.

არც გამკვირვებია, რომ შეფი მითვალთვალებდა. ჯერ ერთი სერიოზული საქმე იყო, მეორეც – ჩემს უშუალო ხელმძღვანელად რჩებოდა.

- ბატონო ბორის, რამე რომ მოხდეს... – ქურთუკი გავიხსენი, პისტოლეტი ზურგს უკან გადავიტანე და ლულა საქამრეში ჩავიდე. – სვეტლანაზე...

- დედამისი თავიდან ბოლომდე შეამოწმეს, ანტონ. არა აქვს წყევლის უნარი. არანაირი.

- მაგაზე არ ვამბობ. ბატონო ბორის... იცით, რა ვიფიქრე. არ შემიბრალებია.

- რას გულისხმობ?

- არ ვიცი. მაგრამ არ შემიბრალებია. არც კომპლიმენტები გამიკეთებია. არც მიცდია, გამემართლებინა.

- გასაგებია.

- ახლა კი... გაქრით, ძალიან გთხოვთ. ეს ჩემი საქმეა.

- კარგი. მაპატიე, რომ ასე მოულოდნელად გაგისტუმრე ველად. წარმატებას გისურვებ, ანტონ.

რამდენადაც მახსოვს, შეფს ჯერ არავის წინაშე არ მოუხდია ბოდიში. არასდროს. მაგრამ გაოცებისთვის დროც არ დამრჩა, ლიფტი, როგორც იქნა, ჩამოვიდა.

ბოლო სართულის ღილაკს რომ დავაჭირე, ყურსასმენის ჩამოკონწიალებული ღილებს მოვკარი თვალი. უცნაურია, პლეერი უკრავდა. როდის ჩავრთე?

და რა სიმღერა მომართვა განგებამ?

Все решится потом, для одних он никто,

Для меня - господин,

Я стою в темноте, для одних я как тень,

Для других - невидим.

ვგიჟდები „პიკნიკზე“. საინტერესოა, ნეტა შკლიარსკი თუ შეუმოწმებიათ ოდესმე სხვანაირის პოტენციურ შესაძლებლობებზე. ისე კი უნდა შეემოწმებინათ... ან იქნებ, არც ღირდა. ჯობდა, ემღერა და ტყუილად არ მოცდენილიყო.

Я танцую не в такт, я все сделал не так,

Не жалея о том.

Я сегодня похож на несбывшийся дождь,

Не расцветший цветок.

Я, я, я — я невидим.

Я, я, я — я невидим.

Наши лица как дым, наши лица как дым

И никто не узнает, как мы победим…

ეს ბოლო ფრაზა შემიძლია ნეტა კარგის მომასწავებლად ჩავთვალო?

ლიფტი გაჩერდა.

ბოლო სართულის ბაქანზე გამოვარდი და ჭერზე დატანებულ ლიუკს ავხედე. ვიღაცას ბოქლომი მოეგლიჯა – სარქველიდან ბოქლომის დაჩეჩქვილი რკალი ჩამოწელილიყო. ვამპირს ამის გაკეთება არ დასჭირდებოდა, სახურავზე, სავარაუდოდ, აფრინდებოდა. ბიჭი აივნებზე აცოცდა.

გამოდის, რომ ბოკვერის ან დათვის ნახელავია. უფრო დათვის, ბოკვერი ლიუკს უბრალოდ მოხსნიდა.

ქურთუკი გავიხადე და მოგუგუნე პლეერთან ერთად იატაკზე ვისროლე. ზურგთან მოთავსებული პისტოლეტი მოვსინჯე – მაგრად ჩამჯდარიყო საქამრეში. მაშ, ტექნიკური საშუალებები სისულელეა? ვნახოთ, ოლგა, ვნახოთ.

საკუთარი ჩრდილი ზევით მოვისროლე და ჰაერში მისი პროექცირება მოვახდინე, ძალები მოვიკრიფე, მოვწყდი ადგილს და ჩრდილში გადავეშვი. ბინდში გადავინაცვლე და კიბეს ავუყევი. ლურჯი ხავსი, რომელიც უხვად მოსდებოდა რკინის რიკულებს, თითებში მეკეცებოდა და მოაჯირზე მიცოცავდა.

- ანტონ!

სახურავზე რომ ამოვყავი თავი, და ცოტათი მოვიხარე კიდეც – ისეთი ძლიერი ქარი უბერავდა. გადარეული, ნემსივით გამჭოლი, ყინულივით ცივი. ან ადამიანური სამყაროს გრიგალის გამოძახილი, ან ბინდისეული სამყაროს მოჩვენება. ჯერჯერობით ლიფტის შახტის ბეტონის ჩარჩო მიფარავდა ქარისგან, მაგრამ საკმარისი იყო ნაბიჯი გადამედგა, რომ ძვალსა და რბილში აღწევდა.

- ანტონ, აქ ვართ!

ბოკვერი ათიოდე მერტში იდგა. შევხედე და წამიერად შემშურდა კიდეც მისი – სიცივეს საერთოდ ვერ გრძნობდა.

საიდან იღებდნენ მაქციები და ჯადოსნები მასას სხეულის ტრანსფორმაციისთვის, ჩემთვის უცნობია. მეეჭვება, რომ ბინდისეული სამყარო ანიჭებდეთ ამ ფორმებს, ადამიანური სამყარო გამორიცხულია. როგორც ადამიანი, გოგო ორმოცდაათ კილოგრამს იწონიდა – შეიძლება ცოტა მეტსაც. როგორც ვეფხვის ბოკვერი, რომელიც მოყინულ სახურავზე სამხედრო პოზაში დამდგარიყო, ორ ცენტნერს აღწევდა. მისი აურა ნარინჯისფერი ალით ელვარებდა, ბეწვზე ნელი, აუჩქარებელი ნაკადით

სდიოდა ნაპერწკლები. კუდს თანაბრად იქნევდა მარჯვნივ და მარცხნივ, წინა მარჯვენა თათით კი დინჯად კაწრავდა ბეტონს. ამ ადგილას ბეტონი უკვე ამოღრუტნულიყო... გაზაფხულზე ალბათ დაასხამდა ვინმე...

- ანტონ, ახლოს მოდი, - დამიყვირა ბოკვერმა, ისე რომ არ მობრუნებულა. – აქ არის!

დათვი ვამპირთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ბოკვერი. შესახედაობა კიდევ უფრო მრისხანე ჰქონდა. ამჯერად ტრანსფორმაციისთვის თეთრი დათვის სხეული აერჩია, თან არქტიკის რეალური ბინადრებისგან განსხვავებით თოვლივით თეთრი ბეწვით შემოსილიყო, გეგონებოდათ, საბავშვო წიგნის ილუსტრაციიდან გადმოსულიყო. არა, ალბათ მაინც მაგია, და არა გადამზადებული მაქცია. მაქციები ერთი, მაქსიმუმ ორი სხეულით შემოიფარგლებიან, მე კიდევ დათვი მურა დათვის სახითაც მყავს ნანახი, როცა საგუშაგოს ამერიკული დელეგაციისთვის კარნავალს ვაწყობდით, და გრიზლის იერსახითაც – ტრანსფორმაციის საცდელ მეცადინეობებზე.

ვამპირი ზედ სახურავის კიდესთან იდგა.

საგრძნობლად მოტეხილიყო ჩვენი პირველი შეხვედრის მერე. სახე დაუგრძელდა, ლოყები ჩაუცვივდა. ორგანიზმის გარდაქმნის დაწყებით სტადიაზე ვამპირებს ახალ-ახალი სისხლის თითქმის უწყვეტი ნაკადი ესაჭიროებოდათ. მაგრამ გარეგნობით თავის მოტყუება არ ღირდა – გამოფიტვა მხოლოდ მის გარეგნულ მხარეს ეხება და ტანჯვას აყენებს, თუმცა ძალებს არ აცლის. სახის დამწვრობა თითქმის მთლიანად გამქრალიყო, კვალი ოდნავ ეტყობოდა.

- შენ! – ვამპირის ხმა სიხარულით სავსე იყო, საზეიმო – გეგონება მოლაპარაკებაზე კი არა სასაკლაოზე დამიბარა.

- დიახ.

ეგორი ვამპირის წინ იდგა, რომელიც ბიჭს ამოფარებული იცავდა თავს ოპერატიულებისგან. ბიჭი ვამპირის მიერ წარმოქმნილ ბინდში იმყოფებოდა, ამიტომაც გონს არ კარგავდა. ხან მე მიყურებდა, ხან ბოკვერს. ალბათ, ჩვენი იმედი უფრო ჰქონდა. ვამპირს ცალი ხელი ბიჭის გულ-მკერდზე შემოევლო, მეორე კი – მოშვებული ბრჭყალებით – მის ყელთან მიეტანა. სიტუაციის შეფასება ძნელი არ იყო. ფათა. თანაც ორმხრივი.

დათვს ან ბოკვერს ვამპირზე თავდასხმა რომ გაებედათ, გოგო ხელის ერთი მოსმით წაცლიდა ბიჭს თავს. ეს კი არ იკურნება... ჩვენი შესაძლებლობებითაც. მეორეს მხრივ, ბიჭის მოკვლა არავითარ ხეირს არ მოუტანდა, მაშინვე ავიყვანდით.

არ შეიძლება მტრის კუთხეში მოქცევა, განსაკუთრებით, თუ მოსაკლავად მიდიხარ.

- ჩემი ნახვა გინდოდა. აი, მოვედი, - ხელები ავწიე, რითაც ვაჩვენე, რომ ხელში არაფერი მეჭირა. წინ წავიწიე. როდესაც ბოკვერსა და დათვს შორის აღმოვჩნდი, ვამპირმა ეშვები გამოუშვა:

- გაჩერდი!

- არც ვერხვის ავგაროზი მაქვს, არც რაიმე საბრძოლო ამულეტი. ჯადოქარი არ ვარ. და ვერაფერს დაგიშავებ.

- ამულეტი! ყელზე გიკიდია!

აი, რაზე ამბობს...

- შენთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს იმ ძალისგან მიცავს, რომელიც შენზე განუზომლად მაღლა დგას.

- მოიხსენი!

ოჰ, რა საშინელებაა... ჯაჭვს მოვუჭირე, ამულეტი მოვიწყვიტე და ძირს ვისროლე. ახლა, თუ სურვილი გაუჩნდებოდა, ზავულონს შეეძლო ჩემზე ზემოქმედება მოეხდინა.

- მოვიხსენი. თქვი ახლა, რა გინდა?

ვამპირმა თავი მოატრიალა – კისერი უპრობლემოდ შემობრუნდა სამას სამოცი გრადუსით. ოჰო! ასეთი რამ არც მსმენია... არც ჩვენს მებრძოლებს, სავარაუდოდ – ბოკვერმა შეუღრინა.

- ვიღაცა მოიპარება! – ვამპირს ადამიანური ხმა შერჩა, პატარა, ჩერჩეტი გოგოს წრიპინა და ისტერიული ხმა, რომელმაც სრულიად მოულოდნელად მიიღო უდიდესი ძალა და ძალაუფლება. – ვინ? ვინ?

მარცხენა ხელი, რომელზეც ბრჭყალები მოეშვა, ბიჭის ყელს მიაბჯინა – შევკრთი, როცა წარმოვიდგინე, რა მოხდებოდა, ეგორს ერთი წვეთი სისხლი მაინც რომ გამოსვლოდა. ვამპირი კი კონტროლს დაკარგავდა! მეორე ხელით კი, სულელური ბრალდების ჟესტით, რომელიც ძალაუნებურად მოგაგონებდათ ბრონირებული მანქანიდან ლენინის გაშვერილ ხელს, სახურავის კიდისკენ გაიწვდინა.

- გამოვიდეს!

ამოიოხრე და დავუძახე:

- ილია, გამოდი...

ილიას სახურავის კიდისთვის თითები მოეჭიდა. ორიოდე წამის შემდეგ, სახურავზე აღმოჩნდა, დაბალი შემოღობვა გადალახა და ბოკვერის გვერდზე დადგა. სად

იმალებოდა? აივნის სახურავზე? თუ კედელზე გადახლართულ ლურჯ ხავსს ებღაუჭებოდა?

- ვიცოდი! – საზეიმოდ აღნიშნა ვამპირმა. – ტყუილი!

სემიონის მოახლოება ალბათ არ უგრძვნია. ან იქნებ, ჩვენი ფლეგმატური მეგობარი მეასე წელია, რაც ნინძუცუში ვარჯიშობს.

- შენ ლაპარაკობ სიცრუეზე?

- დიახ! – წამით ვამპირის თვალებში რაღაც ადამიანურმა ნაპერწკალმა გაიელვა. – მე ვიცი, როგორ მოვიტყუო, თქვენ კი, აზრზე არ ხართ!

კარგი, კარგი, შენ შეგიძლია, ჩვენ – არა. გჯეროდეს და მაგის იმედი გქონდეს. თუ გგონია, რომ ცნება „წმინდა სიცრუე“ მხოლოდ ქადაგებისთვის გამოდგება – გჯეროდეს. თუ ფიქრობ, რომ „სიკეთეს მახვილით უნდა იცავდე“ მხოლოდ მასხარად აგდებული პოეტის ძველ ლექსებში შეხვდები – გქონდეს მაგის იმედი.

- რა გინდა? – ვკითხე.

ვამპირი გაჩუმდა, თითქოს ამაზე არც დაფიქრებულა.

- ცხოვრება!

- აი, მანდ კი დააგვიანე. უკვე მკვდარი ხარ.

ვამპირმა ეშვები გამოაჩინა:

- მართლა? მიცვალებულებს შეუძლიათ თავების მოწყვეტა?

- კი. მაგის მეტი რა იციან?

ვუყურებდით ერთმანეთს, და ყველაფერი გადაჭარბებული თეატრალური წარმოდგენასავით უცნაურად გამოიყურებოდა. მთელი ჩვენი საუბარი აზრს იყო მოკლებული, ჩვენ ხომ ვერასდროს ვერ გავუგებდით ერთმანეთს. გოგო მკვდარია. მისი სიცოცხლე სხვების მოკვლაში მდგომარეობს. მე ცოცხალი ვარ. მაგრამ მისთვის ყველაფერი პირიქითაა.

- მე არ ვარ ამაში დამნაშავე, - ხმა თითქოს დაუმშვიდდა, შეურბილდა. და ხელიც მოეშვა ეგორის კისერზე. – თქვენ, თქვენ, ღამის გუშაგებს რომ ეძახით თავს... ღამეები რომ არ გძინავთ, და ჩათვალეთ, რომ სამყარო წყვდიადისგან უნდა დაიცვათ... სად იყავით, ჩემს სისხლს რომ წოვდნენ?

დათვმა ერთი პატარა ნაბიჯი გადადგა წინ, პაწაწინა, თითქოს ძლიერი თათები არც გაუმოძრავებია, უბრალოდ ქარის მძლავრ ნაკადს დაემორჩილა და გამოსრიალდა. მეგონა, ერთი ათი წუთი მაინც ისრიალებდა ასე ზლაზვნით, როგორც მთელი ეს დრო

მიიზლაზნებოდა, რომლის განმავლობაშიც დაპირისპირება გრძელდებოდა. მანამ, სანამ შესაფერისი მომენტი დადგება. შემდეგ კი გადახტება და ბიჭს ვამპირს გამოგლეჯს... და თუ ბიჭს გაუმართლა, ერთი ორი მალის მოტეხილობით გადარჩება.

- ჩვენ ხომ ყველაფერს ვერ გავაკონტროლებთ, - ვიმართლე თავი. – უბრალოდ არ შეგვიძლია.

ცუდი ისაა, რომ გული მომილბა, გოგო შემეცოდა. არა ეგორი, რომელიც სინათლესა და წყვდიადს შორის გამართულ საშინელ თამაშში გაბმულიყო, არა სვეტლანა, რომლის თავზე ჯოჯოხეთური წყევლა ტრიალებდა, არც სრულიად უდანაშაულო ქალაქი, რომელიც წყევლის პოტენციურ სამიზნეს და მსხვერპლს წარმოადგენდა... ვამპირი კი მეცოდებოდა. იმიტომ, რომ მართლა სად ვიყავით? ღამის გუშაგებს რომ ვუწოდებთ თავს...

- ნებისმიერ შემთხვევაში, არჩევანი გქონდა, - შევეწინააღმდეგე. – და არ მითხრა, რომ არა. ინიციაცია მხოლოდ ორმხრივი შეთანხმებითაა შესაძლებელი. შეგეძლო, სიკვდილი აგერჩია, პატიოსანი, ადამიანური სიკვდილი.

- პატიოსანი? – ვამპირმა თავი გააქნია, გაშლილი თმა მხრებზე დაეყარა. სემიონი სადღაა... ნუთუ ასე ძნელია ოცსართულიანი შენობის სახურავზე ამოსვლა? – მე კი მინდოდა... პატიოსანი სიკვდილი. ის კი... ვინც მოაწერა ხელი ლიცენზიას... ვინც სხვის საზრდოდ გამიმეტა? პატიოსნად იქცეოდა?

ჯანდაბა...

გოგო მხოლოდ გამძვინვარებული ვამპირის მსხვერპლი არ ყოფილა. შემთხვევითი შერჩევით წინასწარ განსაზღვრეს, როგორც ნადავლი. და არავითარი სხვა ხვედრი არ ჰქონია, გარდა საკუთარი სიცოცხლის სამსხვერპლოზე მიტანისა, სხვისი სიკვდილის გასახანგრძლივებლად. თუმცა იმ ბიჭმა, რომელიც ერთი მუჭა ფერფლად იქცა ჩემს ფეხებთან, ტვიფრით გათანგული, გოგო შეიყვარა. ჭეშმარიტად შეიყვარა... და სიცოცხლე კი არ გამოსწოვა, არამედ თავის სწორად აქცია.

მიცვალებულებს არა მარტო თავების წაცლა შეუძლიათ, არამედ სიყვარულიც. უბედურება ისაა, რომ მათი სიყვარულიც სისხლს მოითხოვს.

ვამპირი იძულებული გახდა, გოგო დაემალა, რადგან უკანონოდ აქცია ვამპირად. მის კვებაზეც უნდა ეზრუნა – აქ კი მხოლოდ ახალი სისხლი იყო საჭირო, და მიამიტი დონორების მიერ გაღებული მწკლარტე სისხლით სავსე ბოთლები არ გამოდგებოდა.

მოსკოვის ქუჩებში ბრაკონიერობა დაიწყო, და ჩვენ, სინათლის დამცველები, ღამის საგუშაგოს სახელოვანი მეომრები, წყვდიადისთვის მსხვერპლად ადამიანების შემწირველნი, დავირაზმეთ.

ომის ყველაზე საშინელი მხარე მტრის შეცნობაა. შეიცნო შენი მტერი იმას ნიშნავს, რომ შეუნდო მას. ჩვენ კი ამის უფლება არ გვაქვს... სამყაროს შექმნის დღიდან ეს უფლება ჩამორთმეული გვაქვს.

- და მაინც, არჩევანი გქონდა, - ფარ-ხმალს არ ვყრიდი. – გქონდა. სხვისი ღალატი საკუთარის გასასამართლებლად არ გამოგადგება.

გოგომ ჩუმად ჩაიცინა.

- კი, ნამდვილად... სინათლის კეთილო მსახურო... რა თქმა უნდა. მართალი ხარ. შეგიძლია ათასჯერ გამიმეორო, რომ მკვდარი ვარ, რომ ჩემი სული ჩაიფერფლა, ბინდში ნაცარტუტად იქცა. მაგრამ ხომ ვერ ამიხსნი, მდაბალსა და ავს, რაშია განსხვავება ჩვენს შორის? ამიხსენი ისე, რომ ვირწმუნო.

ვამპირმა თავი დახარა და ეგორს ჩახედა. მიმნდობი კილოთი, თითქმის მეგობრულად მიმართა:

- შენ... ბიჭუნა... გესმის ჩემი? მიპასუხე. სიმართლე მითხარი, არ მიაქციო ყურადღება... კლანჭებს. არ მეწყინება.

დათვი წინ წაიწია. მცირედით. და ვიგრძენი, როგორ ეძაბებოდა კუნთები, როგორ ემზადებოდა ნახტომისთვის.

გოგოს ზურგს უკან კი, უხმოდ და მდორედ და ამავე დროს სწრაფად – როგორ ახერხებს ადამიანურ სამყაროში ასე გამალებით გადაადგილებას? – სემიონი გამოჩნდა.

- გაიღვიძე, პატარა! – მხიარულად შესძახა ვამპირმა. – მიპასუხე! გულახდილად მიპასუხე! და თუ ფიქრობ, რომ მართალია... თუ მართლა გჯერა... გაგიშვებ.

ეგორის მზერა შევნიშნე.

და მივხვდი, რასაც უპასუხებდა.

- შენც... მართალი ხარ.

რა სიცარიელეა. სიცივე. დაცლილი ვარ ემოციებისგან. გამოვიდნენ, გააჩაღონ ადამიანებისთვის უხილავი კოცონი.

- რა გინდა? – ვკითხე. – არსებობა? კარგი... დანებდი. სასამართლო გაიმართება, საგუშაგოების ერთობლივი სასამართლო...

ვამპირმა შემომხედა და თავი გადააქნია:

- არა... არ მჯერა თქვენი სასამართლოსი. არც ღამის საგუშაგოსი მწამს... არც დღის.

- მაშ, რისთვის დამიძახე? – ვკითხე. სემიონი გოგოს თანდათან უახლოვდებოდა...

- შურის საძიებლად, - მომახსენა ვამპირმა. – ჩემი მეგობარი მოკალი. მე კი შენსას მოვკლავ... შენს თვალწინ. შემდეგ... შევეცდები... შენც გამოგასალმო სიცოცხლეს. რომც არ გამომივიდეს... – გამიღიმა. – ისიც გეყოფა დასატანჯად, რომ ბიჭის გადარჩენა ვერ შესძელი. ხომ მართალი ვარ,გუშაგო? ლიცენზიებს ისე აწერთ ხელს, რომ სახეს არ უყურებთ. მაგრამ საკმარისია, დაუკვირდეთ... რომ მთელი თქვენი ყალბი, იაფ-ფასიანი, მდაბალი მორალი სააშკარაოზე გამოვა...

სემიონი გადახტა.

მასთან ერთად დათვიც.

ნახტომი ლამაზი და სწრაფი გამოდგა, ნებისმიერ ტყვიაზე, ნებისმიერ შელოცვაზე უფრო სწრაფი, რადგანაც, ბოლოსდაბოლოს, იარაღად რჩება მხოლოდ და მხოლოდ სხეული, რომელიც დარტყმას აყენებს, და უნარი, რომელსაც ოცი, ორმოცი, ასი წლის განმავლობაში ეუფლებიან...

ქამრიდან მაინც ამოვაძრე პისტოლეტი და სასხლეტს თითი გამოვკარი – ვიცოდი, რომ ტყვია ზანტად და ნელა იმოძრავებდა, როგორც „შენელებული“ კადრი იაფ-ფასიანი მძაფრსიუჟეტიანი ფილმიდან, რაც ვამპირს თავის დაღწევისა და ბიჭის მოკვლის შანსს მისცემდა...

სემიონი თითქოს ჰაერში აღმართულ შუშის კედელს მიეხეთქა და ბინდში გადასული უხილავ შუშის ბარიერზე ჩამოეღვენთა. გაცილებით უფრო მასიური დათვიც წინაღობამ აისხლიტა. ტყვია, რომელიც ნემსიყლაპიას გრაციოზულობით მიფარფატებდა ვამპირისკენ, ცეცხლის ალად აენთო და გაუჩინარდა.

ვამპირის გაფართოებული, შეშფოთებული თვალების რომ არა, ვიფიქრებდი, რომ დამცავი ხუფი თვითონ მოხსნა, იმის მიუხედავად, რომ ეს მხოლოდ უზენაესი ჯადოქრების პრივილეგიაა...

- ჩემი მფარველობის ქვეშ არიან... –ზურგს უკან ხმა მომესმა.

მივიხედე და ზავულონს გავუსწორე თვალი.

უცნაურია, რომ ვამპირი პანიკაში არ ჩავარდნილა. მიკვირს, ეგორი არ მოკლა. წარუმატებელმა შეტევამ და შავი მაგის მოულოდნელმა გამოჩენამ გოგოზე გაცილებით უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ჩვენზე, იმიტომ რომ, ველოდი... ველოდი, რომ რაღაც ამის მაგვარი მოხდებოდა, როგორც კი ამულეტი მოვიხსენი.

არ გამკვირვებია, რომ ზავულონი ასე სწრაფად გამოცხადდა. ბნელებს თავისი გზები აქვთ. მაგრამ რატომ არჩია ზავულონმა, ბნელების დამკვირვებელმა, ეს წვრილმანი გარჩევა ჩვენს შტაბში ყოფნას? ნუთუ დაკარგა ინტერესი სვეტლანასა და მის თავზე

ჩამოწოლილი ქარბორბალას მიმართ? ისეთ რამეს ჩაწვდა, რასაც ჩვენ ვერაფრით ვერ მოვუახლოვდით?

ოპერატიულებს ერთი წყეული თვისება ახასიათებთ, წინასწარ გათვლის უნარს არიან მოკლებული პროფესიული თვალსაზრისით. მათი სტიქიაა საშიშროებაზე დაუყოვნებლივი რეაქცია, შერკინება, ან გამარჯვება ან დამარცხება.

ილიას უკვე ამოეღო მაგიური კვერთხი, რომლის მკრთალი იასამნისფერი ნათება მეტისმეტად მკვეთრი იყო მესამე რანგის მაგისთვის, და მეტისმეტად თანაბარი, რომ ძალების მოულოდნელი ამოხეთქვა დაგეჯერებინა. სავარაუდოდ, კვერთხს თავად შეფი მუხტავდა.

გამოდის, რომ ივარაუდა?

გამოდის, რომ ისეთი ვინმეს გამოჩენას ელოდა, რომელიც მას ძალებით არ ჩამოუვარდებოდა?

არც დათვს, და არც ბოკვერს იერსახე არ შეუცვლით. მათი მაგია აღჭურვილობას არ საჭიროებდა, მით უმეტეს, ადამიანის სხეულს. დათვი ისევ ვამპირს მისჩერებოდა, და ზავულონს აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებდა. ბოკვერი ჩემს გვერდით დადგა. სემიონმა კი, რომელიც მტკივან წელს იზელდა ხელით, ნელ-ნელა შემოუარა ვამპირს და მის თვალწინ აღიმართა. შავი მაგი მანაც ჩვენს განკარგულებაში დატოვა.

- ისინი? – დაიღრიალა ბოკვერმა.

თავიდან ვერც კი მივხვდი, რამ გააღიზიანა ასე.

- ისინი ჩემი მფარველობის ქვეშ არიან, - გაიმეორა ზავულონმა. შავი მაგი უფორმო, შავ პალტოში შეფუთულიყო, თავზე მუქი ბეწვისგან შეკერილი დაჭმუჭნილი ბერეტი დაეხურა. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ არაფერს მალავდა, არც ამულეტებს, არც პისტოლეტებს.

- შენ ვინ ხარ? – იყვირა ვამპირმა. – ვინ ხარ?

- შენი დამცველი და მფარველი, - ზავულონი მე მიყურებდა, უფრო სწორედ ჩემს მახლობლად სივრცის წერტილისთვის გაესწორებინა თვალი. – შენი პატრონი.

ხომ არ გაგიჟდა? გოგოს ძალების განაწილების ვერაფერი გაეგო. ცოტაც და იფეთქებს. სიკვდილს, არსებობის შეწყვეტას აპირებდა. ახლა კი გადარჩენის შესაძლებლობა მიეცა – მაგრამ ასეთი ტონი...

- მე პატრონი არა მყავს! – გოგოს, რომლის სიცოცხლეც სხვის სიკვდილად იქცა, გაეცინა. – ვინც არ უნდა იყო – სინათლიდან თუ წყვდიადიდან, დაიმახსოვრე! მე არ მყავს და არც მეყოლება არანაირი პატრონი!

სახურავის კიდისკენ დაიწყო დახევა, თან ეგორსაც მითრევდა. ცალი ხელი ისევ ბიჭის მკერდს შემოეხვია, მეორე კი მის ყელთან ეჭირა. მძევალი... კარგი სვლაა სინათლის ძალების წინააღმდეგ.

შეიძლება სიბნელის ძალების წინააღმდეგაც.

- ზავულონ, თანახმა ვართ, - ვუთხარი. ხელი ბოკვერის დაძაბულ ზურგზე დავუშვი. შენია გოგო. წაიყვანე – სასამართლომდე. ჩვენ პატივს ვცემთ შეთანხმებას.

- მიმყავს... – ზავულონი გაშტერებული იყურებოდა. ქარი წკეპლასავით სცემდა სახეზე, შავ მაგს კი ფართოდ გაეღო თვალები, რომლებიც გეგონებოდათ, შუშისგან ჩამოესხათო, და არ ახამხამებდა. – გოგო და ბიჭია ჩვენია.

- არა. მხოლოდ გოგო.

როგორც იქნა, თავისი შემოხედვის ღირსად ჩამთვალა:

- სინათლის მიმდევარო, მე მხოლოდ ის მიმაქვს, რაც ჩემია. მეც ვცემ პატივს დიად შეთანხმებას. გოგო და ბიჭია ჩვენია.

- შენ ნებისმიერ ჩვენგანზე უფრო ძლიერი ხარ, - მივუგე. – მაგრამ მარტო ხარ, ზავულონ.

შავმა მაგმა თავი გადააქნია და გაიღიმა – სევდიანად და თანაგრძნობით.

- არა, ანტონ გოროდეცკი.

ლიფტის შახტიდან გოგო და ბიჭი გამოვიდა. სამწუხაროდ, ვიცნობდი ამ წყვილს.

ალისა და პეტრე. ჯადოქრები დღის საგუშაგოდან.

- ეგორ! – ჩუმად დაუძახა ზავულონმა. – გაიგე განსხვავება ჩვენს შორის? რომელი მხარეა შენთვის უფრო მისაღები?

ბიჭი დუმდა. მაგრამ შეიძლება იმიტომაც, რომ ვამპირს ზედ მის ყელთან ჰქონდა მიბჯენილი კლანჭები.

- პრობლემა გვაქვს? – იკითხა ბოკვერმა კრუტუნა ხმით.

- აჰა, - დავუდასტურე.

- თქვენი გადაწყვეტილება? – მოითხოვა ზავულონმა. მისი გუშაგები ჯერჯერობით დუმდნენ, არ ერეოდნენ მომხდარში.

- არ მომწონს, - აღნიშნა ბოკვერმა. ზავულონისკენ ოდნავ გადაიხარა, თან დაუნდობლად მსხეპდა თავისი ძლიერი კუდით. – ძალიან არ მომწონს დღის საგუშაგოს მოსაზრება... იმის შესახებ, რაც ხდება...

ბოკვერი აშკარად დათვის აზრსაც გამოთქვამდა – როდესაც ერთად მუშაობდნენ, ერთმანეთის სახელით ლაპარაკობდნენ. ილიას შევხედე – თითებში კვერთხს ატრიალებდა და იღიმებოდა: მეოცნებე, ეშმაკური სახით, როგორც პატარა ბიჭი, რომელმაც პლასტმასის ავტომატის ნაცვლად დატენილი „უზი“ მოიტანა, ბავშვებისთვის რომ ეჩვენებინა. სემიონისთვის, აშკარად, სულ ერთი იყო. წვრილმანები ნაკლებად ანაღვლებდა. სამოცდაათი წელია, სახურავზე სირბილში ვარჯიშობს...

- ზავულონ, დღის საგუშაგოს სახელით ლაპარაკობ? – ვკითხე.

შავი მაგის თვალებს წამიერმა ორჭოფობის ჩრდილმა გადაურბინა.

რა ხდება... რატომ დატოვა ზავულონმა ჩვენი შტაბი, უარი თქვა გასაოცარი ძალების მქონე იდუმალი მაგის კვალის დადგენისა და მისი დღის საგუშაგოზე გადაბირების შანსზე? ასეთ შესაძლებლობას არასოდეს უგულებელყოფენ, ვამპირისა და უდიდესი პოტენციური შესაძლებლობების მქონე ბიჭის გულისთვისაც კი. რატომ ებმება ზავულონი კონფლიქტში?

და რატომ არ უნდა – ამას ხომ უეჭველად ვხედავ – მთელი დღის საგუშაგოს სახელით გამოვიდეს?

- მე საკუთარი სახელით ვლაპარაკობ, - მომახსენა ზავულონმა.

- მაშინ მცირედი პირადი უთანხმოება გვქონია, - ვუპასუხე.

- ნამდვილად.

საგუშაგოების ჩართვას ერიდება. ახლა სხვანაირები ვართ - უბრალოდ სხვანაირები, დღის და ღამის მსახურები, სხვადასხვა დავალებებით დაკავებულები. მაგრამ ზავულონი ამჯობინებს, კონფლიქტი ოფიციალურ დაპირისპირებამდე არ მიიყვანოს. რატომ? ნუთუ ასე დარწმუნებულია საკუთარ ძალებში, თუ შეფის გამოჩენის ეშინია?

ვერაფერი გამიგია...

რაც ყველაზე მთავარია, ზავულონმა შტაბი დატოვა და უარი თქვა ჯადოქარზე ნადირობაზე, რომელმაც სვეტლანას წყევლა დაადო. ბნელები დაჟინებით მოითხოვდნენ მაგის გადაცემას, ახლა კი თავისუფლად ამბობენ უარს?

რა იცის ზავულონმა, რაც ჩვენ არ ვიცით?

- თქვენი ბეჩავი... – დაიწყო ზავულონმა. მაგრამ სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, ვამპირის მოქმედებამ შეაწყვეტინა.

დათვის ღრიალი შემომესმა – შეცბუნებული, გაოცებული ბრდღვინვა, და მოვიხედე.

ეგორი, რომელიც ნახევარი საათია მძევლად ყავდა ვამპირს აყვანილი, ნე-ნელა ქრებოდა.

ბიჭი სულ უფრო ღრმად იძირებოდა ბინდში.

ვამპირმა ხელები მოუჭირა – ან მის შეკავებას ეცადა, ან მოკვლას. გამალებით მოიქნია ბჭყალბასრი ხელი, მაგრამ ცოცხალ სხეულს ვეღარ მოსჭიდა. მოქნეული ხელი ვამპირმა თავის თავს მოარტყა, მკერდის მარცხენა მხარეს, გულთან.

რა სამწუხაროა, რომ ცოცხალი არაა!

დათვი გადახტა. ფრთაშესხმული თოვლის ნამქერივით გაიქროლა სიცარიელეში, იქ სადაც ორიოდე წამის წინ ეგორი იდგა, და ვამპირს დააცხრა. მისმა ვეებერთელა ტანმა მთლიანად დაფარა ქალის მოფართხალე სხეული – მხოლოდ ხანდახან თუ გამოყოფდა დაკრუნჩხულ, კლანჭებიან ხელს და ისტერიულად ურტყამდა დათვს ბანჯგვლიან ფერდებში.

იმავე წამს ილიამ კვერთხი აისროლა. იასამნისფერი შუქი ოდნავ გამკრთალდა, შემდეგ კვერთხმა იფეთქა და ცეცხლის თეთრ სვეტად იქცა. გეგონებოდათ ოპერატიულს ხელში შუქურიდან მოწყვეტილი პროჟექტორის თვალისმომჭრელი და თითქმის შესამჩნევად მკვრივი შუქი ეჭირა. დიდი ძალისხმევის შედეგად ილიამ ხელები აღმართა, ნაცრისფერ ზეცას იასამნისფერი შუბი სტყორცნა, ისეთი, როგორიც მოსკოვს ომის დროიდან არ უნახავს – და უზარმაზარი გავარვარებული მორი ზავულონს დაატეხა თავზე.

შავმა მაგმა შეჰყვირა.

დაეცა და სახურავის ზედაპირს მიეკრო, ილიას კი ხელიდან შუქის სვეტი გაუვარდა, სვეტმა სხეული შეიძინა და დამოუკიდებლად დაიწყო მოძრაობა. უკვე არც სინათლის სხივი იყო და არც ცეცხლოვანი სვეტი, არამედ თეთრი გველი, რომელიც გამალებით იკლაკნებოდა და ვერცხლისფერი ქერცლით იმოსებოდა. უზარმაზარი სხეულის კიდური გაბრტყელდა და კაპუშონს დაემსგავსა, საიდანაც სატვირთო მანქანის ბორბლისხელა ჩლუნგმა დრუნჩმა გამოყო თავი უმოძრაო თვალებით. გაიელვა ენამ – წვრილმა, ორკაპიანმა, გაზქურის სანთურასავით მოელვარემ.

განზე გავხტი – კინაღამ კუდი გამომდო. ცეცხლმოდებული გველი გორგალივით დაიგრაგნა, ზავულონს დააცხრა თავზე, და გამალებით ცდილობდა, თავი საკუთარი სხეულის მარყუჟებში შეერგო. ალმოდებული რგოლების მიღმა კი ერთმანეთს სამი ჩრდილი შებმოდა, სწრაფი მოძრაობებისგან მღვრიე ზოლებად გათხაპნული. ბოკვერის დღის საგუშაგოს ჯადოქრების წყვილისკენ მიმართული ნახტომი სულ არ შემიმჩნევია.

ილიამ ჩუმად ჩაიცინა, და საქამრედან კიდევ ერთი კვერთხი ამოიღო, ამჯერად უფრო მკრთალი, როგორც ჩანს, დამოუკიდებლად დატენილი.

გამოდის, რომ მისი იარაღი უშუალოდ ზავულონისკენ იყო მიმართული? შეფმა იცოდა, ვისთან მოგვიწევდა შეტაკება?

სახურავს მზერა მოვავლე. ერთი შეხედვით, ყველაფერს ვაკონტროლებდით. დათვი, რომელსაც ვამპირი მიეჭყლიტა, გატაცებით უბრაგუნებდა ტორებს – დროდადრო ქვემოდან მოგუდული ხმები გამოდიოდა. ბოკვერი გუშაგებს ებრძოდა და, როგორც შევატყვე, დახმარება არ სჭირდებოდა. თეთრი კობრა ზავულონს აშთობდა.

ჩვენ საერთოდ საქმის გარეშე დავრჩით. ილია მზადყოფნაში იყო, ხელში კვერთხი დაეჭირა და ფიქრობდა, რომელ მხარეს ესროლა. სემიონი, რომელმაც ვამპირისადმი ინტერესი დაკარგა, ხოლო გუშაგებისადმი და ზავულონისადმი საერთოდ არც გასჩენია, სახურავის კიდეზე დაბოდიალობდა და ქვემოთ იხედებოდა. ბნელების ახალი დამხმარე ძალების ეშინოდა?

მე კიდევ იდიოტივით ვიდექი და ყოვლად უსარგებლო პისტოლეტს ხელიდან არ ვუშვებდი...

ჩრდილი პირველივე ჯერზე ჩამოწვა ჩემს ფეხებთან. შიგ შევაბიჯე და უეცრად მწველი სიცივე ვიგრძენი. ისეთი არა, როგორიც ადამიანებისთვისაა ცნობილი, არც ისეთი, თითოეული სხვანაირი რომ ეზიარება ხოლმე, არამედ ღრმა ბინდის სიცივე. აქ ქარი აღარ ქროდა, ფეხებიდან თოვლიც და ყინულიც გამომეცალა. ყველაფერს ბურუსი ავსებდა, სქელი, ბლანტი, დაკოშტილი. თუ ბურუსს რძეს შევადარებთ, ალბათ უფრო შედედებულ რძეს ჰგავდა. მტრებიც და მოყვარეებიც – ყველა ბუნდოვან, თითქმის უმოძრაო ჩრდილებად იქცნენ. მხოლოდ ზავულონთან მებრძოლი ცეცხლოვანი კობრა რჩებოდა ისეთივე გამალებული და კაშკაშა – ეს შერკინება ბინდის ყველა შრეში მიდიოდა. წარმოვიდგინე, რამხელა ენერგია იყო ჩადებული მაგიურ კვერთხში და ამ აზრმა საბოლოოდ წამიხდინა გუნება.

რატომ, ეშმაკმა დაწყევლოს, რატომ? ამგვარ ძალისხმევად არც ახალგაზრდა ვამპირი ღირს და არც ბიჭი-სხვანაირი!

- ეგორ! – დავუყვირე ბიჭს.

სიცივე თანდათან მთელს ტანში მიჯდებოდა. ბინდის მეორე საფეხურზე სულ ორჯერ შევაღწიე – მეცადინეობისას, ინსტრუქტორის გვერდით, და გუშინ, დღე, დახურულ კარში რომ გავსულიყავი. აქ დამცავი ამულეტიც არ მქონდა და ყოველ წამს ვკარგავდი სასიცოცხლო ძალებს.

- ეგორ! – ნისლში შევაბიჯე. ზურგს უკან დარტყმების ყრუ ხმები ისმოდა – გველს ვიღაცის სხეული ხახაში მოექცია და სახურავის ზედაპირს ურახუნებდა... ისიც ვიცოდი, ვისი სხეულიც...

დრო აქ უფრო ნელა გადის, და არის მცირედი შანსი, რომ ბიჭს გონება ჯერ არ დაუკარგავს. იმ ადგილისკენ მივდიოდი, სადაც ეგორმა ბინდის მეორე გარსში

ჩაყვინთა, თან ვცდილობდი, რაღაცა მაინც გამერჩია – და ფეხებთან გაწოლილი სხეული ვერ შევამჩნიე. ფეხი წამოვკარი, დავეცი, წამოვდექი და რომ ჩავიცუცქე, ეგორის პირისპირ აღმოვჩნდი.

- კარგად ხარ? – სულელური კითხვა დავუსვი. სულელური იმიტომ, რომ თვალები ღია ჰქონდა და მე მიყურებდა.

- კი.

ჩვენი ხმები ყრუდ და მჭექარედ ისმოდა. სულ ახლოს ორი ჩრდილი კრთოდა – დათვი ვამპირის ბრდღვნას აგრძელებდა. რამდენი ხანი გაუძლო იმანაც!

და რამდენი ხანი გაძლო ბიჭმა.

- წავედით, - შევთავაზე და გაწვდილი ხელით მის მხარს შევეხე. – აქ... ძალიან ჭირს გაჩერება. დიდ რისკზე მიცდივართ, შეიძლება აქ სამუდამოდ დავრჩეთ.

- მერე რა.

- შენ არ გესმის, ეგორ! ეს ხომ ტანჯვაა! ბინდში გაუჩინარება მარადიული ტანჯვაა! ვერც კი წარმოიდგენ, ეგორ! წავედით!

- რატომ?

- იმიტომ, რომ გადავრჩეთ.

- რატომ?

თითები აღარ მემორჩილებოდა. პისტოლეტი დამძიმდა და ყინულისგან ჩამოსხმულს დაემსგავსა. ერთი ორი წუთი... მეტს ვეღარ გავუძლებ...

ეგორს თვალებში ჩავხედე.

- ყველა საკუთარ გადაწყვეტილებას იღებს. მე მივდივარ, სიცოცხლე არ მომბეზრებია.

- რატომ მეხმარები? – ცნობისმოყვარეობით მკითხა ეგორმა. – თქვენს საგუშაგოს ვჭირდები?

- არა მგონია, ჩვენს საგუშაგოში შემოხვიდე... – ვუპასუხე ჩემდა გასაკვირად.

ბიჭმა გამიღიმა. ჩვენს შორის ჩრდილმა გაირბინა – სემიონი. რამე შენიშნა? ვინმე განსაცდელშია ხომ არაა?

მე კიდევ ვზივარ აქ და უკანასკნელ ძალებს ვკარგავ, თან ვცდილობ, პატარა სხვანაირის დახვეწილ თვითმკვლელობას ხელი შევუშალო... რომელიც ისედაც განწირულია.

- მივდივარ, - მოვახსენე. – მაპატიე.

ჩრდილი მებღაუჭებოდა, თითებზე მიმეყინა და სახეზე შემეზარდა. გამალებით ვცდილობდი, ჩრდილი გამერღვია, ბინდი უკმაყოფილოდ აშიშინდა, ასეთი საქციელით გაღიზიანებული.

- დამეხმარე, - შემეხვეწა ეგორი. ოდნავღა მესმოდა მისი ხმა, თითქმის გამოსული ვიყავი – ბოლო წამს დამიძახა.

ხელი გავუწოდე და ჩავჭიდე. ბინდი უკვე მგლეჯდა, მაგდებდა, ირგვლივ ბურუსი იღვენთებოდა, დნებოდა. და ჩემი დახმარებაც წმინდად სიმბოლური იყო, ბიჭს უნდა ეყოჩაღა.

იყოჩაღა კიდეც.

ბინდის ზემოთა საფეხურზე გადმოგვისროლა. სახეზე ცივმა ქარმა დამკრა, მაგრამ ახლა მესიამოვნა კიდეც. უსიცოცხლო მოძრაობები მძაფრ შეტაკებად გარდაიქმნა. ნაცრისფერმა ბუნდოვანმა ფერებმა სიკაშკაშე დაიბრუნეს.

იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, სანამ ვლაპარაკობდით, რაღაცა შეიცვალა. ვამპირი ძველებურად ფართხალებდა დათვის მასიური ტანის ქვეშ... აქ არ შეცვლილა არაფერი. ჯადოქარი ბიჭი სახურავზე ეგდო, ან ცოცხალი აღარ იყო, ან გონება დაეკარგა, იქვე მახლობლად ბოკვერი და ჯადოქარი გოგო განაგრძობდნენ ბრძოლას... არც აქ.

გველი!

თეთრი კობრა იზრდებოდა, იბერებოდა, უკვე სახურავის მეოთხედი ნაწილი დაეკავებინა. თითქოს ტუმბოთი ბერავდნენ და ზევით სწევდნენ, ან თვითონ იწევდა ნელ-ნელა ჰაერში. სემიონი სპირალივით გადახლართული ალმოდებული სხეულის ახლოს იჯდა რომელიღაც ძველ საბრძოლო პოზაში და ცეცხლის თეთრ გორგალს მუჭიდან ესროდა ნარინჯისფერ ბურთულებს. კობრას კი არ უმიზნებდა, არამედ ვიღაცას, ვინს გველის ქვეშ მოქცეულიყო, ვინც დიდი ხნის წინ უნდა დაღუპულიყო, მაგრამ ჯიუტად აგრძელებდა ბრძოლას...

აფეთქება!

სინათლის მორევი, წყვდიადის ნაფლეთები! ზურგზე გადამაგდო, დაცემისას ეგორს დავაფრინდი და წავაქციე, მაგრამ მოვასწარი, ხელი ჩამევლო. ბოკვერი და ჯადოქარი ერთმანეთს მოსწყდნენ, სახურავის კიდისკენ გაფრინდნენ და შემოღობილს მიეხეთქნენ გარინდებულები. აფეთქებამ დათვიც მოგლიჯა ვამპირს – ნაფლეთებად ქცეულსა და დასახიჩრებულს, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალს. სემიონი წაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიკავა – ბუნდოვანი დამცავი ლინზა შემოეკრა. ძირს მხოლოდ გონმიხდილი ჯადოქარი გადაეშვა – ვარდნისას ჟანგიანი მავთულის ღობე გაარღვია და სავსე ტომარასავით მძიმედ გადაეშვა ძირს.

ერთადერთი ილია იდგა მყარად. მის გარშემო ვერავითარ დამცავ გარსს ვერ ვხედავდი, მაგრამ ისევ ჩაებღუჯა კვერთხი და ცნობისმოყვარეობით უმზერდა სახურავზე დატრიალებულ სცენებს.

ცეცხლმოდებული გველის ნარჩენები ზემოთ მიიწევდა, ღრუბლის განათებულ ნაგლეჯებს ერეოდა, დნებოდა, ნაპერწკლებად იყრებოდა და სინათლის პატარა სხივებად იღვენთებოდა. ამ ფეიერვერკის წიაღიდან ნელ-ნელა წამოიწია ზავულონი და წამოდგა. გაშლილი ხელებით რაღაც რთული მაგიური ნიშანი გამოესახა. შერკინებისას ტანსაცმელი შემოძარცვოდა, და ახლა შიშველი იდგა. სხეული შეცვლოდა და დემონის კლასიკური მახასიათებლები შეეძინა – კანის ნაცვლად მკრთალი ქერცლი, თავის ქალის დეფორმირებული ფორმა, თმის მაგივრად გაქუცული ბეწვით შემოსილი, წვრილი თვალები ვერტიკალური გუგებით. წინ ჰიპერტროფირებული გენიტალიები ეკიდა, უკან კი, კუდუსუნთან, მოკლე, ორკაპიანი კუდი ჩამოზრდოდა.

- შორს! – დაიყვირა ზავულონმა. – შორს!

და რა ხდება ამ წუთას ირგვლივ, ადამიანურ სამყაროში... უსაზღვრო სევდისა და უმიზეზო სიხარულის მოულოდნელი შემოტევა, გულის შეტევები, უაზრო მოქმედებები, საუკეთესო მეგობრების ჩხუბი, ერთგული შეყვარებულების ღალატი... ადამიანები ვერ ხედავენ მომხდარს, მაგრამ ამით თითოეული მათგანის სული ზარალდება.

რატომ?

რისთვის დასჭირდა ეს ყველაფერი დღის საგუშაგოს?

და ამ წუთას ყინულივით ცივი, თითქმის მივიწყებული სიმშვიდე ვიგრძენი, რომელიც გონებიდან გამომდინარეობდა.

მრავალმხრივი კომბინაცია. იქიდან დავიწყოთ, რომ ყველაფერი დღის საგუშაგოს გეგმის მიხედვით მიდის. მოდი, ეს საწყის წერტილად მივიჩნიოთ და შემდგომ ყველა შემთხვევითობა შევაერთოთ. დავიწყოთ ჩემი ნადირობიდან მეტროში... არა, იმ მომენტიდან დავიწყოთ, ვამპირს საზრდოდ ისეთი გოგო რომ გამოუყვეს, რომელიც აუცილებლად შეუყვარდებოდა.

ფიქრები ისეთი სიჩქარით დაიძრა, მეგონა, ტვინის შტურმის ინდუქტორი გავხდი და სხვა ადამიანების ცნობიერებას მივუერთდი – როგორც ამას ჩვენი ანალიტიკოსები აკეთებენ ხოლმე. რა თქმა უნდა, ჩემს შემთხვევაში ასე არ მომხდარა... უბრალოდ თავსატეხის ნაწილები ამოძრავდა, მაგიდაზე არეული მოზაიკა გაცოცხლდა და ჩემს თვალწინ დაიწყო აწყობა.

დღის საგუშაგოს ვამპირი არაფრად მიაჩნია...

დღის საგუშაგო არ წავა კონფლიქტზე დიდი პოტენციური შესაძლებლობების მქონე ბიჭისთვის.

დღის საგუშაგოს მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს ასეთი შერკინების მოსაწყობად...

უსაზღვრო ძალების მქონე შავი მაგი.

შავი მაგი, რომელიც მათ პოზიციებს გაამყარებდა... არა მარტო მოსკოვში, არამედ მთელ კონტინენტზე...

მაგრამ თავისას ხომ მაინც მიაღწიეს, შავი მაგის გადაცემას ისედაც შევპირდით... იდუმალი მაგი იქსი. ერთადერთ უცნობი ამოცანაში. ეგორისთვის შეგვეძლო იგრეკი მიგვეწერა – პატარა სხვანაირის მყარი მაგიური შესაძლებლობები მართალია გაოცებას იწვევდა, მაგრამ ბიჭი მაინც ნაცნობ სიდიდედ რჩებოდა, თუმცაღა გაუგებარი ფაქტორით...

ამოცანაში ხელოვნურად შეყვანილი ფაქტორით. გართულების მიზნით.

- ზავულონ! – დავუყვირე. ჩემს ზურგს უკან ეგორი ტრიალებდა, ცდილობდა ფეხზე დადგომას, მაგრამ მოლიპულ ზედაპირზე ფეხი უცურავდა. სემიონი, რომელიც დამცავ გარსს ინარჩუნებდა, უკან იხევდა. ილია გულგრილად შეჰყურებდა დანარჩენებს. დათვი ისევ ვამპირისკენ გაემართა, რომელიც ადგილზე ფორთხავდა და წამოდგომას ცდილობდა. ბოკვერი და ჯადოქარი შესაბმელად ემზადებოდნენ. – ზავულონ!

დემონმა შემომხედა.

- ვიცი, ვისი გულისთვისაც იბრძვით!

უფრო სწორედ, ჯერ არ ვიცოდი. უბრალოდ, რაღაცას ვხვდებოდი, რადგან გამოცანის რამდენიმე ნაწილი ერთმანეთს მიეწყო და ნაცნობმა სახემ გამოანათა...

დემონმა ხახა დააღო – ყბები ერთმანეთს დაშორდა მარჯვნივ და მარცხნივ. ზავულონი სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა უზარმაზარ მწერს, ქერცლი ერთიან ჯავშანში გადაიზარდა, გენიტალიები და კუდი სხეულმა შეიწოვა, გვერდებიდან ახალმა კიდურებმა იწყეს გამოზრდა.

- მაშინ... ჩათვალე, რომ ცოცხალი აღარ ხარ.

ხმა არ შეცვლოდა, უფრო მეტი სერიოზულობა და სიდინჯე შეიძინა. ზავულონმა ხელი გამომიწოდა, რომელიც სწრაფად იზრდებოდა და ახალ-ახალ სახსრებს იძენდა.

- მოდი ჩემთან... – ჩამჩურჩულა ზავულონმა.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

ყველა გაირინდა. ჩემს გარდა, შავი მაგისკენს დავიძარი. გონებრივი დამცავი მექანიზმი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ვიმუშავებდი, უკვალოდ გაქრა. არ შემეძლო, არაფრით არ შემეძლო, ზავულონისთვის წინააღმდეგობა გამეწია.

- შეჩერდი! – დამიღრიალა ბოკვერმა და კუდიანს მოშორდა, რომელიც დაბეჩავებული და გამწარებული კრეჭდა კბილებს. – შეჩერდი!

ძალიან მინდოდა, მისი თხოვნა შემესრულებინა. მაგრამ არ შემეძლო.

- ანტონ... – მომესმა ზურგიდან. – მობრუნდი...

ამის გაკეთება კი შემეძლო. თავი მოვაბრუნე და ვერტიკალურ გუგებიანი თვალების ქარვისფერ მზერას მოვწყვიტე თვალი.

ეგორი ჩაცუცქულიყო, ადგომის ძალა აღარ ჰქონდა. საკვირველია, რომ საერთოდ გონება არ დაკარგა... გარე ენერგიით კვება ხომ შეუწყდა. სწორედ ის კვება, შეფის ინტერესი რომ გამოიწვია და რომელიც თავიდანვე ასაზრდოებდა ბიჭს. ფაქტორი იგრეკი. სიტუაციის გასართულებლად ამოცანაში შეტანილი.

- დაიჭირე! – დაიყვირა ბიჭმა.

- არ გამოართვა! – მიბრძანა ზავულონმა. მაგრამ დააგვიანდა, უკვე დავიხარე და ჩემსკენ გამოსროლილი ამულეტი დავიჭირე. გავარვარებულმა ჭედურმა მედალიონმა ნაღვერდალივით დამწვა ხელი.

დემონს შევხედე და თავი გადავაქნიე:

- ზავულონ... ჩემზე გავლენა არ გაქვს.

დემონმა დაიზმუვლა და ჩემსკენ გამოემართა. გავლენა აღარ ჰქონდა, ძალა კი უხვად შემორჩენოდა.

- უკან დაიხიე... – დინჯად წარმოთქვა ილიამ.

ჩვენს შორის არსებული სივრცე ალმოდებულმა თეთრმა კედელმა გააპო. ზავულონი ღმუილით დაეტაკა მაგიურ ბარიერს, რომელმაც უკან გადმოისროლა. შუქის კრიალა თეთრი ტილოს მიღმა, ზავულონი სასაცილოდ იქნევდა დათუთქულ ხელებს, ამ წუთას შიშზე უფრო მეტად ღიმილს იწვევდა.

- მრავალსვლიანი კონსტრუქცია, - წარმოვთქვი. – რა მარტივია, არა?

სახურავზე ყველაფერი ჩაწყნარდა. ბოკვერი და ალისა ერთმანეთთან ახლოს იდგნენ, თავდასხმას არ აპირებდნენ. სემიონი ხან მე შემომხედავდა, ხან ილიას, და საკითხავია, რომელი უფრო მეტ გაოცებას ვგვრიდით. ვამპირი ჩუმად ქვითინებდა და ადგომას ლამობდა. ახლა ყველაზე მეტად მას უჭირდა, დათვთან შერკინებას მთელი ძალები დაახარჯა, მართალია ცოცხალი გადარჩა, მაგრამ ძლივძლივობით

fb.com/groups/elib

ახერხებდა რეგენერირებას. წარმოუდგენელი ძალისხმევის შედეგად, ბინდიდან გამოაღწია და ბუნდოვან სილუეტად იქცა.

თითქოს ქარიც ჩაწყნარდა...

- როგორ უნდა აქციო თავდაპირველად სუფთა ადამიანი შავ მაგად? - ვიკითხე. – როგორ უნდა გადმოიბირო წყვდიადის მხარეს ადამიანი, რომელსაც სიძულვილიც არ შეუძლია? შეიძლება ყველა მხრიდან უსიამოვნებები დაახვედრო... მცირედი დოზით... ნელ-ნელა, იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან გაბოროტდება. მაგრამ უშედეგოდ. ეს ადამიანი, კაცია თუ ქალი, ზედმიწევნით სუფთა გამოდგა.

დასტურის ნიშნად ილიამ ჩუმად ჩაიცინა.

- ერთადერთი ვინმე, ვისი შეძულებაც შეუძლია... – ზავულონს თვალებში შევხედე, სადაც მხოლოდ უსუსური ღვარძლი შემორჩენილიყო, - საკუთარი თავია. და აი, მოულოდნელი, უჩვეულო სვლაც. დე, დედა გაუხდეს ავად, რათა გოგომ საკუთარი თავი დატანჯოს და მთელი ძალით შეიძულოს უმწეობისა და უძლურების გამო. მოდი, ისეთ კუთხეში მივიმწყვდიოთ, სადაც მხოლოდ სიძულვილია შესაძლებელი... თუნდაც საკუთარი თავის, მაგრამ მაინც სიძულვილი. თუმცა, არსებობს მოვლენების კიდევ ერთი სავარაუდო განვითარების შესაძლებლობა. მცირედი შანსი, რომ ღამის საგუშაგოს ერთი თანამშრომელი, ოპერატიულ საქმეში გამოუცდელი...

მუხლები მეკვეთებოდა – ამდენი ხანი ბინდში ყოფნას არ ვიყავი შეჩვეული. ცოტაც და ზავულონის წინაშე მუხლებზე დავეცემოდი, რისი გაკეთებაც საშინლად არ მინდოდა. სემიონი ჩემსკენ გადმოეშვა ბინდში და მხარი გამიმაგრა. ალბათ ას ორმოცდაათი წელია, ამაში ვარჯიშობს.

- თანამშრომელი, რომელიც საველე სამუშაოს არ იცნობს... – გავიმეორე. – სქემის მიხედვით არ იმოქმედებს. არ შეიცოდებს გოგოს, ვისთვისაც შეცოდება სასიკვდილოა, და არ დაუწყებს ნუგეშისცემას. მაშასადამე, საჭიროა მისი ყურადღების სხვა რამეზე გადატანა. ისეთი სიტუაციის შექმნა, რომ ყელამდე ყოფილიყო საქმეში ჩაფლული, რომ მეორეხარისხოვან დავალებაზე გადაესროლათ და თან ყველანაირად დაებათ ამ საქმეზე, პირადი პასუხისმგებლობით, სიმპათიით, ნებისმიერი რამით, რაც კი გამოადგებოდათ. ამისთვის რიგითი ვამპირის მსხვერპლად შეწირვასაც კი არ მოერიდეთ. ხომ მართალია?

ზავულონმა ტრანსფორმირება დაიწყო. გამალებული იძენდა უწინდელ სევდიანი ინტელექტუალის იერსახეს.

სასაცილოა. რატომ? უკვე მენახა ისეთი, როგორიც ბინდში გახდა, ერთხელ და სამუდამოდ.

- მრავალსვლიანი კონსტრუქცია, - გავიმეორე. – თავს დავდებ, რომ სულაც არ იყო აუცილებელი, სვეტლანას დედა უკურნებელი სენით მომკვდარიყო. თქვენი მხრიდან

მცირედი ჩარევაც კი საკმარისი იქნებოდა, მისაღებ ფარგლებში... მაგრამ მაშინ ჩვენც გვექნებოდა უფლებები.

- გოგო ჩვენია! – განაცხადა ზავულონმა.

- არა, - თავი გადავაქნიე. – არ მოხდება ინფერნოს არავითარი გარღვევა. დედამისი გამოკეთდება. ახლა სვეტლანასთან წავალ და ყველაფერს ვუამბობ. გოგო ღამის საგუშაგოში გამოცხადდება. ზავულონ, წააგეთ. ნებისმიერ შემთხვევაში, წააგეთ.

სახურავზე მიმობნეული ტანსაცმელი ამოძრავდა, შავი მაგისკენ გაცოცდა, შეგროვდა, ზავულონისკენ ისკუპა და სევდიანი, მომაჯადოებელი, მსოფლიო ვარამით დამძიმებული მაგის შემოსვას შეუდგა.

- ვერც ერთი თქვენგანი ფეხს ვერ მოიცვლის, - ბრძანა ზავულონმა. მის ზურგს უკან წყვდიადის კორიანტელი დგებოდა – თითქოს ორი უშველებელი შავი ფრთა იშლებოდა.

ილიამ ისევ ჩაიცინა.

- მე ყველა თქვენგანზე ძლიერი ვარ, - ზავულონმა ილიას შეხედა ცერად. შენს ნასესხებ ძალებს საზღვარი აქვთ. სამუდამოდ დარჩებით აქ ბინდში, იმაზე უფრო ღრმად, ვიდრე ოდესმე გაგებედათ ჩახედვა...

სემიონმა ამოიოხრა და თქვა:

- ანტონ, კიდევ ვერ ხვდება, რაც ხდება.

მოვიხედე და ვიკითხე:

- ბატონო ბორის, ეს მასკარადი ხო აღარ არის საჭირო?

ახალგაზრდა, თამამმა ოპერატიულმა მხრები აიჩეჩა:

- რა თქმა უნდა, ანტოშკა. მაგრამ იმდენად იშვიათად მხვდება ხოლმე წილად დღის საგუშაგოს შეფის მოქმედებისას ხილვა... მაპატიე ბერიკაცს. იმედია, ილიასთვისაც საინტერესო აღმოჩნდა ჩემი იერსახე...

ბატონმა ბორისმა ჩვეული სახე მიიღო. ერთი მოსმით, ყოველგვარი თეატრალური შუალედური მეტამორფოზებისა და სინათლის ეფექტების გარეშე. მართლია ხალათსა და არახჩინში გამოწყობილიყო, მაგრამ ფეხზე თბილი წინდები და კალოში ეცვა.

ზავულონის სახის ყურება ერთ რამედ ღირდა.

შავი ფრთები, მართალია, არ გამქრალა, მაგრამ ზრდა შეაჩერეს, მხოლოდ გაუბედავად ფარფატებდნენ, თითქოს ზავულონს ვერ გადაეწყვიტა, გაფრენილიყო, თუ არა.

- დაასრულე ოპერაცია, ზავულონ, - მოუწოდა შეფმა. – თუ დაუყოვნებლივ აორთქლდებით აქედან და სვეტლანას სახლიდან, ოფიციალურ პროტესტს არ შევიტანთ.

შავი მაგი ორჭოფობდა:

- მივდივართ.

შეფმა თავი დაუკრა, თითქოს სხვა პასუხს არც მოელოდაო. იფიქრებდით... მაგრამ კვერთხი ხელიდან არ გაუშვია, და ბარიერი ჩემსა და ზავულონს შორის მოიხსნა.

- დავიმახსოვრებ შენს მონაწილეობას ამ ამბავში... – წაიჩურჩულა შავმა მაგმა. – სამუდამოდ.

- დაიმახსოვრე, - დაეთანხმა შეფი. – შენთვის ასე აჯობებს.

ზავულონმა ხელები მიატყუპა ერთმანეთს, შავი ფრთები რითმულად შემოკრა და გაუჩინარდა. მაგრამ, სანამ გაქრებოდა, ალისას შეხედა – იმანაც თავი დაუკრა.

როგორ არ მომეწონა ამათი უხმო მოლაპარაკება. არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაშვებული მცირედი შეცდომა მხვდებოდა წინ.

ალისა მსუბუქი, მოფარფატე სვლით გამოემართა ჩემსკენ, რომელიც არანაირად არ შეეფერებოდა მის დასისხლიანებულ, დაგლეჯილ სახეს და გადმობრუნებულ, ჩამოკონწიალებულ მარცხენა ხელს.

- შენც უნდა წახვიდე, - მიმართა შეფმა.

- რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით! – უპასუხა ალისამ. – მაგრამ წასვლამდე, ერთი პატარა... ძალიან პატარა ვალი მაქვს დასაბრუნებელი, არა, ანტონ?

- კი, - წავიჩურჩულე. – მეშვიდე დონის გავლენა.

ვისზე იქნება დარტყმა მიმართული? შეფზე – სასაცილოა. ბოკვერზე, დათვზე, სემიონზე... სისულელეა. ეგორზე? რა შეიძლება მისთვის ყველაზე სუსტი დონით ზეგავლენით შთანერგვა?

- გაისხენი, - მიბრძანა ალისამ. – გამოტყდი, ანტონ. მეშვიდე დონის ჩარევა. ღამის საგუშაგოს შეფი მოწმე იქნება – საზღვარს არ გადავალ.

სემიონმა ამოიკვნესა და ისე მაგრამ მომიჭირა ხელი მკლავზე, რომ მეტკინა.

- უფლება აქვს, - ვთქვი. – ბატონო ბორის...

- როგორც გინდა, ისე მოიქეცი, - ჩუმად მიპასუხა შეფმა. – მე თვალს გადევნებ.

ამოიოხრე და ალისას გული გადავუშალე. ვერაფერსაც ვერ იზამს! ვერაფერს! მეშვიდე დონის ჩარევა – წყვდიადის მხარეს ვერ გადამიბირებს! სასაცილოა, მეტი არაფერი!

- ანტონ, - ნაზად მომმართა კუდიანმა. – უთხარი შეფს, რისი თქმაც გინდოდა. სიმართლე უთხარი. გულახდილად ილაპარაკე და სწორად მოიქეცი, ისე, როგორც უნდა მოიქცე.

- მინიმალური ზეგავლენა... – დაადასტურა შეფმა. მის ხმაში ტკივილი რომც ყოფილიყო, ისე ღრმად გადაემალა, რომ ვერ ვიგრძნობდი.

- მრავალსვლიანი კონსტრუქცია, - წარმოვთქვი და შეფს შევხედე. – ორმხრივი. დღის საგუშაგო საკუთარ პაიკებს სწირავს მსხვერპლად, ღამის საგუშაგო კი თავისი მსახურები მიყავს სამსხვერპლოზე. დიადი მიზნისთვის. უდიდესი, არნახული ძალის მქონე ჯადოქრის საკუთარ მხარეზე გადაბირებისთვის. შეიძლება ახალგაზრდა ვამპირი დაიღუპოს, რომელსაც სიყვარული სწყურია. შეიძლება დაიღუპოს, სამუდამოდ ჩარჩეს ბინდში სხვანაირის მცირედი შესაძლებლობების მქონე პატარა ბიჭი. შეიძლება სხვა თანამშრომლებიც დაზარალდნენ. მაგრამ არსებობს მიზანი, რომელსაც ნებისმიერი საშუალება ამართლებს. ორი უდიდესი მაგი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ებრძვის ერთმანეთს, მორიგ პატარა ომს აჩაღებენ. და ნათელი მაგი ამ შემთხვევაში უფრო არასახარბიელო მდგომარეობაშია... ყველაფერს სასწორზე აგდებს. და დამარცხების ფასი არა მარტო უსიამოვნებაა, არამედ ნაბიჯი ბინდში, იქ სამუდამოდ ჩარჩენის საშიშროება. მაგრამ მაინც დებს ფსონად ყველას. თავისიანებსაც და სხვებსაც. ასეა, ბატონო ბორის?

- ასეა, - დამეთანხმა შეფი.

ალისამ ჩუმად ჩაიცინა და ლიუკისკენ წავიდა. ახლა ფრენა ნამდვილად არ ეხალისებოდა, ისეთ დღეში ჩააგდო ბოკვერმა. მიუხედავად ამისა, კუდიანი მაინც მშვენიერ გუნებაზე გახლდათ.

სემიონს შევხედე – თვალი ამარიდა. ბოკვერი ნელ-ნელა იბრუნებდა ქალის ფორმას... მაგრამ ისიც ცდილობდა, თვალებში არ შეეხება ჩემთვის. დათვმა დაიღრიალა და ისე, რომ იერსახე არ შეუცვლია, ლიუკისკენ გაბაჯბაჯდა. ზედმეტად პირდაპირ დათვს, მშვენიერ მებრძოლსა და კომპრომისების მოწინააღმდეგეს, ახლა ყველაზე მეტად უჭირდა...

- დამპლები ხართ ყველანი, - თქვა ეგორმა. დიდი ძალისხმევის შედეგად წამოდგა, - არა მარტო დაღლილობისგან, ახლა ბიჭს შეფი აწვდიდა ენერგიას, ჰაერში მოლივლივე ენერგიის თხელი ძაფი შევნიშნე, - თავიდან საკუთარი ჩრდილიდან გამოსვლა ყველას უჭირს.

მეც მივყევი. ჩრდილის დატოვება არ გამჭირვებია, რადგან ბოლო თხუთმეტი წუთის განმავლობაში ბინდი იმხელა ენერგიით გაჯერდა, რომ ჩვეულებრივი აგრესიული სიბლანტე დაკარგა.

ამ მომენტში ბრაგვანის საშინელი, რბილი ხმა შემომესმა – ეს სახურავიდან მოწყვეტილმა ჯადოქარმა მიაღწია ასფალტს.

სხვებიც გამოჩნდნენ. სიმპათიური შავგვრემანი გოგო ჩასისხლიანებული მარცხენა თვალით და ჩამსხვრეული ყბით, აუღელვებელი ჩაფსკვნილი კაცი, პომპეზური ბიზნესმენი აღმოსავლურ ხალათში... დათვი უკვე წასულიყო. ვიცოდი, რასაც გააკეთებდა თავის ბინაში, „ბუნაგში“. გაუზავებელ სპირტს დალევდა და ლექსებს წაიკითხავდა. ხმამაღლა, სავარაუდოდ. ჩართული ტელევიზორის მხიარული ბუტბუტის ფონზე.

ვამპირიც გამოჩნდა. ეტყობოდა, ძალიან ცუდად იყო, რაღაცას ბურდღუნებდა, თავს აქიცინებდა და გადაღრღნილ მტევანს ილოკავდა. მტევანი ზანტად ცდილობდა, ხელს შეხორცებოდა. ირგვლივ ყველაფერი სისხლით მოთხვრილიყო – ვამპირის სისხლით არა, რა თქმა უნდა, უკანასკნელი მსხვერპლის სისხლით...

- წადი, - ვუბრძანე და პისტოლეტი მძიმედ ავწიე. ხელი მუხანათურად ამიკანკალდა.

ტყვიამ გაიწუილა და უსიცოცხლო სხეულში გაერჭო, გოგოს ფერდში გაფლეთილი ჭრილობა აღმოცენდა. ვამპირმა ამოიგმინა და ნაიარევზე ჯანმრთელი ხელი მიიჭირა. მეორე ხელი რამდენიმე, ძაფივით წვრილ მყესზე ეკიდა.

- არ გინდა, - რბილად მითხრა სემიონმა. – არ გინდა, ანტონ...

მაინც დავუმიზნე თავში. მაგრამ ამ წუთას ციდან შავი ჩრდილი ჩამოეშვა, ვეებერთელა ღამურა, კონდორის ხელა. ფრთები გაშალა, ვამპირს გადაეღობა და რკალისებური ფორმა მიიღო.

- გასამართლების მოთხოვნის უფლება აქვს!

კოსტიას ვერ ვესროლე. ვიდექი და ახალგაზრდა ვამპირს ვუყურებდი, ჩემს მეზობლად რომ ცხოვრობდა. ბიჭი თვალს არ მაშორებდა, ჯიუტად და დაჟინებით. რამდენი ხანია, დამდევ, ჩემო მეგობარო და მოწინააღმდეგე? და რატომ – თვისტომი რომ გადაგერჩინა, თუ არ დაგეშვა ნაბიჯი, რომელიც ჩვენს მეგობრობას წერტილს დაუსვამდა და ერთმანეთის მოსისხლე მტრებად გვაქცევდა?

მხრები ავიჩეჩე და პისტოლეტი საქამრეში ჩავიდე. მართალი ხარ, ოლგა. მთელი ეს ტექნიკა – სისულელეა.

- აქვს, - დაეთანხმა შეფი. – სემიონ, ბოკვერი, კონვოირება მოაწყვეთ.

- კარგი, - დაემორჩილა ბოკვერი. შემომხედა, თანაგრძნობით არა – უფრო გაგებით. მტკიცე ნაბიჯით გაემართა ვამპირებისკენ.

- მაინც უმაღლესი სასჯელი ელის, - ჩაიჩურჩულა სემიონმა, და ბოკვერს გაყვა.

ორიოდე წამის შემდეგ, გუშაგებმა სახურავი დატოვეს: კოსტია, რომელსაც მკვნესარი და თითქმის უგონო ვამპირი აეტაცა და ჰაერში აჭრილიყო, და სემიონი ბოკვერთან ერთად, რომლებიც უხმოდ მიყვებოდნენ ვამპირებს.

ჩვენ სამნი მარტო დავრჩით.

- ბიჭუნა, მართლა გაქვს რაღაც შესაძლებლობები, - რბილად მოახსენა შეფმა. მართალია, მცირედი, მაგრამ ბევრს ესეც არ შეუძლია. მოხარული ვიქნები, თუ ჩემს მოწაფეობას დათანხმდები...

- წადით თქვენი... – დაიწყო ეგორმა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა. ბიჭი უხმოდ ტიროდა, იმანჭებოდა, ცდილობდა, ცრემლები შეეკავებინა, მაგრამ თავს ვერაფრით უმკლავდებოდა.

მცირედი ზეგავლენა, მეშვიდე თანრიგის, და მომხდარის გადატანა გაუადვილდება. მიხვდება, რომ სინათლეს არ შეუძლია, წყვდიადს ებრძოლოს, თუ ყველა შესაძლო ზომებს არ გამოიყენებს...

ბინდისეულ ზეცას ავხედე, პირი გავაღე და თოვლის გრილი ფიფქები დავიჭირე. ნეტა გამაგრილა. სამუდამოდ გამაგრილა. მაგრამ ისე არა, როგორც ბინდში. ნეტა ყინულად მაქცია, მაგრამ არა ბურუსად; თოვლად, მაგრამ არა ჭყაპად; ნეტა გამაქვავა, მაგრამ არ ჩამომაღვენთა...

- ეგორ, წავიდეთ, გაგაცილებ, - შევთავაზე.

- მე... აქვე... – თქვა ბიჭმა.

კიდევ დიდი ხანი ვიდექი, სახე ქარისთვის შემეშვირა და თოვლის ფანტელებს ვყლაპავდი, ვერ შევამჩნიე, როგორ წავიდა ეგორი. შეფის კითხვა გავიგე: „ეგორ, მშობლებს შენ თვითონ გააღვიძებ?“, მაგრამ პასუხი არ გამიგია.

- ანტონ, თუ ეს რითიმე დაგამშვიდებს... ბიჭს ძველებური აურა შერჩა, - მომახსენა ბატონმა ბორისმა. – არანაირი... – ხელი მხარზე მომხვია, ისეთი პატარა და უსუსური იყო ამ წუთას, საერთოდ არ გავდა ნაპატივებ მეწარმეს ან პირველი რანგის მაგს. უბრალოდ გაახალგაზრდავებული მოხუცი იყო, რომელმაც დაუსრულებელ ომში ერთი მორიგი მოკლე ბრძოლა მოიგო.

- მშვენიერია.

როგორ მინდა. არავითარი აურა. საკუთარი ბედი.

- ანტონ, საქმეები გვაქვს.

- ვიცი, ბატონო ბორის...

- შეგიძლია სვეტლანას ყველაფერი აუხსნა?

- კი, მემგონი... ახლა შემიძლია.

- მაპატიე. მაგრამ იძულებული ვარ ის გამოვიყენო, რაც მაქვს... ისინი, ვინც ჩემს განკარგულებაში არიან. შენ და სვეტლანას რაღაც გაკავშირებთ. ჩვეულებრივი მისტიკური კავშირი, ყოვლად აუხსნელი. ამ შემთხვევაში, შეუცვლელი ხარ.

- მესმის.

თოვლი სახეზე მადნებოდა, წამწამებზე მედებოდა, ლოყებზე ზოლებად მეღვენთებოდა. მეგონა, თითქოს გაყინვა მოვასწარი, თითქმის, მაგრამ ამის უფლება ხომ არა მაქვს.

- გახსოვს, რას გეუბნებოდი? სინათლის სამსახური ბნელეთის მოციქულობაზე გაცილებით უფრო რთულია...

- მახსოვს...

- ამაზე მეტად გაგიჭირდება, ანტონ... შეგიყვარდება. მასთან ერთად იცხოვრებ... გარკვეული ხნის განმავლობაში. შემდეგ სვეტლანა უფრო შორს წავა. და დაინახავ, როგორ გშორდება, როგორ იზრდება მისი წრე, რომ ვეღარ ეწევი. დაიტანჯებ. მაგრამ ვერაფერს გააწყობ, დაწყებითი როლი გაკისრია. ასე თითოეულ დიდებულ მაგსა, და თითოეულ დიდებულ ჯადოქარს ემართება. მეგობრებსა და საყვარელ ადამიანებს იყენებენ. სხვანაირად არ შეუძლიათ.

- მესმის, ჰო... მესმის.

- წავიდეთ, ანტონ?

ხმას არ ვიღებდი.

- წავიდეთ?

- არ ვაგვიანებთ?

- ჯერ არა. სინათლეს თავისი გზა აქვს. მოკლე გზით წაგიყვან, იმის მერე კი – იმის მერე მხოლოდ შენი გზა იწყება.

- მაშინ ცოტა ხანს დავრჩები, - ვუთხარი. თვალები დავხუჭე, რომ მეგრძნო, როგორ ეცემოდა ქუთუთოებს ნაზი ფარფატით თოვლის ფანტელები.

- შენ რომ იცოდე, რამდენჯერ ვმდგარვარ მასე, - მითხრა შეფმა. – აი, ასე, ვიდექი და ცას შევყურებდი და რაღაცას შევთხოვდი... დალოცვას, თუ წყევლას, აღარ მახსოვს.

- ანტონ, გავიყინე, - მომახსენა შეფმა. – მცივა. ადამიანივით მცივა. მინდა, ერთი ჭიქა არაყი დავლიო და ლოგინში შევწვე. და ვიწვე ასე, ველოდო, სანამ შენ სვეტლანას გადაარჩენ... სანამ ოლგა ქარბორბალას მიხედავს. მერე ერთ გემრიელ შვებულებას ავიღებდი. ჩემს შემცვლელად ილიუშას დავტოვებდი, ჩემს ტყავში ყოფნა მაინც გამოცდილი აქვს, და სამარყანდში წავიდოდი. ნამყოფი ხარ სამარყანდში?

- არა.

- არაფერი განსაკუთრებული, სიმართლე რომ გითხრა. მითუმეტეს ახლა. არაფერი განსაკუთრებული იქ არაა, მოგონებების გარდა... ის მოგონებებიც ჩემთვისაა მარტო ძვირფასი. შენ როგორ ხარ?

- წავედით, ბატონო ბორის.

სახიდან თოვლი მოვიწმინდე.

მელოდებოდნენ.

მხოლოდ ეს გვიშლის ხელს გაყინვაში.

ისტორია მეორე. თავისიანი თავისიანებს შორის

პროლოგი

მაქსიმი ერქვა.

არც თუ ისე იშვიათი სახელი, მაგრამ არც ძალიან გავრცელებული, როგორც სერგეი, ანდრეი ან დიმა. საკმაოდ კეთილხმოვანი. კარგი რუსული სახელი, მართალია ფესვებს ძველ ბერძნებთან, ვარიაგებთან და სხვადასხვა ჯურის სკვითებთან მივყავართ.

გარეგნულადაც არა უშავდა. სერიალის ვარსკვლავის დაყენებული სილამაზით არ ყოფილა დაჯილდოებული, მაგრამ ჩვეულებრივი, „უსახო“ გარეგნობაც არ ჰქონდა. სიმპათიური მამაკაცი, ხალხის ბრბოში გამოარჩევდით. ამასთან ერთად, ათლეტური ტანის მქონე, ნავარჯიშევი, მაგრამ ზედმეტად დაჭიმული კუნთების, დაბერილი ვენებისა და ფიტნეს დარბაზების ფანატიზმის გარეშე.

იგივე ითქმის პროფესიაზეც - აუდიტორი იყო, მსხვილ უცხოურ კომპანიაში მუშაობდა და საკმაოდ დიდი შემოსავალიც ჰქონდა, ნებისმიერ ახირებას რომ დააკმაყოფილებდა, და არც რეკეტის რომ შეეშინდებოდა.

თითქოს მისმა მფარველმა ანგელოზმა დაბადებიდან უწინასწარმეტყველა: „დე, ყოველთვის ცოტათი ჯობდე დანარჩენებს.“ ცოტათი, მაგრამ მაინც ჯობდე. რაც ყველაზე მთავარია, მაქსიმს ეს სავსებით აკმაყოფილებდა. უფრო მეტისთვის იღწვოდე, თავს არ ზოგავდე, რომ ბოლო მოდელის მანქანა შეიძინო, მაღალი საზოგადოების წრეში შეაღწიო ან ერთი ოთახის მეტი მიიღო... რისთვის? ცხოვრება ხომ თავისი არსითაა მშვენიერი, და არა იმ მატერიალური სიკეთეებით, რომელთა მიღწევასაც ასე თავგამოდებით ვცდილობთ. ამით ცხოვრება სრულიად განსხვავდება ფულისგან, რომელიც თავისთავად არაფერია.

რა თქმა უნდა, მაქსიმი ამაზე პირდაპირ არასოდეს დაფიქრებულა. იმ ადამიანებს, რომლებმაც ცხოვრებაში ზუსტად თავისი ადგილი დაიკავეს, ერთი განსაკუთრებული თვისება ახასიათებთ: ყველაფერს ისე იღებენ, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. ყველაფერი ისე ეწყობა, როგორც უნდა აწყობილიყო. და თუ ვინმემ ის არ მიიღო, რაც ეკუთვნოდა, მხოლოდ მისი ბრალია. მაშასადამე, იზარმაცა ან სათანადო ჭკუა ვერ გამოიჩინა. ან – მომეტებული მისწრაფება.

მაქსიმს ძალიან მოსწონდა ეს ფრაზა: „მომეტებული მისწრაფება“. ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა ხოლმე. მაგალითად, ხსნიდა, რატომ კარგავს დროს ტყუილად მისი ჭკვიანი და ლამაზი და ლოთ ქმართან ტამბოვში. თვითონ არ ეძებდა უკეთეს პერსპექტივებს... და იპოვნა კიდევაც. ან თუნდაც ძველი სკოლის მეგობარი, რომელიც მეორე თვეა ტრავმატოლოგიურში წევს. ბიზნესის გაფართოება მოუნდა? გააფართოვა. კიდევ კარგი, ცოცხალი გადარჩა. კულტურული ხალხი გამოდგნენ ეს კონკურენტები დიდი ხნის წინ დანაწილებული ფერადი ლითონების ბაზარზე...

საკუთარ თავთან მიმართებაში ფრაზას „მომეტებული მისწრაფება“ მაქსიმი მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოიყენებდა. მაგრამ ეს იმდენად რთული და უცნაური სფერო იყო... ამაზე ფიქრიც არ უნდოდა. ადვილი გამოსავალი იყო, არ ეფიქრა, შეგუებოდა იმ უცნაურ რამეს, რომელიც ხანდახან გაზაფხულზე ემართებოდა, ზოგჯერ კი – შემოდგომაზე, და იშვიათად – შუა ზაფხულში, როცა ისეთი ხვითქი დადგებოდა, რომ გონებას დაუბინდავდა, საღ აზრსა და სიფრთხილესა და ფსიქიკური სრულფასოვნების მცირედი ეჭვსაც გამოაცლიდა... თუმცა, შიზოფრენიკად მაქსიმს თავი ნამდვილად არ მიაჩნდა. უამრავი წიგნი წაეკითხა ამაზე, გამოცდილ ექიმებთან გაუვლია კონსულტაცია... ნუ, დეტალები, რა თქმა უნდა, არ გაუმხელია.

არა, სავსებით ნორმალური იყო. ალბათ მართლა არსებობდა ისეთი რამ, რასაც გონება უარყოფდა, ხოლო ჩვეულებრივი ადამიანური ნორმები მიუღებელი იყო. მომეტებული მისწრაფება... არ არის სასიამოვნო. თუმცა არის კი სინამდვილეში მომეტებული...

მაქსიმი თავის მოვლილ და კოხტა მანქანაში იჯდა. „ტოიოტა“ ჰყავდა, არც თუ ისე ძვირადღირებული და მდიდრული, მაგრამ იმ მანქანებზე გაცილებით უკეთესი, მოსკოვის ქუჩებში რომ დადიოდა. ძრავა ჩამქრალი ჰქონდა, გამთენიის სიბნელეში ორიოდე ნაბიჯშიც ვერ შეამჩნევდით, რომ იქ ვინმე საჭესთან იჯდა. მთელი ღამე ასე გაატარა, ჩამქრალი ძრავის სუსტ შიშინს უსმენდა, გაიყინა, მაგრამ გამათბობლის ჩართვა ვერ გაებედა. ძილი არ უნდოდა, როგორც ასეთ დროს ემართებოდა ხოლმე. არც მოწევა. არაფერი არ უნდოდა, ასე ჯდომა ერჩივნა, უმოძრაოდ, ჩრდილივით გზისპირას გაჩერებულ მანქანაში, და ლოდინი. ერთი რამა არის მხოლოდ სამწუხაროდ – ცოლი ისევ იფიქრებს, რომ საყვარელთანაა. როგორ უნდა დაუმტკიცო, რომ საყვარელი არ ყავს, მუდმივი, ყოველ შემთხვევაში, და ყველა შეცოდება ჩვეულებრივი საკურორტო რომანებით, სამსახურის ინტრიგებითა და შემთხვევითი პროფესიონალებით შემოიფარგლება მივლინებებში... და ისიც ოჯახის ფულით კი არა, არამედ კლიენტების მიერ შემოთავაზებული ფულით. ასეთ დროს უარს ვერ იტყვი, ეწყინებათ. ან გომიკად ჩაგთვლიან, და სხვა დროს ბიჭებს მოიყვანენ...

საათზე მოციმციმე მწვანე ციფრები შეიცვალა – დილის ხუთი საათი. ცოტაც და მეეზოვეებიც გამოძვრებიან, ძველი რაიონია, პრესტიჟული, დასუფთავების საკითხი მკაცრადაა დაყენებული. კიდევ კარგი, რომ არც წვიმაა და არც თოვლი, დამთავრდა ზამთარი, ჩაძაღლდა, და ადგილი გაზაფხულს დაუთმო – მთელი თავისი პრობლემებითა და მომეტებული მისწრფებებით...

სადარბაზოს კარი გაბრახუნდა. გოგო ქუჩაში გამოვიდა, შეჩერდა, მხარზე ჩანთა შეისწორა - მანქანიდან ათიოდე მეტრში, პირდაპირ ტროტუარზე, რა სულელური სახლებია, ეზოების გარეშე, მუშაობაც მოუხერხებელია აქ და, ალბათ, ცხოვრებაც, ვის რა ჯანდაბად უნდა უბნის პრესტიჟი, თუ სახლის მილები დამპალია, კედლებს ობი მოკიდებია, და, ალბათ, მოჩვენებებითაა სავსე...

მაქსიმმა გაიღიმა და მანქანიდან გადმოვიდა. ტანი ადვილად ემორჩილებოდა, კუნთები არ დაბუჟებოდა მთელი ღამის განმავლობაში, თითქოს ძალაც მოემატაო. ესეც უდავო ნიშანი იყო.

არა, საინტერესოა მაინც – მოჩვენებები თუ არსებობენ?

- გალინა! – დაუძახა.

გოგო მაქსიმისკენ მიბრუნდა. და ესეც ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი გახლდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიქცეოდა. რას იფიქრებ, როცა დილაუთენია ვიღაც უცხო ადამიანი სადარბაზოსთან გყარაულობს...

- არ გიცნობთ, - მიუგო გოგომ, მშვიდად, ცნობისმოყვარეობით.

- მართალია, - დაეთანხმა მაქსიმი. სამაგიეროდ, მე გიცნობთ.

- ვინ ხართ?

- მართლგანმსჯელი.

მაქსიმს მოსწონდა ეს სიტყვა, არქაული, მაღალფარდოვანი, საზეიმო. მართლგანმსჯელი! ის, ვისაც განსჯის უფლება აქვს.

- და ვინ უნდა გამსაჯოთ?

- თქვენ, გალინა, - მაქსიმი დინჯი და საქმიანი იერით იდგა. თვალები გამუქებას იწყებდა, ესეც კიდევ ერთი უტყუარი ნიშანი.

- მართლა? – ქალმა სწრაფი მზერა შეავლო, და მაქსიმმა თვალებში მოყვითალო ცეცხლი შენიშნა. – გამოგივა კი?

- გამომივა, - მიუგო მაქსიმმა, და ხელი ასწია. ხელში უკვე მოემარჯვებინა ხანჯალი, რომლის ვიწრო ხის პირი ერთ დროს ღია ფერის ყოფილა, მაგრამ ბოლო სამი წლის განმავლობაში გამუქებულიყო, გაჟღენთილიყო...

გოგოს ხმა არ ამოუღია, როცა ხის პირი გულში შეესო.

მაქსიმმა, როგორც ყოველთვის, წამიერი და მწველი შიშის მოზღვავება იგრძნო, ვაითუ შეცდომა დაუშვა? ყველაფრის მიუხედავად?

მარცხენა ხელით ჯვარს შეეხო, უბრალო ხის ჯვარს, რომელსაც ყოველთვის გულზე ატარებდა. და იდგა ასე, ცალ ხელში ხის ხანჯლით, მეორე კი ჯვრისთვის ჩაეჭიდა, იდგა, სანამ გოგომ გარდაქმნა არ დაიწყო...

ტრანსფორმაციამ სწრაფად ჩაიარა. ყოველთვის მალე სრულდებოდა ადამიანის ცხოველად და, პირიქით, ცხოველის ადამიანად გადაქცევის პროცესი. რამდენიმე წუთის განმავლობაში ტროტუარზე მხეცი ეგდო, შავი პანტერა, გაქვავებული მზერით, დაკრეჭილი ეშვებით, ნადირობის მსხვერპლი, მკაცრ კოსტუმში, კოლგოტსა და ფეხსაცმელში გამოწყობილი... შემდეგ უკუპროცესი დაიწყო – თითქოს ბოლოჯერ ამოძრავდა ქანქარა.

მაქსიმს ყველაზე უცნაურად ეს უკანასკნელი, მოკლე და, ჩვეულებრივ, დაგვიანებული გარდაქმნაც კი არ ეჩვენებოდა, არამედ, ის, რომ გარდაცვლილ გოგოს არავითარი ჭრილობა არ დარჩა. ტრანსფორმაციის მოკლე მონაკვეთმა განწმინდა, განკურნა. დარჩა მხოლოდ ჭრილი პერანგსა და პიჯაკზე.

- დიდება შენს სახელს, უფალო, - ჩაიჩურჩულა მკვდარი მაქციის შემხედვარე მაქსიმმა. - დიდება შენს სახელს, უფალო.

არაფერი არ ჰქონდა იმ როლის საწინააღმდეგო, რომელიც ცხოვრებამ არგუნა.

მაგრამ მაინც ძალიან მძიმე იყო ეს ხვედრი მაქსიმისთვის, რომელსაც მომეტებული მისწრაფებანი არ ახასიათებდა.

თავი 1

ამ დილით მივხვდი, რომ გაზაფხული ნამდვილად დადგა.

გუშინ საღამოს ცა სულ სხვანაირი იყო. ქალაქის თავზე ღრუბლები დაცურავდა, ირგვლივ ნოტიო, ნესტიანი ქარისა და ჩამოუსვლელი თოვლის სუნი იდგა. ისეთი ამინდი იყო, სავარძელში მოკალათება, რამე ამერიკული ტუტუცური ფილმის ჩართვა, კონიაკის გადაკვრა და თვალის მოტყუება მოგინდებოდა.

დილით კი ყველაფერი შეიცვალა.

გამოცდილი ილუზიონისტის მაგიური ხელის მოსმით თითქოს ქალაქისთვის ცისფერი ფარდა გადაუფარებიათ, ქუჩებსა და მოედნებისთვის მოუტარებიათ და გზადაგზა ქალაქი ზამთრის ნარჩენებისგან გაუწმენდიათ. ხოლო კუთხეებსა და თხრილებში შემორჩენილი ნაცრისფერი თოვლის გუნდები კარსმომდგარი გაზაფხულის დაუდევრობად კი აღარ გეჩვენებოდათ, არამედ ინტერიერის აუცილებელ ელემენტად. სახსოვრად...

მეტროსკენ მივდიოდი და ვიღიმებოდი.

ზოგჯერ ძალიან მინდა, ადამიანი ვიყო. მთელი კვირაა ადამიანის ცხოვრებით ვცხოვრობ, მივდივარ სამსახურში, მეორე სართულს არ ვცილდები, სერვერს ვუჩიჩხინებ, რომელსაც ამ ბოლო დროს ახირებული თვისებები დასჩემდა, ბუღალტერიის გოგოებს ისეთ ახალ საოფისე პროგრამებს უყენებდა, არაფერში რომ არ სჭირდებოდათ. საღამოობით თეატრში, ფეხბურთზე, რაღაც ბარებსა და პატარა რესტორნებში დავდიოდი. ნებისმიერ ადგილას, ოღონდ ხმაურიანი და ხალხმრავალი ყოფილიყო. აქტიური ცხოვრებით დაკავებული ადამიანი უფრო საინტერესოა, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი.

რა თქმა უნდა, ღამის საგუშაგოს ოფისში, ძველ ოთხსართულიან შენობაში, რომელსაც ჩვენსავე შვილობილი კომპანიისგან ვიღებდით იჯარით, ადამიანები არ ჭაჭანებდნენ. სამი მოხუცი დამლაგებელიც კი სხვანაირი იყო. მოთავხედო ახალგაზრდა დაცვის ბიჭებსაც კი, შემოსასვლელში რომ იდგნენ, ვისი სამუშაოსაც წვრილი ბანდიტებისა და კომივოიაჟერების მოგერიება წარმოადგენდა, მაგიური პოტენციალი ჰქონდათ. სანტექნიკოსიც კი, კლასიკური მოსკოველი ალკოჰოლიკი სანტექნიკოსი, მაგი იყო... და საკმაოდ საკმაოდ კარგი მაგიც, ალკოჰოლს ბოროტად რომ არ იყენებდეს.

შენობის პირველი ორი სართული ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. აქ იკრიბებოდნენ საგადასახადო პოლიციის წარმომადგენლები, საქმიანი პარტნიორები ადამიანებიდან, ბანდიტები ჩვენი კლანიდან... მართალია, კლანს თავის დროზე

პირადად შეფი აკონტროლებდა, მაგრამ რაში სჭირდებოდათ რიგით მსახურებს ამის ცოდნა?

საუბრებიც ძალზედ ჩვეულებრივი მიდიოდა. პოლიტიკაზე, გადასახადებზე, ამინდზე, სხვების სასიყვარულო ინტრიგებზე და საკუთარ ფლირტებზე. გოგოები ბიჭებზე ჭორიკნობდნენ, არც ჩვენ ვრჩებოდით ვალში. რომანებს აბამდნენ, ინტრიგებს ხლართავდნენ, უშუალო ხელმძღვანელობისთვის ფეხის წამოგების მიზნით, პრემიების სახეებს განიხილავდნენ...

ნახევარ საათში „სოკოლამდე“ მივაღწიე და ზევით ავედი. გარეთ ხმაური იყო, ჰაერი მანქანების გამონაბოლქვით გაჟღენთილიყო, მაგრამ გაზაფხულის სუნი მაინც იგრძნობოდა.

ჩვენი ოფისი მოსკოვის საკმაოდ პრესტიჟულ რაიონში მდებარეობდა, დღის საგუშაგოს ოფისთან შედარებით. მაგრამ კრემლი აშკარად არ იყო ჩვენი ადგილი – მეტისმეტად შესამჩნევი კვალი დაემჩნია წარსულს წითელი მოედნისთვის და უძველესი აგურის კედლებისთვის. ალბათ დრო, როცა იქნება, ამ კვალსაც ჩამორეცხავს, მაგრამ ჯერჯერობით ამის ვერავითარ წინაპირობას ვერ ვხედავ, სამწუხაროდ...

მეტროდან ფეხით წავედი, დიდი გზა არ მქონდა გასავლელი. მესიამოვნა გაზაფხულის მზის გამთბარი და განათებული სახეების დანახვა. აი, რატომ მიყვარს გაზაფხული – მის მოსვლასთან ერთად სევდიანი უსუსურობის შეგრძნება მცირდება და ცდუნებაც ნაკლებია...

დაცვის ერთ-ერთი ბიჭი შესასვლელთან ეწეოდა. მეგობრულად დამიკრა თავი – საგულდაგულო შემოწმება მის მოვალეობებში არ შედიოდა. სამაგიეროდ, უშუალოდ ჩემზე იყო დამოკიდებული მორიგეობისას ინტერნეტზე ექნებოდა წვდომა და კომპიუტერში რამდენიმე ახალი თამაში დახვდებოდა, თუ მარტო სამსახურეობრივ ინფორმაციასა და თანამშრომლების დოსიეს დაჯერდებოდა.

- აგვიანებ, ანტონ, - მომაძახა.

საათზე დავიხედე.

- შეფმა საკონფერენციო დარბაზში იხმო ყველა, შენ უკვე გიკითხეს.

რა უცნაურია, როგორც წესი, დილის თათბირზე არ მეძახდნენ. ჩემს კომპიუტერულ სამფლობელოში ხომ არ მოხდა რამე? არა მგონია, მაშინ შუა ღამეს წამომაგდებდნენ ლოგინიდან, ჯერ არ წამოვუგდივარ თუ რა...

თავი დავუქნიე და ნაბიჯს ავუჩქარე.

შენობაში ლიფტი კი არის, მაგრამ ისეთი ძველია, რომ მეოთხე სართულზე ფეხით არბენა ვამჯობინე. მესამე სართულის კიბის ბაქანზე კიდევ ერთი პოსტი იყო,

ამჯერად უფრო სერიოზული. დღეს გარიკა მორიგეობდა. ჩემს მოახლოებაზე თვალები მოჭუტა, ბინდში გადაიხედა, აურასა და ყველა იმ ნიშანს გაუკეთა სკანირება, რასაც ჩვენ, გუშაგები, ვატარებთ სხეულზე. მხოლოდ ამის შემდეგ გამიღიმა თბილად:

- მიდი, დროზე.

საკონფერენციო დარბაზის კარი ოდნავ ღია დამხვდა. შიგნით შევიხედე – დარბაზში ოცდაათიოდე კაცი შეგროვილიყო. ძირითადად ოპერატიულები და ანალიტიკოსები. შეფი მოსკოვის რუკის გასწვრივ გადი-გამოდიოდა, თავს აქნევდა, ვიტალი მარკოვიჩი კი, მისი მოადგილე კომერციულ საკითხებში, სუსტი მაგი, სამაგიეროდ გაწაფული ბიზნესმენი, ამბობდა:

- ამგვარად, ჩვენ სრულად გადავფარეთ მიმდინარე ხარჯები, არავითარი საჭიროება არ გვაქვს, რომ... ემ... ფინანსური საქმიანობის განსაკუთრებულ საშუალებებს მივმართოთ. თუ კრება მხარს დაუჭერს ჩემს წინადადებებს, თანამშრომლებისთვის ანაზღაურების მომატებასაც შევძლებთ, პირველ რიგში, ოპერატიული მუშაკებისთვის, რა თქმა უნდა. საჭიროა ასევე ... ე... დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურება და გარდაცვლილთა ოჯახებისთვის პენსიების დანიშვნა, გარკვეულ წილად. და ამის საშუალება გვაქვს...

სასაცილოა, რომ მაგებს, რომლებსაც ტყვიის ოქროდ, ნახშირის – ალმასად, ხოლო დაჭრილი ქაღალდის – საკრედიტო ბარათებად გადაქცევა შეუძლიათ, იძულებული არიან, კომერციულ საკითხებზე იზრუნონ. მაგრამ სინამდვილეში, ორი რამისთვისაა მოსახერხებელი. ჯერ ერთი, იმ სხვანაირებს ასაქმებს და შემოსავლის წყაროს უქმნის, რომლებსაც სუსტი მონაცემები აქვთ და, მეორეს მხრივ, ძალების წონასწორობის დარღვევის ნაკლებ რისკს ქმნის.

ჩემს გამოჩენაზე ბატონმა ბორისმა თავი დაუქნია მარკოვიჩს და თქვა:

- გმადლობ, ვიტალი. მე ვფიქრობ, სიტუაცია ნათელია, თქვენი მუშაობით კმაყოფილი ვარ. ვყაროთ კენჭი? გმადლობთ. ახლა კი, როცა ყველანი აქ ხართ შეკრებილი...

შეფის დაკვირვებული მზერა არ მცილდებოდა. ცარიელ სავარძელს მივეპარე და დავჯექი.

- შეგვიძლია ძირითად საკითხზე გადავიდეთ.

სემიონის გვერდით აღმოვჩნდი, რომელმაც თავი გადმოხარა ჩემსკენ და მიჩურჩულა:

- ძირითადი საკითხი მარტის თვის პარტიული შენატანებია...

ღიმილი ვერ შევიკავე. ზოგჯერ ბატონ ბორისში მართლაც იღვიძებდა ძველი პარტიული ფუნქციონერი. ეს შუა საკუნეების ინკვიზიტორის ან გადამდგარი

გენერლის საქციელის მანერასთან შედარებით ნაკლებად მაშფოთებდა, მაგრამ, შეიძლება ვცდებოდი კიდეც.

- ძირითადი საკითხია დღის საგუშაგოს პროტესტი, რომელიც ორი საათის წინ მივიღე, - თქვა შეფმა.

მაშინვე ვერ გავიაზრე, რაც ხდებოდა. დღისა და ღამის საგუშაგოების გზები წარამარა კვეთდნენ ერთმანეთს. პროტესტები ყოველკვირეული მოვლენაა, ზოგჯერ ყველაფერი რეგიონალური განყოფილებების დონეზე რეგულირდება, ზოგჯერ კი საქმეს ბერნის ტრიბუნალი განიხილავდა...

შემდეგ მივხვდი, რომ პროტესტი, რა საბაბითაც საგუშაგოს გაფართოებული კრება მოიწვიეს, რიგითი არ იქნებოდა.

- პროტესტის არსი, - შეფმა ცხვირის ძვალი მოისრისა, - შემდეგში მდგომარეობს... დღეს დილით სტოლეშნიკოვის რაიონში ქალი მოკლეს, ბნელების წარმომადგენელი. აი, მომხდარის მოკლე აღწერა.

კალთაში პრინტერზე ამობეჭდილი რამდენიმე ფურცელი ჩამიცურდა. მსგავსი საჩუქრები დანარჩენებსაც ერგოთ. ტექსტს თვალი გადავავლე:

„გალინა როგოვა, ოცდაოთხი წლის... ინიციაცია შვიდი წლის ასაკში მოხდა, ოჯახი სხვანაირებს არ მიეკუთვნება. ბნელების პატრონაჟით იზრდებოდა... დამრიგებელი – ანნა ჩერნოგოროვა, მეოთხე თანრიგის მაგი... რვა წლის ასაკში გალინა როგოვა მაქცია-პანტერად ჩამოყალიბდა. შესაძლებლობები საშუალო...“

დოსიეს წარბშეჭმუხნილ სახით ვათვალიერებდი. თუმცა, პრინციპში, წარბის შეკვრაც არ ღირდა. როგოვა ბნელებს ეკუთვნოდა, მაგრამ საგუშაგოში არ უმუშავია. შეთანხმების წესებს ყოველთვის იცავდა. ადამიანებზე არ ნადირობდა. არასოდეს არ უნადირია. ის ორი ლიცენზიაც, რომელიც მის სახელზე გასცეს, ერთი სრულწლოვანებისას და მეორე – ქორწილის დღეს, არ გამოუყენებია. მაგიის წყალობით სამშენებლო კომპანია „თბილ სახლში“ მაღალი თანამდებობა მიიღო, დირექტორის მოადგილეს გაყვა ცოლად. ჰყავს ერთი ბავშვი, ბიჭი... მაგიური შესაძლებლობები არ შეინიშნება. ერთი ორჯერ გამოიყენა სხვანაირის ძალები, ისიც თავდაცვისათვის, ერთხელ თავდამსხმელი მოკლა. მაგრამ კაციჭამიობა არც მაშინ უკადრებია...

- ნეტა ბევრი გვყავდეს ასეთი მაქციები, - ინატრა სემიონმა. ფურცელი გადაშალა და ჩაახველა. დაინტერესებულმა დოკუმენტის ბოლოს დავხედე.

მაშ ასე. დანაშაულის ადგილის დათვალიერების პროტოკოლი. გაჭრილი პერანგი და პიჯაკი... სავარაუდოდ – წვრილი ხმლით მიყენებული ჭრილობა. შეთქმულები ჩვეულებრივი რკინის იარაღით მაქციას, რა თქმა უნდა, ვერ მოკლავდნენ... რამ გააკვირვა სემიონი?

აი, თურმე რა ხდებოდა!

სხეულზე ხილული დაზიანება არ აღმოაჩნდა. არავითარი. სიკვდილი სასიცოცხლო ენერგიის დაკარგვამ გამოიწვია.

- საშინელებაა, - აღნიშნა სემიონმა. – მახსოვს, სამოქალაქო ომის დროს მაქცია-ვეფხვის დაჭერა დამავალეს. ის ნაბიჭვარი კი თურმე საგანგებო კომისიაში მუშაობდა, და არც თუ ისე ხელწამოსაკრავ თანამდებობაზე...

- ყველანი გაეცანით მონაცემებს? – იკითხა შეფმა.

- შეიძლება ერთი კითხვა დავსვა? – დარბაზის მეორე ბოლოდან ვიღაცის წვრილი ხელი წამოიწია. თითქმის ყველას ღიმილი მოერია.

- რა თქმა უნდა, იულია, - თავი დაუქნია შეფმა.

საგუშაგოს ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელი წამოდგა და გაუბედავად გაისწორა თმა. კარგი გოგოა, შეიძლება ცოტა ინფანტილურიც, მაგრამ ანალიტიკურ განყოფილებაში ტყუილად არ აუყვანიათ.

- ბატონო ბორის, როგორც გავიგე, მეორე თანრიგის მაგიურ ზეგავლენასთან გვაქვს საქმე, თუ პირველი თანრიგია?

- შესაძლებელია, მეორეც, - დაეთანხმა შეფი.

- გამოდის, რომ ეს თქვენ შეგეძლოთ, გაგეკეთებინათ, - იულია წამით გაჩუმდა შეცბუნებული. – და კიდევ, სემიონს... ილიას... ან გარიკს. მართალია?

- გარიკა ვერ შეძლებდა, - აღნიშნა შეფმა. – ილია ან სემიონი კი შეძლებდნენ.

სემიონმა რაღაცა ჩაუბურტყუნა, თითქოს კომპლიმენტი გულზე არ დაეხატაო.

- შეიძლება, მკვლელობა ვინმე ჩვენგანს ჩაედინა, რომელიც ამ დროს მოსკოვში გზად მოხვდებოდა, - ხმამაღლა ფიქრობდა იულია. – მაგრამ ასეთი ძალის მქონე მაგი ქალაქში შეუმჩნეველი ხომ ვერ დარჩებოდა, დღის საგუშაგოს ყველანი კონტროლზე ჰყავს აყვანილი. მაშინ გამოდის, რომ სამი ადამიანი უნდა შევამოწმოთ, და თუ ყველა მათგანს ალიბი აღმოაჩნდება, მაშინ ჩვენს მიმართ არავითარი პრეტენზია არ ექნებათ?

- იულეჩკა, - შეფმა თავი გადააქნია. – ჩვენ არც არავინ გვიყენებს პრეტენზიებს. საქმე იმაშია, რომ მოსკოვში მოქმედებს დაურეგისტრირებელი ნათელი მაგი, რომელიც შეთანხმებას არ გაცნობია.

ეს კი, სერიოზული საკითხია...

- მაშინ – უი, - წამოიძახა იულიამ. – უკაცრავად, ბატონო ბორის.

- სწორია, - შეფმა თავი დააქნია. – მაშინვე გადავედით საკითხის არსზე. ხალხო, ვიღაცა გამოგვეპარა, რაღაცა გამოგვრჩა, ხელიდან გავუშვით. მოსკოვში დიდი ძალის მქონე თეთრი ჯადოქარი დაიარება, შეთანხმებას არ იცნობს, ვერაფერი გაუგია და ბნელებს ხოცავს.

- ხოცავს? – ვიღაცამ იკითხა დარბაზიდან.

- ჰო. არქივი დაათვალიერე, სამი წლის წინ სამი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა – გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ორი წლის წინ – გაზაფხულზე. ყველა შემთხვევაში სხეულის დაზიანება არ შეინიშნებოდა, სამაგიეროდ ტანსაცმელზე ჭრილები შეიმჩნეოდა. დღის საგუშაგომ გამოძიება ჩაატარა, მაგრამ ვერაფერი დაადგინა. როგორც ჩანს, თანამშრომლების დაღუპვა შემთხვევის ფაქტორს მიაწერა... ახლა რომელიმე ბნელი აგებს პასუხს დანაშაულზე.

- ნათელი.

- ნათელიც.

სემიონმა ჩაახველა და ხმამაღლა წარმოთქვა:

- რა უცნაური პერიოდულობაა, ბატონო ბორის...

- ჩემი აზრით, ამ საქმის შესახებ ყველა დეტალი არ ვიცით. ვინც არ უნდა იყოს ეს მაგი, ყოველთვის დაბალი შესაძლებლობების ბნელებს ხოცავდა, რომლებიც, როგორც ჩანს, წინდაუხედაობას იჩენდნენ შენიღბვისას, სავსებით შესაძლებელია, რომ მკვლელის მსხვერპლნი არაინიცირებული ან უცნობი ბნელი სხვანაირები გახდნენ. ამიტომ გთავაზობთ...

შეფმა დარბაზს თვალი მოავლო.

- ანალიკიტიკურ განყოფილებას კრიმინალური ინფორმაციის შეგროვება ევალება, ანალოგური შემთხვევების მოძებნა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ასეთი შემთხვევები ხშირად დარეგისტრირებულია არა როგორც მკვლელობა, არამედ როგორც სიკვდილი გაურკვეველ ვითარებაში. შეამოწმეთ გაკვეთის შედეგები, მორგების თანამშრომლებს გაესაუბრეთ... თქვენ თვითონ იფიქრეთ, სად შეიძლება ინფორმაციის მოპოვება. სამეცნიერო ჯგუფი... დღის საგუშაგოში რამდენიმე თანამშრომელი მიაგზავნეთ, გვამი დაათვალიერეთ. უნდა გაარკვიოთ, როგორ კლავს ეს იდუმალი მაგი ბნელებს. ჰო, მართლა, მოდი მხეცი დავარქვათ. ოპერატიული ჯგუფი ქუჩების პატრულირებაზე იზრუნებს. ეძებეთ, ბავშვებო.

- მთელია ცხოვრება მაგის მეტს რას ვაკეთებთ, „ვიღაცას“ ვეძებთ, - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა იგორმა. – ბატონო ბორის, როგორ ვერ შეამჩნიეთ ასეთი ძლიერი მაგი! არ მჯერა!

- შეიძლება, ინიცირებული არაა, - მოკლედ მოუჭრა შეფმა. – შესაძლებლობები პერიოდულად იჩენს ხოლმე თავს...

- გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როგორ ნებისმიერი ფსიქოპათის შემთხვევაში...

- დიახ, იგორ, ზუსტად მასეა. გაზაფხულსა და შემოდგომაზე. და ახლა, ჩადენილი მკვლელობის შემდეგ, მაგიის კვალი უნდა ეტყობოდეს. შანსი გვაქვს, მართალია მცირედი, მაგრამ მაინც არის. სამუშაოს შეუდექით.

- ბორის, მიზანი? – ცნობისმოყვარეობით იკითხა სემიონმა.

ზოგიერთმა ადგომა დაიწყო, მაგრამ შეჩერდნენ.

- მიზანი – მხეცის პოვნაა ბნელებზე ადრე, მისი დაცვა, გაწვრთნა და ჩვენს მხარეზე გადმობირება. როგორც ყოველთვის.

- გასაგებია, - სემიონი წამოდგა.

- ანტონ და ოლგა, თქვენ დარჩით, თუ შეიძლება, - წამოიძახა შეფმა და ფანჯრისკენ გავიდა.

გამსვლელები ერთგვარი ცნობისმოყვარეობით მაკვირდებოდნენ, და გარკვეული შურითაც. განსაკუთრებული დავალება ყოველთვის საინტერესოა. დარბაზში ოლგა მოვძებნე და ოდნავ გავუღიმე, იმანაც გამიღიმა.

ახლა საერთოდ არ გავდა იმ გოგოს, შუა ზამთარში ჩემს სამზარეულოში კონიაკით რომ ვუმასპინძლდებოდი. მშვენიერი ვარცხნილობა ჰქონდა და სახეზე ჯანსაღი ფერი გადაჰკრავდა, თვალებში კი... არა, თავდაჯერება არც ადრე აკლდა, მაგრამ ახლა რაღაცნაირი სიკეკლუცე და სიამაყეც შერეოდა.

სასჯელი მოუხსნეს, ნაწილობრივ.

- ანტონ, არ მომწონს, რაც ხდება, - ჩვენსკენ მოუბრუნებლად წარმოთქვა შეფმა.

ოლგამ მხრები აიჩეჩა და თავი დამიქნია, მანიშნა, პასუხი გამეცა.

- უკაცრავად, ბატონო ბორის?

- არ მომწონს დღის საგუშაგოს მიერ წამოყენებული პრეტენზია.

- არც მე.

- შენ არ გესმის. ვშიშობ, რომ არც დანარჩენებს... ოლგა, შენ მაინც თუ ხვდები, რაშია საქმე?

- ძალიან უცნაურია, რომ დღის საგუშაგო რამდენიმე წელია, ცდილობს მკვლელის კვალის მოძებნას.

- ჰო. გახსოვს კრაკოვი?

- სამწუხაროდ. შენ ფიქრობ, ჩვენ უნდა შეგვაწმინდონ ხელები?

- არ არის გამორიცხული... – ბატონი ბორისი ფანჯარას მოსცილდა. – ანტონ, შენ რას ფიქრობ მოვლენების ამგვარ განვითარებაზე?

- მაინცდამაინც კი არ მესმის, რა ხდება, - წავიბურტყუნე.

- ანტონ, დავუშვათ, რომ ქალაქში მართლაც დაბორიალობს მხეცი, მარტოხელა მკვლელი. არ არის ინიცირებული. დროდადრო მოზღვავებული მაგიური შესაძლებლობები შეაწუხებს, რომელიმე ბნელს გამოიჭერს და გაანადგურებს. შეუძლია თუ არა დღის საგუშაგოს მისი კვალის მიგნება? რა თქმა უნდა, შეუძლია... დამიჯერე. მაშინ ისმის კითხვა, რატომ არ დაიჭირეს და არ გამოააშკარავეს მკვლელი? მისი ხელით ხომ ბნელები იღუპებიან!

- თანამშრომლების დაღუპვა – ეგ არაფერია, - გამოვთქვი აზრი.

- მართალი ხარ. პაიკების მსხვერპლად შეწირვა – ტრადიციაა... – შეფმა სიტყვა გაწყვიტა, ჩემი მზერა რომ დაიჭირა. – რომელისაც საგუშაგო ერთგულად იცავს.

- საგუშაგოები, - შურისგებით შევუსწორე.

- საგუშაგოები, - დაღლილი ხმით გაიმეორა შეფმა. – მოკლედ, არ გავიწყდება... მოდი, დავფიქრდეთ, სადამდე მიგვიყვანდა მსგავსი კომბინაცია. ღამის საგუშაგოს უგერგილობაში და უყურადღებობაში დადანაშაულება? სისულელეა. ჩვენი საქმეა, ბნელების საქციელი ვაკონტროლოთ, და თვალი ვადევნოთ, რომ ინიცირებულმა თეთრებმა შეთანხმება არ დაარღვიონ, და არა იდუმალი მანიაკის კვალის ძებნა. აქ დღის საგუშაგო თავადაა დამნაშავე...

- გამოდის, რომ პროვოკაციის მიზანი ერთი კონკრეტული ადამიანია?

- ყოჩაღ, ანტონ. გახსოვს, იულიამ რა თქვა? მსგავსი რამის ჩადენა ჩვენში ერთეულებს თუ შეუძლიათ. ამის დამტკიცება ადვილად შეიძლება. დავუშვათ, რომ დღის საგუშაგომ გადაწყვიტა, ვიღაცა შეთანხმების დარღვევაში დაედანაშაულებინა. რომ ღამის საგუშაგოს რომელიღაცა შტატიანი, შეთანხმებასთან კარგად გაცნობილი თანამშრომელი, თავის ხელით იქმს სამართალს და ავსა და მართალს განსჯის.

- მაგრამ ამის გაბათილება ადვილია. მხეცი უნდა ვიპოვოთ...

- ბნელებმა რომ ჩვენზე ადრე იპოვონ? მაგრამ არ მოინდომონ ამის საქვეყნოდ გაცხადება.

- ალიბი?

- თუ მკვლელობა იმ მომენტში ხდებოდა, როცა ალიბი არ არსებობდა?

- ტრიბუნალი, სრული დაკითხვა, - პირქუშად მივუგე. თავადაც ვიცოდი, რომ ცნობიერების ქექვა კარგს არაფერს მოიტანდა...

- ძლიერ მაგს – ამ მკვლელობებში კი უთუოდ ძლიერი მაგის ხელია გარეული, შეუძლია ტრიბუნალს გაექცეს, მიიმალოს. კი არ მოატყუოს, არამედ მიიმალოს. გარდა ამისა, იმ ტრიბუნალის წინაშე, რომელსაც ბნელები ესწრებიან, მითუმეტეს მოუწევდა ამის გაკეთება. მტრების ხელში ძალიან დიდი ცოდნა გადაინაცვლებს. ხოლო თუ მაგი წინასწარ გამოძიებას ემალება, ავტომატურად მიიჩნევენ დამნაშავედ. ყველა გამომდინარე შედეგით, როგორც მისთვის, ისევე საგუშაგოსთვის.

- შავბნელი სურათია, ბატონო ბორის, - ვაღიარე. – მეტისმეტად მოჟამული. თითქმის ისეთივე, ზამთარში, სიზმარში რომ აღმიწერეთ. გამაოგნებელი ძალების მქონე ბიჭი-სხვანაირი, ინფერნოს გარღვევა, რომელიც მთელს მოსკოვს ნაცარტუტად აქცევს...

- მესმის. მაგრამ სიმართლეს გეუბნები, ანტონ.

- მე რა მევალება? – პირდაპირ ვკითხე. – ეს ხომ ჩემი პროფილი არ არის. ანალიტიკოსებს დავეხმარო – ისედაც ხომ გავაკეთებთ ყველაფერს, რასაც ანგარიშისთვის მოზიდავენ.

- ანტონ, მინდა, რომ გათვალო, ჩვენგან რომელი ჰყავთ მიზანში ამოღებული. ვის აქვს ალიბი ყველა ცნობილ შემთხვევაზე, და ვის – არა.

შეფმა პიჯაკის ჯიბეში ჩააცურა ხელი და დივიდი დისკი ამოიღო:

- გამომართვი... ეს არის ბოლო სამი წლის სრული დოსიე. ოთხზე, მათ შორის ჩემზეც.

შეფს დისკი გამოვართვი, ცოტა არ იყოს აღელვებულმა.

- პაროლები მოხსნილია, მაგრამ ალბათ ხვდები, რომ დისკი არავინ არ უნდა ნახოს. ინფორმაციის კოპირების უფლება არ გაქვს. ანგარიშები და სქემები გაშიფრე... და ნიშნების სისტემის სიგრძე ნუ შეგაშინებს.

- ალბათ ასისტენტი დამჭირდება, - გაუბედავად ვთხოვე. ოლგას შევხედე. თუმცა, რა ასისტენტად გამომადგებოდა – ოლგას კიბერნეტიკული ცოდნა „ჰერეტიკოსით“, „ჰექსენითა“ და მსგავსი თამაშებით შემოიფარგლებოდა.

- ჩემი მონაცემთა ბაზა თავად შეამოწმე, - ყოყმანით მიპასუხა შეფმა. – დანარჩენებზე შეგიძლია ანატოლი დაიხმარო. კარგი?

- მე რაღა უნდა ვაკეთო? – დაინტერესდა ოლგა.

- შენც იგივეს გააკეთებ, ოღონდ პირადი გამოკითხვების მეშვეობით. დაკითხვებით, თუ სიმართლე გინდა. ჩემგან დაიწყებ. შემდეგ დარჩენილ სამეულს დაკითხავ.

- კარგი, ბორის.

- საქმეს შეუდექი, ანტონ, - შეფმა თავი დამიკრა. ახლავე შეუდექი. დანარჩენ საქმეებზე შეგიძლია შენი გოგოებიდან რომელიმე დასვა, გაართმევენ თავს.

- მონაცემები ხომ არ მომეჩხრიკა? – ვკითხე. – თუ ვინმეს ალიბი არ აღმოაჩნდება... ხომ არ დამედგინა?

შეფმა თავი გააქნია:

- არა. ვერ გამიგე. მე ალიბის გაყალბება კი არ მინდა. მე მინდა, დავრწმუნდე, რომ არც ერთი ჩვენგანი ამ მკვლელობების სერიაში გარეული არ არის.

- ასე რთულადაა საქმე?

- დიახ. იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე შეუძლებელი არაფერია. ანტონ, ჩვენი სამუშაოს მთელი ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ შემიძლია მსგავსი დავალება მოგცე და შენც შეასრულებ. ვინაობების მიუხედავად.

რაღაცამ გამკენწლა, მაგრად მაინც დავუქნიე თავი და კარისკენ წავედი, ძვირფასი დისკით ხელში. მხოლოდ ბოლო მომენტში ჩამოყალიბდა კითხვა, და შემოვტრიალდი, რომ დამესვა:

- ბატონო ბორის...

შეფმა და ოლგამ ლაპარაკი შეწყვიტეს.

- ბატონო ბორის, აქ ოთხ კაცზეა მონაცემები?

- კი.

- თქვენზე, ილიაზე, სემიონზე...

- და შენზე, ანტონ.

- რატომ? – სულელურად ვიკითხე.

- სახურავზე შეტაკებისას სამი წუთი დაჰყავი ბინდის მეორე შრეში. ანტონ... ეს ძალის მესამე საფეხურია.

- არ არსებობს, - წავილუღლუღე.

- როგორ არა.

- ბატონო ბორის, თქვენ ხომ ყოველთვის მეუბნებოდით, რომ საშუალო თანრიგის მაგი ვიყავი!

- დავუშვათ, რომ კარგი პროგრამისტი უფრო მეტად მჭირდება, ვიდრე კარგი ოპერატიული მუშაკი.

სხვა დროს სიამაყეს ვიგრძნობდი, წყენანარევს, მაგრამ მაინც სიამაყეს. მე ხომ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მაგიის მეოთხე საფეხური ჩემი ზღვარი იყო და იმასაც უახლოეს მომავალში ვერ მივაღწევდი. მაგრამ ახლა ყველაფერი შიშმა გადაფარა – არასასიამოვნო, მცოცავი, საზარელი გრძნობა. საგუშაგოს მშვიდ საშტაბო პოზიციაზე გატარებულმა ხუთმა წელმა შიშის გრძნობას გადამაჩვია – არც ძალაუფლების მეშინოდა, არც ბანდიტების და არც ავადმყოფობების...

- მეორე საფეხურის ჩარევა იყო...

- აქ ძალზედ მგრძნობიარე ზღვარია გავლებული, ანტონ. შესაძლოა, უფრო მეტი შეგიძლია, ვიდრე გვგონია.

- ჩვენ ხომ ათზე მეტი მესამე თანრიგის ჯადოსანი გვყავს, რატომ აღმოვჩნდი ეჭვმიტანილებში მაინცდამაინც მე?

- იმიტომ, რომ პირადად ზავულონს შეეხე. მოსკოვის დღის საგუშაგოს ხელმძღვანელს კუდი მოუკაკვე. მას ანტონ გოროდეცკისთვის პერსონალური მახის დაგება შეუძლია, და თანაც ადვილად. უფრო სწორედ, რეზერვში არსებული ძველი მახის გადაწყობა.

ნერწყვი ჩავყლაპე და უხმოდ დავტოვე იქაურობა.

ჩვენი ლაბორატორიაც მეოთხე სართულზე მდებარეობს, მაგრამ დერეფნის ბოლოს. დერეფანი ჩავიარე, ნაცნობებს თავს ვუქნევდი, მაგრამ არ გავჩერებულვარ. დისკი ისე ჩამებღუჯა, როგორც მგზნებარედ შეყვარებულ ბიჭს სატრფოს ხელი.

შეფი ხომ არ ტყუოდა?

შესაძლოა, რომ სამიზნე მე ვყოფილიყავი?

ალბათ, არ ტყუოდა. პირდაპირი კითხვა დავუსვი და პირდაპირი პასუხი მივიღე. რა თქმა უნდა, წლების მატებასთან ერთად ყველაზე ნათელი ჯადოქრებიც კი იძენენ ცინიზმის გარკვეულ მარაგს და სიტყვიერ ეკვილიბრისტიკას ეუფლებიან. მაგრამ პირდაპირი სიცრუის შედეგები ბატონი ბორისისთვისაც მეტისმეტად მძიმე იქნებოდა.

ტამბური – შემოწმების ელექტრული სისტემებით. ვიცოდი, რომ ყველა მაგი ტექნიკას აგდებულად უყურებს, სემიონმა კი ერთხელ მაჩვენა, რა ადვილად შეიძლება ხმოვანი ანალიზატორისა და ბადურის სკანერის მოტყუება. მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე და ეს ძვირადღირებული სათამაშოები შევაძენინე. შეიძლება, სხვანაირისგან ვერ დაგვიცვას, მაგრამ საკმაოდ რეალურად მიმაჩნდა, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს უშიშროების ფედერალური სამსახურის ან მაფიის ბიჭები მოგვადგნენ.

- ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... – ჩავილუღლუღე მიკროფონში და კამერის ობიექტივს შევხედე. რამდენიმე წამის განმავლობაში სისტემა ფიქრობდა, შემდეგ კარის თავთან დაშვების მწვანე შუქი აციმციმდა.

პირველ ოთახში არავინ აღმოჩნდა. გუგუნებდნენ სერვერის ვენტილატორები, რახრახებდნენ კედელში ჩაშენებული კონდიციონერები. მაგრამ მაინც ცხელოდა. გაზაფხული კი მხოლოდ ახლა დაიწყო...

სისტემურების ლაბორატორიისკენ არც წავსულვარ, მაშინვე ჩემი კაბინეტისკენ გავემართე. ნუ, მარტო ჩემი არა, ტოლიკა – ჩემი მოადგილეც, იქ ბინადრობდა. ზოგჯერ, ღამესაც აქ ათევდა ხოლმე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ძველი ტყავის დივანზე მოკალათებული.

ახლაც მაგიდასთან იჯდა, და ჩაფიქრებული სახით ათვალიერებდა რაღაც ძველ დედა პლატას.

- გამარჯობა, - მივესალმე და დივანზე დავეშვი. დისკი თითებს მწვავდა.

- ჩაძაღლდა, - პირქუშად მომიგო ტოლიკამ.

- მერე გადააგდე.

- ახლავე, სქემას გამოვაცლი... – ტოლიკა თადარიგიანობით გამოირჩეოდა, რაც ბიუჯეტირების ინსტიტუტებში მრავალწლიანი მუშაობის შედეგად გამოიმუშავა. დაფინანსების პრობლემები არ გვქონია, მაგრამ ტოლიკა მაინც საგულდაგულოდ ინახავდა ძველ, უვარგის ნაწილებს. – არა, წარმოიდგინე რა, ნახევარი საათია ვეჩალიჩები, აზრზე ვერ მოვიყვანე აზრზე...

- რას ეჯახირები, ვერ ხედავ სული აღარ უდგას? ბუღალტერიაშიც კი ამაზე ახალი აპარატურა აქვთ.

- ვინმეს მაინც მივცემდი... კეში ხომ არ ამომეღო?

- ტოლიკ, სასწრაფო საქმე გვაქვს, - მოკლედ მოვუჭერი.

- ჰო?

- აჰა. აი... – დისკი ვაჩვენე. – აქ დოსიეა... სრული დოსიე, საგუშაგოს ოთხ თანამშრომელზე. მათ შორის შეფზეც.

ტოლიკამ მაგიდის უჯრა გამოაღო, პლატას უჯრაში გადაუძახა და დისკს შეხედა.

- მართლა. მე სამს შევამოწმებ. შენ კიდევ მეოთხე... ჩემი დოსიე.

- და რა უნდა შევამოწმო?

- აჰა, - ნაბეჭდი ვერსია ვიშოვე. – შეიძლება ეჭვმიტანილებისგან რომელიმე დროდადრო ბნელებს კლავს ხოლმე. არასანქცირებული. აქ ყველა ცნობილი შემთხვევაა ჩამოთვლილი. ჩვენ ან ამის შესაძლებლობა უნდა გამოვრიცხოთ, ან...

- შენ რა, მართლა ხოცავ? – დაინტერესდა ტოლიკა. – მაპატიე გესლიანი გამოთქმისთვის...

- არა. მაგრამ შენ არ დამიჯერო. საქმეს შევუდგეთ.

ჩემი დოსიესთვის არც შემიხედავს. შევყარე რვაასიოდე მეგაბაითი ტოლიკას კომპიუტერში და დისკი გამოვართვი.

- რამე საინტერესო რომ გამოჩნდეს, შეგატყობინო? – მკითხა ტოლიკამ. ცერად გავხედე – ჯერჯერობით ტექსტის ფაილებს ათვალიერებდა, მარცხენა ყურს აწვალებდა და აუჩქარებლად აწკაპუნებდა მაუსს.

- როგორც გინდა.

- კარგი.

ჯერ შეფის მონაცემების დათვალიერება დავიწყე. დოსიე ქუდით იწყებოდა – ზოგადი ინფორმაცია. თითოეულ წაკითხულ სტრიქონზე ოფლი მასხამდა.

რა თქმა უნდა, შეფის ნამდვილი სახელი და გვარი და წარმომავლობა ამ დოსიეშიც არ მოიპოვებოდა, მისი რანგის სხვანაირების შესახებ მსგავსი ფაქტების დოკუმენტაცია არ ხდებოდა. და მაინც, ყოველ წამს ახალ-ახალ აღმოჩენებს ვაკეთებდი. დავიწყოთ იქიდან, რომ შეფი უფრო ხანდაზმული აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი. სულ მცირე საუკუნენახევრით უფროსი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პირადად იღებდა მონაწილეობას სინათლესა და წყვდიადს შორის შეთანხმების მიღწევის პროცესში. საოცარია – იმ დროიდან შემორჩენილ ყველა მაგს მაღალი თანამდებობები უკავია უმაღლეს მმართველობაში, და შეფივით რეგიონალური დირექტორის მომაბეზრებელ და დამღლელ პოსტზე არ შემორჩენილა.

გარდა ამისა, რამდენიმე სახელი შევიტყვე, რომლითაც შეფი საგუშაგოს ისტორიაში ფიგურირებდა. საიდანაა წარმოშობით. ამაზე არა ერთხელ უმტვრევიათ თავი, სანაძლეო დაუდვიათ, „უცილობელი“ მტკიცებულებები მოყავდათ. მაგრამ, რატომღაც, არავის არ მოსვლია აზრად, რომ ბატონი ბორისი წარმოშობით ტიბეტიდან გახლდათ.

ხოლო იმათი სახელებისა და გვარების წარმოდგენას, ვისი დამრიგებელიც შეფი ყოფილა, ყველა მდიდარ ფანტაზიებშიც კი ვერ შევძლებდი!

ევროპაში შეფი მეთხუთმეტე საუკუნიდან მუშაობდა. ირიბი მინიშნებებით მივხვდი, რომ საცხოვრებელი ადგილის ასეთი მკვეთრი და მოულოდნელი შეცვლა ქალის გამოჩენით იყო განპირობებული. და იმასაც მივხვდი, რომელ ქალზე იყო ლაპარაკი.

საერთო მონაცემების შემცველი ფანჯრის დახურვის შემდეგ, ტოლიკას შევხედე, რომელიც რომელიღაცა ვიდეოფრაგმენტს ათვალიერებდა. რა თქმა უნდა, ჩემი ბიოგრაფია ისეთივე მიმზიდველი და წარმტაცი არ აღმოჩნდა, როგორც შეფის ცხოვრების აღწერა. პატარა მოძრავ სურათს შევხედე და გავწითლდი.

- ერთი შეხედვით მართლა უცილობელი ალიბი გაქვს, - აღნიშნა ტოლიკამ, ისე რომ არ მობრუნებულა.

- მისმინე... – წარმოვთქვი საწყლად.

- ჰო, კარგი. დიდი ამბავი. სწრაფად გადავახვევ, რომ მთელი ღამე შევამოწმო...

წარმოვიდგინე ფილმი აჩქარებული სახით და მივტრიალდი. არა, კი ვიცოდი, რომ ხელმძღვანელობა თავის თანამშრომლებს აკონტროლებდა, გასაკუთრებით ახალგაზრდებს. მაგრამ ასეთ ცინიზმს ვერც კი წარმოვიდგენდი!

- უცილობელი ალიბი ვერ მოგართვი, - მივუგე. – ახლა ჩავიცვამ და გავალ.

- ვხედავ, - დამიდასტურა ტოლიკამ.

- და ნახევარ საათზე მეტ ხანს არ გამოვჩნდები. შამპანურს ვეძებდი... და სანამ ვიპოვნიდი, სუფთა ჰაერზე გამოფხიზლებაც მოვასწარი. ვფიქრობდი, ღირდა თუ არა დაბრუნება.

- კარგი, დაივიწყე, ნუ მიიტან გულთან ახლოს, - მითხრა ტოლიკამ. – ჯობია შეფის ინტიმურ ცხოვრებას გადახედო.

ნახევარი საათის მუშაობის შემდეგ მივხვდი, რომ ტოლიკა მართალი იყო.

შეიძლება საკმარისი მიზეზები მაქვს, მოთვალთვალეების უცერემონიობაზე რომ გავბრაზდე, მაგრამ მაშინ შეფს განრისხების ათჯერ უნდა მეტი მიზეზი უნდა ჰქონოდა.

- შეფს ალიბი აქვს, - შევნიშნე. – თანაც უდავო. ორ შემთხვევაზე ორი მოწმე ჰყავს, ერთზე კი – თითქმის მთელი საგუშაგო.

- ეს იმ შეშლილი ბნელზე ნადირობას გულისხმობ?

- ჰო.

- შენ ამ შემთხვევაზეც არ გაქვს ალიბი. დილით გამოგიძახეს, და ქრონომეტრაჟი ძალიან მიახლოებითია. არის შენი ფოტოსურათი, როგორ შედიხარ ოფისში, ეს არის და ეს.

- მაშ...

- თეორიულად, შეგეძლო ბნელების დახოცვა. თანაც... მაპატიე, ანტონ, მაგრამ თითოეული მკვლელობა შენს მომეტებულ ემოციურ, აღელვებულ მდგომარეობას ემთხვევა. თითქოს საკუთარ თავს ბოლომდე ვერ აკონტროლებდი...

- მე არ მომიკლავს.

- მჯერა. ფაილს რა ვუყო?

- წაშალე.

ტოლიკა რამდენიმე წამით დაფიქრდა.

- აქ ღირებული მაინც არაფერი მაქვს. დაბალი საფეხურის ფორმატირებაზე გავუშვებ. დიდი ხანია მაინც დისკის გაწმენდას ვაპირებდი.

- გმადლობ, - შეფის დოსიე დავხურე. – მორჩა, დანარჩენებს მე მივხედავ.

- გასაგებია, - ტოლიკამ კომპიუტერის სამართლიანი აღშფოთება დასძლია და კომპიუტერი თავად შეუდგა საკუთარი შიგთავსის წმენდას.

- გადი ერთი, გოგოებს დახედე, - შევთავაზე. – მრისხანე სახე მიიღე, დარწმუნებული ვარ, პასიანს შლიან.

- ეგეც საქმეა, - დამეთანხმა ტოლიკა. – როდის მორჩები?

- ერთ ორ საათში.

- კარგი, გავალ.

ტოლიკა „გოგოებთან“ გავიდა, ორ ახალგაზრდა პროგრამისტთან, რომლებიც ძირითადად საგუშაგოს ოფიციალური საქმიანობით იყვნენ დაკავებული. მე კიდევ მუშაობა განვაგრძე. რიგში სემიონი იდგა.

ორსაათნახევრიანი მუშაობის მერე კომპიუტერს მოვწყდი, ხელებით კეფა მოვისრისე - როცა ზიხარ საათობით და მონიტორს მისჩერებიხარ, სხეული გიბუჟდება. მადუღარა ჩავრთე.

არც შეფი, არც ილია და არც სემიონი შეშლილი მანიაკის როლისთვის არ გამოდგებოდნენ. სამივეს ალიბი ჰქონდა – თანაც, ხშირ შემთხვევაში, რკინასავით მყარი. აი, მაგალითად, სემიონმა ერთ-ერთი მკვლელობის პერიოდში მთელი ღამე დღის საგუშაგოს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებაში გაატარა. სემიონი სახალინზე იყო მივლინებაში – იქ ერთხელ ისეთი ამბავი დატრიალდა, რომ ცენტრის დახმარება ითხოვეს...

ეჭვის ქვეშ მხოლოდ მე ვრჩებოდი.

ტოლიკას კი ვენდობოდი, მაგრამ საკუთარი მონაცემები ხელახლა გადავამოწმე. სიმართლეს ამბობდა, არავითარი ალიბი არ მქონდა.

ყავა არ მესიამოვნა, ცოტათი მემჟავა, როგორც ჩანს, დიდი ხანია, ფილტრი არ გამოუცვლიათ. მონიტორს მიშტერებული ცხელ უგემურ ყავას ვყლურწავდი. შემდეგ მობილური ამოვიღე და შეფის ნომერი ავკრიფე.

- რა ხდება, ანტონ.

შეფმა ყოველთვის იცოდა, ვინ ურეკავდა.

- ბატონო ბორის, ეჭვქვეშ მხოლოდ ერთია.

- და ვინ?

შეფს მშრალი და ოფიციალური ხმა ჰქონდა. მაგრამ რატომღაც წარმოვიდგინე, რომ დივანზე ზის ნახევრად შიშველი, ცალ ხელში შამპანურის ჭიქა უჭირავს, მეორეთი კი ოლგას უჭერს ხელს, ყალიონი კი მხრით მიუბჯენია ან ჰაერში ყურთან ატივტივებს.

- ჰო, მითხარი... – დამტუქსა შეფმა. – რა ნათელმხილველობა აგიტყდა. მითხარი, ვინ არის ეჭვმიტანილი?

- მე.

- გასაგებია.

- თქვენ ხომ იცოდით, - მივმართე.

- ვითომ საიდან უნდა მცოდნოდა?

- არ იყო საჭირო, მე მიმეღო დოსიეს დამუშავებაში მონაწილეობა. თქვენ თვითონაც ადვილად გაართმევდით თავს. მაშ გამოდის, რომ გინდოდათ, რომ თავად მერწმუნა საშიშროების მნიშვნელობა.

- დავუშვათ, - შეფმა ამოიოხრა. – რას აპირებ, ანტონ?

- ნამცხვარი უნდა გამოვაცხო.

- ჩემს ოთახში შემოდი. ერთ... ემ... ათ წუთში.

- კარგი, - ტელეფონი გამოვრთე.

ჯერ გოგოებს შევუარე. ტოლიკა ისევ იქ იყო და ყველანი გულმოდგინედ მუშაობდნენ.

სინამდვილეში ორი უმაქნისი პროგრამისტის საჭიროება საგუშაგოს ნამდვილად არ ჰქონდა. წვდომა ფაილებზე საკმაოდ დაბალი იყო, კონფიდენციალურობის გამო, და ყველაფრის გაკეთება ჩვენ გვიხდებოდა. მაგრამ რა უნდა მოეხერხებინათ ორი

უსუსური ჯადოქრისთვის? ჩვეულებრივ ცხოვრებას რომ დაჯერებულიყვნენ... არა, რომანტიკა მოუნდათ, საგუშაგოში სამსახური... ჰოდა მოუძებნეს კიდევაც სამუშაო.

ძირითადად კი დროს ინტერნეტში ქექვითა და კარტის გაშლით კლავდნენ – თანაც ყველაზე მეტი პოპულარობით სხვადასხვა სახის პასიანსი სარგებლობდა.

ერთ-ერთ თავისუფალ კომპიუტერთან – ტექნიკური მომარაგების პრობლემები არ გვქონია, ტოლიკა იჯდა, კალთაში იულია ჩაესკუპებინა, რომელიც გამეტებით ასრიალებდა მაუსს პედზე.

- და ამას ეძახით თქვენ კომპიუტერული უნარ-ჩვევების დაუფლებას? – ვიკითხე, ეკრანზე მორბენალ მონსტრებს რომ მოვკარი თვალი.

- თაგვზე მუშაობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას ყველაზე მეტად კომპიუტერული თამაშები უწყობს ხელს.

- ჰოო... – ვერაფერი ვერ მოვიფიქრე, რა მეპასუხა.

მე თვითონ მსგავს თამაშებს დიდი ხანია, შევეშვი. როგორც საგუშაგოს თანამშრომელთა უმრავლესობა. კალმით მოხატული სიბოროტის დამარცხება საინტერესოა, სანამ შენი თვალით არ იხილავ რეალურ ავს. ან კიდევ ერთი ასი წელი თუ იცხოვრებ, და ცინიზმის უზარმაზარ მაგარს შეიძენ – როგორც ოლგა.

- ტოლიკ, დღეს ალბათ აღარ დავბრუნდები, - ვუთხარი.

- აჰა, - ყოველგვარი გაკვირვების გარეშე მიპასუხა. წინასწარჭვრეტის მოჭარბებული უნარი არ ვართ დაჯილდოვებული, მაგრამ მსგავს წვრილმანებს მაშინვე ვგრძნობთ.

- გალია, ლენა, კარგად, - თავი დავუქნიე გოგოებს.

გალიამ რაღაც თავაზიანი ფრაზა ჩაილუღლუღა, საქმეში ჩაფლული ადამიანის სახით. ლენამ მკითხა:

- შეიძლება დღეს ცოტა ადრე წავიდე?

- რა თქმა უნდა.

ჩვენ ერთმანეთს არ ვატყუებდით. თუ ლენა ადრე გაშვებას მთხოვდა, ესე იგი, მართლა ეჩქარებოდა. ჩვენ არ ვიტყუებით.

მხოლოდ ზოგჯერ გვახასიათებდა მზაკვრობა და სათქმელს ყოველთვის ბოლომდე არ ვამბობდით...

შეფის მაგიდაზე საშინელი არეულობა დამხვდა. ყველგან კალმები, ფანქრები, ქაღალდის ფურცლები, ამობეჭდილი ანგარიშები, მკრთალი, დამუშავებული მაგიური კრისტალები ეყარა.

მაგრამ უწესრიგობის ზეიმს ანთებული სპირტქურა აგვირგვინებდა, რომელზეც, ჯამში, თეთრი ფხვნილი თუხთუხებდა. შეფი ჩაფიქრებული სახით ურევდა ხსნარს ძვირადღირებული „პარკერის“ ტარით. აშკარად რაღაც ეფექტის იმედი ჰქონდა. ფხვნილზე არ მოქმედებდა არც ცეცხლი, არც მორევა.

- დისკს გიბრუნებთ, - დისკი შეფის პირდაპირ დავდე.

- რა ვქნათ? – მკითხა ბატონმა ბორისმა თავაუღებლად. პიჯაკი გაეხადა, პერანგი დაჭმუჭნოდა და ჰალსტუხი გვერდზე მოქცეოდა.

ცალი თვალით დივანს შევხედე. ოლგა კაბინეტში არ ჩანდა, მაგრამ იატაკზე შამპანურის ცარიელი ბოთლი და ორი ჭიქა ელაგა.

- არ ვიცი. მე ის ბნელები არ მომიკლავს. თქვენ მაინ ხომ იცით?

- ვიცი.

- მაგრამ უდანაშაულობის დამტკიცება არ შემიძლია.

- ჩემი გათვლებით – ორი-სამი დღე გვაქვს, - მითხრა შეფმა. – შემდეგ დღის საგუშაგო ბრალდებას წაგიყენებს.

- ყალბი ალიბის მოპოვება რთული საქმე არაა.

- და შენ თანახმა ხარ ამაზე? – დაინტერესდა ბატონი ბორისი.

- არა, რა თქმა უნდა. შეიძლება ერთი კითხვა დავსვა?

- შეიძლება.

- საიდან გაქვთ ეს მონაცემები? საიდანაა სურათები და ვიდეოჩანაწერები?

შეფი წამით გაჩუმდა:

- ასეც ვიფიქრე... შენ ხომ ჩემი დოსიეც ნახე, ანტონ. რომელი უფრო „მოკრძალებული“ მოგეჩვენა?

- თქვენი, ალბათ. მაგიტომაც ვიკითხე. რატომ აძლევთ ასეთი ინფორმაციის მოპოვების უფლებას?

- არ შემიძლია, ავუკრძალო. ინკვიზიცია გვაკონტროლებს.

იდიოტური კითხვის – „ინკვიზიცია რა, მართლა არსებობს?“ ენის წვერზე შეკავება მოვასწარი. მაგრამ ჩემი სახე უფრო ნათლად გამოხატავდა სათქმელს.

შეფი ცოტა ხანი მაკვირდებოდა, თითქოს მორიგ შეკითხვებს ელოდა, შემდეგ განაგრძო: - აი რა, ანტონ. ამიერიდან მარტო აღარ უნდა დარჩე. დამოუკიდებლად

მარტო ტუალეტში თუ შეგიძლია შესვლა, სხვა შემთხვევებში კი ორი-სამი მოწმით მოგიწევს სიარული. იმედია, კიდევ ერთი მკვლელობა მოხდება.

- თუ მართლა უნდათ, ხელები შემაწმინდოთ, მაშინ მკვლელობა არ მოხდება, სანამ ალიბის გარეშე არ აღმოვჩნდები.

- აღმოჩნდები, - შეფმა ჩაიცინა. – ბებერ იდიოტად ნუ მთვლი.

თავი დავუქნიე, ჯერ ისევ დაუჯერებლად, ბოლომდე ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა.

- ოლგა...

კედელში ჩაშენებული კარი, რომელიც ყოველთვის კარადის კარი მეგონა, გაიღო. ოლგა შემოვიდა, თან თმას ისწორებდა და იღიმებოდა. ჯინსი და მაისური ისე შემოტმასნოდა, როგორც ცხელი შხაპის მიღების შემდეგ იცის ხოლმე. მის ზურგს უკან უზარმაზარი აბაზანა შევნიშნე ჯაკუზით, მთელს კედელზე დატანებული ფანჯარა ქუჩაში გამავალი ხედით – ფანჯარა, უდავოდ, ცალი მხრიდან იქნებოდა გამჭვირვალე.

- ოლია, გაართმევ თავს? – იკითხა შეფმა და ალბათ ის იგულისხმა, რაზეც ჩემს მოსვლამდე ლაპარაკობდნენ.

- მარტო? ვერა.

- მაგაზე არ გეკითხები.

- გავართმევ, რა თქმა უნდა.

- ერთმანეთს ზურგებით მიეყრდენით.

კამათის სურვილიც არ გამჩენია. თუმცა გულმა გამწიწკნა – მივხვდი, რომ მნიშვნელოვანი რაღაც უნდა მომხდარიყო.

- გაიხსენით ორივენი, - ბრძანა ბატონმა ბორისმა.

თვალები დავხუჭე და მოვეშვი. ოლგას ნესტიანი სხეულის სიმხურვალე მაისურშიც ატანდა. უცნაური შეგრძნება დამეუფლა, როცა ვიდექი და იმ ქალის სხეულს ვეკვროდი, ვინ ცოტა ხნის წინ სხვასთან იწვა...

არა, ოლგას მიმართ არავითარ ლტოლვას არ განვიცდიდი. ალბათ იმიტომაც, რომ მისი არაადამიანური იერ-სახე მახსოვდა, შეიძლება იმიტომ, რომ ძალიან მალე გადავედით მეგობრულ და საქმიან ურთიერთობაზე. ალბათ იმ ასწლეულების გამო, ჩვენს დაბადებას უფსკრულივით რომ აშორებდა – რა მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა სხეულს, როცა სხვის საუკუნეების მტვერით სავსე თვალებში იხედები. ჩვენ მეგობრებადვე დავრჩით.

მაგრამ უცნაური შეგრძნებაა, იმ ქალის გვერდზე იდგე, რომლის სხეულს ჯერ კიდევ ახსოვს სხვისი ალერსი, ეკვროდე მას...

- დავიწყეთ... – თქვა შეფმა, ალბათ ზედმეტად მკვახედ მოუვიდა. რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა რომელიღაც უძველეს ენაზე, რომელიც საუკუნეების წინათ ისმოდა დედამიწაზე და რომლის მნიშვნელობაც არ მესმოდა...

აფრენა.

და მართლაც რომ აფრენას ჰგავდა – თითქოს ფეხქვეშ დედამიწა გამომეცალა, თითქოს სხეულმა სიმძიმე დაკარგა. ორგაზმი უწონადობაში, პირდაპირ ძარღვებში გაშვებული დიეტილამიდის დოზა, სიამოვნების ქერქქვეშა ცენტრებში გავლილი ელექტროდები...

შეშლილი და სუფთა, ყოვლად გაუმართლებელი და უმიზეზო სიხარულის გრძნობა ტალღასავით შემომაწვა და სამყაროც დაბნელდა. მოცელილივით დავეცემოდი, მაგრამ ძალა, რომელიც შეფის აღმართული ხელებიდან ასხივებდა, მაკავებდა, მე და ოლგასაც, უხილავი ძაფებით გვიჭერდა, გვაიძულებდა დავგრეხილიყავით, ერთმანეთს მივკვროდით.

შემდეგ კი ძაფები ერთმანეთში გადაიხლართა.

- მაპატიე, ანტონ, - მომიბოდიშა ბატონმა ბორისმა. – მაგრამ ორჭოფობისა და ახსნა-განმარტებების დრო აღარ გვქონდა.

ხმას არ ვიღებდი. ვიჯექი იატაკზე გაბრუებული, სულელურად დადუმებული და საკუთარ ხელებს შევყურებდი – წვრილ თითებს ზედ წამოცმული ორი ვერცხლის ბეჭდით, ფეხებს – გრძელ, სწორ ფეხებს, ჯერ კიდევ ნამიანს შხაპის შემდეგ, რომელსაც მჭიდროდ შემოკვროდა ჯინსი, ხოლო პატარა ტერფზე მოცისფრო სპორტული ფეხსაცმელი შემოჭეროდა.

- დიდი ხანი არ გაგრძელდება, - დამამშვიდა შეფმა.

- რა ეშმაკები... – მინდოდა, გადამეკურთხა, წამოვიქაჩე, იატაკიდან წამოხტომას შევეცადე, მაგრამ საკუთარი ხმის პირველივე ბგერების გაგონებისთანავე გავჩუმდი. ქალის ნაზი, დაბალი ხმა გაისმა.

- ანტონ, დამშვიდდი, - ჩემს გვერდით მდგარმა ახალგაზრდა კაცმა ხელი გამომიწოდა და ადგომაში დამეხმარა. ის რომ არ დამხმარებოდა, უეჭველად წავიქცეოდი. სიმძიმის ცენტრი აბსოლუტურად შეიცვალა. სიმაღლე მომაკლდა და სამყაროც სხვანაირად გამოიყურებოდა...

- ოლგა? – ვკითხე, თან ჩემს ძველ სახეს ვაკვირდებოდი.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: *www.ChiaturaINFO.GE*

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

ჩემმა პარტნიორმა, ახლა კი ჩემი სხეულის ბინადარმა თავი დამიქნია. დაბნეული ვუყურებდი ოლგას... საკუთარ სახეს და შევამჩნიე, რომ დილით ცუდად გამეპარსა პირი. და რომ შუბლზე წვრილი მოწითალო მუწუკი იწყებდა გამოსვლას, რომელიც მარტო გარდატეხის ასაკის მოზარდს თუ შეეფერებოდა.

- ანტონ, დამშვიდდი. მეც პირველად ვიცვლი სქესს.

რატომღაც დავუჯერე. ასაკის მიუხედავად შეიძლება მართლა პირველად მოხვდა ასეთ ხათაბალაში.

- შეეჩვიე? – მკითხა შეფმა.

მე ისევ საკუთარ თავს ვათვალიერებდი, ხან ხელს ავწევდი და სახესთან მივიტანდი, ხან საკუთარ გამოსახულებას ვიჭერდი სტელაჟების შუშებში.

- წავედით, - ოლგამ ხელი მომქაჩა. – ბორის, ერთი წუთი... – ოლგას ისეთივე გაუბედავი მოძრაობები ჰქონდა, როგორც მე. უფრო მეტადაც კიდევ. – ჯანდაბა, საერთოდ როგორ დადიხართ ეს კაცები? – მოულოდნელად წამოიძახა ოლგამ.

სწორედ ამ დროს ავხარხარდი, როცა მომხდარის ირონიას ჩავწვდი. მე, ბნელების პროვოკაციის სამიზნე, ქალის სხეულში გადამმალეს! შეფის საყვარლის სხეულში, ძველისძველში, როგორც ღვთისმშობლის ტაძარი!

ოლგამ, რასაც ქვია, აბაზანაში ჩამტენა – ძალაუნებურად გამახარა საკუთარმა ძალამ, და ჯაკუზიზე გადამაყუდა. შხაპის ონკანიდან, რომელიც წინდაწინ საგულდაგულოდ გაემზადებინა, და ღია ვარდისფერ ქაშანურზე შემოედო, სახეზე ცივი წყლის ნაკადი მომიშვირა.

გამაჟრჟოლა და ცახცახით დავუსხლტდი ხელიდან. ძლივს შევიკავე თავი, ოლგასთვის – ან, უფრო სწორედ, საკუთარი თავისთვის, ერთი ძლიერი ალიყური რომ არ მეთავაზებინა. როგორც ჩანს, სხვისი სხეულის მოტორული უნარ-ჩვევები იღვიძებდა.

- ისტერიკა კი არ მჭირს, - შევუბღვირე. – მართლა მეცინება.

- მართლა? – ოლგამ თვალებმოჭუტულმა შემომხედა. ნუთუ მართლა საკუთარი მზერა მიმზერდა – როდესაც ვცდილობ, ეჭვნარევი კეთილგანწყობა გამოვხატო?

- აბსოლუტურად.

- მაშინ სარკეში ჩაიხედე.

მივედი სარკესთან, რომელიც ისეთივე დიდი და მდიდრული ჩანდა, როგორც ნებისმიერი რამ ამ საიდუმლო აბაზანაში, და საკუთარ თავს მივაჩერდი.

შედეგი მეტად უცნაური გამოდგა. ახალი სხეული რომ დავათვალიერე, ჩემდაუნებურად დავმშვიდდი. ალბათ სხვა სხეული რომ მიმეღო, თუნდაც კაცის, შოკი უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა. ახლა კი არა მიშავდა, მოახლოებული მასკარადის შეგრძნებას თუ არ ჩავთვლიდით.

- ჩემზე ზემოქმედებას არ მოახდენ? – ვკითხე. – შენ, ან შეფი?

- არა.

- გამოდის, რომ ეს მე მაქვს ძლიერი ნერვები.

- პომადა გაგეთხიპნა, - შენიშნა ოლგამ და ჩაიხითხითა. – პომადის ხმარება შეგიძლია?

- გაგიჟდი, საიდან უნდა ვიცოდე?

- გასწავლი. მარტივი ხელოვნებაა. ძალიან გაგიმართლა, ანტონ.

- რაში?

- ერთი კვირის მერე რომ მომხდარიყო ეს ტრანსფორმაცია, საფენების გამოცვლაც უნდა მესწავლა შენთვის.

- როგორც ყველა ნორმალური კაცი, რომელიც ტელევიზორს უყურებს, მეც ვფლობ საფენის გამოცვლის ხელოვნებას. საფენი შხამიანი ლურჯი სითხით უნდა დაალბო და შემდეგ მაგრად მოუჭირო მუშტი.

თავი 2

კაბინეტიდან გამოვედი და წამით შევჩერდი, უკან მიბრუნების ცდუნებას შევებრძოლე.

ნებისმიერ მომენტში შემეძლო შეფის მიერ შემოთავაზებულ გეგმაზე უარი მეთქვა. მხოლოდ უნდა მივბრუნებულიყავი, რამდენიმე სიტყვა წარმომეთქვა და მე და ოლგა ისევ უწინდელ იერ-სახეს მივიღებდით. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ნახევარი საათის ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ სხეულების შეცვლა ერთადერთი რეალური პასუხი გახლდათ ბნელების პროვოკაციაზე.

ბოლოსდაბოლოს ნემსის შიშის მკურნალობაზე უარს ხომ არ იტყვის კაცი.

ოლგას ბინის გასაღები ჩანთაში მედო. იქვე პატარა საფულეში ფული და საკრედიტო ბარათი, კოსმეტიკის ნაკრები, ცხვირსახოცი, საფენი – ეს რაღად მინდოდა, მე ხომ

აღარ უნდა დამჭირვებოდა, „ტიკ-ტაკის“ გახსნილი კოლოფი, სავარცხელი, სარკე და პაწაწინა მობილური ტელეფონი ეწყო, ჩანთის ძირში კი ხურდები ეყარა...

ჯინსის ცარიელი ჯიბეები კი რაღაც დანაკლისის შეგრძნებას მგვრიდა. ამაოდ მოვქექე, იმის იმედით, რომ რაღაც ხურდას მაინც ვიპოვნიდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ოლგაც, ქალების უმრავლესობის მსგავსად, ყველაფერს ჩანთით ატარებდა.

მართალია ცარიელი ჯიბეები ყველაზე დიდი დანაკლისი არ იყო, რომელიც დღეს განვიცადე, მაგრამ ეს დეტალი მაინც მაღიზიანებდა. ჩანთიდან ჯიბეში რამდენიმე კუპიურა გადავაწყვე და თავი ოდნავ მშვიდად და თავდაჯერებულად ვიგრძენი.

სამწუხაროა, რომ ოლგა პლეერს არ ატარებს.

- გამარჯობა, - გარიკა მომიახლოვდა. – შეფი თავისუფალია?

- შეფი... ანტონთანაა... – მივუგე.

- მოხდა რამე, ოლია? – გარიკა ყურადღებით მაკვირდებოდა. არ ვიცი, რა იეჭვა, უცხო ინტონაციები, გაუბედავი მოძრაობები, ახალი აურა. მაგრამ თუ სხეულის შეცვლას ოპერატიული მუშაკიც კი ხვდება, რომელთანაც არც მე და არც ოლგას დიდად ახლო ურთიერთობა არ გვქონია, კაპიკია ჩემი ფასი.

გარიკამ გაუბედავად, მორცხვად გაიღიმა. მისმა მოულოდნელმა საქციელმა გამაოცა – ჯერ არ შემიმჩნევია, რომ საგუშაგოს რომელიმე თანამშრომლისთვის დაეწყო არშიყი. ჩვეულებრივ ქალებთანაც არ გამოსდიოდა არაფერი, სასიყვარულო ურთიერთობაში საშინლად არ უმართლებდა.

- არაფერი. ცოტა ვიკამათეთ, - მივტრიალდი და დაუმშვიდობებლად გავემართე კიბისკენ.

ღამის საგუშაგოს ვერსია იყო, იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე ჩვენგანი იმათი აგენტი აღმოჩნდებოდა. ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაა, მაგრამ საგუშაგოს არსებობის მანძილზე მსგავსი ერთხელ თუ ორჯერ მოხდა... ეგონოთ, რომ ბატონი ბორისი ძველ მეგობარს წაეჩხუბა.

ჩხუბის მიზეზი კი ნამდვილად ჰქონდათ. ასწლიანი ტყვეობა შეფის კაბინეტში, ადამიანური სახის მიღების უფლების ჩამორთმევა, ნაწილობრივი რეაბილიტაცია – მაგრამ მაგიური შესაძლებლობების დიდი ნაწილის დაკარგვით. საკმაოდ სოლიდური მიზეზია გასანაწყენებლად... ყოველ შემთხვევაში, შეფის მეგობარი გოგოს თამაში აღარ მომიწევდა, ამას კიდევ ნამდვილად ვერ გადავიტანდი.

ამ ფიქრებით მესამე სართულამდე ჩავედი. უნდა ვაღიარო, რომ ოლგამ მაქსიმალურად შემიმსუბუქა ცხოვრება. დღეს ჯინსი ჩაეცვა და არა ჩვეულებრივი კოსტუმი ქვედა ბოლოთი ან კაბა, ფეხზე სპორტული ფეხსაცმელი ეცვა და არა მაღალ ქუსლიანი. სუნამოს ნაზი სურნელიც მაინცდამაინც არ მაღიზიანებდა.

გაუმარჯოს მოდა „უნისექსს“, მიუხედავად იმისა, რომ ჰომოსექსუალისტებმა შექმნეს... ვიცოდი, ახლა რა უნდა გამეკეთებინა. და მაინც მიჭირდა ამის გაკეთება. გასასვლელისკენ კი არ უნდა წავსულიყავი, არამედ გვერდითი კორიდორისკენ, ჩუმი და შეუმჩნეველი ფლანგისკენ.

და წარსულში ჩავფლულიყავი.

ამბობენ, რომ საავადმყოფოებს თავისებური, დაუვიწყარი სუნი ახასიათებთ. არც არის გასაკვირი, უცნაურიც იქნებოდა ქლორსა და ტკივილს, ავტოკლავსა და ჭრილობებს, გახევებულ თეთრეულსა და უგემურ საჭმელს სუნი რომ არ ჰქონოდა.

მაგრამ ერთი ეს გამაგებინეთ, საიდან აქვთ სპეციფიკური სუნი სკოლებსა და ინსტიტუტებს?

საგუშაგოს შენობაში საგნების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ასწავლიან. ზოგიერთი რამის შესწავლა მორგში უფრო მოსახერხებელია, იქ ჩვენი ხალხი გვყავს, ზოგის კიდევ – ადგილზე, ხოლო ზოგიერთ უნარ-ჩვევას ტურისტული მგზავრობების დროს ეუფლებიან, რომლებსაც საგუშაგო ანაზღაურებს. როცა წვრთნებს გავდიოდი, ჰაიტიზეც ვიყავი, ანგოლაშიც, შტატებშიც და ესპანეთშიც.

მაგრამ ზოგიერთი ლექციისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილი საგუშაგოს ტერიტორიაა, ფუნდამენტიდან სახურავამდე მაგიით შემოსილი და თილისმებით დაცული. ოცდაათი წლის წინ, როდესაც საგუშაგო ამ შენობაში გადმოვიდა, სამი აუდიტორია აღჭურვეს, თითოეული მათგანი თხუთმეტ ადამიანზე გათვლილი. დღემდე ვერ გამიგია, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ ინიციატივაში – თანამშრომლების ენთუზიაზმი, თუ თავისუფალი სივრცე. მაშინაც კი, როცა მომზადებას გავდიოდი, ის წელი კი საკმაოდ წარმატებული გამოდგა, ერთი აუდიტორიაც გვყოფნიდა, ისიც ნახევრად თავისუფალი რჩებოდა.

ახლა საგუშაგო ოთხ სხვანაირს წვრთნიდა. სულ ესენი იყვნენ ჩვენი ახალწვეულები, ისიც მხოლოდ სვეტლანას შემთხვევაში არსებობდა დიდი ალბათობა, რომ გოგო ჩვენს რიგებს შეუერთდებოდა და ჩვეულებრივ, ადამიანურ სიცოცხლეს არ მიანიჭებდა უპირატესობას.

აქ სიჩუმე და სიცარიელე მეფობდა. ნელ-ნელა მივუყვებოდი დერეფანს და ცარიელ აუდიტორიებში ვიხედებოდი, რომლებიც ნებისმიერ პრესტიჟულ და უზრუნველყოფილ უნივერსიტეტს შეშურდებოდა. თითოეულ მერხთან ნოუთბუქი იდო, თითოეულ ოთახში კედელზე უზარმაზარი საპროექციო ტელევიზორი ეკიდა, კარადები წიგნებისგან იზნიქებოდა... ეს წიგნები რომ ისტორიკოსს დაენახა, ჭეშმარიტ ისტორიკოსს, და არა ცრუ მემატიანეს...

მაგრამ ვერასოდეს ნახავდნენ.

ზოგიერთი წიგნი მეტისმეტად ბევრ სიმართლეს შეიცავს, ზოგიერთი კი – ძალიან ცოტა სიცრუეს. ადამიანებს ურჩევნიათ ეს წიგნები არც წაიკითხონ, ისევ მათივე სიმშვიდის გულისთვის. დე, იცხოვრონ იმ ილუზიით, რომელსაც ასე მიეჩვივნენ.

დერეფნის ბოლო უშველებელი სარკით მთავრდებოდა, რომელიც მთელს ყრუ კედელს ფარავდა. სარკეს ცერად გავხედე – დერეფანში ახალგაზრდა, ლამაზი ქალი თეძოების რხევით მოაბიჯებდა...

ფეხი ამიცდა და კინაღამ იატაკზე გავიშხლართე – თუმცა ოლგა ყველანაირად ეცადა ჩემთვის ქალის ხვედრი შეემსუბუქებინა, მაგრამ სიმძიმის ცენტრის შეცვლა არ შეეძლო. როცა საკუთარი სხეულის დავიწყებას ვახერხებდი, ყველაფერი ასე თუ ისე ნორმალურად მიდიოდა, მუშაობდნენ მოტორული უნარ-ჩვევები. საკმარისია საკუთარი თავისთვის გვერდიდან შემეხედა – და იწყებოდა შეფერხებები. სუნთქვაც კი სხვანაირი მქონდა, ჰაერიც სხვანაირად შედიოდა ფილტვებში...

ბოლო კართან მივედი და ფრთხილად შევიხედე შუშის კარში.

მეცადინეობა მთავრდებოდა.

დღეს საყოფაცხოვრებო მაგიას სწავლობდნენ, მაშინვე მივხვდი, როგორც კი თვალსაჩინოების სტენდთან პოლინა პეტროვნა შევნიშნე. პოლინა საგუშაგოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი თანამშრომელია – გარეგნულად, და არა ზუსტი ასაკით. სამოცი წლის ასაკში აღმოაჩინეს და ინიცირება გაუკეთეს. ვინ წარმოიდგენდა, რომ ხანშიშესული ქალი, რომელიც ომის შემდგომ ავბედით წლებში კარტზე მკითხაობით ირჩენდა თავს, მართლაც გარკვეული შესაძლებლობებითაა დაჯილდოებული? თანაც საკმაოდ დიდი თუმცა განუვითარებელი შესაძლებლობებით.

- ამიერიდან, თუ უმოკლეს დროში მოინდომებთ ტანსაცმლის მოწესრიგებას, - მოძღვრავდა ახალწვეულებს პოლინა ვასილევნა, - ამის გასაკეთებლად რამდენიმე წუთი გექნებათ. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, წინასწარ შეამოწმოთ, ძალა თუ შეგრჩათ, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით.

- და როცა საათი თორმეტს ჩამოკრავს, ეტლი კვახად გადაიქცევა, - ხმამაღლა წარმოთქვა ბიჭმა, რომელიც სვატლანას გვერდით იჯდა. ამ ტიპს არ ვიცნობდი, მეორე თუ მესამე მეცადინეობა ჰქონდა, და უკვე ვიცოდი, რომ არ მომწონდა.

- ზუსტად! – აღტაცებით შესძახა პოლინამ. თითო პარტია მოწაფეებში მსგავსი ჭკუამახვილობით ერთი მათგანი მაინც გამოიბრწყინებდა. – ზღაპრები სტატისტიკაზე მეტად კი არ ცრუობენ! მაგრამ ზოგჯერ ზღაპრებში სიმართლის მარცვალიც დევს.

მაგიდიდან ფრთხილად აიღო საგულდაგულოდ გაუთოებული, ელეგანტური, თუმცა ოდნავ მოძველებული სმოკინგი. ასეთი ალბათ ჯეიმს ბონდს ეცვა ხოლმე დავალებებზე...

- რამდენ ხანში იქცევა ნაფლეთებად? – საქმიანი ხმით იკითხა სვეტლანამ.

- ორ საათში, - ასევე მოკლედ მიუგო პოლინამ. სმოკინგი საკიდზე დაკიდა და სტენდში დააბრუნა. – დიდად არ დამიძაბავს ძალები.

- რამდენი ხანი შეგიძლიათ მისი ლაზათიანი ფორმის შენარჩუნებას? ყველაზე მეტ ხანს?

- დაახლოებით ოცდაოთხი საათი.

სვეტლანამ თავი დაუქნია და მოულოდნელად ჩემს მხარეს გამოიხედა. იგრძნო. გამიღიმა და ხელი დამიქნია.

ახლა უკვე ყველამ შემნიშნა.

- გთხოვთ, ქალბატონო, - პოლინამ თავი დამიხარა. – ჩვენთვის დიდი პატივია.

ჰოო, ოლგაზე აშკარად ისეთი რამ იცოდა, რაც მე არ ვიცოდი. ყველამ იცოდა სიმართლის რაღაც ნაწილი ოლგას შესახებ, მხოლოდ შეფმა იცოდა ყველაფერი.

ოთახში შევედი და მთელი ძალით ვცდილობდი, სიარულისთვის ნაკლები მიმზიდველობა მიმეცა. მაგრამ არ გამომდიოდა. სვეტლანას გვერდით მჯდომი ახალგაზრდა, და თხუთმეტიოდე წლის ბიჭი, რომელიც უკვე ნახევარი წელია მაგიის დაწყებით კურსს ეწვალება, ასევე მაღალი, გამხდარი კორეელი, რომელიც შეიძლება ოცდაათისაც ყოფილიყო და ორმოცი წლისაც, - ყველანი მე მიყურებდნენ. აშკარად დაინტერესდნენ. იდუმალების ატმოსფერო, ოლგას გარს რომ შემოხვეოდა, ყველა ჭორი და მითქმა-მოთქმა, რომელიც მასზე დადიოდა, რომ ოლგა შეფი უძველესი საყვარელი იყო – საგუშაგოს მამრობით სქესში მკვეთრად გამოხატულ რეაქციას იწვევდა.

- გამარჯობათ, - მივესალმე. – ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

ძირითადი ყურადღება საკუთარ ქცევებზე მქონდა გადატანილი და სიტყვების ინტონაცია მხედველობიდან გამომრჩა. შედეგად ეს ჩემი ცოტა არ იყოს ბანალური კითხვა უცნაურად მიბნედილი გამოვიდა და თითქოს დამსწრეთაგან ყველას პირადად ეხმიანებოდა. მუწუკებიანი ბიჭი გაშტერებული მომაჩერდა, ახალგაზრდამ ნერწყვი გადაყლაპა, მხოლოდ კორეელმა შეძლო გარკვეული გულგრილობა შეენარჩუნებინა.

- ოლგა, რამეს ხომ არ ეტყოდით სტუდენტებს? – დაინტერესდა პოლინა.

- სვეტას მინდა, დაველაპარაკო.

- თავისუფალი ხართ, - განაცხადა პოლინამ. – ოლგა, როგორმე შემოგვიარეთ სასწავლო საათებში, ჩემი ლექციები თქვენს გამოცდილებას ვერ შეცვლის.

- აუცილებლად, - დაპირება არ დავიშურე. – ერთი ორი დღის მერე.

ოლგამ აგოს პასუხი ჩემს შეპირებაზე, ისევე როგორც მე ვიწვნიე მისი სექაპილურობა...

სვეტლანასთან ერთად გასასვლელთან გავედი. სამი წყვილი თვალი ხარბად მიბურღავდა ზურგს... უფრო სწორედ სხვა ადგილს...

ვიცოდი, რომ ოლგას და სვეტლანას თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. იმ ღამიდან მოყოლებული, როდესაც სამყაროზე, სხვანაირებზე, სინათლესა და წყვდიადზე, საგუშაგოებზე. ბინდზე სიმართლე ვუთხარით, როდესაც გარიჟრაჟზე ჩვენს ხელებს ჩაჭიდებულმა სვეტლანამ დახურული კარი გაიარა და ღამის საგუშაგოს ოპერატიულ შტაბში აღმოჩნდა. მე და სვეტლანას შორის რაღაც მისტიკური ძაფი გაბმულიყო, უზენაეს ძალას ერთმანეთი ბედისწერით დავეკავშირებინეთ. მაგრამ ვიცოდი, თანაც ძალიან კარგადაც, რომ ეს კავშირი დიდხანს ვერ გაძლებდა. სვეტლანა შორს წავიდოდა, ისეთი მანძილით გამისწრებდა, რომ ვერასოდეს დავეწეოდი, პირველი თანრიგის მაგიც რომ გავმხდარიყავი. განგებას ჩვენი გზები მჭიდროდ გადაეხლართა, მაგრამ მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში. ოლგასთან კი სვეტლანა უბრალოდ მეგობრობდა, რაც არ უნდა სკეპტიკურად ვუყურებდე ქალების მეგობრობას. ისინი ბედისწერას არ შეუყრია. თავისუფალი იყვნენ.

- ოლია, ანტონს უნდა დაველოდო... – სვეტლანამ ხელი მომკიდა. ეს არ ჰგავდა უმცროსი დის მოძრაობას, რომელიც უფროსი დის ხელს ებღაუჭება მხარდაჭერისა და თვითდამკვიდრების იმედით. ეს თანაბარი ადამიანის ჟესტი იყო. და თუ ოლგა სვეტლანას თავის სწორად მიიჩნევს – მაშინ მართლა დიდი მომავალი ელის...

- არ გინდა, - ვუთხარი. – სვეტა, არ არის საჭირო.

ისევ რაღაცა არ მომეწონა საკუთარ ფრაზასა და ტონში. სვეტლანა გაოცებული მიყურებდა, ისეთივე მზერა ჰქონდა, როგორც გარიკას.

- ყველაფერს აგიხსნი, - შევპირდი. – მაგრამ ახლა არა, და აქ არა. შენთან წავიდეთ სახლში.

სვეტლანას ბინა დაცვაზე აიყვანეს, თანაც საკმაოდ კარგ დაცვაზე, საგუშაგომ მეტისმეტად დიდი ძალისხმევა ჩადო ახალ თანამშრომელში. შეფი არ შემკამათებია, შემეძლო თუ არა სვეტლანასთვის გამენდო ჩვენი საიდუმლო, უბრალოდ მოითხოვა, რომ ეს სვეტლანასთან სახლში გამეკეთებინა.

- კარგი, - სვეტლანას თვალებში გაოცება ჯერ კიდევ არ გამქრალიყო, მაგრამ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. – დარწმუნებული ხარ, რომ ანტონს არ უნდა დაველოდოთ?

- აბსოლუტურად, - დავუდასტურე ყოველგვარი ცბიერების გარეშე. – მანქანა ავიყვანოთ?

- ფეხით ხარ დღეს მოსული?

იდიოტი!

სულ გადამავიწყდა, რომ ოლგა ყველანაირ სატრანსპორტო საშუალებას შეფის ნაჩუქარ სპორტულ მანქანას ამჯობინებს.

- უფრო სწორედ, მინდოდა მეთქვა, მანქანით წავიდეთ? – ვკითხე, თან ვხვდებოდი, რომ იდიოტივით გამოვიყურებოდი...

სვეტლანამ თავი დამიქნია. გაოცება სულ უფრო იმატებდა გოგოს თვალებში.

კიდევ კარგი, ტარება მაინც ვიცი. არასოდეს არ განმიცდია მეგალოპოლისის საშინელ გზებზე მანქანის ტარების მწველი სურვილი, მაგრამ ჩვენი სწავლების კურსი ბევრ რამეს ითვალისწინებს. ზოგიერთ რამეს ჩვეულებრივი მეთოდებით ასწავლიან, ზოგიერთს კი ცნობიერებაში მაგიის მეშვეობით ბეჭდავენ. მანქანის ტარებას ჩვეულებრივი ადამიანივით მასწავლიდნენ, მაგრამ განგებამ ვერტმფრენის ან თვითმფრინავის კაბინაში რომ გადამისროლოს, მაშინ ისეთი უნარ-ჩვევები ჩაირთვება, რომლის შესახებ არც მახსოვს ჩვეულებრივ მდგომარეობაში. თეორიულად, ყოველ შემთხვევაში, უნდა ჩაირთოს...

მანქანის გასაღები ჩანთაში ვიპოვე. შენობის წინ სადგომზე ნარინჯისფერი მანქანა იდგა, დაცვის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ. კარები დაკეტილი იყო, რაც მანქანის გადახდილი სახურავის ფონზე, სასაცილოდ გამოიყურებოდა.

- შენ წაიყვან? – მკითხა სვეტლანამ.

უხმოდ დავუქნიე თავი, საჭეს მივუჯექი და ძრავა დავქოქე. ოლგა, როგორც მახსოვს, ადგილს ტყვიასავით წყდება, მე მასე არ შემიძლია.

- ოლგა, რა გჭირს, - სვეტლანამ, როგორც იქნა, გაბედა თავისი ფიქრების გამოთქმა.

ლენინგრადის პროსპექტზე გადავუხვიე, და ვუთხარი:

- სვეტა, შენთან რომ მივალთ, მაშინ ვილაპარაკოთ.

სვეტლანა გაჩუმდა.

მძღოლად არ ვივარგებდი. დიდი ხანი მოვანდომე ადგილამდე მისვლას, იმაზე მეტი, ვიდრე მჭირდებოდა. მაგრამ სვეტლანას ხმა აღარ ამოუღია, იჯდა სავარძელს მიყრდნობილი და გზაზე იყურებოდა. ან მეტიდაციას მისცემოდა, ან ბინდში ჩახედვას ცდილობდა. საცობებში რამდენჯერმე სცადეს მეზობელი მანქანებიდან გამოლაპარაკება, თანაც ყოველთვის საკმაოდ ძვირადღირებული მანქანებიდან.

ალბათ ჩვენი სახეები და მანქანა უხილავ ბარიერს ქმნიდა და მის გადმოლახვას ყველა ვერ ბედავდა. შუშები დაბლა იწეოდა და ფანჯარაში ვიღაცი მოკლედშეკრეჭილი თავი გამოჩნდებოდა, ზოგჯერ, როგორც უცვლელი ატრიბუტი, თავს მობილური ტელეფონიც ემატებოდა... თავიდან გავღიზიანდი, მერე მაგრად ვხალისობდი. ბოლოს კი საერთოდ არანაირი რეაქცია არ მქონდა, ისევე, როგოც სვეტლანას.

საინტერესოა, ნეტა ოლგას თუ ამხიარულებდა გაცნობის ასეთ მეთოდები?

ალბათ კი. ფრინველის სხეულში გამოკეტილი ათწლეულების შემდეგ... შუშის ვიტრინაში ტყვეობის შემდეგ...

- ოლია, რატომ წამომიყვანე? რატომ არ გინდოდა, ანტონისთვის რომ დაგვეცადა?

მხრები ავიჩეჩე. ძლივს შევიკავე თავი, რომ არ მეთქვა: „იმიტომ, რომ ანტონი აქვე, შენს გვერდით ზის“. თანაც ეჭვი მეპარებოდა, რომ ვინმე გვითვალთვალებდა. მანქანაც დაცული იყო უსაფრთხოების თილისმებით, მათ ნაწილს ვგრძობდი, ზოგიც კი ჩემს შესაძლებლობებს აღემატებოდა.

მაგრამ თავი შევიკავე.

სვეტლანას ჯერ არ გაევლო საინფორმაციო უსაფრთხოების კურსი, რომელიც სწავლების მესამე თვეს იწყება. ჩემი აზრით, ეს კურსი უფრო ადრე უნდა გაატარონ ხოლმე, მაგრამ თითოეული სხვანაირისთვის ცალკეული პროგრამის შემუშავება უწევთ, ამას კი დრო სჭირდება.

აი, როცა სვეტლანა ამ ქარ-ცეცხლს გამოივლიდა და გამოცდას ჩააბარებდა, დუმილისა და ლაპარაკის ფასს ისწავლიდა. ეს სწავლების ყველაზე ადვილი და ამავე დროს ყველაზე რთული კურსია. უბრალოდ გაწვდიან ინფორმაციას – მკაცრად განსაზღვრული დოზითა და გარკვეული თანმიმდევრობით. მოსმენილის ნაწილი სიმართლეა, ნაწილი კი – სიცრუე. ვიღაცა პირდაპირ გეტყვის რაღაცას, დაუფარავად, ზოგი საიდუმლოდ გაგანდობს, რაღაცას „შემთხვევით“ შეიტყობ, ყურს მიუგდებ, თვალს მიადევნებ...

და ყველაფერი, რასაც გაიგებ, სხეულს ნიაღვარივით მოაწყდება, ტკივილსა და შიშს გაგრძნობინებს, გარეთ გამოხეთქვას ეცდება, დაუყოვნებელ და უგუნურ რეაქციას მოითხოვს. ლექციებზე კი ათასგვარ სისულელეზე ჩამოგიგდებენ ლაპარაკს, რომელიც სხვანაირს საერთოდ არაფერში სჭირდება. მაგრამ ყველაზე მთავარი გამოცდა და სწავლება შენს სულში მიმდინარეობს.

თუმცა ეს ლექციები იშვიათად თუ გატეხავს ხოლმე ვინმეს წელში. ბოლოსდაბოლოს სწავლებაა და არა გამოცდა. თანაც ყველას იმ სიმაღლეებს უწესებენ, რომლის გადალახვაც შეუძლია, თუ მთელს შესაძლებლობებს დაძაბავს და ეკლიანი

მავთულით გადახლართულ ბარიერს საკუთარი ტყავის ნაფლეთებსა და სისხლის შხეფებს შეატოვებს.

მაგრამ როდესაც ამ კურსს შენი ახლობელი გადის, ის, ვინც ძვირფასია შენთვის, ან უბრალოდ მოგწონს, რაღაც შემზარავი გრძნობა ტალღასავით გაწვება, გახრჩობს, გწიწკნის. თვალს მოკრავ შენსკენ მომართულ მზერას და დაიწყებ მარჩიელობას, მაინც რა შეიტყო მეგობარმა შენს შესახებ? რომელ სიმართლეს აეხადა ფარდა? რომელმა სიცრუემ მოიხსნა ნიღაბი?

და რას შეიტყობს მოსწავლე თავად საკუთარი თავის, გარე სამყაროს, მშობლებისა და მეგობრების შესახებ?

და გაუჩნდება სურვილი – მწველი და დაუოკებელი. სურვილი რომ სხვებს დაეხმაროს, აუხსნას, მიანიშნოს, უკარნახოს.

მაგრამ არც ერთი სხვანაირი, ვინც კი ეს კურსი გაიარა, არ აყვება ამ სურვილს, რადგან სწორედ იმას ისახავს მიზნად სწავლება, რომ საშინელი ტანჯვის ფასად, ისწავლონ, სად რა უნდა და შეუძლიათ, რომ თქვან.

პრინციპში, ყველაფრის თქმა შეიძლება და საჭიროა კიდევაც. მხოლოდ შესაფერისი დრო უნდა აირჩიო, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიმართლე სიცრუეზე აუტანელი გახდება.

- ოლია?

- გაიგებ, - ვუთხარი. – ცოტა მოითმინე.

ბინდში გადავიხედე, გაზს მივაჭირე ფეხი და მოუხეშავი ჯიპისა და უზარმაზარი სამხედრო სატვირთო მანქანის შორის ამოვყავი თავი. სარკე მანქანის კიდეს გამოედო, დაიწკაპუნა და შეიკეცა, მაგრამ მე ყურადღება არ მიმიქცევია. გადასახვევზე პირველი გავვარდი, მოსახვევში საბურავებმა ჭრიალი ატეხეს და მანქანა ენთუზიასტების შოსეზე გაიჭრა.

- ვუყვარვარ? – მოულოდნელად იკითხა სვეტლანამ. – ვერ გამიგია, კი თუ არა? შენ ხომ მაინც იცი, თუ არა?

შევკრთი, საჭე გამექცა, მაგრამ სვეტლანას არც შეუმჩნევია. ეს კითხვა პირველად არ დაუსვამს, როგორც შევატყვე. ოლგასთან უკვე ჰქონდა ამაზე ლაპარაკი, თანაც აშკარად მძიმე და ჯერ კიდევ დაუსრულებელი...

- თუ შენ უყვარხარ?

მორჩა. მეტს ვეღარ მოვითმენ.

- ანტონს ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვს... ოლგასთან, - ჩემს თავზეც და ჩემი სხეულის მეპატრონეზეც მესამე პირში ვამბობდი, მართალია ცოტათი დაყენებული

ფრაზა გამომივიდა, მაგრამ განყენებული და მშრალი თავაზიანობის ელფერი შეინარჩუნა. – სამხედრო მეგობრობა და მეტი არაფერი.

თუ ოლგას კითხავს, ჩემზე რას ფიქრობს, ტყუილის გარეშე თავს ძნელად თუ დააღწევდა.

მაგრამ სვეტლანას ხმა არ ამოუღია. ორიოდე წუთის შემდეგ ჩემს ხელს შეეხო... თითქოს პატიებას ითხოვდა.

ახლა მე ველარ შევიკავე თავი და ვკითხე:

- რატომ მეკითხები?

სვეტლანამ ყოველგვარი დაბრკოლებისა და ყოყმანის გარეშე მიპასუხა:

- არ მესმის. ანტონი ძალიან უცნაურად იქცევა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჭკუას კარგავს ჩემზე, ზოგჯერ კიდევ მგონია, რომ მისთვის მხოლოდ რიგითი ნაცნობი ვარ, ერთ-ერთი ათეულობით სხვანაირებიდან. სამხედრო მეგობრებიდან.

- ბედისწერის კვანძი, - მოკლედ ვუპასუხე.

- რა?

- ეს ჯერ არ გაგივლიათ, სვეტა.

- მაშინ შენ ამიხსენი!

- იცი... – სიჩქარეს სულ უფრო ვუმატებდი, ალბათ სხვისი სხეულის მოტორული რეფლექსები ჩაირთო. – როცა შენთან მოდიოდა სახლში, პირველად...

- ვიცი, რომ შთაგონებას ავყევი. მომიყვა, - მომიჭრა სვეტლანამ.

- მაგაში არ არის საქმე. შთაგონება მოიხსნა, როცა სიმართლე გითხრეს. მაგრამ როდესაც ბედისწერის დანახვას შეძლებ... აუცილებლად შეძლებ, და თანაც ჩემზე უკეთესადაც... მაშინ მიხვდები.

- გვეუბნებოდნენ, რომ ბედისწერა ცვალებადია.

- ბედისწერას მრავალი მიმართულება აქვს. შენთან რომ მოდიოდა, ანტონმა იცოდა, რომ წარმატების შემთხვევაში შეუყვარდებოდი.

სვეტლანა დუმდა. მომეჩვენა, თითქოს ლოყები ოდნავ შეუვარდისფრდა, თუმცა, შეიძლება, თავმოხდილ სალონში შემოჭრილი ქარის ბრალიც ყოფილიყო.

- მერე რა?

- შენ იცი, რასაც ნიშნავს, როცა სიყვარული გაქვს მისჯილი?

- კი, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება? – სვეტლანა შეკრთა კიდევაც აღშფოთებისგან. – როცა ადამიანები ერთმანეთს ათასობით, მილიონობით ხალხში პოულობენ... ესეც ხომ ბედისწერაა?

და ისევ დავინახე მასში, მართალია უკვე შეცვლილი, ისევ ის მიამიტი გოგო, რომელსაც სიძულვილიც კი არ შეეძლო – გარდა საკუთარი თავისა...

- არა, სვეტა, გაგიგია ასეთი ანალოგია... სიყვარული ყვავილს ჰგავს?

- კი.

- ყვავილი შეგიძლია გაზარდო, სვეტა. ან იყიდო, ან შეიძლება გაჩუქონ.

- ანტონმა - იყიდა?

- არა, - მოვუჭერი, თან საკმაოდ მკვახედ... – საჩუქრად მიიღო. ბედისწერისგან.

- და მერე? სიყვარულიც რომ იყოს?

- სვეტა, მოჭრილი ყვავილები ლამაზია, მაგრამ დიდხანს ვერ ცოცხლობენ, ჭკნებიან – ბროლის საყვავილეშიც რომ ჩადო და მზრუნველად უცვალო წყალი.

- ეშინია ჩემი სიყვარულის, - ჩაფიქრებულმა წარმოთქვა სვეტლანამ. – ხომ ასეა? მე არ მეშინოდა, იმიტომ, რომ არ ვიცოდი...

შენობასთან მივედი და გაჩერებულ მანქანებში გავიკვლიე გზა, ძირითადად „ჟიგული“ ან „მოსკვიჩი“. პრესტიჟულ რაიონს ვერ დაარქმევ.

- ნეტავ რატომ გეკითხებოდი ამ ყველაფერს? – იკითხა სვეტლანამ. – რისთვის ვეძებდი პასუხებს? საიდან უნდა იცოდე, ოლგა? მარტო იქიდან, რომ ოთხას ორმოცდასამი წლის ხარ?

შევკრთი, ციფრი რომ გავიგონე. მოო, მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილებაა, ვერაფერს იტყვი. მომავალ წელს ოლგას თავისებური იუბილე ექნება.

ნეტა ჩემი სხეული, ოლგას სხეულზე ოთხჯერ უფრო ახალგაზრდა, თუ შეინარჩუნებდა ასეთ ფიზიკურ ფორმას ამ ასაკში.

- წავედით.

მანქანა უყურადღებოდ მივაგდე. ადამიანს აზრადაც არ მოუვიდოდა მისი გატაცება – დამცავი თილისმა ყოველგვარ სიგნალიზაციაზე უფრო ძლიერია. მე და სვეტლანა უხმოდ, საქმიანი იერით ავუყევით კიბეებს და სახლში შევედით.

აქ, რა თქმა უნდა, რაღაც შეიცვალა. სვეტლანა სამსახურიდან წამოვიდა, სამაგიეროდ სტიპენდია და დამატებითი ანაზღაურება, რომელსაც სხვანაირებს ინიციაციის შემდეგ უხდიდნენ, გაცილებით აღემატებოდა ექიმის მოკრძალებულ შემოსავალს.

ტელევიზორი შეუცვლია... გაუგებარია, რატომ, როდის რჩება დრო საყურებლად. ძვირადღირებული, ფართოეკრანიანი ტელევიზორი საკმაოდ დიდი იყო მისი ბინისთვის. სვეტლანას ეს მოულოდნელად გაღვიძებული ლტოლვა ლამაზი ცხოვრებისადმი ძალიან მახალისებდა. თავიდან ყველას ასე ემართება, ალბათ – როგორც დამცავი რეაქცია. როცა ჩვეული გარე სამყარო ინგრევა და როცა ძველი შიშის ადგილს ახალი, ჯერ კიდევ გაურკვეველი და ბუნდოვანი შეგრძნება იკავებს, ყველა უწინდელი ცხოვრების აუხდენელი ოცნებების განხორციელებას იწყებენ, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ არარეალურად ეჩვენებოდათ. ზოგი რესტორნების ხშირი სტუმარი ხდება, ზოგი ძვირადღირებულ მანქანას ყიდულობს, ზოგიც კი მდიდრულ სამოსს ირჩევს. თუმცა ეს დიდი ხანი არ გრძელდება, და არა იმიტომ, რომ საგუშაგოში მილიონერი ვერ გახდები. თავად მოთხოვნილებები, რომლებიც ორიოდე დღის წინ ასე სასურველად გეჩვენებოდა, წარსულს ჩაბარდა. სამუდამოდ.

- ოლგა?

სვეტლანა თვალებში მიყურებდა.

ამოვისუნთქე და ძალები მოვიკრიბე:

- ოლგა არ ვარ.

სიჩუმე

- მე... არ შემეძლო ცოტა ადრე მეთქვა. მხოლოდ აქ უნდა გამემხილა. შენი ბინა ბნელების ზედამხედველობისგან დაცულია.

- არ შეგეძლო?

სვეტალანა გრძნობდა, რომ ძალიან უცნაური რაღაც უნდა მეთქვა.

- არ შემეძლო, - გავუმეორე. – ეს მხოლოდ ოლგას სხეულია.

- ანტონ?

თავი დავუქნიე.

რა სულელურად გამოვიყურებით ახლა!

კიდევ კარგი, სვეტლანა უკვე მიეჩვია სისულელეებს.

მაშინვე დამიჯერა.

- არამზადა!

ისეთი ინტონაციით წარმოთქვა, რომელიც ალბათ არისტოკრატ ოლგას უფრო მოუხდებოდა, და სილაც, რომელიც გამაწნა, იგივე ლიბრეტოდან იყო.

არ მტკენია, მაგრამ მეწყინა.

- რისთვის?

- იმისთვის, რომ სხვის ლაპარაკს მიუგდე ყური! – მომახალა სვეტლანამ.

ცოტა ნაჩქარევად კი ჩამოაყალიბა აზრი, მაგრამ მივუხვდი, რისი თქმაც უნდოდა. თან მეორე ხელი მოამზადა და ბიბლიური მოძღვრება რომ გამახსენდა, სასწრაფოდ გავწიე თავი.

- სვეტა, პირობა დავდე, რომ ამ სხეულს მოვუფრთხილდებოდი.

- მე კიდევ, არ დამიდვია!

სვეტლანა ღრმად სუნთქავდა, ტუჩებს იკვნეტდა, თვალები უელვარებდა. ასეთი მრისხანება მისთვის არასოდეს შემიმჩნევია, და ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ საერთოდ არსებობდა. რამ გააცოფა ასე?

- მაშ, მოჭრილი ყვავილების სიყვარულის გეშინია? – სვეტლანა ნელ-ნელა მიტევდა. – აი, რაში ყოფილა საქმე!

მივხვდი, რასაც გულისხმობდა. გვიან, მართალია.

- გაეთრიე! ახლავე!

უკან ვიხევდი, და უკვე ზურგით კარსაც კი მივაწექი. მაგრამ შევჩერდი თუ არა, სვეტლანაც მაშინვე გაჩერდა. თავი გადააქნია და მომაძახა:

- შეგიძლია ამ სხეულშიც დარჩე! უფრო შეგეფერება... კაცი კი არა, ჩვარი ხარ!

ხმას არ ვიღებდი. ჩუმად ვიყავი, იმიტომ, რომ უკვე ვხედავდი მომავალს. ვხედავდი, როგორ იხლართებოდა ჩვენს წინაშე სავარაუდო ხაზები, როგორ ქსოვდა დამცინავი ბედისწერა თავის მუხანათურ ბადეს.

და როცა სვეტლანას ცრემლი მოერია, როცა ერთბაშად ჩაუცხრა მხედრული შემართება და ფარ-ხმალდაყრილი ჩემს მხარზე აქვითინდა, საოცარი სიცივე და სიცარიელე ვიგრძენი. გამჭოლი სიცივე, თითქოს ისევ თოვლით დაფარულ სახურავზე ვიდექი და ზამთრის ქარი ეკლებივით მესობოდა სხეულში.

სვეტლანა ჯერ კიდევ ადამიანი იყო. ჯერ სხვანაირად არ ჩამოყალიბებულიყო და არ ესმოდა... ვერ ხედავდა, როგორ შორდება ერთმანეთს გზები, რომლის გავლაც გვიწერია. და მით უმეტეს, ვერ ხედავდა, რომ გზები საპირისპირო მიმართულებით იშლება.

სიყვარულს ბედნიერება მხოლოდ მაშინ მოაქვს, როცა გჯერა მისი მარადიულობის. შეიძლება ყოველ წუთას ხედავდე ამ თეორიის სიცრუეს, მაგრამ რწმენა სიყვარულს ძალასა და ხალისს ანიჭებს.

სვეტლანა კი ჩემს მხარზე ქვითინს განაგრძობდა.

რაც უფრო მეტი ცოდნა გაქვს, სევდაც მეტი გაწვება. როგორ მინდოდა, არაფერი მცოდნოდა გარდაუვალი მომავლის შესახებ! არ იცოდე, და გიყვარდეს, უკანმოუხედავად, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს.

...მაგრამ მაინც, რა დასანანია, რომ სხვის სხეულში ვარ გამომწყვდეული.

უცხოს რომ შეეხედა, იფიქრებდა, ორმა გულითადმა დაქალმა საღამოს ერთად გატარება გადაწყვიტა, ტელევიზორის ყურება, მურაბიანი ჩაის დალევა, ერთი ბოთლი მშრალი ღვინის დაყოლება და გაუთავებელი განხილვა ქალების სამი საყვარელი თემის: ყველა კაცი საქონელია, რა ჩავიცვა, და რაც ყველაზე მთავარია, როგორ გავხდე.

- შენ რა, ფუნთუშები გიყვარს? – იკითხა გაოცებულმა სვეტლანამ.

- მიყვარს. კარაქითა და მურაბით, - პირქუშად მივუგე.

- მემგონი, ვიღაცამ ამ სხეულის მოფრთხილების პირობა დადო.

- რას ვუშავებ? შეგიძლია დამიჯერო, ორგანიზმი აღფრთოვანებულია.

- ჰოო? – გაურკვევლად წარმოთქვა სვეტლანამ. – მერე კითხე ოლგას, ფიგურას როგორ უფრთხილდება.

შევყოყმანდი, მაგრამ მაინც გავჭერი ფუნთუშა ორად და ბლომად მურაბა წავუსვი.

- ვის მოუვიდა თავში ასეთი გენიალური იდეა, ქალის სხეულში შენი გამოკეტვა?

- მემგონი, შეფს.

- სხვას ვის მოუვიდოდა.

- ოლგამ მხარი დაუჭირა.

- რატომაც არ დაუჭერდა... ბატონი ბორის მისთვის მამა ღმერთია.

ეჭვი კი მეპარებოდა, მაგრამ ხმა აღარ ამომიღია. სვეტლანა ადგა, შიფონიერთან მივიდა, გახსნა და შეფიქრიანებულმა შეათვალიერა საკიდი.

- ხალათს ჩაიცვამ?

- რა? – ფუნთუშა გადამცდა.

- დიდხანს ივლი ასე? ვერ ხედავ, გასკდება ეს ჯინსი. როგორ ისვენებ.

- რამე სპორტული მოგეძებნება? – ვკითხე საცოდავად.

სვეტლანამ დამცინავად შემომხედა, შემდეგ მოლბა:

- მოვძებნი რამეს.

სიმართლე რომ გითხრათ, ასეთი ტანსაცმლის დანახვა სხვის ტანზე უფრო მესიამოვნებოდა. სვეტლანაზე, მაგალითად. მოკლე თეთრი შორტი და მაისური. ტენისის სათამაშოდ ან სარბენად რომ გამოდგებოდა.

- გამოიცვალე.

- სვეტა... არა მგონია, რომ მთელი საღამო აქ დავრჩე.

- არაუშავს. მაინც გამოგადგება, უნდა გავიგო, ზომა გერგება თუ არა. ჩაიცვი, მე წავალ, ჩაის დავადგამ.

სვეტლანა გავიდა, მე კი სწრაფად გავიძრე ჯინსი, და ბლუზის შეხსნას შევუდექი, თან მეტისმეტად მჭიდრო ღილებში თითები მებლანდებოდა. შემდეგ ზიზღით შევხედე საკუთარ თავს სარკეში.

სიმპათიური გოგო, ვერაფერს დაუწუნებ. მსუბუქი ეროტიული ჟურნალის გარეკანს რომ დაამშვენებდა.

ჩქარა ჩავიცვი და დივანზე ჩამოვჯექი. ტელევიზორში საპნის ოპერა გადიოდა – უცნაურია, რომ სვეტლანამ ეს არხი ჩართო. პრინციპში, სხვა არხებზეც იგივე გადიოდა...

- მშვენივრად გამოიყურები.

- სვეტა, კარგი რა, - ვთხოვე. – ჩემი გაჭირვება მეყოფა.

- ჰო, კარგი, მაპატიე, - ადვილად დამთანხმდა და გვერდით მომიჯდა. – მაშ, რა უნდა ვქნათ?

- ჩვენ? – გავუმეორე, მცირედი ზეწოლით.

- ჰო, ანტონ. შენ ხომ ტყუილად არ მოხვედი ჩემთან.

- მინდოდა, გული გადამეშალა, მომეყოლა, რა შავ დღეშიც ჩავვარდი.

- დავუშვათ. მაგრამ რადგან შეფმა... – სიტყვა „შეფი“ სვეტლანამ ისე გემრიელად წარმოთქვა, ერთდროულად პატივისცემითაც და ირონიითაც, - ჩემთვის გულის გადაშლის ნება დაგრთო... ესე იგი, უნდა დაგეხმარო. თუნდაც განგების ნებით... – ვერ მოითმინა.

დავნებდი.

- ჩემი მარტო დარჩენა არ შეიძლება. ერთი წუთითაც კი. მთელი გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ ბნელები შეგნებულად წირავენ თავიანთ ქვეშევრდომებს, ან თავად ანადგურებენ მათ, ან ხელს არ უშლიან მათ განადგურებას.

- როგორც ამჯერად?

- ჰო, ნამდვილად. და თუ ეს პროვოკაცია ჩემს წინააღმდეგაა მომართული, კიდევ ერთი მკვლელობა მოხდება, იმ მომენტში, რომ მე... ნუ, იმათი აზრით, რა თქმა უნდა... ალიბი არ მექნება.

სვეტლანას ნიკაპი ხელებზე ჩამოედო და მისმენდა. ნელა გადააქნია თავი:

- და მაშინ, ანტონ, შენს გამოძვრები ამ სხეულიდან, როგორც ყუთში დამწყვდეული ქაჯი და დაამტკიცებ, რომ სერიული მკვლელობები შენ არ ჩაგიდენია... და მტერს ნაცარს შეაყრი თვალებში.

- აჰა...

- მაპატიე... მე ხომ სულ ცოტა ხნის წინ მოვედი საგუშაგოში, ალბათ, რაღაცა არ მესმის...

ყურები ვცქვიტე. სვეტლანამ კი, მცირედი პაუზის შემდეგ, განაგრძო:

- აი... ჩემი ამბავი... როგორ მოხდა? ბნელები ჩემს ინიცირებას ცდილობდნენ. იცოდნენ, რომ ღამის საგუშაგო მიუხვდებოდა ჩანაფიქრს, ისიც გაარკვიეს, რომ შეიძლება შენ ჩაერიო.

- ჰო.

- ამიტომ მთელი კომბინაცია გაითამაშეს, რამდენიმე მსხვერპლით, ძალების რამდენიმე ცრუ ცენტრის შექმნით. და ღამის საგუშაგო თავიდან ანკესს წამოეგო. შეფს თავისი კონტრ-თამაში რომ არ წამოეწყო, შენ რომ გზის გაკაფვა არ გაგეგრძელებინა, ყველაფრის მიუხედავად...

- შენ ახლა მტრის ბანაკში იქნებოდი, - გავაგრძელე. – და დღის საგუშაგოში გაივლიდი წვრთნას.

- მაგაზე არ გეუბნები, ანტონ. შენი მადლიერი ვარ, მთლიანი საგუშაგოსი, მაგრამ შენი, პირველ რიგში... მაგრამ ახლა ამაზე არ ვლაპარაკობ. შენ რაც მოყევი, ისევე დამაჯერებელია, როგორც ის ისტორია. დაუკვირდი, როგორ განვითარდა მოვლენები? ბრაკონიერი ვამპირების წყვილი. უდიდესი მაგიური შესაძლებლობების მქონე ბიჭი. გოგო საზარელი წყევლით. გლობალური საფრთხე მთელი ქალაქისთვის.

ვერაფერი ვუპასუხე. ვუყურებდი, და ვხედავდი, როგორ აწვებოდა სახეზე სისხლი. ახალბედა გოგო, რომელსაც სასწავლო კურსის მესამედიც არ გაევლო, ისე მიხსნიდა სიტუაციას, როგორც გამოცდილს გუშაგს უნდა წარმოედგინა...

- ახლა რა ხდება? – სვეტლანამ ვერ შეამჩნია ჩემი ტანჯვა-წვალება. – სერიული მკვლელი, რომელიც ბნელებს ანადგურებს. შენ ეჭვმიტანილთა სიაში ხვდები. შეფი ეშმაკურ სვლას აკეთებს... შენ და ოლგა სხეულებს ცვლით. კი, მაგრამ რამდენად გონივრულია ეს სვლა? რამდენადაც ვიცი, სხეულების გაცვლის პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია. ბატონმა ბორისმა თავად გამოიყენა სულ ცოტა ხნის წინ, არა? ოდესმე გამოუყენებია ზედიზედ ერთი და იგივე ხერხი? ერთსა და იმავე მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად?

- არ ვიცი, სვეტა. ოპერაციის დეტალები ჩემთვის არ მოუხსენებიათ.

- მაშინ დაძაბე გონება. და კიდევ... ნუთუ ზავულონი ასეთი წვრილმანი, ისტერიული შურისმაძიებელია? ის ხომ ასეულობით წლისაა, არა? დღის საგუშაგოს ძალიან დიდი ხანია ხელმძღვანელობს. თუ ამ მანიაკს...

- მხეცს.

- თუ ამ მხეცს მართლა რამდენიმე წელია მოსკოვის ქუჩებში ნავარდობისა და პროვოკაციას მომზადების უფლებას აძლევენ, ნუთუ დღის საგუშაგოს ხელმძღვანელი ასეთი წვრილმანისთვის დახარჯავს ამდენ ძალებს? მაპატიე, მაგრამ, ანტონ, შენ ხომ მართლა არ ხარ მსხვილი სამიზნე.

- მესმის. მეხუთე რანგის მაგი ვარ... ოფიციალურად. მაგრამ შეფმა თქვა, სინამდვილეში, მესამე რანგამდეც გავქაჩავ.

- თუნდაც.

ერთმანეთს თვალებში შევხედეთ, მე ხელი გავაქნიე:

- გნებდები. ალბათ მართალი ხარ. მაგრამ რაც ვიცოდი, ის მოგიყევი. სხვა ვარიანტებს ვერ ვხედავ.

- ანუ, მითითებებს დაელოდები? ივლი კაბაში გამოწყობილი და ერთი წუთითაც არ დარჩები მარტო?

- საგუშაგოში რომ შევდიოდი, ვიცოდი, რომ თავისუფლების რაღაც ნაწილს ვკარგავდი.

- ნაწილს, - ამრეზილად გაიმეორა სვეტლანამ. – ეგ კარგად თქვი. კარგი, როგორც გინდა... მაშ, ღამეს ერთად ვატარებთ?

თავი დავუქნიე:

- კი. მაგრამ აქ არა. ჯობია, სულ ხალხში ვიტრიალო.

- ძილი?

- რამდენიმე ღამის გათენება ძნელი არაა, - მხრები ავიჩეჩე. – მემგონი, ოლგას სხეულიც საკმაოდ ნავარჯიშევია. ბოლო თვეების განმავლობაში მაღალი საზოგადოების ცხოვრებით ცხოვრობს.

- ანტონ, ეგ ხრიკები ჯერ არ მისწავლია. მე როდისღა უნდა დავიძინო?

- დღე, მეცადინეობებზე.

წარბი შეიკრა. ვიცოდი, რომ სვეტლანა დამთანხმდებოდა, ყოველგვარი ეჭვის გარეშე. თავისი ხასიათის გამო უარს შემთხვევით ნაცნობსაც არ ეტყოდა, მე კიდევ, რაც უნდა იყოს, შემთხვევითი ნაცნობი არ ვიყავი.

- წავიდეთ „მაჰარაჯაში“? – შევთავაზე.

- ეგ რაღაა?

- ინდური რესტორანი, საკმაოდ კარგი.

- დილამდე მუშაობს?

- სამწუხაროდ, არა. მერე მოვიფიქრებთ, სად წავიდეთ.

სვეტლანა იმდენ ხანს მიყურებდა დაჟინებული მზერით, რომ ჩემი თანდაყოლილი სქელკანიანობაც კი არ მეყო. კიდევ რა დავაშავე, ნეტავ?

- ანტონ, დიდი მადლობა, - გულითადი მადლობა გადამიხადა. – უღრმესი. რესტორანში დამპატიჟე. ამას უკვე ორი თვეა ველოდები.

ადგა, გარდერობთან მივიდა, გააღო და ჩაფიქრებული მზერა გადაავლო ჩამოკიდებულ ტანსაცმელს.

- შენი ზომა რომ არაფერი მაქვს ხეირიანი, - აღნიშნა. – მოგიწევს ისევ ჯინსის ჩაცმა. შეგიშვებენ?

- უნდა შემიშვან, - არც თუ ისე გაბედულად მოვახსენე. ბოლოსდაბოლოს პერსონალზე მცირედი ზეგავლენის მოხდენაც შეიძლება...

- თუ რამეა, შთაგონებაზე გავივარჯიშებ, - თქვა სვეტლანამ, თითქოს ჩემი აზრები წაიკითხა.

- რა თქმა უნდა.

- იცი, რა, ანტონ... – სვეტლანამ საკიდიდან კაბა ჩამოიღო, მიიტოლა და თავი გააქნია. ბეჟი ფერის კოსტუმი ჩამოხსნა ბოლო კაბით. – მაოცებს გუშაგების უნარი, ნებისმიერი ზეგავლენა სიბნელის თუ სინათლის ინტერესებიდან გამომდინარე ახსნან.

- ნებისმიერი არა! – შევეწინააღმდეგე აღშფოთებული.

- დიახაც, ნებისმიერი. თუ საჭირო გახდა, ძარცვა და მკვლელობაც კეთილ საქმედ იქცევა.

- არა.

- რატომ ხარ ასეთი დარწმუნებული? რამდენჯერ მოგიწია სხვების ცნობიერებაში შეღწევა? ჩვენი შეხვედრა აიღე, ხომ დამაჯერე, რომ ძველი ნაცნობი იყავი? ხშირად იყენებ ცხოვრებაში სხვანაირის შესაძლებლობებს?

- კი. მაგრამ...

- წარმოიდგინე, რომ ქუჩაში მიდიხარ. შენს თვალწინ ვიღაცა ბავშვს სცემს. რას გააკეთებდი?

- თუ ჩარევის ლიმიტი დამრჩება... – მხრები ავიჩეჩე. – რემორალიზაციას მოვახდენ. რა თქმა უნდა.

- და დარწმუნებული იქნები, რომ სწორად იქცევი? და არც დაუკვირდები საკუთარ საქციელს? თუ ბავშვს დამსახურებულად სჯიან, თუ ეს დასჯა მომავალში დიდი უსიამოვნებებისგან დაიცავს, ახლა კი მკვლელი და ბანდიტი გაიზრდება? შენ კიდევ – რემორალიზაცია...

- სვეტა, არ ხარ მართალი.

- რაში?

- თუ პარაფსიქოლოგიური ზემოქმედების ლიმიტი არ მექნება, მაშინ ხომ არც ჩავერევი და ჩავუვლი გვერდზე.

სვეტლანამ დამცინავად ჩაიცინა:

- და საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული იქნები? სად გადის ზღვარი?

- ზღვარს ყველა სათითაოდ ადგენს, დამოუკიდებლად. შენ თვითონ მიხვდები, სად უნდა გაავლო.

სვეტლანამ ჩაფიქრებული სახით შემომხედა:

- ანტონ, ასეთ კითხვებს ხომ ყველა ახალბედა სვამს, არა?

- მართალია, - გავუღიმე.

- და შენც მიეჩვიე პასუხების გაცემას, მზა პასუხების, სოფიზმების, ისტორიიდან ამოღებული მაგალითების ანალოგიების კრებულს ფლობ...

- არა, სვეტა. მაგაში არაა საქმე. უბრალოდ ბნელები მასეთ კითხვებს არც სვამენ.

- საიდან იცი?

- შავ მაგს მკურნალობა შეუძლია, თეთრ მაგს კი – მოკვლა, - ვაღიარე. – მართალია. იცი, რა განსხვავებაა სინათლესა და სიბნელეს შორის?

- არ ვიცი. ამას არ გვასწავლიან... რატომღაც. ალბათ ძნელია ამის ჩამოყალიბება.

- სულაც არა. თუ პირველ რიგში საკუთარ თავზე, საკუთარ ინტერესებზე ზრუნავ, შენი გზა წყვდიადისკენ მიდის. თუ სხვებზე ფიქრობ – სინათლისკენ.

- და დიდი ხნის გზა არის გასავლელი? სინათლემდე?

- ძალიან.

- ეს ხომ მხოლოდ სიტყვებია, ანტონ. სიტყვების თამაში. რას ეუბნება გამოცდილი შავი მაგი ახალბედას? იქნებ ისეთივე ლამაზსა და დამაჯერებელ სიტყვებს?

- კი. თავისუფლებაზე. იმაზე, რომ ყველა იმ ადგილს იკავებს ამ ცხოვრებაში, რომელსაც იმსახურებს. რომ ნებისმიერი სახის სიბრალული დამამცირებელია, რომ ჭეშმარიტი სიყვარული ბრმაა, რომ ნამდვილი სიკეთე უსუსურია, რომ წმინდა თავისუფლება ყველასაგან გათავისუფლებას ნიშნავს.

- ეს - სიცრუეა?

- არა, - თავი გავაქნიე. – ესეც სიმართლის ნაწილია. სვეტა, ჩვენ არ შეგვიძლია აბსოლუტური სიმართლე ავირჩიოთ, მას ყოველთვის ორი სახე აქვს. ერთადერთი, რისი უფლებაც გვაქვს, ეს სიცრუეზე უარის თქმა არის, რომელიც უფრო არასასიამოვნოა. იცი, ახალბედებს პირველად რას ვეუბნები ბინდის შესახებ? ჩვენ ბინდში იმიტომ შევდივართ, რომ ძალები მივიღოთ. და შესვლის საფასურად იმ სიმართლეზე ვამბობთ უარს, რომლის მიღებაც არ გვინდა. ადამიანებისთვის გაცილებით ადვილია ცხოვრება. მილიონჯერ უფრო ადვილი, მათი ცხოვრების თანმდევი უბედურებების, პრობლემების, საზრუნავის მიუხედავად, რომლებიც სხვანაირებისთვის საერთოდ არ არსებობს. ადამიანები არასდროს დგებიან არჩევანის წინაშე – შეუძლიათ კეთილებიც იყვნენ და ბოროტებიც, ყველაფერი წამზეა დამოკიდებული, გარემოზე, წინა დღით წაკითხულ წიგნზე, ცოტა ხნის წინ შეჭმულ ბიფშტექსზე. აი, რატომაა ადვილი მათი მართვა – შეიძლება ყველაზე თავზეხელაღებული არამზადას გადაბირება სინათლის მხარაზე, ან კეთილშობილი და სათნო ადამიანისთვის წყვდიადისკენ ბიძგის მიცემა. ჩვენ კიდევ – არჩევანი გავაკეთეთ.

- მეც ხომ გავაკეთე არჩევანი, ანტონ. ბინდში უკვე ვიყავი.

- კი.

- მაშინ რატომ არ მესმის, სად არის ზღვარი ჩემსა და რომელიღაცა კუდიანს შორის, რომელიც შავ მესებს ესწრება? რატომ მებადება ასეთი კითხვები?

- ასეთი კითხვები ყოველთვის გაგიჩნდება. ჯერ ხმამაღლა დასვამ, შემდეგ – ჩუმად, შენთვის. ეს პროცესი არასოდეს დასრულდება. მტანჯველი კითხვებისგან თუ გინდოდა გათავისუფლებულიყავი – სხვა მხარე უნდა აგერჩია.

- მე ის ავირიე, რაც მინდოდა.

- ვიცი. და ამიტომ, უნდა მოითმინო.

- მთელი ცხოვრება?

- კი. ცხოვრება საკმაოდ გრძელი აღმოჩნდება, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერასოდეს შეეგუები. ვერასოდეს მოიშორებ კითხვას – რამდენად სწორია თითოეული გადადგმული ნაბიჯი.

თავი 3

რესტორნები მაქსიმს არ უყვარდა. ისევ თავისი ხასიათის გამო. გაცილებით უფრო კომფორტულად და მხიარულად თავს ბარებსა და კლუბებში გრძნობდა, რომლებიც უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე რესტორანი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ზედმეტი გაპრანჭულობა მაინც არ არის საჭირო. მართალია, ზოგიერთები ყველაზე მდიდრულ რესტორანშიც კი იქცევიან, როგორც წითელი კომისარები ბურჟუებთან მოლაპარაკების დროს... არავითარი მანერები, არც მათი შეძენის რაიმე სურვილი. მაგრამ ვის რაში სჭირდება, ანეკდოტებში გაშარჟებულ ახალ რუსებს დაემსგავსოს.

თუმცა გუშინდელი ღამის გამოსყიდვა მაინც საჭირო იყო. ცოლმა ან დაიჯერა „მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრის“ შესახებ, ან არ შეიმჩნია, რომ არ დაიჯერა. მაგრამ მცირედი სინდისის ქენჯნა მაინც დარჩა. რა თქმა უნდა... რომ სცოდნოდა... რომ წარმოედგინა, ვინ იყო სინამდვილეში მისი ქმარი და რას საქმიანობდა...

მაქსიმს არაფრის თქმა არ შეეძლო და ისღა დარჩენოდა, ნამუსის მოსაწმენდად იგივე ხერხებისთვის მიემართა, რომელსაც ნებისმიერი წესიერი კაცი გამოიყენებს, მორიგი ინტრიგის შემდეგ. საჩუქრები, ყურადღება, საზოგადოებაში გაყვანა. მაგალითად, დახვეწილ, მდიდრულ რესტორანში, ლაზათიანი ეგზოტიკური სამზარეულოთი, უცხოელი მოსამსახურე პერსონალით, მოხდენილი ინტერიერით, ღვინის უსაზღვრო არჩევანით...

საინტერესოა, ელენა მართლა ფიქრობს, რომ წუხელ უღალატა? მაქსიმს აწვალებდა ეს კითხვა, მაგრამ არც ისე ძალიან, რომ ხმამაღლა გამოეთქვა. ყოველთვის უნდა დატოვო რაღაც უთქმელი. ალბათ, ოდესღაც სიმართლეს გაიგებს. გაიგებს – და იამაყებს.

ფუჭი იმედებია, როგორც ჩანს. თვითონაც იცოდა. ბოროტებისა და წყვდიადის სამყაროში ერთადერთი ნათელი რაინდი იყო, უსაშველოდ მარტოსული, რომელსაც არავისთვის შეეძლო სიმართლის გამხელა. თავიდან იმედი ჰქონდა, რომ ვინმე თავისნაირს შეხვდებოდა: თვალხილულს დაბრმავებულ ქვეყანაში, მოდარაჯე ძაღლს, რომელიც ფარაში ცხვრის ტყავს ამოფარებული მგლების გარჩევა შეძლებდა...

არა. ისეთი არავინ ეგულებოდა, რომელიც გვერდით დაუდგებოდა.

მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა.

- როგორ ფიქრობ, ღირს ამის აღება?

მაქსიმმა მენიუს გადაავლო თვალი. „მალაი კოფტა“ რა იყო, არ იცოდა. მაგრამ ეს არასოდეს არ უშლიდა ხელს დასკვნების გამოტანაში. თუ რამეა, ინგრედიენტები ხომ იყო მითითებული.

- აიღე. ხორცის კერძი ნაღების სოუსით.

- ძროხის ხორცი?

მაშინვე ვერ მიხვდა, რომ ელენა ხუმრობდა. ღიმილზე უპასუხა.

- აუცილებლად.

- ძროხის ხორცის კერძი რომ შევუკვეთოთ?

- თავაზიანად გვეტყვიან უარს, - ივარაუდა მაქსიმმა.

მეუღლის გართობა არც ისე მძიმე მოვალეობა იყო მისთვის, უფრო – სასიამოვნო. მაგრამ ახლა დარბაზს უფრო დიდი სიამოვნებით დააკვირდებოდა. რაღაც აშკარად არ იყო წესრიგში. ბინდიდან ცივი ჰაერი იჭრებოდა, ზურგში ესობოდა, სულ უნდოდა თვალები მოეჭუტა, და სიბნელისთვის გაეშტერებინა...

დაუჯერებელია.

როგორც წესი, მისიებს შორის პერიოდი რამდენიმე თვეს, ნახევარ წელიწადს გრძელდებოდა. ისე, რომ მეორე დღესვე...

მაგრამ სიმპტომები ძალიან ეცნობოდა.

მაქსიმმა პიჯაკის შიდა ჯიბეში ჩააცურა ხელი, თითქოს საფულეს ისინჯავდა. სინამდვილეში კი პატარა, დიდი მონდომებით გამოჩორკნილ ხის ხმალს შეავლო

ხელი. იარაღი თავად გამოეთალა, ჯერ კიდევ ბავშვობაში, მაგრამ მაშინ არ ესმოდა, რისთვის თლიდა, თუმცა გრძნობდა, რომ უბრალო სათამაშო არ უნდა ყოფილიყო...

ხმალი ელოდებოდა.

მაინც ვინ?

- მაქს? – ქალის ხმაში საყვედური ისმოდა. – სად დაფრინავ?

ჭიქები მიუჭახუნეს. ცუდი ნიშანია, როცა ცოლ-ქმარი ჭიქებს უჭახუნებს. მაგრამ მაქსიმს ცრურწმენები არ აწუხებდა.

მაინც ვინ?

თავიდან ორ გოგოზე აიღო ეჭვი. ორივეს სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა, ლამაზიც კი ეთქმოდა, მაგრამ ორივე თავისებური სილამაზით გამოირჩეოდა. შედარებით დაბალი, შავთმიანი, სპორტული აღნაგობის, ოდნავ მოუხეშავი, კაცური მოძრაობებით, პირდაპირ ჩქეფდა ენერგიით, სექსუალურ ფლუიდებს ასხივებდა. მეორე კი, შედარებით მაღალი, უფრო მშვიდი და თავშეკავებული ჩანდა. და სილამაზეც განსხვავებული ჰქონდა, სიმშვიდის გრძნობას რომ მოგგვრიდა.

მაქსიმმა ცოლის დაკვირვებული მზერა დაიჭირა და თვალი მოარიდა.

- ლესბოსელები, - ამრეზით წარმოთქვა ელენამ.

- რა?

- შეხედე იმათ! შავგვრემანი, ჯინსებში, კაცივითაა.

მართლაც. მაქსიმმა თავი დაუქნია და შესაფერისი გამომეტყველებაც მიიღო.

ესენი არ იყვნენ. მაშ ვინ... ვინ...

დარბაზის კუთხეში მობილური აწკრიალდა – ერთი ათიოდე კაცი ერთდროულად მიწვდა ტელეფონებს. მაქსიმი ზარს დაუკვირდა და ძალაუნებურად სუნთქვა შეეკრა.

ადამიანი, რომელიც ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ხმადაბლა ლაპარაკობდა ტელეფონზე, უბრალოდ ბოროტად კი არ მოეჩვენა, მთლიანად სიავის შავი ბურუსით იყო შემოსილი, ადამიანისთვის შეუმჩნეველი, მაგრამ მაქსიმისთვის საგრძნობი საბურველით. მისგან საფრთხე მოდიოდა, თანაც მოახლოებული და სერიოზული საფრთხე.

გულზე მარწუხებივით მოუჭირა რაღაცამ.

- იცი, რა, ლენა, დაუსახლებელ კუნძულზე მინდა ცხოვრება, - თავისდა გასაოცრად წარმოთქვა მაქსიმმა.

- მარტო?

- შენთან და ბავშვებთან ერთად. და სხვა არავინ მჭირდება. არავინ.

ღვინო სულმოუთქმელად გამოცალა, ოფიციანტმა მაშინვე შეუვსო ბოკალი.

- მე არ ვისურვებდი, - უპასუხა ცოლმა.

- ვიცი.

ხმალი ჯიბეში დამძიმდა და გაცხელდა. სულ უფრო ემატებოდა აღელვება, მძაფრ, თითქმის სექსუალურ ხასიათს იძენდა. განმუხტვას ითხოვდა.

- გახსოვს ედგარ პო? – მკითხა სვეტლანამ.

ადვილად შეგვიშვეს, არც კი მოველოდი. ან რესტორნის წესები უფრო დემოკრატიული გახდა, ვიდრე მე მახსოვდა, ანდა მიმსვლელთა ნაკლებობას უჩიოდნენ.

- არა. ძალიან დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. სემიონი ყვებოდა ერთხელ...

- თვითონ პოზე კი არ გეუბნები. მის მოთხრობებს ვგულისხმობ.

- „ადამიანი ბრბოში“? – მოვისაზრე.

სვეტლანამ ჩუმად ჩაიცინა.

- კი. ახლა ზუსტად მასეთ მდგომარეობაში ხარ, ხალხმრავალ ადგილებში ხეტიალი რომ გიწევს.

- სანამ ეს ადგილები არ მომძულდება.

თითო ჭიქა „ბეილისი“ ავიღეთ, და საჭმელი შევუკვეთეთ. ალბათ, ოფიციანტებს გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ჩვენს ვიზიტზე – ორი გამოუცდელი მეძავი სამუშაოს ძიებაში, მაგრამ ჩემთვის, პრინციპში, სულ ერთი იყო.

- სხვანაირი იყო?

- პო? უფრო არაინიცირებული.

Есть свойства - существа без воплощенья,

С двойною жизнью: видимый их лик -

В той сущности двоякой, чей родник -

Свет в веществе, предмет и отраженье... -

ჩუმად წარმოთქვა სვეტლანამ.

გაკვირვებულმა შევხედე.

- იცი?

- როგორ გითხრა... – თვალი გავუსწორე და რიხიანად წავიკითხე:

- Не бойся воплощенного Молчанья,

Ни для кого не скрыто в нем вреда.

Но если ты с его столкнешься тенью

(Эльф безымянный, что живет всегда

Там, где людского не было следа),

Тогда молись, ты обречен мученью!

წამით ერთმანეთს შევხედეთ, შემდეგ ორივეს ერთად გაგვეცინა.

- პატარა ლიტერატურული დუელი, - იქედნურად აღნიშნა სვეტლანამ. – ანგარიში ერთით – ერთი. სამწუხაროა, რომ მაყურებლები არ გვყავს. და რატომ დარჩა პო ინიციაციის გარეშე?

- პოეტებში ბევრია პოტენციური სხვანაირი. მაგრამ ჯობია, ზოგიერთი კანდიდატი ადამიანად დატოვო. პოს მეტად მერყევი ფსიქიკა ჰქონდა, მისთვის განსაკუთრებული შესაძლებლობების მინიჭება იგივე იყო, რაც პირომანისთვის ნაპალმით სავსე ბიდონი გადაგეცა. არც კი დავფიქრდებოდი, რომელ მხარეს აღმოჩნდებოდა. სავარაუდოდ, მალევე ბინდში გადავიდოდა და სამუდამოდ დარჩებოდა იქ.

- როგორ ცხოვრობენ იქ? ისინი, ვინც გადავიდნენ?

- არ ვიცი, სვეტლანა. არც არავინ იცის, ალბათ. ზოგჯერ ბინდისეულ სამყაროში გვხვდებიან ხოლმე, მაგრამ მათთან ურთიერთობა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არ გვაქვს ხოლმე.

- საინტერესოა, - სვეტლანამ ჩაფიქრებული მზერა მოავლო დარბაზს. – შეამჩნია აქ ვინმე სხვანაირი?

- მოხუცი ჩემს უკან, მობილურზე რომ ლაპარაკობს?

- ეგ რა მოხუცია?

- ღრმად მოხუცია. მე ხომ თვალებით არ ვიყურები.

სვეტლანამ ტუჩზე იკბინა, თვალები მოჭუტა. პატარა ამბიციები გამოღვიძებას იწყებდნენ.

- ჯერჯერობით არ გამომდის, - აღიარა. – ისიც ვერ გამიგია, ბნელია, თუ ნათელი.

- ბნელია. დღის საგუშაგოდან არ არის, მაგრამ ბნელია. საშუალო შესაძლებლობების მაგი. ჰო, მართლა, იმანაც შეგვამჩნია.

- რა უნდა ვქნათ?

- ჩვენ? არაფერი.

- ის ხომ ბნელია!

- კი, ჩვენ კიდევ – ნათელი. მერე რა? როგორც საგუშაგოს თანამშრომლებს, შეგვიძლია საბუთები შევუმოწმოთ. ალბათ, წესრიგში ექნება.

- და როდის გვექნება ჩარევის უფლება?

- ნუ... თუ ადგება, ხელებს გაშლის, დემონად გადაიქცევა, ხალხს დაერევა და თავების დაწყვეტას შეუდგება...

- ანტონ!

- სერიოზულად ვამბობ. არანაირი უფლება არ გვაქვს, პატიოსან შავ მაგს დასვენებაში ხელი შევუშალოთ.

ოფიციანტმა შეკვეთა მოგვიტანა, ჩვენ გავჩუმდით. სვეტლანა უგემურად მიირთმევდა, შემდეგ ჭირვეული ბავშვივით წამოისროლა, ნაწყენი ხმით:

- დიდხანს იზოზინებთ ასე?

- ბნელებთან?

- ჰო.

- სანამ გადამწყვეტ უპირატესობას არ მოვიპოვებთ. სანამ ადამიანები, რომლებიც სხვანაირებად იქცევიან, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გააკეთებენ არჩევანს სინათლესა და წყვდიადს შორის. სანამ ბნელები სიბერით არ დაიხოცებიან. როცა აღარ შეეძლებათ, ისევე ადვილად უბიძგონ ადამიანებს სიბოროტისკენ, როგორც დღეს.

- ეს ხომ კაპიტულაციაა, ანტონ!

- ნეიტრალიტეტი. სტატუს-კვო. ორივე მხარე ცაიტნოტშია, რაღა დაგიმალო.

- იცი, რა, მარტოხელა მკვლელი, რომელიც შიშის ზარს სცემს ბნელებს, გაცილებით უფრო მესიმპათიურება. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებას არღვევს, და ჩვენვე გვიგებს მახეს. ის ხომ სიბნელეს ებრძვის, გესმის, ებრძვის! ერთი ყველას წინააღმდეგ!

- არ დაფიქრებულხარ, რატომ კლავს ბნელებს, მაგრამ ჩვენ არ გვეკონტაქტება?

- არა.

- ვერ გვხედავს, სვეტლანა. საერთოდ ვერ გვხედავს.

- თვითნასწავლია და იმიტომ...

- კი. ნიჭიერი თვითნასწავლი სხვანაირი, რომლის შესაძლებლობებიც ქაოტურად იჩენს ხოლმე თავს, რომელსაც შეუძლია სიბოროტის დანახვა, მაგრამ ვერ ამჩნევს სიკეთეს. არც ეს გაშინებს?

- არა, - პირქუშად მომახსენა სვეტლანამ. – მაპატიე, მაგრამ არ მესმის, რას გულისხმობ, ოლ... უკაცრავად, ანტონ. ოლგასავით ლაპარაკობდი ამ წუთას.

- არა უშავს.

- სადღაც წავიდა, - თქვა სვეტლანამ, თან ჩემს მხარს მიღმა იხედებოდა. – წავა, სხვისი ძალების გამოსაწოვად, ღვარძლიანი შელოცვის გასაკეთებლად. ჩვენ კიდევ არ ვერევით.

შევბრუნდი და ბნელ მაგს შევავლე თვალი – გარეგნულად ოცდაათიოდე წლის იქნებოდა. გემოვნებიანად ჩაცმული, მომხიბლავი... მაგიდასთან, სადაც იჯდა, ახალგაზრდა ცოლი და ორი ბავშვი დარჩა – შვიდი წლის ბიჭი, და გოგო, ოდნავ მასზე უმცროსი.

- ტუალეტში გავიდა, სვეტა. მოსაფსმელად. მისი ოჯახი, სხვათა შორის, სავსებით ნორმალურია. არავითარი შესაძლებლობები. მათ ლიკვიდაციასაც მთავაზობ?

- კვიცი გვარზე ხტისო...

- აბა ერთი გარიკას უთხარი ეგ. მამამისი – შავი მაგია. დღემდე ცოცხალია.

- გამონაკლისებიც არსებობს...

- მთელი ცხოვრება გამონაკლისია.

სვეტლანა გაჩუმდა.

- ვიცი ეს მოუსვენარი შეგრძნება, სიკეთის კეთების, ბოროტების დევნის სურვილი. მისი ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრა. მეც მასეთი ვარ, გამომივლია. მაგრამ თუ ვერ შეიგნებ, რომ ეს გზა ჩიხში მიგიყვანს, ბინდით დაასრულებ. და რომელიმე ჩვენგანს შენი მიწიერი ცხოვრების დასრულება მოუწევს.

- სამაგიეროდ მოვასწრებ...

- იცი, როგორ მიიღებს ხალხი შენს ქმედებებს? ფსიქოპატად ჩაგთვლიან, რომელიც ნორმალურ, განურჩევლად ხოცავს სანდომიან ადამიანებს. გაზეთებში ისეთი სტატიები დაიბეჭდება, სისხლი გაგეყინება. ვიღაცამ შეიძლება, მაგალითად

„მოსკოველი ბორჯიაც“ კი შეგარქვას. ადამიანების გულებში იმდენივე ბოროტებას დათესავ, რასაც ბნელების მთელი ბრიგადა ერთ წელიწადში ვერ მოახერხებს.

- რატომ გაქვთ ყოველთვის მზა პასუხები? – მწარედ იკითხა სვეტლანამ.

- იმიტომ, რომ სწავლება გავიარეთ და ცოცხლები დავრჩით. უმრავლესობა – გადავრჩით!

ოფიციანტს ვუხმე და მენიუ მოვითხოვე. სვეტლანას მივმართე:

- თითო ჭიქა კოქტეილი დავლიოთ? და გავიდეთ, ხომ? აირჩიე.

სვეტლანამ თავი დამიქნია, და ღვინის ჩამონათვალის შესწავლას შეუდგა. ოფიციანტი, შავგვრემანი, მაღალი, არარუსული წარმოშობის ბიჭი, იდგა და გველოდებოდა. ცხოვრებაში ბევრი რამ უნახავს, და ორი გოგო, რომელთაგანაც ერთ-ერთი კაცივით იქცეოდა, სულაც არ აოცებდა.

- „ალტერ ეგო“, - აირჩია სვეტლანამ.

ეჭვით გადავაქნიე თავი – საკმაოდ ძლიერი კოქტეილი იყო. მაგრამ ხმა აღარ ამომიღია.

- ორი კოქტეილი, და ანგარიში.

სანამ ბარმენი კოქტეილს ამზადებდა, და ოფიციანტი ანგარიშს ამზადებდა, მე და სვეტლანა უხმოდ ვისხედით, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. როგორც იქნა, სვეტლანამ იკითხა:

- კარგი, პოეტებთან გავარკვიეთ ყველაფერი. ყველანი პოტენციური სხვანაირები არიან. ბოროტმოქმედებს რაღა ვუყოთ? კალიგულა, ჰიტლერი, მკვლელი-მანიაკები...

- ადამიანები არიან.

- ყველანი?

- როგორც წესი. ჩვენ ჩვენი უკეთურები გვყავს. მათი სახელები ადამიანებს არაფერს ეუბნება... მალე ისტორიის კურსი დაგეწყებათ.

ალტერ ეგო მართლაც მაგარი გამოდგა. ჭიქაში ორი მძიმე, გაუხსნელი ფენა ტივტივებდა – შავი და თეთრი, ტკბილი ნაღების ლიქიორი და მწარე შავი ლუდი.

გადავიხადე – ნაღდი ფულით, არ მიყვარს ელექტრონული კვალის დატოვება, და ჭიქა ავწიე.

- საგუშაგოს გაუმარჯოს.

- გაუმარჯოს, - დამეთანხმა სვეტლანა. – და შენს წარმატებას გაუმარჯოს, ამ ხათაბალიდან მალე დაგეღწია თავი...

ძალიან მინდოდა, მეთხოვა, ხეზე დაეკაკუნებინა, მაგრამ გავჩუმდი. კოქტეილი დავლიე – ორი ყლუპი, ჯერ რბილი ტკბილი ფენა, შემდეგ კი – მსუბუქი, მწარე.

- მშვენიერია, - თქვა სვეტლანამ. – იცი რა, მომწონს აქაურობა. მოდი, ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ.

- მოსკოვში ბევრი კარგი ადგილია. წავიდეთ, ისეთი კუთხე მოვძებნოთ, სადაც დასასვენებლად გამოსული შავი მაგები არ შეგხვდებიან.

სვეტამ თავი დამიქნია:

- ჰო, მართლა, ის კაცი აღარ გამოჩენილა.

საათს დავხედე. ჰო... ამასობაში ერთ-ორ ვედრას ჩამოასხამდა.

ყველაზე არასასიამოვნო ის იყო, რომ მაგის ოჯახი ისევ მაგიდასთან იჯდა და ქალი აშკარად ნერვიულობდა.

- სვეტა... ახლავე მოვალ.

- არ დაგავიწყდეს, ვინც ხარ! – მიჩურჩულა.

ჰო. მეც კი უცნაურად მომეჩვენა, შავ მაგს ტუალეტში რომ მივყვებოდი.

მაგრამ მაინც ავდექი და დარბაზი გავიარე, თან ბინდში გადავიხედე. სავსებით ლოგიკური იქნებოდა, ჯადოქრის აურა რომ დამენახა – მაგრამ ირგვლივ ჩვეულებრივი აურებით – კმაყოფილი, შეწუხებული, ბილწი, შეზარხოშებული, მხიარული აურებით გაწყობილი ნაცრისფერი სიცარიელის გარდა ვერაფერი შევნიშნე.

სად გადაიკარგა, კანალიზაციას ხომ არ გაყვა!

მხოლოდ შენობის კედლებს მიღმა, სადღაც ბელორუსიის საელჩოსთან ახლოს, გაიელვა სხვანაირის აურის სუსტმა ნაპერწკალმა. მაგრამ ეს შავი მაგის აურას არ ჰგავდა, უფრო სუსტი იყო და სულ სხვა შეფერილობა ჰქონდა.

სად ჯანდაბაში წავიდა...

ვიწრო დერეფანში, რომელიც ორი კარით მთავრდებოდა, არავინ ჩანდა. ერთი ორი წამით შევყოვნდი – რა იცი, იქნებ, უბრალოდ ვერ შევამჩნიეთ, ან შეიძლება ბინდში გადავიდა, იქნებ ისეთი შესაძლებლობების პატრონია, რომ ტელეპორტაცია შეუძლია... შემდეგ კაცების ტუალეტის კარი გავაღე.

ძალიან სუფთა და ნათელ, მაგრამ ოდნავ ვიწრო ოთახში ყვავილების სუნი იდგა, რომელიც ჰაერის გამწმენდს დაეყენებინა.

შავი ჯადოქარი პირდაპირ კართან იწვა, მისმა გაშლილმა ხელებმა კარის ბოლომდე გაღების საშუალება არ მომცა. მაგს გაკვირვებული სახის გამომეტყველება შერჩენოდა, თითქოს ვერ გაეგო, რა ხდებოდა, ხელში წვრილმა ბროლის მილმა გაელვა. იარაღისთვის დაევლო ხელი, მაგრამ მოესწრო გამოყენება.

სისხლის კვალი არ ჩანდა. საერთოდ არაფრის კვალი არ შეინიშნებოდა, და როდესაც ბინდში გადავიხედე, სივრცეში მაგიის ვერავითარი ნიშანწყალი ვერ შევამჩნიე.

თითქოს შავი ჯადოქარი ბანალური გულის შეტევით ან ინსულტით გარდაიცვალა... თითქოს შეიძლებოდეს მაგის ასეთი სიკვდილი...

მაგრამ ერთი დეტალი არსებობა ამ ვერსიას უარყოფდა.

პატარა ჭრილობა პერანგის საყელოზე. ვიწრო, თითქოს სამართებელი დაესვათო. თითქოს ყელში დანა გაუყარესო, და დანის პირი ტანსაცმელს ოდნავ გამოედო. მაგრამ თავად სხეულზე დარტყმის არავითარი კვალი არ ჩანდა.

- ნაძირალები... – ჩავიჩურჩულე გაუგებარი მიმართულებით. – ნაძირალები!

მაგარ ხათაბალაში ამოვყავი თავი, ამაზე უკეთეს ვერ ინატრებდა კაცი. სხეული შეიცვალო, „მოწმესთან“ ერთად ხალხმრავალ რესტორანში წახვიდე – და იქაც ასეთ შარში გაეხვიო, იდგე ასე მარტო, უცნობი მანიაკის მიერ მოკლული შავი მაგის ცხედრის თავზე.

- წავედით, პავლიკ... – მომესმა ზურგს უკან.

მოვიხედე – ქალი, რომელიც შავი მაგის მაგიდასთან იჯდა, დერეფანში შემოვიდა პატარა ბიჭთან ერთად.

- დე, არ მინდა! – ჭირვეულად წამოიყვირა ბავშვმა.

- შედი, უთხარი მამას, რომ მოგვენატრა... – სწრაფად დაარიგა ქალმა. შემდეგ თავი ასწია და შემომხედა.

- დაუძახეთ ვინმეს! – ვიყვირე განწირული ხმით. – დაუძახეთ! ცუდადაა კაცი! ბავშვი გაიყვანეთ, და დაუძახეთ ვინმეს!

დარბაზში ჩემი ხმა გაიგონეს, ოლგას ძლიერი ხმა ჰქონდა. უცბად სიჩუმე ჩამოწვა, გაუთავებელი ეროვნული მუსიკა ისევ ისმოდა, მაგრამ ხალხის გაუგებარი ზუზუნი ჩაწყნარდა.

რა თქმა უნდა, ქალმა არ დამიჯერა... მოვარდა, კარიდან გამწია, ქმრის ცხედართან დაემხო და მოთქმა-გოდება დაწყო – მთელი ხმით გოდებდა, მიხვდა, რაც მოხდა,

მაგრამ არ უნდოდა, დაეჯერებინა, ხელებით რაღაც მოძრაობებს აკეთებდა, პერანგის გახეულ საყელოს ხსნიდა, უძრავ სხეულს უფათურებდა. შემდეგ სახეზე დაუწყო მაგს ცემა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ თავს იმკვდარუნებს, ან უბრალოდ გულწასულია...

- დედა, რატომ სცემ მამას? - იყვირა პავლიკამ წვრილი ხმით. კი არ შეშინებია, უბრალოდ, გაუკვირდა, წყნარი ოჯახში იზრდებოდა და სკანდალებს არ იყო ნაჩვევი.

ბიჭს მხარზე მოვხვიე ხელი და ფრთხილად გავიყვანე გვერდზე. დერეფანში უკვე ხალხი შეჯგუფებულიყო, შიგნით შემოღწევას ცდილობდა – სვეტას მოვკარი თვალი – თვალები გაფართოვებოდა, მაშინვე მიხვდა ყველაფერს.

- ბავშვი გაიყვანეთ, - ვთხოვე ოფიციანტს. – მემგონი, კაცი დაიღუპა...

- ვინ ნახა ცხედარი? – მშვიდი ხმით იკითხა ოფიციანტმა. ყოველგვარი აქცენტის გარეშე, სულ არ ჰგავდა ბიჭს, ცოტა ხნის წინ რომ გვემსახურებოდა.

- მე.

ოფიციანტმა თავი დამიკრა და ბიჭი რესტორანის რომელიღაცა მოსამსახურე ქალს გადასცა, ბიჭმა კი უეცრად ტირილი მორთო, როცა მიხვდა, რომ მისი პაწაწინა სამყაროს მყუდროება დაირღვა.

- კაცების ტუალეტში რას აკეთებდით?

- კარი ღია იყო, დავინახე, როგორ იწვა... – დაუფიქრებლად მოვიტყუე.

ოფიციანტმა თავი დამიქნია, რითაც აღიარა, რომ შეიძლება სიმართლეს ვამბობდე. მაგრამ ხელი მაინც მომიჭირა მაგრად მკლავზე.

- მილიციას უნდა დაელოდოთ, ქალბატონო.

სვეტლანა ჩვენსკენ მოიწევდა, ბოლო სიტყვების გაგონებაზე თვალები მოჭუტა. ესღა გვაკლდა – რომ სვეტლანასაც დაეწყო ხალხისთვის მეხსიერების დაბინდვა!

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... – ნაბიჯი გადავდგი, ოფიციანტმა ძალაუნებურად ხელი გამიშვა და გამომყვა. – სვეტა, საშინელებაა... კაცი დაიღუპა!

- ოლია... – სვეტას სწორი რეაქცია ჰქონდა. მხრებზე მომხვია, ოფიციანტს აღშფოთებული მზერა შეავლო და რესტორნის დარბაზში გამათრია.

სწორედ ამ წუთას ბიჭმა ხარბი, ცნობისმოყვარე ბრბო გაარღვია და ჩვენს შორის გაძვრა. ღრიალით მიეჭრა დედამისს. რესტორნის პერსონალი ცდილობდა, მკვდარი მეუღლის ცხედარს მოეშორებინა, მაგრამ ქალმა არეულობით ისარგებლა, დაუსხლტდა მათ, ისევ დაემხო მიცვალებულს და მისი ნჯღრევა დაიწყო:

- ადექი! გენა, ადექი! ადექი!

ვიგრძენი, როგორ შეკრთა ამ სცენის შემხედვარე სვეტლანა. ჩავჩურჩულე:

- აბა, რას იტყვი? ცეცხლითა და მახვილით ვცდილობთ სიბნელის აღმოფხვრას?

- რატომ ქენი ეს? ისედაც გავიგებდი! – მრისხანედ დაისისინა სვეტლანამ.

- რა?

ერთმანეთს თვალებში შევხედეთ.

- შენ არ მოგიკლავს? – გაუბედავად მკითხა სვეტლანამ. – მაპატიე... მჯერა.

ახლა კი მივხვდი, რომ საბოლოოდ გავები მახეში.

გამომძიებელს ჩემდამი განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია. მის თვალებში უკვე ჩამოყალიბებული მოსაზრება იკითხებოდა – ბუნებრივი სიკვდილი. სუსტი გული, ნარკოტიკების გადაჭარბებული მოხმარება... ნებისმიერი რამ. არავითარი თანაგრძნობა არ ჰქონდა, და არც შეეძლო, რომ ჰქონოდა, იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ძვირადღირებულ რესტორნებს სტუმრობს ხოლმე.

- გვამი ასე დაგხვდათ?

- დიახ, - დავუდასტურე დაღლილი ხმით. – საშინელებაა!

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა. გვამში, მითუმეტეს თუ სისხლში არ ცურავდა, ვერაფერს საშინელს ვერ ხედავდა. მაგრამ მაინც დიდსულოვნად დამეთანხმა:

- მართალია, მძიმე სანახაობაა. ვინმე იმყოფებოდა ახლომახლო?

- არა. მაგრამ მალევე გამოჩნდა ქალი... გარდაცვლილის მეუღლე, ბავშვთან ერთად.

გამომძიებელმა ჩემს განზრახ აბნეულ ლაპარაკს მრუდე ღიმილით უპასუხა.

- გმადლობთ, ოლგა. შეიძლება ისევ დაგიკავშირდნენ. ქალაქის დატოვებას ხომ არ აპირებთ?

ენერგიულად გავაქნიე თავი. მილიცია სულაც არ მანაღვლებდა.

აი, კუთხის მაგიდასთან მორიდებით მჯდარი შეფი კი ნამდვილად მაშფოთებდა.

გამომძიებელმა, როგორც იქნა, თავი დამანება და „გარდაცვლილის მეუღლესთან“ გაემართა. ბატონი ბორისი კი ნელი ნაბიჯით მოუახლოვდა ჩვენს მაგიდას. ალბათ რაღაც მსუბუქი განრიდების თილისმა ფარავდა, ყურადღებას არავინ აქცევდა.

- მოისვენეთ? – მხოლოდ ეს იკითხა.

- ჩვენ? – დავაზუსტე ყოველი შემთხვევისთვის.

- დიახ. თქვენ. უფრო სწორედ – შენ.

- თქვენს ინსტრუქციებს ვასრულებდი, - ჩავჩურჩულე ბრაზმორეულმა. – და იმ შავი მაგისთვის თითიც არ დამიკარებია!

შეფმა ამოიოხრა.

- ეჭვიც არ მეპარება. მაგრამ რა ეშმაკებად გაედევნე შენ, საგუშაგოს საშტატო თანამშრომელი, შავ ჯადოქარს მარტო, შენ ხომ რომელიც მშვენივრად ერკვეოდი სიტუაციაში?

- ვინ წარმოიდგენდა? – აღვშფოთდი. – ვინ?

- შენ უნდა წარმოგედგინა. რადგან ჩვენ ასეთ ზომებს მივმართეთ... უპრეცედენტო შენიღბვას. როგორი ინსტრუქციები მიიღე? ერთი წუთითაც არ უნდა დარჩენილიყავი მარტო! ერთი წუთითაც კი! სვეტლანასთან ერთად უნდა გეჭამა, დაგეძინა. შხაპიც ერთად უნდა მიგეღოთ! ტუალეტშიც კი არ უნდა გასულიყავი მარტო! რომ ნებისმიერ წამს... – შეფმა ამოიოხრა და გაჩუმდა.

- ბატონო ბორის, - მოულოდნელად ჩაერთო სვეტლანა. – ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. მოდი, მოვიფიქროთ, ახლა როგორ მოვიქცეთ.

შეფმა მცირედი გაკვირვებით შეხედა და თავი დაუქნია:

- მართალი ხარ, ჩემო გოგო... მოდი, ვიფიქროთ. იქიდან დავიწყოთ, რომ სიტუაცია კატასტროფულად გაუარესდა. თუ ადრე ანტონზე ირიბი ეჭვი ჰქონდათ, ახლა პირდაპირი სამხილი გაუჩნდათ. თავს ნუ აქნევ! დანაშაულის ადგილას დაგინახეს. შავი მაგის ცხედართან, რომელიც იგივე მეთოდით მოკლეს, როგორც წინა შემთხვევებში. ბრალდებისგან შენი დაცვა ჩვენს ძალებს აღემატება. დღის საგუშაგო ტრიბუნალს მიმართავს და შენი მეხსიერების წაკითხვას მოითხოვს?

- ეს ხომ ძალიან სახიფათოა? – იკითხა სვეტლანამ. – არა? სამაგიეროდ გაირკვევა, რომ ანტონი უდანაშაულოა.

- გაირკვევა, მაგრამ ბნელები პარალელურად ყველა იმ ინფორმაციას მიიღებენ, რომელზედაც ანტონს ოდესმე წვდომა ჰქონია. სვეტლანა, წარმოგიდგენია, რამხელა ინფორმაციას ფლობს საგუშაგოს პროგრამისტი? შეიძლება ზოგიერთი რამე თვითონაც აღარ ახსოვს, გაკვრით შეხედა მონაცემებს, დაამუშავა და დაივიწყა. მაგრამ ბნელებს თავიანთი სპეციალისტები ჰყავთ. და როცა ბრალმოხსნილი ანტონი სასამართლოდან გამოვა... დავუშვათ, გაუძლებს ცნობიერების დალაშქვრას, დღის საგუშაგო ინფორმირებული იქნება ჩვენი ყველა ოპერაციის შესახებ. გესმის, რა მოხდება? სწავლებისა და ახალი სხვანაირების ძებნის მეთოდიკის, საბრძოლო ოპერაციების გარჩევის, იმ ადამიანების მონაცემები, რომლებიც ინფორმაციას გვაწვდიან, დანაკარგების სტატისტიკის, თანამშრომელიც საანკეტო მონაცემები, ინფორმაცია ფინანსური გეგმების შესახებ...

ჩემზე ლაპარაკობდნენ, მე კიდევ ვიჯექი, თითქოს მომხდართან არავითარი კავშირი არ მქონდა. საქმე ცინიკურ გულახდილობაში კი არ იყო, არამედ თავად ფაქტში - შეფი სვეტლანას, დამწყებ მაგს, ეკითხებოდა ჭკუას და არა მე, მესამე პოტენციური თანრიგის მაგს...

ჩვენს მდგომარეობას ჭადრაკის პარტიას თუ შევადარებდით, მაშინ პოზიცია ისე მარტივად გამოიყურებოდა, რომ გული დამწყდა. მე ოფიცერი ვიყავი, საგუშაგოს ჩვეულებრივი ოფიცერი. სვეტლანა კი – პაიკი. მაგრამ პაიკი, რომელიც ლაზიერის სვლისთვის ემზადებოდა.

და ყველა ის უბედურება, რაც შეიძლებოდა თავს დამტყდომოდა, შეფს არაფრად მიაჩნდა, ოღონდ სვეტლანასთვის პრაქტიკული მაგალითი ეჩვენებინა.

- ბატონო ბორის, თქვენ ხომ იცით, რომ ჩემი მეხსიერების წაკითხვის საშუალებას არ მივცემ, - მოვახსენე.

- მაშინ განაჩენს გამოგიტანენ.

- ვიცი. შემიძლია დავიფიცო, რომ ბნელების სიკვდილთან არავითარი კავშირი არ მაქვს. მაგრამ ვერაფრით დავამტკიცებ.

- ბატონო ბორის, რომ შევთავაზოთ... რომ ანტონს მარტო დღევანდელი დღის მეხსიერება შეუმოწმონ! – მხიარულად შესძახა სვეტლანამ. – და მორჩა, დარწმუნდებიან...

- მეხსიერების დანაწევრება არ შეიძლება, სვეტა. მეხსიერება ერთიანად იკითხება. ცხოვრების პირველივე წუთიდან, დედის რძის სუნიდან, სამშობიარო წყლების გემოდან იწყება, - შეფი ხაზგასმით მკაცრად ლაპარაკობდა. – ამაშია უბედურება. ანტონმა საიდუმლოებებიც რომ არ იცოდეს, წარმოიდგინე, რას ნიშნავს, ყველაფერი თავიდან გაიხსენო და განიცადო – ყველაფერი! მუქ, წებოვან სითხეში ტივტივი, გახსნილი კედლები, წინ შუქის გაელვება, ტკივილი, სულის შეხუთვა, სუნთქვის აუცილებლობა... საკუთარი დაბადება. და შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ... გაგიგია, რომ სიკვდილის წინ თვალწინ მთელი განვლილი ცხოვრება გაირბენს? სწორედ ასე ხდება მეხსიერების კითხვისას. ამასთან ღრმად გონებაში მაინც რჩება იმის შეგნება, რომ ყველაფერი ეს უკვე მოხდა. გესმის? ძნელია საღი აზრი შეინარჩუნო.

- ისე ლაპარაკობთ... – გაუბედავად წარმოთქვა სვეტლანამ. – თითქოს...

- მე ეს უკვე გავიარე. დაკითხვაზე არა. საუკუნეზე მეტი ხნის წინ, მაშინ საგუშაგო მეხსიერების დალაშქვრის შედეგებს სწავლობდა... და მოხალისე დასჭირდათ. ამის მერე კი ერთი წელი დასჭირდათ, აზრზე რომ მოვეყვანე.

- და როგორ? – ცნობისმოყვარეობით იკითხა სვეტლანამ.

- ახალი შთაბეჭდილებებით. იმით, რაც მანამდე არ გადამეტანა. უცხო ქვეყნები, მიუჩვეველი კერძები, მოულოდნელი შეხვედრები, უჩვეულო პრობლემები. და მაინც, - შეფმა ცერად გაიღიმა. – ზოგჯერ მოულოდნელი აზრი გამიელვებს ხოლმე, ვერ გამიგია, რა არის ეს – სინამდვილე თუ მოგონებები. ვცხოვრობ, თუ დღის საგუშაგოს ოფისში ბროლის ფილაზე ვაგდივარ და ჩემს გონებას აბურდული ძაფივით შლიან.

შეფი გაჩუმდა.

ირგვლივ მაგიდებთან ხალხი იჯდა, ოფიციანტები ირეოდნენ. ოპერატიულმა ჯგუფმა რესტორანი დატოვა, შავი მაგის სხეული გადაიტანეს, მის ცოლ-შვილთან ერთად ვიღაც კაცი გამოჩნდა, ალბათ ნათესავი იყო. სხვას არავის ადარდებდა მომხდარი. უფრო მეტიც, ხალხს თითქოს მადა და ცხოვრების წყურვილიც მოემატა. ჩვენ ყურადღებას არავინ გვაქცევდა – შეფის მიერ გაკეთებული დროებითი შელოცვა აიძულებდა, თვალი აერიდებინათ.

და თუ ეს ყველაფერი უკვე მოხდა?

თუ ეს შეფი კი არა მე, ანტონ გოროდეცკი, სავაჭრო ფირმის „ნიკსი“ სისტემური ადმინისტრატორი, შეთავსებით ღამის საგუშაგოს თანამშრომელი, ვწევარ ბროლის ფილაზე, ძველი რუნებით აჭრელებული? და შავი ჯადოსნები, ან შერეული შემადგენლობის ტრიბუნალი ჩემს გონებას ხსნიან, ათვალიერებენ, პრეპარირებას უკეთებენ.

არა!

გამორიცხულია. ვერ ვგრძნობ, რაზეც შეფი ყვებოდა. არ მაქვს დეჟა ვუ. არასოდეს ვყოფილვარ ქალის სხეულში, არასოდეს აღმომიჩენია მიცვალებული საზოგადოებრივ ტუალეტებში...

- დაგძაბეთ არა? – თქვა შეფმა. ჯიბიდან წვრილი გრძელი სიგარეტი ამოიღო. – სიტუაცია ნათელია? როგორ მოვიქცეთ?

- მე მზად ვარ, ჩემი ვალი მოვიხადო, - მოვახსენე.

- მოიცა, ანტონ. ნუ მეტიჩრობ.

- სულაც არ ვმეტიჩრობ. საქმე მარტო იმაში არაა, რომ მზად ვარ, საგუშაგოს საიდუმლოებები დავიცვა. ასეთ დაკითხვას უბრალოდ ვერ გავუძლებ. ამას სიკვდილი მირჩევნია.

- ჩვენ ხომ ადამიანებივით არ ვიხოცებით.

- ვიცი, ჩენთან უფრო რთულადაა საქმე. მაგრამ მაინც მზად ვარ.

შეფმა ამოიოხრა.

- გოგოებო... უკაცრავად, ანტონ... მოდი, შედეგებზე კი არ ვიფიქროთ, არამედ წინაპირობებზე, რაც მომხდარს უძღოდა. ზოგჯერ წარსულში გადახედვაც საჭიროა.

- ვიფიქროთ, - დავეთანხმე, მაგრამ მაინცდამაინც დიდი იმედი არ მქონდა.

- მკვლელი უკვე რამდენიმე წელია ბრაკონიერობას ეწევა. ანალიტიკური განყოფილების ბოლო მონაცემებით, ეს უცნაური მკვლელობები სამ ნახევარი წლის წინ დაიწყო. მსხვერპლთა ნაწილი შავი მაგიის გამოკვეთილი წარმომადგენელები არიან, მათი ნაწილი კი, სავარაუდოდ, პოტენციური ბნელები. არც ერთი მათგანი არ ყოფილა მეოთხე თანრიგზე მაღლა და არც ერთს არ უმუშავია დღის საგუშაგოში. გაგიკვირდებათ, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი ზომიერი ბნელები იყვნენ... თუ ეს სიტყვა საერთოდ მისაღებია. კლავდნენ, ადამიანებზე ზემოქმედებდნენ, მაგრამ გაცილებით უფრო იშვიათად, ვიდრე შეეძლოთ.

- ისინი გამოიყენეს, - თქვა სვეტლანამ. – ხომ ასეა?

- ალბათ. დღის საგუშაგოს ხელი არ უხლია ამ ფსიქოპატისთვის, უფრო მეტიც, თავისიანებსაც კი სწირავდა მსხვერპლად, ვინც არ ენანებოდა. რატომ? საკითხავი ესაა – რატომ?

- დაუდევრობაში რომ დაგვადანაშაულონ... – ვივარაუდე.

- მიზანი არ ამართლებს საშუალებას.

- ერთ-ერთი ჩვენგანისთვის მახის დაგება ხომ არ უნდოდათ?

- ანტონ... საგუშაგოს თანამშრომლებიდან მკვლელობის მომენტებზე ალიბი მხოლოდ შენ არ გაქვს. რაში ჭირდება დღის საგუშაგოს შენზე ნადირობა?

მხრები ავიჩეჩე.

- ზავულონის შურისძიება... – შეფმა დაეჭვებით გადააქნია თავი. – არა. ზავულონს ცოტა ხნის წინ შეეჯახე, ეს დარტყმა კი სამ ნახევარი წლის წინ გათვალეს. საკითხად ისევ რჩება – რატომ?

- შეიძლება ანტონი პოტენციურად ძალიან ძლიერი მაგია? – ჩუმად იკითხა სვეტლანამ. – და ბნელებმა გაიგეს ამის შესახებ. თავიანთ მხარეზე გადაბირებას აზრი აღარ აქვს, დაგვიანებულია... და მისი განადგურება გადაწყვიტეს.

- ანტონი იმაზე ძლიერია, ვიდრე ჰგონია, - მოუჭრა შეფმა. – მაგრამ მეორე საფეხურზე მაღლა ვერასოდეს ავა.

- თუ მტრები ჩვენზე შორს იხედებიან და რეალობის განსხვავებულ სურათს ხედავენ? – შეფს თვალებში შევხედე.

- მერე?

- შეიძლება სუსტი მაგი ვიყო, შეიძლება საშუალო ან ძლიერი. მაგრამ... თუ საკმარისია ისეთი უბრალო რამე ჩავიდინო, რაც მაგიასთან საერთოდ არ იქნება კავშირში, და ამით ბალანსის დავარღვიო? ბატონო ბორის, ბნელები ხომ ეცადნენ, სვეტლანას ჩამოვეშორებინე – ესე იგი, რეალობის ისეთ განშტოებას ხედავდნენ, სადაც მე მის დახმარებას შევძლებდი! და თუ სხვა რამესაც ხედავენ? შორეულ მომავალში? და საკმაოდ დიდი ხანია, ხედავენ და ჩემს ნეიტრალიზაციაზე მუშაობენ? თანაც ამასთან შედარებით, შეიძლება, სვეტასთვის ბრძოლა წვრილმანიც კი აღმოჩნდეს...

თავიდან შეფი ყურადღებით მისმენდა. შემდეგ წარბი შეჭმუხნა და თავი გააქნია:

- ანტონ... განდიდების მანია გჭირს. მაპატიე, მაგრამ მე ყველა თანამშრომლის ხაზს ვათვალიერებ, ძირითადი თანამშრომლებიდან დაწყებული, სანტექნიკოსი შურა ბიძიათი დამთავრებული. უკაცრავად, მაგრამ შენ არ გიწერია მომავალში არავითარი დიადი საქმის ჩადენა. რეალობის არც ერთ განშტოებაში.

- ბატონო ბორის, დარწმუნებული ხართ, რომ არ ცდებით?

მოთმინება დამაკარგვინა...

- არა, რა თქმა უნდა. დარწმუნებული ბოლომდე არაფერში არ ვარ. საკუთარ თავშიც კი. მაგრამ ძალიან მცირედია იმის შანსი, რომ ვცდები. დამიჯერე.

მჯეროდა.

შეფთან შედარებით, ჩემი შესაძლებლობები ნულს უტოლდებოდა.

- მაშ ყველაზე მთავარი არ ვიცით – მოტივი?

- ჰო. მიზანში შენ ხარ ამოღებული, ამაში ეჭვი აღარ მეპარება. მკვლელს საკმაოდ დახვეწილად და ზედმიწევნით მართავენ. ფიქრობს, რომ სიბოროტეს ებრძვის, თავად კი დიდი ხანია ძაფებზე ჩამოკონწიალებულ მარიონეტად იქცა. დღეს იმავე რესტორანში მიიყვანეს, სადაც შენ იყავი. მსხვერპლი შემოგტენეს და შენც წამოეგე ანკესზე.

- მაშ – რა ვქნათ?

- მკვლელი უნდა ვეძებოთ. ეს ერთადერთი შანსია, ანტონ.

- ჩვენ ხომ ფაქტობრივად დავღუპავთ.

- ჩვენ არა. ჩვენ მხოლოდ მოვძებნით.

- სულ ერთია. რაც არ უნდა ცუდი იყოს, რაც არ უნდა ტვინი ქონდეს აბნეული, მაინც ჩვენიანია! ბოროტებას ებრძვის. უნდა ავუხსნათ ყველაფერი...

- გვიანია, ანტონ, გვიანი. მისი გამოჩენა მხედველობიდან გამოგვრჩა. ახლა კი იმხელა კვალი სდევს... გახსოვს, როგორ დასრულდა ვამპირი გოგოს ამბავი?

თავი დავუქნიე:

- განსვენება.

- იმ გოგომ გაცილებით ნაკლები დანაშაული ჩაიდინა – ბნელების თვალსაზრისით. და არც იმას ესმოდა, რა ხდებოდა. მაგრამ დღის საგუშაგომ მაინც დამნაშავედ სცნო.

- შემთხვევით სცნო? – იკითხა სვეტლანამ. – თუ – პრეცედენტი შექმნა?

- ვინ იცის... ანტონ, მკვლელი უნდა იპოვნო.

თვალები გავუსწორე.

- იპოვნო და ბნელებს გადასცე, - მკაცრად წარმოთქვა შეფმა.

- რატომ მე?

- იმიტომ, რომ მხოლოდ ჩემთვისაა ეს მორალურად დასაშვები. შენ ხარ მიზანში. შენ მხოლოდ თავს იცავ. ნებისმიერი ჩვენგანისთვის ნათელი მაგის, თუნდაც სტიქიურად მოქმედის, მოტყუებულის, ან თვითნასწავლის, გადაცემა მეტისმეტად შოკისმომგვრელი იქნებოდა. შენ კი გაუძლებ.

- არ ვარ დარწმუნებული.

- გაუძლებ. და გაითვალისწინე, ანტონ. მხოლოდ ეს ერთი ღამე გაქვს. დღის საგუშაგო დროს აღარ გაწელავს, დილით ფორმალურ ბრალს წაგიყენებენ.

- ბატონო ბორის...

- გაიხსენე! გაიხსენე, ვინ იმყოფებოდა რესტორანში? ვინ გაყვა შავ მაგს ტუალეტში?

- არავინ. დარწმუნებული ვარ, სულ იქით ვიყურებოდი, ველოდი, როდის გამოვიდოდა, - ჩაერთო სვეტლანა.

- გამოდის, რომ მკვლელი მაგს ტუალეტში ელოდებოდა. მაგრამ ხომ უნდა გამოსულიყო. გახსოვთ? სვეტა, ანტონ?

ჩვენ ხმას არ ვიღებდით. მე არ მახსოვდა. ვცდილობდი შავი მაგისთვის არ შემეხედა.

- ერთი ადამიანი კი გამოვიდა, - თქვა სვეტლანამ. – ნუ... ისეთი რა...

დაფიქრდა.

- არაფრით გამორჩეული. თითქმის შეუმჩნეველი. საშუალო ადამიანი, თითქოს მილიონობით სახე შეურიესო და ერთი ადამიანი გამოძერწეს. ერთი კი შევხედე და მაშინვე დამავიწყდა.

- გაიხსენე, - მოსთხოვა შფმა.

- ბატონო ბორის... არ შემიძლია. ჩვეულებრივი ადამიანი იყო. მამაკაცი. საშუალო ასაკის. ვერც კი გავიგე, რომ სხვანაირი იყო.

- სტიქიური შესაძლებლობების სხვანაირია. ბინდში არც გადადის, ზედ კიდესთან ბალანსირებს. სვეტა, გაიხსენე! სახე... ან რაიმე განსაკუთრებული ნიშნები.

სვეტლანამ შუბლი მოისრისა:

- რომ გამოვიდა... მაგიდას მიუჯდა... მაგიდასთან ქალი იჯდა. ლამაზი, ქერათმიანი. მაკიაჟს ისმევდა, ისიც შევამჩნიე, რომ „ლიუმენის“ კოსმეტიკას ხმარობდა, მეც მაგას ვისვამ ხოლმე ხანდახან... ძვირი არ ღირს, თანაც კარგია...

ყველაფრის მიუხედავად, მაინც გამეღიმა.

- რაღაცით უკმაყოფილო ჩანდა, - დაუმატა სვეტამ. – გაიღიმა, მაგრამ ცერად. თითქოს კიდევ უნდოდა, მჯდარიყო, მაგრამ მოულოდნელად წასვლა მოუწია...

სვეტლანა ისევ დაფიქრდა.

- ქალის აურა! – მკაცრად მოსთხოვა შეფმა. – გახსოვს! აურის ანაბეჭდი მაჩვენე!

შეფმა ხმას აუწია, და ტონი შეცვალა. რა თქმა უნდა, რესტორანში მისი ხმა არავის გაუგონია, მაგრამ ადამიანების ქცევაზე მაშინვე აისახა, ზოგს კრუნჩხვითმა გრიმასებმა გადაუარა, ოფიციანტს, რომელსაც სინი მოჰქონდა, ფეხი დაუცდა და ღვინის ბოთლი და რამდენიმე ბროლის ფუჟერი გატეხა.

სვეტლანამ თავი გააქნია – შეფმა ისე ბუნებრივად გადაიყვანა ტრანსის მდგომარეობაში, თითქოს უბრალო ადამიანი ყოფილიყოს. სვეტას გუგები გაუფართოვდა და გოგოსა და შეფის სახეებს შორის მსუბუქი ცისარტყელის ხაზი გაევლო.

- გმადლობ, სვეტა, - უთხრა ბატონმა ბორისმა.

- გამომივიდა? – გაკვირვებულმა იკითხა სვეტლანამ.

- კი. შეგიძლია თავი მეშვიდე საფეხურის მაგად ჩათვალო. მოვახსენებ, რომ ჩათვლა პირადად მივიღე. ანტონ!

ახლა მე შევხედე შეფს თვალებში.

რყევა ვიგრძენი.

ენერგიის ნაკადი, ადამიანებისთვის უხილავი.

ხატება.

არა, მკვლელის მეგობარი გოგოს სახე არ დამინახავს. მისი აურა შევამჩნიე, რასაც გაცილებით მეტი ძალა აქვს. მოლურჯო-მოცისფრო ფენები, ერთმანეთში ნაყინივით გადარეული, პატარა ყავისფერი ლაქა, თეთრი ზოლი. საკმაოდ რთული აურა, დასამახსოვრებელი, და, საბოლოო ჯამში, ლამაზი. თავი ცუდად ვიგრძენი.

უყვარს.

უყვარს, და რაღაცაზე წყდება გული, და ფიქრობს, რომ ქმარს აღარ უყვარს, და მაინც ითმენს – და მზად არის კიდევ მოითმინოს...

ამ ქალის კვალს გავყვები და მკვლელს მივაკვლევ. და ტრიბუნალს გადავცემ – რითაც უცილობელი სიკვდილისთვის გავწირავ.

- არა... – განვაცხადე.

შეფმა თანაგრძნობით შემომხედა.

- ამ ქალმა რაღა დააშავა! ვერ ხედავთ, რომ უყვარს?

ყურებში გულის გამაწვრილებელი მუსიკა კვნესოდა, და არავის არ ჰქონია რეაქცია ჩემს ყვირილზე. გინდა იატაკზე იხოხე, გინდ სხვის მაგიდებში გაძვერი – კაციშვილი ყურადღებას არ მოგაქცევს, ფეხებს შეატყუპებენ, ასწევენ და ინდური კერძების შთანთქმას გააგრძელებენ...

სვეტლანა გვიყურებდა – აურა კი დაიმახსოვრა, მაგრამ გაშიფვრა ვერ მოახერხა... ეს უკვე მეექვსე საფეხურია...

- მაშინ შენ დაიღუპები, - გამაფრთხილა შეფმა.

- ვიცი, რაზეც...

- იმათზე არ გიფიქრია, ვისაც შენ უყვარხარ, ანტონ?

- ამის უფლება არ მაქვს.

ბატონმა ბორისმა ცერად ჩაიცინა:

- გმირი... ოჰ, რა თავგადაკლული გმირები ვართ ყველანი... ხელები როგორი ფითქინა გვაქვს, ფეხები ნეხვზეც კი არ დაგვიდგამს... და ის ქალი გახსოვს, აქედან რომ გაიყვანეს? გახსოვს, ბავშვები როგორ ღრიალებდნენ? ისინი ხომ ბნელები არ არიან. ჩვეულებრივი ხალხია... რომელთა დაცვაც ჩვენ გვევალება. როგორ ვწონით და ვზომავთ თითოეულ გეგმიურ ოპერაციას? რატომ უჭაღარავდებათ ანალიტიკოსებს, მე რომ ყოველ ყუთში წყევლა-კრულვას არ ვაკლებ, თმა ორმოცდაათი წლის ასაკში?

fb.com/groups/elib

სულ ცოტა ხნის წინ მე ვტუქსავდი ასე მკაცრად და მედიდურად სვეტლანას, ახლა კი მე მაწნიდა შეფი სილას...

- შენ საგუშაგოს სჭირდები, ანტონ! სვეტაც სჭირდება! აი, ის ფსიქოპატი კი, თუნდაც კეთილი – არაფერში გამოადგება! ხმლის ხელში დაჭერა და ბნელების ქუჩაბანდებში და ტუალეტებში გამოჭერა ადვილია. შედეგებზე როცა არ ფიქრობ, დანაშაულს როცა არ სწონი... სად არის ჩვენი ფრონტი, ანტონ?

- ადამიანებში, - მზერა მოვარიდე.

- ვის ვიცავთ?

- ადამიანებს.

- არ არსებობს აბსტრაქტული ბოროტება, შენ მაინც უნდა გესმოდეს ეს! ფესვები აქ არის, ჩვენს გარშემო, იმ ბრბოს შორის, რომელიც უდარდელად შეექცევა და ხალისობს მკვლელობიდან ერთი საათის შემდეგ! აი, რისთვის უნდა იბრძოლო. ადამიანებისთვის. წყვდიადი – ჰიდრაა, რაც უფრო მეტ თავს მოკვეთ, მით უფრო მეტი წამოეზრდება! ჰიდრებს შიმშილით უღებენ ბოლოს, გესმის? ასობით ბნელს დახოცავ – მათ ადგილას კიდევ ათასი აღმოცენდება. აი, რატომ არის მხეცი დამნაშავე! აი, რატომ მაინცდამაინც შენ უნდა მოძებნო, ანტონ. მოძებნო და აიძულო, სასამართლოს წინაშე წარდგეს. ნებით... თუ ძალით.

შეფი უცებ გაჩუმდა. მოულოდნელად წამოდგა:

- წავედი, გოგოებო...

მე აღარც ვიმჩნევდი ასეთ მიმართვას. წამოვხტი, და უნებური, რეფლექსური მოძრაობით ჩანთას დავავლე ხელი.

შეფი ტყუილუბრალოდ არ აფორიაქდებოდა.

- ჩქარა!

უცებ მივხვდი, რომ იმ ადგილას უნდა შემევლო, სადაც უბედურ მაგს სიკვდილმა მოუსწრო, მაგრამ სიტყვის დაძვრაც ვერ გავბედე. გასასვლელისკენ ისე სწრაფად გავემართეთ, რომ დაცვა უთუოდ შეგვაჩერებდა, ჩვენი დანახვა რომ შეძლებოდა.

- გვიანია, - ჩუმად ჩაილაპარაკა შეფმა კართან. – გადავყევით ლაქლაქს.

რესტორანში სამნი შემოვიდნენ, თითქოს აჩრდილებივით შემოიპარნენო. ორი ბიჭი და ერთი გოგო.

გოგოს ვიცნობდი. ალისა დონიკოვა. დღის საგუშაგოს ჯადოქარი. შეფის დანახვაზე თვალები დაუმგრვალდა.

ფეხად ორი მოუხელთებელი, უხილავი სილუეტი შემოყვა, რომლებიც უხმოდ გადაადგილდებოდნენ ბინდში.

- გთხოვთ, შეჩერდეთ, - ჩახრენწილი ხმით, თითქოს ყელი გაუშრაო, განაცხადა ალისამ.

- გზიდან ჩამომეცალე, - შეფმა ხელი ასწია და ნელა მოატარა ჰაერში. ბნელები კედლებს აეკვრნენ. ალისა იქაჩებოდა, ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია ურყევი კედლისთვის, მაგრამ უშედეგოდ, ძალები არათანაბარი იყო.

- ზავულონ, გიხმობ! – დაიწივლა.

ოჰო. ზავულონს თუ უხმობს, ესე იგი დღის საგუშაგოს წინამძღოლის ერთ-ერთი ნებიერაა!

ბინდიდან კიდევ ორმა ბნელმა ამოყვინთა. ერთი შეხედვით დავადგინე, რომ მესამე-მეოთხე საფეხურის ჯადოქრები იქნებოდნენ. რა თქმა უნდა, ბატონ ბორისამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლდათ, თან მეც შემეძლო, შეფს დავხმარებოდი, მაგრამ დროის გაწელვას კი ნამდვილად მოახერხებდნენ...

ამას შეფიც მიხვდა.

- რა გინდათ? – იკითხა შეფმა მბრძანებლური ტონით. – ახლა ღამის საგუშაგოს დროა.

- დანაშაული მოხდა, - ალისას თვალები უელავდა. – ამ ადგილას და სულ ცოტა ხნის წინ. ჩვენი ძმა მოკლეს, და თანაც მოკლა რომელიღაცა... – მისი ალმოდებული მზერა ხან მე შემომანათებდა, ხან - შეფს.

- ვინ? – იკითხა შეფმა, იმედი ჰქონდა, რომ ჯადოქარი პროვოკაციას წამოეგებოდა.

მაგრამ იმედი გაუცრუვდა. რომ გაერისკა, და მისი სტატუსის გათვალისწინებით, და საკმაოდ უდროოდ, ბატონი ბორისისთვის ასეთი ბრალდება წაეყენებინა, შეფი ეგრევე გააკრავდა კედელზე.

და ერთი წამითაც არ დაფიქრდებოდა ასეთი საქციელის კეთილგონიერებაზე.

- რომელიღაცა ნათელმა!

- ღამის საგუშაგოს წარმოდგენა არ აქვს ბოროტმოქმედზე.

- ჩვენ ოფიციალურად ვითხოვთ დახმარებას.

ჰო. ახლა უკან ვეღარ დავიხევდით. დღის საგუშაგოსთვის დახმარებაზე უარის თქმა ომის გამოცხადების ტოლფასი იყო.

- ზავულონ, გიხმობ! – გაიმეორა ჯადოქარმა. მოკრძალებული იმედი გამიჩნდა, რომ ბნელების წინამძღოლს არ ესმოდა, არ სხვა რამით იყო დაკავებული.

- მზად ვართ თანამშრომლობისთვის, - წარმოთქვა შეფმა ყინულივით ცივი ხმით.

გარს შემოჯარული შავი ჯადოქრების, რომლებმაც წრე შემოგვარტყეს და არ აპირებდნენ ჩვენს გაშვებას, მხრებს მიღმა დარბაზში საზარელ სანახაობას მოვკარი თვალი.

ხალხი საჭმელს ნთქავდა.

ისეთი წკლაპუნი ისმოდა, გეგონებოდათ მაგიდებთან ადამიანები კი არა, ღორები ისხდნენ. უაზრო, გაყინული თვალები, თითები დანა-ჩანგლისთვის ჩაევლოთ, მაგრამ საჭმელს ხელებით ჭამდნენ, პეშვით იღებდნენ, პირში იტენიდნენ, იხრჩობოდნენ, იფურთხებოდნენ. სანდომიანი ხანშიშესული კაცი, რომელიც მშვიდად სადილობდა, სამი დაცვის ბიჭისა და ახალგაზრდა თანამგზავრით გარშემორტყმული, იჯდა და ღვინოს პირდაპირ ბოთლიდან ხვრეპდა. სიმპათიური ახალგაზრდა, აშკარად „იაპის“ მიმდევარი, და მისი სასიამოვნო გარეგნობის მეგობარი გოგო ერთმანეთს თეფშებს სტაცებდნენ და ცხიმიანი სოუსით წუწავდნენ. ოფიციანტები ერთი მაგიდიდან მეორისკენ მიქროდნენ, და გზადაგზა მჭამელებს თეფშებს, ჭიქებს, ბოთლებს, სინებსა და ლამბაქებს ესროდნენ...

ბნელებს გარეშე პირთა ყურადღების გადატანის თავისებური მეთოდები აქვთ.

- თქვენგან ვინმე მკვლელობის მომენტში რესტორანში იმყოფებოდა? – მედიდურად იკითხა ჯადოქარმა.

შეფს ხმა არ ამოუღია.

- დიახ.

- ვინ?

- ჩემი გოგონები.

- ოლგა... სვეტლანა... – ჯადოქარი თვალებით გვხრავდა. – აქ არ იმყოფებოდა სხვანაირი, ღამის საგუშაგოს თანამშრომელი, რომლის ადამიანური სახელია ანტონ გოროდეცკი?

- ჩვენს გარდა აქ საგუშაგოს სხვა თანამშრომლები არ ყოფილან! – სწრაფად წარმოთქვა სვეტლანამ. კარგად გამოუვიდა, ოღონდ ცოტათი ტემპს აუჩქარა. ალისამ შეუბღვირა, მიხვდა, რომ კითხვა ძალიან ბუნდოვნად ჩამოაყალიბა.

- რა მშვიდი ღამეა, - კარიდან ზავულონის ხმა გაისმა.

ძახილზე მოსულიყო...

ვუყურებდი ზავულონს და ვხვდებოდი იმედგაცრუებული, რომ უმაღლეს მაგს შენიღბვა ვერ მოატყუებდა. შეიძლება შეფი ვერ იცნო ილიას სხეულში, მაგრამ ბებერ მელას ერთსა და იმავე მახეში ორჯერ ვერ გააბამ.

- მე მასე არ ვიტყოდი, ზავულონ, - უთხრა შეფმა. – მომაშორე ეს შენი ნაძირალების ამალა, თორემ მე ვიზრუნებ მაგაზე.

ზავულონი ზუსტად ისევე გამოიყურებოდა, როგორც წინა ჯერზე, თითქოს დრო გაჩერდა, თითქოს ყინულოვანი ზამთარი სულაც არ შეუცვლია თბილ, თუმცა დაგვიანებულ, გაზაფხულს. კოსტუმი, ჰალსტუხი, ნაცრისფერი პერანგი, ძველმოდური ვიწრო ფეხსაცმელი. ჩავარდნილი ლოყები, უსიცოცხლო გამოხედვა, მოკლედ შეკრეჭილი თმა.

- ვიცოდი, რომ შევხვდებოდით, - განაცხადა ზავულონმა.

მე მიყურებდა. მხოლოდ მე.

- რა სისულელეა... – ზავულონმა თავი გააქნია. – რისთვის გჭირდება ეს, ჰა?

ზავულონმა ნაბიჯი გადმოდგა, ალისა სასწრაფოდ ჩამოეცალა გზიდან.

- წარმატებული საქმე, კეთილდღეობა, ნაპატივები თავმოყვარეობა... სამყაროს სიამენი – შენს ხელშია, საჭიროა მხოლოდ თავის დროზე მოიფიქრო, რა იქნება ამჯერად სიკეთე... მაგრამ მაინც ვერ ვწვდები. არ მესმის შენი... ანტონ...

- მე კიდევ შენი არ მესმის, ზავულონ, - შეფმა გზა გადაუღობა. შავმა ჯადოსანმა უხალისოდ შეხედა:

- რა არის, ბორის, ბერდები... საყვარლის სხეულში... – ზავულონმა ჩაიხითხითა, - ანტონ გოროდეცკია. ბნელების სერიულ მკვლელობაში ეჭვმიტანილი. დიდი ხანია, მანდ იმალება, ბორის? და ვერ შეამჩნიე, რომ შეგიცვალეს?

ისევ ჩაიხითხითა.

ბნელებს თვალი შევავლე. ჯერ ვერ მიმხვდარიყვნენ, კიდევ ერთი წამი, ნახევარი წამი ჭირდებოდათ...

შემდეგ დავინახე, როგორ ასწია სვეტლანამ ხელები – და ხელის გულებზე გრძნეულის ყვითელმა შუქმა დაიწყო ციმციმი.

მეხუთე საფეხურის ჩათვლა მიღებულია... მაგრამ ამ შეტაკებაში მაინც დავმარცხდებით. ჩვენ სამნი ვართ, ისინი – ექვსნი. თუ სვეტლანა შეტევაზე გადავა, რითაც საკუთარ თავს კი არა, მე დამიცავს, უკვე ყელამდე ჩაფლულს წუმპეში, ნამდვილი სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდება.

წინ გადავხტი.

რა კარგია, რომ ოლგას ნავარჯიშევი და მკვრივი სხეული აქვს. რა კარგია, რომ ჩვენ – თეთრებიც და შავებიც, გადავეჩვიეთ მარტივ ხელჩართულ შეტაკებებს და დიდი ხანია მკლავის ძალა აღარ გამოგვიცდია. რა კარგია, რომ ოლგა, რომელსაც მაგიური შესაძლებლობების დიდი ნაწილი ჩამოართვეს, ამ ხელოვნებას არ უგულებელყოფს.

ზავულონი მოიკეცა და ხროტინი აღმოხდა, როდესაც ჩემი – ან ოლგას – მუშტი მუცელში მოხვდა. ფეხის დარტყმით მუხლებში მოვკეცე და ქუჩაში გავვარდი.

- შეჩერდი! – მიყვირა ალისამ. მის ხმაში ერთდროულად აღფრთოვანებაც იგრძნობოდა, ზიზღიც და სიყვარულიც.

- დაედევნეთ...

„პოკროვკაზე“ მივრბოდი „ზემლიანოი ვალისკენ“. ჩანთა ზურგზე მცემდა... კიდევ კარგი, ქუსლიანი ფეხსაცმელი არ მეცვა. დაუსხლტე... კვალი აუბნიო... ქალაქში თვითგადარჩენის კურსი ყოველთვის მხიბლავდა, მაგრამ ძალიან მოკლე იყო, ან ვინ წარმოიდგენდა, რომ საგუშაგოს თანამშრომელს გაქცევა და დამალვა მოუხდებოდა, და არა გაქცეულების დევნა...

უკან სტვენასავით გაისმა ყმუილის ხმა.

რეფლექსურად გადავხტი, ისე რომ ვერ მოვედი აზრად, რა მოხდა. მეწამული ცეცხლის ნაკადი გამალებით გაიჭრა ქუჩის გასწვრივ, მოსახვევთან გველივით დაიკლაკნა, ეცადა, შემოეხვია, მაგრამ იმდენად დიდი ინერციით მოძრაობდა, რომ ვერ შეჩერდა, შენობის კედელს შეასკდა და ნაცარტუტად აქცია.

ეს ხომ...

ფეხი ამიცდა, და დავეცი, უკან მივიხედე. ზავულონი საბრძოლო კვერთხს ტენიდა, მაგრამ ნელა მოძრაობდა, თითქოს რაღაცა ბოჭავდა, უკან ეწეოდა.

ზავულონის კვერთხი ხომ სასიკვდილოა!

ჩემგან მტვერიც არ დარჩებოდა, „ცეცხლოვანი მახვილი“ ოდნავ მაინც რომ მომდებოდა!

მაშ... მაშ შეფი მაინც მართალი გამოდგა. დღის საგუშაგოს ჩემს ტვინში დაცული ინფორმაცია არაფერში ჭირდებოდა. ჩემი განადგურება უნდოდათ.

ბნელები ჩემს კვალს მისდევდნენ, ზავულონი იარაღს მიმიზნებდა, შეფი სვეტლანას იჭერდა, რომელიც ცდილობდა, დასხლტომოდა... წამოვხტი და ისევ გავვარდი, ახლა უკვე მივხვდი, რომ ვერსად გავიქცეოდი. მხოლოდ ის მიხაროდა, რომ ქუჩაში არავინ იყო. ჩვენი შეტაკება დაიწყო თუ არა, ქვეცნობიერმა შიშმა ხალხი აიძულა, იქაურობა დაეტოვებინა. კარგია, არავინ დაშავდება.

უცებ მუხრუჭების ხმა გაისმა. მოვიხედე და დავინახე, როგორ გაიფანტნენ გუშაგები და გზა გამალებით მქროლავ მანქანას დაუთმეს. მძღოლი, რომელმაც აშკარად ჩათვალა, რომ რომელიღაცა ბანდიტური დაჯგუფების გარჩევაზე მოხვდა, წამით შეჩერდა, შემდეგ სიჩქარეს უმატა.

შეჩერდი... არა, არ შეიძლება.

ტროტუარზე გადავხტი, ჩავიკუზე და იქვე გაჩერებულ „ვოლგას“ ამოვეფარე. შემთხვევითი მძღოლი გავატარე. ვერცხლისფერმა „ტოიოტამ“ ჩამიქროლა და ჩამწვარი მუხრუჭის ხუნდების გამაყრუებელი ღრჭიალით შეჩერდა.

მძღოლის მხრიდან კარი გაიღო და ხელი დამიქნიეს.

წარმოუდგენელია!

ასეთი რამ მარტო იაფფასიან „ბოევიკებში“ თუ ხდება, როდესაც გაქცეულ გმირს შემთხვევითი მანქანა აიყვანს ხოლმე...

ვფიქრობდი, როცა უკანა კარი გავაღე და მანქანაში ჩავხტი.

- ჩქარა, ჩქარა! – დაიყვირა ქალმა, რომლის გვერდითაც აღმოვჩნდი. მაგრამ მძღოლს დაჩქარება არც სჭირებოდა – უკვე მივქროდით. უკან შუქმა იფეთქა და „ცეცხლოვანი მახვილის“ კიდევ ერთი მუხტი გაიჭრა ჩვენი მიმართულებით... მძღოლმა გზა აუქცია და ალმოდებული ნაკადი გაატარა. ქალმა იკივლა.

ნეტა როგორ ხედავენ, რაც ხდება? როგორც ტყვიამფრქვევის ცეცხლი? როგორც სარაკეტო ზალპი? როგორც ცეცხლსატყორცნის გასროლა?

- რატომ შეტრიალდი! – ქალი მძღოლისკენ გადაიწია, აშკარად უნდოდა, ზურგში ჩაერტყა. მისთვის ხელის დაჭრას ვაპირებდი, მაგრამ მანქანის მკვეთრმა მოძრაობამ ქალი უკან გადმოისროლა.

- არ გინდა, - ნაზად მივმართე და საპასუხოდ აღშფოთებული მზერა მივიღე.

რა თქმა უნდა. რომელ ქალს ესიამოვნებოდა მანქანაში ლამაზი, თუმცა გაწეწილი უცხო ქალის შემოვარდნა, რომელსაც შეიარაღებული ბანდიტების მთელი ჯგრო მისდევს... და რომლის გულისთვისაც ქმარმა მოულოდნელად ცეცხლს თავი შეუშვირა.

თუმცა, პირდაპირმა საფრთხემ უკვე ჩაიარა. „ზემლიანოი ვალზე“ გამოვედით და მანქანების ნაკადს შევუერთდით. მტერ-მოყვარეც უკან ჩამოვიტოვეთ.

- გმადლობთ, - მივმართე მძღოლის მოკლედ შეკრეჭილ კეფას.

- ხომ არ დაიჭერით? – არც კი მობრუნებულა.

- არა... დიდი მადლობა. რატომ შეჩერდით?

- იმიტომ, რომ იდიოტია! – ბობოქრობდა ჩემი მეზობელი. სალონის მეორე ბოლოსკენ გაიჩოჩა, თითქოს კეთროვანი ვყოფილიყავი.

- იმიტომ, რომ რეგვენი არ ვარ, - მშვიდად უპასუხა კაცმა. – რას გერჩოდნენ... კარგი, ჩემი საქმე არაა.

- გაუპატიურებას მიპირებდნენ, - დავაბერტყე. ჰო, მშვენიერი ვერსიაა. შუაგულ რესტორანში, მაგიდაზე... თითქოს მოსკოვი კი არა, მთელი თავისი ბანდიტური ხიბლით, არამედ ველური დასავლეთი ყოფილიყოს.

- სად მიგიყვანოთ?

- აქ ჩამომსვით, - მეტროს შესასვლელთან ანთებულ ნიშანს შევხედე. – მე თვითონ მივალ.

- შეგვიძლია სახლში, მიგიყვანოთ.

- არ არის საჭირო. გმადლობთ, თქვენ უკვე იმაზე მეტი გააკეთეთ, ვიდრე შეგეძლოთ.

- კარგი.

კამათი და დარწმუნება არ უცდია. მანქანა შეჩერდა და გარეთ გადმოვედი. ქალს შევხედე და ვთქვი:

- უღრმესი მადლობა...

ქალმა ტუჩები ამიბზუა, კარისკენ გადმოიწია და მომიჯახუნა.

ესეც შენ.

მაგრამ ასეთი შემთხვევები მაინც მაიმედებს, რომ ტყუილად არ ვირჯებით...

თმა შევისწორე და ჯინსი გავიბერტყე. ხალხი ალმაცერად მათვალიერებდა, მაგრამ რადგან პირი არავის დაუღია, ესე იგი, არც ისე საშინლად გამოვიყურები.

რამდენი მაქვს დრო? ხუთი, ათი წუთი, სადამ მდევარი ჩემს კვალს მიაგნებს? თუ შეფი მოახერხებს მათ შეჩერებას?

კარგი კი იქნებოდა. იმიტომ, რომ ნელ-ნელა ვხვდებოდი, რაც ხდებოდა.

და გადარჩენის შანსი მომეცა, თუმცა მცირედი, მაგრამ მაინც.

მეტროსკენ წავედი, გზად ჩანთიდან ოლიას მობილური ამოვიღე. ოლგას ნომრის აკრეფა დავიწყე, მერე შევიკურთხე და ჩემი ავკრიფე.

ხუთი ზუმერი... ექვსი... შვიდი...

ზარი გავთიშე და ისევ ჩემს ნომერზე დავრეკე. ამჯერად ოლგამ მაშინვე მიპასუხა:

- ალო? – გაისმა ვიღაცის ხრინწიანი, მკაცრი ხმა. ჩემი ხმა.

- მე ვარ, ანტონი, - ჩავყვირე. ბიჭი, რომელმაც გვერდით ჩამიარა, გაკვირვებული მომაჩერდა.

- იდიოტო!

ოლგასგან სხვას არც არაფერს მოველოდი.

- სად ხარ, ანტონ?

- საფლავს ვითხრი.

- მაგას ყოველთვის მოასწრებ. რით დაგეხმარო?

- იცი, რაც ხდება?

- კი. ბორისთან კონტაქტი მავს... პარალელურად.

- ჩემი სხეული უნდა დავიბრუნო.

- სად შევხვდეთ ერთმანეთს?

წამით დავფიქრდი.

- სვეტლანასგან შავი ქარბორბალას განდევნა რომ ვცადე... შემდეგ ჩავედი სადგურ...

- გავიგე. ბორისმა ამიხსნა. მოდი ასე ვქნათ – პლუს სამი სადგური წრიულზე, მაღლა და მარცხნივ.

აჰა... სქემით ხელმძღვანელობს.

- გასაგებია.

- შუა დარბაზში. ოც წუთში ვიქნები.

- კარგი.

- წამოგიყოლო რამე?

- წამომიყოლო? ჩემი სხეული არ დაგავიწყდეს. სხვა რაც გინდა, ის წამოაყოლე.

ტელეფონი გავთიშე, მიმოვიხედე კიდევ ერთხელ, და ჩქარი ნაბიჯით გავეშურე სადგურისკენ.

თავი 4

ნოვოსლობოდსკის ცენტრში ვიდექი და ველოდებოდი. ჩვეულებრივი სურათია, როცა არც თუ ისე გვიან, გოგო მეგობარ ბიჭს ელოდება, ან შეიძლება დაქალსაც.

ჩემს შემთხვევაში ორივეს.

მიწის ქვეშ ჩემი მოძებნა უფრო ძნელია, ვიდრე მიწის ზემოთ. საუკეთესო და ყველაზე ძლიერი მაგებიც კი ვერ დააფიქსირებენ ჩემს აურას გრუნტის ფენებში, უძველეს საფლავებში, რაზედაც მოსკოვი დგას, ბრბოში, ხალხის დაძაბული მასის წიაღში. რა თქმა უნდა, შეიძლება სათითაოდ შეემოწმებინათ ყველა სადგური და ჩემი აღნაგობის სხვანაირი ეძებნათ.

მაგრამ იმედი მქონდა, რომ სანამ დღის საგუშაგო ამ სვლაზე გადავიდოდა, ნახევარი ან ერთი საათი მაინც დამრჩებოდა.

რა მარტივად ყოფილა საქმე. რა კოხტად აეწყო თავსატეხი. თავი გავაქნიე და გამეღიმა – და მაშინვე დავიჭირე პანკის ტიპის ყმაწვილის გაოცებული მზერა. არა, მეგობარო, გეშლება. ამ სექსუალურ სხეულს საკუთარ ფიქრებზე ეღიმება...

ისე, მაშინვე უნდა მიმხვდარიყავი, როგორც კი თავსატეხის ცალკეული ნაწილები ერთმანეთს დაემთხვა. შეფი, რა თქმა უნდა, სიმართლეს ამბობდა. არც ისეთი ფასდაუდებელი შენაძენი ვარ, მრავალწლიანი, სახიფათო და დამანგრეველი კომბინაცია რომ ჩაეფიქრებინათ. საქმე სხვა რამეშია, სულ სხვა რამეში...

ჩვენი გამოჭერა უნდოდათ, ჩვენივე სისუსტეებზე წამოგება. სიკეთეზე და სიყვარულზე.

და გამოსდით კიდევაც... ან თითქმის გამოსდით.

უცბად სიგარეტი მომინდა, ძალიან მომინდა, ნერწყვიც კი მომადგა. უცნაურია, იშვიათად ვეწეოდი... ალბათ, ეს ოლგას ორგანიზმის რეაქციაა. წარმოვიდგინე ასი წლის წინ – დახვეწილი ქალბატონი წვრილი სიგარეტით მუნდშტუკში... რომელიღაცა ლიტერატურულ სალონში... ბლოკის ან გუმილევის საზოგადოებაში. მომღიმარი ოლგა, რომელიც მასონობას, ხალხის ხელისუფლებას, სულიერი სრულყოფისკენ მისწრაფებას განიხილავდა...

და, ბოლოსდაბოლოს!

- სიგარეტი ხომ არ გექნებათ? – ვკითხე ახალგაზრდა კაცს, რომელსაც საკმაოდ კარგად ეცვა, და, დარწმუნებული ვიყავი, „ოქროს იავას“ ნამდვილად არ მოწევდა.

ბიჭმა გაკვირვებულმა შემომხედა და „პარლამენტის“ კოლოფი მომაწოდა.

სიგარეტი გამოვართვი, ღიმილით გადავუხადე მადლობა – და მსუბუქი შელოცვით ვაიძულე ხალხს, თვალი აერიდებინა.

ძალიანაც კარგი.

ყურადღება მოვიკრიფე, სიგარეტის წვერი ორას გრადუსამდე გავახურე და მოვქაჩე. დაველოდოთ. დავარღვიოთ პატარა დაუწერელი წესები.

ხალხის ნაკადი უწყვეტად მიედინებოდა, ერთი მეტრით მიქცევდნენ გვერდს, და ვერ გაეგოთ, საიდან მოდიოდა თამბაქოს სუნი. მე კი ვეწეოდი, ფერფლს ფეხებთან ვყრიდი, რამდენიმე მეტრში მდგარ მილიციონერს ვაკვირდებოდი და საკუთარი შანსების გათვლას ვცდილობდი.

გამოდის, არც ისე ცუდადაა საქმე. პირიქით, საკმაოდ კარგადაც. მაგრამ სწორედ ეს მაშფოთებდა.

თუ ამ კომბინაციას უკვე სამი წელია ამზადებენ, მაშინ ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ შეიძლებოდა, თვალები ამხელოდა და საპასუხო სვლა შეემუშავებინათ... მაგრამ საკითხავია, რომელი?

გაკვირვებული მზერა მაშინვე ვერ დავიჭირე და შევკრთი, როცა მივხვდი, რომ ვიღაცა მიყურებდა.

ეგორი.

პატარა, სუსტი ბიჭი, რომელიც ნახევარი წლის წინ საგუშაგოებს შორის გამართულ, ორივე მხარის მიერ მოწყობილ, შეტაკებაში მოხვდა. გახსნილი, მაგრამ მოთამაშეებისთვის ჯერ კიდევ დაურიგებელი კარტი. თუმცა, ასეთი კარტებისთვის არც იბრძვიან.

მისი შესაძლებლობები საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩემი დაუდევარი შენიღბვა დაენახა. თავად შეხვედრას არც გავუოცებივარ. ქვეყანაზე უამრავი შემთხვევითობა გვხვდება, მაგრამ, ამასთან ერთად, არსებობს კიდევ წინასწარ განსაზღვრული შემთხვევა.

- გამარჯობა, ეგორ, - დაუფიქრებლად მივესალმე. შელოცვის წრე გავზარდე და ეგორი შიგნით შემოვუშვი.

შეკრთა, მიმოიხედა. შემდეგ მე მომაჩერდა. რა თქმა უნდა... ოლგას ადამიანურ სხეულში ვერ ხედავდა, ამჩნევდა მხოლოდ თეთრ ბუს...

- ვინ ხართ და საიდან მიცნობთ?

გაზრდილა. გარეგნულად არა, უფრო შინაგანად. ვერ გამიგია, ამდენი ხანი როგორ არ ჩამოყალიბდა და არ დადგა ერთხელ და სამუდამოდ ან სინათლის ან სიბნელის მხარეს. ბინდში ხომ უკვე ნამყოფი იყო... თან ისეთ გარემოებებში მოუწია იქ შესვლა, რომ თავისუფლად შეეძლო ნებისმიერი არჩევანი გაეკეთებინა. მაგრამ მისი აურა ძველებურად სუფთა და ნეიტრალური რჩებოდა.

საკუთარი ბედი. კარგია, როცა საკუთარ ბედს განაგებ.

- ანტონ გოროდეცკი ვარ, ღამის საგუშაგოს თანამშრომელი, - მოვახსენე. – გახსოვარ?

რა თქმა უნდა, ვახსოვდი.

- კი მაგრამ...

- ყურადღება არ მიაქციო. შენიღბვაა, ჩვენ სხეულის შეცვლა შეგვიძლია.

ჯერ ვიფიქრე, რომ ილუზიის კურსი გამეხსენებინა და დროებით დამებრუნებინა ჩემი ძველი იერ-სახე, მაგრამ აღარ დამჭირდა – ბიჭმა დამიჯერა. ალბათ იმიტომ, რომ შეფის ტრანსფორმაცია ახსოვდა.

- რა გინდათ ჩემგან?

- არაფერი. მეგობარს ველოდები... გოგოს, რომელსაც ეს სხეული ეკუთვნის. სრულიად შემთხვევით შევხვდით.

- ვერ ვიტან თქვენს საგუშაგოებს! – იყვირა ეგორმა.

- როგორც გენებოს. არ გეგონოს, რომ დაგდევ. თუ გინდა, წადი.

ამის დაჯერება კი უფრო გაუძნელდა, ვიდრე სხეულის შეცვლის. წარბშეჭმუხნილმა ეჭვის თვალით მიმოიხედა.

რა თქმა უნდა, წასვლა უჭირდა. საიდუმლოს ეზიარა, ისეთი ძალები იგრძნო, რომლებსაც ადამიანური სამყარო ემორჩილება. და უარი თქვა მათზე, თუნდაც დროებით.

მაგრამ წარმომიდგენია, როგორ წყუროდა შესწავლა – თუნდაც პიროკინეზისა და ტელეკინეზის დაუფლება, ჩაგონება, განკურნება, წყევლა... არ ვიცი, ზუსტად რისი შესწავლა უნდოდა, მაგრამ სურვილი აშკარად ეტყობოდა. და არა მხოლოდ ცოდნის სურვილი, არამედ - მისი გამოყენებისაც.

- მართლა არ დამდევთ? – იკითხა როგორც იქნა.

- არა. ტყუილის თქმა არ შეგვიძლია – პირდაპირი მნიშვნელობით.

- საიდან უნდა ვიცოდე... იქნებ ესეც სიცრუეა... – ბიჭმა თვალი მომარიდა და ჩაიბურტყუნა.

ლოგიკურია...

- არ გეცოდინება, - დავეთანხმე. – თუ გინდა, დამიჯერე.

- კი მინდა... – ეგორი ისევ იატაკს უყურებდა. – მაგრამ მახსოვს, სახურავზე რაც მოხდა. ღამღამობით მესიზმრება ხოლმე...

- შეგიძლია ის ვამპირი დაივიწყო, - დავამშვიდე. – აწ უკვე განსვენებულია. სასამართლოს გადაწყვეტილებით.

- ვიცი.

- საიდან? – გამიკვირდა.

- თქვენმა უფროსმა დამირეკა. ის, შენსავით რომ შეიცვალა სხეული.

- არ ვიცოდი.

- დამირეკა... ერთხელ, როცა მარტო ვიყავი სახლში. მითხრა, რომ ვამპირი სიკვდილით დასაჯეს. და კიდევ მითხრა, რომ მე, როგორც პოტენციური, თუმცა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სხვანაირი, ადამიანების სიიდან ამოშლილი ვარ. და არჩევანი ჩემზე არასოდეს შეჩერდება, რომ შემიძლია, მშვიდად ვიყო.

- ჰო, რა თქმა უნდა, - დავეთანხმე. – შენ...

- მე ვკითხე, ჩემი მშობლები თუ დარჩნენ ადამიანების სიაში.

აქ კი ვერაფერი ვუპასუხე. ვიცოდი, შეფი რასაც უპასუხებდა.

- კარგი, წავედი მე... – ეგორმა ერთი ნაბიჯით დაიხია უკან. – სიგარეტი ჩაიწვა.

ნამწვი ძირს დავაგდე, და თავი დავუქნიე.

- საიდან მოდიხარ? გვიანია უკვე...

- ვარჯიშიდან, ცურვაზე დავდივარ. არა, მითხარით, მართლა თქვენ ხართ?

- გატეხილი ჭიქის ფოკუსი გახსოვს?

ეგორს გაეღიმა. ადამიანებზე ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას იაფფასიანი ხრიკები ახდენენ.

- მახსოვს. აი... – ეგორმა გვერდზე გაიხედა და გაჩუმდა.

მივიხედე.

უცნაურია, როცა საკუთარ თავს გვერდიდან აკვირდები. ტიპს, რომელიც ჩვენსკენ მოდიოდა, ჩემი ჯინსი და სვიტრი ეცვა, წელზე დისკმენი მიემაგრებინა და ხელში პატარა ჩანთა ეჭირა. სიარულის მანერა და სახე ჩემი ჰქონდა, ღიმილი – მსუბუქი, ოდნავ შესამჩნევი, ესეც ჩემი იყო, თვალებიც კი, მრუდი სარკე, ჩემი ჰქონდა.

- გამარჯობა, ანტონ, - მომესალმა ოლგა. – საღამო მშვიდობისა, ეგორ.

ბიჭის აქ ყოფნას არ გაუკვირვებია. საერთოდ ძალიან მშვიდი მეჩვენა.

- გამარჯობათ, - ეგორი ხან მე შემომხედავდა, ხან ოლგას. – ანტონი ახლა თქვენს სხეულშია?

- ნამდვილად.

- ლამაზი ხართ. საიდან მიცნობთ?

- ნანახი მყავხარ, მაშინ ისეთ სხეულში ვიყავი, ლამაზს რომ ვერ დაარქმევდი. ახლა კი უნდა გვაპატიო. ანტონს სერიოზული პრობლემები აქვს. უნდა მოვაგვაროთ.

- წავიდე? – ეგორს თითქოს დაავიწყდა, რომ წასვლას აპირებდა.

- კი. არ გეწყინოს, აქ მალე ისეთი ბუღი დატრიალდება, გირჩევნია გაეცალო.

ბიჭმა მე შემომხედა.

- დღის საგუშაგო დამდევს, - დავუზუსტე. – მოსკოვის მთელი ბნელეთი.

- რატომ?

- გრძელი ამბავია. ახლა კი მართლა წადი სახლში.

ცოტა უხეშად კი გამომივიდა. ბიჭმა დამიბღვირა და თავი დამიქნია. ბაქანს გახედა ცერად – მატარებელი ზუსტად ამ დროს შემოდიოდა.

- ხომ დაგიცავთ? – მაინც უჭირდა ჩვენი სხეულების ერთმანეთთან დაკავშირება. – თქვენი საგუშაგო?

- ეცდება, - ტკბილად უპასუხა ოლგამ. – ახლა კი წადი, გთხოვ. ცოტა დრო გვაქვს, და ისიც იწურება.

- კარგად, - ეგორი შეტრიალდა და მატარებლისკენ გაიქცა. მესამე ნაბიჯზე უყურადღებობის წრე გაარღვია, კინაღამ წააქციეს.

- ბიჭი რომ დარჩენილიყო, ვიფიქრებდი, რომ ჩვენს მხარეზე დადგა... – ოლგამ ეგორს თვალი გააყოლა. – ერთი სავარაუდო ხაზები მანახა... მეტროში რატომ გადაიკვეთა თქვენი გზები?

- შემთხვევის საკითხია.

- შემთხვევითობა არ არსებობს. ეჰ, ანტონ, ერთ დროს რა კარგად ვშიფრავდი რეალობის ხაზებს - როგორც გაშლილ წიგნს...

- ერთ კარგ წინასწარმეტყველებაზე უარს არ ვიტყოდი.

- ჭეშმარიტი წინასწარმეტყველება დაკვეთით არ მოდის. კარგი, საქმეზე გადავიდეთ. გავცვალოთ სხეულები?

- კი. ახლავე.

- როგორც გინდა, - ოლგამ ხელები გამოიწოდა – ჩემი ხელები – და მხრებზე მომჭიდა. იდიოტური შეგრძნება იყო, გაორებული. ეტყობა, ოლგამაც იგივე იგრძნო, ჩაიცინა:

- რა არის, ანტონ, ასე მალე როგორ გაები მახეში. მე კიდევ რა გრანდიოზულ გეგმებს ვაწყობდი ამ საღამოს...

- მადლობა ხომ არ მეთქვა ჩვენი ძებნილისთვის, გეგმები რომ ჩაგიშალა?

ოლგამ ძალები მოიკრიბა, აღარ იღიმოდა.

- კარგი. დავიწყეთ.

ერთმანეთთან ზურგით დავდექით, და ხელები ჯვარივით გავშალეთ. ოლგას თითებს მოვუჭირე – საკუთარ თითებს...

- დამიბრუნე ჩემი სხეული... – წარმოთქვა ოლგამ.

- დამიბრუნე ჩემი სხეული... – გავიმეორე.

- ჰესერ, გიბრუნებთ ძღვენს.

შევკრთი, როცა მივხვდი, რომ ოლგამ შეფის ნამდვილი სახელი წარმოთქვა. თან რა სახელი!

- ჰესერ, გიბრუნებთ ძღვენს! – მჭახე ხმით გაიმეორა ოლგამ.

- ჰესერ, გიბრუნებთ ძღვენს!

ოლგა უძველეს ენაზე გადავიდა – სიტყვებს ისე რბილად და კეთილხმოვნად წარმოთქვამდა, გეგონებოდათ, მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა. მაგრამ გულისტკივილით ვგრძნობდი, რამხელა ძალისხმევად უჯდებოდა ოლგას ეს მაგიური ზემოქმედება, ზოგადად უმნიშვნელო მეორე საფეხურის ძალისთვის.

სხეულის შეცვლა დაჭიმულ ზამბარას ჰგავს. ჩვენი ცნობიერება ერთმანეთის სხეულებში მხოლოდ ბატონი ბორისის – ჰესერის – მაგიური ენერგიის წყალობით ჩერდება. საკმარისია უარი გვეთქვა ჩვენში ჩადებულ ძალაზე, რომ ჩვენს წინანდელ იერ-სახეს დავიბრუნებდით. რომელიმე ჩვენგანი პირველი თანრიგის მაგი რომ ყოფილიყო, ფიზიკური კონტაქტიც არ დაგვჭირდებოდა, ყველაფერი გარკვეული მანძილიდან მოხდებოდა.

ოლგამ ხმა აღიმაღლა – უარყოფის ფინალური ფორმულა წარმოთქვა.

რამდენიმე წამის განმავლობაში არაფერი ხდებოდა. შემდეგ რაღაცამ სხეული გამიკავა, შემანჯღრია, თვალები ამემღვრა, დამიბნელდა, თითქოს ბინდში ვიძირებოდი. წამიერად სადგურს შევავლე თვალი – მთლიან სადგურს, თავისი

მტვრიანი ფერადი ვიტრაჟებით, ჭუჭყიანი იატაკით, ხალხის მდორე მოძრაობით, ნაირფერი აურებით, ორი მფეთქავი სხეულით, თითქოს ერთმანეთს აცვესო...

შემდეგ რაღაც ძალამ საკუთარი სხეულის გარსში შემაგდო და მომამწყვდია.

- აუ... – დავისისინე, და იატაკზე დავვარდი, ხელები ბოლო მომენტში მოვიშველიე. კუნთები მიკრთოდა, ყურებში მიწუოდა. უკუგადასვლა გაცილებით არასასიამოვნო გამოდგა, ალბათ იმიტომ, რომ შეფი არ ატარებდა.

- კარგად ხარ? – იკითხა ოლგამ მისუსტებული ხმით. – ოჰ... რა საზიზღარი ხარ...

- რა არის? – შევხედე გოგოს.

ოლგა უკვე დგებოდა, დისკომფორტისგან სახე დამანჭვოდა.

- უკაცრავად, მაგრამ... ტუალეტში მაინც შეგევლო.

- ზავულონის ნებართვის გარეშე?

- კარგი... დაივიწყე. ანტონ, კიდევ თხუთმეტი წუთი გვაქვს. მოყევი.

- რა, მაგალითად?

- რაც გაიგე. მიდი. მარტო სხეულის დაბრუნება არ გენდომებოდა, აშკარად რაღაც გაქვს ჩაფიქრებული.

თავი დავუქნიე, გავსწორდი და მტვრიანი ხელები გავიფერთხე. ავდექი მუხლებიდან მტვერი მოვიშორე. იღლიის ქვეშ მჭიდროდ შემოვლებული ქამარი მიჭერდა, რომელიც რევოლვერის ბუდეს იჭერდა... ცოტათი უნდა მოვუშვა. მეტრო თითქმის დაცარიელდა, ხალხის ძირითადი ნაკადი გაედინა, სამაგიეროდ დარჩენილებს, რომელთაც გადაჭედილ გადასასვლელებში გზის გაკვლევა აღარ უწევდათ, ფიქრისთვის მოეცალათ – სხვადასხვა აურების ელვარებამ იფეთქა, უცხო ემოციების გამოძახილები ჩამესმა.

რამდენად შეზღუდული აქვს ოლგას ეს შესაძლებლობები! მის სხეულში გონების დაძაბვა მიწევდა, ადამიანური გრძნობების იდუმალი სამყარო რომ დამენახა. სინამდვილეში, ეს ისეთი ადვილი საქმეა, ძალიან ადვილი... ამით ვერც იამაყებ.

- საგუშაგოს მე არ ვჭირდები, ოლია. საერთოდ არ ვჭირდები. ჩვეულებრივი საშუალო მაგი ვარ.

თავი დამიქნია.

- მაგრამ მე დამდევენ. ეჭვი უკვე აღარ არსებობს. გამოდის... გამოდის, რომ მსხვერპლი კი არა, სატყუარა ვარ. ისეთივე, როგორიც ეგორი, როცა მსხვერპლი სვეტლანა იყო.

- ახლა მიხვდი? – ოლგამ თავი გააქნია. – რა თქმა უნდა, სატყუარა ხარ.

- სვეტლანასთვის?

ოლგამ თავი დამიქნია.

- ახლაღა მივხვდი, - ვაღიარე. – ერთი საათის წინ, როცა სვეტლანამ დღის საგუშაგოსთვის წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა, ძალის მეხუთე საფეხურზე ავიდა. ერთი ხელის მოსმით. შეტაკება რომ მომხდარიყო, ვერ გადარჩებოდა. ჩვენი მართვაც ხომ ადვილია, ოლია. ადამიანებს ნებისმიერი მიმართულებით ადვილად გადაიბირებ, გინდ სიკეთისკენ, გინდ ბოროტებისკენ, ბნელები საკუთარ უნამუსობაზე და თავმოყვარეობაზე, ძალაუფლებისა და დიდების წყურვილზე წამოეგებიან ხოლმე, თეთრების გამოჭერა კი სიყვარულით შეიძლება. ამ საკითხში ბავშვებივით დაუცველები ვართ.

- ჰო.

- შეფმა იცის? – ვკითხე. – ოლია?

- კი.

სიტყვებს ძლივს ამბობდა, თითქოს რაღაცა ყელში უჭერდაო. არ მჯერა! თეთრ ჯადოქრებს, ათასი წელი რომ უცხოვრიათ, არ ახასიათებს სირცხვილი. იმდენჯერ გადაურჩენიათ სამყარო, რომ ეს ეთიკური გასასამართლებელი ფრაზები ზეპირად იციან. დიდებულმა ჯადოქრებმა, თუნდაც ყოფილებმა, არ იციან, სირცხვილი რა არის. თავად მათთვისაც ძალზედ ხშირად უღალატიათ.

გამეცინა.

- ოლია, თავიდანვე მიხვდით? მაშინვე, როგორც კი ბნელების პროტესტი მოვიდა? ჩემზე ნადირობენ, მაგრამ მიზანი სვეტლანას განადგურება იყო?

- კი.

- კი, კი, კი! და მიუხედავად ამისა, არც მე და არც სვეტლანა არ გაგიფრთხილებივართ?

- სვეტლანა უნდა გაიზარდოს, განვითარდეს. ზოგიერთი სტადია ჩვეულებრივზე სწრაფად გაიაროს, - ოლგას თვალებში ცეცხლმა იფეთქა. – ანტონ, როგორც მეგობარს გეტყვი, რომ დიდებული ჯადოქრის მომზადების დრო არ გვაქვს. სვეტლანა კი ისე გვჭირდება, რომ ვერც კი წარმოიდგენ. ძალა საამისოდ ნამდვილად ეყოფა. უფრო გაკაჟდება, ძალის მოკრეფას და გამოყენებას ისწავლის, და რაც ყველაზე მთავარია, მისი შეკავებას ისწავლის.

- მე თუ დავიღუპე – ეს მხოლოდ წყვდიადის მიმართ სიძულვილსა და ნებისყოფას შემატებს?

- კი. მაგრამ შენ არ დაიღუპები, დარწმუნებული ვარ. მკვლელი ძებნაშია, მთელი საგუშაგო ფეხზე დგას. ბნელებს გადავცემთ და ბრალდებაც მოგეხსნება...

- სამაგიეროდ თავის დროზე არაინიცირებული თეთრი მაგი დაიღუპება. უბედური, მარტოსული, გამწარებული, დარწმუნებული, რომ სიბნელეს მარტო ებრძვის.

- ჰო.

- დღეს ყველაფერში მეთანხმები, - ყოველგვარი სიბრაზის გარეშე ვლაპარაკობდი. – ოლგა, მაგრამ ვაი თუ ის, რასაც აკეთებთ სიმდაბლეა.

- არა, - მიპასუხა ოლგამ მტკიცე ხმით. მაშ, ფსონები საკმაოდ მაღალია.

- რამდენი ხანი უნდა გავქაჩო, სინათლის გუშაგო?

ოლგა შეკრთა.

ასეთი მიმართვა ერთ დროს, ძალიან დიდი ხნის წინ, იყო მიღებული საგუშაგოში. სინათლის გუშაგო... მაგრამ რატომღაც ამ ფრაზამ პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა, და ახლა ისევე სასაცილოდ ჟღერს, როგორ მიმართვა „ბატონებო“ ლუდის დახლთან შემოკრებილ ბინძურ ბომჟებში.

- დილამდე მაინც.

- ღამე ჩვენ აღარ გვეკუთვნის. დღეს ბნელებიც გამოვლენ მოსკოვის ქუჩებში და ისეთივე უფლებები ექნებათ, როგორ დღე.

- სანამ მკვლელს არ ვიპოვნით. როგორმე გაუძელი.

- ოლგა... – მივუახლოვდი და ხელისგულით ლოყას შევეხე, წამით გადამავიწყდა ასაკობრივი სხვაობა ჩვენს შორის – რა არის ათასი წელი უსასრულო ღამესთან შედარებით, განსხვავება ძალებში, განსხვავება ცოდნაში. – ოლგა, შენ თვითონ თუ გჯერა, რომ დილამდე ვიცოცხლებ?

ოლგა დუმდა.

თავი დავუქნიე. სათქმელი აღარაფერი მქონდა.

Интересно, интересно,

Себя потерять на рассвете.

Стучаться в прозрачные двери

И знать, что никто не ответит…

ღილაკს დავაჭირე და პლეერი ჩავრთე, ისე რომ სიმღერა არ ამირჩევია. არა იმიტომ, რომ სიმღერა განწყობას არ შეესაბამებოდა, პირიქით.

მიყვარს ღამის მეტრო. თვითონაც არ ვიცი, რატომ. საინტერესო არაფერია, შესცქერი გაყინულ რეკლამებს და ადამიანების ერთფეროვან უღიმღამო აურებს და უაზროდ ელოდები შენს სადგურს. ძრავის გრუხუნი, ღია ფანჯრებიდან შემოჭრილი ჰაერის ნაკადი, რელსებზე ხტუნაობა.

მაგრამ მე მაინც მიყვარს.

რა ადვილია ჩვენი სიყვარულით გამოჭერა.

შევკრთი, ავდექი და კართან მივედი. ისე, ხაზის ბოლომდე კი ვაპირებდი გასვლას.

- რიჟსკაია, შემდეგი სადგური – ალევსკაია...

„Опять молчат напряженно,

Все об одном,

Сегодня клуб прокаженных

Открывает сезон…“

წავა...

ესკალატორზე შევაბიჯე თუ არა, ძალის სუსტმა ნიავმა დამიბერა. შემხვედრ ხაზს დავაკვირდი და მაშინვე შევამჩნიე შავი მაგი.

არა, დღის საგუშაგოს კადრი არ იყო, საშტატო თანამშრომელივით არ იქცეოდა. სუსტი მაგი, მეოთხე-მეხუთე საფეხურის, უფრო მეხუთესი – დაძაბული ათვალიერებდა მის ახლოს მყოფთ, სკანირებას უკეთებდა. ძალიან ახალგაზრდა იყო, ოციოდე წლის, გრძელი ქერა თმა და სასიამოვნო, თუმცა დაძაბული სახე ჰქონდა, ტანთ დაჭმუჭნული, გაღეღილი ქურთუკი ეცვა.

რამ გადაგაწყვეტინა წყვდიადში შესვლა? რა მოხდა, სანამ ბინდში პირველად გადახვიდოდი? შეყვარებულს დაშორდი? მშობლებთან იჩხუბე? გამოცდაზე ჩაიჭერი ინსტიტუტში თუ ორიანი მიიღე სკოლაში? ან იქნებ ფეხზე დაგაბიჯეს ტროლეიბუსში?

რაც ყველაზე საშინელია, გარეგნულად არ შეიცვალე, შეიძლება უფრო გალამაზდი კიდეც. მეგობრებმა მოულოდნელი სიხარულით შენიშნეს, რომ სასიამოვნო და ხალისიანია ჩემთან ურთიერთობა, რომ საკმარისია, ვინმემ შენთან დაიჭიროს საქმე, რომ მაშინვე იღბალი გაუღიმებს. შენმა გოგომ უამრავი აქამდე დაფარული ღირსეული თვისებები აღმოაჩინა, მშობლები სიხარულით ადევნებენ თვალს დასერიოზებულ და ჭკუადამჯდარ შვილს, მასწავლებლები აღფრთოვანებულები არიან ნიჭიერი სტუდენტით.

და არავინ იცის, რის ფასად უჯდებათ გარშემომყოფებს შენთან ურთიერთობა. რა შედეგი ექნება შენს სიკეთეს, ხალისიანობას, თანაგრძნობას.

შავმა მაგმა მზერა შემავლო და ესკალატორის ქვემოთ გადაიტანა... შეკრთა... შეჩერდა...

მომზადების, იერის შეცვლის, აურის დამახინჯების დრო აღარ მქონდა. რას წარმოვიდგენდი, რომ მეტროში უკვე დაწყებულია ჩემი ძებნა.

ცივი, ქარივით გამჭოლი შეხება. ბიჭი ნიმუშს მადარებდა, რომელიც ალბათ მოსკოვის ყველა ბნელს გაუგზავნეს. მოუხერხებლად მადარებდა, ეტყობოდა, როგორი დაუხელოვნებელიც იყო, სულ გადაავიწყდა თავის დაცვა და ვერ შეამჩნია, როგორ შეიჭრა ჩემი ცნობიერება ბინდში გარღვეულ ნაპრალში და მისი ფიქრების კითხვას შეუდგა...

სიხარული. აღფრთოვანება. იპოვნა. ნადავლი. მისი ძალის ნაწილს გადასცემენ. დაუფასებენ. დააწინაურებენ. სახელი. ანგარიშს გაუსწორებს. არ დააფასეს! მიხვდებიან. აზღვევენ.

მაინც იმედი მქონდა, რომ თუნდაც ცნობიერების რომელიღაცა კუთხეში სხვა ფიქრებსაც აღმოვაჩენდი. იმაზე, რომ მტერი ვიყავი, რომ წყვდიადს ვუპირისპირდებოდი, რომ მისთანებს ვანადგურებდი.

არა. ვერაფერი ამის მაგვარი ვერ აღმოვაჩინე. მხოლოდ საკუთარი თავზე ფიქრობდა.

სანამ თავის მოუქნელ საცეცებს ჩემს ცნობიერებას მოაშორებდა, მე ჩემი მოვაცილე. დიდი შესაძლებლობები არ ჰქონდა, მეტროდან დღის საგუშაგოსთან დაკავშირებას ვერ შეძლებდა, არც მოინდომებდა. მისთვის მე კუთხეში მიმწყვდეული მხეცი ვიყავი, თანაც უწყინარი მხეცი, კურდღელი, და არა მგელი.

მიდი, მეგობარო.

მეტროდან გამოვედი, კარის მხარეს გავიჭერი და საკუთარი ჩრდილი მოვძებნე. ზედაპირზე ბუნდოვანი სილუეტი შეირხა. ჩრდილში შევაბიჯე.

ბინდი...

გამვლელები გამჭვირვალე ჩრდილებად იქცნენ, მანქანები ლოკოკინებივით მიიზლაზნებოდნენ, ლამპიონების შუქი მბჟუტავი გახდა, დამძიმდა, ჩამოწვა.

ვჩქარობდი, მინდოდა, გარეთ ავსულიყავი, სანამ მაგი ზემოთ ამომყვებოდა... ძალების შემოტევას ვგრძნობდი, თითქოს ვიღაცას დავემუხტე. ეს უთუოდ ოლგას გაკეთებული იქნებოდა. ჩემს სხეულში უწინდელი შესაძლებლობები დაიბრუნა და ენერგიით ამავსო... და მისი წვეთიც კი არ გამოუყენებია. ასეთი რამ აზრადაც არ მოუვიდოდა, უდიდესი ცდუნების მიუხედავად...

„სად გადის ზღვარი, შენ თვითონ მიხვდები“, - სვეტლანას ვუთხარი. ოლგამ დიდი ხანია იცის, სადაც გადის და ჩემზე გაცილებით უკეთესადაც.

კედლებს ჩავუარე, და ბეტონის მიღმა დამრეც შახტას დავხედე, ესკალატორის ბილიკებს. მუქი ლაქა ზევით მოიწევდა, საკმაოდ სწრაფად, მაგი ჩქარობდა, კიბეებს ახტებოდა, მაგრამ ადამიანური სამყაროდან ჯერ არ გამოსულიყო. ძალებს ინახავდა. მიდი, მიდი...

გავიტრუნე.

ჩემსკენ ბოლქვ-ბოლქვად მოიწევდა ღრუბელი, ნისლის გორგალი, რომელმაც ადამიანის მაგვარი ფიგურა შეიძინა.

სხვანაირი... ყოფილი სხვანაირი.

შეიძლება, ჩვენიანი იყო. შეიძლება – არა. სიკვდილის შემდეგ ბნელებიც სადღაც მიდიან. ეს კი უბრალოდ ბუნდოვანი, გამჭვირვალე კვამლი გახლდათ, ბინდის მარადიული მოხეტიალე.

- მშვიდობა შენ, დაცემულო, - მივმართე. – ვინც არ უნდა იყო.

მოფარფატე სილუეტი ჩემს პირდაპირ გაჩერდა. გამჭვირვალე სხეულიდან ნისლის ენა ამოიწია და ჩემსკენ წამოვიდა.

რა უნდოდა? ბინდის მკვიდრთა ცოცხლებთან კავშირის მცდელობის თითზე ჩამოთვლა შეიძლებოდა!

ხელი – თუკი ამას ხელი ერქვა – უთრთოდა. გახუნებული ბუნდოვანი ქსოვილი ნაწილ-ნაწილ ცვიოდა, ბინდში იხსნებოდა, მიწაზე იბნეოდა.

- ცოტა დრო მაქვს, - ვუთხარი. – დაცემულო, ვინც არ უნდა ყოფილიყავი სიცოცხლეში, შავი თუ თეთრი, მშვიდობა გქონოდეს. რა გინდა ჩემგან?

თეთრი კვამლის ბოლქვები თითქოს ქარის ნაკადმა გაფანტა. აჩრდილი მომიბრუნდა, გამოწვდილმა ხელმა, ახლა უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ნამდვილად ხელი გამომიწოდა, ბინდის მიღმა სადღაც ჩრდილო-დასავლეთით მიმანიშნა. მიმართულებას თვალი გავაყოლე – ცაზე ბჟუტავ ნემსივით წვრილ სილუეტზე მიუთითებდა.

- ჰო... ანძა, გავიგე! რისი თქმა გინდა?

ნისლმა გაფანტვა დაიწყო, წამიც და ბინდი ჩვენს გარშემო ისეთივე ცარიელი გახდა, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე.

ჟრუანტელმა დამიარა. მიცვალებული ცდილობდა, რაღაცა ეთქვა ჩემთვის. მტერი იყო თუ მოყვარე? რჩევას მაძლევდა, თუ მაფრთხილებდა?

რას გაიგებ.

პავილიონის კედლებში, მიწის ქვეშ ჩავიხედე – შავი მაგი ჯერ კიდევ ესკალატორზე იდგა, მაგრამ ზემოთ მოქცეულიყო. ვნახოთ აბა... რა უნდოდა აჩრდილს. ანძისკენ წასვლას არ ვაპირებდი, სხვა, უფრო სარისკო, მაგრამ მოულოდნელი მარშრუტი მქონდა ამორჩეული. მაშ, ოსტანკინოს ანძისგან ჩემს დაცვას აზრი არ ჰქონდა.

მითითება? კი მაგრამ, ვისგან მიიღო? მტერია იყო თუ მოყვარე, საკითხავი ეს არის. ნურავინ იფიქრებს, რომ სიცოცხლის საზღვარს მიღმა განსხვავებები წაშლილია... ჩვენი გარდაცვლილები ბრძოლაში არ მიგვატოვებენ.

მომიწევს, გადავწყვიტო. მომიწევს – მაგრამ ახლა არა.

მეტროს გასასვლელისკენ გავვარდი, სირბილისას ბუდიდან რევოლვერი ამოვიღე.

დროზე მივუსწარი, რადგან შავი მაგი კართან გამოჩნდა და მაშინვე ბინდში გადაინაცვლა. საკმაოდ იოლად – ვხედავდი, რამაც შეაძლებინა ეს. უცხო აურის ამოხეთქვა, სხვადასხვა მხარეს გაყრილი შავი ნაპერწკლები.

ადამიანთა სამყაროში რომ ვყოფილიყავი ხალხის შეჭმუხნილ სახეებს დავინახავდი – დაღმეჭილს გულის ტკივილისგან ან გულისტკივილისგან, რაც გაცილებით უფრო მძიმეა.

შავი მაგი აქეთ-იქით იხედებოდა, ჩემს კვალს ყნოსავდა. გარშემომყოფთაგან ძალების ამოქაჩვა არ იცოდა, ტექნიკის კი საერთოდ არაფერი გაეგებოდა.

- წყნარად, - მივმართე და ზურგში პისტოლეტის ლულა მივადე. – წყნარად. ხომ მიპოვნე. მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ამით ბედნიერი იყო.

მეორე ხელით მტევანი დავუჭირე, რომ პასის ჩატარების საშუალება არ მიმეცა. ყველა ეს მოთავხედო ახალგაზრდა ჯადოქარი სტანდარტული, ყველაზე მარტივი და მძლავრი შელოცვებით სარგებლობს. ეს კი ორივე ხელის რთული მოძრაობების გამოყენებას გულისხმობს.

მაგს ხელისგული გაუოფლიანდა.

- წავედით, - შევთავაზე. – დავილაპარაკოთ.

- შენ... შენ... – ვერაფრით დაეჯერებინა მომხდარი. – შენ ანტონი ხარ! კანონის მიღმა ხარ!

- დავუშვათ, მაგრამ შენთვის რა შეღავათია?

თავი მოაბრუნა – ბინდში სახე მოეღრიცა, უწინდელი მიმზიდველობა და კეთილგანწყობა დაკარგა. არა, ჯერ არ მიეღო საბოლოო ბინდისეული იერ-სახე,

ზავულონის მსგავსად. მაგრამ სახე მაინც არაადამიანური ჰქონდა. მეტისმეტად გამოწეული ქვედა ყბა, ბაყაყისებრი ფართო პირი, წვრილი ამღვრეული თვალები.

- მაგარი მახინჯი კი ყოფილხარ, მეგობარო, - კიდევ ერთხელ მივაჭირე ზურგში პისტოლეტი. – ეს იარაღია, ვერცხლის ტყვიებით დატენილი, თუმცა არც ეს არის აუცილებელი. ბინდისეულ სამყაროში ისევე ეფექტურად იმოქმედებს, როგორც ადამიანურში... შედარებით ნელა, მაგრამ შენ ეს მაინც ვერ გადაგარჩენს. პირიქით, იგრძნობ, როგორ ფლეთს ტყვია სხეულს, როგორ მიარღვევს კუნთების ქსოვილებს, ძვლებს ამსხვრევს, ნერვებს გლეჯს...

- არ იზამ ამას!

- რატომ?

- რატომ და შენი საქმე წასულია, მე თუ მომკლავ!

- მართლა? მაშ, ჯერ კიდევ მაქვს შანსი? იცი რა, ძლივს ვიკავებ თავს, სასხლეტს თითი რომ არ გამოვკრა. წავედით, პატარა ნაძირალა!

შავ მაგს ორ დახლს შორის ვიწრო გასასვლელისკენ წავუძეხი, გზადაგზა პისტოლეტს ვაჭერდი ზურგში. ლურჯი ხავსი, რომელიც უხვად მოსდებოდა კედლებს, შეირხა. ბინდისეულ საფარს ძალიან უნდოდა, ჩენი ემოციები მოესინჯა... ჩემი მრისხანება, მისი შიში. მაგრამ უტვინო მცენარეებსაც ყოფნიდათ თვითგადარჩენის ინსტინქტი.

შავი მაგი ამ თვისებით ჭარბად დაეჯილდოვებინათ.

- მისმინე, რა გინდა ჩემგან? – წამოიყვირა. – მითითებები მოგვცეს, შენი მოძებნა გვიბრძანეს! მე მხოლოდ ბრძანებას ვასრულებდი! გუშაგო, მე შეთანხმებას პატივს ვცემ!

- აღარ ვარ გუშაგი... – ხელი ვკარი და კედელს მივახეთქე, ლურჯი ხავსის ალერსიან საფარს. ცოტა შიში შთაენერგა მისთვის, თორემ სხვანაირად ვერ დავილაპარაკებდით. – ვის მიყავს ნადირობა?

- დღის საგუშაგოს.

- უფრო ზუსტად?

- ხელმძღვანელს... არ ვიცი, რა ქვია...

სავარაუდოდ, სიმართლეს ამბობდა. სამაგიეროდ, მე ვიცოდი.

- კონკრეტულად მეტროს ამ სადგურზე გამოგიშვეს?

ყოყმანობდა.

- თქვი, - იარაღი მაგს მუცელში დავუმიზნე.

- კი.

- მარტო ხარ?

- კი.

- ტყუი. თუმცა, არ აქვს მნიშვნელობა. რა უნდა გაგეკეთებინა, როცა მიპოვნიდი?

- მეთვალთვალა...

- ტყუი. აი, ამას კი აქვს მნიშვნელობა. დაფიქრდი და თავიდან მიპასუხე.

ჯადოქარი დუმდა... ეტყობა, ლურჯ ხავსს ზედმეტი მოუვიდა.

სასხლეტს თითი გამოვკარი და ტყვიამ მხიარული წუილით გადალახა ერთი მეტრი, რომელიც გვაშორებდა. ჯადოქარმა მისი დანახვაც ვერ მოასწრო – თვალები დაუმრგვალდა, და უფრო ადამიანური ფორმა მიიღო, მაგი ადგილიდან დაიძრა, მაგრამ მეტისმეტად დააგვინდა.

- ჯერ მხოლოდ დაგჭერი, - დავამშვიდე. – თანაც მსუბუქად.

მიწაზე ეგდო და ტკივილისგან იკლაკნებოდა, ხელებს ჭრილობას უჭერდა მუცელში. სისხლი ბინდში თითქმის გამჭვირვალედ მომეჩვენა. შეიძლება ილუზიაა, კონკრეტულად ამ ჯადოქრისთვის დამახასიათებელი თვისება.

- მიპასუხე!

ხელი ავიქნიე და ლურჯ ხავსს ცეცხლი წავუკიდე. საკმარისია, ახლა შიშზე, ტკივილზე, სასოწარკვეთაზე ვითამაშოთ. გვეყოფა მოწყალება, გვეყოფა შეწყნარება, გვეყოფა საუბრები.

ეს წყვდიადია.

- მიბრძანეს... მეცნობებინა და თუ შევძლებდი... გამენადგურებინე.

- არა დაგეკავებინე, არამედ გაგენადგურებინე?

- ჰო...

- პასუხი მიღებულია. როგორ უკავშირდებოდით ერთმანეთს?

- ტელეფონით... უბრალო ტელეფონით...

- მომეცი.

- ჯიბეში...

- მესროლე.

მოუხერხებლად ჩაიყო ხელი ჯიბეში – ჭრილობა სასიკვდილო არ იყო, ჯადოქარს წინააღმდეგობის კიდევ დიდი ძალა შემორჩენოდა, მაგრამ საზარელ ტკივილს განიცდიდა.

ისეთს, როგორის ღირსიცაა.

- ნომერი? – ვკითხე, ტელეფონი რომ დავიჭირე.

- სწრაფი აკრეფის ღილაკზე...

ეკრანს დავხედე.

პირველი ციფრებით თუ ვიმსჯელებდით, ტელეფონი ნებისმიერ ადგილას შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთივე მობილური.

- ოპერატიული შტაბია? სად მდებარეობს?

- მე არ... – გაჩუმდა, პისტოლეტს რომ შეხედა.

- გაიხსენე, - გავამხნევე.

- მითხრეს, რომ ხუთი წუთის განმავლობაში მოვლენ.

მაშ ასე.

უკან მივიხედე და ცაში ანთებულ ისარს შევავლე თვალი. ადვილად შესაძლებელია.

ჯადოქარი ამოძრავდა.

არა, თვალი რომ მოვარიდე, მისი პროვოკაცია სულ არ მინდოდა. მაგრამ როდესაც ჯიბიდან კვერთხი ამოიღო – ბლაგვი, მოკლე, აშკარად ნაყიდი იაფფასიანი იარაღი, და არა თავისი ნაკეთობა, ცოტა მომეშვა.

- მიდი, - მივმართე, როცა წამით გაშეშდა, ვერ გადაეწყვიტა, გამოეყენებინა იარაღი, თუ არა. – მესროლე!

ბიჭი დუმდა, ადგილიდან არ იძვროდა.

შეტევაზე რომ გადმოსულიყო, მთელს მჭიდეს დავაცლიდი. აი, ეს კი უკვე სასიკვდილო იქნებოდა. მაგრამ თეთრებთან კონფლიქტის დროს ქცევის კურსი ალბათ გავლილი ჰქონდა, და ესმოდა, რომ უიარაღო და დაუცველი მაგის მოკვლა გამიჭირდებოდა.

- გამიწიე წინააღმდეგობა, - მივმართე. – შემებრძოლე! ნაბიჭვარო, მაშინ რატომ არ იბნეოდი, სხვის ცხოვრებას რომ ანგრევდი, უსუსურებს ესხმოდი თავს! მიდი!

ჯადოქარმა ტუჩები მოილოკა – გრძელი და ბოლოში ოდნავ გაჭრილი ენა აღმოაჩნდა. და მოულოდნელად მივხვდი, რომელ ბინდისეულ იერს მიიღებდა ადრე თუ გვიან, და შემეზიზღა.

- გნებდები, შემიწყალე, გუშაგო. შებრალებას და მართლმსაჯულებას ვითხოვ.

- საკმარისია დაგტოვო, რომ მაშინვე დაუკავშირდები, - ვუთხარი. – ან გარშემომყოფთ იმდენ ენერგიას გამოწოვ, რომ რეანიმაცია შეძლო და ტელეფონთან მიხვიდე. ხომ ასეა? ორივემ იცით, რომ ასეა.

შავმა მაგმა გაიღიმა და გაიმეორა:

- შებრალებას და მართლმსაჯულებას ვითხოვ, გუშაგო!

ხელში პისტოლეტს ვათამაშებდი, და მის დამცინავ სახეს ვათვალიერებდი. ყოველთვის მზად იყვნენ, ეთხოვათ, გაღება კი არასდროს უნდოდათ.

- ჩვენი ორმაგი მორალის გაგება ყოველთვის მიჭირდა, - მივმართე. – ძალიან მიჭირდა და არ მსიამოვნებდა. ამას მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ხვდები, მე კიდევ დრო ძალიან ცოტა მაქვს... როდესაც თავის გამართლებაზე ფიქრობ. როცა ყველას დაცვა არ შეგიძლია. როცა იცი, რომ განსაკუთრებულ განყოფილებაში ყოველდღიურად აწერენ ხელს ლიცენზიებს... ლიცენზიებს წყვდიადისთვის გადაცემული ადამიანებზე. დასანანია, არა?

მოულოდნელად მის სახეს ღიმილი მოშორდა. შელოცვასავით გაიმეორა:

- შებრალებას და მართლმსაჯულებას ვითხოვ, გუშაგო...

- მე ახლა გუშაგის არ ვარ, - ვუპასუხე.

პისტოლეტი შეირხა, ახმაურდა, ნელა და ზანტად ეცემოდა საკეტი და რიგრიგობით ისროდა მასრებს. ტყვიები ჰაერში დაიძრნენ, კრაზანების პატარა, გაავებული გუნდის მსგავსად.

მხოლოდ ერთხელ დაიყვირა, შემდეგ ორმა ტყვიამ თავის ქალა ნაფლეთებად უქცია. როცა პისტოლეტმა გაიჩხაკუნა და გაჩუმდა, მე ნელა, ავტომატურად გადავტენე მჭიდე.

შავი მაგის გაფლეთილი, დასახიჩრებული სხეული ჩემს წინ ეგდო. ბინდიდან უკვე გამოდიოდა, და მისი ახლაგაზრდა სახიდან წყვდიადის გრიმი ირეცხებოდა.

ხელი მოვატარე ჰაერში, ვცდილობდი რაღაცა მოუხელთებელი, უხილავი საგნისთვის შემევლო, რომელიც ჰაერში მიედინებოდა. უკიდურესი ფენა. შავი ჯადოქრის გარეგნობის კალკი.

ხვალ იპოვნიან. მშვენიერ, დიდებულ, ყველასთვის საყვარელ ახალგაზრდა კაცს. მხეცურად მოკლულს. რამდენი ბოროტება შევიტანე ახლა ადამიანურ სამყაროში? რამდენი ცრემლი, რამხელა სიმწარე, ბრმა სიძულვილი? რა ჯაჭვი მოყვება ამას მომავალში?

სამაგიეროდ რამხელა სიბოროტე მოვაშთე? რამდენი ადამიანი იცოცხლებს უფრო დიდხანს და უკეთესად? რამდენი ცრემლი აღარ დაიღვრება, რამხელა ბოღმა აღარ დაგროვდება, რამხელა სიძულვილი აღარ წარმოიშობა?

შეიძლება ახლა სწორედ იმ ბარიერს გადავაბიჯე, რომლის გადალახვაც არ შეიძლება.

შეიძლება შემდეგი ზღვარი შევიცანი, რომლის გადალახვაც აუცილებელია.

პისტოლეტი ბუდეში ჩავიდევი და ბინდიდან გამოვედი.

ოსტანკინოს ანძა ნემსივით ჩხვლეტდა ცას.

- მოდი, წესების გარეშე ვითამაშოთ, - ვთქვი. – ყოველგვარი წესების გარეშე.

მანქანა მაშინვე დავიჭირე, ისე რომ მძღოლებისთვის ალტრუიზმის შეგრძნებაც არ გამიღვიძებია. იმიტომ ხომ არა, რომ აქ უკვე გარდაცვლილი სავი მაგის ნიღაბი ამეფარებინა... მეტისმეტად მომხიბლავი ნიღაბი?

- სატელევიზიო ანძისკენ წავედით, - მივმართე მძღოლს, როცა შელახულ „ნოლ ექვსში“ ჩავჯექი. – სწრაფად იარე, დაკეტვას უნდა მივუსწროთ.

- გასართობად მიდიხარ? – ღიმილით მკითხა გამხდარმა კაცმა, სათვალით, რომელიც რაღაცით დაბერებულ შურიკას მაგონებდა ძველი კომედიებიდან.

- ჰო, აბა, - ვუპასუხე. - თან რა კარგად უნდა გავერთო, ხომ ვერ წარმოიდგენ.

თავი 5

ანძაზე ჯერ კიდევ უშვებდნენ ხალხს. ბილეთი ვიყიდე, კიდევ რესტორანში შესვლის ფულიც დავამატე და მწვანე მოედანზე გავედი, ანძას გარს რომ ევლებოდა. ბოლო ორმოცდაათი მეტრი ბილიკი გადახურული გასასვლელის ქვეშ გადიოდა. საინტერესოა, რისთვის ააშენეს? უძველესი ნაგებობიდან წარამარა ცვიოდა დაფშვნილი ბეტონი.

გადასასვლელი პატარა ჯიხურით მთავრდებოდა, რომელიც გამშვები პუნქტის დანიშნულებას ასრულებდა. პასპორტი წარმოვადგინე და მეტალის დეტექტორში გავიარე, რომელიც, სხვათა შორის, არ მუშაობდა. ამით ყველანაირი ფორმალობა მორჩა, სულ ეს იყო სტრატეგიული ობიექტის დაცვა...

ახლა ეჭვებმაც შემომიტია. რაც არ უნდა თქვა, აქ წამოსვლა უცნაური იდეა იყო. ახლომახლო ბნელების კონცენტრაციას ვერ გრძნობდი. თუ აქ იმყოფებოდნენ, მაშინ ისე ოსტატურად იმალებოდნენ, რომ მეორე-მესამე თანრიგის ჯადოქრებთან მომიწევდა შეტაკება. ეს კიდევ თვითმკვლელობას უდრიდა.

შტაბი. დღის საგუშაგოს ოპერატიული შტაბი, ნადირობის კოორდინაციის მიზნით განლაგებული... ჩემზე ნადირობის. სხვაგან კიდევ სად მიაწვდიდა ინფორმაციას გამოუცდელი მაგი იდენტიფიცირებული ნადავლის შესახებ?

მაგრამ შტაბში შეპარვა, სადაც სულ მცირე ათი ბნელი მაინც იქნებოდა, მათ შორის ოპერატიული მუშაკები... ყულფში საკუთარი ნებით თავის გაყოფა სისულელეა და არა გმირობა, თუ კიდევ დარჩა გადარჩენის რაიმე შანსი. მე კიდევ ღრმად მწამდა, რომ შანსი ჯერ კიდევ მქონდა.

ქვემოდან, ბეტონის საყრდენებიდან, ტელეანძა გაცილებით უფრო შთამბეჭდავ სანახაობას წარმოადგენდა, ვიდრე შორიდან. დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოველების დიდი ნაწილი სათვალთვალო მოედანზე არც კი ამოსულა, და ანძას მხოლოდ ზეცის უცილობელ სილუეტად მიიჩნევს, უტილიტარულსა და სიმბოლურს და ვერ აღიქვამს, როგორც დასასვენებელ ადგილს. აქ, ისევე როგორც აეროდინამიური მილის ჩახლართულ კონსტრუქციაში, ქარი დათარეშობდა და ყურთასმენამდე ძლივს აღწევდა ანძის ოდნავ გასაგონი, გაბმული ხმა.

ვიდექი და გისოსებსა და ნაპრალებს, ბეტონის ღრმულებს, გასაოცრად გრაციოზულ, მოქნილ სილუეტს ვათვალიერებდი. ანძა ხომ მართლაც რომ მოქნილია... ბეტონის რგოლები გაჭიმულ ბაგირებზე. ძალა მოქნილობაშია. მხოლოდ მოქნილობაში.

შემდეგ შუშის კარი გავიარე.

უცნაურია, მე მეგონა, რომ ღამის მოსკოვზე სამაც ოცდაათ მეტრზე მეტი სიმაღლიდან გადმოხედვის სურვილის უამრავ ადამიანს ექნებოდა. თუმცა, არა. ლიფტშიც კი მარტო ავდიოდი... უფრო სწორედ, მე და ერთი ქალი მომსახურე პერსონალიდან.

- მეგონა, ბევრი ხალხი იქნებოდა, - აღვნიშნე გულითადი ღიმილით. – ყოველთვის ასეა საღამოობით?

- არა, საერთოდ ბევრი ხალხია ხოლმე... – მიპასუხა ქალმა განსაკუთრებული გაოცების გარეშე, მაგრამ ხმაში გარკვეული შეცბუნება მაინც შევამჩნიე. ღილაკებს მიაჭირა, ორმაგი რაბის კარი დაიხურა. მომენტალურად ყურები დამიგუბდა და იატაკს მივეკარი – ლიფტი სწრაფად, მაგრამ გასაოცრად რბილად აიჭრა ზევით. – ორი საათია, რაც ხალხი აღარ გამოჩენილა.

ორი საათი.

რესტორნიდან ჩემი გაქცევისთანავე.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

თუ ანძაზე სწორედ ამ დროს გაშალეს ოპერატიული შტაბი... სულაც არ არის გასაკვირი, რომ ასობით ადამიანმა, რომელიც გაზაფხულის ნათელ, თბილ დღეს ზეციურ რესტორანში აპირებდა ასვლას, გადაიფიქრა და მოულოდნელად შეცვალა გეგმები. ადამიანები ვერ ხედავენ, მაგრამ გრძნობენ.

და ჰყოფნით საიმისო ჭკუა, რომ წყვდიადის მსახურებს ახლოს არ მიეკარონ, მიუხედავად იმისა, რომ არანაირად არ არიან დაკავშირებული მომხდართან.

რა თქმა უნდა, მე შავი მაგის იერ-სახე მაქვს. საკითხავი ისაა, საკმარისია თუ არა შენიღბვა? დაცვა ჩემს სახეს მეხსიერებაში ჩადებულ სიას შეადარებს... ყველაფერი დაემთხვევა... იგრძნობს ძალის არსებობას...

დაიწყებს თუ არა სიღრმეების ქექვას? დაიწყებს თუ არა ძალის პროფილის შემოწმებას, იმის გარკვევას, ნათელი ვარ თუ ბნელი, რომელ საფეხურზე ვიმყოფები?

ორმოცდაათი ორმოცდაათზე. ერთის მხრივ, აუცილებელია. მეორეს მხრივ დაცვა ყოველთვის და ყველგან უგულებელყოფს ამ საქმეს. ან აუტანელი მოწყენილობისგან კვდებიან, ან ახალ მისულებს მომეტებული ენთუზიაზმი მოსვენებას არ აძლევთ.

საბოლოო ჯამში, ორმოცდაათი შანსი ასიდან ძალიან, ძალიან ცოტაა, დღის საგუშაგოსგან ქალაქის ქუჩებში დამალვის შანსებთან შედარებით.

ლიფტი გაჩერდა. იმდენად სწრაფად ავიდა, რომ აზრზეც ვერ მოვედი, სულ რაღაც ოცი წამი მოანდომა. ასეთი სიჩქარე ჩვეულებრივი მრავალსართულიანი შენობების ლიფტებს რომ ჰქონდეთ...

- მოვედით, - თითქმის მხიარულად შესძახა ქალმა. როგორც ჩანდა, ოსტანკინოს ანძის ბოლო დამთვალიერებელი ვიყავი.

სათვალთვალო მოედანზე გავედი.

აქ, ჩვეულებრივ, ბევრი ხალხი იკრიბება ხოლმე. ერთი შეხედვით გაარჩევდით, ვინ ცოტა ხნის წინ ამოვიდა და ვის კარგა ხანი დაეყო – გაუბედავი მოძრაობებით, იმით, თუ როგორი სიფრთხილით უახლოვდებოდნენ წრიულ ფანჯარას, როგორ დაბოდიალობენ ჭერიდან იატაკამდე ჩაშენებულ ბრონირებულ შუშების გარშემო და დროდადრო მიადებენ ხოლმე ფეხის წვერს შეშინებულები, ნერვიულად ამოწმებენ შუშის სიმყარეს.

მოედანზე სულ ოცამდე ადამიანი თუ იქნებოდა. ბავშვები საერთოდ არ ჩანდნენ – და რატომღაც წარმოვიდგინე ისტერიკის უეცარი შეტევები, ბავშვებს რომ დაემართებოდათ ანძასთან მიახლოებისას, დაბნეული და გამწყრალი მშობლები სახეები... ბავშვები ხომ უფრო მგრძნობიარეები არიან წყვდიადის მიმართ.

ისინიც, ვინც მოედანზე შემორჩენილიყო, დაბნეული და დათრგუნული ჩანდნენ. მათ არ იტაცებდა ქვემოთ გაშლილი მოსკოვი – ნეონის შუქებით განათებული, საზეიმოდ

მორთული ღამის ქალაქი, კაშკაშა და მოელვარე... ლხინი ჭირიანობის დროს, მაგრამ მაინც ლამაზი ლხინი. მაგრამ ახლა ეს არავის ახარებდა. ირგვლივ წყვდიადის სუნთქვა ისმოდა, ჩემთვისაც უხილავი, მაგრამ საგრძნობი, დამძიმებული და მთრგუნავი, როგორც მხუთავი გაზი, რომელსაც არ გემო აქვს, არც ფერი და არც სუნი.

ფეხებზე დავიხედე, ჩრდილი დავიჭირე და შევაბიჯე.

გვერდზე, რამდენიმე ნაბიჯში, მთელს კედელზე დატანებულ ფანჯარასთან დაცვა იდგა, და გულითადი, თუმცა ოდნავ გაოცებული სახით მაკვირდებოდა. ბინდში ცოტა გაუბედავად ეჭირა თავი, და მივხვდი, რომ შტაბის მცველად მაინცდამაინც საუკეთესო რესურსები არ გამოუყვიათ. ჩასხმული ახლაგაზრდა კაცი ნაცრისფერ კოსტუმსა და თეთრ პერანგში გამოწყობილიყო, მუქი ჰალსტუხი ეკეთა, ბანკის თანამშრომელს უფრო ჩამოგავდა, ვიდრე ბნელეთის მსახურს.

- გამარჯობა, ანტონ, - მომმართა ჯადოსანმა.

წამით სუნთქვა შემეკრა.

ნუთუ ასეთი სულელი ვარ? საშინელი, გამოუსწორებელი მიამიტი?

და მთელი ამ ხნის განმავლობაში მელოდებოდნენ, მიტყუებდნენ, სასწორზე ერთი პაიკის სიცოცხლეც შეაგდეს, ვიღაცა, ბინდში უხსოვარ დღეს გადასული არსებაც ჩართეს...

- აქ რას აკეთებ?

გული გამიჩერდა, მაგრამ მალევე აღიდგინა რითმი. ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივად იყო.

მოკლული შავი ჯადოქარი ჩემი მოსახელე გამოდგა.

- რაღაცა შევამჩნიე. უნდა დავილაპარაკოთ.

დაცვამ დამიბღვირა. ეტყობა, ლაპარაკის მანერა მქონდა სხვანაირი. მაგრამ მაინც ვერაფერი გაეგო.

- ანტონ, გამოტყდი. თორემ არ შეგიშვებ, შენ თვითონაც იცი.

- უნდა გამიშვა, - წამოვისროლე ალალბედზე. ჩვენს საგუშაგოში ნებისმიერს შეეძლო ოპერატიულ შტაბში შესვლა, თუ მისი ადგილმდებარეობა იცოდა.

- ვითომ რატომ? – გამიღიმა, მაგრამ მარჯვენა ხელი ნელა ჩააცურა ქვემოთ...

საქამრეზე მიმაგრებული კვერთხი ბოლომდე დაეტენა. ძვლის კვერთხი ჰქონდა, წვივის ძვლისგან საგულდაგულოდ გამოთლილი, ბოლოში პატარა ლალის თვლით.

თავი რომც ამერიდებინა, რომც შემეფარებინა – ძალის ასეთი ამოხეთქვა ირგვლივ ყველა სხვანაირს დააფეთებდა.

იატაკიდან საკუთარი ჩრდილი ავზიდე და ბინდის მეორე შრეში გადავეშვი.

სიცივე.

ბოლქვ-ბოლქვად ჩამოწოლილი ნისლი... არა, ნისლი კი არა, ღრუბლები. დედამიწის ზედაპირთან მოძრავი ნოტიო, მძიმე ღრუბლები. ოსტანკინოს ანძა სადღაც გამქრალიყო, სამყარომ ადამიანურობის ბოლო ნიშანწყალიც დაკარგა. ღრუბლის ქულაზე, გაჟღენთილ, დაბერილ წვეთებზე, უხილავ ბილიკზე შევაბიჯე. დრომ სვლა შეანელა – სინამდვილეში ვარდებოდი, მაგრამ ისე ნელა, რომ ვერც შეამჩნევდი. მაღლა ცაზე სამი მთვარე ანათებდა – თეთრი, ყვითელი და სისხლისფერი, და ბუნდოვანი ლაქებით არღვევდა ღრუბლის საფარს. ჩემს წინ მეხის გორგალი გაჩნდა, დაიბერა, დაიმუხტა და ღრუბლებში დაიძრა, გზადაგზა განტოტვილ არხებს წვავდა...

გაურკვეველ ჩრდილს მივეახლე, რომელიც ნელა, ტანჯვით ცდილობდა, წელზე მიმაგრებულ კვერთხს მოსჭიდებოდა. ხელს მივწვდი – მძიმე, ჯიუტ, ყინულივით ცივ ხელს. ვერ დავიჭირე. ბინდის მეორე შრე უნდა გამოვარღვიო, პირველში გადავიდე და იქ გავაგრძელო შეტაკება. გამარჯვების მცირედი შანსით.

ჯანდაბა, მე ხომ ოპერატიული მუშაკი არ ვარ! არც მიცდია წინა რიგებში გარღვევა! მაცადეთ რა იმ საქმის კეთება, რაც მიყვარს და ვიცი!

სინათლესა და წყვდიადს მოვუწოდე, მაგრამ ორივე დუმდა, როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, როცა იხმობდი. მხოლოდ დამცინავმა ხმამ, რომელიც ზოგჯერ ყველას ესმის ხოლმე, მიჩურჩულა: „სუფთა სამუშაოს არავინ შეგპირებია“.

ფეხებში დავიხედე. ტერფები ათი სანტიმეტრით უფრო დაბლა მქონდა, ვიდრე შავ ჯადოქარს. ვეცემოდი, ამ რეალობაში ყველანაირ საყრდენს მოკლებული ვიყავი, აქ ვერავითარ ტელეანძას და მის ვერანაირ ანალოგებს ვერ ვხედავდი – არ არსებობდა არც სალი კლდეები და არც აშოლტილი ხეები.

როგორ მინდა, სუფთა ხელები, მხურვალე გული და ცივი გონება მქონდეს. მაგრამ რატომღაც ეს სამი ფაქტორის თანაარსებობა გამორიცხული იყო. სრულიად გამორიცხული. მგელი, თხა და კომბოსტო – სად იყო ის შეშლილი გადამზიდავი, ყველას ერთად ერთ ნავში რომ შეყრიდა?

ნეტა ის მგელი მანახა, თხას რომ კბილს ჩაასობდა და მენავის შესანსვლაზე უარს იტყოდა.

- ღმერთმა იცის... – ვთქვი. ჩემი ხმა ღრუბლებში ჩაიკარგა. ხელი დავუშვი, შავი ჯადოქრის ჩვარივით მოშვებული, სივრცეში გათხაპნული ჩრდილი ავიტაცე, ავზიდე, სხეულს ჩამოვაგე – და შავი მაგი ბინდის მეორე შრეში შევაგდე.

დაიყვირა, როცა სამყარომ ჩვეული საიმედოობა დაკარგა. ალბათ, თავის შრეზე უფრო ღრმა საფეხურზე არ გადასულა. ექსკურსიას ჩემი ენერგიით ვასაზრდოებდი, მაგრამ შეგრძნებები აბსოლუტურად უცხო იყო მისთვის.

შავი მაგის მხრებს დავეყრდენი და ქვემოთ გადავისროლე. თვითონ კი დაუნდობლად გადავუარე მის მოხრილ ზურგს და ზევით ავიჭერი.

„დიდებული ჯადოქრები წიაღსვლისთვის ყოველთვის სხვის მხრებს იყენებენ...“

- ანტონ, შე ნაბიჭვარო!

შავი მაგი ვერც კი მიხვდა, მე ვინ ვიყავი. ვერ მიხვდა მანამ, სანამ არ მოტრიალდა და სახეში არ შემომხედა. ძირს განრთხმულიყო, მე კი მის ზურგზე შევმდგარიყავი. აქ, ბინდის მეორე საფეხურზე უხეში შენიღბვა, რა თქმა უნდა, არ მოქმედებდა. თვალები გაუფართოვდა, მოკლე ხროტინი აღმოხდა, დაიზმუვლა და ფეხში წამავლო ხელი.

ჯერ ვერ გაეგო, რას ვაკეთებდი... რატომ ვაკეთებდი.

ზედიზედ რამდენჯერმე დავარტყი, ქუსლებით კი თითებსა და სახეში ვცემდი. სხვანაირისთვის ასეთი დარტყმები ასატანია, მისთვის ფიზიკური ზიანის მიყენება არც მიცდია. ქვემოთ, ქვემოთ, ჩავარდი, შეერიე რეალობის ყველა შრეს, ადამიანურ სამყაროსა და ბინდს, სივრცეების მერყევ ზედაპირს. არც დრო მქონდა და არც საიმისო შესაძლებლობები, რომ ასეთი სრულფასოვანი დუელი მეწარმოებინა შავ მაგთან, საგუშაგოების ყველა კანონის დაცვით, ახალგაზრდა სხვანაირებისთვის დადგენილი წესების მიხედვით, მათი სიკეთისა და ბოროტების, დოგმების ურყეობისა და ანგარიშსწორების გარდაუვალობის რწმენის გათვალსიწინებით.

როცა ჩავთვალე, რომ წყვდიადის გუშაგი საკმარისად ღრმად ჩავმარხე, გამოვეცალე ძირს განრთხმულ სხეულს, ცივ ნესტიან ნისლში ავიჭერი და ბინდიდან გამოვვარდი.

და მაშინვე ადამიანურ სამყაროში, სათვალთვალო მოედანზე აღმოვჩნდი.

შუშის ფილაზე ვიჯექი ფეხმორთხმით, უეცარი სპაზმური ხველა მახრჩობდა და თავიდან ფეხებამდე სველი ვიყავი. უცხო სამყაროს წვიმას ნიშადურისა და ნამწვის სუნი ასდიოდა.

სუსტი ოხვრა ჩამესმა – ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა, უკან იხევდა ჩემს დანახვაზე.

- ყველაფერი კარგადაა! – დავიხროტინე. – გესმით?

მათი თვალები ვერაფრით დამეთანხმებოდნენ. კედელთან მდგარი ფორმიანი კაცი, ანძის ერთგული მოსამსახურე, გაშეშებული სახით ცდილობდა ბუდიდან პისტოლეტის ამოღებას.

- თქვენივე ინტერესებისთვის, - წარმოვთქვი, თან ხველის ახალი შეტევა მახრჩობდა. – გაიგეთ?

ძალას ამოხეთქვისა და მათი ცნობიერების შეხების საშუალება მივეცი. ხალხს სახეები დაუმშვიდდა, გაუსწორდა. ნელ-ნელა ჩამომშორდნენ და ფანჯრებისკენ გაიწიეს. დაცვა გაირინდა, ხელი გახსნილი ბუდისთვის არ მოუცილებია.

მხოლოდ ახლა დავიხედე ფეხებში. და გავშტერდი.

შავი მაგი აქ იყო, ყვიროდა, ჩაშავებულ და გაფართოებულ თვალებში შიში და ტკივილი ჩაბუდებოდა. შუშის ქვემოთ ეკიდა, თითის წვერები შუშაში ჩაფლობოდა, სხეული ქანაობდა, როგორც ქანქარა ქარის დაბერვაზე, თეთრი პერანგის სახელო სისხლით გაჟღენთოდა. კვერთხი ისევ წელზე ეკეთა, სულ გადავიწყნოდა. ახლა მაგს მთელი ყურადღება ჩემზე ჰქონდა გადმოტანილი, მე კიდევ სამმაგი ბრონირებული შუშის, სათვალთვალო მოედნის მშრალი, თბილი და ნათელი გარსის მიღმა, სიკეთისა და ბოროტების მიღმა ვიმყოფებოდი. მე, ნათელი მაგი, რომელიც მის გვერდით ვიდექი და შეშლილ თვალებში ვუყურებდი.

- შენ გეგონა, რომ ყოველთვის კეთილსინდისიერად ვიბრძვით? - ვკითხე. რატომღაც მეგონა, რომ გაიგებდა, შუშის მიღმაც და ქარის ღრიალის მიუხედავად. ავდექი და შუშას ქუსლი დავარტყი. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ – არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ დარტყმა შუშას შეზრდილ თითებამდე ვერ მიაღწევდა.

მაგი შეკრთა და უნებურად, თითქოს გონებას კი არა, უფრო ინსტინქტებს ემორჩილებოდაო, ხელი მოახლოვებულ ქუსლს მოაშორა.

სხეულმა ვეღარ გაუძლო.

წამით შუშა სისხლით შეიღება, მაგრამ სხეული მაშინვე ქარმა მოწყვიტა. დარჩა მხოლოდ შავი მაგის სილუეტი, რომელიც სულ უფრო მცირდებოდა და ჰაერის ნაკადის დაბერვაზე ტრიალებდა. სადღაც ქვემოთ მიექანებოდა, ბარისკენ „სამი გოჭი“, ანძის ძირას არსებული ხალხმრავალ დაწესებულებასთან.

ჩემს ცნობიერებაში მოწიკწიკე უხილავმა საათმა გაიჩხაკუნა და დარჩენილი დრო ერთი ხელის მოსმით შეამცირა.

შუშას მოვშორდი და წრეს შემოვუარე, ხალხს კი არ ვუყურებდი – ისინი თვითონ ჩამომეცალნენ, არამედ ბინდში ვიყურებოდი. არა, დაცვა მეტი აღარ იყო. ახლა უნდა გავიგო, თავად შტაბი სად იმყოფება. ზემოთ, ანძის სამსახურებრივ ოთახებში, აპარატურას შორის? არა მგონია. ალბათ უფრო კომფორტულ გარემოში.

ქვემოთ რესტორნებისკენ მიმავალ კიბესთან დაცვის კიდევ ერთი თანამშრომელი იდგა. ერთი შეხედვით დავადგინე, რომ ზემოქმედება უკვე მოეხდინათ, თანაც სულ ცოტა ხნის წინ. კიდევ კარგი, მეტად ზედაპირული ზეგავლენით შემოიფარგლნენ.

და ძალიან კარგი, რომ ზეგავლენა საერთოდ საჭიროდ ჩათვალეს. ცუდიც არის და ამავე დროს კარგიც.

დაცვამ პირი გააღო, უნდოდა, დაეყვირა.

- ჩუმად! მომყევი! – ვუბრძანე.

დაცვა ხმისამოუღებლად გამომყვა.

ტუალეტში შევედით – ანძის პატარა უფასო ატრაქციონი, მოსკოვის ყველაზე მაღალი პისუარი, ხომ არ გნებავთ ღრუბლებში საკუთარი კვალი დატოვოთ... ხელით ვანიშნე – ერთ-ერთი კაბინიდან მუწუკებიანი თინეიჯერი გამობოდიალდა, შარვლის შეკვრით, კაცმა, რომელიც იქვე ახლოს პისუართან იდგა, რაღაც დააყრანტალა, მაგრამ შეჩერდა და გაციებული სახის გამომეტყველებით გაგვეცალა.

- გაიხადე, - ვუბრძანე დაცვას, და სველი სვიტრის გახდა დავიწყე.

ბუდე ისევ ნახევრად ღია დარჩა, „უდაბნოს არწივი“ ძველ „მაკაროვზე“ გაცილებით უფრო დიდი იყო. მაგრამ ეს ნაკლებად მაღელვებდა. მთავარია, ფორმა მომერგო.

- სროლის ხმას თუ გაიგებ, - დავარიგე დაცვა, - ქვემოთ ჩამოხვალ და შენს მოვალეობას შეასრულებ. გაიგე?

თავი დამიქნია.

- გაქცევ სინათლის მხარეს, - წარმოვთქვი გადმობირების ფორმულა. – განაგდე წყვდიადი, დაიცავ სინათლე. განიჭებ სინათლისა და სიბნელის გარჩევის უნარს. გაძლევ რწმენას, რომ სინათლის გზით იარო და შთაგბერავ წყვდიადთან ბრძოლის შემართებას.

ოდესღაც მეგონა, რომ მოხალისეთა მოზიდვის უფლებას ვერასდროს გამოვიყენებდი. არჩევანის რა თავისუფლება აქვთ მათ, ჭეშმარიტ წყვდიადთან მიმართებაში? როგორ შეიძლება ადამიანი ჩვენს თამაშებში ჩააბა, როცა თავად საგუშაგოები ამ პრაქტიკის საპირისპიროდ დაარსდა?

ახლა ყოყმანის გარეშე ვმოქმედებდი. იგივე ხრიკი გამოვიყენე, როგორც ბნელებმა, როცა მცველს შტაბის დაცვა დაავალეს... მიანდეს ყოველი შემთხვევისთვის, როგორც პატარა ძაღლს მიანდობენ ხოლმე ბინის დაცვას, მართალია არ იკბინება, სამაგიეროდ ჭაჭყანი შეუძლია. სწორედ ამ საქციელმა მომცა უფლება, მცველი მეორე მხარეს გადამებირებინა. ეს კაცი ხომ არც ბოროტი იყო, არც კეთილი, ზომიერად მოსიყვარულე ცოლი ჰყავდა, მოხუცი მშობლები, რომელთაც დაუზარელად ეხმარებოდა, პატარა გოგო და მოზრდილი ბიჭი პირველი ქორწინებიდან, ღმერთის მსუბუქი რწმენა ჰქონდა, ჩახლართული მორალური პრინციპები და რამდენიმე სტანდარტული ოცნება... ჩვეულებრივი ადამიანი.

პატარა საზარბაზნე ცოცხალი იარაღი სინათლისა და წყვდიადის არმიებისთვის.

- შენთან არს ნათელი, - განვუცხადე. და პატარა, საცოდავმა ადამიანმა თავი დამიქნია, სახე გაუნათდა. თვალებში ფანატიზმის ცეცხლმა იფეთქა. ზუსტად ასე შეჰყურებდა შავ მაგს ორიოდე საათის წინ, რომელიც უგერგილო ბრძანებას აძლევდა და ჩემს სურათს აჩვენებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემს სველ და აყროლებულ ტანსაცმელში გამოწყობილი დაცვა კიბესთან იდგა. მე კი ქვემოთ მივდიოდი და ვცდილობდი გამეაზრებინა, რა უნდა გამეკეთებინა, თუ შტაბში ზავულონი ან რომელიმე სხვმა მისი რანგის მაგი აღმოჩნდებოდა?

ამ შემთხევაში ჩემი შესაძლებლობებით ხუთწუთიან შენიღბვაზეც ვერ გავქაჩავდი.

ბრინჯაოს დარბაზი... კარი შევაღე და ამ სულელურ წრიულ ვაგონ რესტორანს შევავლე თვალი. წრე, მასზე დამონტაჟებული მაგიდებით, ნელა ბრუნავდა.

რატომღაც მეგონა, რომ ბნელები შტაბს ოქროს ან ვერცხლის დარბაზში განათავსებდნენ. და დანახულმა სურათმა ცოტათი გამაცა კიდევაც.

ოფიციანტები უსიცოცხლო თევზებივით დაცურავდნენ, და მაგიდებთან სპირტიანი სასმელები მიჰქონდათ, რომელიც აქ, სხვათა შორის, აკრძალულია. ჩემს პირდაპირ, ორ მაგიდაზე კომპიუტერული ტერმინალები გაემართათ, რომელზედაც რამდენიმე მობილური მიეერთებინათ. ანძის უთვალავ საკომუნიკაციო კაბელებთან შეერთება არ უცდიათ... რაც იმაზე მიუთითებს, რომ შტაბი დიდი ხნით არ გაუმართავთ. სამი ახალგაზრდა გრძელთმიანი კაცი გულდასმით მუშაობდა – თითები კლავიატურაზე ცეკვავენ, ეკრანზე სტრიქონები მოძრაობენ, საფერფლეებში სიგარეტები ხრჩოლავდნენ. ბნელი პროგრამისტები არ მენახა, მაგრამ ესენი, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ოპერატორები იყვნენ, და არა სისტემური ადმინისტრატორები. და არაფრით განსხვავდებოდნენ ქსელთან მიერთებულ ნოუთბუქს მიმჯდარი ჩვენი საგუშაგოს მაგებისგან. შეიძლება, ზოგიერთებზე უფრო მოწესრიგებულადაც გამოიყურებოდნენ...

- სოკოლნიკები მთლიანად დაფარულია, - თქვა ერთ-ერთმა ბიჭმა, არც თუ ისე მაღალი ხმით, მაგრამ მისმა ხმამ მთელს წრეზე დაიჭექა და მორბენალი ოფიციანტები დააფეთა.

- ტაგანსკო-კრასნოპრესნენსკის ხაზი კონტროლდება, - გამოეხმაურა მეორე. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და გაეცინათ. ალბათ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი უფრო ადრე მიაწვდიდა რაპორტს საკუთარი მონაკვეთის შესახებ.

დამიჭირეთ, დამიჭირეთ...

რესტორანი გავიარე და ბარისკენ გავემართე. არ მომაქციოთ ყურადღება. უსუსური ადამიანი, რომელიც შემთხვევით დანიშნეს მცველ გოშიად. ახლა კი ლუდის დალევა მოუნდა – სულ დაკარგა პასუხისმგებლობის გრძნობა... ან ახალი პატრონების

უსაფრთხოების შემოწმება მოინდომა. ღამის საგუშაგოში მბრძანებლის ბრძანებით ოცეული გაგზავნეს... ტარამ-პამ-პამ, ტარა-რა-რა...

ლუდის დახლთან ხანში შესული ქალი მექანიკური მოძრაობით აპრიალებდა ჭიქებს. როცა გაჩერდი, უხმოდ დაიწყო კათხაში ლუდის დასხმა. ცარიელი და ჩაშავებული თვალები ჰქონდა, მარიონეტად ქცეულიყო, და მრისხანების უეცარი დამაბრმავებელი აფეთქების ჩასახშობად დიდი ძალისხმევა დასჭირდა. არ შეიძლება. არ აქვს ემოციების გამოხატვის უფლება. მეც მანქანა ვარ. თოჯინებს გრძნობები არ აქვთ.

შემდეგ ბარის პირდაპირ მაღალ მბრუნავ პუფზე შემომჯდარ გოგოს მოვკარი თვალი და გული გამიჩერდა.

როგორ არ ვიფიქრე ამაზე?

მოწინააღმდეგე მხარეს ნებისმიერი ოპერატიული შტაბის შესახებ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია. და ყველა შტაბში მეორე მხარის დამკვირვებელი უნდა იყოს. ეს შეთანხმების ნაწილია, თამაშის ერთ-ერთი იმ წესთაგანი, რომელიც ორივე მხარისთვის სარგებლიანია – თუმცა სარგებელი შეიძლება მოჩვენებითი იყოს. ჩვენს შტაბშიც, თუ გაშლილია, ბნელებისგან რომელიღაცა იმყოფება.

აქ ბოკვერი იჯდა.

თავიდან გოგოს მზერამ ყოველგვარი ინტერესის გარეშე ჩამიარა, და უკვე ვიფიქრე, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

შემდეგ მზერა ისევ ჩემზე გადმოიტანა.

უკვე ხედავდა ადამიანს, მცველს, რომლის იერ-სახეც მიმეღო. და რაღაც არ ემთხვეოდა მეხსიერებაში შენახულ შტრიხებს, რამაც მისი მღელვარება გამოიწვია. ორიოდე წამის შემდეგ ბინდიდან შემომხედა.

მე ვიდექი გაუნძრევლად, არც მიცდია დამალვა.

გოგომ თვალი მომარიდა და მის პირდაპირ მჯდარ მაგს შეხედა. სუსტი ჯადოქარი არ გახლდათ – ასაკით დაახლოებით ასი წლის იქნებოდა, ძალის საფეხური კი მესამეზე ნაკლები არ ექნებოდა. სუსტი არ იყო, უბრალოდ მოჭარბებული თვითკმაყოფილება ახასიათებდა.

- თქვენი საქციელი მაინც პროვოკაციაა, - მშვიდი ხმით განუცხადა. – დღის საგუშაგო დარწმუნებულია, რომ მკვლელი ანტონი არაა.

- მაშ ვინ?

- ჩვენთვის უცნობი, ჩამოუყალიბებელი ნათელი მაგი. ნათელი, რომელსაც ბნელები აკონტროლებენ.

- რატომ, გოგონი? – გულწრფელად გაოცდა მაგი. – გამაგებინე, ძალიან გთხოვ. რაში გვჭირდება ჩვენიანების დაღუპვა – თუნდაც ნაკლებად საჭიროების...

- „ნაკლებად საჭიროების“ – საკვანძო ფრაზა, - მელანქოლიურად აღნიშნა ბოკვერმა.

- დავუშვათ. ჩვენ რომ მოსკოვის ნათელი ჯადოქრების ხელმძღვანელის განადგურების შესაძლებლობა გვქონდეს... მაგრამ ის ხომ, როგორც ყოველთვის, ეჭვგარეშეა. ოცი ჩვენიანის დაკარგვა კი, ერთადერთი საშუალო საფეხურის ნათელი მაგისთვის... არასერიოზული ნაბიჯია. თუ მართლა ასეთი იდიოტები გგონივართ?

- არა, იდიოტებად სულაც არ მიგიჩნევთ. ჩემზე გაცილებით უფრო ჭკვიანები ხართ, - ბოკვერმა ვერაგული სახით გაიღიმა ბოკვერმა. – მაგრამ მე მხოლოდ ოპერატიული თანამშრომელი ვარ. დასკვნებს სხვები აკეთებენ, და დარწმუნებული იყავით, რომ გამოიტანენ კიდეც.

- ჩვენ არ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დასჯას! – შავმა მაგმა გაიღიმა. – ჩვენ შეცდომების ალბათობასაც არ გამოვრიცხავთ. ტრიბუნალი, კვალიფიცირებული და მიუკერძოებელი გამოძიება... სამართლიანობა... აი, რა გვინდა!

- ისე ძალიან გასაკვირია, რომ თქვენმა წინამძღოლმა ვერ შეძლო გასროლილი „მეხის შუბი“ ანტონისთვის მოერტყა... – გოგომ თითით შემოაბრუნა ლუდის ნახევრად გავსებული კათხა. – გასაკვირია. მისი საყვარელი იარაღი, რომელსაც ასიოდე წელია, სრულყოფილად ფლობს... თითქოს დღის საგუშაგოს თავად ანტონის დაჭერის ფაქტი არ აღელვებს...

- ჩემო კარგო, - შავი მაგი მაგიდის ბოლოდან გადმოიხარა. – თქვენ უსამართლოდ მსჯელობთ! არ ღირს ჩვენი დადანაშაულება, ვითომდა ჩვენ ალალ-მართალ, კანონმორჩილ თეთრ მაგს ვდევნით, ან თითქოს მის დაჭერას არ ვცდილობთ!

- ვითომ რატომ?

- ასეთი წვრილმანი სადიზმი... – ჯადოქარმა ჩაიხითხითა. – შენთან საუბრით გულწრფელად ვხალისობ... ვინ გგონივართ, შეშლილი, სისხლისმსმელი ფსიქოპატების ბანდა?

- არა, ეშმაკი ნაძირალების ბანდა.

- მოდი, ერთმანეთის მეთოდები შევადაროთ, - ბნელი, როგორც ჩანს, თავის საყვარელ ჭიას ახარებდა. – მოდი, შევადაროთ საგუშაგოების მოქმედებით უბრალო ადამიანებისთვის, ჩვენი საკვები ბაზისთვის, მიყენებული ზარალი.

- ეს თქვენთვის წარმოადგენენ ადამიანები საკვებს.

- თქვენთვის? თუ თეთრები ახლა ისევ თეთრებისგან აღმოცენდებით, და ხალხის წიაღში აღარ იბადებით?

- ჩვენთვის ადამიანები ფესვებია. ჩვენი ფესვები.

- დავუშვათ ფესვები არიან. ნუ გავეკიდებით სიტყვებს. მაგრამ მაშინ ეს ჩვენი ფესვებიცაა, ჩემო გოგო. და ისინი სულ უფრო მეტ სასიცოცხლო წყაროს გვაწვდიან... არ დაგიმალავთ, ან რა არის დასამალი.

- არც ჩვენ ვართ ნაკლებნი, რაღა დაგიმალოთ.

- რა თქმა უნდა. არეული დრო, სტრესები, დაძაბულობა – ადამიანები ზღვარს მიუახლოვდნენ, აქედან კი ადვილია, მოწყდე. ერთ რამეში მაინც დავეთანხმეთ ერთმანეთს! – ჯადოქარმა ჩაიკისკისა.

- დავეთანხმეთ, - კვერი დაუკრა ბოკვერმა. ჩემს მხარეს აღარ იყურებოდა, საუბარი უკვე მარადიულ და გადაუჭრელ თემაზე გადავიდა, რომელზეც ორივე მხარის ფილოსოფოსებს შუბები და თავები უმტვრევიათ, რას მოვიდოდა მათთან ორი ჩვეულებრივი ჯადოქარი, თეთრი და შავი. მივხვდი, რომ რაც აუცილებლად უნდა გამეგო, გოგო უკვე მოახსენა.

ან ის, რისი თქმაც შესაძლებლად მიიჩნია...

კათხას მოვკიდე ხელი, წინ რომ დამიდგეს და რამდენიმე თანაბარი დიდი ყლუპი მოვსვი. დალევა მართლა მდომებია.

ნადირობა მოჩვენებითია?

კი. ამას დიდი ხანია უკვე მივხვდი. მთავარია გამეგო, რომ ჩვენებმაც იციან ეს.

მკვლელი არ დაუჭერიათ?

რა თქმა უნდა, არა. თორემ აუცილებლად დამიკავშირდებოდნენ. ტელეფონით ან მენტალურად, შეფისთვის ეს არავითარ გასაჭირს არ წარმოადგენდა. მკვლელს ტრიბუნალს გადასცემდნენ, სვეტლანაც არ გაიხლიჩებოდა დახმარების სურვილსა და ჩხუბში ჩაურევლობის აუცილებლობას შორის, და მეც შევძლებდი, ზავულონისთვის ნიშნის მოგებას...

მართლა როგორ უნდა იპოვნო უზარმაზარ ქალაქში ადამიანი, რომლის შესაძლებლობებიც სპონტანურად იჩენს თავს? იფეთქებს და ჩაცხრება. ერთი მკვლელობიდან მეორე მკვლელობამდე, ბოროტებაზე მოპოვებული ერთი ფუჭი გამარჯვებიდან მეორე უიმედო გამარჯვებამდე? თუ მისი ვინაობა მართლა ცნობილია ბნელებისთვის, მაშინ ეს ხელმძღვანელობის ყველაზე მაღალი რგოლის საიდუმლოა.

და არა ამ... ამ წვრილმანი ბნელების, რომლებიც ტყუილად ხარჯავენ დროს.

ზიზღნარევი მზერით მიმოვიხედე.

ეს ხომ სისულელეა!

დაცვის თანამშრომელი, რომელიც ასე ადვილად გამოვასალმე სიცოცხლეს. მესამე საფეხურის მაგი, რომელიც გატაცებით ემასლაათება ჩვენს დამკვირვებელს, და გვერდზე არ იყურება. ეს ახალგაზრდები, მთელს ხმაზე რომ ყვირიან...

- „ცვეტნოი ბულვარი“ შემოწმებულია!

- „პოლეჟაევსკისაც“ კონტროლდება!

ჰო, ეს ნამდვილად ოპერატიული შტაბია. ისეთივე უაზრო და არაკვალიფიციური, როგორც ბნელები, მთელს ქალაქს რომ მოსდებოდნენ ჩემს დევნაში. ჰო, ქსელი კი გაუმართავთ, მაგრამ არავის ანაღვლებს მასში დარჩენილი ნაკლოვანებები. რაც უფრო მეტი ალყიდან დავაღწევ თავს, რაც უფრო მეტს ვიფართხალებ – მით უკეთესი წყვდიადისთვის. საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა. სვეტლანა ვერ გაუძლებს. გატყდება. ჩვენ მის დახმარებას შევეცდებით – ვიგრძნობთ რა ძალის უეცარ მოზღვავებას. ვერცერთი ჩვენგანი ვერ შეძლებს მის გადარჩენას. და მასაც გაწირავენ.

- ვოლგოგრადის პროსპექტი...

ხომ შემიძლია ახლა დავერიო ამათ და ყველა გადავხოცო! ყველა სათითაოდ! წყვდიადის ეს ნაძირალები, უსაქმურები, რეგვენები, ან ყოველგვარ პერსპექტივას მოკლებულნი, ან მეტისმეტად ბევრი ნაკლის მქონენი. ბნელებს არა მარტო არ ეცოდებათ ისინი, ხელსაც უშლიან, ფეხებში ებლანდებიან. დღის საგუშაგო სულაც არ ჰგავს თავშესაფარს, ჩვენგან განსხვავებით. დღის საგუშაგო ზედმეტებს იცილებს, თანაც, ჩვეულებრივ, ჩვენივე ხელით. რითაც კოზირებს იგებს, და საპასუხო ქმედების, ბალანსის შეცვლის უფლებას იღებს.

ის ბინდისეული სილუეტიც, ოსტანკინოს ანძაზე რომ მიმანიშნა, წყვდიადის წარმონაქმნს წარმოადგენდა, დაზღვევის მიზნით მოვლენილს, ვაითუ ვერ მივმხვდარიყავი, სად წავსულიყავი.

ნამდვილ ქმედებებს კი ერთადერთი სხვანაირი უწევს კოორდინირებას.

ზავულონი.

ჩემს მიმართ, რა თქმა უნდა, არავითარი ბოროტება არ გაუვლია. რაში სჭირდება ასეთი რთული და მავნებელი ემოციები სერიოზულ პარტიას? ჩემნაირები ოხრად შეუსანსლავს. სათამაშო დაფიდან გადაუგდია და თავის პაიკებში გადაუცვლია.

როდის ჩათვლის, რომ პარტია დასრულდა, რომ ფინალზე გადასვლაა საჭირო?

- ასანთი ხომ არ გექნებათ? – ვიკითხე, დახლიდან სიგარეტის კოლოფი ავიღე. ვიღაცას დარჩა ალბათ, შეიძლება რესტორნიდან გიჟივით გავარდნილ სტუმარს, ან შეიძლება ბნელმაც დატოვა...

ბოკვერს საეჭვოდ გაუელვა თვალებმა, დაიძაბა. მივხვდი, რომ საომარი ტრანსფორმაციისთვის ემზადებოდა. ალბათ, მანაც შეაფასა მოწინააღმდეგის ძალა, და წარმატების სერიოზული იმედი გაუჩნდა.

მაგრამ შეტევაზე გადასვლა აღარ დაგვჭირდა.

შავმა მაგმა, მესამე საფეხურის ხანდაზმულმა ჯადოქარმა, დაუდევრად მომაწოდა სანთებელა. „რონსონმა“ მელოდიურად დაიჩხაკუნა და ცეცხლის ალი გამოუშვა, ჯადოქარი კი მონოლოგს აგრძელებდა:

- ყველა თქვენი ბრალდება, რომელსაც წყვდიადს უყენებთ – ორმაგი თამაშის, მზაკვრობის, პროვოკაციის, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება. შენიღბოთ საკუთარი სიცოცხლის უუნარობა. სამყაროსა და მისი კანონების ვერშეცნობა. და ბოლოს, ადამიანის ბუნების გაუგებლობა! საკმარისია მხოლოდ იმის აღიარება, რომ წყვდიადის პროგნოზი უფრო ზუსტია, რომ ადამიანური სულის ბუნებრივი სურვილების აყოლას ჩვენს მხარეს გადმოჰყავს ის – და რა ბედი ელის თქვენს მორალს? თქვენს ცხოვრებისეულ ფილოსოფიას? ჰა?

სიგარეტს მოვუკიდე, თავაზიანად დავუკარი თავი და კიბისკენ გავემართე. ბოკვერმა დაბნეული მზერა გამომაყოლა. აბა, იქნებ მიხვდე შენ თვითონ, რატომ გავედი...

ყველაფერი, რისი გაგებაც მინდოდა, გავიგე.

უფრო სწორედ – თითქმის ყველაფერი.

ნოუთბუქში ჩარგული სათვალიანი ახალგაზრდას მოკლედ შეკრეჭილ თავთან დავიხარე და საქმიანი ხმით ვკითხე:

- რომელ რაიონებს ვფარავთ ბოლოს?

- ბოტანიკურს, ვდნხ-ას, - მიპასუხა თავაუწევლად. კურსორი ეკრანზე დასრიალებდა, შავი მაგი მითითებებს გასცემდა, ძალაუფლებით ტკბებოდა, მოსკოვის რუკაზე ალისფერ წერტილებს გადააადგილებდა. ამ საამურ პროცესს უფრო ძნელად მოსწყვეტდი თვალს, ვიდრე საყვარელ გოგოს.

მათაც ხომ შეუძლიათ სიყვარული.

- გმადლობ, - ვუთხარი, და ჩაუმქრალი სიგარეტი სავსე საფერფლეში ჩავუშვი. – ძალიან დამეხმარა.

- რის მადლობა, - მომაძახა ოპერატორმა მოუხედავად. მეტისმეტი მონდომებისგან ენა გამოეყო და რუკაზე მორიგ წერტილს ამაგრებდა – სანადიროდ გამოსულ რიგით ბნელს. რა გიხარია, შე შტერო... ის, ვინც ამ მასკარადს განაგებს შენს რუკაზე არასოდეს გამოჩნდება. გერჩივნა, სათამაშო ჯარისკაცებით გეთამაშა ძალაუფლებით აღტაცებულს.

ხვეულ კიბეზე დავეშვი. ის მრისხანება, რომელმაც აქ მომიყვანა და სხვისი მოკვლის და სიკვდილის წყურვილი, გაქრა, ალბათ, ასე ბრძოლის რაღაც მომენტში ჯარისკაცს ყინულოვანი სიმშვიდე დაეუფლება ხოლმე. ასე ქირურგს შეუჩერდება ხოლმე ხელის კანკალი, როცა პაციენტი საოპერაციო მაგიდაზე უკვდება.

კიდევ რა ვარიანტები გაითვალისწინე, ზავულონ?

რომ მახეში გავებმებოდი დამფრთხალი ჩიტივით, და ამ ფართხალზე მთელი საგუშაგოების თეთრები და ბნელები მოფრინდებოდნენ, განსაკუთრებით კი – სვეტლანა?

გამორიცხულია.

რომ ჩავბარდები ან დამიჭერენ, და აუჩქარებელი, გაჭიანურებული, გრძელვადიანი პროცესი დაიწყება... რომელიც ტრიბუნალზე სვეტლანას შეშლილი აფეთქებით დამთავრდება?

გამორიცხულია.

რომ ოპერატიული შტაბის ყველა უხეირო მაგს დავერეოდი და გადავხოცავდი, რითაც მახეში აღმოვჩნდებოდი სამასიოდე მეტრის სიმაღლეზე, და სვეტლანა ანძისკენ გამოქანდებოდა...

გამორიცხულია.

რომ შტაბს შემოვივლიდი და გავარკვევდი, ვინ რა იცის აქ მკვლელის შესახებ, და დროის გაყვანას შევეცდებოდი?

შესაძლებელია.

ვიცი, რომ წრე იკვრება. გარეუბნებში, მკად-ზე უკვე შეიკრა, შემდეგ ქალაქის რაიონებად დანაწევრება დაიწყო, სატრანსპორტო მაგისტრალების ჩამოჭრა... ჯერ კიდევ არ არის გვიანი გაუკონტროლებელ რაიონებს შევაფარო თავი, მივიმალო... ერთადერთი რჩევა, რომლის მოცემამ შეფმა შეძლო, ხომ ეს იყო – გამექაჩა, დრო გამეწელა, სანამ ღამის საგუშაგო თავგამეტებით ეძებდა მკვლელს...

შენ ხომ შემთხვევით არ მიბიძგებ იმ რაიონისკენ, სადაც ჩვენ ზამთარში პატარა შეხლა-შემოხლა მოგვივიდა. ხომ მართალია? არ შემიძლია, არ გავიხსენო... გამოდის, რომ ძალაუნებურად მოგონებების ზემოქმედების ქვეშ მომიწევს მოქმედება.

...სათვალთვალო მოედანი უკვე დაცარიელებულიყო. მთლიანად. ბოლო დამთვალიერებლებიც გაიფანტნენ, პერსონალიც არსად ჩანდა – მხოლოდ ჩემი ახალწვეული იდგა კიბესთან, ხელში პისტოლეტი ეჭირა და ანთებული თვალებით იყურებოდა ქვემოთ.

- გამოვიცვალოთ, - ვუბრძანე. – მიიღე სინათლის მადლიერება. შემდეგ დაგავიწყდება ყველაფერი, რაზეც ვლაპარაკობდი. სახლში წახვალ. მხოლოდ ის გემახსოვრება, რომ დღე ჩვეულებრივი იყო, სხვა დღეებისგან არაფრით გამორჩეული. არაფერი მომხდარა.

- არაფერი მომხდარა! – მორჩილად გაიმეორა დაცვამ, და ჩემი ტანსაცმელი გაიხადა. ადამიანების სინათლისკენ თუ სიბნელისკენ შემობრუნება ძალიან ადვილია – მაგრამ განსაკუთრებულად ბედნიერი მაშინ არიან ხოლმე, როცა უფლებას აძლევენ, დარჩნენ ისეთები, როგორიც არიან.

თავი 6

ანძიდან გამოვედი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და შევჩერდი. ვიდექი და ცაში აჭრილი პროჟექტორის სხივებსა და განათებულ გამშვებ პუნქტს ვათვალიერებდი.

ორი რამ ვერ გამეგო მხოლოდ თამაშში, რომელიც საგუშაგოებს გაეჩაღებინათ... უფრო სწორედ – საგუშაგოების ხელმძღვანელობას.

ბინდისეული აჩრდილი – ვინ იყო, რომელ მხარეს იდგა? მაფრთხილებდა, თუ მაშინებდა?

ეგორი – ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი იყო, თუ არა? თუ არა, მაშინ ბედისწერის ხელი ურევია, თუ ზავულონის მორიგი ხრიკია?

ბინდისეულ ბინადრებზე თითქმის არაფერი ვიცოდი. შეიძლება თავად ჰესერმაც არ იცოდა.

აი, ეგორი სულ სხვა საკითხია.

ამ თამაშში ჯერ კიდევ დაურიგებელი კარტი იყო. შეიძლება ექვსიანი, მაგრამ კოზირი, ისევე, როგორც ჩვენ ყველანი. თამაშის დროს კი წვრილი კოზირებიც საჭიროა. ეგორმა უკვე გაიარა ბინდი – პირველად, როცა ჩემს დანახვას ცდილობდა, მეორედ, როცა ვამპირისგან იცავდა თავს. საკმაოდ ცუდადაა კარტი განაწილებული, სიმართლე უნდა ითქვას. ორივე შემთხვევაში ბიჭს შიში ამოძრავებდა... და აშკარაა, რომ მისი მომავალი წინასწარაა განსაზღვრული. შეიძლება ერთი ორი წელი კიდევ გაქაჩოს და ადამიანსა და სხვანაირს შორის გავლებულ ზღვარზე გაატაროს, მაგრამ გზა საბოლოოდ წყვდიადისკენ მიდის.

სიმართლეს თვალებში უნდა ჩახედო.

ალბათ უფრო ბნელია. და არავითარ როლს არ თამაშობს, ჯერჯერობით ეგორი ჩვეულებრივი, კარგი ბიჭია. თუ გადავრჩი, მომიწევს მისთვის საბუთების მოთხოვნა... ან საკუთარი საბუთების წარდგენა.

ადვილად შესაძლებელია, რომ ზავულონმა მასზე ზემოქმედება მოახდინოს და იმავე ადგილას მიაგზავნოს, სადაც მე ვიმყოფები. ამას კი იმ აზრამდე მივყავარ, რომ ზავულონმა მშვენივრად იცის ჩემი ადგილსამყოფელი – მაგრამ ამისთვის მზად ვარ.

ისე ჰქონდა კი რაიმე აზრი ჩვენს „შემთხვევით“ შეხვედრას?

ოპერატორის ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ – ვდნხ-ს რაიონს ჯერ არ აკონტროლებენ, ჰქონდა. შეიძლებოდა თავში შლეგიანი აზრი მომსვლოდა და ბიჭის გამოყენება მომენდომებინა – მის სახლში მივმალულიყავი, ან დახმარებაზე გამეგზავნა. შემეძლო მისი სახლისკენ წავსულიყავი. არა?

მეტისმეტად რთული სიტუაციაა. უზომოდ. ჩემი აყვანა აქაც ადვილია. რაღაცა გამომრჩა... რაღაც ყველაზე მნიშვნელოვანი.

მივდიოდი გზისკენ და ანძას, რომელშიც დღეს ბნელების ბუტაფორული შტაბი განლაგებულიყო, აღარ ვუყურებდი. თითქმის მთლიანად გადამავიწყდა წყვდიადის დაცვის თანამშრომელი, რომლის დასახიჩრებული სხეული ახლა სადღაც ანძის ძირას ეგდო. რა უნდათ ჩემგან? რა? მოდი, აქედან დავიწყოთ.

ჩემი სატყუარად გამოყენება, დღის საგუშაგოში მიტყუება და მახეში გაბმა, თან ისე, რომ დანაშაულში ეჭვი არავის შეპარვოდა... და ფაქტობრივად, საწადელს მიაღწიეს კიდევაც...

შემდეგ უკვე სვეტლანა ვეღარ გაუძლებს წნეხს. ჩვენ გოგოს და მისი ახლობლების დაცვას შევძლებთ, მაგრამ მის გადაწყვეტილებებზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ ვიქონიებთ. და თუ ჩემს დაცვას, დღის საგუშაგოს მიწისქვეშეთიდან გამოთრევას, ტრიბუნალისგან გამოგლეჯას ეცდება... გაანადგურებენ, ერთი ხელის მოსმით... დაუფიქრებლად. მთელი ეს თამაში სვეტლანას მცდარ სვლაზე იყო აგებული. თამაში კი დიდი ხნის წინ დაგეგმეს, როცა ზავულონმა მომავალში უდიდესი ჯადოქრის გამოჩენა დაინახა და ის როლი, რომელსაც მე ვითამაშებდი. რამდენიმე ხაფანგი დაიგო. პირველმა არ ივარგა, მეორეს უკვე დაეღო თავისი მრისხანე ხახა. შესაძლოა, წინ მესამე ხაფანგიც მელის.

მაგრამ ბიჭი რაღა შუაშია, ჯერ თავისი მაგიური შესაძლებლობების გამოყენებაც არ იცის?

გავჩერდი.

ეგორი ხომ ბნელია, არა?

ვინ კლავს ჩვენში ბნელებს? სუსტ, დაუხელოვნებელ ბნელებს, რომლებსაც განვითარების სურვილი არ აქვთ...

კიდევ ერთი ცხედარი, რომელსაც მე შემტენიდნენ... მაგრამ რისთვის?

არ ვიცი. მაგრამ იმაში, რომ ბიჭი განწირული იყო და რომ ჩვენი შეხვედრა მეტროში შემთხვევითი არ ყოფილა, ეჭვი არ მეპარებოდა. ან წინასწარმეტყველებამ კიდევ ერთხელ გამინათა გონება, ან თავსატეხის მორიგმა ნაწილმა დაიჭირა თავისი კუთვნილი ადგილი.

ეგორი დაიღუპება.

გამახსენდა, როგორ მიყურებდა პერონზე წარბშეკრული, თითქოს უნდოდა რაღაცა ეკითხა, თან გაველანძღე, პირში მოეხალა სიმართლე საგუშაგოების შესახებ, რომელიც მეტისმეტად ადრე შეიტყო, როგორ მიტრიალდა და გაიქცა მატარებლისკენ.

„ხომ დაგიცავთ? თქვენი საგუშაგო?“

„ეცდება“.

რა თქმა უნდა, ეცდება. ძალებს არ დაიშურებს, რომ მკვლელი იპოვნოს.

აი, პასუხიც!

გავჩერდი და ხელები თავზე მოვიჭირე. ჯანდაბა, რა სულელი ვარ! რა გამოუსწორებელი იდიოტი!

სანამ მკვლელი ცოცხალია, ხაფანგს არ ჩაკეტავენ. ჩემი ფსიქოპატ-მონადირედ, თეთრ ბრაკონიერად გასაღება საკმარისი არ იყო. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ნამდვილი მკვლელის განადგურებას.

ბნელებმა – ან, ყოველ შემთხვევაში, ზავულონმა, იცოდნენ, ვინც იყო მკვლელი. უფრო მეტიც – მისი მართვა შეეძლოთ. ნადავლის სახით გამოუსადეგარ თანამშრომლებს შეუგდებდნენ ხოლმე. ახლა მაქსიმი ამ ყველაფერს უყურებს არა როგორც მორიგ შერკინებას წყვდიადთან, არამედ როგორც საბედისწერო შეტაკებას და თავით გადაეშვა მორევში. შავი ჯადოქრები ყოველი მხრიდან ჭრიდნენ მის გზას, თავიდან ქალი-მაქცია, შემდეგ შავი მაგი რესტორანში... ახლა ეს ბიჭი. ალბათ, ფიქრობს, რომ სამყარო ჭკუიდან გადავიდა, რომ აპოკალიფსი ახლოვდება, რომ ბნელეთის ძალები სამყაროს იპყრობენ. არ ვისურვებდი მის ადგილას ყოფნას.

ქალი მაქციას გამოჩენა ჩვენთვის პროტესტის გამოცხადებას ისახავდა მიზნად, რათა ეჩვენებინა, ვინ იყო რეალური სამიზნე.

შავი მაგი – ჩემს მახეში გაბმას, რათა ოფიციალური ბრალის წაყენებისა და დაკავების უფლება მისცემოდათ.

ბიჭი – მკვლელის განადგურებას, როცა საბოლოოდ შეასრულებდა თავის მისიას, რათა ბოლო მომენტში ჩარეულიყო, მკვლელი დანაშაულის ჩადენისას გამოეჭირა, გაქცევისა და წინააღმდეგობის გაწევისთვის შეეშალა ხელი – მას ხომ არ ესმის, რომ ჩვენ წესების მიხედვით ვიბრძვით, არ დანებდება, და გაურკვეველი „დღის საგუშაგოს“ ბრძანებას არ დაემორჩილება...

მკვლელის განადგურების შემდეგ სხვა გამოსავალი აღარ დამრჩება. ან გონების ზონდირებაზე უნდა დავთანხმდე ან ბინდში გადავიდე. ნებისმიერ შემთხვევაში, სვეტლანა ზეწოლას ვერ გაუძლებს.

ჟრუანტელმა დამიარა.

ციოდა, გაზაფხულის მიუხედავად. მე კიდევ მეგონა, რომ ზამთარმა საბოლოოდ დაიხურა ქუდი, მაგრამ ვცდებოდი.

ხელი დავუქნიე და პირველივე მანქანა გავაჩერე. მძღოლს თვალებში ჩავხედე და ვუბრძანე:

- წავედით...

იმპულსი იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ არც უკითხია, სად უნდა წავსულიყავით.

სამყარო დასასრულს უახლოვდებოდა.

რაღაცა დაიძრა... შეირყა... უძველესი ჩრდილები დაირაზმა... ყურებში მივიწყებულ ენებზე წარმოთქმული ყრუ ბგერები ჩამესმა... მიწას ბიძგებმა დაუარა.

დედამიწისკენ წყვდიადი მოიწევდა.

მაქსიმი აივანზე იდგა, ეწეოდა და ლენას ლანძღვა-გინებას ისმენდა, რომელიც უკვე რამდენიმე საათი გრძელდებოდა, მას შემდეგ, რაც მეტროსთან ის გოგო ჩამოსვეს, მაქსიმმა რომ ტყვიების ზუზუნისგან დაიხსნა. ცოლისგან უამრავი ბრალდება ესმოდა, მათ შორის ისეთიც, რომელსაც ვერაფრით წარმოიდგენდა.

იდიოტი, მექალთანე, რომელიც გრძელფეხება ლამაზმანის დანახვაზე მზად იყო, ცეცხლისთვის შეეშვირა თავი – ამას მაქსიმი მშვიდად შეხვდა. თავხედი და ნაძირალა, რომელიც ცოლის თანდასწრებით გაქუცულ, უშნო მეძავთან არშიყობას ბედავს – ეს რაღაც უფრო ორიგინალური ბრალდება გამოდგა, განსაკუთრებით იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ უცნობ მგზავრს ერთი ორი სიტყვა თუ გადაუკრა...

ამის მერე კი სრული სისულელე გაუშვა. გაიხსენა მოულოდნელი მივლინებები, ის ორი შემთხვევა, როცა სახლში მთვრალი გამოცხადდა... გატრეტილი მთვრალი. გამოთქვა თამამი ვარაუდი მისი საყვარლების რაოდენობის შესახებ, წარმოუდგენელი სიდებილისა და სუსტი ხასიათის შესახებ, რომელიც კარიერულ ზრდასა და რიგიანი ცხოვრების მოწყობაში უშლიდა ხელს...

მაქსიმმა ცოლს გახედა.

ლენა სულაც არ იძაბებოდა... რა უცნაურია. იჯდა ტყავის დივანზე უშველებელი „პანასონიკის“ ტელევიზორის პირდაპირ, და ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა... თითქმის გულწრფელად.

ნუთუ მართლა ასე ფიქრობს?

რომ საყვარლების მთელი არმია ყავს? რომ უცნობი ქალი ლამაზი ტანის გამო გადაარჩინა და არა მოზუზუნე ტყვიების გამო? რომ ცუდად, ღარიბულად ცხოვრობენ? ოჯახი, რომელმაც სამი წლის წინ მშვენიერი ბინა შეიძინა, თავიდან ბოლომდე მოაწყო, შობას საფრანგეთში გაემგზავრა?

ლენას მტკიცე, გამამტყუნებელი ხმა ჰქონდა, ნატანჯი ხმა.

მაქსიმმა სიგარეტის ნამწვი ისროლა და ჩაბნელებულ არემარეს გახედა.

წყვდიადი ახლოვდებოდა.

რესტორანში, ტუალეტში შავი მაგი მოკლა, მსოფლიო სიბოროტის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნაშიერი, ადამიანი, რომელიც უზომო ღვარძლსა და შიშს იტევდა, გარშემომყოფთაგან ენერგიას ხაპავდა, ადამიანის სულებზე ახდენდა ზემოქმედებას, თეთრს შავად აქცევდა, სიყვარულს სიძულვილად. როგორც წესი... ერთი ერთზე მთელს სამყაროსთან.

ესაა მხოლოდ, რომ ადრე ასეთი რამ არ მომხდარა. ზედიზედ ორჯერ არასოდეს გადაყრია ეშმაკის ნაშიერს... ან ყველა ერთად გამოძვრა აყროლებული ბუდიდან, ან მხედველობა გაუმძაფრდათ.

აი, ახლაც...

მაქსიმი მეათე სართულის სიმაღლიდან იხედებოდა და ცეცხლოვანი შუქებით განათებულ ღამის ქალაქს კი არ ხედავდა, ეს სანახაობა ვერ მოატყუებდა, უფრო დაბრმავებული და უსუსური ადამიანების თვალს გაახარებდა, არამედ დედამიწის თავზე მოტივტივე წყვდიადის ღრუბელს... ზედაპირთან საკმაოდ ახლოს... ალბათ მეათე-მეთერთმეტე სართულის სიმაღლეზე.

მაქსიმი სიბნელის მორიგ წარმონაქმნს აკვირდებოდა.

როგორც ყოველთვის. სულ ასე ხდება. მაგრამ რატომ ხდება ასე ხშირად, რატომ ზედიზედ? უკვე მესამეჯერ! მესამედ დღე-ღამეში!

წყვდიადი ციმციმებდა, ირხეოდა, კრთოდა. წყვდიადი ცოცხლობდა.

მის ზურგს უკან კი ლენა დაღლილი, ნაღვლიანი, ნაწყენი ხმით განაგრძობდა მისი ცოდვები აღნუსხვას. ადგა და აივნის კარს მიუახლოვდა, თითქოს ეჭვი შეეპარა, რომ

მაქსიმს მისი სიტყვები ესმოდა. კარგი, იქაქანოს. ბავშვები მაინც არ გააღვიძოს... თუ საერთოდ სძინავთ, რა თქმა უნდა. რატომღაც მაქსიმს ეჭვი ეპარებოდა.

ნეტა ღმერთის მაინც სწამდეს. ჭეშმარიტად სწამდეს... მაგრამ თითქმის აღარ დარჩენოდა ის მცირედი რწმენაც კი, რომელიც მაქსიმს ყოველი განწმენდის შემდეგ ათბობდა. ღმერთი არ შეიძლება იმ სამყაროში არსებობდეს, სადაც ბოროტება ასე მძვინვარებს.

მაგრამ რომ ეარსება... ან, თუნდაც, მაქსიმის სულში შემორჩენილიყო ჭეშმარიტი რწმენა... ახლა მუხლებზე დაემხობოდა, ჭუჭყიან, უსწორმასწორო ბეტონზე, ხელებს ბინდისეული ღამის ცისკენ აღმართავდა, ცისკენ, სადაც ვარსკვლავებიც უღიმღამოდ და სევდიანად ანათებდნენ, და დაიყვირებდა: „რატომ? რისთვის, ღმერთო? ამის ატანა არ შემიძლია, ჩემს ძალებს აღემატება! მომაცილე ეს ტვირთი, გთხოვ, მომაშორე! მე არ გამოგადგები! სუსტი ვარ...“

გინდ იყვირე, გინდ არა. საკუთარი ნებით არ აუკიდებია ეს ტვირთი, ასე რომ, ვერც მოიხსნიდა. მის თვალწინ შავი ალი კრთის, ინთება. წყვდიადის ახალი საცეცები.

- ლენა, მაპატიე... – ცოლი გვერდზე გასწია და ოთახში შევიდა. – უნდა წავიდე.

ლენას სიტყვა გაუწყდა, და თვალებში, სადაც ორიოდე წუთის წინ ბრაზი და წყენა კრთოდა, შიშმა გაიელვა.

- მოვალ მალე, - სწრაფად მიუახლოვდა კარს იმ იმედით, რომ ზედმეტ კითხვებს აიცილებდა თავიდან.

- მაქსიმ! მაქსიმ, მოიცა!

ლანძღვიდან ხვეწნა-მუდარაზე ელვის სისწრაფით გადავიდა. ლენა ქმარს გაეკიდა, მკლავში სტაცა ხელი და თვალებში ჩახედა – საცოდავად, პირფერულად.

- მაპატიე, რა, გთხოვ, მაპატიე... ძალიან შემეშინდა... მაპატიე, სისულელეები ვილაპარაკე... მაქსიმ!

მაქსიმი ცოლს უყურებდა, რომელმაც მომენტალურად დაკარგა აგრესია, ფარ-ხმალი დაყარა და ყველაფრისთვის მზად იყო, ოღონდაც თავისი სულელი, გარყვნილი და თავხედი მეუღლე სახლიდან არ გასულიყო. ნეტა რა დაინახა ასეთი მაქსიმის თვალებში, ისეთი, რამაც ლენა იმ ბანდიტურ გარჩევაზე მეტად შეაშფოთა, რომელშიც ცოტა ხნის წინ გაებნენ?

- არ გაგიშვებ! არსადაც არ გაგიშვებ! სად მიდიხარ ამ შუაღამეს...

- არაფერი მომივა, - რბილად უპასუხა მაქსიმმა. – და ჩუმად, ბავშვები გაიღვიძებენ. მალე მოვალ.

- შენს თავზე თუ არ ფიქრობ, ბავშვებზე მაინც იფიქრე! ჩემზე იფიქრე! – ლენამ ელვის უსწრაფესად შეცვალა ტაქტიკა. – იქნებ მანქანის ნომერი დაიმახსოვრეს? აქ რომ დაგვადგნენ – იმ ქუჩის ქალის საძებნელად? რა ვქნა?

- არავინ არ დაგვადგება, - მაქსიმმა რატომღაც იცოდა, რომ სახლში არ მოაკითხავდნენ. – თუ რამეა... კარი მაგარია. იცი, ვისაც უნდა დაურეკო. ლენა... გამიშვი.

ლენა გასასვლელში იდგა გარინდებული, ხელები გაეშალა, თავი გადაეხარა და, რატომღაც, თვალები დაეხუჭა – თითქოს ელოდა, რომ სადაცაა დაარტყამდა.

მაქსიმმა ფრთხილად აკოცა ლოყაზე და გზიდან ჩამოიცილა. შემოსასვლელში გავიდა, სადაც უკვე სულ მთლად დაბნეულმა მზერამ გააცილა. გოგოს ოთახიდან უსიამოვნო, მძიმე მუსიკა ისმოდა – არ ეძინა, მაგნიტოფონი ჩაერთო, რომ მათი ღვარძლიანი ხმები ჩაეხშო... ლენას ხმა...

- არ გინდა! – მუდარით სავსე ხმით ჩასჩურჩულა ლენამ.

ქურთუკი მოიცვა, სწრაფად მოისინჯა, ადგილზე თუ იყო მისი ნივთები შიდა ჯიბეში.

- სულ არ ფიქრობ ჩვენზე! – თითქოს ინერციით იყვირა ლენამ, იმედდაკარგულმა. გოგოს ოთახში მუსიკის ხმამ იმატა.

- აი, მანდ კი ცდები, - წყნარად მიუგო მაქსიმმა. – სწორედ რომ თქვენზე ვფიქრობ. გიფრთხილდებით.

კიბის ერთი მონაკვეთი ჩაიარა, არ უნდოდა ლიფტისთვის ეცადა, და ცოლის მოულოდნელი წამოძახილი ჩამოესმა – ლენას არ უყვარდა ჭუჭყიანი თეთრეულის საქვეყნოდ გამოფენა, და სადარბაზოში არასოდეს უჩხუბია, მაგრამ ამჯერად თავი ვერ შეიკავა.

- ჯობია, გიყვარდეთ, ვიდრე გვიფრთხილდებოდე.

მაქსიმმა მხრები აიჩეჩა და ნაბიჯს აუჩქარა.

აი, აქ ვიდექი – ზამთარში.

ყველაფერი უწინდებურად იყო, იგივე ყრუ ქუჩაბანდი, მანქანების გუგუნი ზურგს უკან, განათების მკრთალი შუქი. უბრალოდ უფრო მეტად ციოდა. და ყველაფერს ისე მარტივად და ნათლად აღვიქვამდი, როგორც ახალგაზრდა ამერიკელ პოლიციელს პატრულირების პირველ დღეს.

კანონის დაცვა. ბოროტების დევნა. უდანაშაულოებზე ზრუნვა.

რა კარგი იქნებოდა, ყველაფერი ისევე მარტივი და გასაგები ყოფილიყოს, როგორც თორმეტი ან თუნდაც ოცი წლის ასაკში მეჩვენებოდა. სამყაროში მართლაც რომ ორი ფერი არსებობდეს – შავი და თეთრი. მაგრამ ყველაზე პატიოსანი და გულუბრყვილო, ვარდისფერ იდეალებზე გაზრდილი პოლიციელიც ადრე თუ გვიან მიხვდება, რომ ქუჩებში არა მარტო წყვდიადი და სინათლე მეფობს. არსებობს კიდევ მოლაპარაკება, დათმობა, შეთანხმება. ინფორმატორები, ხაფანგები, პროვოკაციები. ადრე თუ გვიან თავისიანების გაყიდვა, სხვის ჯიბეებში ჰეროინის პაკეტების ჩაგდება, ფერდებში ცემა მოუწევს, თან ფრთხილად, კვალი რომ არ დატოვოს.

და ყველაფერი იმ უმარტივესი წესების გამო.

კანონის დაცვა. ბოროტების დევნა. უდანაშაულოებზე ზრუნვა.

ამის გაგება მეც მომიწია.

სახურავის ვიწრო აგურის კიდეზე გავიარე, ფეხი გაზეთის ნაგლეჯს გამოვდე, რომელიც კედელთან ეგდო. სწორედ აქ ჩაიფერფლა უბედური ვამპირი. მართლაც რომ უბედური, დამნაშავე მხოლოდ იმაში, რომ საკუთარ თავს სიყვარულის უფლება მისცა, არა ვამპირის, ან ადამიანის, არამედ მსხვერპლის, საკვების შეყვარების უფლება.

აქ შევასხი არაყი... დავუფუფქე სახე იმ ვამპირ გოგოს, რომელიც ჩვენვე, ღამის საგუშაგომ, ვამპირებს საკვებად გამოვუყავით.

„თავისუფლება“ - როგორ უყვართ ბნელებს ეს სიტყვა! და ხშირად ვუმტკიცებთ საკუთარ თავს, რომ თავისუფლებას საზღვრები აქვს.

ეს ყველაფერი, ალბათ, აბსოლუტური სიმართლეა, იმ თეთრებისთვის და ბნელებისთვის, რომლებიც ადამიანებს შორის ცხოვრობენ, მართალია შესაძლებლობებით აღემატებიან, მაგრამ მისწრაფებებით არაფრით გამოირჩევიან მათგან. იმათთვის, ვინც წესების დაცვით ცხოვრობს და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრება არ აურჩევია.

მაგრამ საკმარისია იმ საზღვარს გასცდე, იმ უხილავ წერტილს, სადაც ჩვენ, გუშაგნი, ვდგავართ და რომელიც სინათლესა და სიბნელეს ჰყოფს...

ეს ომია. ომი კი ყოველთვის დანაშაული იყო. ქვეყნიერების დასაბამიდან მოყოლებული ომის დროს გმირობასთან და თავგანწირვასთან ერთად ღალატი, სიმდაბლე და მუხანათობაც თანაარსებობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ომის წარმოება შეუძლებელია, თავიდანვე წაგებისთვისაა განწირული.

და ბოლოსდაბოლოს, რას ნიშნავს ეს ყველაფერი! რისთვის უნდა ვიბრძოლო, რისთვის ღირს საერთოდ ბრძოლა – როცა ზღვარზე ვდგავარ, სიბნელისა და სინათლის შუა? მეზობლად ვამპირები მყავს! მათ არასოდეს მოუკლავთ. წესიერი

ხალხია... ადამიანების თვალსაზრისით. თუ მათი საქმიანობით ვიმსჯელებთ – შეფზე და ოლგაზე გაცილებით უფრო პატიოსნად იქცევიან.

მაშ სადღა გადის ზღვარი? სად უნდა ვეძებოთ გამართლება? სად არის პატიება?

პასუხი თვითონაც არ ვიცი. ვერაფერს ვიტყვი, საკუთარ თავსაც ვეღარ მოვატყუებ. უკვე ინერციას მივყვები, ძველ მრწამსსა და დოგმებს. როგორ შეუძლიათ საგუშაგოს ოპერატიულ თანამშრომლებს ასე მუდმივად, გაუთავებლად იბრძოლონ? რა გამართლებას მოუძებნიან თავიანთ საქციელს? არც ეგ ვიცი. მაგრამ მათი გადაწყვეტილებები მე არაფერში გამომადგება. აქ ყველა თავის თავზე ზრუნავს... წყვდიადის ბნელ ლოზუნგებს თუ დავესესხებით.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ვგრძნობდი, ახლა თუ ვერ გავიგებდი, ვერ ვიგრძნობდი ამ ზღვარს, განწირული ვიყავი. თანაც მარტო მე არა. სვეტლანაც დაიღუპებოდა. შეფი მის გადასარჩენად თავს არ დაზოგავდა და უიმედო ცდას არ მოერიდებოდა. მოსკოვის საგუშაგოს მთელი სტრუქტურა დაირღვეოდა.

„ყველაფერი იმიტომ, რომ სამჭედლოში ერთი ლურსმანი არ აღმოჩნდა...“

ვიდექი, ხელებით ჭუჭყიან აგურის კედელს ვეყრდნობოდი, ტუჩებს ვიკვნეტდი და ვცდილობდი, გამეხსენებინა, პასუხისთვის მიმეკვლია.

მაგრამ პასუხი არ ჩანდა.

გამოდის, რომ ბედია.

მყუდრო, წყნარი ქუჩა გავიარე და „ფეხებიანი შენობის“ პირდაპირ აღმოვჩნდი. საბჭოთა ცათამბჯენი ფარულ სევდას მგვრიდა, ყოვლად უსაფუძვლოს, მაგრამ საკმაოდ ძლიერს. მსგავსი შეგრძნება მაშინ მქონდა ხოლმე, როცა მიტოვებულ სოფლებს ან ნახევრად დანგრეულ ელევატორებს ჩავუვლიდი მატარებლით. შეუსაბამობა... მეტისმეტად ძლიერი, მიზანს აცილებული დარტყმა.

- ზავულონ, - შევძახე, - თუ გესმის...

სიჩუმე, ღამის მოსკოვისთვის დამახასიათებელი სიჩუმე – მანქანების გრუხუნი, სადღაც ფანჯრებიდან წამოსული მუსიკის ხმა და უკაცრიელი ქუჩები.

- შენ მაინც ვერ გათვლიდი ყველაფერს, - მივმართავდი ცარიელ სივრცეს. – ვერაფრით გათვლიდი. რეალობას ყოველთვის რამდენიმე განშტოება აქვს. მომავალი არ არის განსაზღვრული. მშვენივრად იცი. და... მეც ვიცი.

გზა გადავკვეთე, გვერდზე არ ვიყურებოდი, მანქანებს ყურადღებას არ ვაქცევდი. მე ხომ დავალებაზე ვარ?

განრიდების სფერო!

რელსებზე ტრამვაიმ დაიწკრიალა და გაირინდა. მანქანებმა სვლა შეანელეს და იმ სიცარიელეს შემოუარეს, რომლის ცენტრშიც მე ვიდექი. ირგვლივ ყველაფერმა შეწყვიტა არსებობა, რჩებოდა მხოლოდ შენობა, რომლის სახურავზეც სამი თვის წინ ხელჩართული ბრძოლა გვქონდა, სიბნელე, ენერგიის გამოსხივება, უხილავი ადამიანის თვალისთვის.

და ის ძალა, რომლის დანახვა მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ, იზრდებოდა.

ტაიფუნის ცენტრი სწორედ აქ იყო, არ შევმცდარვარ. გამიზნულად მომიყვანეს აქ? მშვენიერია. ჰოდა მეც მოვედი. ზავულონ, ალბათ გახსოვს ის პატარა, მაგრამ სამარცხვინო მარცხი. არ შეიძლება, არ გახსოვდეს, როგორ გაგაწნეს სილა შენივე ქვეშევრდომების თანდასწრებით.

ყველაზე მაღალი მიზნების გარდა – მესმის, რომ მისთვის მართლა უზენაესია ეს იდეალები, ზავულონში ისევ ღვივის ერთი სურვილი, რომელიც ერთ დროს ჩვეულებრივ ადამიანურ სისუსტეს წარმოადგენდა, დღეს კი ბინდის წყალობით განუზომლად გაძლიერებულიყო.

შურისძიების, ანგარიშის გასწორების სურვილი.

წაგებული ბრძოლის თავიდან დაწყების წყურვილი, გამარჯვების იმედით, მოწინააღმდეგისთვის ნიშნის მოგების მიზნით.

ყველა ჩვენგანს, დიდებულ თეთრ და შავ მაგებს, ერთი საერთო თვისება გვაქვს, ვგიჟდებით გრანდიოზულ, გრაციოზულ გამარჯვებაზე, ჩვეულებრივი შეტაკებები უკვე მოგვბეზრდა. გვიყვარს მოწინააღმდეგის დამცირება. უბრალო გამარჯვება უკვე ყელში ამოგვივიდა, წარსულს ჩავაბარეთ. ეს მარადიული წინააღმდეგობა ჭადრაკის უსასრულო პარტიაში გადაიზარდა. როგორც ჰესერისთვის, დიდებული თეთრი მაგისთვის, რომელიც, სხვისი იერ-სახით, ასე ნეტარებით იგდებდა მასხარად ზავულონს.

ჩემთვის წინააღმდეგობა ჯერ არ ქცეულიყო თამაშად.

შეიძლება, ჩემი შანსიც აქ იმალება.

ბუდიდან რევოლვერი ამოვიღე, მჭიდი მოვხსენი და ღრმად ჩავისუნთქე, თითქოს უნდა ჩამეყვინთა.

დროა.

მაქსიმი გრძნობდა, რომ ამჯერად ყველაფერი სწრაფად ჩაივლიდა.

არ მოუწევდა მთელი ღამით ჩასაფრებულს სიფხიზლე, დიდი ხნით დევნასაც ასცდებოდა. გონება მთელი სიცხადით გაუნათდა, და არა მარტო ვიღაცის უცხო,

მტრული სიახლოვე იგრძნო, დარწმუნებული იყო, რომ სამიზნე ახლომახლო იმყოფებოდა.

გალუშკინისა და იაროსლავსკოეს ქუჩის გადაკვეთამდე მივიდა და მრავალსართულიანი შენობის ეზოში გაჩერდა. შავ, მბჟუტავ სინათლეს ახედა, რომელიც შენობის შიგნით ნელა გადაადგილდებოდა.

შავი მაგი – იქ იყო. მაქსიმი უკვე რეალურად აღიქვამდა, თითქმის თვალნათლივ. მამაკაცი. სუსტი შესაძლებლობები. არა მაქცია, არა ვამპირი და არა ბოროტი სული, არამედ შავი მაგი. საშუალო შესაძლებლობების გათვალისწინებით, მისი დამარცხება არ უნდა გაუჭირდებოდა. პრობლემა სხვა რამეში იყო.

მაქსიმს უნდა ელოცა და იმის იმედი ჰქონოდა, რომ ასეთი რამ ასე ხშირად აღარ მოხდებოდა. ბნელეთის მოციქულების განადგურება დღითიდღე რთულდებოდა, და არა მარტო ფიზიკურად. ყველაზე შემზარავი ბოლო მომენტი იყო, როდესაც მოწინააღმდეგის გულში მახვილს ასობს, წამი, როდესაც გარშემო ყველაფერი თრთოლვას, დაბალანსებას იწყებს, როცა ფერები იცრიცება, ხმები ცხრება, მოძრაობები ნელდება. რა უნდა ქნას, ერთ მშვენიერ დღეს შეცდომა რომ დაუშვას? კაცობრიობის მტრის ნაცვლად ჩვეულებრივი, უდანაშაულო ადამიანი რომ მოკლას? წარმოდგენა არ ჰქონდა.

სხვა გამოსავალი ხომ მაინც არ არის, რადგან მთელს მსოფლიოში მხოლოდ მას შეუძლია ბნელების ჩვეულებრივი ადამიანებისგან გარჩევა, რადგან მხოლოდ მის ხელში აღმოჩნდა – ღმერთის, განგების, თუ შემთხვევის გამო – იარაღი...

მაქსიმმა ხის მახვილი ამოიღო და სათამაშოს შეხედა, მსუბუქი სევდითა და მღელვარებით. თვითონ არ გამოთალა ერთ დროს ეს ხანჯალი, და თვითონ არ დაარქვა ხმამაღალი და მჟღერი სახელი „მიზერიკორდი“.

მაშინ თორმეტი წლის იყვნენ, ის და მისი საუკეთესო, და ალბათ, ერთადერთი ბავშვობის... და რა არის დასამალი, ერთადერთი მეგობარი, რომელიც კი ოდესმე ჰყოლია, პეტიკა. რაღაც რაინდულ თამაშებს თამაშობდნენ, მართალია დიდხანს არა, ბავშვობაში ბევრი გასართობი ჰქონდათ, და თან არც კომპიუტერი ჰქონდათ და არც დისკოთეკაზე დადიოდნენ. მთელი ეზო თამაშობდა ხოლმე, იმ ერთადერთი მოკლე ზაფხულის განმავლობაში, ხანჯლებს თლიდნენ, ერთი შეხედვით გამეტებით ებრძოდნენ ერთმანეთს, მაგრამ სიფრთხილე არ ავიწყდებოდათ. იმდენს ხვდებოდნენ, რომ ხის იარაღითაც შეიძლება თვალი ამოითხარო ან დაიჭრა. უცნაურია, მაგრამ მაქსიმი და პეტიკა ყოველთვის მოწინააღმდეგე ბანაკებში ხვდებოდნენ. ალბათ იმიტომ, რომ მაქსიმი ოდნავ უფროსი იყო და ცოტათი რცხვენოდა კიდეც პატარა მეგობრის, რომელიც უხმოდ, ფინიასავით დასდევდა კუდის ქიცინით და აღფრთოვანებული შეჰყურებდა. ჩვეულ მომენტად იქცა, როცა მორიგი შეტაკების შემდეგ, მაქსიმი პეტიკას, რომელიც თითქმის არასდროს არ

უწევდა წინააღმდეგობას, ხის ხმალს გამოსტაცებდა და შესძახებდა: „დატყვევებული ხარ!“

შემდეგ უცნაური რამ მოხდა. პეტიკამ უხმოდ გაუწოდა ეს ხმალი... და უთხრა, რომ ღირსეული რაინდი ამ „მიზერიკორდით“ გამოასალმებდა სიცოცხლეს და არ დაამცირებდა დატყვევებით. თამაში იყო... რა თქმა უნდა თამაში... მაგრამ რაღაცამ გაკენწლა, როცა დაარტყა... ხის ხმლით დარტყმა განასახიერა. და რაღაც წარმოუდგენლად მცირე მონაკვეთში პეტიკა ხან მის ხელს შესცქეროდა, ხან გათხვრილი თეთრი მაისურის ფონზე შეჩერებულ სათამაშო ხმალს, და ხან მეგობრის თვალებს. შემდეგ მოულოდნელად ჩაილუღლუღა: „შენი იყოს, დაიტოვე... როგორც ნაალაფარი.“

მაქსიმმა სიამოვნებით, უყოყმანოდ მიიღო ხმალი, როგორც ნაალაფარი და როგორც საჩუქარი. მაგრამ რატომღაც სათამაშოდ არასოდეს წაუღია. სახლში ინახავდა, ცდილობდა, დაევიწყა, თითქოს რცხვენოდა მოულოდნელი საჩუქრის და საკუთარი მომეტებული მგრძნობიარობის. მაგრამ ახსოვდა... ყოველთვის ახსოვდა. არ დავიწყებია არც დიდობაში, როცა დაქორწინდა, ბავშვი გაუჩნდა და წამოეზარდა. სათამაშო იარაღი ბავშვობის ფოტოალბომთან ერთად ეგდო, კონვერტებთან, სადაც მოჭრილი კულულები ეწყო, და სხვა სენტიმენტალულ სისულელესთან ერთად. იმ დღემდე, როდესაც მაქსიმმა პირველად იგრძნო წყვდიადის სამყაროს არსებობა.

მაშინ ხის ხმალმა თითქოს მოუხმო და მას შემდეგ ჭეშმარიტი, ულმობელი, უმოწყალო და დაუმარცხებელი იარაღი გამოდგა.

პეტიკა კი აღარ იყო. ახალგაზრდობამ დააშორა – ერთი წლის განსხვავება ასაკში ბავშვებისთვის ბევრია, მაგრამ მოზარდებისთვის ნამდვილ უფსკრულად იქცევა ხოლმე. შემდეგ უკვე ცხოვრებამ გაყარა. შეხვედრისას ერთმანეთს უღიმოდნენ, ხელს ართმევდნენ, ერთი ორჯერ გემრიელად დალიეს კიდევაც და ბავშვობა გაიხსენეს. შემდეგ მაქსიმმა ცოლი შეირთო, სხვაგან გადავიდა და კავშირი თითქმის შეწყდა. ამ ზამთარს კი, სრულიად მოულოდნელად, ამბავი მოუვიდა. დედამ უთხრა, რომელსაც, როგორც მზრუნველ და სამაგალითო შვილს შეეფერება, ყოველ საღამოს ურეკავდა. „პეტიკა გახსოვს? ბავშვობაში განუყრელი მეგობრები იყავით...“

ახსოვდა. და მაშინვე მიხვდა, ეს შესავალი რასაც ნიშნავდა.

მრავალსართულიანი შენობის სახურავიდან გადმოვარდა და დაიღუპა. რა უნდოდა, რისთვის ავიდა იქ იმ შუაღამეს? შეიძლება თავის მოკვლა გადაეწყვიტა... შეიძლება, დათვრა, მაგრამ ექიმები ამბობენ, რომ ფხიზელი იყო. შეიძლება, მოკლეს კიდევაც. რაღაც კომერციულ ორგანიზაციაში მუშაობდა, საკმაოდ კარგად შოულობდა, მშობლებს ეხმარებოდა, ახალი მანქანით დადიოდა..

„კაიფში იქნებოდა“, - მრისხანედ უპასუხა მაქსიმაა, ისე უხეშად, რომ დედამისი ვეღარც შეეკამათა. – „კაიფში იქნებოდა, ყოველთვის უცნაური იყო.“

და გულიც არ ატოკებია, არ შეკუმშვია. მაგრამ საღამოს რატომღაც თვითონ დათვრა. შემდეგ ადგა და ქალი მოკლა, რომლის შავ-ბნელი ძალა აიძულებდა გარშემომყოფთ, საყვარლები დაეტოვებინათ და კანონიერ ცოლებს დაბრუნებოდნენ, ხანშიშესული ჯადოქარი მოკლა, მაჭანკალი და გამყრელი, რომელსაც უკვე მეორე კვირაა უშედეგოდ ეძებდა.

პეტიკა, ბიჭი, რომელთანაც ბავშვობაში მეგობრობდა, დიდი ხანია, აღარ იყო, პეტრ ნესტეროვი კი, რომელსაც წელიწადში ერთხელ და ხანდახან უფრო იშვიათადაც ხედავდა, უკვე სამი თვეა აღარ იყო. მისი ნაჩუქარი ხმალი კი რჩებოდა.

ალბათ მათ ტლანქ, ბავშვურ მეგობრობასაც რაღაც აზრი ჰქონდა, ფუჭად არ ჩაუვლია...

მაქსიმმა ხის ხმალი ხელში აათამაშა. რატომ, რატომ არის მარტო? რატომ არ არის მის გვერდით მეგობარი, რომელიც ტვირთის რაღაც ნაწილს მაინც მოაშორებდა? ირგვლივ იმხელა წყვდიადია და ასე მცირე სინათლე.

რატომღაც ლენას ბოლო ფრაზა გაახსენდა, გაქცეულ ქმარს რომ დაადევნა: „ჯობია, გიყვარდეთ, ვიდრე გვიფრთხილდებოდე...“

„ეს რა, ერთი და იგივე არ არის?“ – გონებაში ეწინააღმდეგებოდა მაქსიმი.

არა, ალბათ არ არის ერთი და იგივე. მაგრამ რა უნდა ქნას ადამიანმა, რომლისთვისაც სიყვარული ბრძოლაა, რომელიც რაღაცის არ ვიღაცის წინააღმდეგ იბრძვის და რაღაცის არ ვიღაცის მხარეზე?

წყვდიადის წინააღმდეგ და არა სინათლის მხარეზე.

არა სინათლის მხარეზე, არამედ წყვდიადის წინააღმდეგ.

- გუშაგი ვარ, - თქვა მაქსიმმა. თავისთვის, ხმადაბლა, თითქოს რცხვენოდა ხმამაღალი ლაპარაკის. თავის თავს შიზოიდები ელაპარაკებიან. მაქსიმი კი შიზოიდი არ არის, ნორმალური ადამიანია, უფრო მეტიც, ვიდრე ნორმალური, ხედავს ბოროტებას, რომელიც სამყაროსკენ მოიწევს...

მოიწევს, თუ უკვე დიდი ხანია, რაც აქ ჩაბუდებულა?

სიგიჟეა. არ შეიძლება, არაფრით არ შეიძლება ყოყმანი. თუ რწმენას ოდნავ მაინც დაკარგავს, თავს მოდუნების საშუალებას მისცემს, ან არარსებული მოკავშირეების ძებნას დაიწყებს, წასულია მისი საქმე. ხის ხმალი აღარ შეასრულებს სინათლის მომტანი და წყვდიადის გამფანტავი იარაღის როლს. მორიგი მაგი თავისი გრძნეული ცეცხლით დაწვავს, ჯადოქარი მოაჯადოებს, მაქცია ნაფლეთებად აქცევს მის სხეულს.

გუშაგი და მართლმსაჯული!

ყოყმანი არ ეპატიება.

მეცხრე სართულზე მოტივტივე წყვდიადის ღრუბელმა მოულოდნელად ქვემოთ იწყო ჩამოსვლა. გულის ცემამ იმატა – შავი მაგი საკუთარი ბედის შესახვედრად მოიწევდა. მაქსიმი მანქანიდან გადმოვიდა და სწრაფად მიმოიხედა. არავინ ჩანდა. როგორც ყოველთვის... მასში რაღაც დაფარული ძალა უნებლიე მოწმედ სდევნიდა, ბრძოლის ველს წმენდდა.

ბრძოლის ველს? თუ ეშაფოტს?

გუშაგი და მართლმსაჯული!

თუ ჯალათი?

რა მნიშვნელობა აქვს! სინათლეს ემსახურება!

სხეულში ნაცნობმა ძალამ დაუარა, ააფორიაქა. მაქსიმი სადარბაზოსკენ გაემართა, ხელი პიჯაკის გულის ჯიბისკენ წაეღო, შავი მაგის შესახვედრად, რომელიც ლიფტით ჩამოდიოდა.

სწრაფად, ყველაფერი სწრაფად უნდა გაკეთდეს. ჯერ მთლად არ ჩამობნელებულა, შეიძლება შენიშნონ. ვერავინ ვერასდროს დაიჯერებს მის ამბავს... უკეთეს შემთხვევაში საგიჟეთი ელოდა.

დაუძახებდა... თავის ვინაობას დაასახელებდა... იარაღს იძრობდა.

მიზერიკორდი. მოწყალება. გუშაგია და მართლმსაჯული. სინათლის რაინდი. და არა ჯალათი!

ეს ეზო კი ბრძოლის ველია და არა ეშაფოტი!

მაქსიმი სადარბაზოს კართან გაჩერდა. ვიღაცის ფეხის ხმა გაისმა. ურდული გაჩხაკუნდა.

და მაქსიმი დაუძლეველმა სურვილმა შეიპყრო, სიმწარისა და გაშმაგებისგან ეყვირა, ზეცა, საკუთარი ბედისწერა და ავადსახსენებელი ნიჭი დაეწყევლა.

შავი მაგი პატარა ბიჭი აღმოჩნდა.

გამხდარი შავთმიანი ბიჭი. გარეგნულად სრულიად ჩვეულებრივი, მაგრამ მის გარშემო შემოვლებულ წყვდიადის შარავანდედს მხოლოდ მაქსიმი ამჩნევდა.

რატომ? ასეთი რამ ჯერ არ გადახდომა. ქალებიც მოუკლავს და კაცებიც, ახალგაზრდებიც და ხანშიშესულებიც, მაგრამ ბავშვები, რომლებმაც სიბნელეს სული მიყიდეს, ჯერ არ შეხვედრია. მაქსიმი ამაზე არც დაფიქრებულა არასდროს, ან არ უნდოდა ამის შესაძლებლობა ეღიარებინა, ან წინასწარ აცხადებდა უარს გადაწყვეტილების მიღებაზე. შეიძლება, სახლშიც დარჩენილიყო, რომ სცოდნოდა, რომ მისი მსხვერპლი ამჯერად თორმეტი წლის ბიჭი აღმოჩნდებოდა.

ბიჭი სადარბაზოს კართან იდგა და გაოცებული შეჰყურებდა მაქსიმს. წამით ეგონა, რომ შებრუნდებოდა, უკან შევარდებოდა და სადარბაზოს კოდირებულ კარს ჩარაზავდა... მიდი, გაიქეცი, რაღას უყურეს!

ბიჭმა წინ გადმოდგა ნაბიჯი, კარი ხელით ეჭირა, რომ ძალიან მაგრად არ მიჯახუნებოდა. მაქსიმს თვალებში შეხედა, ოდნავ წარბებშეჭმუხნილმა, მაგრამ ყოველგვარი შიშის გარეშე. სრულიად გაუგებარია. მაქსიმი ჩვეულებრივ გამვლელად არ მიუღია, მიხვდა, რომ უდარაჯებდნენ. და თავად გამოვიდა შესახვედრად. არ ეშინია? დარწმუნებულია თავის ბნელ ძალაში?

- თქვენ ნათელი ხართ, ვხედავ, - თქვა ბიჭმა. ჩუმად, მაგრამ მტკიცედ.

- კი... – ძლივს ამოღერღა მაქსიმმა, თითქოს სიტყვა დიდი გაჭირვებით მოსწყდა ენას, და თვალი მოარიდა, საკუთარ სისუსტეზე გამწარებულმა. ბიჭს მხარზე დაადო ხელი და გამოუცხადა: - მე მართლმსაჯული ვარ.

მაინც არ შეეშინდა.

- დღეს ანტონი ვნახე.

რომელი ანტონი? მაქსიმს არაფერი უთქვამს, გაოცება თვალებში აღებეჭდა.

- ანტონის გამო მოხვედით ჩემთან, არა?

- არა. შენს გამო.

- რატომ?

ბიჭი ოდნავ გამომწვევად იქცეოდა, თითქოს მაქსიმთან ერთ დროს დიდხანს უკამათია რაღაცაზე, თითქოს მაქსიმი რამეში დამნაშავე იყო და საკუთარი ბრალი უნდა ეღიარებინა.

- მე მართლმსაჯული ვარ, - გაიმეორა მაქსიმმა. უნდოდა, შებრუნებულიყო და გაქცეულიყო. ყველაფერი სხვანაირად აეწყო, არასწორად! შავი მაგი არ შეიძლებოდა ბავშვი ყოფილიყო, მისი შვილის ხელა. შავი მაგი თავს უნდა იცავდეს, თავს ესხმოდეს, გარბოდეს – მაგრამ არ უნდა იდგეს ნაწყენი სახით... თითქოს ამის უფლება აქვს.

თითქოს რაღაცამ შეიძლება დაიცვას.

- რა გქვია?

- ეგორი.

- ძალიან ვწუხვარ, რომ ასე გამოვიდა, - მაქსიმი გულწრფელად ამბობდა. და მკვლელობის გაწელვისგან ვერავითარ სადისტურ სიამოვნებას ვერ იღებდა. – ეშმაკმა დაწყევლოს... ჩემი გოგოს ასაკის ხარ!

რატომღაც ეს ყველაზე მეტად სწყინდა.

- მაგრამ მე თუ არა, მაშ ვინ?

- რაზე ლაპარაკობთ? – ბიჭმა სცადა, მაქსიმის ხელი მოეშორებინა. ამან სიმტკიცე შემატა.

ბიჭი-გოგო, დიდი-პატარა. რა მნიშვნელობა აქვს! სინათლე და სიბნელე – აი, რაშია განსხვავება.

- უნდა გადაგარჩინო, - უთხრა მაქსიმმა. თავისუფალი ხელით ჯიბიდან ხმალი ამოიღო. – უნდა გადაგარჩინო და გადაგარჩენ კიდევაც.

თავი 7

თავიდან მანქანა ვიცანი, შემდეგ მანქანიდან გადმოსული მკვლელი. მძიმე, შავბნელი ნაღველი შემომაწვა. მკვლელი ის კაცი გამოდგა, მე რომ გადამარჩინა, როცა ოლგას სხეულში ვიყავი და „მაჰარაჯადან“ გავრბოდი.

უნდა მიმხვდარიყავი? ალბათ... მეტი გამოცდილება და მეტი დრო რომ მქონოდა და უფრო ცივსისხლიანი რომ ვყოფილიყავი. ქალი, რომელიც მანქანაში ეჯდა... უბრალოდ აურას უნდა დავკვირვებოდი, სვეტლანამ ხომ ზედმიწევნით ზუსტად აღწერა. უნდა მეცნო და ყველაფერი იქვე, მანქანაში დამესრულებინა.

მაგრამ როგორ?

ბინდში გადავედი, როცა მკვლელმა ჩემსკენ გამოიხედა. მე მგონი გაჭრა ამ ხერხმა, და სადარბაზოსკენ გაემართა, სადაც ერთ დროს ნაგავსატართან ახლოს ვიჯექი და პირქუშად ვესაუბრებოდი ბუს.

მკვლელი ეგორის მოსაკლავად მიდიოდა. როგორც ვიფიქრე, როგორც ზავულონმა გათვალა. მახე ჩემს წინ დაეგოთ, მჭიდროდ დაჭიმული ზამბარა შეკუმშვას იწყებდა. საკმარისი იყო ერთი ნაბიჯი გადამედგა, რომ დღის საგუშაგოს ოპერაციის დასრულებით გავახარებდი.

თავად ზავულონი სადღაა?

fb.com/groups/elib

ბინდი გარკვეულ დროს მაძლევდა. მკვლელი შენობისკენ მიდიოდა, აუჩქარებლად ადგამდა ნაბიჯებს, მე კი აქეთ-იქით ვიყურებოდი, ირგვლივ წყვდიადს ვეძებდი. კვალი მაინც რომ მეპოვნა, ან სუნთქვა მეგრძნო, ან ჩრდილი მაინც შემემჩნია...

მაგიის დაძაბულობამ მწვერვალს მიაღწია. აქ რეალობის ხაზები კვეთდა ერთმანეთს და მომავლისკენ არღვევდა გზას. ათასი გზის გასაყარი, წერტილი, სადაც სამყარო წყვეტს, საით წავიდეს. არა ჩემს გამო, არც მკვლელის და არც ბიჭის გამო. ჩვენ ყველანი ხაფანგის ნაწილი ვართ. ჩვენ ყველანი სტატისტები ვართ, ერთს უბრძანებენ წარმოთქვას „სადილი მზადაა“, მეორეს ვარდნას განასახიერებინებენ, მესამეს კი თავაწეულს გააგზავნიან ეშაფოტზე. მოსკოვის ეს წერტილი უკვე მეორეჯერ ხდებოდა ბრძოლის უხილავი ველი. მაგრამ სხვანაირებს აქ ვერ ვამჩნევდი, ვერც ბნელებს და ვერც თეთრებს. მხოლოდ მკვლელს ვხედავდი, და ისიც სხვანაირად ვერ ჩაითვლებოდა, მხოლოდ მკერდთან უკრთოდა ძალის ნაპერწკალი. ჯერ ვიფიქრე, რომ მის გულს ვხედავდი, მერე მივხვდი, რომ ეს სწორედ ის იარაღია, რითაც ბნელებს ხოცავს.

რა არის ეს, ზავულონ? მოულოდნელმა, უაზრო წყენამ შემიპყრო. მოვედი! შენს ხაფანგში ვებმები... ხედავ, უკვე ფეხიც ჩავდგი, სადაცაა ხაფანგი დაიკეცება... სად ხარ?

შავი მაგი ან ისე ოსტატურად იმალებოდა, რომ მისი დანახვა ჩემს ძალებს აღემატებოდა, ან საერთოდ არ იყო აქ!

ბრძოლას ვაგებდი. ვაგებდი ისე, რომ ჯერ არც ჩავბმულვარ ხეირიანად, რადგან მტრის ჩანაფიქრს ვერ ვხვდებოდი. სადღაც ახლომახლო ჩასაფრებულები უნდა იყვნენ, ბნელებმა ხომ უნდა გაანადგურონ მკვლელი, როგორც კი ეგორს მოკლავს...

როგორ მოკლავს?

მე ხომ უკვე აქ ვარ. ავუხსნი, რაც ხდება, მოვუყვები საგუშაგოების შესახებ, რომლებიც ერთმანეთის საქციელს აკონტროლებენ, შეთანხმების შესახებ, რომელიც მათ ნეიტრალიტეტის დაცვას ავალდებულებს, ადამიანების, სხვანაირებისა და ბინდის შესახებ. ავუხსნი ისე, როგორც სვეტლანას ვუხსნიდი, და ისიც გაიგებს...

გაიგებს კი?

თუ საერთოდ შეუძლია სინათლის დანახვა!

სამყარო მისთვის ცხვრის უტვინო ნაცრისფერ ფარას ჰგავს. ბნელები ცხვრების გარშემო მოზურზურე მგლებია, რომლებიც ყველაზე მსუქან ცხვრებს წაავლებს ხოლმე პირს. ის კი მეცხვარე ძაღლია, რომელიც მეცხვარეებს ვერ ხედავს, შიშითა და მძვინვარებით დაბრმავებული და აქეთ-იქით ეხეთქება, ერთი ყველას წინააღმდეგ.

არ დაიჯერებს, არ მისცემს თავს ამის საშუალებას...

მკვლელისკენ გავექანე. სადარბაზოს კარი უკვე ღია იყო და მკვლელი ეგორს ელაპარაკებოდა. რატომ გამოვიდა გარეთ ამ შუაღამეს ეს სულელი ბავშვი, რომელმაც უკვე მშვენივრად იცოდა, რა ძალებიც მართავდნენ ჩვენს ქვეყანას? ნუთუ მკვლელს მსხვერპლის მიტყუება შეეძლო?

ლაპარაკს აზრი არა აქვს. ბინდიდან უნდა გამოსულიყო, თავს დასხმოდა და მხოლოდ ამის მერე აეხსნა!

...ბინდმა ათასი დაჭრილის ხმით დაიგმინა, როდესაც სირბილისას უხილავ ბარიერს შევასკდი. მკვლელისგან სამიოდე ნაბიჯში, როდესაც ხელი უკვე აღმართული მქონდა დასარტყმელად, გამჭვირვალე კედელს მივეხეთქე, მივეკარი და ნელ-ნელა ჩამოვსრიალდი მიწაზე, თავი გავიქნიე გაბრუებულმა, ყურები მიწუოდა.

ცუდია. რა ცუდია, რომ ძალის არსი არ ესმის. თვითნასწავლი მაგია, კეთილი ფსიქოპატი. მაგრამ როცა საქმეზე მიდის, მაგიურ ბარიერს ივლებს. უნებლიედ, მაგრამ ეს ფაქტი მაინცდამაინც არ მამშვიდებს.

მკვლელმა ეგორს რაღაცა უთხრა. და ხელი პიჯაკის გულის ჯიბიდან გამოიღო.

ხის ხმალი. რაღაც კი მსმენია ამ მაგიის შესახებ, მიამიტი და ამავე დროს მძლავრი, მაგრამ ახლა ამის გახსენების დრო არ არის.

ჩრდილიდან გამოვძვერი, ადამიანურ სამყაროში შევვარდი და მკვლელს ზურგზე შევახტი.

მაქსიმს ხმლიანი ხელი აღემართა და დარტყმისთვის ემზადებოდა, როცა ვიღაცამ ხელი შეუშალა. სამყარო ნაცრისფერი გახდა, ბიჭის მოძრაობები შენელდა, ხედავდა, როგორ ნელა დაეშვა წამწამები უკანასკნელად, სანამ თვალები ტკივილისგან გაუფართოვდებოდა. ღამე ბინდისეულ პოდიუმად იქცა, სადაც მას ჩვეულებრივ სამსჯავროზე გაჰყავდა დამნაშავეები და განაჩენი სისრულეში მოჰყავდა, სადაც ვერავინ შეძლებდა მის შეჩერებას.

და მაინც შეაჩერეს. წააქციეს და ასფალტზე დააგორეს. ბოლო მომენტში მაქსიმმა ხელის შეშველება მოასწრო, გადაგორდა და ფეხზე წამოხტა.

სცენაზე მესამე პერსონაჟი გამოჩნდა. როგორ ვერ შენიშნა მაქსიმმა? როგორ მიეპარა მნიშვნელოვანი საქმით გართულს, რომელსაც მაყურებლებისგან და ზედმეტი მოწმეებისგან ყოველთვის იცავდა რაღაც ნათელი ძალა, ბრძოლის ველზე რომ უხმობდა?

ახალგაზრდა კაცი, მაქსიმზე ოდნავ პატარა, ალბათ. ჯინსებში, სვიტრში, მხარზე გადაკიდებული ჩანთით, რომელიც დაუდევრად ჩამოიგდო და მხრები აამოძრავა. პისტოლეტით ხელში!

რა ცუდია...

- შეჩერდი, - მიმართა კაცმა, თითქოს მაქსიმი სადმე გაქცევას აპირებდა. – მომისმინე.

შემთხვევითი გამვლელი, რომელმაც ბანალურ მანიაკად მიიჩნია? პისტოლეტი, ის სიმარჯვე, რომლითაც ასე უჩუმრად მიეპარა? სპეცნაზის თანამშრომელი? ასეთი გაისროდა, ან იქვე ჩაქოლავდა, ადგომას არ დააცლიდა.

მაქსიმი უცნობს დააკვირდა, საშინელი აზრისგან გარინდებული. ვაითუ ეს კიდევ ერთი ბნელი ყოფილიყო... ერთდროულად ორს ჯერ არ გადაყრია.

წყვდიადი არ ჩანდა. საერთოდ არ ჩანდა!

- ვინ ხარ? – ჰკითხა მაქსიმაა, ბიჭი თითქმის გადაავიწყდა. ეგორი ნელ-ნელა იხევდა უკან მოულოდნელი მხსნელისკენ.

- გუშაგი. ანტონ გოროდეცკი, ღამის საგუშაგო. მომისმინე.

თავისუფალი ხელით ანტონმა ბიჭი დაიჭირა და გადაეფარა. საკმაოდ ნათელი მინიშნება იყო.

- ღამის საგუშაგო? – მაქსიმი ცდილობდა, უცნობში წყვდიადის სუნთქვა დაეჭირა, მაგრამ ვერ პოულობდა და ეს სულ უფრო მეტად აშინებდა. – წყვდიადიდან ხარ?

ვერაფერი გაეგო. ჩემს ზონდირებას ცდილობდა, ვგრძნობდი, როგორ ენერგიულად და ამავე დროს ტლანქად მიტრიალებდა გონებას გამძვინვარებული. არც კი ვიცოდი, უნდა ჩამეკეტა თუ არა გონება. ამ ადამიანისგან, თუ სხვანაირისგან, აქ ორივე ცნება გამოდგებოდა, რაღაც ძლიერი, პირველყოფილი ძალა მოდიოდა, ისეთი შეშლილი, ფანატიკური მოზღვავება. გონება არ ჩამიკეტავს.

- ღამის საგუშაგო? წყვდიადიდან ხარ?

- არა. რა გქვია?

- მაქსიმი, - მკვლელი ნელ-ნელა მიახლოვდებოდა. მაკვირდებოდა, თითქოს გრძნობდა, რომ ადრე უკვე შევხვედრილვართ, მაგრამ მაშინ სხვის სხეულში ვიყავი. – ვინ ხარ?

- ღამის საგუშაგოს თანამშრომელი. ყველაფერს აგიხსნი, მომისმინე. შენ თეთრი მაგი ხარ.

მაქსიმს სახე შეუკრთა, გაუქვავდა.

- ბნელებს კლავ. ვიცი. დღეს დილით ქალი-მაქცია მოკალი. საღამოს, რესტორანში, შავი მაგი გამოასალმე სიცოცხლეს.

- შენ... შენც?

შეიძლება მომეჩვენა. შეიძლება მის ხმაში მართლაც გაიელვა იმედმა. დემონსტრაციულად ჩავიდევი პისტოლეტი ბუდეში.

- თეთრი მაგი ვარ. მართალია, არც თუ ისე ძლიერი. ერთ-ერთი ასეულობით ჯადოქრებისგან მოსკოვში. ჩვენნაირები ბევრია, მაქსიმ.

მაქსიმს თვალები გაუფართოვდა, და მივხვდი, რომ მიზანს გავარტყი. შეშლილი ნამდვილად არ იყო, რომელსაც თავი სუპერმენად წარმოუდგენია, და ამაყობს ამით. ალბათ, ცხოვრებაში არაფერი ისე არ ძალიან არ უნდოდა, როგორც თავისნაირის პოვნა.

- მაქსიმ, ჩვენ დროზე ვერ შეგამჩნიეთ, - ავუხსენი. ნუთუ ყველაფერი მშვიდობიანად, სისხლისღვრის, ორი თეთრი მაგის მძვინვარე შეტაკების გარეშე ჩაივლიდა? – ეს ჩვენი ბრალია. შენ მარტო შეუდექი ბრძოლას, ნიადაგის მარტომ მოსინჯე. მაქსიმ, ჯერ კიდევ შეიძლება ამის გამოსწორება. შენ ხომ იცოდი შეთანხმების შესახებ...

არ მისმენდა, იდუმალი შეთანხმება სულ არ აინტერესებდა. მისთვის ყველაზე მთავარი თავისნაირის პოვნა იყო.

- წყვდიადს ებრძვით?

- ჰო.

- ბევრნი ხართ?

- ჰო!

მაქსიმმა ისევ შემომხედა, და მის თვალებში ისევ გაიელვა ბინდის გამჭოლმა სუნთქვამ. ცდილობდა, სიცრუე დაენახა, წყვდიადი დაენახა, სიბოროტე და სიძულვილი დაენახა – ის, რისი დანახვაც მხოლოდ მას შეუძლია.

- შენ ხომ ბნელი არ ხარ, - თითქმის საცოდავად წარმოთქვა. – ვხედავ. არასოდეს ვცდები!

- გუშაგი ვარ, - გავუმეორე. მიმოვიხედე – ირგვლივ არავინ ჩანდა. ადამიანებს რაღაცა აფრთხობდა. ეტყობა, ესეც მაქსიმის შესაძლებლობებში შედიოდა.

- ეს ბიჭი...

- ეგეც სხვანაირია, - სწრაფად ვუპასუხე. – მაგრამ ჯერ არ ჩამოყალიბებულა თეთრად ან...

მაქსიმმა თავი გააქნია:

- ბნელია.

ეგორს შევხედე. ბიჭმა ნელა ასწია თავი.

- არა, - შევეწინააღმდეგე.

აურა მკვეთრი ჰქონდა – ნათელი სუფთა, მოლივლივე ცისარტყელა, ჩვეულებრივი, ბავშვებისთვის, და არა მოზარდებისთვის დამახასიათებელი. საკუთარი ბედი, ჩამოუყალიბებელი მომავალი.

- ბნელია, - მაქსიმმა თავი გადააქნია. – ვერ ხედავ? მე არასოდეს ვცდები. შენ შემაჩერე და არ მომეცი წყვდიადის აგენტის განადგურების საშუალება.

ალბათ სიმართლეს ამბობდა. შეიძლება მრავალმხრივი შესაძლებლობები არ ჰქონდა, სამაგიეროდ მკვეთრად განვითარებული უნარებითა იყო დაჯილდოებული. თან ზუსტად ასეთ, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ წყვდიადს, ყველაზე კარგად ხედავდა.

- ჩვენ ყველა ბნელს არ ვხოცავთ მიყოლებით.

- რატომ?

- ზავი გვაქვს დადებული, მაქსიმ.

- როგორ შეიძლება სიბნელესთან ზავის დადება?

ჟრუანტელმა დამიარა. მის ხმაში ეჭვის ნატამალიც ვერ შევამჩნიე.

- ნებისმიერი ომი მშვიდობაზე უარესია.

- ეს ომი არაა, - მაქსიმმა ხმლიანი ხელი აღმართა. – ხედავ? ეს საჩუქარია.. ჩემი მეგობრის საჩუქარი. დაიღუპა, და შეიძლება ზუსტად ასეთების გამო, ეს ბიჭი რომაა. წყვდიადი მზაკვარია!

- მე მეუბნები მაგას?

- რა თქმა უნდა. შეიძლება ნათელი იყო, - სახეზე მწარე ღიმილი აღებეჭდა. – მაგრამ თქვენმა სინათლემ დიდი ხანია ელვარება დაკარგა. ბოროტებას გამართლება არა აქვს. წყვდიადთან მორიგება გამორიცხულია.

- ბოროტებას გამართლება არა აქვს? – ახლა მეც გავმწარდი. და თან როგორ. – როცა შავი მაგი გამოასალმე სიცოცხლეს ტუალეტში... დარჩენილიყავი ერთი ათი წუთით და დაინახავდი, როგორ ყვიროდნენ მისი ბავშვები, როგორ ქვითინებდა ცოლი. ისინიც ბნელები არიან, მაქსიმ? ჩვეულებრივი ხალხია, რომელსაც ჩვენნაირი ძალები არა აქვს! გახსოვს, ცეცხლისგან რომ იხსენი გოგო?

მაქსიმი შეკრთა, მაგრამ უტეხი და მშვიდი სახის გამომეტყველება არ დაუკარგავს.

- ყოჩაღ! იმ გოგოს მოკვლას რომ შენი დანაშაულის გამო აპირებდნენ, ესეც არაფერი? იცოდი?

- ომია!

- შენ თვითონ მოიგონე შენი ომი, - ჩავჩურჩულე. – თავად ხარ ბავშვი, შენი ბავშვური ხმლით. ხეს ჩეხავ – ნაფოტებს ისვრი, არა? ნუთუ გგონია, რომ სინათლისთვის ბრძოლაში ყველაფერი ნებადართულია?

- მე სინათლისთვის არ ვიბრძვი, - მანაც დაუწია ხმას. – სინათლისთვის კი არა, სიბნელის წინააღმდეგ ვიბრძვი. მე მეტი არ შემიძლია. გესმის? და არ იფიქრო, რომ... ჩემთვის ეს არც ტყეს ნიშნავს და არც ნაფოტებს. და ეს ძალა სულაც არ მითხოვია, არც მიოცნებია მასზე. მაგრამ რადგან მომანიჭეს... სხვაგვარად არ შემიძლია.

ვის გამორჩა მხედველობიდან?

რატომ მაშინვე არ ვიპოვეთ, როგორც კი სხვანაირად იქცა?

მისგან მშვენიერი ოპერატიული გამოვიდოდა. ხანგრძლივი კამათისა და ახსნა-განმარტებების შემდეგ. თვეობით ტრენინგების, წარუმატებლობების, შეცდომების, მელანქოლიის შემოტევების, თვითმკვლელობის შემოტევების შემდეგ. სანამ, ბოლოსდაბოლოს, გულით კი არა, რადგან გული არ მიუცია მისთვის განგებას, არამედ საკუთარი ცივი გონებით არ გაიაზრებდა წინააღმდეგობის წესებს, კანონებს, რომლითაც სინათლე და წყვდიადი ხელმძღვანელობენ ომის წარმოებისას, კანონები, რომლითაც იძულებული ვართ, ზურგი შევაქციოთ მსხვერპლის მადევარ მაქციებს, და გავანადგუროთ ჩვენიანები, რომლებმაც ვერ შეძლეს ზურგის შექცევა.

ჩემს წინაშე თეთრი მაგი იდგა, რომელმაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იმაზე მეტი ბნელი მოკლა, ვიდრე ასწლიანი სტაჟის მქონე ოპერატიულმა თანამშრომელმა, მარტოხელა, გამწარებული და დაბოღმილი, სიძულვილით შეპყრობილი და სიყვარულის ვერშემძლე.

მივტრიალდი, ეგორს, რომელიც ჩუმად და გაუნძრევლად იდგა ჩემს უკან და დაძაბული ისმენდა ჩვენს კამათს, მხრებში ჩავავლე ხელი, ჩემს წინ დავიყენე და განვაგრძე:

- შავი მაგია? ალბათ. ვშიშობ, მართალი ხარ. რამდენიმე წელი გავა და ეს ბიჭი მთელი ძალით შეიგრძნობს თავის შესაძლებლობებს. ცხოვრებას გააგრძელებს, ხოლო მის გარშემო წყვდიადი გაიდგამს ფესვებს. ცხოვრება დღითიდღე გაუადვილდება, მის თითოეულ ნაბიჯს სხვისი ტკივილი აანაზღაურებს. გახსოვს ზღაპარი ქალთევზაზე? ჯადოქარმა ფეხები უბოძა, გოგო დადიოდა და ტერფებში თითქოს გავარვარებული დანები ესობოდა. ჩვენზეც იგივე ითქმის, მაქსიმ! ჩვენც სულ დანის პირებზე დავდივართ, და ამას ვერ მიეჩვევი. მაგრამ ანდერსონს ერთი რამ გამორჩა. ჯადოქარს სხვაგვარადაც შეეძლო, მოქცეულიყო. ქალთევზა მიდის, ხოლო დანები სხვის ტერფებს სერავენ. ეს წყვდიადის გზა გახლავთ.

- ტკივილი ყოველთვის თან მდევს, - ჩაერთო მაქსიმი. და ისევ გამიელვა შეშლილმა იმედმა, რომ მაქსიმს შეუძლია, გაიგოს. – მაგრამ ამან არ უნდა შემიშალოს ხელი.

- მზად ხარ, მოკლა? – თავით ეგორზე ვანიშნე. – მაქსიმ, მითხარი? საგუშაგოს თანამშრომელი ვარ... ვიცი, სადაც გადის ზღვარი კეთილსა და ბოროტს შორის. ბნელების მოკვლითაც შეგიძლია, ბოროტების წარმოშვა. მითხარი, მზად ხარ, მოკლა?

მაქსიმმა უყოყმანოდ დამიქნია თავი და თვალებში შემომხედა – მშვიდად, სიხარულით.

- დიახ. არა მარტო მზად ვარ... ბოროტების ნაშიერი არასოდეს გამიშვია ხელიდან. და არც ახლა გავუშვებ.

უხილავმა ხაფანგმა გაიჩხაკუნა.

არ გამიკვირდებოდა, ახლა ზავულონი რომ დამენახა, ბინდიდან რომ გამოფარფატებულიყო და მოწონებით დაერტყა მაქსიმისთვის მხარზე ხელი, ან დამცინავად შემოეხედა ჩემთვის.

მალევე მივხვდი, რომ ზავულონი აქ არ იყო. არ იყო და არც ყოფილა. დაგებული ხაფანგი ზედამხედველობას არ საჭიროებს, ის თავის საქმეს ისედაც იზამს. რაც მთავარია, გავები – თანაც ამ შემთხვევაში დღის საგუშაგოს ნებისმიერ თანამშრომელს იდეალური ალიბი აღმოაჩნდებოდა.

ან მაქსიმს მომავალი შავი მაგის მოკვლის საშუალებას მივცემდი, და ამით თავად გავხდებოდი თანამზრახველი, მთელი თავისი თანამდევი შედეგებით.

ან მკვლელს შევებმოდი. გავანადგურებდი – ჩვენი ძალები მაინც არ არის თანაბარი, და საკუთარი ხელით გავანადგურებდი ერთადერთ მოწმეს, და, ამასთან ერთად, თეთრ მაგს...

მაქსიმი ხომ უკან არ დაიხევს. ეს მისი ომია, მისი პატარა პერსონალური გოლგოთა, რომელზედაც რამდენიმე წელია საკუთარ თავს მიათრევს. ან გაიმარჯვებს, ან დაიღუპება.

და რაში სჭირდება ზავულონს, შეტაკებაში ჩაერთოს?

მან ხომ ყველაფერი სწორად გათვალა. ბნელების რიგები უსარგებლო თანამშრომლებისგან გაწმინდა, ბრძოლის ველზე შემიტყუა, ხელოვნური დაძაბულობა შექმნა, „ერთგვარი მოძრაობის“ იმიტაციასაც მიმართა და ტყვიების რიგი გამაყოლა. ახლა ზავულონი აქედან შორსაა, შეიძლება მოსკოვში არც იმყოფებოდეს. ალბათ შორიდან ადევნებს მოვლენებს თვალს – ამის უამრავი ტექნიკური და მაგიური საშუალება არსებობს. გვითვალთვალებს და დაგვცინის.

მახეში გავები.

რაც არ უნდა მოვიმოქმედო, ყველა ვარიანტში ბინდი მელის.

ბოროტებისთვის სულაც არ არის აუცილებელი საკუთარი ხელით მოსპოს სიკეთე. გაცილებით უფრო ადვილია, თავად სიკეთე აიძულო, საკუთარ სხეულს თავად ჩააფრინდეს.

ერთადერთი შანსი მრჩებოდა, ისიც საშინლად პატარა და წარმოუდგენლად ვერაგი.

ვერ მომესწრო.

მაქსიმისთვის ბიჭის მოკვლის საშუალება მიმეცა... არა, რა თქმა უნდა, საშუალება კი არ მიმეცა, უბრალოდ ხელი ვერ შემეშალა მისთვის. ამის მერე დაწყნარდება, ღამის საგუშაგოს შტაბში გამომყვება, მოისმენს და ასჯერ შეეწინააღმდეგება, დაცხრება შეფის რკინის არგუმენტებითა და ულმობელი ლოგიკით დათრგუნული, მიხვდება, რაც ჩაიდინა, რამდენად მგრძნობიარე ბალანსი დაარღვია. და თავად წარდგება ტრიბუნალის წინაშე, სადაც გამართლების წარმოუდგენლად მცირედი შანსი ექნება.

მე ხომ ოპერატიული არ ვარ. ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. წყვდიადის თამაშის, კომბინაციის გაგებაც შევძელი, რომელიც გაცილებით დახვეწილ გონებას დაეგეგმა. უბრალოდ ძალა და დრო არ მეყო.

მაქსიმმა ხმლიანი ხელი აღმართა.

დრო მოულოდნელად გაიწელა და შენელდა, თითქოს ბინდში გადავსულიყავი. მაგრამ ფერებმა სიმკვეთრე არ დაკარგა, პირიქით, უფრო ნათელიც გახდა, და მეც ამ ბლანტე ჟელატინისებრ ნაკადში ვმოძრაობდი. ხის ხმალი ეგორის მკერდისკენ მიცურავდა, გზადაგზა იცვლებოდა, ხან მეტალის ელვარებას იძენდა, ხან ნაცრისფერ ალში ეხვეოდა, მაქსიმი მობილიზებული მოქმედებდა, მხოლოდ მოკვნეტილი ტუჩი მიანიშნებდა დაძაბულობაზე, ბიჭი კი საერთოდ ვერ მოსულიყო აზრზე, არც უცდია დარტყმა აეცილებინა...

ეგორი გვერდზე გადავისროლე – კუნთები არ მემორჩილებოდა, სხეულს არ სურდა ასეთი უაზრო და თვითდამღუპველი მოძრაობის გაკეთება. მისთვის, პატარა შავი მაგისთვის, მოქნეული ხმალი სიკვდილს მოასწავებდა, ჩემთვის კი – სიცოცხლეს. ყოველთვის ასე იყო და იქნება. ის, რაც ბნელისთვის სიცოცხლეს ნიშნავს, ნათელისთვის სიკვდილია, და პირიქით. მე არ დამიწესებია ეს და ვერც შევცვლი...

მოვასწარი.

ეგორი თავის სადარბაზოს კარს შეასკდა და იქვე ჩაიკეცა – მეტისმეტად მაგრად ვკარი ხელი, მთავარი იყო, გადამერჩინა და რას იტკენდა, აღარ მაინტერესებდა. მაქსიმის თვალებში ბავშვური წყენის მაგვარმა ემოციამ გაიელვა. ლაპარაკის თავი მაინც ჰქონდა:

- მტერია!

- არაფერი არ ჩაუდენია!

- წყვდიადს იცავ.

მაქსიმს ეჭვი არ ეპარებოდა, ვინც ვიყავი – შავი თუ თეთრი, ამას მშვენივრად ხედავდა.

უბრალოდ თვითონ იყო თეთრზე უთეთრესი. და ალტერნატივის წინაშე არასოდეს მდგარა – ვინ უნდა იცოცხლოს, და ვინ უნდა მოკვდეს.

ხმალმა ისევ გაიელვა, ამჯერად ბიჭისთვის კი არა, ჩემთვის დაემიზნებინა. ავიცდინე, თვალით ჩრდილი მოვძებნე და მოვიზიდე, ისიც მორჩილად წამოვიდა ჩემსკენ.

სამყარო ჩამუქდა, ხმები ჩაცხრა, მოძრაობები შენელდა. ეგორი, რომელიც ორიოდე წამის წინ მოუსვენრად ტრიალებდა, გაირინდა, მანქანები გაუბედავად მიუყვებოდნენ ქუჩას, ძლივს ექაჩებოდნენ ბორბლებს, ტოტებმა ქარი სულ მთლად გადაივიწყეს. მხოლოდ მაქსიმი არ შენელებულა.

თავისდაუნებურად მომყვებოდა. ბინდში ისევე თავისუფლად გადაცურდა, როგორც ადამიანი გადავა ხოლმე გზიდან ტროტუარზე. ახლა არაფერი ანაღვლებდა – ძალებით საკუთარი სიმტკიცე ასაზრდოებდა, საკუთარი სიძულვილი – სპეტაკი სიძულვილი, ქათქათა ღვარძლი. ბნელების ჯალათიც არ ეთქმოდა, უფრო ინკვიზიტორს ჰგავდა. ჩვენს ინკვიზიციაზე გაცილებით უფრო მრისხანე ინკვიზიტორს.

ხელები ავწიე და თითებით ძალის ნიშანი გამოვსახე, მარტივი და საიმედო, ოჰ, როგორ ეცინებათ ხოლმე ახალგაზრდა სხვანაირებს, როცა ამ ილეთს აჩვენებენ ხოლმე, „თითების მარაო“... მაქსიმი არც შეჩერებულა – ოდნავ შეტორტმანდა, ჯიუტად დახარა თავი და ისევ ჩემსკენ გამოექანა. უკვე ვხვდებოდი, რაშიც იყო საქმე, ნელ-ნელა უკან ვიხევდი, გაფაციცებით ვუხმობდი მთელს ჩემს მაგიურ არსენალს.

აგაპე – სიყვარულის ნიშანი – არ სჯერა სიყვარულის.

სამმაგი გასაღები – რწმენისა და გაგების წარმომშობი – ჩემი არ სჯერა.

ოპიუმი – იასამნის სიმბოლო, ზმანების გზა – ვიგრძენი, როგორ მეხუჭებოდა თვალები.

აი, როგორ ამარცხებს ბნელებს. სხვანაირის ფარულ შესაძლებლობებთან მჭიდროდ დაკავშირებული გაუხედნავი რწმენა თითქოს სარკესავით მოქმედებს. მიყენებულ დარტყმას უკან აბრუნებს. მოწინააღმდეგის საფეხურამდე აყავს. ხოლო წყვდიადის დანახვის შესაძლებლობასთან და იდიოტურ მაგიურ ხმალთან ერთად თითქმის უვნებელს ხდის.

რა თქმა უნდა, ყველაფერს აისხლეტს. დარტყმა მაშინვე არ ბრუნდება. ტანატოსის ნიშანი ან თეთრი სატევარი ალბათ ყველაზე უკეთ იმოქმედებდა.

მაგრამ მაქსიმი რომ მოვკლა, საკუთარ თავსაც სიკვდილის განაჩენს გამოვუტანდ. იმ ერთადერთ გზას გავუდგები, რომლის გავლაც ყველა ჩვენგანს მოუწევს – ბინდისკენ მიმავალს. ფერდაკარგული ზმანების, ჩამქრალი ილუზიების, მარადიული ნისლმორეული სიცივის სამყაროში. მე არ მეყოფა იმდენი ძალა, რომ ჩემს მტრად გამოვაცხადო, როგორც მან დამიგულა მტრად ასე ადვილად.

ერთმანეთს წრეებს ვარტყამდით, ზოგჯერ მაქსიმი შემომიტევდა ხოლმე – მოუქნელად, ტლანქად, არც არასოდეს უბრძოლია ხეირიანად, მიჩვეული იყო მსხვერპლის იოლად და სწრაფად დამარცხებას. და სადღაც ძალიან შორიდან ზავულონის დამცინავი სიცილი ჩამესმა. რბილი, მომნუსხველი ხმა:

„წყვდიადის წინააღმდეგ წასვლა გადაწყვიტე? კი ბატონო, წადი. ყველანაირი არჩევანი გაქვს. მტრები, მეგობრები, სიყვარული და სიძულვილი. აირჩიე იარაღი. ნებისმიერი. შენ ხომ მაინც იცი, რა შედეგსაც უნდა ელოდო? ახლა უკვე იცი.“

შეიძლება ეს ხმა თავად მოვიგონე. შეიძლება მართლა ჩამესმა. – შენ ხომ თავს იღუპავ! – ვიყვირე. პისტოლეტის ბუდე სხეულზე ფეთქავდა, თითქოს მთავაზობდა, მეხვეწებოდა, ბუდიდან ამომეღო და მაქსიმისთვის პატარა ვერცხლისფერი ტყვიების ჯერი დამეხალა. ისევე ადვილად, როგორც ჩემს მოსახელეს დავახალე.

მაქსიმს არ ესმოდა, ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

სვეტა, შენ ხომ ასე გინდოდა, გაგეგო, სად გადის ბარიერი, ზღვარი, რომლის იქით არ უნდა გადავიდეთ წყვდიადთან ბრძოლისას... რატომ არ ხარ ახლა აქ, ხომ შენი თვალით დაინახავდი და გაიგებდი.

მაგრამ ირგვლივ არავინ ჩანდა, არც ბნელებიდან, გემრიელად რომ დამტკბარიყვნენ ჩვენი დუელით, არც თეთრებიდან, რომლებიც დახმარებას შეძლებდნენ, მაქსიმს თავს დაესხმოდნენ, ხელ-ფეხს შეუკრავდნენ, სასიკვდილო ბინდისეულ ცეკვას შეგვაწყვეტინებდნენ. მხოლოდ პატარა ბიჭი, მომავალი შავი მაგი, და ულმობელი ჯალათი გაქვავებული სახით – სინათლის არამკითხე პალადინი, რომელსაც ათეულობით ვამპირზე და მაქციაზე ნაკლები ბოროტება არ ჩაუდენია.

ცივი ნისლი მოვიზიდე, თითებს შორის რომ იღვრებოდა და საშუალება მივეცი, თითებში შეწოვილიყო. მარჯვენა ხელში უფრო მეტი ძალა შევუშვი.

ხელისგულიდან თეთრი ცეცხლოვანი მახვილი წამოიზარდა. ბინდი შიშინებდა, საკუთარი ნაშიერის ცეცხლში იწვოდა. თეთრი ხმალი აღვმართე, უბრალო და საიმედო იარაღი. მაქსიმი შეჩერდა.

- სიკეთე, სიბოროტე, - სახეზე რაღაც ახალმა, მრუდე დამცინავმა ღიმილმა გამიელვა. მოდი, და სიცოცხლეს გამოგასალმებ. შეიძლება სამმაგად ნათელი იყო, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

სხვაზე იმოქმედებდა. უდავოდ. წარმომიდგენია, რას გრძნობ, როდესაც პირველად ხედავ ცეცხლოვან მახვილს, არსაიდან წარმოშობილს. მაქსიმი კი ჩემსკენ წამოვიდა.

ასე გამოიარა რამდენიმე ნაბიჯი, რაც ერთმანეთს გვაშორებდა. მშვიდად, აუღელვებლად, თეთრი სატევარისთვის არც შემოუხედავს. მე კი ვიდექი და საკუთარ თავს ვუმეორებდი, რაც ასე ადვილად და მტკიცედ წამოვისროლე ხმამაღლა.

შემდეგ ხის ხმალი ფერდში ჩამესო.

შორს სადღაც, საკუთარ ბუნაგში, ზავულონმა გადაიხარხარა.

მუხლებზე დავეშვი, შემდეგ პირქვე დავემხე და ხელი გულზე მივიჭირე. მტკიოდა, ჯერჯერობით მხოლოდ მტკიოდა. ბინდმა აღშფოთებული გმინვა ამოუშვა, მჩქეფარე სისხლი რომ იგრძნო, და უკან დახევა იწყო.

რა საწყენია...

ნუთუ ესაა ჩემი ერთადერთი გამოსავალი? სიკვდილი?

სვეტლანა ვისღა გადაარჩენს? საკუთარ გრძელ და დიდებულ გზას გაივლის... თუმცა ბოლოს მასაც მოუწევს ბინდში სამუდამოდ გადასვლა.

ჰესერ, ნუთუ იცოდი, რომ ასე მოხდებოდა? და ამის იმედიც გქონდა?

სამყარომ ფერები დაიბრუნა. მუქი, ღამისეული ფერები – ბინდმა უღიმღამოდ, უკმაყოფილოდ გადმომისროლა. წამოვჯექი და ჭრილობას მოვუჭირე ხელი, საიდანაც სისხლი ჩქეფდა.

- ისევ ცოცხალი ხარ? – მკითხა მაქსიმმა.

ხმაში ისევ წყენა ეტყობოდა, ერთი ტუჩები არ მოუბზეკია. მინდოდა გამეღიმა, მაგრამ ტკივილმა არ დამაცადა.

ხმალს დახედა, და გაუბედავად აღმართა.

მეორე წამს ეგორი ჩემს გვერდით აღმოჩნდა და გადამეფარა. აი, ახლა ვეღარ შევიკავე თავი, ისე რომ ტკივილმაც ვერ შემაჩერა.

მომავალი შავი მაგი ერთ ნათელ მაგს მეორესგან იცავდა!

- ცოცხალი ვარ იმიტომ, რომ შენი იარაღი მხოლოდ წყვდიადის წინააღმდეგ მოქმედებს, - ავუხსენი. გულში რაღაც უსიამოვნოდ მივლიდა. ხმალმა გულს ვერ მიღწია, მაგრამ ფილტვი კი გამიგლიჯა. – არ ვიცი, ვინ მოგცა, მაგრამ ეს წყვდიადის იარაღია. ჩემს საწინააღმდეგოდ ნამდვილად არ გამოგადგება. გინდ ნაფოტით მებრძოლო და გინდ მაგით, თუმცა მტკივნეული კი ნამდვილად არის.

- შენ ნათელი ხარ, - აღნიშნა მაქსიმმა.

- კი.

- ეს კი ბნელია, - ხმალი აუჩქარებლად დაუმიზნა ეგორს.

თავი დავუქნიე. ვეცადე, ბიჭი გვერდით გამეთრია, მაგრამ ეგორმა ჯიუტად გააქნია თავი და ადგილიდან არ დაძრულა.

- რატომ? – იკითხა მაქსიმმა. – რატომ, ჰა? შენ ნათელი ხარ, ეს ბნელი...

მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად გაიღიმა, თუმცა უღიმღამოდ:

- მე ვინღა ვარ? მითხარი.

- ჩემი აზრით – მომავალი ინკვიზიტორი, - გაისმა ჩემს ზურგს უკან. – თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში. ნიჭიერი, ულმობელი, მოუსყიდველი ინკვიზიტორი.

უკან მივიხედე და ჰესერს მივესალმე:

- საღამო მშვიდობისა, ჰესერ.

შეფმა თანაგრძნობით გამიღიმა. მის ზურგს უკან სვეტლანა იდგა, სახე თოვლივით გათეთრებოდა.

- შეგიძლია ხუთი წუთი მოითმინო? – მკითხა შეფმა. – და შენს ნაკაწრსაც მივხედავ.

- როგორ არ შემიძლია, - დავეთანხმე.

მაქსიმი შეფს უყურებდა გაქვავებული, ნახევრად შეშლილი თვალებით.

- მე მგონი, სანერვიულო არ გაქვს, - მიმართა შეფმა. – ჰო, ჩვეულებრივ ბრაკონიერს ტრიბუნალი უთუოდ გაასამართლებდა და სიკვდილით დასჯიდა. შენს კისერზე უამრავი ბნელის სიცოცხლეა, ტრიბუნალი კი ვალდებულია ბალანსი დაიცვას. მაგრამ შენ განუმეორებელი ხარ, მაქსიმ, და ასე ტყუილუბრალოდ ნუ იხარჯები. შენ ჩვენს მაღლა დადგები, სინათლეზე და სიბნელეზე მაღლა, და არ ექნება მნიშვნელობა, საიდან მოხვედი. მაგრამ ცდუნებას ნუ აყვები... ეს ძალაუფლება არ არის. ეს კატორღაა. დააგდე მახვილი!

მაქსიმმა ხმალი მიწაზე მოისროლა, თითქოს თითებს წვავდა. აი, რას ნიშნავს ნამდვილი მაგი. მე ახლოსაც ვერ მივალ...

- სვეტლანა, შენ გაუძელი, - შეფმა გოგოს შეხედა. – რა შეიძლება ვთქვა? მესამე საფეხური, თვითკონტროლისა და ატანის განხრით. ყოველგვარი ეჭვის გარეშე.

ეგორს დავეყრდენი და წამოდგომა ვცადე. ძალიან მინდოდა, შეფისთვის ხელი ჩამომერთმია. ისევ თავისებურად ითამაშა და ყველა გამოიყენა, ვინც ხელთ მოხვდა. და ზავულონსაც მოუგო... რა სამწუხაროა, რომ აქ არ იმყოფება! ნეტა მისი სახე

დამანახა... დემონის სახე, რომელმაც ჩემი პირველი გაზაფხულის დღე დაუსრულებელ კოშმარად აქცია.

- კი, მაგრამ... – მაქსიმს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გაჩუმდა. მასაც ძალიან ბევრი რამ დაატყდა თავს. მშვენივრად მესმოდა, რასაც გრძნობდა.

- დარწმუნებული ვიყავი, ანტონ, აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ შენ და სვეტლანა თავს გაართმევდით. – ყველაზე საშინელი მისი ძალის მქონე ჯადოქრისთვის თვითკონტროლის დაკარგვაა. წყვდიადთან ბრძოლაში ზომიერების დაკარგვა, ზედმეტი სიჩქარე, ან პირიქით, გაუბედაობა. და სწავლების ამ ეტაპის გახანგრძლივება არაფრით არ შეიძლება.

სვეტლანა, როგორც იქნა, ჩემსკენ წამოვიდა. ფრთხილად მომკიდა ხელი და ჰესერს შეხედა – წამით სახეზე მრისხანება აღებეჭდა.

- არ გინდა, - დავამშვიდე. – სვეტა, არ გინდა. შეფი მართალია. ამას დღეს მივხვდი... პირველად მივხვდი, სადაც გადის ზღვარი ჩვენს ბრძოლაში. ნუ ბრაზობ. ეს კი, - მკერდს ხელი მოვაშორე, - მხოლოდ ნაკაწრია. ჩვენ ხომ ადამიანები არ ვართ, გაცილებით მეტის არანა შეგვიძლია.

- გმადლობ, ანტონ, - მომმართა შეფმა და ეგორზე გადაიტანა მზერა: - და შენც, ბიჭუნა, მადლობა. ძალიან ცუდია, რომ ბარიკადების მეორე მხარეს დადგები. მაგრამ მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ ანტონს გამოესარჩლებოდი.

ბიჭს უნდოდა შეფისკენ წასულიყო, მაგრამ მხარზე მოვუჭირე ხელი. არ მინდოდა, რამე ისეთი წამოეყრანტალებინა! ეგორი ხომ ჯერ ვერ ხვდება თამაშის მთელს სირთულეს! ვერ ხვდება, რომ ყველაფერი, რაც ჰესერმა მოიმოქმედა, მხოლოდ საპასუხო სვლაა.

- ერთ რამეზე მწყდება გული, ჰესერ, - მივმართე. – მარტო ერთ რამეზე. რომ ზავულონი აქ არაა, რომ მისი სახე ვერ ვიხილე, როცა მთელი თამაში ჩაიშალა.

შეფმა მაშინვე არ მიპასუხა.

ალბათ უჭირდა ამის თქმა. და არც მე გამხარებია მანცდამაინც ამის მოსმენა.

- ზავულონი არაფერ შუაშია, ანტონ. მაპატიე, მაგრამ მართლა არაფერ შუაშია. ეს ოპერაცია მთლიანად ღამის საგუშაგოს მიერაა დაგეგმილი.

პროლოგი

პატარა, შავგვრემანი, წვრილთვალება კაცი იყო. სასურველი ნადავლი ნებისმიერი დედაქალაქის მილიციელისთვის. ღიმილი – დამნაშავე, დაბნეული; მზერა – მიამიტი, მოუსვენარი; აუტანელი ხვითქის მიუხედავად, მუქი კოსტუმი ეცვა, ძველმოდური, მაგრამ თითქმის უხმარი; ამას ყველაფერს უძველესი, საბჭოთა დროინდელი ჰალსტუხი აგვირგვინებდა. ერთ ხელში გაბერილი, გაქექილი პორტფელი ეჭირა, რომლითაც ძველ ფილმებში აგრონომები და მოწინავე კოლმეურნეობების თავმჯდომარეები დადიოდნენ, მეორეში – გრძელი აზიური ნესვი ბადის ჩანთით.

ჩია კაცი პლაცკარტის ვაგონიდან გამოვიდა, სახიდან ღიმილი არ შორდებოდა. უღიმოდა ყველას – გამცილებელს, მგზავრებს, მტვირთავს, რომელმაც ხელი კრა, ბიჭს, რომელიც დახლთან ლიმონათსა და სიგარეტებს ყიდდა. ჩია კაცმა თვალები ასწია და აღფრთოვანებით ახედა სახურავს, ყაზანის სადგურს რომ ფარავდა. პერონს გაუყვა, დროდადრო ჩერდებოდა და ნესვს ადგილს შეუცვლიდა, უფრო მოხერხებულად რომ ეტარებინა. შეიძლება ოცდაათი წლის ყოფილიყო, შეიძლება ორმოცდაათისაც, ასეთი ტიპის ადამიანების ასაკის დადგენა ძნელია.

ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ორიოდე წუთის შემდეგ მსოფლიოში, ალბათ, იგივე ერთ-ერთი ყველაზე შელახული და ჭუჭყიანი მატარებლის, „ტაშკენტი-მოსკოვი“, კუპეებიანი ვაგონი დატოვა, მისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა. ისიც აღმოსავლური ტიპი იყო, უფრო უზბეკს ჰგავდა. მოსკოვურ სტილზე ეცვა, შორტები და მაისური, მუქი სათვალე, წელზე ტყავის ჩანთა ეკიდა და მობილური ტელეფონი. მეტი არაფერი. პროვინციალიზმის არანაირი ნიშნები არ ეტყობოდა. აქეთ-იქით არ იყურებოდა, არ ეძებდა სანუკვარ ასო „მ“-ს. გამცილებელს სწრაფად დაუკრა თავი, ტაქსის მძღოლების წინადადებაზე ოდნავ გააქნია თავი უარის ნიშნად. ერთი ნაბიჯი, მეორე და ბრბოს შეერია, მოფუსფუსე მგზავრებს შორის გაძვრა, სახეზე მცირედი ზიზღი და განმარტოების სურვილი აღებეჭდა. მთლიან ტალღას კიდევ ერთი ჯანსაღი და ხალისიანი უჯრედის სახით შეერწყა, რომელიც არავითარ კითხვებს არ აღუძრავდა არც ფაგოციტ-მილიციონერებს, არც გამვლელებს.

ჩია კაცი ნესვითა და პორტფელით ხელში გაჭირვებით მიიკვლევდა გზას ხალხში და ათას ბოდიშებს იხდიდა ბურტყუნით არც თუ ისე სუფთა რუსულით, იბუზებოდა და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. მიწისქვეშა გადასასვლელს ჩაუარა, მიიხედ-მოიხედა, მეორისკენ გაემართა, სარეკლამო აბრასთან გაჩერდა, სადაც ნაკლები ხალხი იყო, ამოიღო რაღაც დაჭმუჭნული ფურცელი, მოუხერხებლად მიიდო გულთან ჩანთები და მის შესწავლას შეუდგა. აზიატს ეჭვის ნატამალიც არ გასჩენია, რომ უთვალთვალებდნენ.

იმ სამს, სადგურის კედელთან რომ იდგა, ასეთი დაბნეულობა სავსებით აკმაყოფილებდათ. ლამაზი, ხალისიანი, წითელთმიანი გოგო, ტანზე მომდგარი აბრეშუმის კაბით; პანკის ტიპის ბიჭი საშინლად მოწყენილი, მისი ასაკისთვის შეუფერებელი თვალებით; და მასზე ცოტათი უფროსი ახალგაზრდა კაცი, გრძელთმიანი, გადაპრანჭული, ცისფერის მოძრაობებით.

- არ გავს, - ეჭვი გამოთქვა ბიჭმა მოხუცის თვალებით. – მაინც არ გავს. დიდი ხნის წინ და ცოტა ხნით ვნახე, მაგრამ...

- ჯორუსთან გადამოწმებას ხომ არ გვიბრძანებ? – დამცინავად კითხა გოგომ. – დარწმუნებული ვარ, რომ ისაა.

- შენს თავზე იღებ პასუხისმგებლობას? – ბიჭს არც გაოცება ეტყობოდა, და არც კამათის სურვილი. უბრალოდ დააზუსტა.

- კი, - გოგო აზიელს თვალს არ აშორებდა. – წავედით. გადასასვლელში ავიყვანოთ. თავიდან აუჩქარებლად და სინქრონულად მოძრაობდნენ, შემდეგ დაიყვნენ, გოგომ პირდაპირ გააგრძელა გზა, ბიჭები სხვადასხვა მხარეს დაიფანტნენ.

პატარა კაცმა ქაღალდი დაკეცა და გაუბედავად გაემართა გადასასვლელისკენ.

მოსკოველს, ან დედაქალაქის ხშირ სტუმარს ეს მოულოდნელი უხალხობა გააოცებდა. რაც არ უნდა თქვა, მეტროდან სადგურის პერონისკენ მიმავალი გზა უმოკლესია. მაგრამ პატარა კაცს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. როგორ ჩერდებოდა მის ზურგს უკან ხალხი, თითქოს უხილავ ბარიერს აწყდებოდა, და სხვა მიმართულებით აგრძელებდა გზას, არ დაუნახავს. იმას, რომ გადასასვლელის მეორე მხარესაც იგივე რამ ემართებათ მგზავრებს, ხომ საერთოდ ვერ შეამჩნევდა.

აზიელს მომღიმარი, ზედმეტად თავაზიანი კაცი შეეგება, რომელსაც სიმპათიური ახალგაზრდა ქალი და ბოლოს აჩაჩული ბიჭი მოსდევდა, დახეული ჯინსებით და საყურეთი.

ჩია კაცი არ გაჩერებულა.

- მოიცა, ძია, - თავაზიანად დაუძახა მომღიმარმა. ხმაც გარეგნობის შესაფერისი ჰქონდა, ისეთივე დაყენებული და ნაზი. – რა გეჩქარება.

აზიელმა გაუღიმა და თავი დაუქნია, მაგრამ არ შეჩერებულა.

მომღიმარმა ხელი მოატარა, თითქოს თავისსა და აზიელს შორის ხაზი გაავლო. ჰაერმა თრთოლვა დაიწყო, გადასასვლელში ქარის ცივმა ნაკადმა დაუბერა. სადღაც პერონზე ბავშვები ატირდნენ, ძაღლმა ყმუილი ატეხა.

ჩია კაცი შეჩერდა და ჩაფიქრებული იყურებოდა პირდაპირ. ტუჩები მოამრგვალა, დაუბერა და მის წინ მდგარ კაცს ეშმაკურად გაუღიმა. უცებ წკრიალის ხმა გაისმა,

თითქოს ვიღაცა უხილავ შუშაზე აწკაპუნებდა. მომღიმარს სახე დაემანჭა ტკივილისგან და ნაბიჯით უკან დაიხია.

- ყოჩაღ, დევონა, - თქვა გოგომ და აზიელის ზურგთან გაჩერდა. – აი, ახლა კი უკვე ნამდვილად არსად არ გეჩქარება.

- უი, უნდა წავიდე, მეჩქარება, იცით, როგორ მეჩქარება... – სწრაფად ჩაილაპარაკა ჩია კაცმა და ცერად გახედა გოგოს: - ნესვი გინდა, ლამაზო?

გოგოს გაეცინა და აზიელი აათვალიერა. შესთავაზა:

- ჩვენთან წავიდეთ, ძვირფასო. დასტარხანს მოგართმევთ. შენი ნესვი მივირთვათ, ჩაი მივაყოლოთ. დიდი ხანია გელოდებით, ასე უცბად ხომ არ გაიქცევი, უხერხულია.

ჩია კაცს სახე შეუფიქრიანდა, როგორც ჩანს წინადადებას ხარშავდა, შემდეგ თავი დაუქნია:

- წავიდეთ, წავიდეთ...

მისმა პირველივე ნაბიჯმა გრძელთმიანი ადგილიდან მოცელა, თითქოს აზიატს უხილავი ფარი, კედელი აეფარებინა, არა მატერიალური, უფრო მძვინვარე ქარისგან წარმოქმნილი – ნაკადი გრძელთმიანს იატაკისკენ ეწეოდა, თმას უწეწავდა, თვალებს აჭუტვინებდა, ყელიდან უჩუმარ განწირულ ბგერებს გლეჯდა.

პანკმა ხელი აიქნია და ალისფერი ცეცხლის ალი დაუმიზნა ჩია კაცს. თვალისმომჭრელი კაშკაშა ნაპერწკლები ხელის გულს წყდებოდნენ თუ არა, ნახევარ გზაზე კარგავდნენ სიელვარეს და აზიელის ზურგს რომ აღწევდნენ, ოდნავ მოციმციმე შუქ-ჩრდილებად იქცეოდნენ.

- ოჰ, ოჰ, ოჰ, - წარმოთქვა ჩია კაცმა და ხელი მოიქნია, თითქოს ზურგზე ჩამომჯდარ აბეზარ ბუზს იცილებდა.

- ალისა! – იყვირა ბიჭმა, რომელიც არ ეშვებოდა ცეცხლის უშედეგო სროლას. თითებს ამოძრავებდა, ჰაერს აგორებდა, მისგან ალისფერ ცეცხლის გორგალს ძერწავდა და ჩია კაცს ტყორცნიდა. – ალისა!

გოგომ თავი დახარა, და აზიელს გააყოლა თვალი, რომელიც ნელ-ნელა შორდებოდათ. რაღაცა ჩაიჩურჩულა, კაბაზე ხელი მოისვა და, მოულოდნელად, ხელის გულზე თხელი, გამჭვირვალე პრიზმა აღმოცენდა.

ჩია კაცმა ნაბიჯს აუჩქარა, აფორიაქდა, ხან აქეთ მიაწყდა, ხან იქით, სასაცილოდ დახარა თავი. გრძელთმიანი ისევ მის წინ იკლაკნებოდა, მაგრამ უკვე აღარ ყვიროდა. სახე დასისხლიანებოდა, მომტვრეული კიდურები ეკიდა, თითქოს სამი მეტრის გლუვ ზედაპირზე კი არ გადაგორდა, არამედ თავაწყვეტილმა გრიგალმა, ან გაჭენებულმა ცხენმა სამი კილომეტრის ქვა-ღორღიან ზედაპირზე ათრია.

გოგომ ჩია კაცს პრიზმაში გახედა.

თავიდან აზიელმა ნაბიჯი შეანელა. შემდეგ ამოიოხრა და ხელი გაუშვა ჩანთებს – ნესვი მარმარილოს იატაკს დაეხეთქა და გასკდა, პორტფელი კი მძიმედ და რბილად დაეცა.

- ოჰ, - თქვა იმან, ვისაც გოგომ დევონათი მიმართა. – ო-ჰო-ჰო...

ჩია კაცი მოიკუნტა, მოიკაკვა, ლოყები ჩაუცვივდა, ყვრიმალები გამოეწია, ხელები დაუწვრილდა, კანქვეშ ვენების ქსელი გადაეკრა. შავი თმა არ გაჭაღარავებია, მაგრამ გაუთხელდა და ნაცრისფერი ფერფლით დაემტვერა. მის გარშემო ჰაერმა თრთოლვა დაიწყო და ალისასკენ უხილავი გავარვარებული ნაკადულები დაიძრა.

- არა ჩემს მიერ მინიჭებული ამიერიდან ჩემი იქნება, - დაისისინა გოგომ. – ყველაფერი შენი – ჩემია.

ალისას ისევე გამალებით ეფინებოდა სახეზე ვარდისფერი, როგორც ჩია კაცი ჭკნებოდა. ტუჩებს აწკლაპუნებდა, რაღაც ყრუ, უცნაურ სიტყვებს ჩურჩულებდა. პანკმა წარბები შეჭმუხნა, ხელი დაუშვა და იატაკს უკანასკნელი ალისფერი სხივი ესროლა. ცეცხლმა იატაკის ზედაპირი გაამუქა.

- რა ადვილია, - აღნიშნა. – სასწაულად ადვილი.

- შეფი ძალიან უკმაყოფილო იყო, - თქვა გოგომ და პრიზმა სადღაც კაბის ნაკეცებში შეინახა. გაიღიმა. სახეზე ისეთი ძალა და ენერგია აღბეჭდოდა, როგორიც ქალებს ეტყობათ ხოლმე ხანდახან მგზნებარე სექსუალური აქტის შემდეგ. – ადვილია... მაგრამ ჩვენ კოლიას არ გაუმართლა.

პანკმა თავი დაუქნია და გრძელთმიანის უძრავ სხეულს შეხედა. განსაკუთრებული თანაგრძნობა არ შეტყობია, ისევე როგორც ანტიპათია.

- მართალია, - დაეთანხმა. გაბედული ნაბიჯით გაემართა გამხმარი ცხედრისკენ. ხელი მოატარა – სხეული მტვრად იქცა. შემდეგი მოძრაობით ბიჭმა გამსკდარი ნესვი წებოვან მასად აქცია.

- პორტფელი, - უთხრა გოგომ. – პორტფელი შეამოწმე.

ხელის ერთი მოსმით გაქექილი ხელოვნური ტყავი გასკდა, პორტფელი გაიხსნა, როგორც მარგალიტის ნიჟარა მოქნილი მყვინთავის დანის დადებაზე. მაგრამ ბიჭმა ისეთი სახე მიიღო, მოსალოდნელი მარგალიტი ნიჟარაში უთუოდ არ აღმოჩნდა. ორი ხელი სუფთა თეთრეული, იაფფასიანი ბამბის საცვალი, თეთრი პერანგი, რეზინის ფლოსტები პოლიეთილენის ცელოფანში, პენოპლასტის ჭიქა მშრალი, კორეული მაკარონი, ბუდე სათვალით.

ხელის კიდევ რამდენიმე მოძრაობით ჭიქა გასკდა, ტანსაცმელი ნაკერებზე გაირღვა, სათვალის კოლოფი გაიხსნა. შეიკურთხა.

- ცარიელია, ალისა! სულ მთლად ცარიელი.

ჯადოქარს სახეზე გაკვირვება აღბეჭდოდა:

- სტასიკ, ეს ხომ დევონაა ... კურიერი ტვირთს ნებისმიერს ვერ ანდობდა!

- გამოდის, რომ ანდობდა, - ბიჭმა ფეხით გადაქექა აზიელის ნეშტი. – ხომ გაფრთხილებდი, ალისა? თეთრებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. შენ თავზე ხომ აიღე პასუხისმგებლობა. მე, შეიძლება, სუსტი მაგი ვიყო, მაგრამ გამოცდილება შენზე ნახევარი საუკუნით მეტი მაქვს.

ალისამ თავი დაუქნია. დაბნეულობამ გადაუარა. ხელი ისევ კაბის ქვეშ შეაცურა და პრიზმა მოძებნა.

- ჰო, - დაეთანხმა მორჩილად. – მართალი ხარ, სტასიკ. მაგრამ ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოცდილებაში შევეჯიბროთ.

პანკმა ჩაიცინა, გრძელთმიანის ცხედართან ჩაიცუცქა და ჯიბეებში ქექვა დაიწყო:

- შენ მასე ფიქრობ?

- დარწმუნებული ვარ. ტყუილად დაიჟინე, სტასიკ. მე ხომ გირჩიე, სხვა მგზავრებიც შეგემოწმებინა.

ბიჭი მობრუნდა, მაგრამ უკვე დაგვიანდა – სიცოცხლემ ათეულობით უხილავი ცეცხლმოდებული ძაფებით იწყო მისი სხეულიდან გამოსვლა.

თავი 1

„ოლდსმობილი“ ძალიან ძველი იყო, ამიტომაც მომწონდა.

მაგრამ ზაფხულის ხვითქში, ადუღებულ ტრასაზე ღია ფანჯრები აღარ შველოდა. კონდიციონერის გარეშე სუნთქვა ჭირდა.

ილიაც, როგორც ჩანს, იგივეს ფიქრობდა. მანქანას ატარებდა, საჭე ცალი ხელით ეჭირა, დროდადრო შემობრუნდებოდა და საუბარს გაგვიბამდა ხოლმე. ვიცოდი, რომ ილიას თანრიგის მაგი ათი წუთით წინ იხედება და ყველა ალბათობას ხედავს, ამიტომ ავარიის შესაძლებლობა გამორიცხული იყო, მაგრამ რაღაც მაინც არ მასვენებდა.

- ვაპირებდი კონდიციონერის დაყენებას, - მოუბოდიშა იულიას. გოგო ჩვენში ყველაზე მეტად იტანჯებოდა. სახე წითელი ლაქებით დაეფარა, თვალები აემღვრა. სადაცაა გული აერეოდა. – მაგრამ მანქანა სულ დამახინჯდება, არ არის განკუთვნილი არც კონდიციონერებისთვის, ან მობილური ტელეფონებისთვის, არც ბორტ-კომპიუტერებისთვის.

- აჰა, - დაეთანხმა იულია და უღიმღამოდ გაიღიმა. გუშინ უამრავი საქმე დაგვეყარა, არავინ არ დაწოლილა, დილის ხუთ საათამდე ვისხედით, შემდეგ პირდაპირ ოფისში გავათენეთ ღამე. უსინდისობაა, რა თქმა უნდა, ცამეტი წლის გოგო მოზრდილივით ამუშავო. მაგრამ არავის დაუძალებია, თავისი არჩევანია...

სვეტალანამ, რომელიც წინ იჯდა, შეშფოთებულმა შეხედა იულიას, შემდეგ, გამკიცხავად, სემიონს. საერთოდ აუღელვებელი სემიონი კინაღამ დაიხრჩო ბოლით. სვეტლანას მწველმა მზერამ აიძულა, „იავას“ ნამწვი ფანჯრიდან ესროლა. ჩაისუნთქა და მანქანაში დატრიალებული სიგარეტის ბოლი ფილტვებში შეიწოვა. „იავას“ კიდევ რა უჭირდა, სულ ცოტა ხნის წინ სემიონი „პოლიოტს“ და მასეთ საზიზღრობებს ეწეოდა.

- ფანჯრები ასწიეთ, - გვთხოვა სემიონმა.

ორიოდე წუთის შემდეგ მანქანაში აგრილდა. მარილიანი, ჭავლით დაფარული ზღვის სუნმა დაუბერა. იმასაც მივხვდი, რომ ღამის ზღვა იყო, და სადღაც ახლომახლო სანაპიროდან მოდიოდა – ალბათ ყირიმი. იოდი, წყალმცენარეები, აბზინდას წვრილი ღეროები. შავი ზღვა. კოკტებელი.

- კოკტებელი? – ვიკითხე.

- იალტა, - მოკლედ მიპასუხა სემიონმა. – ათი სექტემბერი, ცხრაას სამოცდაორი წელი, ღამე, დაახლოებით სამი საათი. მსუბუქი შტორმის შემდეგ.

ილიამ მოშურნეთ გააწკლაპუნა ენა.

- უყურე შენ! და ასეთი თაიგული ამდენი ხანია არ გაგიხარჯავს?

იულიამ დამნაშავედ გახედა სემიონს. კლიმატის კონსერვაცია ჯადოქრებს ძნელად გამოსდიოდათ, სემიონმა რომ შეგრძნებების თაიგული დახარჯა კი ნებისმიერ საღამოს დაამშვენებდა.

- გმადლობთ, სემიონ პავლოვიჩ... – გოგო რატომღაც მორცხვობდა სემიონთან, თითქოს შეფი ყოფილიყოს, და სახელითა და მამის სახელით მიმართავდა.

- არაფრის, რისი მადლობა, - მშვიდად უპასუხა სემიონმა. – კოლექციაში კიდევ დამრჩა ტაიგის წვიმა ცხრაას ცამეტი წლის, ორმოცი წლის ტაიფუნიც მაქვს, იურმალას გაზაფხულის დილა, ორმოცდათხუტმეტი წლის, მე მგონი... და კიდევ ზამთრის საღამო გაგრაში...

ილიას გაეცინა:

- ზამთრის საღამო გაგრაში – დიდი ვერაფერი. აი, ტაიგის წვიმა...

- არ გაგიცვლი, - მაშინვე გააფრთხილა სემიონმა. – ვიცი შენი კოლექცია, ასეთი ღირებული არაფერი მოგეძებნება.

- ორზე... არა, სამზე რომ გამიცვალო...

- შემიძლია გაჩუქო, - შესთავაზა სემიონმა.

- წადი შენი, - ეწყინა ილიას, და გამეტებით მოსწია საჭე. – სამაგიეროდ რა უნდა მოგცე?

- მაშინ რომ გავხარჯავ, დაგიძახებ ხოლმე.

- გმადლობ.

რა თქმა უნდა, გაიბერა. ჩემი აზრით, ერთნაირი შესაძლებლობები ჰქონდათ, ალბათ, ილია ცოტათი ძლიერიც კი იყო. მაგრამ სემიონს ისეთ მომენტებზე ჰქონდა ყნოსვა განვითარებული, რომელიც მაგიური აღბეჭდვის ღირსი იქნებოდა. და კიდევ თავის კოლექციას ტყუილ-უბრალოდ არ ხარჯავდა.

შეიძლება ზოგიერთმა მისი წეღანდელი საქციელი ფლანგველობად მიიჩნიოს. ცხელი დღის მგზავრობის ბოლო ნახევარი საათის შეგრძნებების ასეთი მდიდარი ნაკრებით გალამაზება...

- ასეთი ნექტარი ჩამასუნთქა ნეტა საღამოს, მწვადთან, - ინატრა ილიამ. ზოგჯერ წარმოუდგენელი სქელკანიანობით გამოირჩეოდა – იულია დაიძაბა.

- ერთხელ სამხრეთში აღმოვჩნდი, - დაიწყო მოულოდნელად სემიონმა. – ჩვენი ვერტმფრენი... მოკლედ, ფეხით წავედით. ტექნიკური საშუალებები არ მუშაობდა, მაგიური გამოირიცხა, გინდ მაგიური საშუალებები გამოგეყენებინა და გინდ ჰარლემში გაგივლია პლაკატით: „დასცხეთ შავკანიანებს!“ ფეხით გავაგრძელეთ გზა, ჰადრამაუტის უდაბნოში. ადგილობრივ აგენტამდე სულ რაღაც ასი, ნუ, ასოცი კილომეტრი რჩებოდა გასავლელი. ძალა კი საერთოდ აღარ შეგვრჩა. არც წყალი გვქონდა. ჰოდა, ალიოშკა, კარგი ბიჭია, ახლა ზღვისპირეთში მუშაობს, ამბობს: „სემიონ პავლოვიჩ, აღარ შემიძლია, ცოლი და ორი შვილი მყავს, დაბრუნება მინდა...“ დაწვა ქვიშაზე და მაგიურ მოგონებას უხმო. მარაგში თქეში წვიმა ჰქონია, ოცი წუთის ხანგრძლივობის, ალბათ საქმე არ ქონდა, როცა აგროვებდა. წყურვილიც მოვიკალით, მათარებიც ავავსეთ, და, საერთოდ, ძალები მოვიკრიბეთ. მინდოდა, ცხვირ-პირი დამენაყა, ადრე რომ არ გვითხრა, მაგრამ შემეცოდა.

ასეთი გრძელი სიტყვის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. სემიონი იშვიათად ყვებოდა ხოლმე ასე ხატოვნად თავისი მოუსვენარი ცხოვრების შესახებ.

პირველად ილია მოეგო გონს.

- შენი ტაიგის წვიმა რატომ არ გამოიყენე?

- შევადარე, - ამრეზით უპასუხა. – ცამეტი წლის საკოლექციო წვიმის ნიმუში, და ჩვეულებრივი გაზაფხულის თქეში, თანაც მოსკოვში შეგროვილი... ბენზინის სუნი ასდიოდა, გჯერა?

- მჯერა.

- ამაშია საქმე. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. საღამო, რომელიც ახლა გავიხსენე, სასიამოვნოა, მაგრამ არაფრით გამოირჩევა, ისევე როგორც შენი დრანდულეტი.

სვეტლანამ ჩუმად ჩაიცინა. მსუბუქი დაძაბულობა, ორიოდე წუთის წინ რომ ჩამოწვა მანქანაში, მთლიანად განიმუხტა.

...ღამის საგუშაგოს მთელი კვირა ციებ-ცხელება უტევდა. ერთი შეხედვით მოსკოვში განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, ჩვეულებრივი რუტინული სამუშაო. ქალაქში ივნისის თვისთვის წარმოუდგენელი სიცხე ჩამოწვა, და მოვლენების ანგარიშები მინიმუმამდე დავიდა, რაც თეთრებს ისევე არ მოსწონდათ, როგორც ბნელებს.

დაახლოებით ერთი დღე-ღამის განმავლობაში ჩვენი ანალიტიკოსები იმ ვერსიაზე მუშაობდნენ, მოულოდნელი სიცხე ბნელების მორიგ აქციას ხომ არ უკავშირდებოდა. ალბათ, პარალელურად დღის საგუშაგოც იკვლევდა, კლიმატის ცვლილებაზე ნათელმა ჯადოქრებმა ხომ არ იმოქმედეს. როცა ორივე მხარე დარწმუნდა ამინდის ცვლილების ბუნებრიობაში, აღარ იცოდნენ, რით დაკავებულიყვნენ.

ბნელები ჩაცხრნენ, წვიმით გათანგული ბუზებივით. ექიმების პროგნოზების მიუხედავად, ქალაქში იკლო უბედურმა შემთხვევებმა და ბუნებრივმა სიკვდილმა. მუშაობისთვის თეთრებსაც არ სცხელოდათ – ჯადოქრები სისულელეებზე ჩხუბობდნენ, არქივიდან უბრალო დოკუმენტების გამოხმობას მთელი დილა სჭირდებოდა, ანალიტიკოსები ენამწარე გამონათქვამებს არ იშურებდნენ, როცა ვინმე ამინდის პროგნოზის გაგებას სთხოვდა: „ღრუბელნი შავი ნალექით დამუხტულან“. ბატონი ბორისი ტვინდაბნეული დაბორიალობდა ოფისში – მთელი თავისი სავსე აღმოსავლური წარსულისა და წარმომავლობის მიუხედავად, მოსკოვურმა მოულოდნელმა სიცხემ მასაც დაურღვია მყუდროება. გუშინ საღამოს, ოთხშაბათს, მთელი პირადი შემადგენლობა დაიბარა, ორი მოხალისე დამხმარედ დაინიშნა, ხოლო დანარჩენებს უბრძანა, დედაქალაქიდან აორთქლებულიყვნენ. სად წავიდოდნენ, მნიშვნელობა არ ჰქონდა, მალდივის კუნძულებზე, საბერძნეთში, ქალაქგარეთ აგარაკზე, თუნდაც თავად ეშმაკთან ჩასულიყვნენ ქვესკნელში, იქ უფრო მყუდროდ თუ არ იქნებოდნენ. ორშაბათ საღამომდე ოფისში არც ერთი არ უნდა გამოცხადებულიყო.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

შეფმა ზუსტად ერთი წუთი მოიცადა, სანამ დამსწრეთ სახეებზე ბედნიერი ღიმილი არ შეახმებოდა, და დაუმატა, რომ მოულოდნელი ბედნიერება უნდა გამოიმუშაო. გაძლიერებული შრომით, რათა შემდგომ უმიზნოდ გატარებული დღეების გამო არ შეგრცხვეს, რომ ვიღაცას ტყუილად არ უთქვამს – „ორშაბათი შაბათიდან იწყებაო“, და, რადგან დასვენების სამი დღე მივიღეთ, ვალდებული ვართ, მთელი რუტინული სამუშაო დარჩენილ დროს შევასრულოთ.

და ვასრულებდით კიდევაც – ზოგიერთები დილამდე. ყველა ის ბნელი შევამოწმეთ, ვინც ქალაქში დარჩა და განსაკუთრებულად კონტროლდებოდა – ვამპირები, მაქციანი, ინკუბუსები და სუკუბუსები, მოქმედი კუდიანები, დაბალი რანგის სხვა მოუსვენარი ნაყარნუყარი. ყველაფერი წესრიგში იყო, ვამპირებს ახლა ცხელ სისხლს ჩაციებული ლუდი ერჩივნათ. კუდიანები კი ახლობელისთვის ჯადოს გაკეთების ნაცვლად, სიამოვნებით შეულოცავდნენ მოსკოვის ზეცას, ერთი გემრიელი შხაპუნა წვიმა რომ გამოეშვა.

სამაგიეროდ ჩვენ დასასვენებლად მივემართებოდით. ნუ, მალდივის კუნძულებზე არა, რა თქმა უნდა, შეფმა ცოტა არ იყოს ზედმეტად შეაფასა ბუღალტერიის სიუხვე. მაგრამ რამდენიმე დღე ქალაქგარეთ – ესეც რაღაცას ნიშნავს. საწყალი მოხალისეები, შეფთან რომ დარჩნენ დედაქალაქში – არ გინდა ამ სიცხეში ფხიზლად იყო და უყარაულო?..

- სახლში უნდა დავრეკო, - თქვა იულიამ. აშკარად შეეტყო გამოცოცხლება, როცა სემიონმა მანქანის ხვითქი სანაპიროს სიგრილით შეცვალა. – სვეტა, ტელეფონი მომაწოდე.

სიგრილე მეც მსიამოვნებდა. მანქანებს ვაყოლებდი თვალს, რომლებსაც ჩამოვიტოვებდით ხოლმე – უმრავლესობას ფანჯრები ჩამოწეული ჰქონდა და შურით გადმოგვხედავდნენ, უსაფუძვლო ეჭვი უჩნდებოდათ, რომ ძველ მანქანაში მძლავრი კონდიციონერი გვქონდა დამონტაჟებული.

- მალე უნდა შეუხვიო, - შევახსენე ილიას.

- მახსოვს ჰო. ერთხელ ნამყოფი ვარ...

- ჩუმად! – მრისხანე ხმით დაისისინა იულიამ და ყურმილში მხიარულად ატიტინდა: - დედიკო, მე ვარ! კი, მივედით უკვე. რა თქმა უნდა, კარგად! აქ ტბაა, არა, პატარა. დე, ცოტა ხნით ვრეკავ, სვეტას მამამ მათხოვა მობილური... არა, მეტი არავინ... სვეტას? ახლავე...

სვეტლანამ ამოიოხრა და გოგოს ტელეფონი გამოართვა. პირქუშად შემომხედა, მეც ვეცადე, სერიოზული გამომეტყველება მიმეღო.

- გამარჯობათ, ნატაშა დეიდა, - წვრილი ბავშვური ხმით მიმართა სვეტლანამ. – კი, ძალიან გვიხარია. კი. არა, დიდებთან. დედა შორსაა, დავუძახო? კი, გადავცემ. აუცილებლად. ნახვამდის.

ტელეფონი გათიშა და თქვა, ისე რომ იულიასთვის არ შეუხედავს:

- გოგონი, დედამ რომ კითხოს ნამდვილ სვეტას, შაბათ-კვირა როგორ გაატარეთო, მერე სად მიდიხარ?

- სვეტაც უპასუხებს, რომ კარგად გავატარეთ.

სვეტლანამ ამოიოხრა, და სემიონს შეხედა, თითქოს მხარდაჭერას ეძებდაო.

- პირადი მიზნებისთვის მაგიური ზემოქმედების გამოყენებას გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მივყავართ, - მკაცრი ხმით წარმოთქვა სემიონმა. – მახსოვს ერთხელ...

- რა მაგიური? – გულწრფელად გაუკვირდა იულიას. – სვეტას ვუთხარი, რომ ბავშვებთან ერთად საშარაფოდ მივდიოდი, და ვთხოვე, დედაჩემთან გამოვეყვანე. თავიდან კი შეიცხადა, მაგრამ მერე დამთანხმდა, რა თქმა უნდა.

ილიამ ჩაიხითხითა.

- მინდა ახლა ეს შარაფი, - აღშფოთდა იულია, რომელსაც ვერ გაეგო, რამ გაამხიარულა ასე ილია. - იქ ჩვეულებრივმა ბავშვებმა იმხიარულონ. რა გაცინებთ? ჰა?

თითოეულ ჩვენგანს, გუშაგებს, სამსახური ცხოვრების უდიდეს ნაწილს გვართმევს. არა იმიტომ, რომ თავგადაკლული მუშაობის მოყვარულები ვართ – რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი არჩევდა დასვენებას მუშაობას? არა იმიტომ, რომ საინტერესო სამუშაო გვაქვს, ჩვენი საქმიანობის უმეტეს ნაწილს მოსაწყენი პატრულირება ან კანცელარიაში საათობით ჯდომა შეადგენს. ჩვენ უბრალოდ ცოტანი ვართ. დღის საგუშაგო გაცილებით უკეთაა დაკომპლექტებული, ნებისმიერი ბნელი ძალაუფლებისკენ ისწრაფვის. ჩვენთან სულ სხვა სიტუაციაა.

მაგრამ, სამსახურის გარდა, თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ცხოვრების პაწაწინა ნაწილი აქვს, რომელიც წინა, ადამიანური არსებობიდან შემორჩა და რომელსაც არავის დაუთმობს, არც სინათლეს, არც სიბნელეს. ცხოვრების ეს ნაწილი მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის, მართალია, არ ვმალავთ, მაგრამ სააშკარაოზეც არ გამოგვაქვს.

ზოგი ცდილობს შეძლებისდაგვარად ბევრი იმოგზაუროს. ილია, მაგალითად, ჩვეულებრივ ტურებს ამჯობინებს, სემიონი კი – ბანალურ ავტოსტოპს. თავის დროზე მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე მანძილი რეკორდულ დროში დაფარა, თანაც ერთი კაპიკიც არ დაუხარჯავს, მაგრამ თავისი მიღწევის თავისუფალ მოგზაურთა ლიგაში რეგისტრირება არ მოუნდომებია, რადგან გზაში ერთი ორჯერ მაგიური შესაძლებლობები გამოიყენა.

იგნატი, და არა მარტო ის, დასვენებას სექსუალურ თავგადასავალთან აიგივებს. ამ ეტაპს თითქმის ყველა გადის – ცხოვრება სხვანაირებს გაცილებით მეტის საშუალებას აძლევს, ვიდრე ადამიანებს. ის, რომ სხვანაირების მიმართ ადამიანები, თავისდაუნებურად, გაუთვითცნობიერებელ, მაგრამ ძლიერ ლტოლვას განიცდიან, ცნობილი ფაქტია.

ჩვენში ბევრია კოლექციონერი. ჯაყვა დანების, ბრელოკების, მარკებისა და სანთებელებს უწყინარი შემგროვებლებიდან დაწყებული, ამინდის, სურნელების, აურებისა და შელოცვების კოლექციონერებით დამთავრებული. ადრე მანქანების მოდელებს ვაგროვებდი, უამრავ ფულს ვხარჯავდი იშვიათი ეგზემპლარებისთვის, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე ათას იდიოტს თუ შეახარბებდა. ახლა მთელი ეს კოლექცია ორ უზარმაზარ მუყაოს ყუთში მქონდა ჩაყრილი. ერთ დღეს უნდა გამოვიტანო ქუჩაში და ქვიშაში ჩავუყარო ბავშვებს სათამაშოდ. რას გაიხარებენ!

მონადირეები და მეთევზეებიც მრავლად გვყავს. იგორი და გარიკა ექსტრემალური პარაშუტიზმით არიან გატაცებული. გალეჩკა, ჩვენი უსარგებლო პროგრამისტი, ბანსაის მოშენებითაა დაინტერესებული. მოკლედ, კაცობრიობის მიერ დაგროვილი გართობის საშუალებების მდიდარი მარაგი ბოლომდე გვაქვს ათვისებული.

მაგრამ რითია გატაცებული ვეფხვი, ვისთანაც ახლა მივდიოდით, წარმოდგენაც არ მქონდა. ამის გაგების სურვილი იმდენად ძლიერი იყო, როგორც ქალაქის ხვითქისგან თავის დაღწევის. საერთოდ, ვინმეს სახლს რომ მოინახულებ, მაშინვე მიხვდები, რა პატარა ახირებებიც ახასიათებს.

- მალე მივალთ? – ჭირვეული ხმით იკითხა იულიამ. ტრასიდან გადავუხვიეთ და ხუთი კილომეტრი გრუნტის გზა გავიარეთ, პატარა საზაფხულო დასახლებისა და წვრილი მდინარის გავლით.

- თითქმის მივედით, - დავამშვიდე გოგო, როდესაც გზის ნიმუში გადავამოწმე, ბოკვერმა რომ დაგვიტოვა.

- უფრო უკვე მივედით, - თქვა ილიამ და გვერდზე გადაუხვია, პირდაპირ ხეებისკენ. იულიამ წამოიყვირა და თვალებზე ხელები აიფარა. სვეტლანას უფრო მშვიდი რეაქცია ჰქონდა – მაგრამ ხელები მაინც წამოწია წინ, დარტყმისთვის მოემზადა.

მანქანა ხშირ ბუჩქებსა და წაქცეული ხეებით მოფენილ გაუვალ მონაკვეთზე გაიჭრა, და კედელივით ჩამწკრივებულ ხეებს შეასკდა. შეჯახება, რა თქმა უნდა, არ ყოფილა. უსიერი ბუჩქნარი გავიარეთ და შესანიშნავ, მოასფალტებულ გზაზე გავედით. ჩვენს წინ პატარა ტბა სარკესავით ბზინავდა, ნაპირთან მაღალი ღობით გარშემორტყმული ორსართულიანი აგურის სახლი იდგა.

- ამ მაქციების ვერ გამიგია, - აღნიშნა სვეტლანამ, - რატომ უყვართ ასე ჩაკეტილობა? გარდა იმისა, რომ გაუვალი ტყით შემოსილა, ეს ღობეც შემოურტყამს გარს...

- ბოკვერი მაქცია არაა! – აღშფოთდა გოგო. – ტრანსფორმერია!

- ერთი და იგივეა, - რბილად შეუსწორა სვეტამ.

იულიამ სემიონს შეხედა, ალბათ, მხარდაჭერას ელოდა. ჯადოქარმა ამოიოხრა:

- პრინციპში, სვეტა მართალია. ვიწრო სპეციალიზაციის მქონე მებრძოლი ჯადოქრები – იგივე მაქციები. მაგრამ სხვა ნიშნით. ბოკვერი განსხვავებულ განწყობაზე რომ ყოფილიყო, პირველად როცა შეაბიჯა ბინდში, ბნელ მაქციად იქცეოდა. ძალიან ცოტა ადამიანის ბედია წინასწარ განსაზღვრული. როგორც წესი, მიდის ბრძოლა, მომზადება ინიციაციისთვის.

- ჩემს შემთხვევაში როგორ მოხდა? – იკითხა იულიამ.

- ხომ მოგიყევი, - ჩაიბურტყუნა სემიონმა. – საკმაოდ ადვილად.

- მშობლებისა და მასწავლებლების მცირედი რემორალიზაცია, - შაყირით თქვა ილიამ და მანქანა ჭიშკართან გააჩერა. – და პატარა გოგო გარე სამყაროს მიმართ მაშინვე აღივსო სიყვარულითა და სიკეთით...

- ილია! – გააწყვეტინა სიტყვა სემიონმა. სემიონი იულიას აღმზრდელი იყო, საკმაოდ ზარმაცი, რომელიც ფაქტობრივად არც ერეოდა ნორჩი ჯადოქრის განვითარებაში. მაგრამ ილიას უადგილო ქილიკი არ მოეწონა.

იულია ნიჭიერი გოგო იყო და საგუშაგო სერიოზულ იმედებს ამყარებდა მასზე, თუმცა არც ისეთს, რომ სვეტლანასავით, მომავალი დიდებული ჯადოქარივით, უსწრაფესი ტემპით გაეტარებინათ მორალური თავსატეხების ლაბირინთებში.

ალბათ, მე და სვეტლანას ერთდროულად მოგვივიდა ეს აზრი – ერთმანეთს შევხედეთ. შევხედეთ და მაშინვე მოვარიდეთ თვალი.

უხილავი კედელი აღმართულიყო ჩვენს შორის და ერთმანეთს გვაშორებდა. მე სამუდამოდ დავრჩები მესამე რანგის მაგად, სვეტლანა კი სადაცაა გამისწრებს, ხოლო მალე, ძალიან მალე, რადგან ამას საჭიროდ მიიჩნევს საგუშაგოს ხელმძღვანელობა, რიგგარეშე ჯადოქრად იქცევა.

და მაშინ შეხვედრისას მეგობრული ხელის ჩამორთმევისა და დაბადების დღეზე და შობას მისალოცი ბარათების გაგზავნის გარდა, აღარაფერი დაგვაკავშირებს.

- რა არის, ხომ არ ჩაეძინათ? – აღშფოთდა ილია, რომელიც მსგავსი პრობლემებით არ იწუხებდა ხოლმე თავს. მანქანიდან თავი გამოყო – მანქანაში ცხელი, თუმცა სუფთა ჰაერის ნაკადი შემოიჭრა. ჭიშკარს ზემოთ დამონტაჟებული ტელეკამერის ობიექტივს გაუსწორა თავი და ხელი დაუქნია. დაასიგნალა.

კარი ნელა გაიღო.

- ასე არ ჯობია?.. – ჩაიბუტყუნა ჯადოქარმა და მანქანა ეზოში შეიყვანა.

ეზოში უზარმაზარი ხშირი ხეები გაეშენებინათ. საინტერესოა, როგორ მოახერხეს კოტეჯის ისე აშენება, რომ ეს თვალუწვდენელი ნაძვები და ფიჭვები არ დაეზიანებინათ. გაჩერებული შადრევანის გარშემო დარგული პატარა ყვავილნარის გარდა, ნარგავები, რა თქმა უნდა, არსად არ შეინიშნებოდა. ბეტონის მოედანზე, სახლის წინ, ხუთი მანქანა იდგა. ძველი „ნივა“ ვიცანი, რომლითაც დანილა დადიოდა ხოლმე პატრიოტიზმის ნიშნად, ოლგას სპორტული მანქანა –გრუნტის გზაზე ამით როგორ ამოვიდა ნეტა? მათ შორის ტოლიკას მონჯღრეული ფურგონიც იდგა, და კიდევ ორი მანქანა, რომელიც ოფისთან გაჩერებული მინახავს, მაგრამ ვისი იყო, არ ვიცოდი.

- არ დაგვიცადეს, - ბრაზობდა ილია. – ესენი ქეიფობენ, მხიარულობენ, საგუშაგოს ნაღები კი სოფლის გზებზე მოჯაყჯაყებს...

ძრავა გამორთო, და ამ დროს იულიამ მხიარულად დასჭყივლა:

- ბოკვერი!

სწრაფად გადამახტა, კარი გააღო და მანქანიდან ისკუპა. სემიონმა ერთი შეიკურთხა და გამალებული დაედევნა.

და დროზეც მიუსწრო.

არ ვიცი, ძაღლები სად იმალებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, იულიას მანქანიდან გადმოსვლამდე მათ არსებობას ვერც კი იეჭვებდი. მაგრამ როგორც კი მიწაზე დადგა ფეხი, ყოველი მხრიდან ეცნენ მოყავისფრო ჩრდილები.

გოგომ დაიკივლა. მისი შესაძლებლობებით მგლების მთელ ხროვას დაამარცხებდა, ხუთ-ექვს ძაღლზე რომ არაფერი ვთქვათ. მაგრამ ნამდვილ შეტაკებაში ჯერ არ მოხვედრილა და დაიბნა. სიმართლე გითხრათ, თავდასხმას აქ არც მე მოველოდი, მითუმეტეს ასეთს. ძაღლები საერთოდ სხვანაირებს არ ესხმიან თავს. ბნელების ეშინიათ, თეთრები უყვართ. ცხოველები სერიოზულად უნდა გაწვრთნა, მაგიური შესაძლებლობების მიმართ მათ თანდაყოლილი შიშს რომ სძლიო.

სვეტლანა, ილია, და მე გარეთ გავვარდით. მაგრამ სემიონმა დაგვასწრო. ერთი ხელით გოგო აიტაცა, მეორეთი ჰაერში ხაზი გაავლო. მე ვიფიქრე, შემაშინებელი მაგიით ისარგებლებდა, ან ბინდში გადავიდოდა, ან ძაღლებს ფერფლად აქცევდა. ჩვეულებრივ, „რეფლექსური მოქმედებისას“ ყველაზე მარტივ შელოცვებს მიმართავენ.

სემიონმა კი ტემპორატული გაყინვა, „ფრიზი“ მოავლო. შელოცვამ ორ ძაღლს ჰაერში მოუსწრო – ვიწრო დაკრეჭილი დრუნჩები წინ წამოეწიათ და ლურჯი ნათებით

გარშემორტყმულები მიწის ზედაპირთან დაეკიდნენ. ეშვებიდან მოწყვეტილი დორბლი მოელვარე ცისფერი სეტყვასავით ჩამოსდიოდათ.

დედამიწაზე მიყინული დანარჩენი სამი ძაღლი ნაკლებად ეფექტურ სანახაობას ქმნიდა. ამ დროს ბოკვერმაც მოირბინა. სახე გათეთრებოდა და თვალები გაფართოვებოდა.

წამით იულიას შეხედა – გოგო ისევ კიოდა, მაგრამ ინერციით, ნელ-ნელა ხმას უკლებდა.

- ცოცხლები ხართ? – როგორც იქნა ხმა ამოიღო.

- შენი... – ჩაიბურტყუნა ილიამ, და მაგიური კვერთხი დაუშვა. – ეს რა მხეცები მოგიშენებია აქ?

- არაფერს დაგიშავებდნენ! – დამნაშავედ თქვა ბოკვერმა.

- ჰო? – სემიონმა იულია ძირს დასვა. დაფიქრებული მზერით მოსინჯა ჰაერში გაყინული ძაღლის დაკრეჭილი ეშვი. გაყინვის დაჭიმული გარსი ზამბარასავით იდრიკებოდა მის შეხებაზე.

- გეფიცებით! - ბოკვერმა გულთან მიიტანა ხელი. – ხალხო... სვეტა, იულენკა... მაპატიეთ. ვერ მოვასწარი ძაღლების შეჩერება. უცხოების დაჭერაზე და შეჩერებაზე არიან გაწვრთნილი.

- სხვანაირების დაჭერაზეც?

- ჰო...

- თეთრების დაჭერაზეც?

ბოკვერმა თავი დახარა და დაუქნია.

იულია მასთან მივიდა, ჩაეკრა და თქვა, საკმაოდ მშვიდად:

- მე არ შემშინებია, უბრალოდ დავიბენი.

- კარგია, რომ მეც დავიბენი, - პირქუშად აღნიშნა ილიამ და კვერთხი დამალა. – შემწვარი ძაღლის ხორცი – მეტისმეტად ეგზოტიკური კერძია. ვეფხვი, შენი ძაღლები ხომ მიცნობენ!

- შენ არ გეცემოდნენ...

დაძაბულობა ნელა იმუხტებოდა. რა თქმა უნდა, ისეთი არაფერი მოხდებოდა, ერთმანეთის მკურნალობა ვიცით... მაგრამ პიკნიკს უნდა დავმშვიდობებოდით.

- მაპატიეთ რა, - კიდევ ერთხელ შეგვეხვეწა ვეფხვი.

- რაში გჭირდება? – სვეტამ ძაღლებზე მიანიშნა. – გამაგებინე ერთი, რად გინდა? შენი შესაძლებლობებით მწვანე ბერეტიანების მთელ რაზმს შეეწინააღმდეგებოდი... რად გინდა ეს როტვეილერები?

- როტვეილერები არ არიან, სტაფორშირდის ტერიერებია...

- რა მნიშვნელობა აქვს!

- ერთხელ მძარცველი დაიჭირეს. მე ხომ აქ კვირაში ორჯერ ვარ ხოლმე, ქალაქიდან ყოველთვის ვერ ამოვალ.

ახსნა მაინცდამაინც დამაჯერებელი ვერ გამოუვიდა. უბრალო შემაშინებელი შელოცვაც საკმარისი იქნებოდა, რომ ადამიანი ახლოსაც არ გაკარებოდა... მაგრამ ამის თქვა ვერც ერთმა ვერ მოასწრო – ვეფხვი თავად გამოტყდა:

- ხასიათი მაქვს ასეთი...

- ძაღლები დიდხანს იქნებიან ჩამოკიდული? – იკითხა იულიამ, რომელიც ბოკვერს არ შორდებოდა. – მინდა, დავუმეგობრდე, თორემ ფარული ფსიქოლოგიური კომპლექსი დამჩემდება, რომელიც უდავოდ იმოქმედებს ხასიათზე და სექსუალურ მიდრეკილებებზე.

სემიონმა ჩაიცინა. თავისი რეპლიკით, საინტერესოა, რამდენად ბუნებრივი იყო და რამდენად წინასწარ გათვლილი, იულიამ მომენტალურად ჩააქრო კონფლიქტი.

- საღამოხანს გამოცოცხლდებიან. მასპინძელო, სახლში შეგვიძღვები?

ყველანი სახლისკენ დავიძარით, ძაღლები მანქანასთან ჩამოკიდული-მწოლიარე დავტოვეთ.

- რა კარგია შენთან! – აღფრთოვანებით წარმოთქვა იულიამ. ვეფხვს არ სცილდებოდა, ჩვენ საერთოდ აღარ გვაქცევდა ყურადღებას. როგორც ჩანს, ჯადოქარი მისი კუმირი გახლდათ, რომელსაც ყველაფერი ეპატიებოდა, ავი ძაღლებიც კი.

საინტერესოა, რატომ აფეტიშებენ ხოლმე მიუწვდომელ შესაძლებლობებს? იულია – შესანიშნავი ჯადოქარი-ანალიტიკოსია, რომელსაც რეალობის დახლართული ძაფების გახსნა, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ მოვლენების გამომწვევი ფარული მაგიური მიზეზების აღმოჩენა შეეძლო. ძალიან ჭკვიანია, განყოფილებაში ჭკუა ეკეტებათ, ისე უყვართ, და არა მარტო როგორც ბავშვი, არამედ როგორც თანამებრძოლი, როგორც ძვირფასი, ზოგჯერ კი შეუცვლელი თანამშრომელი. მაგრამ მისი კუმირი ჯადოქარი-მაქცია, მებრძოლი მაგი, ბოკვერია. შეეძლო, ქალბატონი პოლინა მიებაძა, რომელიც ანალიტიკურ განყოფილებაში დამატებით ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა, ან განყოფილების უფროსი, დარბაისელი მექალთანე, ედიკა შეყვარებოდა.

იულიამ კი კუმირად ბოკვერი აირჩია.

პროცესიას ბოლოში მივყვებოდი და რაღაც მელოდიას ვუსტვენდი. სვეტლანას მზერა დავიჭირე, და ოდნავ თავი დავუქნიე. ყველაფერი რიგზეა. წინ კიდევ უსაქმურობის მთელი ოცდაოთხი საათი გვრჩება, არავითარი ბნელები ან თეთრები, არავითარი დაპირისპირება. ტბაში ბანაობა, გარუჯვა, მწვადების ჭამა და ზედ წითელი ღვინოს დაყოლება. საღამოს კი – აბანოში. ასეთ აგარაკზე ცუდი აბანო არ უნდა იყოს. მერე ერთი-ორი ბოთლი არყის ბოთლი და ერთი ქილა დამარილებული სოკო, განმარტოება და გონების დაბინდებამდე დათრობა, ვარსკვლავების თვალიერება და ამაღლებულ თემებზე ფილოსოფიური განსჯა.

მშვენიერია.

ძალიან მინდა, ერთი დღე-ორი მაინც ვიცხოვრო ადამიანივით.

სემიონი გაჩერდა და თავი დამიქნია:

- ორი ბოთლი წავიღოთ. ან სამი. შეიძლება კიდევ ვინმე შემოგვიერთდეს.

განცვიფრებას აზრი აქ ჰქონდა, არც აღშფოთებად ღირდა. ჩემი ფიქრების წაკითხვა არც უცდია, უბრალოდ გაცილებით მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა.

- შევთანხმდით, - დავეთანხმე. სვეტლანამ ისევ ცერად შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

- შენთვის უფრო ადვილია, - დასძინა სემიონმა. – მე ხშირად ვერ ვახერხებ ხოლმე ამას... ადამიანად ყოფნას.

- და რა საჭიროა? – იკითხა ბოკვერმა და კართან გაჩერდა.

სემიონმა მხრები აიჩეჩა:

- არა, რა თქა უნდა. მაგრამ კი მინდა.

და კოტეჯში შევედით.

ოცი სტუმარი, ალბათ, ცოტა არ იყოს ბევრია ასეთი სახლისთვისაც კი. ადამიანები რომ ვყოფილიყავით, სხვა საკითხია. მეტისმეტად ხმაურიანები ვართ. აბა, ოციოდე ბავშვი ერთ სასტუმრო ოთახში შეყარეთ, მთელი ერთი თვის განმავლობაში ბეჯითად რომ მეცადინეობდნენ, სათამაშოების მთელი ასორტიმენტი გადაეცით, ყველაფრის ნება მიეცით, და შედეგს დაელოდეთ.

მე და სვეტა ბოლომდე არ ვერთვებოდით ამ ხმაურიან თამაშობებში. ფურშეტის მაგიდიდან ჭიქა ღვინო ავიღეთ და სასტუმრო ოთახის კუთხეში ტყავის დივანზე მოვთავსდით.

სემიონი და ილია მაინც შეიბნენ მაგიურ შეტაკებაში. მეტად კულტურულ, მშვიდობიან, და, გარშემომყოფთათვის თავდაპირველად სასიამოვნო შეტაკებაში. ალბათ, სემიონმა მანქანაში მეგობრის თავმოყვარეობაზე იმოქმედა – და ახლა რიგრიგობით ცვლიდნენ ოთახში კლიმატს. უკვე შევიგრძენით ზამთარი მოსკოვის შემოგარენის ტყეში, შემოდგომის ნისლი, და ზაფხული ესპანეთში. წვიმა და თქეში ბოკვერმა კატეგორიულად აკრძალა, მაგრამ ჯადოქრები არც აპირებდნენ რაიმე მძვინვარე სტიქიური მოვლენების გამოწვევას. როგორც ჩანს, კლიმატის შეცვლისას რაღაც შინაგანი შეზღუდვებით ხელმძღვანელობდნენ, და აღბეჭდილი ბუნებრივი პერიოდის იშვიათობის ჩვენებაზე მეტად მის ადეკვატურობასთან და მომენტთან შესაბამისობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

გარიკა, ფარიდი და დანილა კარტს თამაშობდნენ. ჩვეულებრივ კარტს... მხოლოდ მაგიდის თავზე მაგიის ნაპერწკლები ელვარებდა. მაგიური შულერობისა და მისგან თავდაცვის ყველა ხელმისაწვდომ საშუალებას მიმართავდნენ. აქ უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა კარტი რიგდებოდა ხელზე და რა დამატებით.

ღია კართან იგნატი იდგა, სამეცნიერო განყოფილების გოგოებით გარშემორტყმული, რომელთაც ჩვენი ვაი-პროგრამისტებიც შეუერთდნენ. ჩვენმა სექსოფილმა ალბათ მარცხი განიცადა სასიყვარულო ფრონტზე და ახლა იარების მოშუშებას ვიწრო წრეში ცდილობდა.

- ანტონ, - ჩუმი ხმით მკითხა სვეტამ, - როგორ ფიქრობ, ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდება?

- რა?

- დროსტარება? გახსოვს, სემიონმა რა თქვა?

მხრები ავიჩეჩე:

- როცა ასი წელი შეგვისრულდება, მოდი მაშინ მივუბრუნდეთ ამ საკითხს. ახლა კარგად ვგრძნობ თავს. უბრალოდ კარგად. მიხარია, რომ არსად არ მეჩქარება, არაფრის გათვლას არ ვცდილობ, რომ საგუშაგოები მიყუჩდნენ და ჩრდილში მიწვდნენ.

- მეც კარგად ვარ, - დამეთანხმა სვეტლანა. – მაგრამ ასეთი ახალგაზრდები ან თითქმის ახალგაზრდები აქ ხომ მხოლოდ ოთხნი ვართ. იულია, ბოკვერი, შენ, მე... რა გველის ასი წლის შემდეგ? სამასი წლის შემდეგ?

- ვნახავთ.

- ანტონ, გამიგე, - სვეტამ ოდნავ შემახო ხელი. – ძალიან ვამაყობ, რომ საგუშაგოში შემოვედი. ბედნიერი ვარ, რომ დედაჩემი ისევ გამოჯანმრთელდა. გაცილებით უკეთ

ვცხოვრობ, ამაზე კამათიც სისულელეა. მე... მესმის კიდევაც, რატომ მოგიწყო შეფმა ასეთი გამოცდა...

- არ გინდა, სვეტა, - ხელი მოვკიდე. – შეფის მეც მესმის, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე დღეები გამოვიარე. არ გვინდა ამაზე ლაპარაკი.

- არც ვაპირებ... – სვეტამ ღვინო მოსვა და ცარიელი ბოკალი დადო. – ანტონ, რა მინდა იცი, გითხრა – სიხარულს ვერ ვგრძნობ.

- სად? – რაც მართალია, მართალია, ზოგჯერ წარმოუდგენელი სიჩლუნგით გამოვირჩევი.

- აქ. ღამის საგუშაგოში. ჩვენს მეგობრულ გარემოცვაში. ყოველი დღე ჩვენთვის ხომ ბრძოლაა, ხან დიდი, ხან მცირე, შეშლილ მაქციებთან, შავ ჯადოქრებთან, ბნელეთის ძალებთან. ყოველ დღე ძალების მოკრება, წინ წამოწეული ნიკაპითა და გაფართოებული თვალებით ამბრაზურის შუბლით გარღვევა... ან შიშველი უკანალით ზღარბზე დარჭობა.

სიცილი წამსკდა.

- სვეტა, რა არის ამაში ცუდი? ჩვენ ხომ მეომრები ვართ. ყველანი, იულიათი დაწყებული, ჰესერით დამთავრებული. ომში, მართალია, რას გაერთობი. მაგრამ უკან თუ დავიხევთ...

- რა მოხდება? – კითხვით მიპასუხა სვეტამ. – აპოკალიპსი დადგება? ათასი წელია ნათელი და ბნელი ძალები ერთმანეთს ეომებიან, დაუნდობლად მუსრავენ, ადამიანთა მთელ არმიებს აგულიანებენ, წამლავენ, და ამას მაღალი მიზნების გამო სჩადიან. მაგრამ მითხარი, ანტონ, ადამიანები შეიცვალნენ ამ ხნის განმავლობაში უკეთესობისკენ?

- კი...

- საგუშაგოების დაარსების დღიდან მოყოლებული? ანტონ, ჩემო კარგო, იმდენი მელაპარაკე, და არა მარტო შენ... რომ ძირითადი ბრძოლა ადამიანთა სულებისთვის მიდის, რომ ჩვენ მასობრივ ხოცვა-ჟლეტას ვუშლით ხელს. მართალია, ვუშლით. ადამიანები თვითონ ხოცავენ ერთმანეთს, გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე ორასი წლის წინ.

- შენ გინდა თქვა, რომ ჩვენ საქმეს ზიანი მოაქვს?

- არა, - მიპასუხა სვეტამ დაღლილი ხმით. – არ მინდა. მასეთი წარმოდგენაც არ მაქვს საკუთარ თავზე. ერთი რამ მინდა ვთქვა... შეიძლება მართლაც სინათლეს ვემსახურებით, მაგრამ... რა არის იცი, ქალაქში გაყიდვაში ნაძვის ხის ყალბი სათამაშოები შემოვიდა. ერთი შეხედვით ნამდვილი გეგონება, მაგრამ სიხარულს კი არ განიჭებს.

მოკლე ანეგდოტი აბსოლუტური სერიოზულობით და ტონის შეუცვლელად მოყვა. თვალებში შემომხედა.

- გესმის?

- მესმის.

- ჰო, ალბათ, ბნელებს უკვე ნაკლები ზიანი მოაქვთ, - აღნიშნა სვეტლანამ. – ამ ჩვენს ურთიერთშეთანხმებებს, დათმობებს... კეთილ საქმეებს ბოროტის სანაცვლოდ, ლიცენზიებს მკვლელობაზე და განკურნებაზე... გამართლება აქვს, მჯერა. ბნელები ისე ვეღარ პარპაშებენ, როგორც ადრე, ჩვენ კიდევ, ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე, ბოროტებას არ ჩავდივართ. ადამიანები?

- ადამიანები რაღა შუაშია?

- იმ შუაშია, რომ ვიცავთ მათ, თავდაუზოგავად და დაუღალავად. მაგრამ რატომ არ უმჯობესდება მათი ყოფა? ისინი ხომ ბნელების საქმეს თავად აკეთებენ. რატომ? შეიძლება, რაღაც დავკარგეთ, ანტონ? რწმენა, რომლითაც თეთრი ჯადოქრები ერთ დროს საკუთარ არმიებს ბრძოლის ველზე აგზავნიდნენ და თვითონაც წინა რიგებში იბრძოდნენ? არა მარტო დაცვის, არამედ სიხარულის მინიჭების უნარიც? რად ღირს მაგარი კედლები, თუ ეს კედლები ციხეს აკრავს? ხალხმა დაივიწყა ჭეშმარიტი მაგია, აღარ სჯერა წყვდიადის, და აღარც სინათლის! ანტონ, მეომრები ვართ. მართალია! მაგრამ არმია მხოლოდ მაშინ უყვართ, როცა ომი მიდის.

- მიდის კიდევაც.

- ვინ იცის მერე ამის შესახებ?

- ჩვენ ალბათ მთლად ჯარისკაცებიც არ ვართ, - შევასწორე ჩემივე ნათქვამი. საკუთარი დაცული პოზიციებიდან უკან დახევა არავის სიამოვნებს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა. – ალბათ უფრო... ჰუსარები. ტრამ-პამ-პამ...

- ჰუსარები ხშირად იღიმებოდნენ, ჩვენ კი საერთოდ დაგვავიწყდა, რა არის ღიმილი.

- მაშ, მითხარი, რა უნდა ვქნათ, - უცბად მივხვდი, რომ საღამო, რომელზედაც ასეთ იმედებს ვამყარებდი, სადღაც შავ და აყროლებულ, ნაგვით სავსე ხევში მიექანებოდა. – მითხარი! შენ ხომ დიდებული ჯადოქარი ხარ, ან მალე გახდები. გენერალი ჩვენს ომში. მე კი მხოლოდ ლეიტენანტი ვარ. მიბრძანე, ოღონდ სწორი ბრძანება გაეცი. მითხარი, რა ვქნა?

ახლაღა შევამჩნიე, რომ სასტუმრო ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მხოლოდ ჩვენ გვისმენდნენ. მაგრამ უკვე სულერთი იყო ჩემთვის.

- თუ მეტყვი, გაიჭერი და ბნელებს ერთი მეორეზე დაერიეო, წავალ. მართალია დიდად არ ვვარგივარ ამაში, მაგრამ მაინც ყველა ღონეს მივმართავ! თუ მეტყვი,

ღიმილი არ მოიშორო სახიდან და ხალხს სიკეთე მიანიჭე, არც მაგაზე გეტყვი უარს. მაგრამ ვინ აგებს პასუხს იმ სიავეზე, რომელსაც კარს გავუღებ? სიკეთე და ბოროტება, სინათლე და წყვდიადი, ჰო, დიდი ამბით ვიმეორებთ წარამარა ამ სიტყვებს, დროშებივით ვამზეურებთ, დარსა და ავდარს არ ვარიდებთ, და ამით მათ აზრსა და მნიშვნელობას ვცვეთთ. მაშინ ახალი სიტყვა გვითხარი! მოგვეცი ახალი დროშები! მოგვიწოდე, საით წავიდეთ, რა გავაკეთოთ!

სვეტლანას ტუჩები აუკანკალდა. მაშინვე გავჩერდი, მაგრამ დაგვიანდა.

სვეტლანას თვალებზე ხელები აეფარებინა და ტიროდა.

რას ვაკეთებ?

ნუთუ მართლა გადავეჩვიეთ ღიმილს?

ასჯერ მართალი რომც ვიყო...

რად ღირ ჩემი სიმართლე, თუ მზად ვარ, მთელი მსოფლიო დავიცვა, მაგრამ იმათთვის ვერ მიმიხედია, ვინც გვერდით მყავს? სიძულვილს ვთოკავ, მაგრამ, ამავე დროს, სიყვარულსაც ვუკრავ ხელ-ფეხს.

წამოვხტი, მხრებზე ხელი შემოვხვიე და სასტუმრო ოთახიდან გავიყვანე. ჯადოქრები იდგნენ და თვალს გვარიდებდნენ. ალბათ, ასეთი სცენები მრავლად უნახავთ. შეიძლება, მშვენივრად ესმოდათ, რაც ხდებოდა.

- ანტონ. – ბოკვერი უეცრად აღმოჩნდა ჩემს გვერდით, გაგვიძღვა და რამელიღაცა კარი შეაღო. შემომხედა – საყვედურითა და მოულოდნელი თანაგრძნობით, და მარტო დაგვტოვა.

წუთით გაუნძრევლად ვიდექით, სვეტლანას ჩემს მხარში ჩაერგო თავი და ჩუმად ტიროდა, მე კი ველოდი. ახლა უკვე გვიანი იყო რამის თქვა, რაც შემეძლო, ყველაფერი წამოვაყრანტალე.

- ვეცდები...

ამას ნამდვილად არ მოველოდი. ნებისმიერი რამეს, წყენას, საპასუხო ქმედებას, ჩივილს... მაგრამ ამას არა.

სვეტლანამ ცრემლმორეულ სახეს ხელები მოაშორა, თავი გაიქნია და გაიღიმა. – მართალი ხარ, ანტოშკა. სავსებით მართალი. ჯერ მხოლოდ ვწუწუნებ და ვაპროტესტებ.

ბავშვივით ვღნავი, და ვერაფერი გამიგია. მანის ფაფაში ცხვირს მაყოფინებენ, ცეცხლთან თამაშს არ მიშლიან... და ელოდებიან, ელოდებიან, როდის გავიზრდები. ალბათ ასეა საჭირო. ვეცდები... რომ ახალი დროშები დაგირიგოთ.

- სვეტა...

- მართალი ხარ, - მომიჭრა სიტყვა. – მაგრამ ცოტათი მეც ვარ მართალი. თუმცა არა იმაში, რომ ამ ხალხთან ვერ შევიკავე თავი. როგორც შეუძლიათ, ისე ატარებენ დროს. როგორც შეუძლიათ, ისე იბრძვიან. დღეს დასვენების დღე გვაქვს, და სხვებს არ უნდა ჩავუშხამოთ. შევთანხმდით?

და ისევ ვიგრძენი კედელი, ის უხილავი კედელი, რომელიც ყოველთვის იქნება აღმართული ჩემსა და ჰესერს, ჩემსა და მაღალ ხელმძღვანელობას შორის.

ის კედელი, რომელსაც დრო აშენებს ხოლმე ჩვენს შორის. დღეს საკუთარი ხელით დავამატე ბროლის აგურების რამდენიმე რიგი.

- მაპატიე, სვეტა, - ჩავჩურჩულე. – მაპატიე.

- დავივიწყოთ, - მტკიცედ მიპასუხა. – მოდი, დავივიწყოთ. სანამ კიდევ შეგვიძლია დავიწყება.

როგორც იქნა, მიმოვიხედეთ.

- კაბინეტია? – ივარაუდა სვეტამ.

კედლები მორენის მუხისგან დამზადებული თაროებით გაეწყოთ, დაბურულ შუშებს მიღმა ტომები მოჩანდა. ოთახში დიდრონი საწერი მაგიდა იდგა, ზედ კომპიუტერი იდო.

- კი.

- ვეფხვი ხომ მარტო ცხოვრობს?

- არ ვიცი, - თავი გავიქნიე. – არ ვკითხულობთ ხოლმე მასეთ რაღაცეებს.

- ალბათ მარტო ცხოვრობს. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად, - სვეტლანამ ცხვირსახოცი ამოიღო და ფრთხილად შეუდგა ცრემლების შეშრობას. – კარგი სახლი აქვს. წავიდეთ, ალბათ ღელავენ.

თავი გადავაქნიე:

- მიხვდებოდნენ, რომ არ ვჩხუბობდით.

- არა, ვერ მიხვდებოდნენ. აქ იმხელა ბარიერებია ოთახებს შორის, რომ ვერ გაარღვევ.

ბინდში გადავიხედე და კედლებში ჩამალული ნათება შევნიშნე.

- ახლა ვხედავ. დღითიდღე გემატება ძალა.

სვეტლანამ გამიღიმა, ოდნავ დაძაბულმა, მაგრამ სიამაყით. მითხრა:

- უცნაურია. რა საჭიროა ბარიერების აღმართვა, როცა მარტო ცხოვრობ?

- და რა საჭიროა მათი დადგმა, თუ მარტო არ ხარ? – ვიკითხე, თითქმის ჩურჩულით, რომ პასუხის გაცემა არ დასჭირვებოდა. და სვეტლანასაც არ უპასუხია.

კაბინეტიდან გამოვედით და სასტუმრო ოთახში შევბრუნდით.

იქ ისეთი დაზაფრული სიჩუმე იდგა, სასაფლაო მიმიქარავს.

ან სემიონის ნახელავი იქნებოდა, ან ილიასი – ოთახში ჭაობნარის ნესტიანი ჰაერი ტრიალებდა. იგნატს ლენკასთვის გადაეხვია ხელი და სევდიანად ათვალიერებდა იქ მყოფთ. დროსტარების და მხიარულების მოყვარული იყო და ნებისმიერი ჩხუბი და დაძაბულობა დანასავით ესობოდა გულში. კარტის მოთამაშეები ხმაამოუღებლად უყურებდნენ ერთადერთ კარტს, რომელიც მაგიდაზე იდო – მათი მწველი მზერის ქვეშ კარტი კრთოდა, თრთოდა, ხან ფერს იცვლიდა და ხან სახეს. გაბუსხული იულია რაღაცას ეკითხებოდა ოლგას დაბალი ხმით.

- დამისხით ერთი სასმელი, - წარმოთქვა სვეტამ, ისე რომ ჩემთვის ხელი არ გაუშვია. – არ იცით, რომ ისტერიულებისთვის ორმოცდაათი გრამი კონიაკი საუკეთესო მკურნალია?

ფანჯარასთან დათრგუნული სახით მდგარი ვეფხვი ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა ბარს. ნეტა ჩვენი კამათი საკუთარ თავზე ხომ არ მიიღო?

მე და სვეტამ თითო ჭიქა კონიაკი დავისხით, დემონსტრაციულად მივუჭახუნეთ ჭიქები და გადავკოცნეთ ერთმანეთი. ოლგას მზერა დავიჭირე: არა გახარებული, არა დამწუხრებული, არამედ დაინტერესებული. და ოდნავ ეჭვიანი. ამასთან ეჭვიანობა კოცნას არაფრით უკავშირდებოდა.

მოულოდნელად შემიპყრო არასასიამოვნო შეგრძნებამ.

თითქოს ლაბირინთიდან გამოვედი, სადაც მრავალი დღე და თვე დავბორიალობდი. გამოვაღწიე, რათა მორიგ კატაკომბებში გამეყო თავი.

თავი 2

ოლგასთან პირისპირ დალაპარაკება მხოლოდ ორი საათის შემდეგ შევძელი. მხიარულებამ – როგორი დაძაბულიც არ უნდა ეჩვენებოდეს სვეტლანას, უკვე ეზოში გადაინაცვლა. სემიონი მაყალთან იდგა და მსურველებს მწვადს აწვდიდა – მწვადის მოყვარულის საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა და ერთმანეთს ასწრებდნენ. იქვე ახლოს, ჩრდილში, ორი ყუთი მშრალი ღვინო იდგა.

ოლგა მეგობრულად ემუსაიფებოდა ილიას, ორივეს თითო შამფური და ჭიქა ღვინო მწვადი ეჭირა. დასანანია ასეთი იდილიის დარღვევა, მაგრამ...

- ოლია, უნდა დაგელაპარაკო, - მივუახლოვდი და ოლგას მივმართე. სვეტლანა ვეფხვთან კამათში იყო ჩართული – გოგოები ცხარედ განიხილავდნენ საგუშაგოს ტრადიციულ საახალწლო კარნავალს, ზაფხულის ცხელი დღიდან ზამთრის კარნავალზე გადასვლა ალბათ რაღაც ახირებულ ქალურ ლოგიკას თუ ექვემდებარებოდა. ყველაზე შესაფერისი მომენტი...

- უკაცრავად, ილია, - ჯადოქარმა ხელით ანიშნა ილიას საუბრის დამთავრება. – ამ თემას ისევ მიუბრუნდეთ, კარგი? ძალიან საინტერესოა კავშირის დაშლის მიზეზების შენეული ვერსია, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ცდები.

მაგმა ამაყად გაუღიმა და გაგვეცალა.

- აბა, ანტონ, მკითხე, - იგივე ტონით მომმართა ოლგამ,

- იცი, რა უნდა გკითხო?

- ვხვდები.

მიმოვიხედე. ახლოს არავინ იყო. ჯერ კიდევ არ დასრულებულა პიკნიკის ის მოკლე პერიოდი, როცა ჯერ არ დანაყრებულხარ, არ შეზარხოშებულხარ, და არც კუჭი და არც თავი არ გაქვს დამძიმებული.

- სვეტლანას რა ელის?

- მომავლის ჭვრეტა ძნელია. დიდებული მაგებისა და ჯადოქრების მომავალი კი...

- ნუ მიედ-მოედები, მეგობარო, - თვალებში ჩავხედე. – არ გინდა. ჩვენ ხომ, რაც არ უნდა იყოს, მეწყვილეები ვიყავით? ერთად ვმუშაობდით? სანამ დანაშაულს მოგიხსნიდნენ და ძალებს, თუნდაც ამ სხეულს დაგიბრუნებდნენ. ბრალი კი, უნდა ითქვას, ნამდვილად მიგიძღოდა.

ოლგას სახეზე სისხლი მოაწვა.

- შენ რა იცი, მე რა ბრალი მიმიძღვის?

- ვიცი.

- საიდან?

- სხვა რომ არაფერი, მონაცემებთან მაქვს საქმე.

- წვდომა არ გექნება სამაგისო. მე რაც გადამხდა, ელექტრონულ არქივებში არ შეუტანიათ.

- ირიბი მონაცემები, ოლია. გინახავს რგოლები წყლის ზედაპირზე? ქვა შეიძლება დიდი ხანი იდოს ფსკერზე, ხავსიც მოიკიდოს, მაგრამ რგოლები ისევ ლივლივებს ხოლმე. ფერდობებს აპირკეთებს, ნაგავი და ქაფი ნაპირზე გამოაქვს, ნავებს ატრიალებს... თუ ქვა დიდია. ქვა კი მართლა დიდი გამოდგა. წარმოიდგინე, რომ დიდხანს ვიდექი ნაპირზე, ოლია, ვიდექი და ტალღებს ვადევნებდი თვალს, რომლებიც ნაპირს ძირს უთხრიან.

- ნუ აზვიადებ.

- არ ვაზვიადებ. ოლგა, რა ბედი ელის სვეტას? სწავლების რა ეტაპზეა?

ჯადოქარი მიყურებდა, გაციებული მწვადი და ნახევრად ცარიელი ჭიქა სულ აღარ გახსენებია. ამასობაში კიდევ ერთი დარტყმა მივაყენე.

- შენ ხომ გაიარე ეს ეტაპი?

- კი, - მე მგონი, ალაპარაკდა, როგორც იქნა. – გავიარე. მაგრამ მე უფრო თანმიმდევრულად მამზადებდნენ.

- სვეტას შემთხვევაში რატომ ჩქარობენ ასე?

- არავინ ფიქრობდა, რომ ამ ასწლეულში კიდევ ერთი დიდებული ჯადოქარი დაიბადებოდა. ჰესერი იძულებული გახდა, იმპროვიზაციისთვის მიემართა, მთელი ტაქტიკა მოქმედების დროს მოულოდნელად შეეცვალა.

- ამიტომაც დაგიბრუნეს ძველი იერ-სახე? და არა მარტო კარგი მუშაობისთვის?

- შენ ხომ მშვენივრად გესმის ყველაფერი! – ოლგას თვალებში არასასიამოვნო ნაპერწკალმა გაიელვა. – რატომ მტანჯავ?

- შენ აკონტროლებ მის მომზადებას? შენი გამოცდილებიდან გამომდინარე?

- კი. დაკმაყოფილდი?

- ოლგა, ჩვენ ხომ ბარიკადების ერთ მხარეს ვართ, - ჩავჩურჩულე.

- მაშინ ნუ კრავ თანამებრძოლებს იდაყვებს!

- ოლგა, რა მიზანი გამოძრავებთ? რა ვერ გააკეთე შენ? რა უნდა გააკეთოს სვეტამ?

- შენ... – მართლა დაიბნა. – ანტონ... მაშ, მატყუებდი!

გავჩუმდი.

- არაფერი იცი! რგოლები წყლის ზედაპირზე... არ იცი, საით უნდა გაიხედო, ისინი რომ დაინახო!

- დავუშვათ. მაგრამ რაც მთავარია, ხომ მივხვდი?

ოლგა მიყურებდა და ტუჩებს იკვნეტდა. შემდეგ თავი გაქნია:

- მიხვდი. პირდაპირი შეკითხვა, პირდაპირი პასუხი. მაგრამ არაფრის ახსნას არ დავიწყებ. შენ ეს არ უნდა იცოდე. არ გეხება.

- ცდები.

- არც ერთ ჩვენგანს არ უნდა, რომ სვეტას რამე დაუშავდეს, - მკვახედ მომიჭრა. – გაიგე?

- ჩვენ არც შეგვიძლია, ვინმესთვის ავი ვისურვოთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი სიკეთე არაფრით განსხვავდება ავისგან.

- ანტონ, მოდი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. არ მაქვს უფლება, რომ გიპასუხო. და არ არის საჭირო, სხვებს ეს შემთხვევითი დასვენება ჩავუშხამოთ.

- რამდენად შემთხვევითია? – ფრთხიალდ ვკითხე. – ოლია?

ოლია გასასვლელად მოემზადა, და იმდენად შეუვალი და უტეხი გამომეტყველება მიიღო, რომ ასეთ კითხვაზე აღარ მიპასუხებდა.

- ისედაც ზედმეტი გაიგე, - ხმას აუწია და უწინდელი მედიდურობა დაიბრუნა.

- ოლია, შვებულებაში არასდროს არ გავუშვივართ ასე ყველანი ერთად. თუნდაც ერთი დღე-ღამით. რატომ გამოყარა ჰესერმა ქალაქიდან ყველა ნათელი?

- ყველა არ გამოუყრია.

- ქალბატონი პოლინა და ანდრეი არ ითვლებიან. მშვენივრად იცი, რომ კაბინეტის მუშაკები არიან. მოსკოვში არც ერთი გუშაგი აღარ დარჩა!

- ბნელებიც მიყუჩდნენ,

- მერე რა?

- ანტონ, გეყოფა.

მივხვდი, რომ სიტყვასაც ვეღარ ამოვგლეჯდი. თავი დავუქნიე:

- კარგი, ოლია. ნახევარი წლის წინ თანაბარ მდგომარეობაში აღმოვჩნდით... თუნდაც შემთხვევით. ახლა, როგორც ჩანს, ასე არაა. მაპატიე. ჩემი პრობლემა არ არის, ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

ოლგა დამეთანხმა. იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თვალებს არ ვუჯერებდი.

- როგორც იქნა, მიხვდი...

დამცინის? თუ მართლა ფიქრობს, რომ გადავწყვიტე, არ ჩავერიო?

- საერთოდ ძალიან მიხვედრილი ვარ, - ვთქვი და სვეტლანას გავხედე, რომელიც მხიარულად ელაპარაკებოდა ტოლიკას.

- ხომ არ მიბრაზდები? – მკითხა ოლგამ.

მის ხელს შევეხე, გავუღიმე და სახლისკენ წავედი.

რაღაცის გაკეთება მომინდა. ისე შემომაწვა ეს სურვილი, გეგონებოდა ბოთლში გატარებული ათასწლიანი ტყვეობისგან გამოშვებული ჯინი ვყოფილიყავი. ნებისმიერი რამის – სასახლეების აგების, ქალაქების განადგურების, ბეისიკზე პროგრამირების ან ჯვარედინად ქსოვის.

კარი შეუხებლად გავაღე – ბინდის მეშვეობით ვკარი ხელი. არ ვიცი, რატომ. ასეთი რამ იშვიათად მემართება ხოლმე, ხანდახან – როცა ძალიან ბევრს დავლევ ხოლმე, ხანდახან – როცა ძალიან გავმწარდები ხოლმე. პირველი მიზეზი ამ შემთხვევაში არაფრად არ გამოდგებოდა, ჯერჯერობით.

სასტუმრო ოთახში არავინ იყო. და მართლაც, რატომ უნდა იჯდე ოთახში, როცა გარეთ მწვადი შიშხინებს, ღვინო ისხმება და ხეებქვეშ საკმარისი რაოდენობის შეზლონგები გაუშლიათ...

სავარძელში ჩავესვენე. მაგიდაზე ჩემი – ან სვეტას – ჭიქა ვიპოვნე და კონიაკი დავისხი. ერთი მოსმით დავლიე, თითქოს თხუთმეტწლიანი „სადღესასწაულო“ კი არ დამელიოს, არამედ იაფფასიანი არაყი. კიდევ დავისხი.

ამ დროს ბოკვერი შემოვიდა.

- წინააღმდეგი ხომ არ ხარ? – ვკითხე.

- არა, რა თქმა უნდა... – ჯადოქარი გვერდით მომიჯდა. – ანტონ, გაბრაზდი?

- ნუ მომაქცევ ყურადღებას.

- სვეტასთან მოგივიდა ჩხუბი?

თავი გავაქნიე:

- ანტონ, შემეშალა რამე? არ მოსწონს ხალხს?

გულწრფელი გაოცებით მივაჩერდი.

- რა სისულელეა! ყველაფერი მშვენივრად არის. ყველა კმაყოფილია.

- შენ?

ადრე ჯადოქარი-მაქციასათვის არასოდეს შემინიშნავს მსგავსი მერყეობა. მოეწონათ – არ მოეწონათ... ყველას თავს ხომ ვერ მოაწონებ.

- სვეტლანას მომზადებას განაგრძობენ, - ვთქვი.

- რისთვის? – გოგო ოდნავ წარბი შეკრა.

- არ ვიცი. ისეთი რაღაცისთვის, რისი გაკეთებაც ოლგამ ვერ შეძლო. სახიფათო, მაგრამ ამავდროულად მნიშვნელოვანი რაღაცისთვის.

- კარგია, - ვეფხვი ბოკალს მიწვდა. კონიაკი დაისხა და მოსვა.

- კარგია?

- ჰო, რა. რომ ამზადებენ, წვრთნიან, - ბოკვერი თვალით ეძებდა რაღაცას, შემდეგ, წარბშეკრულმა გადახედა კედელთან მდგარ მუსიკალურ ცენტრს. – ეს პულტი წარამარა თვალს მიეფარება ხოლმე...

ცენტრი გაცოცხლა, განათდა. გაისმა „Queen“ – „Kind of Magic“. სათანადოდ შევაფასე ელექტრონული სქემების დისტანციიდან მართვის უნარი – ეს ვერც კი შეედრება თვალით კედლის გახვრეტას, ან კოღოების ფაიერბოლებით დაფრთხობას.

- რამდენი ხანი საგუშაგოში მუშაობისთვის? – ვკითხე.

- შვიდი წლიდან. თექვსმეტი წლისა უკვე ოპერაციებში ვმონაწილეობდი.

- ცხრა წელი! შენთვის ხომ უფრო ადვილია, შენი მაგია ბუნებრივია. სვეტლანასგან კი ნახევარ წელიწადში – ერთ წელიწადში – აპირებენ დიდებული ჯადოქრის გამოძერწვას!

- ნუ... ძნელია, - დამეთანხმა გოგო – შენ ფიქრობ, რომ შეფი ცდება?

მხრები ავიჩეჩე. იმის მტკიცება, რომ შეფი ცდება ისეთივე უსაფუძვლოა, როგორც აღმოსავლეთს მზის ამოსვლის უარყოფა. ასეულობით წელი... რა ასეულობით, ათასობით წელი სწავლობდა შეცდომების თავიდან აცილებას. ჰესერის საქციელი შეიძლება მკაცრი და ულმობელი იყოს, შეიძლება ბნელები გამოიწვიოს და თეთრები გაწიროს. შეფს ყველაფერი შეუძლია, შეცდომების დაშვების გარდა.

- მე მგონი, გადაჭარბებით აფასებს სვეტას.

- კარგი რა! შეფი ითვალისწინებს...

- ყველაფერს. ვიცი. ძალიან კარგად თამაშობს ძველ თამაშს.

- და სვეტასთვის მხოლოდ კარგი უნდა, - ჯიუტად დაამატა ჯადოქარმა. – გესმის? შეიძლება თავისებურად. შენ სხვანაირად მოიქცეოდი, მეც, სემიონიც, და ოლგაც... ყველა ჩვენნაირი სხვაგვარად იმოქმედებდა. მაგრამ შეფი საგუშაგოს ხელმძღვანელობს და ამის სრული უფლება აქვს.

- შეფმა უკეთ იცის? – იქედნურად ვკითხე.

- კი.

- თავისუფლებაზე რაღას იტყვი? – და ისევ გაგვავსე ჭიქა. მე მგონი უკვე ზედმეტიც იყო, თავი მიგუგუნებდა. – თავისუფლება?

- შენ რა ბნელებივით ლაპარაკობ, - ამრეზით მიპასუხა გოგომ.

- მირჩევნია, ვიფიქრო, რომ ისინი ლაპარაკობ ჩემნაირად.

- ძალიან მარტივადაა ეს ყველაფერი, ანტონ, - ვეფხვი ჩემსკენ გადმოიხარა და თვალებში ჩამხედა. კონიაკისა და რაღაც მსუბუქი, ყვავილების სუნი ასდიოდა, სუნამო არ უნდა ყოფილიყო – მაქციებს არ უყვართ პარფიუმერია. – გიყვარს.

- მიყვარს. მერე რა...

- ალბათ იცი, რომ მისი ძალა შენსას მალე გადააჭარბებს.

- თუ უკვე არ გადააჭარბა... – აღარ მითქვამს, თუმცა კი გავიფიქრე, რა ადვილად იგრძნო სვეტამ კედლებში მაგიური ეკრანები.

- საგრძნობლად გადააჭარბებს, ისე რომ ერთმანეთს გვერდითაც ვერ დაუდგებით. მისი პრობლემები შენთვის გაუგებარი და უცხო გახდება. მასთან ახლოს მყოფი თავს არასრულფასოვნად, ჟიგოლოდ იგრძნობ, და წარსულს ჩაეჭიდები...

- ჰო, - თავი დავუქნიე და გაოცებულმა აღმოვაჩინე, რომ ჭიქა დაცარიელებულიყო. გავავსე. მასპინძლის გამჭოლი მზერა არ მცილდებოდა. – მაშინ – არ ვიქნები მასთან ახლოს. არ მჭირდება ასეთი ყოფა.

- სხვაგვარი არ გერგო.

არ მეგონა, ასეთი სასტიკი თუ იქნებოდა, არ მოველოდი, ასე ნერვიულად თუ დაიწყებდა ფიქრს, მოეწონა თუ არა ხალხს მისი მასპინძლობა, და არც ამ ვერაგ სიმართლეს მოველოდი.

- ვიცი.

- რადგან იცი, მაშ... ანტონ, მხოლოდ ერთადერთი მიზეზით გაშფოთებს, რომ შეფი ასე დაჟინებით ექაჩება სვეტას ზევით.

- ჩემი დრო იწურება, - განვუმარტე. – წვიმასავით, მუჭაში დაგროვილი ქვიშა რომ იწურება თითებს შორის.

- შენი დრო? თქვენი, ანტონ.

- ჩვენი არც არასდროს ყოფილა.

- რატომ?

და მართლაც, რატომ? მხრები ავიჩეჩე.

- იცი, ზოგიერთი ცხოველი ტყვეობაში არ მრავლდება.

- ისევ! – აღშფოთდა გოგო. – რომელ ტყვეობაზე ლაპარაკობ? უნდა გიხაროდეს მისი წარმატება. სვეტლანათი მთელი საგუშაგო იამაყებს. შენ პირველმა აღმოაჩინე, და შენვე გადაარჩინე...

- რისთვის? წყვდიადთან მორიგი შეტაკებისთვის? უსარგებლო შეტაკებისთვის?

- ანტონ, ისევ ბნელივით ლაპარაკობ... შენ ხომ გიყვარს სვეტა! მაშ, ნუ ითხოვ და ნუ ელოდები ნურაფერს სანაცვლოდ! ეს სინათლის გზაა!

- იქ, სადაც სიყვარული იწყება, სინათლე და სიბნელე მთავრდება.

გოგო გაჩუმდა იმედგაცრუებული, ნაღვლიანად გააქნია თავი და წარმოთქვა:

- შეგიძლია, შემპირდე მაინც...

- გააჩნია, რა.

- რომ კეთილგონიერი იქნები და უფროს მეგობრებს მიენდობი.

- ნახევრად გპირდები.

ბოკვერმა ამოიოხრა და უხალისოდ განაგრძო:

- მისმინე, ანტონ, ალბათ ფიქრობ, რომ საერთოდ არ მესმის შენი... ასე არაა. არც მე არ მინდოდა, ჯადოქარი-მაქცია რომ გავმხდარიყავი. მკურნალობის უნარი მქონდა, და საკმაოდ სერიოზულიც.

- მართლა? – გაოცებულმა შევხედე. ვერასოდეს ვიფიქრებდი...

- მქონდა, მქონდა, - მშვიდად დამიდასტურა გოგომ. – მაგრამ შეფი არჩევანის წინაშე დადგა, რომელი კუთხით განევითარებინა ჩემი ძალები, მომიხმო. ვისხედით და ჩაის ვსვამდით. ვლაპარაკობდით, სერიოზულად, როგორც ზრდასრული ადამიანები, არა და მაშინ მართლა პატარა ვიყავი, იულიაზე პატარა. ვილაპარაკეთ იმაზე, თუ რა სჭირდებოდა სინათლეს, ვინ უფრო ესაჭიროებოდა საგუშაგოს, რისი მიღწევა შემეძლო. და გადავწყვიტეთ, რომ საბრძოლო ტრანსფორმაციის შესაძლებლობები უნდა გაგვევითარებინა, ამით სხვა უნარები რომც დაზარალებულიყო. თავიდან მაინცდამაინც არ მომწონდა. იცი, რა მტკივნეულია გარდაქმნა?

- ვეფხვად?

- არა, ვეფხვად გადაქცევას რა უჭირს, უკუგარდაქმნაა ძნელი... მაგრამ ვითმენდი. იმიტომ, რომ მჯეროდა შეფის, იმიტომ, რომ ვხვდებოდი, რომ სწორად ვიქცეოდი.

fb.com/groups/elib

- ახლა?

- ახლა ბედნიერი ვარ, - ცხარედ მიპასუხა გოგომ. – რომ წარმოვიდგენ, რას დავკარგავდი... რა უნდა მეკეთებინა... ბალახეული, შელოცვები, დასახიჩრებულ ფსიქოველთან ჩალიჩი, შავი ქარბორბალებისა და ჯადოების მოხსნა...

- სისხლი, ტკივილი, შიში, სიკვდილი, - ხმამაღლა წარმოვთქვი. – ბრძოლა რეალობის ორ შრეზე ერთდროულად. ცეცხლის არიდება, სისხლის ნთხევა, სპილენძის მილებში ძრომა.

- ასეთია ომი.

- ჰო, ალბათ... მაგრამ აუცილებლად წინა რიგებში უნდა იბრძოლო?

- ვიღაცა ხომ უნდა იყოს წინა რიგებში? და, ბოლოს და ბოლოს, ასეთი სახლიც ხომ არ მექნებოდა, - ბოკვერმა სასტუმრო ოთახს ხელი მოატარა. – შენც იცი, რომ მკურნალობით ბევრ ფულს ვერ იშოვნი. მთელი ძალით თუ დაიწყებ განკურნებას, ვიღაცა შეუჩერებლად შეუდგება ხოცვას...

- კარგი სახლია, - დავეთანხმე. – ხშირად ხარ ხოლმე?

- როგორც მომიხერხდება.

- მივხვდი, არც ისე. მორიგეობას მორიგეობაზე იღებ, ჯოჯოხეთურ ალში ყოფ ხოლმე თავს...

- ასეთია ჩემი გზა.

თავი დავუქნიე. მართლა რა... ვუთხარი:

- ჰო, მართალი ხარ. დავიღალე, ალბათ, და მივედ-მოვედები ათასგვარ სისულელეს.

ბოკვერმა ეჭვის თვალით გადმომხედა, აშკარად გაოცდა ჩემი ასეთი სწრაფი კაპიტულაციით.

- აქ უნდა დავრჩე, - დავუმატე. – გემრიელად დავთვრე მარტო, მერე დავიძინო მაგიდის ქვეშ, და დილით თავის ტკივილით გავიღვიძო. აი, მაშინ კი მომეშვება.

- მიდი, აბა, - სიფრთხილით წარმოთქვა ჯადოქარმა. – აქ რისთვის ჩამოვედით... ბარი ღიაა, აირჩიე, რაც გესიამოვნება. ან სხვებს შევუერთდეთ. ან, თუ გინდა, აქ დავრჩები, შენთან?

- არა, მარტო მირჩევნია, - მუცლიან ბოთლს შემოვცხე ხელი და ვთქვი. – აი, ასე უაზროდ, ყოველგვარი მისაყოლებელისა და კომპანიის გარეშე. საბანაოდ წასვლას რომ გადაწყვეტთ, შემომიარეთ, იქნებ, ჯერ კიდევ ფეხზე ვიდგე.

- შევთანხმდით.

გამიღიმა და ოთახიდან გავიდა. მარტო დავრჩი, თუ სომხური კონიაკის ბოთლს არ ჩავთვლით, რაც ხანდახან მართლა მინდა ხოლმე, დავიჯერო.

ძალიან კარგი გოგოა. ყველა კარგია, ჩემი საგუშაგოს მეგობრები. ახლა მათი ხმები მესმის „ქვინის“ მუსიკის თანხლებით, და ძალიან მსიამოვნებს. ზოგიერთთან ახლო ურთიერთობა მაქვს, ზოგიერთთან – ნაკლებად. მაგრამ აქ მტრები არ მყავს და არც მეყოლება. ჩვენ ერთად ვიყავით და ვიქნებით კიდეც, და მხოლოდ ერთი მიზეზით შეიძლება დავშორდეთ ერთმანეთს...

მაგრამ რატომ ვარ უკმაყოფილო იმით, რაც ჩემს გარშემო ხდება? მხოლოდ მე – ოლგაც, და ბოკვერიც შეფის ქმედებებს ეთანხმებიან, და სხვებიც, პირდაპირ კითხე, და ისინიც დაგეთანხმებიან.

ნუთუ მართლა დავკარგე ობიექტურად განსჯის უნარი?

ალბათ.

კონიაკი მოვსვი და ბინდში გადავიხედე, და სხვა, არაგონიერი არსებების მქრალი ნაპერწკლები შევნიშნე.

სასტუმრო ოთახში სამი კოღო, ორი ბუზი და ერთი ობობა აღმოჩნდა, რომელიც ჭერზე კუთხეში მიყუჟულიყო.

თითები ავამოძრავე და პაწაწინა, ორი მილიმეტრი დიამეტრის ცეცხლის ბურთულა წარმოვქმენი. ობობას დავუმიზნე – სავარჯიშოდ ჯობია უმოძრაო ობიექტის, და ცეცხლოვანი ბურთი ვესროლე.

ამორალური ჩემს საქციელში არაფერი არის. ბუდისტები არ ვართ, ყოველ შემთხვევაში, სხვანაირების უმრავლესობა რუსეთში. ხორცს ვჭამთ, ბუზებსა და კოღოებს ვხოცავთ ტარაკანებს ვწამლავთ – თუ ყოველ წელს ახალი დასაფრთხობი შელოცვების გამოყენება გვეზარება, მწერები მაგიის მიმართ იმუნიტეტს სწრაფად იმუშავებენ.

არავითარი უზნეობა. ფრთიან გამონათქვამად იქცა „ფაიერბოლებით კოღოების წინააღმდეგ“. ეს ყველა ასაკის ბავშვების საყვარელი გასართობია, რომლებიც საგუშაგოს კურსებს გადიან. ეჭვი მაქვს, რომ ბნელებიც ერთობიან ხოლმე მსგავსი ხერხებით, მაგრამ განსხვავებას ბუზსა და ბეღურას, ან კოღოსა და ძაღლს შორის ვერ ხედავენ.

ობობა მაშინვე მივახრუკე. არც ნახევრად მთვლემარე ბუზებსა და კოღოებს შეუქმნიათ პრობლემა.

თითოეულ წარმატებას თითო ჭიქა კონიაკით აღვნიშნავდი, თანაც თავაზიან ბოთლს წინასწარ ვუჭახუნებდი ჭიქას. შემდეგ ბუზების ხოცვას შევუდექი, ან ალკოჰოლმა მოიმატა სისხლში, ან ბუზები გრძნობდნენ უკეთ ცეცხლოვანი ბურთის მოახლოებას.

პირველი ბუზის გასანადგურებლად ოთხი მუხტი დავხარჯე, აცილებისას ბუზები გაფანტვას ასწრებდნენ. მეორე მეშვიდე ფეიერბოლით ჩამოვაგდე, თან სროლისას ორი პაწაწინა ელვის ბურთულა კედლის მომინულ სტელაჟს მოვახვედრე.

- რა ცუდია... – აღვნიშნე და კონიაკი გამოვცალე. ავდექი – ოთახი შეტორტმანდა. სტელაჟს მივუახლოვდი, სადაც შავ ხავერდზე ხმალი მიემაგრებინათ. ერთი შეხედვით მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნე, გერმანია. სტელაჟის განათება გამორთული იყო და ზუსტად ვერ დავადგინე სიძველე. მინის შიგნით პატარა ქარბორბალები აღმოვაჩინე, მაგრამ თავად ხმლებისთვის არ გამომიდვია.

ერთხანს ვფიქრობდი, როგორ გამომესწორებინა საქციელი, და დამსხვრეული და ოთახში მიმობნეული შუშის თავის ადგილზე დაბრუნების გარდა, ვერაფერი მოვიფიქრე. ამისთვის გაცილებით მეტი ძალა დამეხარჯა, ვიდრე მთლიანი შუშის გამთელებას დასჭირდებოდა.

შემდეგ ბარს მივუბრუნდი. კონიაკი რატომღაც აღარ მინდოდა. სამაგიეროდ მექსიკური ყავის ლიქიორი შესანიშნავ კომპრომისად მომეჩვენა დათრობისა და ამავე დროს გამოფხიზლების სურვილს შორის. ყავა და სპირტი ერთ ფლაკონში...

მოვბრუნდი და ჩენს სავარძელში მოკალათებული სემიონი შევნიშნე.

- ყველანი ტბაზე წავიდნენ, - მომახსენა ჯადოქარმა.

- ახლავე, - სემიონისკენ დავიძარი. – ამ წუთას.

- ბოთლი დადევი, - მირჩია სემიონმა.

- რატომ? – დავინტერესდი. მაგრამ ბოთლი მაინც დავდე.

სემიონი დაჟინებით მიყურებდა თვალებში. ბარიერებმა არ იმოქმედეს, სემიონის ხრიკს კი გვიან მივხვდი. თვალის მორიდება ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა.

- ნაბიჭვარო... – ამოვიგმინე და ოთხად მოვიკაკვე.

- დერეფანს აუყევი და მარცხნივ გაუხვიე! – მომაძახა სემიონმა. მისი მზერა ისევ მიბურღავდა ზურგს და უხილავი ძაფით იკლაკნებოდა კვალდაკვალ.

ტუალეტამდე მივირბინე. ხუთიოდე წუთის შემდეგ თავად ჩემი მტარვალიც გამოჩნდა.

- უკეთესად ხარ?

- კი... ვუპასუხე. მძიმედ ვსუნთქავდი. მუხლებიდან წამოვდექი და ხელსაბანს შევუშვირე თავი. სემიონმა უხმოდ მოატრიალა ონკანი და ზურგზე დამკრა ხელი:

- დამშვიდდი. ხალხური მეთოდებით დავიწყეთ, მაგრამ...

ტანში ცხელმა ჟრუანტელმა დამიარა. ამოვიკვნესე, მაგრამ აღარ აღვშფოთებულვარ. პირველადმა გამოშტერებამ უკვე გამიარა, ახლა სიმთვრალის უკანასკნელი ნიშნებიც მტოვებდა.

- რას აკეთებ? – ვკითხე.

- შენს ღვიძლს ვეხმარები. წყალი მოსვი, გიშველის.

მართლა მიშველა.

ტუალეტიდან რამდენიმე წუთში გამოვედი, ფეხზე ვიდექი, სველი, აჭარხლებული სახით, მაგრამ აბსოლუტურად ფხიზელი.

- რატომ ჩაერიე? დათრობა მინდოდა, და დავთვერი კიდეც...

- ოჰ, ეს ახალგაზრდობა... – სემიონმა საყვედურით ნიშნად თავი გააქნია. – დათრობა მოუნდა! ვინ თვრება კონიაკით? თანაც ღვინის შემდეგ, და თან ასეთი სისწრაფით, ნახევარი ლიტრ ნახევარი საათის განმავლობაში. ერთხელ მე და საშკა კუპრინმა მოვინდომეთ დათრობა...

- რომელმა საშკამ?

- ნუ, საშკა, მწერალი რომ იყო. მაგრამ მაშინ ჯერ არ წერდა. ჰოდა, დავთვერით ადამიანებს როგორც შეეფერებათ, კულტურულად, გემრიელად გავიტრიტეთ, მაგიდაზეც ვიცეკვეთ, ჭერსაც ვესროდით და არც აღვირახსნილობა მოგვიკლია.

- საშკა რა, სხვანაირი იყო?

- საშკა? არა, მაგრამ კარგი ადამიანი იყო. მეოთხედი დავლიეთ, გიმნაზიელ გოგოები კი შამპანური დავალევინეთ...

მძიმედ ჩავესვენე სავარძელში. ნერწყვი გადავყლაპე და ცარიელ ბოთლს შევხედე – გულის რევის შეგრძნებამ ისევ შემომიტია.

- და მეოთხედით ასე დათვერით?

- მეოთხედი ვედროთი, როგორ ვერ დათვრები? – გაუკვირდა სემიონს. – დათრობა შეიძლება, ანტონ. თუ ძალიან საჭიროა. მაგრამ თუ დათრობაა, არყით უნდა დათვრე. კონიაკი, ღვინო – გულისთვისაა.

- არაყი რიღასთვისაა?

- სულისთვის. თუ ძალიან შემოგიტია ტკივილმა.

სემიონი მსუბუქი საყვედურით მიყურებდა, სასაცილო პატარა მაგი ცბიერი სახით, თავისი სასაცილო მოგონებებით დიდებულ ხალხზე და დიდებულ ბრძოლებზე.

- მართალი ხარ, - ვაღიარე. – გმადლობ დახმარებისთვის.

- არაფრის, მეგობარო. ერთხელ შენი მოსახელე ერთი საღამოს განმავლობაში სამჯერ გამოვაფხიზლე... ნუ, იქ ლუდი უნდა დაგველია და არ დავმთვრალიყავით, საქმე მოითხოვდა...

- მოსახელე? ჩეხოვი? – გავოცდი.

- არა, რას ამბობ. ეს სხვა ანტონი იყო, ჩვენიანი. დაიღუპა, შორეულ აღმოსავლეთში, როცა სამურაები... – სემიონმა ხელი ჩაიქნია და გაჩუმდა. შემდეგ თითქმის ალერსიანად განაგრძო:

- ნუ იჩქარებ. საღამოს ყველაფერს კულტურულად მოვაწყობთ. ახლა კი ხალხს დავეწიოთ. წავედით, ანტონ.

სემიონს მორჩილად გავყევი გარეთ. და სვეტა შევნიშნე. შეზლონგზე იწვა, უკვე გამოეცვალა, საცურაო კოსტუმი და ჭრელი ბოლო კაბა ჩაეცვა – ან რაღაც მოსახვევი შემოეხვია თეძოებზე.

- როგორ ხარ? – ოდნავ გაოცებულმა მკითხა სვეტამ.

- კარგად. მე მგონი მწვადმა მაწყინა...

სვეტლანა დაჟინებით მაკვირდებოდა. მაგრამ, ფერმკრთალი სახისა და სველი თმის გარდა მოულოდნელ სიმთვრალეზე არაფერი მიანიშნებდა.

- კუჭზე უნდა გაესინჯო...

- ყველაფერი რიგზეა, - სწრაფად თქვა სემიონმა. – დამიჯერე, მკურნალობა შემიძლია. ცხელა, მჟავე ღვინო, ცხიმიანი მწვადი... ესაა მიზეზები. ახლა იბანავებს, საღამოს ჩავუსხდებით, ერთო ბოთლს გადავაყუდებთ და მეტი მკურნალობა არცაა საჭირო.

სვეტა ადგა, მომიახლოვდა და თანაგრძნობით შემომხედა თვალებში.

- აქ ხომ არ დავრჩეთ? მაგარ ჩაის გაგიკეთებ...

ჰო, ალბათ... კარგი იქნებოდა. უბრალოდ დავმსხდარიყავით. ორნი. ჩაი დაგველია. გველაპარაკა ან ჩუმად ვყოფილიყავით. ამას ყველაფერს ხომ არ აქვს მნიშვნელობა. ხანდახან მისთვის შემეხედა, ან არც შემეხედა, მისი სუნთქვისთვის მომესმინა, ან ყურები დამეცო. მაგრამ მცოდნოდა, რომ ახლოსაა. ჩვენ ორნი, და არა ღამის საგუშაგოს უსარგებლო კოლექტივი. ერთად იმიტომ, რომ ასე გვინდა, და არა იმიტომ, რომ ეს ჰესერის პროგრამითაა გათვლილი.

ნუთუ მართლა გადავეჩვიე ღიმილს?

თავი გავაქნიე. და მხდალი, ჯიუტი ღიმილი მოვიმარჯვე:

- წავედით. მე ჯერ არ ვარ მაგიური ომების დამსახურებული ვეტერანი. წავედით, სვეტა.

...სემიონი უკვე წინ მიდიოდა, მაგრამ რატომღაც მივხვდი, რომ თვალი ჩამიკრა, მოწონების ნიშნად.

ღამეს სიგრილე არ მოუტანია, სამაგიეროდ ხვითქისგან გაგვათავისუფლა. ექვსი-შვიდი საათიდან ხალხი პატარა ჯგუფებად დაიშალა. ტბასთან დაუცხრომელი იგნატი დარჩა ლენასთან, და რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ოლგასთან ერთად. ბოკვერი და იულია ტყეში სასეირნოდ წავიდნენ. დანარჩენები სახლსა და მიმდებარე ტერიტორიაზე განაწილდნენ.

მე და სემიონმა დიდი ლოჯია დავიკავეთ მეორე სართულზე. ამ მყუდრო ადგილას სიო ქროდა, და მოწნული ავეჯი იდგა, რაც სიცხეში შეუდარებელია.

- ნომერი ერთი, - თქვა სემიონმა, და იოგურტი „დედონ კიდსის“ სარეკლამო პოლიეთილენის პაკეტიდან არაყი „სმირნოვკის“ ბოთლი ამოიღო.

- შენ მართლა მირჩევს ამას? – ეჭვი შემეპარა. არყის სმაში თავს სპეციალისტად არ ვთვლიდი.

- მეორასე წელია, ვსვამ. ახლა კიდე რა უჭირს, გამოასწორეს, შენ ადრე უნდა გენახა.

ბოთლის შემდეგ ორი თლილი ჭიქა, ორლიტრიანი ქილა, რომლის მოხუფული რკინის სახურავის ქვეშ პატარა კიტრები იმალებოდა, და მჟავე კომბოსტოს დიდი პაკეტი ამოიღო.

- ამას უნდა მივაყოლოთ?

- არაყს არაფერს აყოლებენ, ბიჭო, - თავი გააქნია სემიონმა. – სუროგატს აყოლებენ.

- სწავლა სიკვდილამდეო.

- ჰო, აბა, ისწავლე, სანამ ცოცხალი ვარ. და არაყზე ეჭვი არ შეგეპაროს, ჩერნოგოლოვკის დასახლება – ამ ტერიტორიას მე თვითონ ვაკონტროლებ. იქ, ქარხანაში ერთი ჯადოსანი მუშაობს, წვრილმანი, მაინცდამაინც საშიში არ არის. ჰოდა, ის მაწვდის სანდო პროდუქციას.

- წვრილმანებზე იხარჯები, - გავრისკე და აღვნიშნე.

- არ ვიხარჯები. ფულს ვუხდი. სუფთად ვთანამშრომლობთ, ეს ჩვენი პირადი ურთიერთობაა, და საგუშაგოს საქმიანობას არ ეხება.

სემიონმა ხელის მარჯვე მოძრაობით ბოთლს თავსახური მოაძრო და ნახევარი ჭიქა ჩამოასხა. ჩანთა მთელი დღე ვერანდაზე იდო, მაგრამ არაყი მაინც არ გამთბარა.

- რას გაუმარჯოს, ჯანმრთელობას? – ვივარაუდე.

- ადრეა ჯერ. ჩვენ გაგვიმარჯოს.

მართლა კარგად გამომაფხიზლა, ალბათ, არა მარტო ალკოჰოლი გამოდევნა, არამედ მეტაბოლიზმის ყველა პროდუქტიც. ნახევარი ჭიქა ერთი მოსმით გამოვცალე, და გაოცებულმა აღმოვაჩინე, რომ არაყი არა მარტო ზამთრის ყინვაშია სასიამოვნო, არამედ ზაფხულის სიცხის შემდეგაც.

- ჰოდა... – სემიონმა კმაყოფილმა წამოიძახა და მოხერხებულად ჩაესვენა სავარძელში. – ბოკვერს უნდა გადავუკრა, სარწეველა სავარძელი დადგას...

ამოიღო თავისი საზიზღარი „იავა“ და მოუკიდა. ჩემი უკმაყოფილო მზერა რომ დაიჭირა, მომახსენა:

- მაინც ამას მოვწევ. პატრიოტი ვარ.

- მეც პატრიოტი ვარ, ოღონდ საკუთარი ჯანმრთელობის, - ჩავიბურტყუნე.

სემიონმა ჩაიცინა.

- ერთხელ ჩემმა ნაცნობმა უცხოელმა დამპატიჟა სტუმრად... – დაიწყო.

- როდის მოხდა ეგ ამბავი? – ძალაუნებურად მის სტილში ჩავჯექი და ვკითხე.

- დიდი ხნის წინ არა, შარშან. იმიტომ დამიძახა, რომ რუსული დალევის სწავლა უნდოდა. „პენტში“ ცხოვრობდა. თან შემთხვევითი ნაცნობი გოგო და მისი ძმა წავაყოლე – ძმა ზონიდან ახალი დაბრუნებული იყო, წასასვლელი არ ქონდა, ჰოდა, წავედით...

წარმოვიდგინე, რა ხალხი შეიკრიბებოდა და თავი გავაქნიე:

- და შეგიშვეს?

- კი.

- მაგია გამოიყენე?

- არა, ჩემმა უცხოელმა მეგობარმა ფული გამოიყენა. არაყი და მისაყოლებელი კარგად მოემარაგებინა, ოცდაათ აპრილს დავიწყეთ სმა და ორ მაისს დავასრულეთ. არც დამლაგებლებს ვუშვებდით, არც ტელევიზორს ვრთავდით.

სამამულო წარმოების დაჭმუჭნულ კუბოკრულ პერანგში, გახეხილ თურქულ ჯინსსა და მოცვეთილ ჩეხურ სანდლებში გამოწყობილი სემიონის წარმოდგენა, როგორ ასხამს ლუდს სამლიტრიანი ქილიდან, ადვილი საქმეა, მაგრამ „პენტთან“ მისი ასოცირება ცოტა არ იყოს გამიჭირდა.

- ნაყარი, - ეშხიანად წარმოვთქვი.

- არა, რატომ? ჩემს მეგობარს ძალიანაც მოეწონა. თქვა, რომ გაიგო, როგორც იქნა, რაში მდგომარეობდა ჭეშმარიტი რუსული ლოთობა.

- და რაში მდგომარეობს?

- რაში და როცა დილით იღვიძებ და ყველაფერი ირგვლივ ნაცრისფრად გეჩვენება, ცა ნაცრისფერია, მზე ნაცრისფერია, ქალაქი ნაცრისფერია, ხალხს ნაცრისფერს ხედავ და ფიქრებიც ნაცრისფერი მოგდის. და ერთადერთი გამოსავალი გრჩება, ისევ დალიო. მაშინ ცოტა მოგეშვება და ყველაფერი უწინდელ ფერს დაიბრუნებს.

- საინტერესო უცხოელი შეგხვედრია.

- არ თქვა...

სემიონმა ისევ შეავსო ჭიქები, ამჯერად ცოტა ნაკლებად. დაფიქრდა, და პირამდე გაავსო.

- მოდი, დავლიოთ, მეგობარო. იცი, რას გაუმაჯოს? ლაჟვარდოვან ცას, ყვითლად მოკაშკაშე მზეს, ნაირფერ ქალაქს, რომ ამის დასანახად დალევა არ გვიწევდეს. მოდი, ამას გაუმარჯოს. მე და შენ ბინდში გადავდივართ, და ვხედავთ, რომ შიგნიდან სამყარო ისეთი არ არის, როგორიც სხვებს ეჩვენება. მაგრამ, ალბათ, ამ შეტრიალებული სამყაროს გარდა, კიდევ არსებობს რაღაც. ნათელ ფერებს გაუმარჯოს!

სრულიად გაშტერებულმა ნახევარი ჭიქა გამოვცალე.

- ნუ იპარავ, ძმაო, - ძველებური ტონით მომმართა სემიონმა.

ბოლომდე დავლიე და ცოტა მომჟავო-მოტკბო კომბოსტო დავაყოლე. ვკითხე:

- სემიონ, ასე რატომ იქცევი? რაში გჭირდება ეს ეპატაჟი, ეგ იმიჯი?

- რაღაც მეტისმეტად ღრმა სიტყვები იყო, აზრს ვერ ჩავწვდი...

- და მაინც?

- ასე მიადვილდება, ანტოშკა. ყველა ისე იცავს თავს, როგორც შეუძლია. მე – ასე.

- მე რაღა ვქნა, სემიონ? – ვკითხე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

- რაც გევალება.

- თუ არ მინდა იმის კეთება, რაც მევალება? თუ ჩვენი თეთრზე უთეთრესი სიმართლე, ჩვენი პატიოსანი გუშაგის სიტყვა და ჩვენი შესანიშნავი კეთილი განზრახვები ყელში მაქვს ამოსული?

- ერთი რამ გაიგე, ანტონ, - ჯადოქარმა კიტრი აახრამუნა. – დიდი ხნის წინ უნდა გაგეგო, რომ უზიხარ იმ რკინა-კავეულობას... ჩვენი სიმართლე, რაც არ უნდა ნათელი და დიდებული იყოს, უამრავი პატარ-პატარა სიმართლისგან შედგება. ჰესერს შეიძლება უზომო ჭკუა ჰქონდეს, და გამოცდილება კიდევ ისეთი, რომ არც დაგესიზმრება, მაგრამ სამაგიეროდ მაგიური ძალებით მორჩენილი ბუასილი, ოიდიპოსის კომპლექსი აწუხებს და ძველი წარმატებული სქემების ახალ ყაიდაზე გადაწყობა სჩვევია... ეს მაგალითებია, რა თქმა უნდა, მე მის საქმეებში არ მიქექია, ხელმძღვანელობაა მაინც.

ახალი სიგარეტი ამოიღო, და ამჯერად შეწინააღმდეგება არც მიცდია.

- ანტონ, საქმე იცი, რაშია... შენ კარგი ბიჭი ხარ, მოხვედი საგუშაგოში და გაიხარე. როგორც იქნა, სამყარო თეთრად და შავად დაიყო! ასრულდა კაცობრიობის ნატვრა, და ცხადი გახდა, ვინ არის კარგი და ვინ – ცუდი. მაშ, გაიგე, რომ ასე არ არის. არ არის ასე. ერთ დროს ჩვენ ყველანი ერთად ვიყავით. თეთრებიც და შავებიც. გამოქვაბულებში ვისხედით კოცონთან, ბინდში ვიხედებოდით, რომ გვენახა, რომელ მახლობელ საძოვარზე იმყოფებოდა მამონტი, ცეკვითა და სიმღერით ვუშენდით თითებიდან ნაპერწკლებს, ხოლო ფაიერბოლებით მეზობელ ტომებს ვხრუკავდით. და იყო, თვალსაჩინო მაგალითისთვის, ორი ძმა-სხვანაირი. ის, ვინც პირველი გადავიდა ბინდში... ალბათ მაშინ მაძღარი იყო, ან შეიძლება პირველად შეიყვარა. მეორე კი – პირიქით. მწვანე ბამბუკმა მუცელი აატკივა, ქალმა უარი უთხრა, თავის ტკივილი და დაღლილობა მოიმიზეზა. ჰოდა, წავიდა ამის მერე. ერთი მამონტს მოინადირებს, და კმაყოფილია. მეორე ხორთუმის ნაწილს ითხოვს, თან ბელადის გოგოს დამატებით. ასე დავიყავით, თეთრებად და ბნელებად, კეთილებად და ბოროტებად... ანა-ბანაა, არა? ჩვენ ასე ვასწავლით ხოლმე პატარა სხვანაირებს... მაგრამ ვინ გითხრა... ვინ გითხრა, მეგობარო, რომ ეს ყველაფერი დასრულდა?

სემიონი მკვეთრად გადმოიხარა ჩემსკენ, ისე რომ სავარძელმა დაიჭრიჭინა:

- ასე იყო, არის და იქნება. ყოველთვის, ანტოშკა. დასასრული არ არსებობს. დღესდღეობით მათ, ვინც ვერ მოითმენს, ხალხში გაიჭრება და ნებართვის გარეშე კეთილი საქმის კეთებას დაიწყებს, ვანადგურებთ, სამუდამოდ ვაგზავნით ბინდში ასეთ ფსიოქოფატებს და ისტერიკებს... ბინდში. ხვალ რაღა იქნება? ასი, ათასი წლის შემდეგ? ვინ დაინახავს ამას? შენ, მე, ჰესერი?

- მაშინ რაღა...

- შენი სიმართლე გაქვს, ანტონ? მითხარი, გაქვს? დარწმუნებული ხარ? მაშინ გჯეროდეს მისი, და ჩემი ან ჰესერის სიმართლეს ნუ დაუჯერებ. გჯეროდეს და იბრძოლე მის დასაცავად. თუ გამბედაობა გეყოფა, თუ გული არ შედრკება. ბნელების თავისუფლება მარტო იმიტომ ხომ არ არის ცუდი, რომ სხვის თავისუფლებას ემყარება. ეს განმარტებაც ბავშვებისთვის თუ გამოდგება. ბნელების თავისუფლება,

პირველ რიგში, საკუთარი თავისგან, საკუთარი ნამუსისა და სულისგან გათავისუფლებაა. როცა იგრძნობ, რომ გულს აღარაფერი გიღრღნის, მაშინ იყვირე - მიშველეთო, მაგრამ უკვე გვიანი იქნება...

გაჩუმდა, პაკეტში ჩაძვრა და კიდევ ერთი არყის ბოთლი ამოაძვრინა. ამოიოხრა:

- მეორეა. ვერ გავილეშებით, როგორც ვატყობ. არ გამოვა... ოლგას და მის სიტყვებს რაც შეეხება...

როგორ ახერხებს, ყველას ლაპარაკი გაიგოს?

- ოლგას იმის კი არ შურს, რომ ის, რაც მან ვერ გააკეთა, სვეტლანას შეუძლია, გააკეთოს, ის, რომ სვეტას ყველაფერი წინ აქვს, ოლგამ კი, სიმართლე რომ ვთქვათ, უკან ჩამოიტოვა, არამედ ის, რომ შენ ხარ ახლომახლო... და გინდა, საყვარელი ადამიანი შეაჩერო. თუნდაც არ შეგეძლოს არაფრის გაკეთება. ჰესერს შეეძლო, მაგრამ არ გააკეთა. შენ არ შეგიძლია, მაგრამ გინდა. საბოლოო ჯამში, შეიძლება არანაირი განსხვავება არ იყოს. მაგრამ რაღაცა მაინც გიღრღნის გულს, არ გასვენებს, სულს გიფორიაქებს.

- იცი, რისთვისაც ამზადებენ სვეტლანას?

- კი, - სემიონმა ჭიქებში არაყი ჩამოასხა.

- რისთვის?

- ვერ გეტყვი. პირობა მაქვს დადებული.

- სემიონ...

- ხომ გეუბნები – შეთანხმებას მოვაწერე მეთქი ხელი. პერანგი გავიხადო და გაჩვენო ზურგზე დამდაგველი ცეცხლის ნიშანი? წამოვაყრანტალებ რაღაცას და ამ სავარძელშივე ჩავიხრუკები და ფერფლი სიგარეტის კოლოფში მოთავსდება. ასე რომ, მაპატიე, ანტონ. ნუ მტანჯავ. რაც შემეძლო, უკვე გითხარი.

- გმადლობ, - ვუთხარი. – მოდი... მოდი, დავლიოთ რა. იქნებ გამოგვივიდეს და მართლა დავთვრეთ. მჭირდება დათრობა.

- ვხედავ, - დამეთანხმა სემიონი. – შევუდექით.

თავი 3

დილით უთენია გამეღვიძა. სიჩუმე იდგა, ისეთი, აგარაკებს რომ ახასიათებს, ნიავი შრიალებდა, როგორც იქნა, აგრილდა. მაგრამ სიგრილე არ მახარებდა. საწოლი

ოფლისგან გალუმპულიყო, თავი ტკივილისგან მისკდებოდა. მეზობელ საწოლში სემიონი ხვრინავდა მონოტონურად – ოთახში სამნი მოგვათავსეს. პირდაპირ იატაკზე საბანში ტოლიკა გახვეულიყო და ეძინა – ჰამაკზე უარი თქვა, სამოცდაექვს წელს რომელიღაცა აყალმაყალში ტრამვირებული ზურგის ტკივილი მოიმიზეზა და მაგარ იატაკზე წოლა არჩია.

კეფაზე ხელები წავივლე, შემეშინდა, მკვეთრ მოძრაობაზე არ ჩამოშლილიყო, და საწოლზე წამოვჯექი. ტუმბოს გავხედე და გაოცებულმა შევნიშნე ორი ტაბლეტი ასპირინი და „ბორჯომის“ ბოთლი. რომელმა კეთილმა არსებამ იზრუნა...

გუშინ ორმა სამი ბოთლი დავლიეთ... ჰო... შემდეგ ტოლიკა შემოგვიერთდა. მერე კიდევ ვიღაცა, და ღვინო მოიტანეს, მაგრამ აღარ დამილევია. სამაგისო ჭკუა კი მეყო.

ასპირინი დავლიე და ნახევარი ბოთლი მინერალური წყალი დავაყოლე, რამდენიმე წუთი გაშტერებული ვიჯექი და ველოდი, წამალი როდის იმოქმედებდა. ტკივილი არ ცხრებოდა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო.

- სემიონ... – ხრინწიანი ხმით დავუძახე. – სემიონ...

ჯადოქარმა თვალები გაახილა. მშვენივრად გამოიყურებოდა. თითქოს ჩემზე გაცილებით მეტი არ დაელიოს. აი, რას ნიშნავს ასი წლით მეტი გამოცდილება.

- თავი... მომაშორე...

- ნაჯახი რომ არა მაქვს, - ჩაიბურტყუნა.

- წადი შენი... – დავიკვნესე. – ტკივილი მომაშორე!

- ანტონ, ჩვენ ხომ ნებაყოფლობით ვსვამდით? არავინ არ გვაძალებდა? სიამოვნება მივიღეთ?

მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

მივხვდი, სემიონისგან დახმარებას ვერ ვეღირსებოდი. პრინციპში, მართალიც იყო... მაგრამ მეტის მოთმენა მართლა აღარ შემეძლო. ფეხით კედები მოვძებნე, მძინარე ტოლიკას გადავაბიჯე და ოთახიდან გავედი.

სტუმრებისთვის სულ ორი ოთახი იყო, მაგრამ მეორეში კარი დაკეტილი დამხვდა. სამაგიეროდ დერეფნის ბოლოს, მასპინძლის ოთახში შემავალი კარი იყო ღია. ბოკვერის სიტყვები გამახსენდა მკურნალობის უნარის შესახებ და დაუყოვნებლად გავიჭერი მისი ოთახისკენ.

არა, დღეს, როგორც ჩანს, არ მიმართლებს... იქ არ დამხვდა. არც იგნატი და ლენა აღმოჩნდნენ ადგილზე, ჩემი ეჭვების მიუხედავად. ვეფხვს იულიასთან ერთად ეძინა. გოგოს ბავშვივით გადმოეკიდა საწოლიდან ხელი და ფეხი.

ახლა სულ ერთი იყო, ვის მივმართავდი დახმარებისთვის. ფრთხილად მივუახლოვდი, განიერ საწოლთან ჩამოვჯექი და ჩავჩურჩულე:

- იულია... იულენკა...

გოგომ თვალები გაახილა და დააფახულა. შემდეგ თანაგრძნობით მკითხა:

- თავი გტკივა?

- ჰო, - თავის დაქნევა ვერ გავბედე, იმ წუთას თითქოს თავში პატარა ყუმბარა ამიფეთქესო.

- აჰა...

თვალები დახუჭა, და, მე მგონი, ჩათვლიმა კიდევაც, თან კისერზე მომხვია ხელები. რამდენიმე წუთი არაფერი შეცვლილა, შემდეგ კი ტკივილმა სწრაფად იწყო კლება. თითქოს კეფაზე რაღაც საიდუმლო ხვრელი მიპოვნეს, საიდანაც თავში დაგროვილი და მოთუხთუხე საწამლავი გადაიღვარა.

- გმადლობ... – ჩავჩურჩულე, - იულენკა, გმადლობ.

- აღარ დალიო მაგდენი, შენ ხომ სმა არ იცი, - ჩაიბურტყუნა გოგომ და სტვენა ამოუშვა, თითქოს სამუშაოდან მომენტალურად გადაერთო ძილზე. ასე მარტო ბავშვებს და კომპიუტერებს შეუძლიათ.

ავდექი და აღფრთოვანებულმა აღმოვაჩინე სამყაროს ფერები. სემიონი მართალია, ყველამ თავის საქციელზე უნდა აგოს პასუხი, მაგრამ ხანდახან საამისოდ უბრალოდ ძალა არ გყოფნის, საერთოდ არ გყოფნის... ოთახს მოვავლე მზერა. საძინებელი ბეჟ ფერებში გაეწყოთ, დახრილი ფანჯარაც კი ფერებში ჯდებოდა, მუსიკალური ცენტრი – ვერცხლისფერი, ხალიჩა – ფუმფულა, ღია ყავისფერი.

საერთოდ, ცუდად ვიქცევი. აქ არავის დავუპატიჟივარ.

ჩუმად გავიპარე კარისკენ, და როცა გასვლა დავაპირე, იულიას ხმა შემომესმა:

- „სნიკერსი“ მიყიდე, კარგი?

- ორს გიყიდი, - შევპირდი.

შემეძლო, მივბრუნებულიყავი და გამომეძინა, მაგრამ ლოგინთან მეტად ცუდი მოგონებები მაკავშირებდა. მეგონა, რომ დავწოლილიყავი, ბალიშში ჩაბუდებული ტკივილი ისევ შემომიტევდა. ოთახში შევიხედე, ჯინსსა და პერანგს დავტაცე ხელი და კართან მდგარი ჩაცმას შევუდექი.

ნუთუ ყველას სძინავს? ვეფხვი სადღაც დაბორიალობს... ვიღაცას უთუოდ სმასა და ლაპარაკში შემოათენდა.

მეორე სართულზე პატარა ჰოლი ყოფილა – აქ დანილა და ნასტია აღმოვაჩინე სამეცნიერო განყოფილებიდან, რომლებსაც მშვიდად ეძინათ დივანზე, და სწრაფად დავიხიე უკან. თავი გავაქნიე... დანილას მშვენიერი ცოლი ჰყავს, ნასტიას კი – ხანშიშესული, მასზე უზომოდ შეყვარებული ქმარი.

მართალია, უბრალო ადამიანები არიან.

ჩვენ კი სხვანაირები ვართ, სინათლის მოხალისეები. რას იზამ, განსხვავებული მორალი გვაქვს. როგორც ფრონტზე, თავისი საველე-საომარი რომანებითა და მედდებით, რომლებიც ოფიცრებსა და რიგით ჯარისკაცებს არა მარტო საავადმყოფოს საწოლში ანუგეშებენ ხოლმე. ომში განსაკუთრებულად მძაფრად გრძნობ ხოლმე სიცოცხლის გემოს...

აქ ბიბლიოთეკაც იყო, სადაც გარიკა და ფარიდი მოკალათებულიყვნენ. აი, ამათ კი ნამდვილად შემოათენდათ ლაპარაკში, და სმაში, თანაც რამდენიმე ბოთლი გამოუცლიათ, და იქვე სავარძლებში ჩასძინებოდათ, სულ ახლახანს – ფარიდის წინ მაგიდაზე ჯერ კიდევ ხრჩოლვდა ჩაუმქრალი ჩიბუხი. იატაკზე წიგნები ეყარა, რომლებიც სტელაჟებიდან გამოეღოთ, ეტყობა, რაღაცაზე დიდხანს კამათობდნენ, თან, ალბათ, პოეტებს, ფილოსოფოსებსა და ისტორიკოსებს მოიშველიებდნენ...

ხის ხვეული კიბით ქვემოთ ჩავედი. სამზარეულოში შევიხედე, მაგრამ იქ არავინ დამხვდა, კუთხეში მიყუჟული ძაღლის გარდა.

- გაცოცხლდი? – ვკითხე.

ტერიერმა კბილები დაკრიჭა და საცოდავად დაიწკმუტუნა.

- და ვინ გეხვეწებოდა, გუშინ რომ გამოენთე დიდი ამბით? – ძაღლის გვერდით ჩავიცუცქე, მაგიდიდან ძეხვის ნაჭერი გადმოვიღე... გაწვრთნილი ძაღლი, თვითონ ვერ გაერისკა... – გამომართვი.

ძაღლის ხახამ ხელის გულზე დაიწკლაპუნა, და ძეხვის ნაჭერი შესანსლა.

- როგორც სხვას მოექცევი, შენც ისევე მოგექცევიან! – განვუმარტე. – და კუთხეში ნუ იკუნტები.

ვინმე ფხიზელი თუ მოიძებნება ამ სახლში ნეტა?

ერთი ნაჭერი ჩემთვისაც ავიღე, ღეჭვით გავედი სასტუმრო ოთახში და კაბინეტში შევიხედე.

აქაც ეძინათ.

კუთხის დივანი გაშლილ მდგომარეობაშიც კი ვიწრო იყო. ამიტომაც მჭიდროდ ეძინათ. იგნატი შუაში იწვა, დაკუნთული ხელები გაეშალა და ტკბილად იღიმებოდა. ლენა მარცხენა მხრიდან ეკვროდა, ცალი ხელით მაგრად ჩასჭიდებოდა მის სქელ ქერა

თმას, მეორე კი მის მკერდზე გადაედო და ჩვენი დონჟუანის მეორე პარტნიორს მისწვდენოდა. სვეტლანას იგნატის მკლავის ქვეშ შეერგო თავი, ხელები ნახევრად ჩამოვარდნილი საბნისკენ გაეწვდინა. ლენას ხელი მის მკერდზე დაესვენებინა.

ძალიან ფრთხილად და ჩუმად დავხურე კარი.

რესტორანი საკმაოდ მყუდრო გამოდგა. „ზღვის მგელი“, როგორც სახელწოდება მიანიშნებდა, ზღვის კერძებითა და ლამაზი „ხომალდისებური“ ინტერიერით გამოირჩეოდა. თანაც ახლომახლო მეტრო იყო, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ჯიბეცარიელი საშუალო კლასისთვის, რომელიც ხანდახან რესტორანში განავარდებას ბედავს, მაგრამ ტაქსის ფუფუნების საშუალებას ვეღარ აძლევს საკუთარ თავს.

სტუმარი მანქანით მოვიდა, ძველი, მაგრამ კარგად შენახული „ნოლ ექვსით“. ოფიციანტის გამოცდილმა თვალმა მაშინვე დაადგინა, რომ სტუმარი გაცილებით უფრო გადახდისუნარიანი იქნებოდა, ვიდრე მისი მანქანა იძლეოდა ამის იმედს. რა სიმშვიდითაც ეს კაცი ძვირადღირებული დანიურ არაყს შთანთქვდა, თან არც ფასით დაინტერესებულა, და არც საგზაო ინსპექციასთან სავარაუდო პრობლემებით, ამ აზრს უფრო ამტკიცებდა.

როცა ოფიციანტმა შეკვეთილი თართი მოუტანა, კაცმა წამით შეხედა. მთელი ამ ხნის განმავლობაში იჯდა, კბილის საჩიჩქნით სუფრას ეთამაშებოდა, დროდადრო გაირინდებოდა ხოლმე, და შუშის ლამფის ალს მიაჩერდებოდა, და ახლა, მოულოდნელად, შეხედა.

ოფიციანტს არავისთვის გაუმხელია, რაც მოეჩვენა იმ წამს. მოელანდა, თითქოს ორ მოელვარე ჭაში ჩაიხედა და ისეთი ელვარება შენიშნა, რომელიც თვალს გჭრის და წყვდიადისგან მისი გარჩევა შეუძლებელია.

- გმადლობ, - მიმართა კლიენტმა.

ოფიციანტი გაეცალა, თან ნაბიჯის აჩქარების სურვილს ებრძოდა, და თავისთვის იმეორებდა, რომ ეს მხოლოდ ლამფის ათინათი მოეჩვენა, რომელსაც ნახევრად ჩაბნელებული რესტორანი ირეკლავდა. და სინათლის ეს ათინათი უბრალოდ შეცდომით აირეკლა სტუმრის თვალებმა...

ბატონი ბორისი იჯდა და კბილის საჩიჩქნებს ამტვრევდა. თართი შეგრილდა, არაყი ბროლის გრაფინში შეთბა. სქელი ბაგირების, ხელოვნური საწევარისა და ყალბი იალქნების მიღმა, ხალხის დიდი ჯგუფი ვიღაცის დაბადების დღეს აღნიშნავდა, მილოცვებით ავსებდა იქაურობას, პაპანაქებას თათხავდა, გადასახადებს და კიდევ რომელიღაცა „უხეირო“ ბანდიტებს.

ჰესერი კი, ღამის საგუშაგოს მოსკოვის განყოფილების ხელმძღვანელი, იჯდა და ელოდა.

ძაღლები, ეზოში რომ დარჩნენ, შეფრთხნენ ჩემს გამოჩენაზე. ფრიზმა ძალიან ცუდად იმოქმება. სხეული არ ემორჩილებოდათ, ვერც სუნთქავდნენ ნორმალურად და ვერც ყეფდნენ, პირში დორბლი შეაშრათ, ცხელი ჰაერი გავარვარებული, ციებიანი ხელით აწვებოდა ფილტვებს...

სული კი ცოცხლობს.

ძალიან გაუჭირდათ ცუგრიებს.

ჭიშკარი ნახევრად ღია იყო, გავედი, და დავდექი, არ ვიცოდი, საით მივდიოდი, ან რა უნდა გამეკეთებინა.

სულ ერთი არ იყო?

არ მწყენია. არც მტკენია. ჩვენ ახლოს არც ვყოფილვართ. უფრო მეტიც, თავად არ ვაწყობდი ზედმიწევნით ბარიერებს? მე ხომ წამის დაჭერა არ მიყვარს, მე ყველაფერი მჭირდება, ერთბაშად და სამუდამოდ...

საქამრეზე დისკმენი მოვძებნე და ჩავრთე. შემთხვევითი არჩევანი, როგორც ყოველთვის, წარმატებული გამოდგა. შეიძლება, ბოკვერის მსგავსად, მეც დიდი ხნის წინ ვისწავლე რთული ელექტრონული სქემების მართვა... ჩემდაუნებურად?

Кто виноват, что ты устал?

Что не нашел, чего так ждал?

Все потерял, что так искал,

Поднялся в небо — и упал…

И чья вина, что день за днем

Уходит жизнь чужим путем,

И одиноким стал твой дом,

И пусто за твоим окном…

И меркнет свет, и молкнут звуки,

И новой муки ищут руки,

И если боль твоя стихает -

Значит, будет новая беда…

თავად არ მინდოდა ასე რომ მომხდარიყო? მე თვითონ არ ვიღწვოდი ამისთვის? და ახლა გვიანია ვიღაცის გამტყუნება. ჯობდა, სვეტასთან დავრჩენილიყავი, ვიდრე მთელი საღამო სემიონთან გამეტარებინა კეთილისა და ბოროტის მარადიული

დაპირისპირების სირთულეებზე მსჯელობაში. ჯობდა, საკუთარი სიმართლე დამეცვა, ვიდრე ჰესერსა და ოლგას გადავკიდებოდი მტრად მათი ცბიერი სიმართლის გამო. და არ მეფიქრა გარდაუვალ წარუმატებლობაზე.

საკმარისია, გაიფიქრო ასეთი რამ, რომ უკვე წაგებული გვაქვს ბრძოლა.

Кто виноват, скажи-ка, брат,

Один женат, другой богат,

Один смешон, другой влюблен,

Один дурак, другой твой враг.

Ramis guSagiИ чья вина, что там и тут

Друг друга ждут, и тем живут,

Но скучен день, и ночь пуста

Забиты теплые места…

И меркнет свет, и молкнут звуки,

И новой муки ищут руки,

И если боль твоя стихает —

Значит, будет новая беда…

Кто виноват, и в чем секрет,

Что горя нет и счастья нет,

Без поражений нет побед

И равен счет удач и бед.

И чья вина, что ты один,

И жизнь одна, и так длинна,

И так скучна, а ты все ждешь

Что ты когда-нибудь умрешь…

- ვერავითარ შემთხვევაში, - ჩუმად წარმოვთქვი და ყურსასმენები მოვიძრე. – ვერ მოესწრებით.

იმდენი ხანი გვასწავლიდნენ, უნდა გასცე, სამაგიეროდ კი არაფერს ითხოვდე, საკუთარი თავი სხვებს უნდა შესწირო მსხვერპლად. თითოეული ნაბიჯი

ტყვიამფრქვევებს უნდა ჰგავდეს, თითოეული შეხედვა კეთილშობილი და ბრძნული უნდა იყოს, თავში არც ერთმა ცარიელმა ფიქრმა, არც ერთმა უპატიოსნო განზრახვამ არ უნდა გაგიელვოს. ჩვენ ხომ სხვანაირები ვართ. ჩვენ ხალხზე მაღლა დავდექით, ჩვენი უზადოდ სუფთა ალმები აღვმართეთ, ქრომის სამხედრო ჩექმები გავპოხეთ, თეთრი ხელთათმანები წამოვიცვით. ჩვენს პატარა სამყაროში, რა თქმა უნდა, ყველაფრის უფლება გვაქვს. ნებისმიერ ჩვენს საქციელს კეთილშობილი და ამაღლებულ გამართლება მოეძებნება. უნიკალური ნომერი, თქვენს წინაშე ვართ ჩვენ, თეთრებში გამოწყობილი რაინდები, ირგვლივ კი ყველაფერი ლაფში იძირება.

მომბეზრდა!

ცხელი გული, სუფთა ხელები, ცივი გონება... შემთხვევით ხომ არ მოხდა, რომ სამოქალაქო ომის დროს თეთრები თითქმის ყველანი საგანგებო კომისიას მიეკედლენ? ვინც ვერ მიეკედლა... მათი უმეტესობა მოსპეს. ბნელების, უმეტეს წილად, კი იმათი ხელით, ვისაც იცავდნენ. ადამიანების ხელით. ადამიანური იდიოტიზმის, სიმდაბლის, სიმხდალის, ფარისევლობის, შურის გამო. ცხელი გული, სუფთა ხელები... გონება ცივი დარჩეს. სხვანაირად არც შეიძლება. აი, დანარჩენს კი არ ვეთანხმები. გული სუფთა უნდა იყოს, ხოლო ხელები – ცხელი. მე ასე უფრო მომწონს!

- არ მინდა თქვენი დაცვა, - წარმოვთქვი დილის ტყის სიჩუმეში. – არ მინდა! არ მინდა ბავშვების, ქალების, მოხუცებისა და არანორმალურების დაცვა... არავის დაცვა... იცხოვრეთ, როგორც გეცხოვრებათ. მიიღეთ ის, რაც დაიმსახურეთ! გაექეცით ვამპირებს, თავი დაუხარეთ შავ ჯადოქრებს, კატებს აკოცეთ კუდის ქვეშ! თუ ღირსი ხართ – მიიღეთ! თუ ჩემი სიყვარული თქვენს ბედნიერ ყოფად არ ღირს... მაშინ, არ მინდა თქვენი ბედნიერება!

ხალხს შეუძლია გამოსწორება და უნდა გამოსწორდეს კიდევაც... ჩვენ ერთი ფესვები გვაკავშირებს... ადამიანები ჩვენი მომავალია... ადამიანები ჩვენს მეურვეობაში არიან... დიდი და პატარა ადამიანები, მეეზოვეები და პრეზიდენტები, დამნაშავეები და პოლიციელები. მათში სინათლე ღვივის, რაც შეიძლება ცხოველმყოფელ სითბოში ან სასიკვდილო ალში გადაიზარდოს...

არ მჯერა!

ვიცი, ვინც ხართ. მეეზოვეები და პრეზიდენტები, ბანდიტები და მილიციონერები. ვხედავდი, როგორ ცემდნენ დედები ვაჟიშვილებს, როგორ აუპატიურებდნენ მამები ქალიშვილებს, როგორ აგდებდნენ სახლიდან დედებს ვაჟიშვილები, როგორ უყრიდნენ ქალიშვილები მამებს საწამლავს. ვხედავდი, როგორც ურტყამდა სახეში ქმარი ფეხმძიმე ცოლს, როგორც კი სტუმრებს კარს მიუხურავდა და პირფერულ ღიმილს მოიშორებდა. ვხედავდი, როგორ კოცნიდა ხარბად ცოლი ქმრის საუკეთესო მეგობარს, შემთვრალმა ქმარმა კი ამ დროს მაღაზიაში ჩაირბინა პროდუქტების

დასამატებლად. ამის დანახვა ძალიან ადვილია. უბრალოდ უნდა იცოდე, საით გაიხედო. ამიტომაც გვასწავლიან... სანამ ბინდისთვის თვალის გასწორებას გვასწავლიდნენ – გვმოძღვრავენ, რომ იქით არ გავიხედოთ...

მაგრამ ჩვენ მაინც ვიხედებით.

ადამიანები სუსტები არიან, დიდხანს ვერ ცოცხლობენ, არ შეიძლება მათი სიძულვილი, დანაშაულია მათი ათვალისწუნება. ადამიანები მხოლოდ უნდა გვიყვარდეს, გვეცოდებოდეს და ვიცავდეთ. ეს არის ჩვენი საქმე და მოვალეობა. ჩვენ საგუშაგო ვართ.

არ მჯერა!

ვერავინ, ვერავის, ვერასდროს ვერ აიძულებს, სისაძაგლე ჩაიდინოს. წუმპეში არავინ გკრავს ხელს, თუ შენ თვითონ არ მოინდომე იქ ჩაფლობა. როგორიც არ უნდა იყოს ცხოვრება, არ არსებობს და არც იარსებებს გამართლება. მაგრამ გამართლებას ყოველთვის ეძებენ და პოულობენ კიდევაც. ოდითგანვე ამას ასწავლიდნენ, და ისინიც ყველანი კარგი მოსწავლეები გამოდგნენ.

ჩვენ კი, ალბათ, საუკეთესოებსაც ვაჯობეთ.

ჰო, ალბათ, რა თქმა უნდა, იყვნენ, არიან და იქნებიან კიდევაც ისინი, ვინც არ გახდნენ სხვანაირები და ადამიანად დარჩენა არჩიეს. მაგრამ ასეთები ძალიან ცოტანი არიან... ან, შეიძლება, უბრალოდ გვეშინია, უფრო დაკვირვებით შევხედოთ მათ? გვეშინია იმის, რაც შეიძლება აღმოვაჩინოთ?

- თქვენი გულისთვის – ვიცოცხლო? – ვიკითხე. ტყე კი დუმდა, წინასწარ ეთანხმებოდა ჩემს ნებისმიერ სიტყვას.

რატომ უნდა შევწიროთ ყველაფერი მსხვერპლად? ჩვენი თავიც და ისინიც, ვინც გვიყვარს?

იმათი გულისთვის, ვინც ვერასოდეს გაიგებს ამის შესახებ და ვერასოდეს დააფასებს?

თუ გაიგებს... ერთადერთი, რასაც ჩვენთვის გაიმეტებს, გაკვირვებული თავის გაქნევა და წამოძახილი: „სულელები!“ იქნება.

იქნებ ღირდეს, ერთ მშვენიერ დღეს აჩვენო კაცობრიობას, რას ნიშნავს სხვანაირობა? რა შეუძლია ერთ სხვანაირს... რომელსაც შეთანხმება არ ბოჭავს და რომელიც საგუშაგოების კონტროლს დააღწევს თავს?

გამეღიმა კიდეც, როცა წარმოვიდგინე მთელი სურათი. ზოგადი სურათი, და არა საკუთარი თავი მასზე – მე კი მალევე შემაჩერებდნენ. ნებისმიერ დიდებულ მაგს ან ჯადოქარს შეაჩერებდნენ, რომელიც შეთანხმებას დაარღვევდა და ადამიანებისთვის სხვანაირების სამყაროს გახსნას გაბედავდა.

ოჰ, რა ხმაური ატყდება...

კრემლისა და თეთრი სახლის მიერ ერთდროულად ჩამოყვანილი ვერანაირი უცხოპლანეტელები ვერ მიაღწევდნენ ასეთ შედეგს...

არა, რა თქმა უნდა.

ეს ჩემი გზა არ არის.

და პირველ რიგში იმიტომ, რომ არ მჭირდება სამყაროზე ძალაუფლება ან საყოველთაო არეულობა.

ერთი რა მინდა მხოლოდ – რომ ქალს, რომელიც მიყვარს, საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვას არ აიძულებდნენ. იმიტომ, დიდებულების გზა, ეს სწორედ რომ მსხვერპლშეწირვის გზაა. ის წარმოუდგენელი ძალები, რომლებიც მათ გადაეცემათ, აბსოლუტურად და მთლიანად ცვლიან მათ.

ჩვენ ადამიანები არ გვეთქმის. მაგრამ გვახსოვს მაინც, რომ ოდესღაც ადამიანები ვიყავით. და შემოგვრჩა სიხარულის, მწუხარების, სიყვარულისა და სიძულვილის შეგრძნება. დიდებული მაგები და ჯადოქრები სცილდებიან ყოველგვარი ადამიანური ემოციების საზღვრებს. ალბათ, გრძნობენ რაღაც თავისებურ ემოციებს, მაგრამ ჩვენ მათი ვერაფერი გაგვიგია. ჰესერიც კი, მაგი ყოველგვარი კლასიფიკაციის მიღმა, არ არის დიდებული. ოლგაც ვერაფრით გახდა ასეთი.

რაღაც შეეშალათ ალბათ. ვერ გათვალეს წყვდიადის წინააღმდეგ გრანდიოზული ოპერაცია.

და ახლა მზად არიან, ახალი კანდიდატი შეაგდონ ცეცხლში.

ადამიანების გულისთვის, რომლებსაც ფეხებზე კიდიათ სინათლეც და სიბნელეც.

სვეტლანას ყველა საფეხურს გაატარებენ, რაც სხვანაირმა უნდა გაიაროს. უკვე მესამე საფეხურზე აიყვანეს, ახლა ცნობიერებასაც აქაჩავენ. უსწრაფეს ტემპში.

ალბათ ამ შეშლილ რბოლაში გაურკვეველი მიზნისკენ მეც მაქვს გარკვეული ადგილი. ჰესერი ყველაფერს იყენებს, რაც ხელთ მოხვდება, ჩემი ჩათვლით. რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ვამპირებზე ვნადირობდე, მკვლელს დავდევდე, თუ სვეტასთან ვატარებდე დროს ოლგას სხეულში... ყველაფერი ეს შეფის ჩანაფიქრის ნაწილია.

ახლა რაც არ უნდა მოვიმოქმედო – უთუოდ წინასწარაა გათვლილი. ერთადერთი იმედი მრჩება, რომ თავად ჰესერსაც არ შეუძლია ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა.

რომ შევძლებ ვიპოვნო ის ერთადერთი საშუალება, რომელიც მის გეგმას ჩაშლიდა. სინათლის ძალების დიდებულ გეგმას.

რომელიც ამასთან ერთად ავს არ მოიტანს შედეგად, რადგან მაშინ... ბინდი მელოდება.

სვეტლანას კი, მაინც, - დიდებული მომავალი...

ჩემი თავი დავიჭირე იმ დროს, როცა ვიდექი, და სახით წვრილი ფიჭვის ხეს ვეკვროდი. ვიდექი და ხეს მუშტებს ვუშენდი, ან ბრაზისგან, ან კიდევ მწუხარებისგან. მერე შევჩერდი, და დასისხლიანებულ ხელს შევხედე. მაგრამ ხმა მაინც არ შეწყვეტილა. ტყიდან მოდიოდა, პირდაპირ მაგიური ბარიერის საზღვრიდან. ისეთივე რითმული ცემა, ნერვიული კაკუნი.

მოვიკუნტე, ფეინთბოლისტივით, რომელსაც ბრძოლის მოგება არ აცალეს, და ხეებში შევიჭერი. პრინციპში, ვხვდებოდი, რასაც დავინახავდი.

პატარა მდელოზე ვეფხვი ხტოდა, უფრო სწორედ, ძუ ვეფხვი. ამომავალი მზის შუქზე მოშავო-მონარინჯისფრო ბეწვი უბზინავდა. ვეფხვი ვერ მხედავდა, ახლა ვერავის ამჩნევდა. ხეებს შორის ქროდა, და გამალებით გლეჯდა ხანჯალივით ბასრ ბრჭყალებით ქერქს. ფიჭვებზე თეთრი ნაიარევები ქაფდებოდა. ხანდახან გაირინდებოდა ხოლმე, უკანა თათებზე დადგებოდა, და მთელი ძალით შეუდგებოდა ხოლმე ხეების ლეწვას.

ნელა დავიხიე უკან.

ყველა ჩვენგანი თავისებურად ისვენებს, როგორც შეუძლია. ყველა ჩვენგანი არა მარტო წყვდიადის წინააღმდეგ იბრძვის, არამედ, სინათლის წინააღმდეგაც. იმიტომ, რომ სინათლე ზოგჯერ თვალებს გვიბრმავებს.

მაგრამ ნურაფრის დიდებით ნუ შეგვიცოდებთ – ჩვენ ძალიან, ძალიან ამაყი ვართ. სინათლისა და სიბნელის უსასრულო ომის ჯარისკაცები, მარადიული მოხალისეები.

თავი 4

ბიჭი ისე თავდაჯერებულად შევიდა რესტორანში, თითქოს ყოველ დღე აქ საუზმობდეს. მაგრამ ეს ასე არ იყო.

მაშინვე იმ მაგიდისკენ დაიძრა, სადაც საშუალო ტანის შავგვრემანი კაცი იჯდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. პრინციპში, არც ეს იყო ასე.

მიუახლოვდა თუ არა, მოხდენილად დაიჩოქა, კი არ დაებერტყა, ან პირქვე დაემხო, არამედ მშვიდად დაეშვა მუხლებზე, ისე რომ ღირსება არ შელახვია და ზურგიც არ მოუდრეკია.

ოფიციანტმა, რომელმაც ამ დროს ჩაუარა, თვალი შეასწრო მათ და შეცბუნებულმა გვერდზე გაიხედა. ცხოვრებაში ბევრი რამ ენახა, და მაფიოზი ბოსის წინაშე კრძალვით მთრთოლვარე ქვეშევრდომის დანახვა ვერ გააკვირვებდა, მაგრამ არც ბიჭი გავდა ქვეშევრდომს, და არც კაცი - მაფიის ბოსს.

და მაშინვე იყნოსა სავარაუდო არეულობა, რომლებიც ჩვეულებრივ ბანდიტურ გარჩევებზე გაცილებით უფრო სერიოზული იქნებოდა. დარწმუნებული არ იყო, მაგრამ გრძნობდა... რადგან თავადაც სხვანაირი გახლდათ, ოღონდ არაინიცირებული.

თუმცა, ორიოდე წამის შემდეგ მთლიანად დაავიწყდა ნანახი სცენა. რაღაცა ბუნდოვნად უჭერდა გულზე, მაგრამ რა – აღარ ახსოვდა.

- ადექი, ალიშერ, - ჩუმად მიმართა ჰესერმა. – ადექი. ჩვენთან არ არის ასეთი რამ მიღებული.

ბიჭი ადგა და ღამის საგუშაგოს პირისპირ დაჯდა. თავი დაუკრა:

- არც ჩვენთან. უკვე აღარაა მიღებული. მაგრამ მამამ მთხოვა, შენს წინაშე მუხლი მომედრიკა, ჰესერ. ძველი წესების მიმდევარი იყო. თავად მოიდრეკდა მუხლს. მაგრამ უკვე ვეღარ შეძლებს.

- იცი, როგორ დაიღუპა?

- კი. მისი თვალებით ვიხედებოდი, მისი ყურებით ვისმენდი, მის ტკივილს განვიცდიდი.

- მეც მაგრძნობინე მისი ტკივილი, ალიშერ, დევონასა და ადამიანის შვილო.

- მიიღე, რასაც ითხოვ, ჰესერ, ბოროტების შემმუსვრელო, ღმერთების სადარო, რომელნიც არა არიან ამ ქვეყანაზე.

ერთმანეთს თვალებში შეხედეს. შემდეგ ჰესერმა თავი დაუქნია.

- ვიცი, ვინც მოკლა. მამაშენის სიკვდილის გამო შურს ვიძიებ.

- ეს მე უნდა გავაკეთო.

- არა. შენ ვერ შეძლებ, და არც გაქვს უფლება. მოსკოვში არალეგალურად ჩამოხვედით.

- ამიყვანე საგუშაგოში, ჰესერ.

ღამის საგუშაგოს შეფმა თავი გააქნია.

- სამარყანდში საუკეთესო ვიყავი, ჰესერ, - ბიჭი დაჟინებით მიაცქერდა. – ნუ იღიმები, ვიცი, რომ აქ უკანასკნელი ვიქნები. მიმიღე საგუშაგოში. როგორც შეგირდთა შეგირდი, როგორც ერთგული ძაღლი. მამის ხსოვნას გაფიცებ – ამიყვანე საგუშაგოში.

- მეტისმეტად ბევრს ითხოვ, ალიშერ. შენ მთხოვ, რომ სიკვდილი გიბოძო.

- უკვე მკვდარი ვარ, ჰესერ. როცა მამას სული ამოხადეს, მაშინ მოვკვდი მასთან ერთად. მივდიოდი გაღიმებული, ის კი ბნელებს გზას უბნევდა. მე მეტროში ჩავედი, მისი ნეშტი კი ფეხქვეშ გათელეს. ჰესერ, უფლება მაქვს, ვითხოვდე.

ჰესერმა თავი დაუქნია.

- იყოს ნება შენი. ჩემს საგუშაგოში ხარ, ალიშერ.

ახალგაზრდას სახეზე არავითარი ემოცია არ დასტყობია. თავი დაუკრა, და წამიერად მიიდო გულზე ხელი.

- სად არის ის, რაც მოგქონდათ, ალიშერ?

- ჩემთან, ჩემო ბატონო.

ჰესერმა უჩუმრად გაუწვდინა ხელი.

ალიშერმა წელზე შემორტყმული ჩანთა გახსნა, ძალზედ სათუთად ამოიღო მართკუთხედის ფორმის უხეში ნაჭრის გრაგნილი.

- მიიღე, ჰესერ, გამათავისუფლე ვალისგან.

ჰესერმა ახალგაზრდის ხელის გულზე მოავლო ხელი და თითები მოუჭირა. ორიოდე წამის შემდეგ, როცა ხელი მოაშორა, ალიშერს ხელში აღარაფერი ეჭირა.

- შენი ვალი მოხდილია, ალიშერ. ახლა უბრალოდ დავისვენებთ, შევჭამთ, დავლევთ და მამაშენს გავიხენებთ. ყველაფერს მოგიყვები, რაც გამახსენდება.

ალიშერმა თავი დაუქნია. ვერ გაიგებდი, სიამოვნებდა, თუ არა ჰესერის სიტყვები, თუ უბრალო მორჩილებას გამოხატავდა მისი ნებისმიერი სურვილის მიმართ.

- ნახევარი საათი გვაქვს, - სწრაფად აღნიშნა ჰესერმა. – შემდეგ აქ ბნელები მოვლენ. შენი კვალი აიღეს. ძალიან გვიან, მაგრამ მაინც აუღიათ.

- ბრძოლა იქნება, ჩემო ბატონო?

- არ ვიცი, - ჰესერმა მხრები აიჩეჩა. – რა მნიშვნელობა აქვს? ზავულონი შორსაა. დანარჩენები ვერაფერს დამაკლებენ.

- ბრძოლა იქნება, - წარმოთქვა ჩაფიქრებულმა ალიშერმა და დარბაზს მოავლო თვალი.

- განდევნე გარშემომყოფები, - ურჩია ჰესერმა. – რბილად, ძალდაუტანელად. მინდა ვიხილო, რა შეგიძლია. შემდეგ შევისვენებთ და სტუმრებს დაველოდებით.

თერთმეტისთვის ხალხმა გაღვიძება დაიწყო.

ტერასაზე შეზლონგზე გავიშოტე, ფეხები წინ წამოვწიე და ველოდებოდი, დროდადრო ჯინტონიკს მოვწრუპავდი ხოლმე მაღალი ჭიქიდან. თავს კარგად ვგრძნობდი – მაზოხისმის ნეტარი ტკივილით ვტკბებოდი. როდესაც კართან ვიღაცა გამოჩნდებოდა, მეგობრული ხელის დაქნევითა და პატარა ცისარტყელით ვესალმებოდი, რომელსაც გაშლილი თითებიდან ვუმიზნებდი ზეცას. ბავშვური გასართობი იყო, და ყველას ეღიმებოდა. როცა იულია გამოვიდა მთქნარებით და ასეთი მისალმება შენიშნა, დასჭყივლა და საპასუხო ცისარტყელა გაშალა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, შემდეგ ორმაგი რკალი გავმართეთ, საკმაოდ დიდი, რომელიც ტყეზე გადაჭიმულიყო. იულიამ მომახსენა, რომ ტყეში წავიდოდა ახლა ოქროთი სავსე ქოთნის საძებნელად, და ამაყად შეაბიჯა ცისარტყელის რკალში. ერთ-ერთი ტერიერი მორჩილად გაეკიდა.

ველოდებოდი.

პირველი იმათგან, ვისაც ველოდებოდი, ლენა გამოვიდა. მხიარული, ხალისიანი, საცურაო კოსტუმში გამოწყობილი. რომ დამინახა, შეცბა, მაგრამ მალევე დამიკრა თავი და ჭიშკრისკენ გაიქცა. მსიამოვნებდა მისი მოძრაობის ყურება – აშოლტილი, ელასტიური, სიცოცხლით სავსე. ახლა გრილ წყალში ჩაეშვება, ცოტა ხანს იცურავებს მარტო, და ახლად გამოღვიძებული მადით დაბრუნდება სასაუზმოდ...

ლენას იგნატი მოყვა. საცურაო ტრუსებში და რეზინის ფლოსტებში.

- დილა მშვიდობისა, ანტონ! – მხიარულად შემომძახა, მომიახლოვდა, გვერდით მდგარი შეზლონგი მოაჩოჩა და შიგნით ჩაებერტყა. – როგორ ხარ?

- ლომივით! – ჭიქა ავწიე და ვუთხარი.

- ყოჩაღ, - იგნატმა თვალით ბოთლს დაუწყო ძებნა, ვერ იპოვნა, ტუჩებით სახვრეპელას მიწვდა და გემრიელად მოხვრიპა ჩემი ჭიქიდან. – ეს რა სუსტი გაგიზავებია.

- გუშინ მეყო, რაც გეახლით.

- მართალია, მაშინ ფრთხილად იყავი, - მირჩია იგნატმა. – ჩვენ მთელი საღამო შამპანურს ვსვამდით, მერე ღამე კონიაკი დავაყოლეთ. მეშინოდა, თავი არ ამტკენოდა, მაგრამ გადავრჩი.

იგნატზე გაბრაზებაც არ ღირდა.

- იგნატ, ბავშვობაში ვინ გინდოდა, გამოსულიყავი? – ვკითხე.

- სანიტარი.

- რაო?

- ნუ, მითხრეს, რომ ბიჭები მედდებად არ მუშაობდნენ, მე კიდევ ხალხის მკურნალობა მინდოდა. ჰოდა, გადავწყვიტე, როცა გავიზრდებოდი, სანიტარი გავხდებოდი.

- რა მაგარია, - აღვფრთოვანდი. – და ექიმობა რატომ არ გინდოდა?

- ეგ მეტისმეტად საპასუხისმგებლოა, - თვითკრიტიკულად წარმოთქვა იგნატმა. – თანაც ძალიან დიდი ხანი უნდა მესწავლა.

- მერე, გახდი?

- კი. სასწრაფოშიც ვმუშაობდი, ფსიქიატრიულ ბრიგადაში. ჩემთან ყველა ექიმს უყვარდა მუშაობა.

- რატომ?

- ჯერ ერთი, ჩემი მომხიბლველობის გამო, - განმიმარტა იგნატმა, და იგივე გულუბრყვილობით განაგრძო საკუთარი თავის ქება. – ქალსაც და კაცსაც ისე შემიძლია დაველაპარაკო, რომ დავამშვიდო, და დავარწმუნო, საკუთარი ფეხით წავიდეს საავადმყოფოში. მეორეც, ვხედავდი, ვინ მართლა ავად იყო, და ვინ მხოლოდ უხილავს ხედავდა. ზოგჯერ საკმარისი იყო, მეჩურჩულა, ამეხსნა, რომ ყველაფერი რიგზეა, და არავითარი ნემსი აღარ იყო საჭირო.

- მედიცინამ ბევრი დაკარგა.

- ჰო, - იგნატმა ამოიოხრა. – მაგრამ შეფმა დამარწმუნა, რომ საგუშაგოში უფრო მეტ სარგებელს მოვიტანდი. ასე არ არის?

- ალბათ.

- მომწყინდა, - წარმოთქვა ჩაფიქრებულმა იგნატმა. – შენ არ მოგწყინდა? უკვე სამსახურში მომინდა.

- მეც, მგონი. იგნატ, ჰობი გაქვს? აი... სამსახურის გარდა.

- რას მტანჯავ, გამაგებინე? – გაიკვირა ჯადოქარმა.

- მაინტერესებს. თუ საიდუმლო არის?

- რა საიდუმლო, დასამალი რა არის? – იგნატმა მხრები აიჩეჩა. – პეპლებს ვაგროვებ. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კოლექცია მაქვს. ორი ოთახი უჭირავს.

- რა შთამბეჭდავია, - დავეთანხმე.

- შემოიარე ერთ დღეს, დაათვალიერე, - შემომთავაზა იგნატმა. – სვეტაც წამოაყოლე, მასაც მოსწონს პეპლები.

ამ სიტყვებზე იმდენი ვიცინე, რომ იგნატიც შეცბა. ადგა და გაუბედავი ღიმილით ჩაიბურტყუნა:

- წავალ, საუზმის მომზადებაში დავეხმარები...

- აბა, შენ იცი, - ძლივს ამოვღერღე. მაგრამ მაინც ვერ მოვითმინე, და როცა ჩვენი ქალების რისხვა კარს მიუახლოვდა, კიდევ ერთხელ მივაძახე: - მისმინე, შეფი ტყუილად არ ნერვიულობს სვეტკაზე?

იგნატმა მხატვრული ჟესტით მიიტანა ხელი ნიკაპთან. დაფიქრდა:

- იცი, ტყუილად არ ნერვიულობს. სვეტა მართლა დაძაბული მეჩვენა, ვერაფრით ვერ მოეშვა. მას ხომ დიდებული საქმეების კეთება მოუწევს, ჩვენი რომ ვერც შევედრება.

- შენ ხომ ეცადე?

- რა თქმა უნდა! – ეწყინა იგნატს. – შემომიარეთ რა, მართლა გეუბნები, გამიხარდება თქვენი ნახვა!

ჯინი შეთბა, ჭიქაში ყინული გადნა. საწრუპზე პომადის სუსტი კვალი ეტყობოდა. თავი გავაქნიე და ჭიქა დავდგი.

ყველაფერს ვერ გათვლი, ჰესერ.

მაგრამ რომ შეგებრძოლო... არა მაგიურ შერკინებაში, რა თქმა უნდა, ამაში ფიქრიც კი სასაცილოა... შეგებრძოლო სიტყვებისა და მოქმედებების ველზე, ჩემთვის ხელმისაწვდომ ერთადერთ ბრძოლის ველზე, უნდა ვიცოდე, რა გინდა. უნდა ვიცოდე, როგორაა განაწილებული კარტი დასტაში. და ისიც, ხელზე რა ამოვა.

ვინ თამაშობს?

ჰესერი – ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. ოლგა – მისი საყვარელი, დაჯარიმებული ჯადოქარი, კონსულტანტი. სვეტლანა – შემსრულებელი, რომელსაც თავს ევლებიან და სათუთად ზრდიან. მე – ერთ-ერთი იარაღი მის აღზრდაში. იგნატი, ბოკვერი, სემიონი, ყველა დანარჩენი ნათელი ჯადოქრები შეიძლება მხედველობაში არც მივიღოთ. ესეც იარაღია, მაგრამ მეორეხარისხოვანი. და მათ ვერ დავეყრდნობი.

ბნელები?

რა თქმა უნდა, ისინიც მონაწილეობენ, მაგრამ ფარულად. და ზავულონიც, და ყველა მისი ქვეშევრდომი შეშფოთებულია ჩვენს რიგებში სვეტლანას გამოჩენით. მაგრამ აშკარად არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ან უჩუმრად რაღაც სისაძაგლეები

შემოაგდონ, ან დამანგრეველი დარტყმა დაგეგმონ... რომელიც საგუშაგოებს ომის პირას მიიყვანს.

კიდევ რა?

ინკვიზიცია?

შეზლონგის სახელურზე თითები ავაკაკუნე.

ინკვიზიცია. საგუშაგოს ზემდგომი სტრუქტურა. სადავო საკითხებს განიხილავს, დამნაშავეებს, შეთანხმების დამრღვევთ სჯის – ორივე მხრიდან. ინკვიზიცია ფხიზლობს. ყოველ ჩვენგანზე მონაცემებს აგროვებს. მაგრამ უიშვიათეს შემთხვევებში ერევა, და მისი ძალაც ფარულ საქმიანობაში უფროა, ვიდრე საბრძოლო ძლიერებაში. როცა ინკვიზიცია რომელიმე ძლიერი მაგის საქმეს განიხილავს, გამოძიებაში საგუშაგოების ორივე მხარეს რთავს ხოლმე.

ვიცი, რომ ინკვიზიცია ჩარეულია. ვიცნობ შეფს. ყველაფრისგან სარგებელი თუ არ მიიღო, თანაც მრავალმხრივი, ისე საქმეში არ ჩაერევა. მაქსიმის, ველური სხვანაირის, ინკვიზიციაში წასული ნათელი მაგის ბოლოდროინდელი ისტორიაც ამის მაგალითია. შეფმა სვეტლანაც ჩაითრია ამ ამბავში, თვითკონტროლისა და ინტრიგის გაკვეთილები ჩაუტარა, თან პარალელურად ახალი ინკვიზიტორი გამოავლინა.

ნეტა რისთვის ამზადებენ სვეტლანას!

ჯერჯერობით სიბნელეში მივიკვლევ გზას. და რაც ყველაზე საშინელია... სინათლეს ვშორდები.

ყურსასმენები გავიკეთე და თვალები დავხუჭე...

В эту ночь дивным цветом распустится пара книг,

В это ночь домовые вернутся домой…

Тучи с севера, ветер с запада,

Значит скоро колдунья махнет мне рукой…

Я живу в ожидании чуда, как маузер в кобуре,

Словно я паук в паутине,

Словно дерево в пустыне,

Словно черная лиса в норе…

მაგარ რისკზე მივდივარ. დიდებული ჯადოქრები თავისი გზით მიდიან, მაგრამ ისინიც ვერ ბედავენ, თავისიანებს გადაუდგნენ. მარტოხელა მებრძოლები დიდხანს ვერ ძლებენ.

Я бежал сквозь подзорные трубы от испуганных глаз детей

Я хотел переспать с русалкой, но не знал, как быть с ней,

Я хотел обернуться трамваем, и въехать в твое окно,

Ветер дует с окраин, нам уже все равно…

Ветер дует с окраин, а нам уже все равно…

Будь моей тенью, скрипучей ступенью,

цветным воскресеньем, грибным дождем.

Будь моим богом, березовым соком, электрическим током,

кривым ружьем.

Я был свидетель тому, что ты ветер, ты дуешь в лицо мне,

а я смеюсь,

Я не хочу расставаться с тобою без боя,

покуда тебе я снюсь…

Будь моей тенью…

ვიღაცამ მხარზე დამადო ხელი.

- დილა მშვიდობისა, სვეტა, - მივესალმე და თვალები გავახილე.

სვეტას შორტები და საცურაო კოსტუმი ეცვა. სველი თმა ლამაზად გადაევარცხნა. ალბათ, შხაპი მიიღო. მე კიდევ, საქონელმა, არც ვიფიქრე ამაზე.

- როგორ ხარ გუშინდელის მერე? – მკითხა.

- არა მიშავს. შენ?

- კარგად, - მიბრუნდა.

ველდებოდი. ყურსასმენებში „სპლინი“ უკრავდა.

- რას ელოდებოდი ჩემგან? – მკვახედ იკითხა სვეტამ. – ნორმალური, ჯანმრთელი, ახალგაზრდა ქალი ვარ. ზამთრის მერე კაცი არ მყოლია. მესმის, აიკვიატე, რომ ჰესერმა სანაშენე ცხენებივით შეგვყარა, ჰოდა ცხვირით შეეტაკე...

- არაფერსაც არ ველოდებოდი.

- მაშინ მაპატიე მოულოდნელობისთვის!

- ჩემი კვალი იყნოსე ოთახში? როცა გაიღვიძე?

- დიახ, - სვეტლანამ გაჭირვებით ამოაძვრინა ვიწრო ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი და მოუკიდა. – დავიღალე. ჯერ კი მხოლოდ ვსწავლობ და არ ვმუშაობ, მაგრამ მაინც დავიღალე. აქ დასასვენებლად ჩამოვედი.

- შენ თვითონ არ დაიწყე ნაძალადევ მხიარულებაზე ლაპარაკი?..

- შენც მაშინვე აიტაცე ეს თემა!

- მართალია, - დავეთანხმე.

- შემდეგ წახვედი და არყის გამოსკდი და შეთქმულების მოწყობა დაიწყე.

- რა შეთქმულება?

- ჰესერის წინააღმდეგ. და ჩემს წინააღმდეგაც, სხვათა შორის. სასაცილოა! მეც კი ვიგრძენი! ნუ გგონია შენი თავი დიდებული მაგი, რომელიც...

სვეტლანამ ენაზე იკვნიტა, მაგრამ გვიანი იყო.

- სულაც არ ვარ დიდებული მაგი, - შევუსწორე. – მესამე საფეხური. შეიძლება, მეორეც. მაგაზე შორს ვერ წავალ. ყველას თავისი საზღვრები აქვს, რომელსაც ვერ გადააბიჯებს, ათასი წელიც რომ იცხოვროს.

- მაპატიე, არ მინდოდა შენთვის გულის ტკენა... – დაბნეულად მომიბოდიშა სვეტლანამ. სიგარეტიანი ხელი დაბლა დაუშვა.

- არა უშავს. არ გიბრაზდები. იცი, რატომ ქორწინდებიან ხშირად ბნელები ერთმანეთზე, თეთრები კი ადამიანებზე დაქორწინებას ამჯობინებენ? ბნელები უფრო ადვილად ეგუებიან უთანასწორობას და მუდმივ კონკურენციას.

- ადამიანი და სხვანაირი – ეს უფრო მეტი უთანასწორობა არ არის?

- ეს აღარ ითვლება. ჩვენ ორი განსხვავებული სახეობა ვართ. აქ საერთოდ არაფერი ითვლება.

- მინდა, იცოდე... – სვეტლანამ ღრმად შეისუნთქა კვამლი. – არ ვაპირებდი... ასე შეტოპვას. ველოდებოდი, როდის ჩამოხვიდოდი, დამინახავდი და ეჭვიანობას დაიწყებდი.

- მაპატიე, მე ხომ არ ვიცოდი, რომ უნდა მეეჭვიანა... – გულწრფელი სინანულით აღვნიშნე.

- მერე... ისე შეტრიალდა ყველაფერი, ვეღარ გავჩერდი.

- მესმის შენი, სვეტა. ყველაფერი რიგზეა.

დაბნეულმა შემომხედა:

- რიგზეა?

- რა თქმა უნდა. ვის არ მოსვლია. საგუშაგო ერთი დიდი ძლიერი ოჯახია. მთელი მისგან გამომდინარე შედეგებით.

- რა საქონელი ხარ, - სვეტლანამ ბოლი გამოუშვა. – ანტონ, შეგეხედა ახლა ერთი შენი თავისთვის! საერთოდ როგორ აღმოჩნდი ჩვენს მხარეს!

- სვეტა, შენ ხომ შესარიგებლად მოხვედი? – ვკითხე გაკვირვებულმა. ჰოდა, მეც გირიგდები. ყველაფერი რიგზეა. არაფერი არ ითვლება. ასეთია ცხოვრება, და ცხოვრებაში ყველაფერი ხდება ხოლმე.

წამოხტა, წამით ყინულოვანი გამჭოლი მზერა შემავლო. მე დაბნეული ხშირ-ხშირად ვახამხამებდი თვალებს.

- იდიოტი ხარ... – მომახალა და სახლში შებრუნდა.

რას მოელოდი? წყენას, ბრალდებებს, მწუხარებას?

პრინციპში, მნიშვნელობა არა აქვს. ჰესერი რას მოელოდა. რა შეიცვლება, სვეტას წარუმატებელი შეყვარებულის როლზე უარი რომ ვთქვა? ჩემს ადგილს სხვა ვინმე დაიკავებს? თუ დროა, სვეტა მარტო დარჩეს – მარტო საკუთარ დიდებულ ბედთან?

მიზანი. უნდა ვიცოდე, რა მიზანი ამოძრავებს ჰესერს.

შეზლონგიდან წამოვიჭერი და სახლში შევვარდი. და მაშინვე მოვკარი თვალი ოლგას. სასტუმრო ოთახში მარტო იყო. ღია ვიტრინასთან იდგა, სადაც ხმლები ინახებოდა, და ხელში მოგრძო, წვრილი სატევარი ეჭირა. სატევარს უყურებდა... ისე არა, როგორც ანტიკვარულ ნივთს უყურებენ. ბოკვერიც, ალბათ, მსგავსი თვალებით შესცქერის ხოლმე თავის ხმლებს. მაგრამ მისთვის ძველი იარაღის მიმართ ასეთი ტრფობა აბსტრაქტულია, ოლგასთვის კი – არა.

როცა ჰესერი რუსეთში გადმოვიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ, მის გამო, სხვათა შორის, ასეთ ხმლებს შეიძლება ისევ ხმარობდნენ...

ოთხმოცი წლის წინ, როცა ოლგას ყველანაირი უფლება ჩამოართვეს, უკვე სხვანაირად იბრძოდნენ...

ყოფილი დიდებული ჯადოქარი. ყოფილი დიდებული სამიზნე. ოთხმოცი წელი.

- ხედავ, როგორ ყოფილა ჩაფიქრებული... – ვთქვი.

ოლგა შეკრთა და შემობრუნდა.

- წყვდიადს მარტო ვერ დაამარცხებ. საჭიროა, რომ ადამიანებიც განათლდნენ. უფრო კეთილი, ალერსიანი, შრომისმოყვარე და ჭკვიანი გახდნენ. რომ თითოეულმა

სხვანაირმა სინათლის გარდა, სხვა ვერაფერი დაინახოს. რა არის მიზანი... რამდენი ხანი იხაზებოდა რგოლები, სანაც სისხლში იძირებოდა.

- როგორც იქნა, გაარკვიე, - აღნიშნა ოლგამ. – თუ მიხვდი?

- მივხვდი.

- კარგი. მერე რა?

- სად ჩაიჭერი, ოლგა?

- კომპრომისზე წავედი. პატარა კომპრომისზე წყვდიადთან. საბოლოო ჯამში, დავმარცხდით.

- ჩვენ? ჩვენ გამოვძვრებით. შევედუღებით, გადავეწყობით, შევესისხლხორცებით. და ჩვეულ ბრძოლას გავაგრძელებთ. წაგებით მხოლოდ ადამიანები აგებენ.

- უკანდახევა გარდაუვალია, - ოლგამ ადვილად აიტაცა ცალი ხელით ორტარა სატევარი და თავს ზევით მოიქნია. – ვგავარ ვერტმფრენს უქმ სვლაში?

- იმ ქალს გავხარ, რომელიც ხმალს იქნევს. ოლგა, ნუთუ ვერაფერს ვსწავლობთ?

- როგორ არ ვსწავლობთ. ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იქნება, ანტონ.

- ახალი რევოლუცია?

- ჩვენ ძველიც არ გვინდოდა. ყველაფერმა უსისხლოდ უნდა ჩაიაროს... თითქმის. ხომ ხვდები – ჩვენ მხოლოდ ადამიანების მეშვეობით ვიგებთ. მათი განათლებით, სულის ამაღლებით. კომუნიზმი შესანიშნავად გათვლილი სისტემა იყო, და... და მხოლოდ ჩემი ბრალია, მისი რეალიზაცია რომ ვერ მოხერხდა.

- ოჰო. ისევ ბინდში რატომ არ ხარ, თუ შენი ბრალია?

- იმიტომ, რომ ყველაფერი შეთანხმებული იყო. თითოეული ნაბიჯი განსაზღვრული. ის ავადსახსენებელი კომპრომისიც... ისიც მისაღები ჩანდა.

- და ახლა ადამიანების შეცვლის ახალი მცდელობა?

- მორიგი.

- რატომ – აქ? – ვკითხე. – რატომ ისევ ჩვენთან?

- სად ჩვენთან?

- რუსეთში! კიდევ რამდენს უნდა გაუძლოს?

- რამდენიც საჭირო გახდება.

- მაშ, რატომ ისევ ჩვენთან?

ოლგამ ამოიოხრა. მსუბუქი მოძრაობით ხმალი ქარქაშში ჩააგო და სტენდზე დააბრუნა.

- იმიტომ, რომ, ჩემო კარგო ბიჭო, ამ ბრძოლის ველზე კიდევ შეიძლება რამეს მიაღწიო. ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა – ეს ქვეყნები უკვე დამუშავებულია. რაც კი შესაძლებელი იყო, ყველაფერი გამოსცადეს. რაღაც გეგმები იქაცაა შემუშავების სტადიაში. მაგრამ სწრაფი ტემპებით ვერ მიდის... თითქოს ჩასთვლიმაო. ჭარმაგი პენსიონერი შორტებში და ვიდეოკამერით – ესაა დასავლური კეთილდღეობა. ექსპერიმენტების ჩატარება კი ახალგაზრდებზე ჯობს. რუსეთი, აზია, არაბული სამყარო თანამედროვე პლაცდარმია. და ნუ იღებ ასეთ შეშფოთებულ სახეს, სამშობლო შენზე ნაკლებად კი არ მიყვარს! ამ ქვეყნისთვის იმაზე მეტი სისხლი დავღვარე, ვიდრე შენ ძარღვებში გიდუღს. გაიგე, ანტოშკა, ბრძოლის ველი მთელი მსოფლიოა. შენ ხომ მშვენივრად იცი ეს.

- წყვდიადთან და არა ადამიანებთან ბრძოლის ველი!

- ჰო, წყვდიადთან. მაგრამ გამარჯვებას იდეალური საზოგადოების ჩამოყალიბების გზით შევძლებთ. სამყარო, სადაც სიყვარული, სიკეთე და სამართლიანობა იზეიმებს. საგუშაგოს საქმიანობას ფსიქოპატი ჯადოქრების დაჭერა და ვამპირებისთვის ლიცენზიების გაცემა ხომ არ წარმოადგენს! ეს წვრილმანები, მართალია, დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ მეორეხარისხოვანია... როგორც ელექტრონათურისგან მიღებული სითბო. ნათურის დანიშნულება ხომ განათებაა, და არა სითბოს გამოყოფა. ჩვენ ადამიანური სამყაროს უნდა ვცვლიდეთ, და არა წყვდიადის წვრილმან შემოტევებს ვიგერიებდეთ. აი, მიზანი. აი, გზა გამარჯვებისკენ!

- ოლგა, ეს ყველაფერი მესმის.

- მშვენიერია. მაშ, ისიც გაიგე, რაზეც პირდაპირ არ ლაპარაკობენ. ათასი წელია, ვიბრძვით. და მთელი ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდით, ისტორიის მსვლელობა დაგვერღვია, ახალი სამყარო შეგვექმნა.

- დიდებული ახალი სამყარო.

- ნუ მასხრობ. რაღაცას მაინც მივაღწიეთ. მართალია, სისხლისა და ტანჯვის ფასად დაგვიჯდა, მაგრამ შედეგი მაინც გვაქვს, სამყარო უფრო კაცთმოყვარე ხდება. თუმცა ეს საკმარისი არაა, საჭიროა ნამდვილი, ჭეშმარიტი გადატრიალება.

- კომუნიზმი ჩვენი იდეა იყო?

- ჩვენი არ იყო, მაგრამ მხარი დავუჭირეთ. საკმაოდ წარმტაცად მოგვეჩვენა.

- ახლა რაღა უნდა ვქნათ?

- დაინახავ, - ოლგამ გულწრფელად, მეგობრულად გამიღიმა. – ანტონ, ყველაფერი კარგად იქნება, დამიჯერე.

- უნდა ვიცოდე.

- არა. სწორედ მაგის ცოდნა არაა საჭირო. ნუ ნერვიულობ, არავითარი რევოლუცია არ მოხდება, არავითარი ბანაკები, დახვრეტები და ტრიბუნალები არ გვემუქრება. ძველ შეცდომებს არ გავიმეორებთ.

- სამაგიეროდ ახალს დავუშვებთ.

- ანტონ! – ოლგამ ხმას აუწია. – ბოლოს და ბოლოს, რამდენის უფლებას აძლევ საკუთარ თავს? ჩვენ გამარჯვების რეალური შანსი გვაქვს. ჩვენ ქვეყანას კი – მშვიდობის, კეთილდღეობისა და განვითარების შანსი! კაცობრიობას სათავეში ჩაუდგეს. წყვდიადს სძლიოს. თორმეტი წლის მომზადება, ანტონ. და მარტო ჰესერი კი არ მუშაობდა... უმაღლესი ხელმძღვანელობაც.

- რა?

- ჰო. შენ რა გეგონა, ყველაფერი ალალბედზე კეთდება?

განცვიფრებული დავრჩი.

- თორმეტი წელია, სვეტლანას უთვალთვალებთ?

- რა თქმა უნდა, არა! ახალი სოციალური მოდელი შემუშავდა. ახალი ცდები ჩატარდა... მთლიანი გეგმის ცალკეული ელემენტების. სრული დეტალები არც მე ვიცი. იქიდან მოყოლებული, ჰესერი იმ მომენტს ელოდება, როცა გეგმის ყველა მონაწილე გაერთიანდება... დროსა და სივრცეში.

- კონკრეტულად ვინ? სვეტლანა და ინკვიზიცია?

წამით გუგები დაუვიწროვდა და მივხვდი, რომ გამოვიცანი. ნაწილობრივ.

- კიდევ ვინ? მე რა როლი მეკისრება? შენ რა უნდა გააკეთო?

- ყველაფერს შეიტყობ, თავის დროზე.

- ოლგა, ადამიანის ცხოვრებაში მაგიის ჩარევას ჯერ სიკეთე არ მოუტანია.

- არ გინდა ამ სასკოლო აქსიომების გამეორება, - ახლა კი მართლა გაბრაზდა. – ნუ ფიქრობ, რომ სხვებზე ჭკვიანი ხარ. არ ვაპირებთ მაგიის გამოყენებას. დამშვიდდი და მოეშვი.

თავი დავუქნიე:

- კარგი. შენ შენი პოზიცია წარმოადგინე... მე არ ვეთანხმები.

- ოფიციალურად?

- არა. არაოფიციალურად. და როგორც კერძო პირი მივიჩნევ, რომ წინააღმდეგობის უფლება მაქვს.

- და ვის უნდა შეეწინააღმდეგო? ჰესერს? – ოლგას თვალები დაუმრგვალდა, ტუჩებით ღიმილის მაგვარი მიმიკა გამოსახა. – ანტონ...

შემობრუნდი და ოთახიდან გამოვედი.

ჰო, სასაცილოა.

ჰო, სისულელეა.

არა მარტო უთავბოლო, ქაოტური აქცია, რომელსაც ჰესერი და ოლგა ატარებენ. არა მარტო წარუმატებელი სოციალური ექსპერიმენტის გამეორების მცდელობა. გათვლილი, დიდი ხნის წინ დაგეგმილი ოპერაცია, რომელშიც ჩემდა ჭირად ჩავები.

უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული.

სინათლის მიერ დამტკიცებული.

რისთვის ვფაფხურობ? მე ხომ ამის უფლებაც არ მაქვს. არავითარი. და არც არანაირი შანსი. აბსოლუტურად არანაირი. შეიძლება თავი საათის მექანიზმის სრულფასოვნებით და დახვეწილობით დაიმშვიდო, მაგრამ ახლა საათის ჭანჭიკს კი არა, უფრო წისქვილის ქვაზე მოხვედრილ მარცვალს ვგავდი.

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ მეგობრულ და მზრუნველ დოლაბებში მოვექეცი. არავინ დაიწყებს ჩემს დევნას, არავინ შემებრძოლება. უბრალოდ სისულელეს არავის ჩამადებინებს, რომელსაც აზრი მაინც არ ჰქონია და არც ექნება.

მაშინ რატომ ვგრძნობ ასე მწვავე ტკივილს... ასეთ აუტანელ გულისტკივილს.

ტერასაზე ვიდექი და უსუსური მრისხანებით შეპყრობილი გამეტებით ვუჭერდი მუშტებს, როცა მხარზე ვიღაცამ ხელი დამადო.

- ალბათ, რაღაცა გაარკვიე, ანტონ?

სემიონს შევხედე და თავი დავუქნიე.

- ძნელია?

- კი, - ვაღიარე.

- ერთი რამ დაიმახსოვრე, ძალიან გთხოვ. შენ მარცვალი არ ხარ. არც ერთი ადამიანი, და მით უმეტეს სხვანაირი, არ არის მარცვალი.

- რამდენი წელი უნდა ვიცოცხლო, რომ სხვისი აზრები წავიკითხო?

- ასი, ანტონ.

- მაშინ ჰესერს ნებისმიერი ჩვენგანის გაშლილი წიგნივით წაკითხვა შეუძლია?

- რა თქმა უნდა.

- გამოდის, რომ ფიქრს უნდა გადავეჩვიო, - დავასკვენი.

- ჯერ უნდა მიეჩვიო. იცი, რომ ქალაქში შეხლა-შემოხლა მოხდა?

- როდის?

- თხუთმეტი წუთის წინ. დამთავრდა უკვე ყველაფერი.

- რა მოხდა?

- შეფთან კურიერი მივიდა, სადღაც აღმოსავლეთიდან. ბნელები მისი კვალის დადგენას და განადგურებას შეეცადნენ. შეფის თვალწინ, - სემიონმა ჩაიცინა.

- ეს ხომ ომია!

- არა, ამის უფლება ჰქონდათ. კურიერი არალეგალურად ჩამოვიდა.

მიმოვიხედე. არავის არსად არ ეჩქარებოდა. მანქანებს არავინ ქოქავდა, ბარგს არ ალაგებდა. იგნატი და ილია ისევ ანთებდნენ მაყალს.

- არ უნდა დავბრუნდეთ?

- არა. შეფი თვითონ გაუმკლავდა. პატარა შეტაკება მოხდა, არავინ დაშავებულა. კურიერი ჩვენს საგუშაგოში მიიღეს და ბნელები იძულებული გახდნენ, კუდამოძუებული გაბრუნებულიყვნენ. ცოტათი რესტორანი დაზარალდა.

- რომელი რესტორანი?

- სადაც შეფი კურიერს შეხვდა, - მოთმინებით მიხსნიდა სემიონი. – ჩვენ დასვენების გაგრძელების ნება დაგვრთეს.

ცას ავხედე – თვალისმომჭრელ, ლურჯ, სიცხით გაჯერებულ ცას.

- იცი, რაღაც არ მინდა დასვენება. მოსკოვში დავბრუნდები. თუ არავის ეწყინება.

- რა თქმა უნდა, არა.

სემიონმა სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. და სხვათა შორის მირჩია:

- შენს ადგილას გავიგებდი, კურიერმა რა ჩამოიტანა აღმოსავლეთიდან. ვინ იცის, იქნებ გაგიმართლოს.

მწარედ გამეცინა.

- ბნელებმა ვერ შეძლეს ამის გაგება, და შენ მირჩევ, შეფის სეიფები გადავქექეო?

- ბნელებმა მისი წართმევა ვერ შეძლეს. რაც არ უნდა იყოს, მისი წაღების, ან თუნდაც შეხების უფლება არ გაქვს, რა თქმა უნდა. მაგრამ გაგება კი...

- გმადლობ. მართლა, დიდი მადლობა.

სემიონმა თავი დამიქნია, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე მიიღო მადლობა.

- ბინდში გავსწორდებით... ჰო, მეც დავიღალე დასვენებისგან. სადილის შემდეგ ბოკვერს მოტოციკლს გამოვართმევ და ქალაქში გავისეირნებ. წაგიყვანო?

- აჰა.

მრცხვენოდა. ალბათ ასეთი სირცხვილის მთელი ძალით განცდა მხოლოდ სხვანაირებს შეუძლიათ. ჩვენ ყოველთვის ვიცით, როდის გვიჭერენ მხარს, როდის გვჩუქნიან დაუმსახურებელ საჩუქრებს, რომელზეც უარს ვერ ვამბობთ.

აღარ შემეძლო აქ გაჩერება. არაფრით არ შემეძლო. სვეტლანას, ოლგას, იგნატის ყურება. მათი სიმართლის მოსმენა.

ჩემი სიმართლე ყოველთვის ჩემთან იქნება.

- იცი მოტოციკლის ტარება? – ვკითხე, ვეცადე, თემა შემეცვალა. ტლანქად კი მომივიდა.

- პარიზი-დაკარის პირველ რალიში ვმონაწილეობდი. წავიდეთ, ხალხს მივეხმაროთ.

პირქუშად შევხედე იგნატს, რომელიც შეშას ჩეხდა. ნაჯახს მშვენივრად ხმარობდა. თითოეული დარტყმის შემდეგ ჩერდებოდა და წამიერ მზერას ესროდა გარშემო მყოფთ, თან კუნთებს ათამაშებდა.

ძალიან უყვარდა საკუთარი თავი. დანარჩენ სამყაროსაც, პრინციპში, არანაკლებად. მაგრამ საკუთარი თავი პირველ რიგში უყვარდა.

- დავეხმაროთ, - დავეთანხმე. მოვემზადე და ბინდში სამმაგი სამართებლის ნიშანი გამოვსახე. მორი რამდენიმე თანაბარ ნაჭრად დაიპო, იგნატმა კი, რომელსაც ის წუთია ნაჯახი აღემართა მორიგი დარტყმისთვის, წონასწორობა დაკარგა და კინაღამ დაეცა. თავი მოაბრუნა.

რა თქმა უნდა, ჩემი დარტყმის კვალი სივრცეში დარჩა. ბინდი წკარუნობდა და ხარბად შთანთქავდა ენერგიას.

- ანტოშა, რას აკეთებ? – მკითხა ოდნავ ნაწყენმა იგნატმა. – რას? მასე რა მუღამი აქვს?

- სამაგიეროდ უფრო ეფექტურია, - ვუპასუხე და ტერასიდან ჩამოვედი. – კიდევ დაგიპო?

- კარგი, რა... – იგნატი დაიხარა და ნაჭრების მოგროვებას შეუდგა. – მაშინ მწვადიც ფაიერბოლებით შევწვათ და ეგ იქნება...

დამნაშავედ სულაც არ ვგრძნობდი თავის, მაგრამ მაინც მივეხმარე. შეშა სიმეტრიულად იყო დაჩეხილი, გადანაჭრები ქარვისფრად ელვარებდა. საცოდაობაა ასეთი სილამაზის დაწვა.

შემდეგ სახლისკენ გავიხედე და პირველი სართულის ფანჯარასთან ოლგა შევნიშნე.

მთელი სერიოზულობით ადევნებდა თვალს ჩემს ესკაპადას. მეტისმეტი სერიოზულობით.

ხელი დავუქნიე.

თავი 5

ბოკვერს კარგი მოტოციკლი ჰყავდა... თუ ამ განუსაზღვრელი სიტყვის გამოყენება საერთოდ შეიძლება „ჰარლისთან“ მიმართებაში. სხვა მარკის მოტოციკლები მის ყველაზე უბრალო მოდელსაც კი არ შეედრება. არსებობს „ჰარლი დევიდსონი“ და არსებობს სხვა მოტოციკლები.

რაში სჭირდებოდა ბოკვერს ეს მოტოციკლი, არ ვიცოდი, წელიწადში ერთი-ორჯერ თუ იჯდა. ალბათ, იგივე მიზნისთვის, რისთვისაც უშველებელი აგარაკი უნდოდა. სამაგიეროდ, ქალაქში შუადღის ორ საათამდე ჩავედით.

სემიონი შესაშური ოსტატობით მართავდა ორთვალა მანქანას. მე ასე ვერასოდეს შევძლებდი, მეხსიერებაში ჩადებული ყველაზე „ექსტრემალური უნარებიც“ რომ ამემუშავებინა და რეალობის ხაზებისთვის თვალი მედევნებინა. იგივე სიჩქარით სვლას ძალის მარაგის საკმაოდ დიდი ნაწილის გახარჯვის გარეშე ვერ შევძლებდი. სემიონს კი უბრალოდ მიყავდა მოტოციკლი, და მთელი მისი უპირატესობა ადამიანი-მძღოლის წინაშე, დიდი გამოცდილება იყო.

ასი კილომეტრი სიჩქარით მოძრაობაც ვერ აგრილებდა გავარვარებულ ჰაერს. ქარი ცხელი ხაოიანი პირსახოცივით გვცემდა სახეში. თითქოს უხალისოდ მბობღავი, მზის გულზე მოხრუკული მანქანებით სავსე ალმოდებულ, უსასრულო გვირაბში მივქროდით. რამდენჯერმე მეგონა, რომელიღაცა მანქანას ან მოულოდნელად აღმოცენებულ ბოძს შევეჯახებოდით. სასიკვდილოდ არ დავიმტვრეოდით, გუშაგები იგრძნობდნენ, მოვიდოდნენ და ნაწილ-ნაწილ აგვაწყობდნენ... მაგრამ სასიამოვნოს მაინც არაფერს მოველოდი.

თავგადასავლების გარეშე ჩავედით. წრიული გზის გავლის შემდეგ სემიონმა ხუთჯერ გამოიყენა მაგია, მაგრამ მხოლოდ საგზაო ინსპექციისთვის თვალის ასახვევად.

მისამართი არც უკითხავს, თუმცა ჩემთან ნამყოფი არ ყოფილა. სადარბაზოსთან გააჩერა და ძრავა გამორთო. მოზარდები, რომლებიც საბავშვო მოედანზე იაფფასიან ლუდს შთანთქავდნენ, მომენტალურად ჩაცხრნენ და მოტოციკლს მიაშტერდნენ. რა კარგია, როცა ცხოვრებაში ასეთი მარტივი და გამოკვეთილი ოცნებები გაქვს – ლუდი, ექსტაზის ტაბლეტები, მაგარი გოგო და „ჰარლი“ უნაგირად.

- დიდი ხნის წინ გქონდა ხილვები? – მკითხა სემიონმა.

შევკრთი. საკუთარი ხილვების შესახებ სიტყვა არ დამცდენია.

- საკმაოდ.

სემიონმა თავი დამიქნია. ჩემს ფანჯრებს ახედა. რამ გამოიწვია კითხვა, აღარ ჩავძიებივარ.

- ხომ არ ამოგყვე?

- მისმინე, მე მგონი გოგო არ ვარ, კარამდე რომ მიმაცილო.

ჯადოქარმა ჩაიცინა:

- იგნატში ხომ არ გეშლები?.. კარგი, დაივიწყე. ფრთხილად იყავი.

- რატომ?

- მაინც, ყოველი შემთხვევისთვის.

მოტოციკლის ძრავი აგუგუნდა. ჯადოქარმა თავი გადააქნია:

- რაღაცა ახლოვდება, ანტონ. მოიწევს. ფრთხილად იყავი.

ადგილს მოსწყდა, რითაც ახალგაზრდობის აღტაცებული შეძახილები გამოიწვია, ადვილად გაიარა ვიწრო გასასვლელი გაჩერებულ „ვოლგასა“ და „ჟიგულს“ შორის, რომელიც ნელა მოძრაობდა. სემიონს გავხედე, თავი გავაქნიე. წინასწარ შემეძლო მეთქვა, რომ სემიონი როკერების რომელიღაცა დაჯგუფებას შეურთდებოდა, თხუთმეტ წუთში მათ რიგებში ჩაეწერებოდა და მალე მთელი ქალაქი ალაპარაკდებოდა ძველი შეშლილი მოტოციკლეტისტის შესახებ.

ფრთხილად იყავი...

რას მოვერიდო?

და, რაც ყველაზე მთავარია, რატომ?

სადარბაზოში შევედი, ავტომატურად ავკრიფე საკეტზე კოდი და ლიფტი გამოვიძახე. ჯერ კიდევ დილით ვისვენებდი მეგობრებთან ერთად და კარგად ვგრძნობდი თავს.

მეგობრები დროსტარებას აგრძელებდნენ, მაგრამ ჩემს გარეშე.

ამბობენ, როცა ნათელი ჯადოქარი წონასწორობას კარგავს, ამას ყოველთვის უსწრებს ხოლმე ერთგვარი „გაელვარება“, ავადმყოფებს რომ სჭირთ ხოლმე ეპილეფსიურ შეტევამდე. ძალის უმიზეზო გამოყენება... როგორიცაა ბუზების ფაიერბოლებით დახოცვა და შეშის ჩეხვა საბრძოლო შელოცვებით. საყვარელ ადამიანებთან შელაპარაკება. მოულოდნელი ჩხუბი მეგობრების ერთ ნაწილთან და ასეთივე მოულოდნელი დაახლოება მეორესთან. ყველასთვის ცნობილია, რით მთავრდება თეთრების გათიშვა.

ფრთხილად იყავი...

კართან მივედი, და გასაღებს მივწვდი.

მაგრამ კარი ღია დამხვდა.

საერთოდ გასაღები მშობლებსაც ჰქონდათ. მაგრამ სარატოვიდან იშვიათად ჩამოდიოდნენ ხოლმე გაფრთხილების გარეშე. თანაც მათ მოახლოებას ვიგრძნობდი.

უბრალო ბანდიტი ჩემს ბინაში ვერ შემოიჭრებოდა, კართან გაკეთებული მარტივი ნიშანი შეაჩერებდა. სხვანაირებისთვისაც არსებობს გარკვეული დაბრკოლებები. მათი გადალახვა, რა თქმა უნდა, ძალის საკითხია, მაგრამ დამცავი სისტემები მაინც ამოქმედდებოდა!

ვიდექი და კარსა და ჩარჩოს შორის აღმოჩენილ ჭუჭრუტანას ვუყურებდი, რომელიც იქ არ უნდა ყოფილიყო. ბინდში გადავიხედე, მაგრამ ვერაფერი დავინახე.

იარაღი თან არ მქონდა. პისტოლეტი სახლში იყო, ჩემი საბრძოლო ამულეტებიც.

შემეძლო, ინსტრუქციის მიხედვით მოვქცეულიყავი. ღამის საგუშაგოს თანამშრომელი, მაგიური საშუალებებით დაცულ სახლში უცხოს შეღწევის შემთხვევაში, ვალდებულია ოპერატიულ მორიგეს ან კურატორს აცნობოს ამის შესახებ, რის შემდეგაც...

წარმოვიდგინე, როგორ მოვუხმობდი ჰესერს, რომელმაც რამდენიმე საათის წინ თვალის დახამხამებაში გაფანტა მთელი დღის საგუშაგო, და ინსტრუქციების შესრულების ყოველგვარი სურვილი გამიქრა. თითები შევაერთე და „გაყინვის“ სწრაფი შელოცვა გამოვსახე. ალბათ, სემიონის ეფექტური ქმედება გამახსენდა.

ფრთხილად იყავი?

კარს ვკარი და საკუთარ სახლში შევედი, რომელიც მოულოდნელად მეუცხოვა.

და რომ შევედი, მაშინ მივხვდი, ვის უნდა ჰყოფნოდა ძალა, უფლებამოსილება და მარტივი სითავხედე, ჩემს სახლში დაუპატიჟებლად რომ შემოჭრილიყო.

- გამარჯობა, შეფ! – წარმოვთქვი და კაბინეტში შევიხედე.

რაშიც, რა თქმა უნდა, არ შევმცდარვარ...

ფანჯარასთან სავარძელში მჯდარმა ზავულონმა გაკვირვებულმა ასწია წარბები და გვერდზე გადადო „არგუმენტები და ფაქტები“, რომელსაც კითხულობდა. მშვიდად მოიხსნა სათვალე წვრილ ოქროსფერ ჩარჩოში და მხოლოდ ამის მერე მიპასუხა:

- გამარჯობა, ანტონ. იცი, სიამოვნებით ვიქნებოდი შენი შეფი.

მიღიმოდა, ბნელი ჯადოქარი, ყოველგვარ კატეგორიებზე აღმატებული, მოსკოვის დღის საგუშაგოს უფროსი. როგორც ყოველთვის, უზადო შავ კოსტუმსა და ღია ნაცრისფერ პერანგში გამოწყობილიყო. გამხდარი, გაურკვეველი ასაკის სხვანაირი მოკლედ შეკრეჭილი თმით.

- შემეშალა, - შევასწორე. – აქ რას აკეთებ?

ზავულონმა მხრები აიჩეჩა:

- ამულეტი აიღე. სადღაც უჯრაშია, ვგრძნობ.

მაგიდასთან მივედი, უჯრა გამოვაღე და ძვლის მედალიონი ამოვიღე სპილენძის ჯაჭვზე. ხელი მოვუჭირე და ვიგრძენი, როგორ გათბა ამულეტი.

- ზავულონ, ჩემზე ძალაუფლება არ გაქვს...

შავმა ჯადოქარმა თავი დამიქნია:

- კარგი. არ მინდა, საკუთარ უსაფრთხოებაში ეჭვი გეპარებოდეს.

- რას აკეთებ თეთრის სახლში, ზავულონ? შემიძლია ამისთვის ტრიბუნალს მივმართო.

- ვიცი, - ზავულონმა ხელები გაშალა. – ყველაფერი ვიცი. არასწორად ვიქცევი. სისულელეს ვაკეთებ. საკუთარ თავს და დღის საგუშაგოს საფრთხეში ვაგდებ. მაგრამ შენთან, როგორც მტერთან, არ მოვსულვარ.

გავჩუმდი.

- ჰო, სათვალთვალო მოწყობილობებზე შეგიძლია არ ინერვიულო, - დაუდევრად აღნიშნა ზავულონმა. – როგორც ჩვენსაზე, ისე ინკვიზიციის მიერ დაყენებულზე. საკუთარ თავს მათი... მოდი ასე ვთქვათ, დაძინების უფლება მივეცი. რასაც ახლა ერთმანეთს ვეტყვით სამუდამოდ დარჩება ჩვენს შორის.

- ადამიანს ნახევრად ვენდობი, ნათელს – მეოთხედზე, ბნელს კი საერთოდ არ ვენდობი... – ჩავიბურტყუნე.

- რა თქმა უნდა. შეგიძლია არ დამიჯერო. ვალდებულიც ხარ! მაგრამ გთხოვ, მომისმინო... – ზავულონმა გასაოცრად თბილად და მეგობრულად გამიღიმა. – შენ ხომ ნათელი ხარ. ვალდებული ხარ, დახმარება აღმოუჩინო ნებისმიერს, ვინც ამას ითხოვს... მათ შორის მეც. ჰოდა, მეც გთხოვ...

მცირედი ყოყმანის შემდეგ, დივანთან მივედი და ჩამოვჯექი. ფრიზიც არ მომიხსნია, რაოდენ სასაცილო არ უნდა იყოს ზავულონთან ბრძოლის წარმოდგენა.

უცხო საკუთარ ბინაში. ჩემი სახლი – ჩემი ციხე-სიმაგრეა... საგუშაგოში გატარებული წლების შემდეგ თითქმის დავიჯერე ამის.

- ჯერ ერთი, როგორ შემოხვედი? – ვკითხე.

- თავიდან ჩვეულებრივი საძრობი მოვიმარჯვე, მაგრამ...

- ზავულონ, მშვენივრად იცი, რაზეც გეუბნები. სიგნალის ბარიერების განადგურება შესაძლებელია, მაგრამ მოტყუება გამორიცხულია. უნდა ამუშავებულიყო უცხოს მოახლოებაზე.

შავმა ჯადოქარმა ამოიხვნეშა.

- კოსტია დამეხმარა შემოსვლაში. შენ ხომ მიეცი ამის უფლება.

- იმედი მქონდა, რომ ჩემი მეგობარი იყო, თუმცაღა ვამპირი.

- არის კიდეც შენი მეგობარი, - ზავულონმა გაიღიმა. – და შენი დახმარება უნდა.

- თავისებურად.

- ჩვენებურად, ანტონ. შენს სახლში კი შემოვიჭერი, მაგრამ ზიანის მოყენებას არ ვაპირებ. არ დამითვალიერებია სამსახურეობრივი დოკუმენტები, რომლებსაც ინახავ, არც სათვალთვალო ნიშნები დამიტოვებია. სალაპარაკოდ მოვედი.

- ილაპარაკე.

- ორივეს ერთი პრობლემა გვაქვს, ანტონ. ერთი და იგივე. და დღეს კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

როგორც კი ზავულონი დავინახე, მაშინვე მივხვდი, საითაც წავიდოდა საუბარი, ამიტომ მხოლოდ თავი დავუქნიე.

- კარგია... გესმის... – შავი ჯადოქარი წინ წამოიწია, ამოისუნთქა. – ანტონ, მე ილუზიებით არ ვიკვებები. სამყაროს განხსვავებულად ვუყურებთ. და საკუთარ მოვალეობასაც სხვადასხვანაირად აღვიქვამთ. მაგრამ ასეთ სიტუაციებშიც გვხვდება

ხოლმე გადაკვეთის წერტილები. ჩვენი, ბნელების გამტყუნება, ერთის მხრივ, ადვილია – თქვენი თვალსაზრისით. ზოგჯერ ურთიერთსაპირისპიროდ ვმოქმედებთ. და ადამიანების მიმართაც, ძალაუნებურად, ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე, ნაკლებ მზრუნველობას ვიჩენთ... ეს ყველაფერი სიმართლეა. თუმცა, არავის, ხაზგასმით აღვნიშნავ, არავის და არასდროს არ დავუდანაშაულებივართ კაცობრიობის ბედის განსაზღვრაში გლობალური ჩარევის მცდელობაში! შეთანხმების დადების შემდეგ, ჩვენ ჩვენი ცხოვრებით ვცხოვრობთ... და თქვენგანაც ამას მოველით.

- არავის დაუდანაშაულებიხართ, - დავეთანხმე. – რადგანაც დრო, რაც არ უნდა თქვა, მაინც თქვენს სასარგებლოდ მოქმედებს.

ზავულონმა თავი დამიქნია:

- ეს რას ნიშნავს? შეიძლება, ადამიანებთან უფრო ახლოს ვართ? შეიძლება, მართალი ვართ? მოკლედ, მოდი, მოვეშვათ ამ გაუთავებელ კამათს. გავიმეორებ, ჩვენ პატივს ვცემთ შეთანხმებას. და ხშირად მას ნათელ ძალებზე უფრო ზედმიწევნით ვასრულებთ.

კამათის ჩვეულებრივი ტაქტიკა. თავდაპირველად რაღაც საერთო ბრალის აღიარება. შემდეგ თანამოსაუბრის გაკიცხვა, რომ ისიც არანაკლებ უცოდველია ამ საერთო დანაშაულში. ერთი-ორი მათრახის გადაკვრა, და მაშინვე შეჩერება... დავივიწყეთ.

და მხოლოდ ამის მერე პირდაპირ საქმეზე გადასვლა.

- თუმცა, მოდი, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, - ზავულონმა სერიოზული სახე მიიღო. – რას მივედ-მოვედებით ყველანი აქეთ-იქით. ბოლო ათასწლეულის განმავლობაში ნათელმა ძალებმა სამი გლბალური ექსპერიმენტი განახორციელეს. რევოლუცია მოსკოვში, მეორე მსოფლიო ომი. და, ახლა... ისევ. იგივე სცენარის მიხედვით.

- ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობ, - განვუცხადე. გული საცოდავად მიკვნესდა.

- მართლა? გაგაგებინებ. მუშავდება სოციალური მოდელები, რომლებიც – მართალია ძირფესვიანი, ელდანარევი ცვლილებების, უამრავი სისხლის ფასად, კაცობრიობას, ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, იდეალურ საზოგადოებამდე მიიყვანს. იდეალური თქვენი თვალსაზრისით, მაგრამ არ შეგეკამათებით! სრულიადაც... ყველას აქვს ოცნების უფლება. მაგრამ ის, რომ მეტისმეტად ულმობელ გზას ირჩევთ... – და ისევ ნაღვლიანი ღიმილი. – თანაც ხშირად შეუბრალებლობაში ჩვენ გვადანაშაულებთ... კი, გაქვთ კიდევაც ამის საბაბი... მაგრამ რად ღირს შავ მესაზე მსხვერპლად შეწირული ერთი ბიჭი ერთ ჩვეულებრივ ფაშისტურ საბავშვო კონც-ბანაკთან შედარებით? ფაშიზმიც ხომ ერთ-ერთი თქვენი გეგმის შედეგია, რომელმაც, ისევ და ისევ, არ გაამართლა. თავიდან ინტერნაციონალიზმი და კომუნიზმი... არ გამოვიდა. შემდეგ

ნაციონალიზმ-სოციალიზმი. ესეც შეცდომა გამოდგა! შეყარეთ ერთად, შედეგს დააკვირდით. ამოიოხრეთ, ყველაფერი წაშალეთ, და ახალ ექსპერიმენტს შეუდექით.

- შეცდომები, თქვენი მეცადინეობის შედეგად.

- რა თქმა უნდა! ჩვენ ხომ თვითგადარჩენის ინსტინქტი გვაქვს! ჩვენ არ ვქმნით სოციალურ მოდელებს ჩვენი ეთიკის საფუძველზე. მაშ, რაღატომ უნდა დავუშვათ თქვენი პროექტები?

გავჩუმდი.

ზავულონმა თავი დამიქნია, აშკარად კმაყოფილმა.

- ასე რომ, ანტონ... ჩვენ შეიძლება მტრები ვიყოთ. ვართ კიდევაც. ამ ზამთარს სერიოზულად შეგვიშალე ხელი. გაზაფხულზე ისევ გადაგვიჭერი გზა. დღის საგუშაგოს ორი თანამშრომელი გაანადგურე. ჰო, რა თქმა უნდა, ინკვიზიციამ შენი საქციელი გაამართლა და უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეულად და თავდაცვის მიზნით ჩადენილად მიიჩნია, მაგრამ დამიჯერე, ჩემთვის ეს ძალიან არასასიამოვნო გადასატანია. რა განყოფილების უფროსი ხარ, თუ შენი თანამშრომლების დაცვა არ შეგიძლია? მაშ ასე, მტრები ვართ. მაგრამ ახლა უნიკალური სიტუაცია შეიქმნა. მორიგი ექსპერიმენტი. და შენ ამაში არაპირდაპირ გარეული ხარ.

- არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ.

ზავულონმა გაიცინა. ხელები ასწია:

- ანტონ, არ ვაპირებ, რამე გამოგძალო, ძალით გათქმევინო. შეკითხვების დასმას არ დავიწყებ. და არც არაფერს გთხოვ. უბრალოდ, მომისმინე. შემდეგ წავალ...

უცბად გამახსენდა, ამ ზაფხულს, მრავალსართულიანი სახლის სახურავზე, ჯადოქარმა ალისამ ჩარევის თავისი უფლება რომ გამოიყენა. ძალიან სუსტი, მართალია... უბრალოდ, სიმართლის თქმის უფლება მომცა. და ამ სიმართლემ ბიჭი ეგორი ბნელების მხარეზე გადაიყვანა.

რატომ ხდება ხოლმე ასე?

რატომ ხელმძღვანელობს სინათლე სიცრუით, ხოლო წყვდიადი – სიმართლით? რატომ არის ჩვენი სიმართლე ასე უსუსური, ხოლო სიცრუე – ასე ქმედითი? და რატომ იყენებს წყვდიადი სიმართლეს ასე მშვენივრად ბოროტების დასათესად? ვის ბუნებაში დევს ეს, ადამიანის თუ ჩვენს ბუნებაში?

- სვეტლანა მშვენიერი ჯადოქარია, - თქვა ზავულონმა. – მაგრამ მისი მომავალი ღამის საგუშაგოს ხელმძღვანელობასთან არ არის დაკავშირებული. მას ერთადერთი მიზნისთვის გამოიყენებენ, მისიისთვის, რომელიც ოლგამ წარუმატებლად

განახორციელა. შენ ხომ იცი, რომ ამ დილით სამარყანდიდან ქალაქში კურიერი შემოიჭრა?

- ვიცი, - რატომღაც ვაღიარე.

- მე კი შემიძლია, გითხრა, რა ჩამოიტანა. შენ ხომ ამის გაგება გინდა?

კრიჭა შევკარი.

- გინდა... – ზავულონმა თავი დამიქნია. – კურიერმა ცარცის ნაჭერი ჩამოიტანა.

ბნელებს არასოდეს დაუჯერო. მაგრამ რატომღაც მომეჩვენა, რომ არ ტყუოდა.

- ცარცის პატარა ნაჭერი, - შავმა ჯადოქარმა გაიღიმა. – შეგიძლია სასკოლო დაფაზე დაწერო, ან კლასობანას ცხრილი მოხაზო ასფალტზე, ან ბილიარდის კის გააპრიალო. ამის გაკეთება ისევე ადვილია, როგორც უშველებელი სამეფო ბეჭდით კაკლის მტვრევა. მაგრამ თუ ეს ცარცი დიდი ჯადოქრის ხელში მოხვდება... თან დიდებული ჯადოქრის – რიგითს ძალა არ ეყოფა და თან ჯაქდოქარი ქალის – კაცის ხელში უბრალო ცარცად დარჩება. თანაც ნათელი ჯადოქარი უნდა იყოს. წყვდიადისთვის არტეფაქტი უსარგებლოა.

მომეჩვენა, თუ ამოიოხრა? გავჩუმდი.

- ცარცის პატარა ნაჭერი... – ზავულონი სავარძელზე გადაწვა, და წინ და უკან რხევას შეუდგა. – გამოკვეთილი და გამოთლილი, იმდენჯერ ჭერიათ ნათელი ცეცხლით თვალებანთებულ ლამაზმანებს... როცა ამ ცარცის ნაჭერს პრაქტიკულად იყენებდნენ, დედამიწა იძვროდა... სახელმწიფოების საზღვრები იშლებოდა, იმპერიები აღმოცენდებოდა, მწყემსები წინასწარმეტყველებად იქცეოდნენ, ხოლო დურგლები – ღმერთებად, ნაბიჭვრებს მეფეებად აღიარებდნენ, სერჟანტები იმპერატორები ხდებოდნენ, უწიგნური სემინარიელები და უნიჭო მხატვრები ტირანებად გარდაიქმნებოდნენ... ცარცის პატარა ნატეხი. მხოლოდ და მხოლოდ.

ზავულონი წამოდგა. ხელები გაშალა:

- აი, ამის თქმა მინდოდა, ჩემო ძვირფასო მტარვალო. დანარჩენს შენ თვითონ გაიგებ, თუ მოინდომებ, რა თქმა უნდა.

- ზავულონ... – მუშტი გავშალე და ამულეტს დავხედე. – შენ წყვდიადის ნაშიერი ხარ.

- რა თქმა უნდა. მაგრამ იმ წყვდიადის, რომელიც ჩემში სუფევდა, რომელიც მე თვითონ ავირჩიე.

- შენ სიმართლეც ბოროტების მთესველია.

- ვისთვის? ღამის საგუშაგოსთვის? რა თქმა უნდა. ადამიანებისთვის? შენის ნებართვით, არ დაგეთანხმები...

კართან მივიდა.

- ზავულონ... – ისევ დავუძახე. ნანახი მაქვს შენი ჭეშმარიტი სახე. ვიცი, ვინც ხარ და რაც ხარ.

შავი ჯადოქარი გაქვავდა. შემდეგ ნელა მობრუნდა, სახეზე ხელი მოატარა – წამით სახე დაუმახინჯდა, კანის მაგივრად მქრალმა ქერცლმა გაიელვა, თვალები ვიწრო ნაპრალებივით გაუხდა...

ბნელი გაიფანტა.

- რა თქმა უნდა, ნანახი გაქვს, - ზავულონმა ისევ ადამიანის სახე მიიღო. – მე კიდევ შენი ჭეშმარიტი სახე ვნახე. და მინდა გითხრა, რომ არც შენ მეჩვენე თეთრ ანგელოზად მოელვარე ხმლით. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, საიდან იხედები. მშვიდობით, ანტონ. დამიჯერე, დიდი სიამოვნებით გაგანადგურებ... მაგრამ სხვა დროს. მაგრამ ახლა წარმატებას გისურვებ. მთელი გულით, რომელიც საერთოდ არ მაქვს.

ზავულონმა კარი გაიჯახუნა.

და მაშინვე, თითქოს გონს მოეგოო, ბინდიდან დამცავი ნიშანი გამოენთო. ჩხოენის ნიღაბი კედელზე დაიკლაკნა, თვალების ხის ჭრილში მრისხანებამ გაიელვა, პირი დააღო.

მაგარი მცველები მყავს...

ორი პასით ნიშანს გაჩუმება ვუბრძანე, ნიღაბს კი შემონახული ფრიზი გავუგზავნე. ხომ გამომადგა.

- ცარცის ნაჭერი... – გავიმეორე.

რაღაც მქონდა გაგონილი, მაგრამ ყურმოკვრით, ისიც ძალიან დიდი ხნის წინ. რამდენიმე ფრაზა, რომელიც ლექტორს წამოსცდა გაკვეთილის დროს ცარცის ზუსტად ამ ნატეხზე, მეგობრების ნაბჟუტურევი, თუ სასწავლებლის დროინდელი მონათხრობები, აღარ მახსოვდა...

დივანიდან წამოვდექი, ხელი ავწიე და ამულეტი ძირს მოვისროლე.

- ჰესერ! – ვიყვირე ბინდში. – ჰესერ, მიპასუხე!

იატაკიდან ჩრდილი დაიძრა, სხეულში გამიჯდა და შემიწოვა. შუქი გამქრალდა, ოთახი ატივტივდა, ავეჯის კონტურები წაიშალა. ოთახში აუტანელი სიჩუმე ჩამოწვა. სიცხემ უკან დაიხია. ვიდექი, ხელები განზე გამეშალა, ხარბი ბინდი კი გამალებით მწოვდა ძალებს.

- ჰესერ, გიხმობ, სახელითა შენითა!

ოთახში ნაცრისფერი ნისლის ძაფები დაცურავდა. არ მადარდებდა, ჩემს ყვირილს ვინ გაიგებდა.

- ჰესერ, ჩემო მოძღვარო, გიხმობ, მიპასუხე!

სადღაც ძალზედ შორს უხილავმა ჩრდილმა ამოიხვნეშა.

- მესმის შენი, ანტონ.

- მიპასუხე!

- რა კითხვაზე ეძებ პასუხს?

- ზავულონი არ ცრუობდა?

- არა.

- ჰესერ, შეჩერდით!

- გვიანია, ანტონ. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. მერწმუნე.

- ჰესერ, შეჩერდით!

- შენ არ გაქვს არაფრის მოთხოვნის უფლება.

- მაქვს! თუ ჩვენ სინათლეს ვეკუთვნით, თუ სიკეთეს ვთესავთ – მაქვს!

ჰესერი გაჩუმდა. ერთხანს ისიც ვიფიქრე, რომ შეფმა გადაწყვიტა, ხმა არ გამცეს... საერთოდ.

- კარგი. ნახევარი საათის შემდეგ პარაბარში გელოდები.

- სადა-სადა?

- პარაშუტისტების ბარში. მეტრო „ტურგენევსკაია“. ყოფილი მთავარი ფოსტამტის უკან.

სიჩუმე ჩამოვარდა.

უკან გადავდგი ნაბიჯი და ბინდიდან გამოვედი. ორიგინალური ადგილია შეხვედრისთვის. აქ ქონდა ჰესერს გარჩევა დღის საგუშაგოსთან? არა, ის ხომ რომელიღაცა რესტორანში მოხდა...

კარგი, გინდ პარაბარი იყოს, გინდ „როზი“, გინდ „შანსი“, არა აქვს მნიშვნელობა. გინდ პარაშუტისტები იყვნენ, გინდ – იაპპები, გინდ – ცისფერები.

მაგრამ ჰესერს სანამ შევხვდები, ერთი რამ აუცილებლად უნდა გავიგო.

მობილური ტელეფონი ამოვიღე და სვეტლანას ნომერი ავკრიფე. სვეტლანამ მაშინვე მიპასუხა.

- გამარჯობა, - მივესალმე. – აგარაკზე ხარ?

- არა, - მე მგონი საქმიანმა ტონმა ცოტათი დააბნია. – ქალაქში მივდივარ.

- ვისთან?

სვეტლანამ წაიბორძიკა:

- იგნატთან.

- კარგი, - გულწრფელად ვუთხარი. – მისმინე, ცარცის შესახებ გაგიგია რამე?

- რა?

აი, ახლა კი ნამდვილად დაიბნა.

- ცარცის მაგიური ნიშნების შესახებ. შენთვის არ უსწავლებიათ მისი მაგიაში გამოყენება?

- არა... ანტონ, ხომ კარგად ხარ?

- მეტი რომ არ შეიძლება.

- მოხდა რამე?

ოჰ, როგორ უყვართ ამ ქალებს ერთი და იმავე კითხვის ორი-სამი ვარიანტის დასმა...

- არაფერი ისეთი.

- გინდა... – ენა დაება. – გინდა, ოლიას ვკითხავ?

- ისიც თქვენთანაა?

- კი, სამივე დავბრუნდით ქალაქში.

- არა, არ გინდა. გმადლობ.

- ანტონ...

- რა არის, სვეტა?

მაგიდასთან მივედი და უჯრა გამოვაღე, სადაც ათასგვარი მაგიური ხარახურა მეყარა. მქრალ კრისტალებს შევხედე, ტლანქად გამოთლილ მაგიურ კვერთხს... მაშინ თავად მქონდა გადაწყვეტილი, მებრძოლი ჯადოქარი გავმხდარიყავი. უჯრა დავხურე.

- მაპატიე.

- რა უნდა გაპატიო?

- შეიძლება, შენთან მოვიდე?

- შორს ხართ?

- ნახევარ გზაზე.

თავი გავაქნიე და ვუპასუხე:

- არ გამოვა. მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს. მერე დაგირეკავ.

ტელეფონი გავთიშე. გამეღიმა. სიმართლე შეიძლება ხშირად ვერაგი და ცრუ აღმოჩნდეს. მაგალითად, თუ მხოლოდ სიმართლის ნაწილს იტყვი. თუ იტყვი, რომ არ გინდა ლაპარაკი, და არ ახსნი, რატომ.

ნება მიბოძეთ სიკეთე ბოროტების გზით ვაკეთო. სხვა საშუალება არ დამრჩენია.

ყოველი შემთხვევისთვის სახლი შემოვიარე, საძინებელში შევიხედე, ტუალეტში, აბაზანაში, სამზარეულოში. თუ ყნოსვა არ მატყუებდა, ზავულონს „საჩუქრები“ მართლა არ დაუტოვებია.

კაბინეტში დავბრუნდი და ნოუთბუქი ჩავრთე, დისკი ჩავდე მაგიის მონაცემთა ბაზით. პაროლი შევიყვანე და ჩავწერე სიტყვა „ცარცი“.

დიდი იმედი არ მქონია. ის, რისი გაგებაც მინდოდა, წვდომის ისეთ მაღალს საფეხურს ეკუთვნოდა, რომელიც კომპიუტერულ ბაზაში არასოდეს შექონდათ.

ბაზაში „ცარცი“ სამჯერ შემხვდა.

პირველად ლაპარაკი იყო ცარცის კარიერზე, სადაც მეთხუთმეტე საუკუნეში მოხდა დუელი პირველი საფეხურის ნათელ და ბნელ ჯადოქრებს შორის. ორივე დაიღუპა, ძალების ელემენტარული გამოფიტვით, შერკინების დასასრულს ბინდიდან გამოსვლა ვეღარ შეძლეს. მომდევნო ნახევარი საუკუნის განმავლობაში იმ მიდამოებში ათას კაცამდე დაიღუპა.

მეორე შემთხვევა ცარცის მაგიური ნიშნებისა და დამცავი წრეების გამოსახვისთვის გამოყენებას ეხებოდა. აქ გაცილებით მეტი ინფორმაცია მოიპოვებოდა, სწრაფად გადავიკითხე, რაც ეწერა. არაფერი განსაკუთრებული. ცარცის გამოყენებას ნახშირის, ფანქრის, სისხლის ან ზეთის საღებავების გამოყენებასთან შედარებით არანაირი უპირატესობა არ ჰქონდა. შეიძლება ის, რომ უფრო ადვილად იშლებოდა.

მესამეჯერ ცარცი „მითებისა და დაუმტკიცებელი მონაცემების“ სექციაში იყო ნახსენები. რა თქმა უნდა, აქ უამრავი სისულელე ეწერა, როგორიცაა ვერცხლისა და ნივრის ვამპირებთან საბრძოლველად გამოყენების შესახებ, ან არარსებული ცერემონიებისა და რიტუალების აღწერა.

მაგრამ მე უკვე მქონია ისეთი შემთხვევები, როდესაც „მითებს“ შორის ჭეშმარიტი, თუმცა კარგად მივიწყებულ ინფორმაცია მხვდებოდა.

ცარცი „ბედის წიგნების“ თავშიც იყო მოხსენიებული.

ნახევრამდე წავიკითხე, როცა მივხვდი, რომ მიზანს გავარტყი. ინფორმაცია აბსოლუტურად ღიად, ყველას თვალწინ იდო, და ნებისმიერ დამწყებ მაგს მიუწვდებოდა მასზე ხელი, შეიძლება ადამიანებისთვის ცნობილ წყაროებშიც გვხვდებოდა.

ბედის წიგნები. ცარცი.

ყველაფერი ემთხვეოდა.

ფაილი დავხურე და კომპიუტერი გამოვრთე. ცოტა ხანი ვიჯექი და ტუჩებს ვიკვნეტდი. საათს დავხედე.

დროა, ჩვენს უცნაურ თავშეყრის ადგილას მივემგზავრებოდე.

შხაპი მივიღე და გამოვიცვალე. ამულეტებიდან ზავულონის მედალიონი, ღამის საგუშაგოს ნიშანი და საბრძოლო დისკი დავიტოვე, რომელიც ერთ დროს ილიამ მაჩუქა – უძველესი ბრინჯაოს მრგვალი სხეული, ხუთმანეთიანზე ოდნავ დიდი ზომის. დისკი არასოდეს გამომიყენებია. როგორც ჯადოქარმა მითხრა, ამულეტში ერთი, მაქსიმუმ ორი მუხტი იყო დარჩენილი.

სამალავიდან პისტოლეტი ამოივიღე. მჭიდე შევამოწმე. ვერცხლის სასკდომი ტყვიები. მაქციების წინააღმდეგ კარგად მოქმედებს, ვამპირების წინაამდეგ ცოტათი საეჭვოა, ხოლო შავი ჯადოქრების წინააღმდეგ – საკმაოდ ეფექტური.

თითქოს საომრად მივდიოდე, და არა უფროსთან სალაპარაკოდ...

კართან ვიდექი, როცა ჯიბეში ტელეფონი აწკრიალდა.

- ანტონ?

- სვეტა?

- ოლგას უნდა შენთან ლაპარაკი... ყურმილს მივაწოდებ.

- მიდი, - დავთანხმდი, და საკეტი გავაღე.

- ანტონ... ძალიან მიყვარხარ. ძალიან გთხოვ, სისულელეს ნუ ჩაიდენ.

ვერც მოვიფიქრე, რა მეპასუხა – ყურმილი ოლგამ გამოართვა.

- ანტონ. მინდა, იცოდა, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია და ძალიან მალე განხორციელდება.

- ამ ღამეს, - დავუზუსტე.

- საიდან იცი?

- ვგრძნობ. უბრალოდ ვგრძნობ. ამიტომაც გაიწვიეს საგუშაგო ქალაქიდან, არა? და სვეტლანაც შესაბამის ფორმაში მოიყვანეს, სათანადო სულიერი განწყობა შეუქმნეს.

- რა იცი?

- ბედის წიგნი. ცარცი. ყველაფერი გასაგებია.

- ტყუილად ცდილობ, - მოკლედ მიპასუხა ოლგამ. - ანტონ, ვალდებული ხარ...

- არავის და არაფრის წინაშე არ ვარ ვალდებული. მხოლოდ სინათლის წინაშე, რომელიც ჩემშია.

გავთიშე და ტელეფონი საერთოდ გამოვრთე. საკმარისია. ჰესერი ისედაც დამიკავშირდება, ყოველგვარი ტექნიკური საშუალებების გარეშე. ოლგა ეცდება, გადამათქმევინოს. სვეტლანა... სვეტლანა მაინც ვერ გაიგებს, რას და რატომ ვაკეთებ.

გადაწყვიტე, ბოლომდე მიხვიდე – მაშინ მარტომ გაიარე ეს გზა. და არავის უხმო.

- დაჯექი, ანტონ, - მომმართა ჰესერმა.

ძალიან პატარა ადგილი იყო. ექვსი-შვიდი შემოღობილი მაგიდა. ბარის დახლი. კვამლით გაჟღენთილი. ტელევიზორში, გამორთული ხმით, პარაშუტისტების ხანგრძლივ ნახტომებს უჩვენებდნენ. კედლებზე მოფენილ სურათებზეც – იგივე, ჰაერში გაშლილი სხეულები კაშკაშა კომბინიზონებში. ხალხი ცოტა იყო, ალბათ, ამ დროს ასეა ხოლმე... სადილისთვის გვიანია, საღამოს პიკისთვის – ადრე. მაგიდებს თვალი მოვავლე და კუთხის მაგიდასთან ბატონი ბორისი შევნიშნე.

შეფი მარტო არ იყო. მაგიდაზე ხილის ხონჩა იდგა, შეფი იჯდა და ზანტად აცლიდა ყურძნის მტევნებს მარცვლებს. გვერდით მაღალი, შავგვრემანი ბიჭი ეჯდა, რომელსაც ხელები დაეკრიფა. ჩემი მზერა დაიჭირა... და მსუბუქი, მაგრამ საგრძნობი ზეწოლა ვიგრძენი.

სხვანაირი.

ხუთიოდე წამი ერთმანეთ ვუყურებდით, და თანდათან ვაძლიერებდით ზემოქმედებას. საკმაოდ დიდი შესაძლებლობები ჰქონდა, მაგრამ გამოუცდელი იყო. მცირე ხნით წინააღმდეგობა შევასუსტე, მის ზონდირებას ავარიდე თავი, და სანამ ბიჭი დამცავ საშუალებას მიმართავდა, სკანირება მოვასწარი.

სხვანაირი. ნათელი. მეოთხე საფეხური.

ბიჭი ტკივილისგან დაიკლაკნა. ჰესერს ნაცემი ძაღლივით გადახედა. – გაიცანით ერთმანეთი, - მოგვმართა შეფმა. – ანტონ გოროდეცკი, სხვანაირი, მოსკოვის ღამის საგუშაგო. ალიშერ განიევი, სხვანაირი, მოსკოვის ღამის საგუშაგო... ცოტა ხნის წინ გახდა. კურიერი.

ხელი გავუწოდე და დამცავი საშუალება მოვხსენი.

- ნათელი, მეორე საფეხური... –ალიშერმა თვალებში შემომხედა და წარმოთქვა. თავი დამიხარა.

თავი გავაქნიე და ვუპასუხე:

- მესამე.

ბიჭმა ისევ გადახედა ჰესერს. ამჯერად არა დამნაშავედ, არამედ გაკვირვებულმა.

- მეორე, - დამემოწმა შეფი. – პიკს მიაღწიე, ანტონ, მშვენიერ ფორმაში ხარ. გილოცავ. დაჯექი, ვილაპარაკოთ. ალიშერ, თვალი გვადევნე.

შეფის პირდაპირ დავჯექი.

- იცი, რატომ დაგინიშნე შეხვედრა მაინცდამაინც აქ? – მკითხა შეფმა. – მიირთვი ყურძენი, გემრიელია.

- საიდან უნდა ვიცოდე. შეიძლება აქ მოსკოვში ყველაზე ტკბილ ყურძენს სთავაზობენ.

ჰესერს გაეცინა.

- ყოჩაღ. მაგრამ ვერ გამოიცანი. ხილი ბაზარში ვიყიდეთ.

- მაშინ აქაური გარემო მოგწონთ.

შეფმა მხრები აიჩეჩა:

- დიდი არაფერი. პატარა დარბაზი... იმ კარს იქით საბილიარდოა, და კიდევ რამდენიმე მაგიდა.

- პარაშუტით ხტებით ხოლმე უჩუმრად, შეფ.

- ოცი წელია, არ გადმოვმხტარვარ, - მშვიდად მიპასუხა ჰესერმა. – ანტონ, ძვირფასო, აქ მხოლოდ იმიტომ მივირთმევ კარტოფილს ბიფსტროგანთან ერთად, და ყურძენს ვაყოლებ, რომ ერთი მიკროგარემო გაჩვენო. პაწაწინა საზოგადოება. მოეშვი, განიტვირთე... ალიშერ, ანტონს ლუდი მოუტანე! მიმოიხედე, მეომარო. სახეებს დააკვირდი. ლაპარაკს მოუსმინე. ჰაერი ჩაისუნთქე.

მივბრუნდი. ხის სკამის კიდისკენ მივჩოჩდი, რომ უკეთ შემეთვალიერებინა გარშემომყოფნი. ალიშერი დახლთან იდგა და ჩემს ლუდს ელოდებოდა.

უცნაური სახეები ჰქოდათ, „პარაბარის“ ხშირ სტუმრებს. რაღაცა ამოუცნობი აერთიანებდა ყველა მათგანს. განსაკუთრებული თვალები, განსაკუთრებული მიმიკები. არაფერი განსაკუთრებული... მაგრამ თითოეულს უხილავი დამღა ეტყობოდა.

- კოლექტივი, - განმარტა შეფმა. – მიკროგარემო. შემეძლო, შეხვედრა გეი-კლუბში „შანსი“ დამენიშნა, ან ლიტერატორთა ცენტრალური სახლის რესტორანში, ან იაფფასიან სასაუზმეში რომელიღაცა ქარხნის გვერდით. არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ იქ ვიწრო, ჩაკეტილი კოლექტივი შეკრებილიყო. რაღაც გარკვეული წილით საზოგადოებისგან იზოლირებული. არა „მაკდონალდსი“, არა მდიდრული რესტორანი, არამედ ღია ან დახურული კლუბი. იცი, რატომ? ეს ჩვენ ვართ. ეს ჩვენი საგუშაგოს მოდელია.

ხმას არ ვიღებდი. ერთ ახალგაზრდა კაცს ვუყურებდი, რომელიც ყავარჯნებით მივიდა მეზობელ მაგიდასთან, უარი თქვა დაჯდომაზე, ტიხარს დაეყრდნო და რაღაცის მოყოლას შეუდგა. მუსიკა სიტყვებს ფარავდა, მაგრამ საერთო აზრი ბინდის მეშვეობით გამოვიტანე. გაუშლელი და გახსნილი პარაშუტი. სათადარიგოთი დაშვება. მოტეხილობა. ჯანდაბა, ნახევარი წელი ხტომა აუკრძალეს!

- აქაური საზოგადოება ძალიან საინტერესოა, - აუჩქარებლად განაგრძობდა შეფი. – რისკი. მძაფრი შეგრძნებები. გარშემომყოფთა გაოცება უაზრო თავგანწირვის გამო. სლენგი. ნორმალური ადამიანებისთვის აბსოლუტურად გაუგებარი პრობლემები. და, სხვათა შორის, რეგულარული ტრავმები და სიკვდილი. მოგწონს აქაურობა?

დავფიქრდი და ვუპასუხე:

- არა. აქაური უნდა იყო, აქაურობა რომ მოგეწონოს. ან... საერთოდ არ უნდა იყო აქ.

- რა თქმა უნდა. ყველა მიკროსფერო საინტერესოა, ერთხელ თვალის შესავლებად. შემდეგ ან მის წესებს იღებ და პატარა სოციუმში შედიხარ, ან საერთოდ შორდები. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც, ჩვენ არაფრით არ განვსხვავდებით. არსით. თითოეული ახალ აღმოჩენილი სხვანაირი, რომელიც თავის ბუნებას შეიცნობს, არჩევანის წინაშე დგება. ან თავისი მხარის საგუშაგოში შედის, ჯარისკაცად, მებრძოლად, გარდაუვალ სიკვდილმისჯილად იქცევა. ან აგრძელებს თითქმის ადამიანურ ცხოვრებას, დიდად არ ავითარებს მაგიურ შესაძლებლობებს და სხვანაირის მთელი რიგი უპირატესობებით სარგებლობს... მაგრამ ასეთი ცხოვრების ნაკლოვანებებსაც მთელი ძალით იწვნევს. ყველაზე ცუდი კი იმის გააზრებაა, რომ თავდაპირველად მცდარი გადაწყვეტილება მიიღე. სხვანაირს უკვე აღარ სურს საგუშაგოს კანონების მიღება... ამა თუ იმ მიზეზებით. მაგრამ ჩვენი სტრუქტურიდან გამოსვლა თითქმის შეუძლებელია. მითხარი, ანტონ, შეძლებდი, საგუშაგოს გარეშე არსებობას?

რა თქმა უნდა, შეფი აბსტრაქტულ საუბარს არ დამიწყებდა...

- ალბათ, ვერა, - ვაღიარე. – ძალიან გამიჭირდებოდა, ფაქტობრივად ვერც შევძლებდი, რიგითი ნათელი ჯადოქარისთვის დასაშვები საზღვრების დაცვას.

- საგუშაგოში რომ არ შედიოდე კიდევ, მაგიურ ზემოქმედებას წყვდიადთან ბრძოლის საბაბით ვერ გაამართლებდი, არა?

- კი, ასეა.

- აი, რაშია მთელი სირთულე, ანტოშკა.. მთელი უბედურება, - შეფმა ამოიოხრა. – ალიშერ, რას გაქვავებულხარ...

შეფი ბიჭს პირდაპირ ჩაგრავდა. მიზეზის გამოცნობა არ გამჭირვებია – კურიერმა შეფს მოსკოვის საგუშაგოში ადგილი გამოსცინცლა, და ახლა ამის გარდაუვალ შედეგებს იწვნევდა.

- თქვენი ლუდი, ნათელო რაინდო, - ბიჭმა ოდნავ დამიკრა თავი და კათხა მაგიდაზე დადო.

უხმოდ ავიღე ლუდი. ეს ახალგაზრდა და ნიჭიერი მაგი არაფერში არ იყო დამნაშავე. სავსებით შესაძლებელია, ახლო მეგობრებიც გავმხდარიყავით. მაგრამ ახლა ალიშერზეც ვბრაზობდი – მოსკოვში ის ჩამოიტანა, რაც საბოლოოდ დაგვაშორებდა მე და სვეტლანას.

- ანტონ, რა ვქნათ? – მკითხა შეფმა.

- და რაშია საქმე? – ვუპასუხე, თან ერთგული ბებერი სენბერნარის თვალებს არ ვაშორებდი.

- სვეტლანა. მისი მისიის წინააღმდეგ გამოდიხარ.

- რა თქმა უნდა.

- ანტონ, ეს ხომ ანა-ბანაა. აქსიომა. შენ არ შეგიძლია საგუშაგოს პოლიტიკის წინააღმდეგ გამოხვიდე, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

- რა შუაშია აქ ჩემი პირადი ინტერესები? – გულწრფელად გავოცდი. – მე ვფიქრობ, რომ ოპერაცია, რომელსაც ამზადებთ, ამორალურია. კაცობრიობას არავითარ სარგებელს არ მოუტანს. ასე თუ ისე, მისი კარდინალურად შეცვლის მცდელობები ყოველთვის კრახით მთავრდებოდა.

- ადრე თუ გვიან, წარმატებასაც მივაღწევთ. გაითვალისწინე, რომ არ ვამტკიცებ ამ გეგმის უცილობელ წარმატებას, მაგრამ გამარჯვების შანსი ამჯერად განსაკუთრებით დიდია.

- არ მჯერა.

- შეგიძლია უმაღლეს ხელმძღვანელობას მიმართო საჩივრით.

- მოასწრებენ აპელაციის იმ დღემდე განხილვას, როცა სვეტლანა ხელში ცარცს აიღებს და ბედის წიგნებს გაშლის?

შეფმა თვალზე ხელი აიფარა და ამოიოხრა.

- არა. ვერ მოასწრებენ. ყველაფერი ამაღამ მოხდება, როგორც კი ჩვენი დრო დადგება. კმაყოფილი ხარ? გაიგე აქციის დრო?

- ბატონო ბორის, - სპეციალურად მივმართე ისე, როგორც პირველად გავიცანი. – მომისმინეთ. გთხოვთ. ოდესღაც სამშობლო დატოვეთ და რუსეთში ჩამოხვედით. და არა მარტო სინათლის ინტერესების ან კარიერის გამო. ოლგას გამო. მცირე ინფორმაცია მაქვს, ვიცი, რას მალავთ ზურგს უკან. რამდენ რამეს... სიძულვილსაც, სიყვარულსა, მუხანათობასაც, და კეთილშობილებასაც. მაგრამ უნდა გამიგოთ. შეგიძლიათ...

არ ვიცი, რას მოველოდი. როგორ პასუხს... თვალების არიდებას, ან კბილებში გამოცრილ დაპირებას ოპერაციის გადადების შესახებ.

- მშვენივრად მესმის შენი, ანტონ, - შეფმა თავი დამიქნია. – ვერც კი წარმოიდგენ, რა კარგად მესმის. სწორედ ამიტომ ვაგრძელებ აქციას.

- კი მაგრამ, რატომ?

- იმიტომ, ჩემო ბიჭო, რომ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა ბედი. და არაფერი არ შეედრება მას თავისი ძალით. ზოგს სამყაროს შეცვლა უწერია. ზოგს - არ უწერია. ზოგს სახელმწიფოების დამხობა უწერია, ზოგს კიდევ – კულისებში დგომა... მარიონეტების ძაფებით ცარცით მოთხუპნულ ხელებში. ანტონ, დამიჯერე, ვიცი, რასაც ვაკეთებ. დამიჯერე.

- არ მჯერა.

ავდექი, ლუდისთვის, რომელსაც უკვე ქაფის ქუდი მოეკიდა, პირი არ დამიკარებია. ალიშერმა კითხვის ნიშნით გადახედა შეფს, თითქოს მზად იყო, შევეჩერებინე.

- რაც გინდა, იქ ქენი, უფლება გაქვს, - მითხრა შეფმა. – შენში ნათელია, მაგრამ შენ ზურგს უკან – ბინდი. იცი, რასაც მოგიტანს თითოეული მცდარი ნაბიჯი. და იცი, რომ მზად ვარ... და ვალდებული ვარ – დაგეხმარო.

- ჰესერ, ჩემო მოძღვარო, გმადლობ ყველაფერისთვის, რაც მასწავლე, - თავი დავუხარე, რითაც პარაშუტისტების გაკვირვებული მზერა გამოვიწვიე. – არ ვთვლი საჭიროდ, რომ ამიერიდანაც ველოდო შენს დახმარებას. მიიღე ჩემი მადლიერება.

- ჩემს მიმართ ყოველგვარი ვალდებულებისგან თავისუფალი ხარ, - მშვიდად მიპასუხა ჰესერმა. – მოიქეცი ისე, როგორც შენი ბედი გიკარნახებს.

მორჩა. ასე ადვილად თქვა უარი ყოფილი შეგირდისაგან.

ისე, რამდენი ჰყავდა ნეტა ასეთი შეგირდები... რომლებიც ვერ ჩაწვდნენ მაღალ მიზნებსა და წმინდა იდეალებს? ასობით, ათასობით...

- მშვიდობით, ჰესერ, - ვუთხარი. ალიშერს შევხედე. – წარმატებას გისურვებ, ახალო გუშაგო.

ბიჭმა საყვედურით შემომხედა:

- თუ ნებას მომცემთ, ვიტყვი...

- თქვი, - დავრთე ნება.

- შენს ადგილას არ ვიჩქარებდი, ნათელო რაინდო.

- ისედაც დიდი ხანი ვითრევდი ფეხს, ნათელო რაინდო, ალიშერ - გავუღიმე. საგუშაგოში ყველა ერთ-ერთ ყველაზე უმცროს ჯადოქრად აღმიქვამდა, მაგრამ ყველაფერს ეჩვევი. ამ ახლაბედასთვის კი ავტორიტეტი ვიყავი. ჯერჯერობით. – ერთ მშვენიერ დღეს გაიგონებ დროის შრიალს, შენს თითებში ქვიშის მარცვლებივით როცა ჩაიცლება. მაშინ გამიხსენე. წარმატებას გისურვებ.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

თავი 6

პაპანაქება.

ძველ არბატზე მივდიოდი. მხატვრები, რომლებიც შაბლონურ პორტრეტებს ხატავდნენ, მუსიკოსები, რომლებიც სტერეოტიპულ მუსიკას უკრავდნენ, მოვაჭრეები, რომლებიც ერთფეროვან სუვენირებს ყიდდნენ, უცხოელები სტანდარტული ინტერესებით ანთებული თვალებით, მოსკოველები, რომლებიც ჩვეული გაღიზიანებით ჩაუქროლებდნენ ხოლმე ამ იაფფასიან მასკარადს...

ერთი თქვენი თავი შემაჯანჯღარა.

გაჩვენოთ პატარა სანახაობა?

ავათამაშო ჭექა-ქუხილი? ჩავყლაპო ნამდვილი ცეცხლი? ვაიძულო ტროტუარი გაიხსნას და მინერალური წყალი ამოხეთქოს? განვკურნო ათეულობით ხეიბარი? დავაპურო მოხეტიალე მაწანწალები არაფრისგან წარმოშობილი ფუნთუშებით?

რისთვის?

ფაიერბოლებისთვის, რომლითაც უწმინდურობას უნდა ვებრძოდე, ერთ მუჭა ხურდას რომ ჩამიჩხრიალებენ. მინერალური წყალი გამსკდარი წყლის მილი აღმოჩნდება. ეს უსახლკარო ხეიბრები კი გამვლელთა უმრავლესობაზე მდიდრები და ჯანმრთელები არიან. მაწანწალები გაიფანტებიან, იმიტომ, რომ დიდი ხანია მიხვდნენ - უფასო ფუნთუშები არ არსებობს.

კი, მესმის ჰესერის, მესმის წყვდიადთან მებრძოლი უმაღლესი ჯადოქრების. არ შეიძლება მუდმივად უსუსურობის განცდით ცხოვრობდე. არ შეიძლება მუდმივად სანგარში ჯდომა – ეს არმიას უფრო მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე მომხდურის ტყვიები.

მაგრამ მე რაღა შუაში ვარ?

ნუთუ გამარჯვების ალამი აუცილებლად ჩემი სიყვარულისგან უნდა შეიკეროს?

რა შუაშია აქ ეს ხალხი?

ქვეყნის გადატრიალება და აღდგენა ადვილი საქმეა, მაგრამ ვინ აღუდგება წინ ხალხის დაცემას?

ნუთუ ვერასდროს ვისწავლით ჭკუას?

ვიცოდი, რასაც აპირებდა ჰესერი... უფრო სწორედ, სვეტლანა რას გააკეთებდა მისი ბრძანებით. ვხვდებოდი, რა შეიძლებოდა მოყოლოდა ამას, და ისიც წარმოვიდგინე, რა ხრიკებსაც გამოიყენებდნენ ბედის წიგნში ჩარევის გასამართლებლად. ვიცოდი, როდის განხორციელდებოდა ოპერაცია, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, სად და რა ფორმით ჩატარდებოდა.

და სწორედ ეს იყო საბედისწერო გარდაუვალობა.

ზავულონისთვის თავყვანის საცემად მიახლება.

და შემდეგ, პირდაპირ ბინდში...

არბატის შუაგულამდე მივედი, როცა ძალის სუსტი, ოდნავ საგრძნობი მოძრაობა შევნიშნე. სადღაც ჩემთან ახლოს მაგიური ზემოქმედება ხდებოდა, არც თუ ისე ძლიერი, მაგრამ...

წყვდიადი!

რაც არ უნდა ეფიქრა ჰესერს, რამდენიც არ უნდა ეკამათა, მაინც ღამის საგუშაგოს ჯარისკაცად ვრჩებოდი.

ცალი ხელით ამულეტს მივწვდი, ჩრდილს ვუხმე და ბინდში გადავედი.

ოჰ, რა მიშვებული იყო აქაურობა!

დიდი ხანია მოსკოვის ცენტრში ბინდში არ გამივლია.

იქაურობას ხალიჩასავით გადაკვროდა ლურჯი ხავსი. მდორედ მოძრავი ძაფები მოლივლივე წყალის ილუზიას ქმნიდა. ჩემს გარშემო რგოლები იქმნებოდა და იშლებოდა – ხავსი ერთდროულად ხვრეპდა ჩემს ემოციებს და ცდილობდა, შორს გაწოვილიყო. მაგრამ ბინდის წვრილმანი ოხუნჯობები ახლა არ მაღელვებდა.

ნაცრისფერ სივრცეში, რომელსაც ჩამობნელებული ზეცა გადაკვროდა, მარტო არ ვიყავი.

ჩემსკენ ზურგით მდგარ გოგოს ვუყურებდი. ვუყურებდი, და ვგრძნობდი, როგორ მეკვროდა სახეზე ბოროტი ღიმილი. ნათელი ჯადოქრისთვის შეუფერებელი ღიმილი. „სუსტი ზემოქმედებაც ამას ქვია“, ვერაფერს იტყვი!

მესამე თანრიგის მაგიური ზემოქმედება?

ოი-ეი-ეი...

ეს სახუმარო საქმე არაა, გოგონი. იმდენად სერიოზულია, რომ ალბათ ჭკუიდან გადახვედი, ასეთ რამეს რომ ბედავ. მესამე საფეხური შენს ძალებს აღემატება, სხვისი ამულეტით სარგებლობ.

მე კიდევ საკუთარი ძალებით ვეცდები, მოვაგვარო საქმე.

მივუახლოვდი, ჩემი ფეხის ხმა რბილ ლურჯ ფარდაგზე ვერც გაიგო, იმდენად იყო გართული. გარშემო ადამიანების ბუნდოვანი ჩრდილები დაქროდნენ.

- ანტონ გოროდეცკი, ღამის საგუშაგო, - მოვახსენე. – ალისა დონიკოვა, დაპატიმრებული ხართ.

ჯადოქარმა შეჰკივლა და შემობრუნდა. ხელში ამულეტი ეჭირა – ბროლის პრიზმა, რომლის მეშვეობითაც გამვლელებს აკვირდებოდა. გოგომ ინსტინქტურად სცადა ამულეტის დამალვა, შემდეგ ჩემთვის პრიზმის მეშვეობით შეხედვა მოინდომა.

ხელი დავუჭირე და გავაჩერე. ერთმანეთის გვერდით ვიდექით და ნელ-ნელა ვაძლიერებდი ზეწოლას, მტევანს ვუგრეხდი ჯადოქარს. მსგავსი სცენა კაცსა და ქალს შორის სამარცხვინო იქნებოდა ადამიანური თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენში, სხვანაირებში, ფიზიკური ძალა იმის მიხედვით არ იზომება, რომელ სქესს ეკუთვნი, ან რამდენად ნავარჯიშევი კუნთები გაქვს. ძალების წყაროდ ბინდს, გარშემომყოფ ადამიანებს ვიყენებთ. საინტერესოა, რამდენის გამოცლა შეეძლო გარემოსგან ალისას, სავსებით შესაძლებელია, ჩემზე მეტიც.

მაგრამ მე დანაშაულის ადგილას მივუსწარი. და ახლომახლო შესაძლოა სხვა გუშაგებიც ყოფილიყვნენ. საპირისპირო საგუშაგოსთვის, რომელმაც ოფიციალურად

განაცხადა დაკავების შესახებ, წინააღმდეგობის გაწევა ადგილზე განადგურებისთვის საკმარისი საბაბია.

- არ გეწინააღმდეგები, - წარმოთქვა ალისამ და მუშტი გაშალა. პრიზმა რბილად დაეცა ხავსზე, რომელიც აშიშინდა, ათუხთუხდა და ბროლის ამულეტი შთანთქა.

- პრიზმის ძალა? – რიტორიკულად ვკითხე. – ალისა დონიკოვა, თქვენ მესამე თანრიგის მაგიური ჩარევა განახორციელეთ.

- მეოთხე, - ჩამისწორა სწრაფად.

მხრები ავიჩეჩე.

- მესამე, თუ მეოთხე, პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. ამას ტრიბუნალი გადაწყვეტს, ალისა. ახლა კი მაგრად გაები.

- არაფერი გამიკეთებია, - ჯადოქარი ამაოდ ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებას. – პერსონალური ნებართვა მაქვს პრიზმის ტარების. არ გამომიყენებია.

- ალისა, ნებისმიერი მაღალი საფეხურის მაგი შეძლებს ამ პრიზმის მეშვეობით მთელი ინფორმაციის მიღებას.

ხელი დავუშვი და ლურჯ ხავსს ვუბრძანე, გაშლილიყო. პრიზმა წამიერად აღმოჩნდა ხელის გულზე. ამულეტი ყინულივით ცივი იყო.

- მეც კი შემიძლია მისი მეშვეობით მონაცემები მივიღო... – ვუთხარი. – ალისა დონიკოვა, სხვანაირი, ბნელი ძალების მსახური, მეოთხე საფეხურის დღის საგუშაგოს ჯადოქარი – შეთანხმების დარღვევის ოფიციალურ ბრალდებას გიყენებთ. წინააღმდეგობის შემთხვევაში იძულებული ვიქნები, გაგანადგუროთ. ხელები ზურგს უკან.

დამემორჩილა. შემდეგ მოულოდნელად შეუდგა სწრაფად, დამაჯერებლად ლაპარაკს, ხმაში ყველაფერი ჩააქსოვა, რაც კი შეეძლო:

- ანტონ, მოიცა, გეხვეწები, მომისმინე... კი, პრიზმა გამოვცადე, მაგრამ დამიჯერე, პირველად მომანდეს ასეთი ძალის ამულეტი! ანტონ, იდიოტი ხომ არ ვარ, შუა მოსკოვში ხალხს დავესხა თავს, ან რისთვის მჭირდება? ანტონ, ჩვენ ხომ ორივენი სხვანაირები ვართ! მოდი, მშვიდობიანად მოვაგვაროთ ეს საქმე? ანტონ?

- რომელ მშვიდობაზეა ლაპარაკი? – პრიზმა ჯიბეში ჩავიდევი და ვკითხე. – წავედით.

- ანტონ, მეოთხე... მესამე საფეხურის ჩარევა! ნებისმიერი მესამე საფეხურის ჩარევა სინათლის სასარგებლოდ! ჩემნაირი სულელური თამაში კი არა პრიზმით, არამედ სრულფასოვანი ჩარევა!

ალისას პანიკის მიზეზს მშვენივრად ვხვდებოდი. ამ ინციდენტს ალისას ბლოკირება მოყვებოდა შედეგად. დღის საგუშაგოს თანამშრომელი პირადი მიზნებისთვის სწოვს ადამიანებს სასიცოცხლო ძალებს – ეს ისეთი მასშტაბის სკანდალია... ალისას უყოყმანოდ გადასცემენ.

- შენ არ გაქვს ასეთი კომპრომისების უფლებამოსილება. დღის საგუშაგოს ხელმძღვანელობა გააუქმებს შენს დაპირებას.

- ზავულონი დაგეთანხმება!

- ჰო? – მისმა თავდაჯერებულმა ტონმა დამაბნია. ალბათ, ზავულონის საყვარელია. მაინც გასაოცარია... – ალისა, ერთხელ დავდე შენთან მშვიდობიანი შეთანხმება...

- რა თქმა უნდა, და მაშინ მე თვითონ შემოგთავაზე შენი ჩარევის პატიება...

- და რით დამთავრდა ეს ყველაფერი? – გავუღიმე. – გახსოვს?

- ახლა სულ სხვა სიტუაციაა, კანონი მე დავარღვიე... – ალისამ თვალები დახარა. – შენ... საპასუხო დარტყმის უფლება გექნება. არ გჭირდება მესამე თანრიგის თეთრ მაგიაზე ნებართვა? ნებისმიერ თეთრ მაგიაზე? შეგიძლია ოცი ნაძირალა წმინდანის სიმაღლემდე აიყვანო! ათი მკვლელი ადგილზე აქციო მტვრად! კატასტროფა შეაჩერო, შენს სასარგებლოდ შემოაბრუნო დრო! ანტონ, ნუთუ ეს ყველაფერი ჩემს სულელურ გამოხტომაზე ძვირად არ გიღირს? შეხედე, ირგვლივ ყველა ცოცხალია! ვერ მოვასწარი ვერაფრის გაკეთება, ახალი დაწყებული მქონდა...

- ყველაფერი, რასაც ახლა იტყვი, შენ წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

- ვიცი, ვიცი!

თვალებზე ცრემლები უბზინავდა. და ალბათ, გულწრფელიც იყო, რადგან ჯადოქრობის მიუხედავად, ალისა მაინც ჩვეულებრივ გოგოდ რჩებოდა, ლამაზ, დამფრთხალ, შემცდარ გოგოდ. რა დამნაშავეა, რომ წყვდიადის გზაზე დადგა?

ვიგრძენი, როგორ იდრიკებოდა ჩემი ემოციური ფარი და თავი გავაქნიე:

- ნუ მაიძულებ...

- ანტონ, გთხოვ, მოდი, მშვიდობიანად მოვაგვაროთ ეს საქმე!

მჭირდება რამეში მესამე საფეხურის ჩარევა?

ო-ჰო-ჰო... თან როგორ მჭირდება. ნებისმიერი თეთრი მაგი ოცნებობს ასეთი კარტ-ბლანშის მიღებაზე! წამით მაინც რომ ვიგრძნო, რომ სრულფასოვანი მეომარი ვარ, და არა ტილიანი მესანგრე, რომელიც უღიმღამოდ შესცქერის დაზავების თეთრ დროშას...

- შენ არ გაქვს ასეთი შემოთავაზების უფლება, - მტკიცედ შევახსენე.

- მექნება! – ალისამ თავი გააქნია და ღრმად ჩაისუნთქა: - ზავულონ!

ხელი საბრძოლო ამულეტის პატარა დისკს მოვუჭირე და ველოდი.

- ზავულონ, გიხმობ! – მისი ხმა წივილში გადაიზარდა. შევნიშნე, რომ ადამიანურმა ჩრდილებმა სვლა ააჩქარეს – ხალხი ამოუცნობ შიშს გრძნობდა და ნაბიჯს უჩქარებდა.

შეძლებს კიდევ ერთხელ მიაწვდინოს ბნელეთის შეფს ხმა?

როგორც მაშინ, რესტორან „მაჰარაჯაში“, სადაც ზავულონმა კინაღამ გამომასალმა სიცოცხლეს თავის მეხისმფრქვეველი შუბით?

მაგრამ ვერ მომკლა. ამაცილა.

მიუხედავად იმისა, რომ პროვოკაციას ჰესერი გეგმავდა. და ზავულონი... შეიძლება... გულწრფელად ფიქრობდა, რომ ბნელების სიკვდილში დამნაშავე მე ვიყავი.

მაშ, გარკვეული გეგმები ქონდა ჩემთან დაკავშირებით?

თუ ფარულად, უჩუმრად ერეოდა ჰესერი, და დარტყმებს მაცილებდა?

არ ვიცი. როგორც ყოველთვის, ანალიზისთვის ინფორმაცია არ მყოფნიდა. შეიძლება ოცდაათი ვერსია მომეგონა, და ოცდაათივე ერთმანეთის საპირისპირო იქნებოდა.

მინდოდა კიდეც, რომ ზავულონი არ გამოხმაურებოდა. მაშინ ალისას ბინდიდან გამოვათრევდი, შეფს ან რომელიმე ოპერატიულს გამოვიძახებდი, და ხელი ხელში გადავცემდი... თვის ბოლოს პრემიას მივიღებდი. ჰოო... სწორედ პრემიისთვის მცხელა!

- ზავულონ! – მის ხმაში წრფელი მუდარა ისმოდა. - ზავულონ!

ტიროდა, თავისდაუნებურად. ტუში შავად ჩამოეღვენთა.

- აზრი არა აქვს, - ვუთხარი. – წავედით.

და სწორედ ამ წუთას ორიოდე მეტრში შავი პორტალი გაიღო.

თავიდან სიცივემ ძვლებამდე დაგვიარა. თან ისე, რომ ადამიანურ სამყაროში ჩამოწოლილი ხვითქი ამასთან შედარებით ნეტარებით გამახსენდა. ხავსი აალდა და მთელი ქუჩის გასწვრივ აენთო. რა თქმა უნდა, ზავულონს განზრახ არ დაუწვია, უბრალოდ გახსნილმა კარიბჭემ იმხელა ძალა გადმოანთხია, რომ ხავსმა ვერ მოასწრო მისი დამუშავება.

- ზავულონ... – ჩაიჩურჩულა ალისამ.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/

ხუთიოდე მეტრში ტროტუარიდან იისფერმა სხივმა იფეთქა. შუქი თვალებს ჭრიდა, ხელი მოვიჩრდილე ძალაუნებურად, და როცა ისევ გავიხედე იქით, ნაცრისფერ ბურუსში გახვეული მოლურჯო-მოშავო ბუშტი შევნიშნე. მისგან ნელ-ნელა გადმოდიოდა რაღაც ხეშეში, ქერცლით მოსილი არსება, რომელიც ბუნდოვნად წააგავდა ადამიანს. ზავულონი ძახილზე ბინდის მეორე ან მესამე შრეში მოდიოდა, რომელთან შედარებით აქაური დრო ისეთივე ნელი იყო, როგორც ადამიანური დრო ჩვენთვის.

მოულოდნელად ვიგრძენი უსუსურობა, რომელსაც, მეგონა, დიდი ხნის წინ ვძლიე. შესაძლებლობები, რომლითაც ზავულონი ან ჰესერი ასე ადვილად სარგებლობდნენ, არა მარტო ჩემს ძალებს აღემატებოდა, არამედ - ჩემს ტვინსაც...

- ზავულონ! – შესძახა ალისამ, რომელსაც ისევ ზურგს უკან ჰქონდა ხელები შემოწყობილი, და საზარელი ურჩხულისკენ გაქანდა. ჩაეკრა და თავი ეკლიან ქერცლებში ჩარგო. – დამეხმარე, დამეხმარე...

რა თქმა უნდა, ზავულონმა დემონური იერ-სახე იმიტომ არ აირჩია, რომ ჩემზე შთაბეჭდილება მოეხდინა. ადამიანური სახით ერთი წუთიც ვერ გაძლებდა ბინდის ღრმა შრეებში. ზავულონს კი, ალბათ, რამდენიმე საათი, ან შეიძლება, დღეც მოუწია სიარული.

მონსტრმა ვიწრო თვალები შემომანათა. ორკაპიანი ენა გამოყო და ალისას თავზე გადაუსვა, რის შედეგადაც თმაზე თეთრი ლორწოვანი კვალი დაუტოვა. კლანჭებიანი თათი ალისას ნიკაპს მოავლო და ნაზად აუწია სახე – თვალებში ჩახედა. ინფორმაციის გაცვლა სწრაფად მოხდა.

- სულელო! – დაიღრიალა დემონმა. ენა ისე სწრაფად შეაცურა, კინაღამ ეშვებში მოიყოლა. – გაუმაძღარო სულელო!

ჰო. დავემშვიდობო მესამე დონის ჩარევის უფლებას, ის დროა.

დემონის მოკლე კუდი ალისას შოლტივით მოხვდა ფეხებზე, აბრეშუმის კაბა შემოახია და მიწაზე დასცა. ურჩხულს თვალები აენთო – ჯადოქარი ცისფერმა ნათებამ შემოსა და გააქვავა.

არ ეღირსება ალისას დახმარება.

- შემიძლია დაკავებული წავიყვანო, ზავულონ? – ვკითხე.

მონსტრი იდგა და მოგრეხილ თათებზე ირწეოდა. კლანჭები ხან იკეცებოდა, ხან ისევ იშლებოდა. შემდეგ ნაბიჯი გადადგა, და ჩემსა და გაქვავებულ გოგოს შორის ჩადგა.

- გთხოვ, დაადასტურო დაკავების კანონიერება, - მივმართე. – წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები, დახმარებას მივმართო.

დემონმა ტრანსფორმირება დაიწყო. სხეულის პროპორციები ეცვლებოდა, ქერცლი კანმა შეიწოვა, კუდი შეიკეცა, პენისი ლურსმებგარჭობილ კონდახს აღარ მიუგავდა. შემდეგ ზავულონი ტანსაცმლით შეიმოსა.

- მოიცადე, ანტონ.

- რაღას უნდა ვუცადო?

შავი მაგის სახე შეუვალი რჩებოდა. დემონის სახით ალბათ უფრო მეტ ემოციას გამოხატავდა, ან არ თვლიდა საჭიროდ მათ დამალვას.

- ვადასტურებ ალისას პირობას.

- რა?

- თუ საქმეს ოფიციალური სახე არ მიეცემა, დღის საგუშაგო შენს ჩარევას შეურიგდება, მესამე საფეხურის ჩათვლით.

სრული სერიოზულობით ლაპარაკობდა.

ნერწყვი გადავყლაპე. დღის საგუშაგოს ხელმძღვანელისგან ასეთი დაპირების მიღება...

- ბნელებს არასოდეს დაუჯერო.

- ნებისმიერი ჩარევა მეორე საფეხურის ჩათვლით.

- ნუთუ ასე ერიდები სკანდალს? – ვკითხე. – თუ რამეში გჭირდება ეს გოგო?

ზავულონს სახეზე ალმურმა დაუარა:

- მჭირდება. მიყვარს.

- არ მჯერა.

- როგორც მოსკოვის დღის საგუშაგოს ხელმძღვანელი გთხოვთ, გუშაგო ანტონ, ეს საკითხი შერიგების გზით გადაჭრათ, რაც შესაძლებელია, რადგან ჩემმა ქვეშევრდომმა, ალისა დონიკოვამ, ვერ მოასწრო ადამიანებისთვის საგრძნობი ზიანის მიყენება. მისი მესამე საფეხურის შავი მაგიური ჩარევის მცდელობისთვის – ზავულონმა ბოლო სიტყვა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა, - კომპენსაციის სახით, უფლება გეძლევა, განახორციელოთ ნათელი მაგიური ჩარევა მეორე საფეხურის ჩათვლით. დღის საგუშაგო ნებისმიერ ნათელ ჩარევას შეეგუება, მეორე საფეხურის ჩათვლით, რომელსაც შენ განახორციელებ. არ ვითხოვ ამ შეთანხმების გასაიდუმლოებას. შენს ქმედებას არავითარ შეზღუდვას არ ვუწესებ. ხაზს ვუსვამ, რომ გუშაგი ალისა მკაცრად დაისჯება ჩადენილი უკანონო ქმედებისათვის. დეე, წყვდიადი იყოს ჩემი სიტყვების მოწმე.

მეტად მსუბუქი რხევა... მიწისქვეშა გუგუნი, მოახლოვებული ქარიშხალის გრგვინვა. ზავულონის ხელის გულზე პაწაწინა შავი ბურთულა აღმოცენდა და დატრიალდა.

- სიტყვას გითმობ, - წარმოთქვა ზავულონმა.

ტუჩები მოვილოკე და შელოცვით შეკრულ ალისას გადავხედე. ღვარძლიანი ქალია, რაც არ უნდა თქვა, თან პირადი ანგარიშიც მაქვს მასთან.

შეიძლება, ამიტომაც არ მინდოდა საქმე კომპრომისით დამესრულებინა? და არა წყვდიადთან შეთანხმების მიღწევით გამოწვეული საშიშროების გამო? ალისა პრიზმის გამოყენებით რომელიღაცა ადამიანის სასიცოცხლო ენერგიის შეწოვას ცდილობდა. ეს კი მესამე ან მეოთხე საფეხურის მაგიაა. მე კი მეორე საფეხურის ჩარევის უფლება მომეცემა, რაც ძალიან, ძალიან ბევრს ნიშნავს. ფაქტობრივად, გლობალური ზემოქმედება! ქალაქი, სადაც დღე-ღამის განმავლობაში არც ერთი დანაშაული არ მოხდება. გენიალური და უდავოდ კეთილშობილი მიღწევა. რამდენჯერ დაგვჭირვებია, ღამის საგუშაგოს მთელი ისტორიის განმავლობაში, მესამე-მეოთხე საფეხურის ჩარევა და უფლება არ გვქონია, და იძულებული ვიყავით, ალალბედზე გვემოქმედა, და შიშის ზარით დავლოდებოდით ბნელების საპასუხო ქმედებას!

ახლა კი მოულოდნელად მეორე საფეხურის ზემოქმედების უფლებას, ფაქტობრივად, უსასყიდლოდ ვიღებდი.

- დეე, ნათელი იყოს შენი სიტყვების მოწმე, - დავემოწმე ზავულონს და ხელი გავუწვდინე.

უზენაეს ძალებს პირველად ვუხმობდი მოწმედ. ვიცოდი მხოლოდ, რომ საამისოდ არავითარი სპეციალური შელოცვები არ იყო საჭირო. და იმის გარანტიაც, რომ სინათლე ჩვენს საქმეებს გაუყადრებდა თავს, არ მქონია.

ჩემს ხელში თეთრი ცეცხლის ალმა იფეთქა.

ზავულონს სახე შეეჭმუხნა, მაგრამ ხელი არ აუღია. როცა შეთანხმება დავდეთ, სინათლე და წყვდიადი ჩვენს ჩამორთმეულ ხელებში შეხვდა ერთმანეთს. ტკივილის ჩხვლეტა ვიგრძენი, თითქოს ვიღაცამ ნემსი გამირჭო.

- შეთანხმება დადებულია, - წარმოთქვა შავმა ჯადოქარმა.

სახე შეეცვალა. მასაც შეეხო ტკივილი.

- შენ ამ საქმიდანაც სარგებლის მიღების იმედი გაქვს? – ვკითხე.

- რა თქმა უნდა. ცარიელ ჯამში ხელს არ ვყოფ. და ხშირად კარგი ლუკმაც მერგება ხოლმე.

ყოველ შემთხვევაში, ამ შეთანხმებით ზავულონს არავითარი სიხარული არ უგრძვნია. არ ვიცი, რა სარგებელს მოელოდა ამ შეთანხმებისგან, მაგრამ სრულიად დარწმუნებული წარმატებაში არ უნდა ყოფილიყო.

- გავიგე, რისთვისაც ჩამოვიდა და რა ჩამოიტანა მოსკოვში აღმოსავლეთის კურიერმა.

ზავულონმა ოდნავ გაიღიმა:

- მშვენიერია. დაძაბული ვარ შექმნილი სიტუაციის გამო და მიხარია, როცა ჩემს მღელვარებაც სხვებიც გაიზიარებენ.

- ზავულონ... ყოფილა დღისა და ღამის საგუშაგოებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკა? ნამდვილი თანამშრომლობის და არა განდგომილების ან ფსიქოპატების დაჭერა?

- არა. ნებისმიერი სახის თანამშრომლობა ერთ-ერთი მხარისთვის ყოველთვის წამგებიანი იქნება.

- გავითვალისწინებ.

- გაითვალისწინე.

ერთმანეთს თავიც კი დავუკარით თავაზიანად. თითქოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების ჯადოქრები, სინათლის აგენტი და წყვდიადის მსახური კი არ ვყოფილიყავით, არამედ ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილი ნაცნობები.

შემდეგ ზავულონი ალისას გაქვავებულ სხეულს მიეახლა, მსუბუქად აიყვანა და მხარზე გადაიდო. ველოდი, რომ ბინდიდან გავიდოდნენ, მაგრამ ამის მაგივრად, ბნელეთის მმართველმა ქედმაღალი ღიმილით დამაჯილდოვა და პორტალში შეაბიჯა, რომელმაც რამდენიმე წამის შემდეგ გაქრობა დაიწყო.

მე სხვა მხარეს მივდივარ.

ახლაღა მივხვდი, როგორ დავიღალე. ბინდს უყვარს, როცა მასში შედიან, კიდევ უფრო მეტად სიამოვნებთ, როცა ამასთან დაძაბულები არიან. ბინდი გაუმაძღარი ჩათლახია, რომელიც ყველას უღებს კარს, ვინც კი დაუკაკუნებს.

ისეთი ადგილი ამოვირჩიე, სადაც ნაკლები ხალხი ტრიალებდა, და ერთი ნახტომით გამოვედი საკუთარი ჩრდილიდან. გამვლელებმა ჩვეულებისამებრ მიმოიხედეს. დღეში რამდენჯერ გვხვდებით, ადამიანებო... თეთრებს და ბნელებს, მაგებსა და მაქციებს, ჯადოქრებსა და მკურნალებს. გვიყურებთ, მაგრამ ჩვენი დანახვის უფლება არ გაქვს.

დეე, ყოველთვის ასე იყოს.

ჩვენ ასობით წელი ვცოცხლობთ, ხანდახან ათას წლამდეც კი ვაღწევთ. ჩვენი მოკვლა ადვილი არაა. და ის პრობლემები, რომელიც ასე მწვავედ აწუხებთ ხოლმე ადამიანებს, ჩვენ საზრუნავთან შედარებით პირველი კლასელის გულისწუხილს ჰგავს, რვეულში რომ ოღროჩოღროდ დამოწერა ხაზები.

მაგრამ ყველაფერს აქვს მეორე მხარე. დიდი სიამოვნებით გაგიცვლიდით, ადამიანებო, ჩრდილის დანახვისა და ბინდში გადასვლის უნარს, საგუშაგოს მზრუნველობასა დ გარშემომყოფთა ცნობიერების შეცვლის შესაძლებლობას, ჩვეულებრივ სიმშვიდეში, რომელიც სამუდამოდ დავკარგე!

ვიღაცამ ხელი მკრა და გზიდან გადამაგდო. ჯმუხმა ტიპმა, გადაპარსული თავით, წელზე მიმაგრებული მობილური ტელეფონითა და ოქროს ჯაჭვით კისერზე, ამრეზით შემათვალიერა, წვრილმანი ბანდიტები რომ უყურებენ ხოლმე „გულუბრყვილო იდიოტებს“, რაღაცა გამოცრა კბილებში, და ბაჯბაჯით გააგრძელა გზა. გოგომ, რომელიც მკლავზე ჩამოკოწიალებოდა, იგივე მზერა მიწყალობა, ოღონდ მთლად წარმატებული იმიტაცია ვერ გამოუვიდა.

გულიანად გადავიხარხარე.

ჰო, მაგარი დასანახი კი ვიქნებოდი!

შუა ქუჩაში გაქვავებული, თანაც ერთი შეხედვით რაღაც სტენდზე უაზროდ მიშტერებული, რომელზედაც საცოდავი ბრინჯაოს ქანდაკებები, მატრიოშკები სახელმწიფო მოხელეების სახეებით და სხვა ყალბი ხოხლომის ნაწარმი გამოეფინათ.

ერთი გემრიელად კი უნდა შემეჯანჯღარებინა მთელი ქუჩა. გლობალური რემორალიზაცია ჩამეტარებინა – და თავგადაპარსული ტიპი სანიტარად წავიდოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მისი გოგო კი სადგურისკენ გაქანდებოდა და დიდი ხნის წინ მივიწყებულ მოხუცებულ დედას მოინახულებდა, რომელიც, უეჭველად, რომელიღაცა პროვინციაში ჰყავდა მიგდებული.

პირდაპირ ხელები მექავება, ისე მიმიწევს კეთილი საქმეების კეთებისკენ!

ამიტომაც არ შეიძლება.

გული სუფთა უნდა იყოს, ხელები – ცხელი, ხოლო გონება ყოველთვის ცივი უნდა რჩებოდეს.

უბრალო, რიგითი სხვანაირი ვარ. არ მაქვს და არც არასოდეს მექნება იმხელა ძალა, რაც ჰესერს ან ზავულონს ხვდა წილად. შეიძლება ამიტომაც მაქვს ყველაფერზე საკუთარი შეხედულება. და მოულოდნელი საჩუქრის – თეთრი მაგიის უფლების, გამოყენებაც არ შემიძლია. ეს იმ თამაშის ფარგლებში ჩაჯდება, რომელიც მაღალ საფეხურზე მიმდინარეობს.

ჩემი შანსი კი ამ თამაშიდან გამოსვლაა.

და სვეტლანას წაყვანა,

ჰო, ღამის საგუშაგოს დიდი ხნის საგულდაგულო დაგეგმილი ოპერაციის ჩაშლა! ოპერატიულ სამსახურზე უარის თქმა! რიგით თეთრ ჯადოქრად გადაქცევა, რომელიც ციცქნა ძალებით სარგებლობს. ეს უკეთეს შემთხვევაში, უარეს შემთხვევაში კი სამუდამო ბინდი მელის.

დღეს, შუაღამეს...

სად? და ვინ? ვის ბედის წიგნს გადაშლის ჯადოქარი?

როგორც ოლგამ თქვა... ოპერაციას თორმეტი წელია ამზადებდნენ. თორმეტი წელი ეძებდნენ დიდებულ ჯადოქარს, რომელიც შეძლებდა განსაკუთრებული შემთხვევისთვის შემონახული ცარცის დაჭერას.

მოიცადე!

მინდოდა, მთელ არბატზე მეღრიალა, რა იდიოტი ვარ. მაგრამ სახე ისედაც ბევრს მეტყველებდა.

რა საჭირო იყო იმის ბგერითი გამოხატვა, რაც ასე თვალნათლივ მეწერა სახეზე.

უმაღლესი ჯადოქრები წინასწარ თვლიან თავიანთ სვლებს. მათ თამაშში შემთხვევითობა გამორიცხულია. ლაზიერებიც არიან და პაიკებიც. მაგრამ ზედმეტ ფიგურებს ვერ შეხვდებით!

ეგორი.

ბიჭი, რომელიც კინაღამ ემსხვერპლა არალიცენზირებულ ნადირობას და რომელიც ამის გამო ისეთ სულიერ მდგომარეობაში შევიდა ბინდში, რომ ბნელების მხარე დაიჭირა. ბიჭი, რომლის ბედიც არ არის განსაზღვრული, ვისი აურაც ჯერ კიდევ ინარჩუნებს ჩვილის მრავალფეროვნებას. ჰო, უნიკალური შემთხვევაა, გავოცდი მართალია, როცა პირველად დავინახე.

გავოცდი და მივივიწყე, როგორც კი გავიგე, რომ შეფმა ბიჭს ხელოვნურად გაუზარდა შესაძლებლობები, ბნელებისთვის კვალი რომ აებნია და მისთვის ვამპირებისთვის მცირედი წინააღმდეგობის გაწევის უნარი რომ მიეცა...

ასევე დარჩა ჩემთვის – პირად წარუმატებლობად, პირველად მე არ დავინახე მასში სხვანაირი, და კარგი, ჯერ კიდევ, ადამიანი, და მომავალი მოწინააღმდეგე კეთილისა და ბოროტის მარადიულ ბრძოლაში? გაურკვეველი, ჩამოუყალიბებელი ბედის შესახებ კი სულ გადამავიწყდა.

ბიჭი ვინ დადგება, არ არის განსაზღვრული. მომავლის ბუნდოვანი პოტენციალი. გაშლილი წიგნი... ბედის წიგნი.

აი, ვინ დადგება სვეტლანას პირისპირ, როცა ხელში ცარცის ნაჭერს აიღებს. და სიამოვნებით დადგება, როდესაც შეფი მთელი სერიოზულობით დამაჯერებლად აუხსნის, რაც ხდება. შეფს შეუძლია დარწმუნება, ღამის საგუშაგოს ხელმძღვანელი, მოსკოვის თეთრების უფროსი, დიდებული ძველი მაგი ამის დიდოსტატია. ჰესერი დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე დაუწყებს ლაპარაკს, რაც სიმართლე იქნება. ჰესერი დიად მომავალს დაუხატავს, რომელიც ეგორი წინაშე გადაიშლება. და ესეც, თქვენ წარმოიდგინეთ, სიმართლე გამოდგება! ბნელებს შეუძლიათ, ათასი საჩივარი შეიტანონ – ინკვიზიცია აუცილებლად გაითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბიჭი მათი საქციელის გამო დაზარალდა.

და სვეტლანასაც აუცილებლად ეტყვიან, რომ ეგორთან დაკავშირებული ჩავარდნა მტანჯავს. რომ ბიჭი ძალიან დაიჩაგრა იმის გამო, რომ საგუშაგო მისი, სვეტლანას, გადარჩენით იყო დაკავებული და ეგორისთვის ვეღარ მოიცალა.

არც დაფიქრდება.

მოისმენს, რაც უნდა გააკეთოს.

ცარცის ნაჭერს შეეხება, ჩვეულებრივი ცარცის ნაჭერს, რომლითაც ასფალტზე კლასობანას ცხრილის დახატვა ან სკოლის დაფაზე „2+2=4“-ის გამოწერა შეიძლება.

და შეუდგება ჯერ კიდევ განუსაზღვრელი ბედის გამოჭრას...

რას გამოიყვანენ მისგან?

ვის?

ლიდერს, ბელადს, ახალი პარტიებისა და რევოლუციების წინამძღოლს?

ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი რელიგიის წინასწარმეტყველს?

მოაზროვნეს, რომელიც ახალ სოციალურ მოძღვრებას მისცემს დასაბამს?

მუსიკოსს, პოეტს, მწერალს, რომლის შემოქმედებაც მილიონობით ადმიანის ცნობიერებას შეცვლის?

რამდენი ხნის შემდეგ შეისხამს საბოლოოდ ფრთებს ნათელი ძალების საგულდაგულო გეგმა?

მაგრამ სხვანაირის ბუნებრივ არსს ვერ შეცვლი. ეგორი ძალიან სუსტ მაგად დარჩება, თუმცა, საგუშაგოს ჩარევით, მაინც ნათელი მაგი გახდება.

მაგრამ იმისთვის, რომ კაცობრიობის ბედი შეცვალო, არ არის აუცილებელი, სხვანაირი იყო. ეს ზოგჯერ ხელსაც გიშლის. გაცილებით უფრო ადვილია საგუშაგოს მხარდაჭერით სარგებლობდე... და გაუძღვე ადამიანების მასებს, რომლებსაც ასე სწყურიათ ჩვენს მიერ გამოგონილი ბედნიერება.

და ისიც გაუძღვება მათ. არ ვიცი, როგორ და საით, მაგრამ წაიყვანს.

მაგრამ ბნელებიც ხომ არ დააყოვნებენ საპასუხო სვლას.

თითოეულ პრეზიდენტს თავისი კილერი გამოუჩნდება. თითოეულ წინასწარმეტყველს ათასი განმმარტებელი, რომელიც მისი რელიგიის არსს დაამახინჯებს, მგზნებარე ნაპერწკალს ინკვიზიციის კოცონით შეცვლის. ნებისმიერი წიგნი შეიძლება ცეცხლი მოისროლონ, სიმფონიისგან შლაგერი შეთითხნონ და დუქნებში აამღერონ, ნებისმიერ სისაძაგლეს მყარი ფილოსოფიური საფუძველი მისცენ.

ჰო, ვერაფერიც ვერ გვისწავლია.

ალბათ, არ გვინდა.

მაგრამ ცოტა დრო მაინც მაქვს და ერთადერთი სვლის გაკეთების უფლება.

ნეტა ვიცოდე, რა უნდა გავაკეთო.

სვეტლანას მოვუწოდო, არ დაეთანხმოს ჰესერს, არ ეზიაროს უმაღლეს მაგიას, არ მართოს სხვისი ბედი?

და რატომ, ჩვენში რომ დარჩეს... ყველაფერი ხომ ისე მიდის, როგორც საჭიროა. დაშვებული შეცდომების გამოსწორება, ცალკეული ადამიანებისა და მთლიანად კაცობრიობის ბედნიერი მომავლის შექმნა. მე დაშვებული შეცდომის ტვირთი მეხსნება, სვეტლანას – იმის შეგნება, რომ მისი წარმატება სხვის უბედურებაზეა დამყარებული. დიდებული ჯადოქრების რიგებს უერთდება.

მაინც რა არის ჩემი ბუნდოვანი ეჭვების ფასი?

და რომელი მათგანია ჭეშმარიტი მზრუნველობით გამოწვეული, და რომელი – პირადი ანგარებით? სად სინათლეა და სად წყვდიადი?

- ეი, ძმაო...

გამყიდველი, რომლის დახლთანაც ვიდექი, მომჩერებოდა. მაინცდამაინც გაავებული არ ჩანდა, მაგრამ გაღიზიანება კი ეტყობოდა.

- ყიდულობ რამეს?

- რომელი იდიოტი მე მნახე? – ვუპასუხე.

- არ გეტყობა, რომ ხარ? ან იყიდე რამე, ან მოშორდი დახლს.

ამაში კი მართალი იყო. მაგრამ ახლა ღრენის ხასიათზე ვიყავი:

- ვერ ხვდები, როგორ გაგიმართლა. ყურადღებას ვიქცევ, მყიდველებს გიზიდავ.

კოლორიტული გამყიდველი იყო, ჩაფსკვნილი, სახეწითელი, სქელი ხელებით, სადაც ერთმანეთს თანაბრად ენაცვლებოდა ქონი და კუნთები. კრიტიკულით მზერით ამწონ-დამწონა, საშიში ვერაფერი შემატყო, და რაღაც გესლიანი უნდოდა, ეთქვა...

მაგრამ მოულოდნელად გაიღიმა.

- მოიზიდე, მიდი. ოღონდ უფრო იაქტიურე. ვითომ ყიდულობ რამეს. შეგიძლია ვითომ ფულიც გადამიხადო.

რა უცნაურია... რა მოულოდნელი.

გავუღიმე:

- გინდა, მართლა ვიყიდო რამე?

- რად გინდა, ეს ხლამი ტურისტებისთვისაა, - გამყიდველი აღარ იღიმოდა, მაგრამ უწინდელი დაძაბული აგრესიულობა გაუქრა. – რა საშინელი სიცხეა... ლამის დავცოფო ყველა. წვიმა მაინც წამოვიდოდეს.

ცას ავხედე და მხრები ავიჩეჩე. თითქოს რაღაც იცვლებოდა. ცის ლაჟვარდოვან სილურჯეში რაღაცა დაიძრა.

- მე მგონი, წამოვა, - განვუცხადე.

- კარგი კი იქნებოდა.

ერთმანეთს თავი დავუქნიეთ – და გავეცალე, ხალხის ნაკადს შევერიე..

შეიძლება არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, სამაგიეროდ ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი. ესეც ბევრს ნიშნავს.

თავი 7

ჩვენი ძალები ხშირ შემთხვევაში ნასესხებია.

ბნელები სხვისი ტანჯვით საზრდოობენ. მათთვის უფრო ადვილია ძალების მოკრება. საჭიროა მხოლოდ ლოდინი, ყურადღებით დაკვირვება... და სხვისი ტკივილის წოვა, ხვრეპა, როგორც კოქტეილის სახვრეპელათი.

ჩვენც შეგვიძლია იგივე გავაკეთოთ, ოღონდ პირიქით. ადამიანებით მხოლოდ მაშინ ვსაზრდოობთ, როცა უხარიათ, ბედნიერები არიან.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ამ პროცესს ხელმისაწვდომს ხდის ბნელებისთვის, ჩვენთვის კი – პრაქტიკულად შეუძლებელს. ბედნიერება და

უბედურება სულაც არ არის ორი პოლარული ადამიანური ემოცია. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებდა ტკბილი სევდა ან მწარე სიხარული. ეს ორი პარალელური პროცესია, ძალის ორი თანაბარი ნაკადი, რომლის შეგრძნებისა და გამოყენების შესაძლებლობა სხვანაირებს ხვდათ წილად.

როცა შავი მაგი სხვის ტკივილს სვამს, ტკივილი მხოლოდ იმატებს.

როცა თეთრი მაგი საზრდოობს სხვისი სიხარულით, სიხარული დნება.

ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვიძლია ძალა შევიმატოთ, მაგრამ ძალიან იშვიათად ვაკეთებთ ამას.

დღეს ჩავთვალე, რომ უფლება მაქვს.

ცოტა ენერგია მეტროს შესასვლელთან გარინდებული, გადახვეული წყვილისგან ავიღე. ამ წუთას ბედნიერი იყვნენ, ძალიან ბედნიერი. და მაინც ვგრძნობდი, რომ დაშორდებოდნენ, თან დიდი ხნით, და ნაღველი უეჭველად დაასვამდა თავის დაღს შეყვარებულებს. გადავწყვიტე, რომ შემეძლო ამის გაკეთება. მათი სიხარული კაშკაშა და მგზნებარე იყო, ალისფერი ვარდების თაიგულს გავდა... ნაზი და ქედმაღალი ვარდების თაიგულს...

პატარა ბიჭს შევეხე, რომელმაც გვერდით ჩამირბინა, ისე უხაროდა, საერთოდ ვერ გრძნობდა დამძიმებულ პაპანაქებას, ნაყინის საყიდლად მიიჩქაროდა. მალევე აღიდგინა სიხარული. ძალა უბრალო და სუფთა გამოდგა, მინდვრის ყვავილების მსგავსად. ჩემი მტკიცე ხელით მოგლეჯილი გვირილების თაიგული...

ფანჯარაში მოხუცი ქალი შევნიშნე. მის ახლომახლო სიკვდილის ჩრდილი დაფარფატებდა, ალბათ თვითონაც გრძნობდა. მაგრამ მოხუცი მაინც იღიმებოდა. დღეს შვილიშვილმა მოინახულა. ალბათ, რომ შეემოწმებინა, ცოცხალი იყო თუ არა ბებო, ხომ არ გათავისუფლდა ძვირადღირებული ბინა მოსკოვის ცენტრში... ამასაც ხვდებოდა. მაგრამ მაინც ბედნიერი იყო. აუტანელი სირცხვილი ვიგრძენი, მას რომ შევეხე და ცოტა ენერგია გამოვაცალე. შემოდგომის ფოთლების ჭკნობაში გადასული, მოყვითალო-მონარინჯისფერო თაიგული...

მივდიოდი, ისე, როგორც საკუთარ ღამეულ კოშმარებში, და ყოველ მხარეს სიხარულს და ბედნიერებას ვარიგებდი. ყველას ვურიგებდი, ნაწყენი არავინ რომ არ დარჩენილიყო... მაგრამ უკან ამ წუთას სულ სხვა კვალი მომდევდა. ჩამქრალი ღიმილი, შუბლზე შეკრული ნაოჭები, ტუჩებზე დაჭერილი კბილი.

მოკლედ, თვალსაჩინო კვალს ვტოვებდი.

დღის საგუშაგოს პატრული რომ შემხვდეს, გაჩერებას ვერ გაბედავს.

პრინციპში, თეთრებიც გაჩუმდებიან, რომ დაინახავენ, რაც ხდება.

ვაკეთებ იმას, რასაც საჭიროდ მივიჩნევ, რისი უფლებაც მაქვს. დავესესხო. მოვიპარო. და ის, თუ როგორ გამოვიყენებ მინიჭებულ ძალას, ჩემს ბედს განსაზღვრავს.

ან ყველასთან გავასწორებ ანგარიშს – მთლიანად.

ან ბინდის სტუმართმოყვარე კარი გაიღება.

ნათელი მაგი, რომელიც ადამიანებისგან ძალების გამოცლას იწყებს, ყველაფერს დებს სასწორზე. და აქ არ გამოდგებოდა საგუშაგოების ქმედებების ჩვეულებრივი შეფასებები. მომკილი სიკეთის ოდენობამ უბრალოდ კი არ უნდა გადააჭარბოს ჩემს მიერ დათესილ ბოროტებას.

ეჭვის ნატამალიც კი არ უნდა დამრჩეს, რომ სრულად გავასწორე ანგარიში. შეყვარებულები... მოხუცები... მხიარული კომპანია, ძეგლთან რომ სვამდა ლუდს... მეშინოდა, რომ მათი სიხარული ნაძალადევი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ჭეშმარიტი აღმოჩნდა და მეც ძალა ავიღე.

მაპატიეთ.

შემიძლია ათასი ბოდიში მოვუხადო თითოეულს. შემიძლია მიტაცებული ენერგია ავანაზღაურო, მაგრამ სიცრუე იქნება.

მე ხომ საკუთარი სიყვარულისთვის ვიბრძვი. პირველ რიგში. და შემდეგ თქვენთვის, ვისაც წარმოუდგენელ ბედნიერებას გიმზადებენ.

მაგრამ, შეიძლება, ესეც სიმართლე გამოდგეს?

და ნებისმიერი, ვინც თავისი სიყვარულისთვის იბრძვის, მთელი სამყაროსთვის იბრძვის?

მთელი სამყაროსთვის – და არა მთელ სამყაროსთან...

ძალა!

ძალა.

ძალა...

ძალის მარცვლებს ვაგროვებდი, ზოგჯერ სათუთად და დიდი სიფრთხილით, ზოგჯერ უხეშად და ტლანქად, რომ ხელი არ ამკანკალებოდა, თვალი არ ამერიდებინა სირცხვილისაგან, და ყველაფერი მიმეღო.

შეიძლება ამ ბიჭისთვის ბედნიერება ისედაც იშვიათი სტუმარია?

არ ვიცი...

ძალა!

შეიძლება, ეს ქალი, რომელსაც ღიმილი გაუქრა, ვიღაცის სიყვარულს დაკარგავს?

ძალა.

შეიძლება, ხვალ ეს ჯან-ღონით სავსე, ირონიულად მომღიმარი კაცი ცოცხალი აღარ იყოს?

ძალა...

ამულეტები, რომლებიც ჯიბეში მეწყო, არ მიშველიდა. არ მიშველიდა „მშვენიერ ფორმაში ყოფნა“, შეფმა როგორც მითხრა. საკმარისი მაინც არაა. და მეორე საფეხურის დაუბრკოლებელი ჩარევის უფლება, რომელიც ასე გულუხვად მიბოძა ზავულონმა, მახე იყო. ერთი ბეწოთიც არ მეპარებოდა ეჭვი. თავისი მეგობარი გოგო გაწირა, ალბათობის ხაზები ისე შეაერთა, რომ ჩვენი გზები გადაკვეთილიყო და სევდიანი სახით გადმომცა საჩუქარი. ვერ შევძლებ ისე შორს გავიხედო მომავალში, რომ ჩემს სიკეთეს არასოდეს არ მივცე ბოროტებად გადაქცევის საშუალება.

მაგრამ თუ იარაღი არ გაქვს, მტრის ხელიდან უნდა მიიღო.

ძალა!

ძალა.

ძალა...

ის სუსტი ძაფი რომ შემენარჩუნებინა ჰესერთან, რომელიც ახალგაზრდა მაგსა და მის მოძღვარს აკავშირებდა, დიდი ხნის წინ იგრძნობდა, რაც ხდებოდა. მიხვდებოდა, როგორ მავსებდა შემზარავი, მოუთოკავი ენერგია, რომელსაც ვინ იცის, რა მიზნისთვის გამოვიყენებდი...

რას გააკეთებდა?

აზრი არ აქვს მაგის გაჩერებას, რომელმაც ეს გზა აირჩია.

ვდნხ-ზე ფეხით მივდიოდი. ვიცოდი, სადაც მოხდებოდა. შემთხვევითობა გამორიცხულია, როცა ოპერაციას უმაღლესი მაგი ხელმძღვანელობს. ზორბა „სახლი ფეხებზე“, ასანთის კოლოფი, ძელებზე შემოდებული – აქ წააგო ზავულონმა ბრძოლა სვეტლანასთვის, აქ გამოავლინა და ინკვიზიციის სამსახურში ჩააყენა ჰესერმა თავისი კანდიდატი, პარალელურად სვეტლანას პრაქტიკული მეცადინეობა ჩაუტარა.

მთელი ამ კომბინაციის ცენტრი.

მესამეჯერ.

აღარც მშიოდა, აღარც მწყუროდა. ერთხელ მაინც გავჩერდი, ყავა ვიყიდე და დავლიე. უგემური გამოდგა, თითქოს კოფეინი გამოეცალათ. ხალხმა გზიდან დაიწყო

ჩამოცლა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ სამყაროში მივდიოდი. ირგვლივ მაგიური დაძაბულობა იმატებდა.

ვერ დავმალავდი საკუთარ მიახლოებას.

არც მინდოდა, ჩასაფრებულს მევლო.

ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალი ფრთხილად მოძრაობდა. შევკრთი, როცა დავინახე, რომ იღიმოდა, ხოლო როცა მივხვდი, რომ ბავშვიც იღიმოდა მის მუცელში, თავის პაწაწინა და საიმედო სამყაროში, კინაღამ მივტრიალდი...

მათი ძალა თეთრ პეონს ჰგავდა, დიდ ყვავილს, ჯერ კიდევ გაუშლელი კოკრით...

ყველაფერი უნდა მივიღო, რაც ხელთ მომხვდება.

ყოყმანისა და სიბრალულის გარეშე.

გარემომცველ სამყაროში რაღაც ხდებოდა.

სიცხემ მოულოდნელი სისწრაფით იმატა.

ალბათ ტყუილად არ ცდილობდნენ ბნელები ამ დღეებში ხვითქის გაფანტვას. რაღაც უნდა მოხდეს. გავჩერდი, თავი ავწიე და ბინდში გავხედე ცას.

წრიული, სპირალისებრი მოძრაობები.

ჰორიზონტზე მოციმციმე ნაპერწკლები.

სამხრეთ-აღმოსავლეთზე ჩამოწოლილი წყვდიადი.

ოსტანკინოს ანძის მწვერვალის გარშემო შემოვლებული შარავანდედი.

უცნაური ღამე გველის...

გოგოს შევეხე, რომელმაც გვერდით ჩამირბინა და მის მარტივ სიხარულს წამოვკარი ხელი – სახლში მოსული ფხიზელი მამა...

თითქოს ასკილის ტოტი მოვამტვრიე... მყიფე და ეკლიანი...

მაპატიეთ.

როცა „ფეხებიან სახლს“ მივუახლოვდი, თითქმის თერთმეტი საათი იყო. უკანასკნელად იმ ქუჩაბანდის კედელს აყუდებულ კაცს შევეხე, სადაც ვამპირი მოვკალი. ისეთი მთვრალი იყო, თითქმის ვერ აზროვნებდა. და ბედნიერი იყო.

მისი ძალა მივითვალე. მრავალძარღვას მტვრიანი, გათელილი, ჭუჭყიანი მტევანი...

ესეც ძალაა.

გზა რომ გადავკვეთე, მივხვდი, რომ მარტო არ ვიყავი. ჩრდილი გამოვიძახე და ბინდის სამყაროში გადავედი.

შენობა გარშემორტყმული იყო.

ყველაზე უცნაური ალყა, რაც კი ოდესმე მინახავს. თეთრები და შავები ერთად. სემიონი შევნიშნე, თავი დავუქნიე და მისგან მშვიდი, მცირედი საყვედურით სავსე მზერით მივიღე. ბოკვერი... დათვი... ილია... იგნატი...

როდის გამოიძახეს? სანამ მე ქალაქში დავბორიალობდი და ძალებს ვკრეფდი? არ გამოგივიდათ დასვენება, მეგობრებო...

და ბნელებიც. ალისაც აქ იყო. საშინელი შესახედაობა ჰქონდა – ჯადოქარს სახე დაჭმუჭნული და გასწორებული ქაღალდის ნიღაბს მიუგავდა. როგორც ჩანს, ზავულონი არ ტყუოდა, როცა მკაცრ სასჯელზე ლაპარაკობდა. ალისას გვერდით ალიშერი იდგა. თვალებში რომ შეხედე, მივხვდი, რომ ეს ორი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეერკინებოდა ერთმანეთს. შეიძლება ახლა არა, მაგრამ უთუოდ შეიბმოდნენ.

წრეში შევადგი ფეხი.

- ზონა დახურულია, - მითხა ალიშერმა.

- ზონა დახურულია, - გაიმეორა ალისამ.

- უფლება მაქვს.

იმდენი ძალა მქონდა, რომ ნებართვის გარეშეც შემეძლო შესვლა. ახლა მხოლოდ დიდებული მაგები თუ შემაჩერებდნენ. მაგრამ აქ არ იყვნენ.

ჩემი გაჩერება არ უცდიათ, მაშ, ვიღაცამ, ჰესერმა ან ზავულონმა, ან შეიძლება ორივე შეფმა, მხოლოდ ჩემი გაფრთხილება ბრძანა.

- წარმატებას გისურვებ, - ზურგს უკან ვიღაცამ ჩამჩურჩულა. მივიხედე და ბოკვერის მზერა დავიჭირე. თავი დავუქნიე.

სადარბაზო ცარიელი იყო. შენობაშიც ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, როგორც იმ დღეს, როცა სვეტლანას თავზე გაუგონარი სიდიდის ქარბორბალა ტრიალებდა. წყევლა, რომელიც თავადვე მოუვლინა საკუთარ თავს...

ნაცრისფერ ბურუსში მივაბიჯებდი. ფეხქვეშ იატაკი თრთოდა – აქ, ბინდისეულ სამყაროში, მაგიის ზემოქმედებას ნიადაგიც, ადამიანის მიერ აგებული შენობების ჩრდილიც კი ემორჩილებოდა.

სახურავის ლუქი ღია დამხვდა. არავინ ფიქრობდა, ჩემთვის მარტივი დაბრკოლებები მაინც შეექმნა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ არ ვიცოდი, უნდა გამხარებოდა, თუ მწყენოდა.

ბინდიდან გამოვედი. მე მგონი, აზრი არ ჰქონდა, ახლა, ყოველ შემთხვევაში.

კიბეს ავუყევი.

პირველად მაქსიმი შევნიშნე.

მაქსიმი შეცვლილიყო, აღარ გავდა უწინდელ თეთრ მაგს, ველურს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ხოცავდა წყვდიადის აგენტებს. ალბათ, შეცვალეს. ან, შეიძლება, თვითონ შეიცვალა. ზოგიერთი ადამიანისგან მშვენიერი ჯალათი გამოდის.

მაქსიმს გაუმართლა. ჯალათი კი არა ინკვიზიტორი გახდა. ის, ვინც სინათლისა და სიბნელის მიღმა დგას, ყველას და, ამავე დროს, არავის ემსახურება. ხელები გულზე გადაეჯვარედინებინა, თავი ოდნავ დაეხარა. რაღაცით ზავულონს მაგონებდა, როცა პირველად ვნახე. და რაღაცით – ჰესერს. ჩემს გამოჩენაზე მაქსიმმა ოდნავ ასწია თავი და გამჭვირვალე თვალებით შემომხედა. თვალები დაუშვა.

გამოდის, რომ მართლა დაშვებული ვარ ცერემონიალზე.

განცალკევებით ზავულონი გარინდებულიყო. თხელ ლაბადაში იფუთნებოდა და ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. რომ მივიდოდი, ისედაც იცოდა.

ჰესერი, სვეტლანა და ეგორი ერთად იდგნენ. მათ უფრო ცოცხალი რეაქცია ქონდათ ჩემს გამოჩენაზე.

- მაინც მოხვედი? – მკითხა შეფმა.

თავი დავუქნიე. სვეტლანას ვუყურებდი. გრძელი თეთრი კაბა ეცვა, თმა გაეშალა. ხელებში მკრთალი შუქით უციმციმებდა თეთრი ტარსიკონის პატარა, თითქოს ბროშის ან მედალიონის ყოფილიყოს, ბუდე.

- ანტონ, იცი, არა? – დამიძახა ეგორმა.

იქ მყოფთაგან ეგორი ერთადერთი იყო ბედნიერი, წრფელი გულით.

- ვიცი, - ვუპასუხე. მივუახლოვდი და თავზე გადავუსვი ხელი.

მისი ძალა ბაბუაწვერას ყვითელ ყვავილს ჰგავდა.

აი, ახლა, მგონი, რაც შემეძლო, ყველაფერი მოვაგროვე.

- გაიბერე? – მკითხა ჰესერმა. – ანტონ, რა უნდა ქნა?

არ ვუპასუხე. ყურადღება დავძაბე. რაღაც არ იყო რიგზე.

აა, ჰო... რატომღაც ოლგა არ ჩანდა.

ინსტრუქტაჟი ჩატარებულია? სვეტლანამ იცის, რაც მოელის.

- ცარცი, - წარმოვთქვი. – ორივე მხრიდან გათლილი ცარცის პატარა ნაჭერი, რომლითაც ნებისმიერ რამეზე დაწერ. მაგალითად, ბედის წიგნში. გადაშლი ძველ სტრიქონებს და ახლებს შეიტან.

- ანტონ, ახალს ვერაფერს იტყვი, აქ მყოფნი რომ გააკვირვო, - მშვიდად მომიგო შეფმა.

- ნებართვა გაცემულია? – ვიკითხე.

ჰესერმა მაქსიმს გადახედა. ინკვიზიტორმა, თითქოს მისი მზერა იგრძნოო, თავი ასწია და ყრუდ წარმოთქვა:

- ნებართვა გაცემულია.

- პროტესტს ვაცხადებ დღის საგუშაგოს სახელით, - სევდიანად განაცხადა ზავულონმა.

- არ მიიღება, - გულგრილად მოუჭრა მაქსიმმა და თავი კვლავ ჩაქინდრა.

- დიდებულ ჯადოქარს შეუძლია, ცარცი აიღოს, - განვაგრძე. – თითოეული სტრიქონი ბედის წიგნში მისი სულის ნაწილს აიღებს. აიღებს – და შეცვლილს დააბრუნებს... ადამიანის ბედის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საკუთარ სულს გასცემ.

- ვიცი, - დამეთანხმა სვეტლანა. გამიღიმა. – ანტონ... მაპატიე. მე ვფიქრობ, სწორად ვიქცევი. ასე აჯობებს ყველასთვის.

ეგორს თვალებში ეჭვის ნაპერწკალმა გაუელვა. იგრძნო, რომ რაღაც რიგზე არ უნდა ყოფილიყო...

- ანტონ, შენ საგუშაგოს მებრძოლი ხარ, - მომმართა ჰესერმა. – თუ რამეს არ ეთანხმები, განაცხადე ამის შესახებ.

არ ვეთანხმები? რას, კონკრეტულად? რომ შავი მაგის ნაცვლად, ეგორი ნათელი მაგი გახდება? რომ ეცდება – თუნდაც მრავალი წარუმატებლობის მიუხედავად, მაინც მოუტანოს კაცობრიობას სიკეთე? რომ სვეტლანა დიდი ჯადოქარი გახდება?

თუნდაც ამისთვის ყველანაირი ადამიანური თვისება, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენია, მსხვერპლად შესწიროს...

- არ ვიტყვი არაფერს, - განვაცხადე.

მომეჩვენა, თუ ჰესერის თვალებში გაკვირვებამ გაიელვა?

ძნელია იმის გაგება, რა უდევს თავში უმაღლეს მაგს.

- დავიწყოთ, - გაცა განკარგულება. – სვეტლანა... იცი, რაც უნდა გააკეთო.

- ვიცი, - შემომხედა.

რამდენიმე ნაბიჯით დავიხიე. ჰესერმაც.

ახლა ორნი დარჩნენ, სვეტლანა და ეგორი. ერთნაირად დაბნეულები. ერთნაირად დაძაბულები.

ზავულონს გადავხედე – ელოდა.

სვეტლანამ ბუდე გახსნა – საკეტის ჩხაკუნი გასროლასავით გაისმა, ნელა, თითქოს ნაძალადევად, ამოიღო ცარცის ნატეხი. პაწაწინა. ნუთუ ასე გაილია საუკუნეების განმავლობაში, როცა სინათლე კაცობრიობის ბედის შეცვლას ცდილობდა.

ჰესერმა ამოისუნთქა.

სვეტლანა ჩაიცუცქა და წრე მოხაზა, რომელშიც ეგორი და საკუთარი თავი მოაქცია.

ვერაფერს ვამბობდი, ვერაფერს ვაკეთებდი.

იმხელა ძალა მოვაგროვე, რომ გადმომდიოდა.

მქონდა სიკეთის კეთების უფლება.

მხოლოდ მცირედი მაკლდა – სხვების თანაგრძნობა...

ქარმა დაუბერა. მორცხვად, ფრთხილად, და ჩაცხრა.

ზემოთ ავიხედე და შევკრთი. რაღაც ხდებოდა. აქ, ადამიანურ სამყაროში, ცა ღრუბლებით გაივსო. ვერც შევამჩნიე, როდის მოიღრუბლა.

სვეტლანამ წრის ხაზვა დაასრულა და წამოდგა.

ვცადე, მისთვის ბინდიდან შემეხედა, მაგრამ მაშინვე შევბრუნდი. ხელში გავარვარებული ნახშირი უელავდა. ნეტა თუ გრძნობდა ტკივილს?

- ქარიშხალი ახლოვდება, - წარმოთქვა შორიდან ზავულონმა. – ნამდვილი ქარიშხალი... რომლის მსგავსი დიდი ხანია არ ყოფილა...

გაიცინა.

მისი სიტყვებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ქარმა უფრო თანაბრად დაუბერა და გაძლიერდა. ქვემოთ ჩავიხედე – იქ სიწყნარე იყო... სვეტლანამ ცარცი ჰაერში

მოატარა, თითქოს რაღაცა მოხატა, რომლის დანახვა მხოლოდ მას შეეძლო. მართკუთხა კონტური და შიგნით რაღაც ორნამენტი.

ეგორმა ჩუმად ამოიკვნესა. თავი გადასწია. ნაბიჯი გადავდგი წინ და შევჩერდი. ბარიერს ვერ გავარღვევ. და არც აქვს აზრი.

ამაში არ არის საქმე.

როცა არ იცი, როგორ მოიქცე, არაფერს არ უნდა დაუჯერო. არც ცივ გონებას, არც სუფთა გულს, და არც ცხელ ხელებს.

- ანტონ...

ჰესერს შევხედე. შეფი რაღაცას შეეფიქრიანებინა.

- ეს უბრალო ქარიშხალი არაა, ანტონ. გრიგალია. მსხვერპლი იქნება.

- ბნელები? – უბრალოდ ვიკითხე.

- არა. სტიქიები.

- ძალების კონცენტრაცია მოგვიდათ ცოტათი ზედმეტი? – ვკითხე. შეფმა ყურადღება არ მიაქცია ჩემს დაცინვას.

- ანტონ, რომელი საფეხურის ჩარევის უფლება გაქვს?

რა თქმა უნდა, შეფმა იცოდა ზავულონთან დადებული შეთანხმების შესახებ.

- მეორე.

- შენ შეგიძლია ამ ქარიშხლის შეჩერება, - მითხრა ჰესერმა. უბრალოდ მომახსენა. – ყველაფერი თქეშით დასრულდება. საკმარისი ძალები გაქვს მოგროვილი.

ქარი ისევ გაძლიერდა. და არ აპირებდა ჩაცხრომას. გლეჯდა, ამტვრევდა იქაურობას, თითქოს ცდილობდა, სახურავიდან ჩამოვეყარეთ. წვიმის ნაკადმა წამოუშინა.

- ეს, პრინციპში, ბოლო შანსია... – დაამატა შეფმა. – თუმცა, შენი გადასაწყვეტია.

ჰესერს ძალის ფარი შემოერტყა წკრიალით – თითქოს დაჭმუჭნული ცელოფანი შემოაკრესო. პირველად ვხედავდი, რომ მაგი ასეთ ზომებს მიმართავდა ჩვეულებრივი ბუნებრივი სტიქიისგან თავის დასაცავად...

სვეტლანა ბედის წიგნის მოხატვას განაგრძობდა. ქარი გამეტებით უფრიალებდა კაბას. ეგორი არ იძვროდა, იდგა, თითქოს უხილავ ჯვარზე გაეკრათო. შეიძლება, საერთოდ ვეღარაფერს აღიქვამდა. რა მოსდის ადამიანს, რომელიც ძველ ბედს კარგავს და ახალი ჯერ არ მიუღია?

- ჰესერ, ისეთი ტაიფუნის მოწყობას აპირებ, რომელსაც ეს ქარიშხალი არც შეედრება...

ქარი სიტყვებს ახშობდა.

- გარდაუვალია, - მიპასუხა ჰესერმა. ჩურჩულით ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ყოველი სიტყვა მკაფიოდ ისმოდა. – ეს უკვე ხდება.

ბედის წიგნი ადამიანურ სამყაროშიც გამოჩნდა. რა თქმა უნდა, სვეტლანა პირდაპირი მნიშვნელობით კი არ ხატავდა მას, არამედ ბინდის უღრმესი შრეებიდან ქაჩავდა. ასლებს იღებდა... რომლის ნებისმიერ ცვლილება ორიგინალზე აისახებოდა. ბედის წიგნი ყალიბს, მაკეტს ჰგავდა, რომელიც უმოძრაოდ ეკიდა ჰაერში ცეცხლოვანი ალმოდებული ძაფებისგან შემდგარი. წვიმის წვეთები შეხებისას ალდებოდა.

ახლა სვეტლანა ეგორის ბედის შეცვლას შეუდგება.

შემდეგ, ათწლეულების შემდეგ, ეგორი კაცობრიობის ბედს შეცვლის.

როგორც ყოველთვის - უკეთესობისკენ.

როგორც ყოველთვის - წარუმატებლად.

შემაქანავა. წამით, სრულიად მოულოდნელად, ძლიერი ქარი გრიგალად იქცა. ირგვლივ წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. ვხედავდი, როგორ ჩერდებოდა პროსპექტზე მანქანები, და ტროტუარებს ეკვროდა – ხეებისგან შორს. სრულიად უხმაუროდ, ქარი ყოველგვარ გრუხუნს ახშობდა, გზაჯვარედინზე უშველებელი სარეკლამო აბრა ჩამოვარდა. შენობებისკენ რამდენიმე გზააბნეული მირბოდა, თითქოს კედლებში ეძებდა თავშესაფარს.

სვეტლანა შეჩერდა. გავარვარებული წერტილი მის ხელის გულზე ელვარებდა.

- ანტონ...

ძლივს ჩამესმა მისი ხმა.

- ანტონ, რა ვქნა? მითხარი! ანტონ, როგორ მოვიქცე?

ცარცის წრე იცავდა მას, ბოლომდე ვერა, ალბათ, ქარმა ტანსაცმელი კინაღამ შემოაცვითა, მაგრამ მაინც აძლევდა იმდენ ძალას, რომ ფეხზე მდგარიყო.

თითქოს ყველაფერი გაქრა. ვუყურებდი სვეტლანას, ალმოდებული ცარცის ნატეხს, რომელიც მზად იყო სხვისი ბედის შესაცვლელად. სვეტლანა ჩემს პასუხს ელოდა – მაგრამ მე არ ვიცოდი, რა მეთქვა, რადგან პასუხი თვითონაც არ ვიცოდი.

ხელი ბობოქარი ცისკენ აღვმართე. და საკუთარ ხელებში ძალის გამჭვირვალე ფერები შევნიშნე.

- მოერევი? – თანაგრძნობით მკითხა ზავულონმა. – ქარიშხალი გამძვინვარდა.

მისი ხმა ისევე მკაფიოდ ისმოდა გრიგალის გრიალში, როგორც ჰესერის ხმა.

ჰესერმა ამოიოხრა.

ხელის გული გავშალე და ცას მივუშვირე – ცას, სადაც აღარ ჩანდა ვარსკვლავები, სადაც მხოლოდ ღრუბლები, წვიმის ნაკადი და ჭექა-ქუხილი მძვინვარებდა.

ეს ყველაზე მარტივი შელოცვა იყო. პირველ რიგში ასწავლიან.

რემორალიზაცია.

ყოველგვარი განმარტებების გარეშე.

- ნუ იზამ მაგას! – იყვირა ჰესერმა. – არ გაბედო!

ერთი მოძრაობით გამოექანა და სვეტლანას და ეგორს გადაეღობა. თითქოს ამით შელოცვას შეაჩერებდა... არა, ვეღარ შეუშლიდა ხელს.

ჩემი ხელის გულებიდან ადამიანებისთვის უხილავი სინათლის სხივი სცემდა. ყველა მარცვალი, რომელიც ასე უმოწყალოდ და დაუნდობლად შევაგროვე მათგან. ლურჯთვალება ღიღილო, ვარდების ალისფერი ცეცხლი, ასტრის სიყვითლე, თეთრი შროშანი, შავი ორქიდეა...

ზავულონი ზურგს უკან ჩუმად ხითხითებდა.

სვეტლანა ბედის წიგნთან იდგა ცარცით ხელში.

ეგორი, რომელსაც ხელები გაეშალა, მის წინ გაქვავებულიყო.

ფიგურები დაფაზე. ძალა ხელებში. ამხელა ძალა ჯერ არასდროს არ მქონია... მოუთოკავი, აულაგმავი, რომელიც მზად იყო, ნებისმიერზე გადმოღვრილიყო...

სვეტლანას გავუღიმე და ნელა-ნელა მივიტანე სახესთან ხელის გულები მფეთქავი შუქის შადრევნებით.

- არა!

ზავულონის გოდებამ ქარიშხლის ღრიალი გაარღვია და დაახშო. ცას ელვამ გადაურბინა. ბნელების უფროსი ჩემსკენ გამოიჭრა, მაგრამ შეფმა გზა გადაუჭრა და ზავულონი შეჩერდა. ამას ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი. სახეზე ცისარტყელას ნათელი მეღვრებოდა. თავი მიბრუოდა. ქარს ვეღარ ვგრძნოდი.

მხოლოდ უსასრულო ცისარტყელის ფერებში ვიძირებოდი.

ქარი სახურავს აწყდებოდა, მაგრამ მე არ მეკარებოდა. სვეტლანას შევხედე და გავიგონე იმ უხილავი კედლის ფეთქვა, რომელიც ყოველთვის გვაშორებდა ერთმანეთს. ფეთქავს, რათა საბოლოოდ მოგვაქციოს თავის ბარიერში. ქარისგან მოფარფატე თმა რბილი ტალღასავით დაეშვა სვეტას სახის გარშემო.

- მთელი ძალა საკუთარ თავზე დახარჯე?

- ჰო, - ვუპასუხე.

- ყველაფერი, რაც მოაგროვე?

არ მიჯერებდა. არ შეეძლო ამის დაჯერება, ბოლო წამამდე. სვეტლანამ იცოდა ნასესხები ძალის საფასური.

- ბოლო წვეთამდე! – მივუგე. საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობდი.

- რატომ? – ჯადოქარმა ხელი გაშალა. – რატომ, ანტონ? შეგეძლო, ქარიშხალი შეგეჩერებინა. ათასობით ადამიანი გაგებედნიერებინა. ეს როგორ გააკეთე – საკუთარ თავზე როგორ დახარჯე ყველაფერი?

- შეცდომა რომ არ დამეშვა, - განვუმარტე. უხერხულადაც კი ვიგრძენი თავი, რომ სვეტლანა, მომავალი დიდებული ჯადოქარი, ასეთ წვრილმანს ვერ ხვდებოდა.

სვეტლანა წამით გაჩუმდა, შემდეგ ცეცხლოვანი ცარცის ნატეხს დახედა, ხელში რომ ეჭირა.

- რა ვქნა, ანტონ?

- შენ უკვე გახსენი ბედის წიგნი.

- ანტონ! რომელი ხართ მართალი? შენ თუ ჰესერი?

თავი გავაქნიე.

- შენ თვითონ გაარკვიე.

სვეტლანამ წარბი შეკრა.

- ანტონ... ამისთვის გამოაცალე ხალხს ამდენი ძალა? რისთვის დახარჯე მეორე საფეხურის მაგია?

- გაიგე, - არ ვიცოდი, რამდენად დამაჯერებლად ჟღერდა ჩემი ხმა. რწმენა ახლაც კი არ მყოფნიდა. – ზოგჯერ მთავარი მოქმედება კი არ არის, არამედ – უმოქმედობა. ზოგიერთი რამ შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო, ყოველგვარი რჩევების გარეშე. ჩემი, ჰესერის, ზავულონის, სინათლის, სიბნელის რჩევების გარეშე. მხოლოდ შენ უნდა გადაწყვიტო.

თავი გააქნია.

- არა...

- კი. შენ თვითონ გადაწყვეტ. და ამ პასუხისმგებლობას ვერავინ აგარიდებს. და რაც არ უნდა გააკეთო, მაინც დაგრჩება ხინჯად იმაზე დარდი, რაც არ გააკეთე.

- ანტონ, მიყვარხარ!

- ვიცი. მეც მიყვარხარ. და ამიტომაც არ გეტყვი არაფერს.

- ეს არის შენი სიყვარული?

- სწორედ ეს არის სიყვარული.

- შენი რჩევა მჭირდება! – დაიყვირა სვეტლანამ. – ანტონ, შენი რჩევა მჭირდება!

- ყველა საკუთარ ბედს ქმნის, - ვუთხარი. იმაზე მეტი ვუთხარი, ვიდრე შემეძლო. – გადაწყვიტე.

ცარცის ნატეხი წვრილი ალმოდებული ნემსივით აენთო, როცა სვეტლანა ბედის წიგნისკენ შებრუნდა. ცარცი მოუსვა წიგნს და გავიგონე, როგორ აშრიალდა ფურცლები თვალისმომჭრელი საშლელის შეხებაზე.

მხოლოდ ლაქები რჩებოდა ბედის ფურცლებზე.

ხელის მოქნევა.

ცარცის მოსმა.

ცეცხლოვანი სრტიქონების გამალებული რბოლა...

სვეტლანამ ხელი გაშალა და ცარცი მის ფეხებთან დავარდა. მძიმედ, როგორც ტყვია. ცარცი გრიგალმა გადააგორა, მაგრამ მოვასწარი, ავიღე და მუჭაში დავმალე.

ბედის წიგნმა დნობა დაიწყო.

ეგორი შეტორტმანდა, მოიხარა, გვერდზე დაეცა და მუხლები გულზე მიიკრა. მოიკუნტა პატარა საცოდავი გორგალივით.

მათ გარშემო მოხაზული თეთრი წრე წვიმამ გადარეცხა და მიახლოვება შევძელი. ჩავიკუზე და ბიჭს მხარზე მოვავლე ხელი.

- არაფერი არ ჩაგიწერია, - იყვირა ჰესერმა. – სვეტლანა, მხოლოდ წაშალე!

ჯადოქარმა მხრები აიჩეჩა და მე დამხედა ზევიდან. წვიმამ ბარიერში შემოაღწია და თეთრი კაბა დაუსველა. გაჟღენთილი კაბა ტანზე ეკვროდა. სულ ცოტა ხნის წინ სვეტლანა თოვლივით თეთრ სამოსში გამოწყობილი ქურუმი იყო... წამიც და ჩვეულებრივ, წვიმაში მოყოლილ გოგოდ იქცა, რომელიც შუა გრიგალში იდგა ხელებდაშვებული.

- შენი გამოცდა იყო, - ჩუმად მიმართა ჰესერმა. - შანსი ხელიდან გაუშვი...

- ჰესერ, ნათელო რაინდო, აღარ მინდა საგუშაგოს სამსახურში ვიდგე, - უპასუხა გოგომ. – მაპატიეთ, ჰესერ, ნათელო რაინდო. მაგრამ ეს ჩემი გზა არაა. ჩემი ბედი არაა...

ჰესერმა ნაღვლიანად გააქნია თავი. ზავულონს აღარ უყურებდა, და ისიც რამდენიმე წამში ჩვენს გვერდით აღმოჩნდა.

- სულ ეს არის? – იკითხა შავმა მაგმა. მე შემომხედა, შემდეგ სვეტას და ეგორს. – ვერაფერი გააკეთეთ?

ინკვიზიტორზე გადაიტანა მზერა, მაქსიმმა თავი ასწია და დაუქნია.

მეტი არავინ უპასუხა.

ზავულონს სახეზე მრუდე ღიმილი გამოესახა.

- რამხელა ძალისხმევა... და ყველაფერი ფარსით დამთავრდა. მხოლოდ იმიტომ, რომ ისტერიულმა გოგომ არ მოინდომა თავისი გაუბედავი შეყვარებულის მიტოვება. ანტონ, იმედები გამიცრუე. სვეტლანა, შენ პირიქით – გამახარე. ჰესერ... – ზავულონმა შეფს შეხედა, - გილოცავ, რა სანიმუშო თანამშრომლები გყოლია.

ზავულონის ზურგს უკან კარიბჭე გაიხსნა. ჩუმი სიცილით, შავი მაგი შავ ღრუბლებს შეერია.

შენობის გარშემო თითქოს გმინვა გაისმა. ვერ ვხედავდი, მაგრამ ვიცოდი რაც ხდებოდა. ერთი მეორის მიყოლებით ბნელები ბინდს ტოვებდნენ და გაჩერებული მანქანებისკენ გარბოდნენ, რომ სასწრაფოდ მოეშორებინათ ხეებს. მოკაკულები მიიჩქაროდნენ მეზობელი შენობებისკენ.

შემდეგ ნათელმა ჯადოქრებმა იწყეს ალყის მოხსნა და შენობის დატოვება. ზოგიერთი მათგანი იმავე მარტივი და გასაგები ადამიანური მიზეზებიდან გამომდინარე მოქმედებდა. მაგრამ უმრავლესობა, ვიცოდი, ადგილზე რჩებოდა და ზევით, შენობის სახურავისკენ იყურებოდა. ბოკვერი, დამნაშავე სახით, ყოველი შემთხვევისთვის. სემიონი, სხვანაირის პირქუში ღიმილით, რომელიც ამაზე საშინელ ქარიშხალსაც მოსწრებია... იგნატი, მარად გულწრფელი თანაგრძნობით.

- ვერ გავაკეთე, - წარმოთქვა სვეტლანამ. – ჰესერ, მაპატიეთ. ვერ გავაკეთე.

- ვერც გააკეთებდი, - მივუგე. – და არც უნდა გაგეკეთებინა...

მუჭა გავშალე და ცარცის პატარა ნატეხს შევხედე, რომელიც ჩემს ხელში მხოლოდ სველ და წებოვან ცარცის ნაჭრად ქცეულიყო. ერთი მხრიდან გათლილ ნატეხად. ალბათ მეორე ნაწილი მოტყდა.

- დიდი ხანია, მიხვდი? – მკითხა ჰესერმა, მომიახლოვდა და ჩამომიჯდა. დამცავი ფარი ჩვენც გადმოგვაფარა და გრიგალის ღრიალი ჩაცხრა.

- არა. ამ წუთას.

- რა ხდება? – იყვირა სვეტლანამ. – ანტონ, რა ხდება?

ჰესერმა უპასუხა.

- ყველას თავის ბედი აქვს, სვეტა. ზოგს სხვისი ცხოვრების მართვა ან იმპერიების დაქცევა უწერია, ზოგს კი – უბრალოდ ცხოვრება.

- სანამ დღის საგუშაგო შენს მოქმედებას ელოდებოდა, - განვუმარტე, - ოლგამ ცარცის მეორე ნატეხი აიღო და ვიღაცის ბედი გადაწერა, ისე, როგორც სინათლეს აწყობდა.

ჰესერმა ამოიოხრა. ხელი გაიწვდინა და ეგორს შეეხო. ეგორი გაინძრა, და წამოდგომა სცადა.

- ახლავე, ახლავე, - ალერსიანად მიუგო შეფმა. – ყველაფერი დამთავრდა... მთავრდება.

ბიჭს მხარზე მოვხვიე ხელი, თავი მუხლებზე დამადო და ისევ ჩაწყნარდა.

- გამაგებინე, რატომ? – ვკითხე. – თუ კი წინასწარ იცოდი ყველაფერი?

- მეც კი არ ვიცი ყველაფერი...

- რატომ?

- იმიტომ, რომ ყველაფერი ბუნებრივად უნდა ჩატარებულიყო, - მიპასუხა ოდნავ გაღიზიანებულმა ჰესერმა. – ისე, რომ ზავულონს დაეჯერებინა მომხდარი, ჩვენი გეგმები, და ჩვენი დამარცხება.

- ეს სრული პასუხი არაა, ჰესერ, - თვალებში ჩავხედე. – მითხარი, რას მალავ!

შეფმა ამოიოხრა.

- კარგი. შემეძლო, სხვანაირადაც მოვქცეულიყავი. სვეტლანა დიდი ჯადოქარი გახდებოდა. თავისი სურვილის მიუხედავად. ეგორი, იმის მიუხედავად, რომ საგუშაგოს ისედაც ბევრი მართებს მისი, ჩვენს ინსტრუმენტად იქცეოდა...

ველოდებოდი. ძალიან მინდოდა, გამეგო, იტყოდა თუ არა ჰესერი სიმართლეს. თუნდაც ერთხელ. – კი, ასეც შემეძლო მოქცეულიყავი, ჩემო ბიჭო... ყველაფერი, რასაც ვაკეთებდი... სიმართლისა და წყვდიადის უდიდესი ბრძოლის გარდა... ყველაფერი, რასაც მეოცე საუკუნეში ვაკეთებდი მხოლოდ ერთი რამისკენ იყო მიმართული... რა თქმა უნდა, ამის საქმე არ ზარალდებოდა...

მოულოდნელად შემეცოდა. საშინლად შემეცოდა. შეიძლება დიდებული მაგი, უნეტარესი ჰესერი, ურჩხულთა შემმუსვრელი და სახელმწიფოების დარაჯი,

fb.com/groups/elib

ათასწლეულის მანძილზე პირველად ამბობდა სიმართლეს ბოლომდე, არა ისეთ ამაღლებულს და მშვენიერს, რომლის თქმასაც მიჩვეული იყო...

- არ გინდა, ვიცი! – შევაჩერე. მაგრამ დიდებულმა მაგმა თავი გადააქნია.

- ყველაფერი, რასაც ვაკეთებდი, - მკაფიოდ წარმოთქვა ჰესერმა, - მხოლოდ ერთ მიზანს ემორჩილებოდა. მეიძულებინა უმაღლესი ხელმძღვანელობა, ოლგასთვის მთლიანად მოეხსნათ სასჯელი, დაებრუნებინათ მთელი ძალები და კიდევ ერთხელ მიეცათ ბედის ცარცის გამოყენების საშუალება. ოლგა ჩემს სიმაღლემდე უნდა ამაღლებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სიყვარული განწირული იქნებოდა. მიყვარს, ანტონ.

სვეტლანამ გაიცინა. ძალიან ჩუმად. ვიფიქრე, შეფს სილას გააწნავდა, მაგრამ, ალბათ, აქამდე ბოლომდე არ მესმოდა მისი. სვეტლანა მუხლებზე დაეცა ჰესერის წინაშე და მარჯვენა ხელზე ეამბორა.

მაგი შეკრთა. თითქოს თავისი ამოუწურავი ძალები დაკარგა – დამცავმა ფარმა თრთოლვა და დნობა დაიწყო. ისევ გრიგალის ღრიალმა გვშთანთქა.

- და სამყაროს მომავალს ისევ შევცვლით ხოლმე? – ვკითხე. – ჩვენი... ჩვენი პატარა პირადი საქმეების მიუხედავად?

თავი დამიქნია. და მკითხა:

- არ გახარებს ეს ფაქტი?

- არა.

- რას იზამ... ანტონ, ყველა ბრძოლას ხომ ვერ მოიგებ. ეს მეც არ გამომსვლია, და არ გამოგივა.

- ვიცი, - დავეთანხმე. – რა თქმა უნდა, ვიცი, ჰესერ. არა და... როგორ მინდა.

იანვარი – აგვისტო

1998 წელი

მოსკოვი

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

http://www.Facebook.Com/Groups/ELLIB/